

უილიამ ფოლკნერი

„სოფელი“

წიგნი პირველი

თავი პირველი - ფლეში

1

ფრანგისხევი ჯეფერსონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოციოდე მილზე იყო გაშენებული მდინარისპირა ნაყოფიერ სანახებში. გორაკებსა და გორაკებს შუა მიკარგული, გამომიჯნული, ორი ოლქის საზღვრებს მირთული და მაინც ორივე ოლქისთვის თავმოუდრეკელი ფრანგისხევი ოდესღაც ებოძებინათ მისი პირველი მფლობელისთვის და მერე სამოქალაქო ომამდე ქცეულიყო ვრცელ პლანტაციად, რომლის ნაშთებსაც - ვეება სახლის გამოცარიელებულ ჩონჩხს, ჩამოქცეულ თავლას, მონათა ბარაკებს, მოუვლელ ბაღებს, ხეივნებს თუ აგურით ამოშენებულ ტერასებს - ფრანგის ნასახლარს უწოდებდნენ კვლავაც, თუმცა ამ პლანტაციის ოდინდელი მიჯნები ჯეფერსონის საოლქო სასამართლოს არქივში გადანახულ ძველისძველ ჩანაწერებშიღა არსებობდა, ხოლო ნაყოფიერი ველები ალაგ-ალაგ ლერწმოვანსა და კვიპაროსის ტევრებს გადაებურა ხელახლა და პირველი პატრონის მიერ გაკაფული ახობიც აღარსად ჩანდა.

შესაძლოა, მართლა უცხოელი ყოფილიყო ამ პლანტაციის მფლობელი, ოღონდ მისი ფრანგობა იქნებ სათუოც აღმოჩენილიყო, რადგან იმ გადამთიელის ნამოსახლარზე დაფუძნებულსა და მისი აქ ყოფნის კვალის ხელის ერთპირად წარმხოცველ ხალხს ყოველი კაცი ფრანგი ეგონა, ვისაც ოდნავ მაინც დაჰკრავდა უცხოური კილო, ვის გარეგნობას ან თუგინდ ხელობასაც უჩვეულო ეთქმოდა. ყოველი ამგვარი კაცი, რა ეროვნებისთვისაც უნდა მიეკუთვნებინა თავი, მათთვის ფრანგი იყო, სწორედ ისევე, როგორც ქალაქელი ჭკუის კოლოფებისთვის (თუკი, მაგალითად, ჯეფერსონში დამკვიდრებას იფიქრებდა) უეჭველად ჰოლანდიელი აღმოჩნდებოდა. მაგრამ ახლა აღარავინ იცოდა იმ გადამთიელის, იმ ფრანგის სადაურობა, თავად სამოც წელს მიტანებულმა ბილ უორნერმაც კი, თითქმის მთელი ყოფილი პლანტაციისა და გავერანებული სახლ-კარის აწინდელმა მფლობელმა. ფრანგი გამქრალიყო, თავისი ავლადიდებიანად გადახვეწილიყო სადღაც. მისი ნაოცნებარი, მისი თვალშეუდგამი ველ-მინდვრები პატარ-პატარა, ბეჩავ, გირაობით სულის მღაფავ ფერმებად დაენაწილებინათ და ჯეფერსონის ბანკების მმართველნი, მათ გაყიდვამდე ერთმანეთს რომ ჭამდნენ, ბოლოს და ბოლოს, ისევ ბილ უორნერს მიჰყიდდნენ ხოლმე ამ ნაკვეთებს. ახლა იმ

ფრანგის ნასახლარისგან დარჩენილიყო მხოლოდ მდინარის კალაპოტი, თითქმის ათი მილის სიგრძეზე რომ გაესწორებინებინა თავისი მონებისთვის, რათა წყალდიდობისას მინდვრები არ დაეტბორა, დარჩენილიყო აგრეთვე უშველებელი სახლის ჩონჩხი, რომელსაც ბარე ოცდაათ წელიწადს შლიდნენ და ეზიდებოდნენ მისი მრავალრიცხოვანი მემკვიდრენი; კაკლის ხის კიბე და მოაჯირი, მუხის პარკეტი, ორმოცდაათი წლის შემდეგ უთქმელი ფასი რომ დაედებოდა, სახლის კედლებიანად შემად მოეხმარათ ფრანგისხვევლებს. სახელიც კი დავიწყებოდათ ფრანგისა. მისი დიდება ქვეულიყო ფუჭ სიტყვად, უღრანის ხელთაგან გამოგლეჯილი და დაურევბული მიწის ლეგენდად, რამაც უკვდავყო მისი მივიწყებული სახელი, რომელსაც მის შემდეგ მოვლენილნი - კაჟიანი თოფებით, ძაღლებით, ბავშვებით, არყის სახდელი მოწყობილობითა და პროტესტანტული დავითნითურთ ჩარდახიან ფურგონებში ჩამსხდარნი, ჯორებზე ამხედრებულნი თუ ქვეითად მოსულნი - ხეირიანად ვერც წარმოთქვამდნენ, ვერც კი ამომარცვლავდნენ, და რომელიც ქვეყნიერებაზე აღარც ერთ სულიერს აღარ გაგახსენებდათ: მისი ნაოცნებარი, მისი სიქადული გაცამტვერებულიყო და მისივე ძვლების, კაცმა არ იცის, რომელ მხარეში დაფლული ძვლების, მტვერს შერეოდა. ოღონდ კიდევ ის იყო, რომ დაბეჯითებით იტყოდნენ - სადღაც, თავისი სახლის ახლომახლო, ვითომ ფული დარჩაო დამარხული, ვიკსბურგისკენ დამრული გრანტი აქაურობას რომ იკლებდა, იმ დროს მიწაში ჩაფლული განძიო.

მის ნამოსახლარზე დამკვიდრებული ხალხი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ტენესის მთების გადმოვლით იძვროდა და ამ გზაზე ყოველ ნაბიჯს ახალ-ახალი თაობის გაჩენით აღნიშნავდა. ატლანტის სანაპიროდან წამოსულიყვნენ ისინი, ხოლო მანამდე - ინგლისიდან თუ შოტლანდიისა და უელსის ნაპირებიდან, რასაც ზოგიერთი მათგანის გვარიც ადასტურებდა - ტერპინი, ჰეილი, უიტინგტონი, მაკკალემი და მარი, ლეონარდი და ლიტლჯონი, ან თუნდაც სხვა გვარები, რიდაპის, არმსტიდისა და დოშის მაგვარი, რომლებიც თავისთავად ვერ გაჩნდებოდა, რადგან საკუთარი ნებით, რაღა თქმა უნდა, არც ერთი ჭკუათმყოფელი არ შეირჩევდა ასეთ გვარს. თან არც მონები ხლებიათ და არც ფაიფის თუ ჩიპენდეილის ნახელავი კარადები მოჰყოლიათ. რაც კი რამე მოემევებოდათ, საკუთარი ზურგით შეეძლოთ მოეზიდათ (და მოზიდეს კიდევ) ყოველივე. თავ-თავიანთ ნაკვეთებზე დაესახლნენ, თითო ან ორორთვლიანი ქოხები ჩაიდგეს და შეუღებავი დატოვეს, ოჯახს მოეკიდნენ, შვილები მოამრავლეს, ძველ-ძველ ქოხებს ახალი და ახალი შეუღებავი ოთახები მიაშენეს და ასე იწყეს ცხოვრება. მათი ნაგრამიც ჭალაში ბამბას აშენებდა, გორაკებზე სიმინდს თესავდა, მოფარებულელებში სიმინდის ვისკის ხდიდა და ყლურწავდა, ხოლო ნაჭარბს ყიდდა. ჩამოვიდოდა ფედერალური მოხელე და უკან აღარ გაბრუნდებოდა. შემდეგში ზოგჯერ თვალს შეასწრებდნენ, რომ გამქრალი კაცის ზოგიერთი ნივთი - ნაბდის ქუდი, შავი მაუდის სერთუკი, ქალაქური ფეხსაცმელი და პისტოლეტიც - ვინმე ბაღლს, ბერიკაცს თუ დედაკაცს ჰქონდა მიჩემებული. ოლქის მოხელეები ხომ სულაც არ აწუხებდნენ აქაურებს, არჩევნების მოახლოებისას თუ ამოაკითხავდნენ ხოლმე იძულებით. თავიანთი ეკლესიები ჰქონდათ ამ ადამიანებს, თავიანთი სკოლები, ერთმანეთს უნათესავდებოდნენ, ერთმანეთს ღალატობდნენ და კლავდნენ ერთმანეთს, და თავიანთი თავის მსაჯულნიც და ჯალათნიც თავადვე გახლდნენ. პროტესტანტები იყვნენ, დემოკრატები, და სოკოებივით მრავლდებოდნენ. მიწისპატრონი ზანგი არსად ჭაჭანებდა იმ

არემარეზე, ხოლო უცხო ზანგები, რა რომ შედამდებოდა, ფრანგისხევს სათოფეზეც ვერ ეკარებოდნენ.

ბილ უორნერი, ფრანგის კარ-მიდამოს აწინდელი მფლობელი, ამ მხარეში უგამოჩენილესი კაცი იყო. ყველაზე მეტი მიწა მას ჰქონდა, ერთ ოლქში სკოლების ინსპექტორად იყო, მეორეში მომრიგებელ მოსამართლედ და ორივეში ერთად - არჩევნების საქმეთა რწმუნებულად, ასე რომ, თუ კანონებს არ უწესებდა, ყოველ შემთხვევაში, რჩევასა და შეგონებას ის აწვდიდა ფრანგისხეველებს, რომლებიც, ოდესმე რომ სმენოდათ, „საარჩევნო ოლქის“ თავად ცნებასაც კი გააბიაბრუებდნენ და რომლებიც ბილ უორნერთან იმის საკითხავად კი არ მიდიოდნენ - როგორ მოვიქცეო, არამედ - როგორ მიბრძანებდით მოქცეულიყავი, თუ რომ შეგძლებოდათ საქმე თქვენს ჭკუაზე გაგვეკეთებინებინათო? მიწათმფლობელი იყო ბილ უორნერი, მევახშე და ბეითალი. ჯეფერსონელმა მოსამართლემ ბენზოუმ ერთხელ ამგვარად მოიხსენია: ერთი შეხედვით ვითომ რბილი კაცი ჩანს, ოღონდ მაგაზე უკეთ ვერავინ შეძლებს ჯორს სისხლი გამოუშვას ან არჩევნებზე სხვების უმეტესი ხმა მოაგროვოსო. ლამის ყველა საუკეთესო მიწა ბილ უორნერის ხელში იყო და, რაც ჯერ კიდევ ხელში არ ჩავარდნოდა, იმ მიწების საგირავნო მაინც მას ჰქონდა. საკუთრივ სოფელში ბილ უორნერს დუქანი, ბამბის საწმენდი მანქანა, საცეხველიანი წისქვილი და სამჭედლო ეკუთვნოდა და, რბილად რომ ითქვას, მავანსა და მავან კაცს წინაუხედაობად ჩაუთვლიდნენ, თუკი ახლომახლო ან საქონელს შეიძენდა სადმე სხვა ადგილას, ან ბამბას გააწმენდინებდა, მარცვლეულს დაფქვავდა და ცხენსა და ჯორს დააჭედინებდა. ხმელ-ხმელი კაცი იყო, ჭოკივით გრძელი, ჭადარაგარეული წითური თმა და ულვაში ჰქონდა და ვიწრო, სასტიკი, მოკიაფე, მიამიტური ცისფერი თვალები. რაღაცით მოგაგონებდათ მეთოდისტთა საკვირაო სკოლის დირექტორს, რომელიც სამუშაო დღეებში რკინიგზაზე გამყოლობას ეწევა, ანდა პირუკუ, და რომელიც ფლობს ეკლესიას ანდა რკინიგზას, ან კიდევ ორივეს ერთად. ცბიერი კაცი იყო, გულჩახვეული, სიცოცხლის მოყვარული, იქნებ ჯერაც ამოურწყავი მამაკაცური ძალის პატრონი (თავის თანამეცხედრეს თექვსმეტი შვილი გაუკეთა, ოღონდ მხოლოდ ორნი ცხოვრობდნენ შინ, დანარჩენთაგან ვინ სად-სად დაფანტულიყო და ელ-პასოდან ალაბამამდე მრავლდებოდა თუ მიწას ებარებოდა), რასაც მოწმობდა მისი ჯაგარი თმა, რომელიც ამ სამოცი წლის კაცს ჭადარის მიუძალებლად ჰქონდა წითურად შენახული. უდებიც იყო და ენერგიულიც ერთსა და იმავე დროს; არაფერს არ აკეთებდა (ყველა საქმეს ვაჟიშვილი უძღვებოდა) და მთელი მისი დრო ამას უნდებოდა. დილდილაობით სახლიდან მანამდე გაქრებოდა ხოლმე, ვიდრე მისი ვაჟიშვილი სასაუზმოდ ჩასვლას მოასწრებდა, და მერე აღარავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი, ოღონდ ის კი იცოდნენ, რომ, შესაძლო იყო, თავის ბებერ, ნასუქალ, თეთრ ფაშატზე ამხედრებული, როდესაც გნებავთ და სადაც გნებავთ, გამოჩენილიყო ათი მილის არემარეზე. გარდა ამისა, თვეში ერთხელ მაინც, გაზაფხულობით, ზაფხულობით და ადრე შემოდგომით მისი დანახვა შეიძლებოდა ფრანგის ნასახლარზე - თავის ბებერ თეთრონს ღობეზე მიაბამდა და მჭედლის ნახელავ დასაკვეც სკამზე იცოდა ჩამოჯდომა გავერანებულ ეზოში. თამბაქოს ღეჭავდა ან ლერწმის ჩიბუხს აბოლებდა და გამვლელ-გამომვლელისთვის მუდამ ენაზე ადგა მოსწრებული სიტყვა. თავაზიანად ამეტყველდებოდა ხოლმე, ოღონდ საუბრის საღერღელს მაინცდამაინც არავის აუშლიდა. იჯდა თავისთვის გარდასული დიდების ამ ფონზე და ხალხს (იმათაც, ვისაც თავადვე დაენახა იქ ჩამომჯდარი, და

იმათაც, ვისაც სხვათაგან გაეგონა ეს ამბავი) აფიქრებინებდა - ზის თავისთვის და იმის საგონებელშია, როგორ გამოაცალოსო ხელიდან მავანსა და მავან მოვალეს საგირავნოს გამოსყიდვის უფლება; იმიტომ, რომ ნამდვილი მიზეზი მხოლოდ რეტლიფს გაანდო, საკერავი მანქანების გამსაღებელ აგენტს, რომელიც ბილ უორნერზე ორჯერ უმცროსი იყო ასაკით.

- მიყვარს აქ ჯდომა. ვცდილობ ხოლმე ჩემი თავი წარმოვიდგინო იმ რეგვენის ადგილას, ვინც ეს ლიხეტი მოაქუჩა, - არც კი შერხეულა, საიმისოდ არ გარჯილა, თავისი გადახრით მიენიშნებინა ნამტკრევი აგურების ხვაი და გზაწვრილების ლაბირინთი, მის ზურგს უკან კოლონადის ნანგრევებით დაგვირგვინებული, - მარტო იმისთვის, რომ შიგ საჭმელი ვჭამო და ლოგინი გავიშალოო. - და მერე დაუმატა ისე, რომ რეტლიფისთვის აღარც განუმარტავს, რას ფიქრობდა: - ერთი პირობა აზრად მქონდა - თავიდან მოვიცილებ, გავაწმენდინებ-მეთქი აქაურობას. მაგრამ, ღმერთო, ისე წახდა ხალხი, ფიცრის ნარჩენების მოსამევად კიბეზე ამრომაც აღარავის უნდა. ის ურჩევნიათ, ტყე-ტყე იწოწიალონ და ძირეული ხეები მოჭრან სახმელებლად, ეს უფრო ეიოლებათ, ვიდრე ის, რომ ხელი გაიწოდონ და მზამზარეული იშოვონ. მე მგონია, როგორც არის, ისე დავტოვო აქაურობა: ხშირ-ხშირად მომაგონოს, ერთხელ მაინც როგორ გადავცდი. ჩემს სიცოცხლეში ამის მეტად არაფერი მიყიდა ისეთი, მერე რომ ვერ გამესაღებინოს.

ბილ უორნერის ვაჟიშვილი ჯოდი ოცდაათს იყო მიტანებული. უკვე სიმსუქნეში შესულს ჩიყვის ნიშნებიც დასტყობოდა. ოჯახს არ იყო მოკიდებული და უცოლო კაცის იერი ისე ჰქონდა გამჯდარი, როგორცზოგიერთს წმინდანისიერი გაუჯდება ხოლმე. მალალი იყო, ოდნავ მუცელწამოზრდილი, ათ-თორმეტ წელიწადში ალბათ გვარიანი ღიპი დაედებოდა, ოღონდ ჯერჯერობით თავისუფალი და ასე თუ ისე ჭაბუკი კავალერი ეთქმოდა მაინც. ზამთარ-ზაფხულ, სადაგ დღეებშიც და კვირაობითაც, უსაყელო, გახამებული, ოქროს მძიმე საკინძით შებნეული პერანგი და გამძლე შავი მაუდის სამოსი ეცვა (თუმცა სიცხეში უსერთუკოდაც იოლად მიდიოდა). ამ სამოსს ჯეფერსონიდან მიღებისთანავე ჩაიცვამდა და დღენიდაგ, დარსა თუ ავდარში ატარებდა ხოლმე, ვიდრე რომელიმე მუშად ნაქირავებ ზანგს არ მიჰყიდა და ახლით არ შეიცვლიდა. ისე რომ, ზაფხულობით ლამის ყოველ კვირა სადამოს შეგეძლოთ დაგენახათ - უმაღვე გეცნოთ - ჯოდის რომელიმე გამონაცვალი ტანსაცმელი (ან ამ ტანსაცმლის ნაწილი). შეუცვლელ კომბინეზონთა შორის, იმ არემარეზე ყველანი რომ ატარებდნენ, ჯოდი მოჭირისუფლე კაცს არა, მაგრამ მოდღესასწაულეს კი ჰგავდა, და სულ იმის წყალობით, რომ ასეთი გულდაჯერებული ბერბიჭას იერი ჰქონდა: მისი დონდლო და ლოხი სხეულის წიაღ უკვდავი, მარადი საქორწილო მეჯვარე, მამაკაცური ბუნების უსრულესი განსახიერება ილანდებოდა, სწორედ ისევე, როგორც ყოფილი ფეხბურთელის შემუშებულ ნაკვეთებში ილანდება მარღვმაგარი და ჯანიანი სპორტსმენი. ერთ დროს თავგადადებული რომ დასდევდა ბურთს. თექვსმეტთაგან მეცხრე შვილი იყო ოჯახში ჯოდი. დუქანს უვლიდა, თუმცა დუქნის პატრონი კვლავინდებურად მამამისი იყო, უმთავრესად ვადაგადაცილებულ საგირავნოებს უტრიალებდა, ბამბის საწმენდ მანქანაზეც თვალი ეჭირა და თან განაგებდა მთელ იმ არემარეზე მიმოფანტულ ფერმებს, რომლებსაც აგერ ორმოცი წელიწადია ჯერ მამამისი ყიდულობდა, ბოლო ხანს კი ორივენი ერთად იძენდნენ.

ერთხელ ნაშუადღევს ჯოდი დუქანში იჯდა და ბამბის ახალ თოკს საჭაპნედ ჭრიდა. ზურგს უკან ბრახუნი შემოესმა, შებრუნდა და გაღებული კარის ჩარჩოში დაინახა ტანმორჩილი კაცი, რომელსაც ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა და ერთობ სრული სერთუკი ემოსა. უცნაურად უძრავი იყო კაცი, კიდურებით იატაკს ჩაზრდოდა თითქოს.

- თქვენ ხართ უორნერი? - მოუხეშავი ან განგებისად უხეში ხმით კი არა, უფრო ჭრიალა, თითქოს უხმარობით ჩაჟანგული ხმით იკითხა კაცმა.

- მე ერთი უორნერთაგანი ვარ, - გულლიად მიუგო ჯოდიმ თავისი რბილი და ძლიერი ხმით. - რით შემიძლია გემსახუროთ?

- მე სნოუპსი ვარ. თქვენზე მითხრეს - ფერმას აქირავებო.

- ბიჭოს! - თქვა უორნერმა და გაიჩოჩა, რათა მოსულის სახეს სარკმლის შუქი დასცემოდა. - ვინ გითხრათ ეგ ამბავი?

ის ფერმა ჯოდის და მამამისს ახალი ნაყიდი ჰქონდათ საჯარო ვაჭრობაზე, ჯერ ერთ კვირასაც არ გაეგო. მოსული კი სულ უცხო ჩანდა, ამნაირი გვარი არც გაეგონა ჯოდის.

უცხო კაცს არ უპასუხია. უორნერი ახლა ხედავდა მის სახეს - დაფანჩულ, შეჭადრაგებულ, ქუშად ჩამოწოლილ წარბებს ქვეშ გამომზირალ ამღვრეულ, ნაცრისფერ, ცივ თვალებს, მოკლედ შეჭრილს, ხშირსა და მატყლივით ხვეულ წვერს.

- წინათ სად გიფერმერიათ? - ჰკითხა უორნერმა.

- დასავლეთში.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად როდი ლაპარაკობდა ეს კაცი. ერთადერთი სიტყვა ისე მტკიცედ მოჭრა, თითქოს ცულით გამოეკვეთოს.

- ტეხასში?

- არა.

- გასაგებია. ესე იგი აქვე ყოფილხართ, ჩვენგან დასავლეთით. ოჯახში რამდენი ხართ?

- ექვსი სული. - ამის თქმაზე არ შებორძიკებულა, მაგრამ არც აძრახება უჩქარია. მაინც რაღაც დარჩა უთქმელი. უორნერმა ეს მანამდე იგრძნო, ვიდრე ჭრიალა ხმა მძიმე-მძიმედ დააზუსტებდა: - ბიჭი მყავს და ორი გოგო, ცოლი და ცოლისდა.

- ეს ხუთი გამოდის.

- მეექვსე მე თვითონ ვარ, - აღმოთქვა უსიცოცხლო ხმამ.

- შენ აღარ მიეთვლები, როცა ყანაში გამოსაყვან მუშახელზე ვართ მოსარიგებელი. აბა, როგორ დავთქვათ - ხუთი სული ან, იქნება, შვიდი?

- ექვსი სულის გამოყვანა შემიძლია.

უორნერსაც არ შეცვლია ხმა, ისევე გულღია იყო და აუზღვრეველი:

- არ ვიცი, ღირს თუ არა წლეულს მოიჯარის აყვანა. მისი აგერ კარზეა მომდგარი. მე თვითონაც გავართმევდი თავს, მედღეურებს ავიყვანდი და მისი ჯანი. ანდა, იქნება, ხელიც არ მეხლო წლეულს მაგ ნაკვეთისთვის.

- დღიურ ქირაზეც ვიმუშავებდი, - მიუგო კაცმა.

უორნერმა თვალი შეავლო.

- ჩქარა გინდათ დაბინავდეთ, არა?

იმას არ უპასუხია. უორნერმა არ იცოდა, უმზერდა თუ არა ეს კაცი.

- იჯარას რამდენს მომცემთ?

- თქვენი ფასი რა იქნება?

- მესამედი და ერთი მეოთხედი, - უთხრა უორნერმა. - ყოველგვარ საქონელს აქედან იხმართ, ჩემი დუქნიდან. ნაღზე არაფერს მოგცემთ.

- მესმის. საქონელი ექვსი დოლარის იქნება.

- სწორედ ეგრე, - გულღიად მიუგო უორნერმა. ახლა ისიც აღარ იცოდა, საერთოდ რაიმეს უმზერდა თუ არა ეს კაცი.

- კარგი, - უთხრა მოსულმა.

გალერეაში ხუთი-ექვსი კაცი დახვდათ ჩაცვუქული თუ პირდაპირ იატაკზე ფეხმოკეცილი, ჯაყვები და სათლელი ხის ნაჭრები ეჭირათ კომბინეზონით შემოსილებს. უორნერიიდა და თვალს აყოლებდა, როგორ მიკელანობდა მისი სტუმარი, როგორ ჩავიდა ძირს ისე, რომ არსაით გაუხედა, მერე გალერეასთან მიბმულ ფურგონებსა და უნაგირიან ცხენებში გამვალტყავებული, შეუკაზმავი, დაწეწილ თოკჩაბმული ჯორი ახსნა, კართანას მოაყენა, ჯახირით შეაჯდა და ისევ მიმოუხედავად გაუყვა გზას.

- ბაკუნით ისე მიაბაკუნებს, გეგონება, ერთი ორას გირვანქას მაინც იწონიდეს, - თქვა ერთმა ფეხმორთხმულთაგანმა. - ვინაა ეგ კაცი, ჯოდი?

უორნერმა პირი გაამწლაკუნა, ნერწყვი კბილებს შუა შეისრუტა და გზაზე გადააპურჭყა.

- ვილაც სნოუჰსია, - მიუგო მან.

- სნოუჰსიო? ხედავ შენ? - თქვა მეორემ. - ის ყოფილა ნამდვილად. - ახლა მარტო უორნერი კი არა, დანარჩენნიც შებრუნდნენ მოუბარისკენ.

ხმელ-ხმელ კაცს უმწიკვლო, ოღონდ გამოხუნებული, დაბეჭილი კომბინეზონი ეცვა, წვერიც ახალგაპარსული ჰქონდა თვინიერი, თითქმის ნადვლიანი სახის პატრონს. მართალია, გულდაგულ თუ დაუკვირდებოდით ამ სახეს, სავსებით განსხვავებული, დამოუკიდებელი ორი გამომეტყველება შეიძლებოდა გაგერჩიათ: ერთი - წამიერი, მშვიდი და უმფოთველი, ხოლო მის წიაღ მეორე - მიწყვი, აშკარად სულსწრაფი, თუმცა დახშულად შეურვებული. მოძრავი პირი ჰქონდა, ჭაბუკივით ქორფა და გამოკვეთილი. მაგრამ, თუ კარგად დააკვირდებოდით, ადვილად მიხვდებოდით, რომ ამ კაცს, ეტყობა, მოსაწევი არასოდეს გაეკარებინა და მეტი არაფერი. მკვეთრად გამოხატული ტიპი იყო იმგვარი მამაკაცებისა, რომლებიც ოჯახს ადრე ეკიდებიან, ამ ქვეყანაზე მხოლოდ და მხოლოდ ქალიშვილებს აჩენენ და თვითონაც უფროსი ქალიშვილის ხვედრს სჯერდებიან ნიადაგ საკუთარი ცოლის ხელში. გვარად იყო ტალი. - ის ყოფილა, თავისი ოჯახიანად აიკ მაკკაზლინთან რომ გამოიზამთრა ცარიელ ბედელში. ეგ იმ ამბავშიც იყო გახვეული, აი, ამ ორი წლის წინ გრენიეს ოლქში ვიღაც ჰარისს თავლა რომ გადაუწვეს.

- ჰმ, - თქვა უორნერმა. - ეს როგორო, თავლა გადაუწვაო?

- მე არ მითქვამს, მაგან გადაუწვა-მეთქი, - მიუგო ტალმა. - მე იმას მოგახსენებთ მხოლოდ, გახვეული იყო-მეთქი იმ საქმეში.

- მერედა მაგრად იყო გახვეული?

- ჰარისმა სამართალში მისცა.

- გასაგებია, - თქვა უორნერმა. - ერთი სიტყვით, ცილი დაუწამებია, სხვის მაგივრად გაუბამს მახეში. ალბათ მოუთაფლავს, ვინც საჭირო იყო.

- ვერაფერიც ვერ დაუმტკიცეს. იქნება ჰარისმა მერე კიდევ შეაგროვა დამამტკიცებელი საბუთები, მაგრამ უკვე გვიან იყო, მაგ სნოუპსი უკვალოდ დაიკარგა. მერე, შარშან სექტემბერს, მაკკაზლინს გამოეცხადა, ბამბის საკრეფად დღიურ სამუშაოზე დაუდგა ოჯახიანად. მაკკაზლინმაც აიღო და გამოსაზამთრებლად ძველ ბედელში შეუშვა. იმ წელიწადს ის ბედელი მოცდენილი ჰქონდა. ესაა და ეს, მეტი არაფერი ვიცი, ჭორებს კიდევ არ გამოვუდგები.

- არც მე გამოვუდგებოდი, - უთხრა უორნერმა. - ვინ გიჟი იქნება, ჭორიკანას სახელის დაგდება უნდოდეს. - იქ შეკრებილთ თავს ადგა სახეგაშლილი, გულკეთილი, გაცრეცილსა და სადა ტანსაცმელში გამოწყობილი. გახამებული, ოღონდ ხანმოთეული თეთრი პერანგი ემოსა, მუხლებთან ამობურცული, დიდი ხნის დაუუთოებელი შარვალი - საგულდაგულოდ და თან დაუდევრად იყო ჩაცმული. ხმამაღლა ჩაისუნთქა და მერე თქვა: - ასე-ე, თავლა გადაწვაო. ესეც ასე-ე.

სადამოთი, ვახშობისას ჯოდიმ მამამისს მოუთხრო ეს ამბავი. „ლიტლჯონის სასტუმროდ“ წოდებულ, ძელებისა და ფიცრებისგან შეკოწიწებულ უმწონ ნაგებობას თუ არ ჩავაგდებთ, ბილ უორნერს ჰქონდა ამ მიდამოში ერთადერთი ორსართულიანი სახლი. უორნერებს მზარეულიც ჰყავდათ, ერთადერთი შავკანიანი მსახური იყო ეს ქალი. უკვე დიდი ხანი იყო

იმათთან ცხოვრობდა, მაგრამ მისი უორნერი სულ იმას ამბობდა, - და, ეტყობა, სჯეროდა კიდევ თავისი ნათქვამისა, - ამ ქალს თვალყური თუ არ მიაღწევ, წყალსაც ვერ ანდობო გასაცხელებლად. ნაშუადღევს ამბავს მამამისს უყვებოდა ჯოდი. სასადილოდან სამზარეულოში მიდი-მოდოდა დედამისი - ფაშაშა, მკვირცხლი, გამრჯე დედაკაცი, რომელსაც თექვსმეტი შვილი გაეჩინა და ამათგან ხუთის სიკვდილს მოსწრებოდა უკვე და რომელიც ყოველწლიურ ბაზრობაზე ჯერაც პრიზებს ღებულობდა თავისი ნახელავი მწილეებისა და მურაბებისთვის. ხოლო ჯოდის და, წყნარი, ტანსრული ცამეტი წლის გოგო, უკვე მკერდწამობურცული, სათბურში მოყვანილი ყურძნის მარცვლისფერ დაბინდულ თვალთა, ხორციან, მუდამ სველ და მუდამ ოდნავ გადაპობილ ბაგეთა პატრონი, იქვე იჯდა, თავის ადგილას, თავისი დანთქმული, აფეთქებული ნორჩი სხეულის ბანგით გაბრუებული. იჯდა და ეტყობოდა, გაურჯელად ახერხებდა, სულაც არ მიეგდო ყური ჯოდის მონათხრობისთვის.

- უკვე მოაწერეთ ხელი კონტრაქტს? - ჰკითხა ბილ უორნერმა.

- არც კი ვაპირებდი, ვიდრე ვერნონ ტალი არ მომიყვა, რაც ამბავი დაუწევია იმ სნოუპსს. ახლა კი, მე მგონია, ხვალვე შევადგენ ხელშეკრულებას და ხელსაც მოვაწერინებ.

- მაშინ ახლავე შეურჩიე, - რომელ სახლს შეუნთოს ცეცხლი. თუ თვითონ გამოარჩიოს?

- კარგი, - უთხრა ჯოდიმ. - ახლავე მოვილაპარაკოთ ამ საკითხზე. - მისხმას უკვე აღარ დაჰკრავდა ფუქსავატური კილო, აღარც სიემშაკე დამსუბუქი ირონია შერჩენოდა, გეგონებოდათ, ქარქაშიდან დაშნა ამოუწვართავს და საბრძოლველად მომზადებულაო. - ახლა მხოლოდ ის მინდა, ერთი რიგიანად გამოვიძიო იმ თავლის ამბავი. მერე ერთია უკვე, იმან გადაწვა თუ სხვა ვინმემ. საქმე ისაა, მოსავლის აღების ხანს უცებ მიხვდეს, რომ მე ეგ მგონია ცეცხლის მიმცემი. დამიგდე ყური! ავიღოთ, მაგალითად, ასეთი შემთხვევა. - ზორზოხა ჯოდი მაგიდას გადააწვა და ერთიანად დაიძაბა. დედამისი სამზარეულოში გასულიყო და იქიდან ისმოდა, როგორ ენერგიულად უცაცხანებდა შავკანიან მზარეულ ქალს. და სულაც არ უსმენდა. - აგერაა მიწის ნაჭერი, რომლისგანაც, კაცმა რომ თქვას, პატრონი ამწლობით არაფერს გამოელოდა. ჰოდა, მოდის ვიღაც კაცი და იჯარით იღებს იმ მიწას, შენ კიდევ, მიწის პატრონმა, იცი, რომ, სადაც ამ კაცს უკანასკნელად იჯარით აუღია ნაკვეთი, იქ რაღაც თავლა გადამწვარა. სულერთია, მართლა ამ კაცმა მისცა თავლას ცეცხლი თუ არა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი გაიოლდებოდა, რომ გაგვეგო - ნამდვილად ამან გადაწვაო. მთავარი მაინც ისაა, თავლა მისხობას დაიწვა და ისეთი მაგარი სამხილები შეეძლოთ წაეყენებინათ, ამ კაცმა იქიდან გამორიდება ამჯობინა. ჰოდა, აი, მოდის ის კაცი და ჩვენგან იჯარით იღებს იმ მიწას, რომელზეც ამწლობით ხელი გვექონდა ჩაქნული. ჩვენც, როგორც რიგი და წესია, პატროსნად ვაძლევთ საქონელს ჩვენი დუქნიდან. მერე ის კაცი იღებს მოსავალს, პატრონი ყიდის და ფულს ჯიბეში იღებს, ხოლო როცა ის კაცი თავის წილს მოაკითხავს, პატრონი ეუბნება: „რაო, რა მითხრეს შენზე? რაღაცაო, თავლაო?..“ მეტი არაფერი. „რაო, რაღაც მითხრეს ამას წინათ, რაღაც ამბავი, შენზე და თავლაზე...“ - ორი წყვილი თვალი ერთიმეორეს

მიაცივდა - მღვრიე, ოდნავ გადმოკარკლული თვალები და ვიწრო, სასტიკი, ცისფერი თვალები. - რა უნდა თქვას ამაზე? რა ეთქმის, გარდა იმისა, რომ იკითხოს: „კეთილი. ახლა რას მიპირებთ, რა გადამიწყვიტეთ?“

- საქონელში იზარალებ, დუქნიდან რომ საქონელი უნდა ზიდოს, იმაში.

- მაგას არაფერი ეშველება. ბოლოს და ბოლოს, თუკი კაცი მოსავალს მუქთად მოგიწევს, შეიძლება საზრდო მაინც აძლიო, ვიდრე მუშაობას მორჩებოდეს... მოიცა, - თქვა უცბად ჯოდიმ. - დაწყევლოს ღმერთმა, ეგეც არ დაგვჭირდება, რომ იცოდე. ესაა რომ, როგორც კი მიწის შემოყრას მოათავებს, მეორე დღესვე ერთ იღლია ფუტურო ყავარს და ასანთს დაფუყრი კარის წინ და მაშინვე მიხვდება - ჩემი საქმე წასულია, მეტი რა ჯანია, უნდა ავიყარო და ხელახლა გზას გავუყვებო. ასე თუ ვქენი, ორი თვით ადრე აიზარება აქედან, დუქნიდანაც ნაკლებს წაიღებს, ჩვენ კიდევ ისლა დაგვრჩება გასაკეთებელი, დღიური მუშები ვიქირაოთ და მისი მოსავალი ავაღებინოთ. - მამა-შვილი ერთიმეორეს მისციებოდა თვალებით. შვილისთვის საქმე უკვე გაჩარხული იყო, ცხადად ხედავდა კიდევ შედეგს, თუმცა ახლა, როცა ამ საქმის გამო ლაპარაკობდა, მის გასრულებამდე ნახევარი წელიწადი მაინც იყო დარჩენილი. - სად წავივია, სად! კრინტსაც ვერ დაძრავს! ვერ გაბედავს!

- ჰმ, - თქვა ბილმა, გახსნილი ჟილეტის ჯიბიდან გაბოლილი ჩიბუხი ამოიღო და დატენას შეუდგა. - მაგნიარი ხალხისგან შორს ყოფნა სჯობს.

- კარგი, კარგი, - გაეპასუხა ჯოდი, ფაიფურის კოლოფიდან კბილის საჩიჩქნი ამოაძვრინა და სკამის საზურგეს გადააწვა. - ჯერ არავისთვის მიუციათ უფლება, თავლებს ცეცხლი გაუჩინეთო. ჰოდა, თუკი ვინმეს ცეცხლით თავის შექცევა უყვარს, ახია იმაზე, თავის თავს უნდა დააბრალოს.

არც ხვალინდელ და არც ზეგინდელ დღეს ჯოდი კონტრაქტის დასადებად არ წასულა. ოღონდ მაზეგის ნაშუადღევს თავისი სისვი ცხენი გალერეის სვეტზე მიება, დუქნის უკანა ოთახში მაგიდას მისჯდომოდა, მხრებში მოხრილიყო, შავი ქუდი კეფაზე გადაეგდო, ბალნიანი, მძიმე მარცხენა ქალაღზე დაედო, მეორეში კალმისტარი დაეჭირა და გაუწაფავი, გაკრული ხელით კონტრაქტს წერდა. ბოლოს ნაწერი გულდასმით გააშრო, დაკეცა, ჯიბეში ჩაიღო და ერთი საათის მერე, სოფლიდან უკვე ხუთ მიღზე, ფურგონი რომ შენიშნა, გზაზე ცხენი შეაყენა. ძველისძველ ფურგონს ნაზამთრალი ტალახი შერჩენოდა, შიგ წყვილი ცხენი ება, მფრთხალი, გარეულ თხასავით მოუსვენარი და მომცრო ტანისა. ფურგონის ბოლოზე რკინის ჯიხური გაემართათ და სახლივით მოეხატათ. ყოველ დახატულ სარკმელში დახატულსავე მანქანასთან სულელურად მოდიმარი, გამეშებული ქალის სახე ჩანდა. შეცბუნებული და ნირწამხდარი ჯოდი ფურგონის მფლობელს მისჩერებოდა. ის კი ტკბილად შეეკითხა:

- ახალი მოიჯარე აგიყვანიათ, ჯოდი, მართალია?

- დაწყევლოს ღმერთმა! - გაეპასუხა უორნერი. - დავიჯერო, მეორე თავლაც გადაეწვას? ერთხელ წაასწრეს და მაინც ხელახლა თავისი ქნა?

- ძნელი სათქმელია, - მიუგო ფურგონის პატრონმა. - მტკიცებით ვერაფრის მტკიცებას ვერ მოვყვები. არ ვიცი, მართლა გაუჩინა იქ რამეს ცეცხლი თუ

არა, იმას კი გეტყვით, რომ ორი თავლა დაიწვა და იმ კაცს რაღაცით უკავშირდება ეს საქმე. შეიძლება ითქვას, მაგ კაცს ცეცხლი ისე მისდევს კუდში, როგორც ძალი აედევნება ზოგიერთს. - ფურგონის მფლობელს სასიამოვნო, დინჯი ხმა ჰქონდა, ერთბაშად ვერც შეამჩნევდით, რომ გამჭრიახი კაცი უფრო იყო, ვიდრე გამკილავი. ეს გახლდათ რეტლიფი, საკერავი მანქანების გამსაღებელი აგენტი. ჯეფერსონში ცხოვრობდა და ოთხსავე მიმდგომ ოლქში დაატარებდა თავის მუხლმაგარ ცხენებზემზულ, უხეიროდ მოხატულ ჯიხურიან ფურგონს. ჯიხურში ნამდვილი საკერავი მანქანა ედგა. დღეს რომ აქ ნახავდნენ, ხვალ მისი შელახული, ტალახითმოსვრილი ფურგონი უკვე სხვა ოლქში გაჩნდებოდა. სადმე ჩრდილში იყო მიმდგარი. თავად ლურჯხალათიანი რეტლიფი - მოალერსე, გულდია, სახეგაშლილი - გზაჯვარედინზე, დუქნის ზღურბლთან ჩაიმუხლებდა მამაკაცებს შორის, ან კიდევ (ასევე ჩამუხლული, ასევე თითქოს უზრუნველად მომასლაათე, ნამდვილად კი, როგორც შემდგომში ირკვეოდა, ყოველივეს გულდასმით დამმახსოვრებელი) წყაროს პირას თუ ჭის სიახლოვეს შეკრებილ, თეთრეულგადაფენილ თოკებს, როფებსა და გაჭვარტლულ სარეცხის ბაკებთან მოფუსფუსე ქალებს შორის იყო; ხანაც სახლის წინ, გალერეაში დაწულ სკამზე მოიკალათებდა დარბაისლურად - თავაზიანი, ზნეკეთილი, გონებამახვილი და შეუცნობელი. წელიწადში სამიოდე საკერავ მანქანას ვაივავლახით ასაღებდა რეტლიფი, დანარჩენ დროს კი მიწით, საქონლით, ნახმარი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, მუსიკალური საკრავებითა და სხვა ამდაგვარებით ვაჭრობდა. სახლიდან სახლში გაზეთივით გადაჰქონდა ოთხსავე ოლქში შეკრებილი ახალი ამბები და ზუსტი მისამართით, თითქოს ფოსტა ყოფილიყოს, ისე წესიერად აწოდებდა ქორწილების თუ დასაფლავების ამბებსა და მწნილ-მურაბების რეცეპტებს. გარშემო, ორმოცდაათი მილის მანძილზე, ყველას სახელი ახსოვდა, ყოველ კაცს, ყოველ ჯორსა და ქოფაკს იცნობდა. - შეიძლება ითქვას, კუდში მოსდევდა ცეცხლი, როცა სნოუჰისი იმ სახლს მიადგა, დე სპეინმა რომ მიაქირავა. მთელი თავისი ბარგიბარხანით მიადგა. სწორედ ისევე, როგორც მანამდე მისდგომია სახლს, რომელშიც ჰარისთან ან სხვაგან სადმე კიდევ უცხოვრია. მიადგა და - „შემოდითო“, გეგონებოდა, ღუმელი, საწოლები და სკამები აგერ თვითონ გადმოხაზაკდებიან და შევლენო სახლში. გულს გარეთ უთხრა, „შემოდითო“, ოღონდ შინაურულად, იმიტომ, რომ შეჩვეულნი იყვნენ აქეთ-იქით ხეტიალს, დამხმარე კიდევ არავინ ჰყავდათ. ჰოდა, ები და ის უფროსი ვაჟი, ფლემი (კიდევ ერთი, უმცროსი ბიჭიც ჰყავდათ, მახსოვს, ვნახე მაშინ სადღაც. მაგრამ ამჯერად ის ბიჭი თან არ ხლებიათ, ან, ყოველ შემთხვევაში, ახლა აღარ ახლავთ. შესაძლოა, დაავიწყდათ გაეფრთხილებინათ და თავლიდან გამოვარდნა ვერ მოასწრო), სხედან თავისთვის კოფოზე, ორი ძონძროხა გოგო ფურგონში სკამებზე დაკოსებულა, ხოლო მისის სნოუჰისი და მისი ქვრივი და უკან არიან რაღაც ხარახურაზე მოკალათებული, და, ეტყობა, ყველას ფეხებზე ჰკიდია, გადმობარგდებიან თუ არ გადმობარგდებიან, თვითონაც და მათი ხარახურაც. ფურგონი სახლის წინ გაჩერებულა, ები ამ სახლს გაჰყურებს და ამბობს - საღორედაც არ გამოდგებაო.

უორნერი ცხენზე იჯდა და თავზარდაცემული მისჩერებოდა რეტლიფს.

- ასე და ამრიგად, - თქვა რეტლიფმა. - მერე, ჩემო ბატონო, მისის სნოუჰისი და მისი ქვრივი და ჩამოხაზაკდნენ და ფურგონის გაცლას შეუდგნენ.

ოღონდ ის ორი გოგო ადგილიდანაც არ დაძრულა. სხედან თავისთვის საკვირაო კაბებში გამოწვეპილები და რეზინს იღებებიან. მაგრამ ამ დროს ები შემოუტრიალდა და ერთი მაგრად შეუკურთხა, ისე რომ ქალიშვილები ფაცხაფუცხით გადაცვივდნენ ფურგონიდან ეზოში, სადაც მისის სნოუპსი და ქვრივი ღუმელს დაქიჩავებოდნენ. ებმა ერთიც დაუტატანა, თითქოს ძალიან ძვირად ღირებული, სახრის გადასაკრავად ვერგასამეტებელი უშობლები ყოფილიყვნენ, მერე კი ისა და ფლემი ისხდნენ და უყურებდნენ, როგორ გადმოიღო ამ ორმა ძონძროხამ ფურგონიდან ძველი ცოცხი და ფრანი და ისევ გაუნძრევლად დაეყუდა ორივე, ვიდრე ებმა ერთს, უფრო ახლოს მდგომს, სადავე არ გადაუჭირა უკანალზე. „მიდით, მიეხმარეთ დედათქვენს ღუმელის წალბაში. აბა, გაინძერით!“ – მიადევნა თან. მერე ისა და ფლემი ძირს ჩამოვიდნენ და დე სპეინისკენ გასწიეს.

- თავლისკენ? – შესძახა უორნერმა. – თქვენ გინდათ თქვათ, პირდაპირ იქითკენ წავიდნენო?

- არა, კაცო. ეგ მერე მოხდა. თავლის ამბავი მერე იყო. მაშინ იქნება არც იცოდნენ, სად იყო ის თავლა. თავლას თავისმა რიგმა მოუწია და პირწმინდადაც დაიფერფლა, კაცმა რომ თქვას სიმართლე. მაშინ ისინი სტუმრად მოვიდნენ და მეტი არაფერი, მეგობრულად მოვიდნენ, იმიტომ, რომ სნოუპსმა უკვე იცოდა, სადაც იყო მისი მიწა და ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ხვნას დაიწყებდა, მით უმეტეს, რომ მათის ნახევარს უკვე გაევილო. აი, როგორც ახლა, – მიამიტად დაუმატა რეტლიფმა. – თუმცა, ამბობენ, ები ყოველთვის გვიან-გვიან, უკანასკნელთაგანი დებსო კონტრაქტებს. – რეტლიფს არ გაუცინია. მისი ცბიერი, შავგვრემანი სახე ცბიერი, შეუცნობელი თვალბითურთ კვლავინდებურად მშვიდი იყო და ალერსიანი.

- ასეა, ხომ? – ბოღმამორეული ხმით უთხრა უორნერმა. – ეგ თუ მართლა ასე ირჯება, თქვენ რომ ბრძანებთ, შობამდეც არაფერი მექნება თავსატეხი. მერე? რას აკეთებს ხოლმე, ვიდრე ასანთს გაჰკრავდეს? იქნება ზოგიერთი რამე მაინც ვინიშნო დროულად.

- კეთილი, – თქვა რეტლიფმა. – ერთი სიტყვით, ისინი გზას გაუყვნენ, მისის სნოუპსი და ქვრივი ღუმელთან საქიჩმაჩებლად დარჩნენ, ის ორი გოგო კიდევ კვლავაც ადგილზე გაშეშებულიყო მავთულის სათაგურით და ღამის ჭურჭლით ხელში; მიატანეს მაიორ დე სპეინის კარ-მიდამოს და სახლისკენ გადაუხვიეს. ამ გზაზე ცხენის ახალი ჩონჩორიკი იყო გროვა-გროვად და იქაურ ზანგს უთქვამს – ებმა განზრახ ჩააბიჯაო შიგ შუაგულში. შესაძლოა, ის ზანგი სარკმლიდანაც უთვალთვალეზდა. ასე იყო თუ ისე, ებმა იმ გასვრილი ფეხებით კართან აიარა და მიუკაკუნა, ხოლო, როცა ზანგმა – „ფეხი გაიწმინდეო“, ებმა ხელის კვრით მოიშორა და შეაბიჯა. ზანგს უთქვამს მერე – პირდაპირ ასდოლარიან ნოხს შეახოცაო ფეხი, მერე დადგა დაგახმამევიარდა – „ჰეი, ჰეი, დე სპეინ, გამარჯობაო!“ ბოლოს გამობრძანებულა მისის დე სპეინი, ნოხისთვის და ებისთვისაც თვალი შეუვლია და ზრდილობიანად უთხოვია – აქაურობას მოშორდითო. მერე სადილობის ხანს თავად დე სპეინი დაბრუნებულა შინ და, მე ასე მგონია, მისის დე სპეინს გაუხელებია – ასე და ასე მოხდაო. იულიტომ, რომ სადამო ხანს დე სპეინმა ების სახლთან მიაგდო ცხენი, თან ჯორზე ამხედრებული ზანგი ახლდა და იმ ზანგს დაგრაგნილი ნოხი ჰქონდა მოკიდებული. ები

კარის წინ დახვდათ სკამზე ჩამოძვდარი და დე სპეინმა უღრიალა: „რა ეშმაკებს უზიხართ აქ, სახნავში რატომ არ გასულხართ?“ ამაზე ებმა უპასუხა - წამოდგომა არც უფიქრია, ისე - ხვალ მერჩინა დაწყება, პირველ დღეს სიფთაზე გასვლას შეჩვეული არ ვარო. როგორც ეტყობა, მისის დე სპეინს კარგად ჩაეკაკლა ქმრისთვის ყველაფერი, იმიტომ, რომ ესლა გადმოსძახა ცხენიდან ჩამოუხტომლად: „ჭირს წაუღია თქვენი თავი, სნოუჰუს, ჭირს წაუღია!“ ამაზე კი ებმა წამოუდგომლადვე მიუგო: „მე რომ თქვენი ვიყო და მაგ ნოხს მასე დაგვანკალეხდე, იქ არ გავაფენდი, სადაც ყოველმა შემომსვლელმა უეჭველად ზედ უნდა გაიაროსო“. - რეტლიფს არც ამჯერად გაუცინია. ფაქიზი, სუფთად წვერგაპარული იჯდა არხეინად თავის ფურგონში, უმწიკვლო, თუმცაღა გამოხუნებული ხალათი ეცვა, მშვიდად გამოჰყურებდა მოსაუბრეს თავისი ეშმაკი, ჭკვიანი თვალებით, ოდნავ სამასხრო კილოზე ლაპარაკობდა გულლიად, აუჩქარებლად, მალლიდან კი აჭარხლებული, გაგულისებული უორნერი დაჰყურებდა.

- ჰოდა, ჩემო ბატონო, ცოტა ხანს კიდევ იჯდა ები, მერე კი ღია კარს შეუყვირა და იქიდან ერთი იმ ძონძროხათაგანი რომ გამოვიდა, იმას უთხრა - წაიღე ეს ნოხი და გარეცხეო. მეორე დილას ზანგს კართანასთან დაგრაგნილი ნოხი დახვდა, კართანა ისევ დასვრილი იყო, თუმცა ამჯერად ტალახის მეტი არაფერი შეიმჩნეოდა. ოღონდ მისის დე სპეინს ის ნოხი რომ გაუშლია, დე სპეინისთვის გუშინდელზე უარესი დღე დაუყენებია (ზანგი ჰყვებოდა მერე - კაცი იფიქრებდი, საპნით კი არა, ფხვნილი აგურით გაუხეხიათო ნოხი), იმიტომ, რომ დე სპეინი საუზმის ჭამამდე, უზმოზე მიჭრილა ების სახლთან, სწორედ იმ დროს, როცა ებსა და ფლემს ჯორების შებმა დაეწყოთ მინდორში გასასვლელად, და სულ ცოფები უყრია ცხენიდან ჩამოუხტომლად. არა, მაინცდამაინც ები კი არ უგინებია სახელდებით, რაც კი ქვეყანაზე ნოხებია და ნაკელი, იმას მიმდგარა. ებს კიდევ ხმაც არ გაუცია, მოსართავების მოჭერით ყოფილა გართული. მერე დე სპეინს უთქვამს - ის ნოხი საფრანგეთში მაქვს ნაყიდი და ასი დოლარი მიზისო, მოსავალს რომ მოიწევ, იმ ხალიჩის გაფუჭებისთვის ორას ბუშელს გაზღვევინებო. ებს ჯერ კიდევ თესვაც არ დაეწყო. ამაზე გაყრილან და დე სპეინი შინისკენ წასულა. იქნება მერე და მერე კიდევ მიმხვდარიყო, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა. იქნება, მოესაზრებინა, სადავიდარაბოაო ეს ამბავი, მისის დე სპეინიც ბოლოს და ბოლოს მოეშვებოდა ჩიჩინს, ისე რომ მოსავლის მოწევის დროისთვის ალბათ კიდევ დაავიწყდებოდათ იმ ორასი ბუშელის ამბავი. ოღონდ ებისთვის ეს არ კმაროდა. ჰოდა, ჩემო ბატონო, ხვალინდელ სადამოს მაიორი თავის ეზოში რომ იყო წამოწოლილი, ფეხზე გახდილი ჰამაკში რომ ისვენებდა, შერიფი გამოეცხადა, რაღაც-რაღაცები იდუდლუნა, იწრიალა და ბოლოს მოახსენა - ებმა სასამართლოში გიჩივლათო...

- ფუი ეშმაკს! - ჩაილაპარაკა უორნერმა. - ფუი ეშმაკს!

- აბა-ა! - განაგრძო რეტლიფმა. - დე სპეინმაც მასე თქვა დაახლოებით, როცა ბოლოს და ბოლოს მოისაზრა, რაც ხდებოდა. მერე შაბათ დღეს დუქანს მოადგა ფურგონი, იქიდან ები გადმოვიდა და იმ ფეხზე კოჭლობით, რომელიც თავად პოლკოვნიკმა ჯონ სარტორისმა გაუხვრიტა ომის დროს, როცა ებს წაბლა ულაყის მოპარვა უნდოდა მისთვის, - ეს ბაკ მაკკაზლინმა გვიამბო, - პირდაპირ მაგიდასთან მიჩლახუნდა. მოსამართლემ უთხრა: „მე

განვიხილე თქვენი საჩივარი, მისტერ სნოუპს, მაგრამ კანონში სიტყვაც ვერ ვიპოვე, ნოხებს რომ შეეხებოდეს, ნაკელზე რომ აღარაფერი ვთქვა, მიუხედავად ამისა, მე მზად ვარ ანგარიში გავუწიო თქვენს საჩივარს, რადგან ორასი ბუშელი თქვენთვის მეტისმეტია, მაგდენს ვერ გადაიხდით, მოუცლელი კაცი ბრძანდებით და ორასი ბუშელი სიმინდის მოსაყვანად დრო არ გეყოფათ. ამიტომ დავადგინე, რომ ნოხის გაფუჭებისთვის ათი ბუშელი გაზღვევინონ”.

- მაშინ ადგა და გადაუწვა თავლა, არა? - თქვა უორნერმა. - ასე-ე.

- მაგას ვერ ვიტყვი, - შენიშნა რეტლიფმა. - მე მერჩინა ასე მეთქვა: სწორედ იმ ღამეს მაიორ დე სპეინის თავლას ცეცხლი გაუჩნდა და გადაიბუგა-მეთქი. ოღონდ ესაა, რომ სწორედ იმ დროს დე სპეინი რაღაც მანქანებით იქ აღმოჩნდა, ერთ ვინმეს გაუგონია, როგორ მიაჭინებდა თავის ჭაკ ცხენს გზაზე. მაინცდამაინც იმას არ ვამბობ, დროზე მიუსწრო, რომ ცეცხლი ჩაექრო-მეთქი, ოღონდ სწორედ იმ დროს კი მიატანა, რომ ვიღაც ისეთს გადასწყდომოდა, ვისაც მის თავლასთან წესით არაფერი ესაქმებოდა, ისე რომ ადგა და ესროლა, დაახალა ცხენიდან ჩამოუხტომლად იმ ვიღაცას თუ ვიღაცებს სამჯერ-ოთხჯერ, ვიდრე ის ერთი მის ცხვირწინ თხრილში არ გადაეშვა და ცხენდაცხენ მისი გამოდევნება შეუძლებელი არ შეიქნა, არადა ვერც იმას იტყოდა - ვიცანიო ვინც იყო. იმიტომ, რომ კოჭლობით შეიძლება ყოველი კაცი კოჭლობდეს და არც თეთრი ხალათის ტარება ეკრძალებათ ვინმეს. ჰოდა, ჩემო ბატონო, ების სახლთან რომ მიაგდო ცხენი (ეს ამბავი წუთში მომხდარა, იმ ერთ ვინმეს თავისი ყურით გაუგონია, როგორ გადარეულივით მიაჭინებდა თურმე), ები და ფლემი იქ არ აღმოჩენილან, საერთოდ არავინ დახვედრია, გარდა ოთხიოდე ქალისა, საწოლებს ქვეშ ან სადმე სხვაგან ძრომის და ძებნის დრო კიდევ დე სპეინს აღარ ჰქონდა, რადგან თავლის გვერდით კვიპაროსის სახურავიანი ბეღელი ედგა, ისე რომ უკანვე გამოაჭენა ცხენი. მისი ზანგები კასრებით წყალს ეზიდებოდნენ და ტომრებს ასველებდნენ, რათა ბეღლის სახურავი დაეფარათ, და პირველი, ვინც დე სპეინმა დაინახა, ფლემი იყო. თეთრი ხალათით მოსილს ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, სანახაობას უმზერდა და თამბაქოს ღეჭავდა. „სალამო მშვიდობისა, - უთხრა ფლემმა. - რა უცბად აბრიალებულა თივა“. ამხედრებულმა დე სპეინმა იღრიალა: „სადაა მამაშენი? სადაა ის...“ ამაზე ფლემმა: „თუ სადმე აქ არსადაა, ეტყობა, შინისკენ წასულა. წელან ცეცხლის დანახვაზე ორივენი ერთად გამოვედით“. კი იცოდა დე სპეინმა, საიდანაც და რისთვისაც გამოვიდა წელან მამა-შვილი, მაგრამ რა გინდა მერე - ხომ გითხარით, სადაც გნებავთ, იქ შეიძლება გადაეყაროთ ორ კაცს, რომელთაგან ერთი კოჭლობდეს და მეორეს თეთრი ხალათი ეცვას-მეთქი. და, გარდა ამისა, დე სპეინს პირველი გასროლისას მოეჩვენა, იმათგან ერთმა ცეცხლს ნავთიც შეასხაო. ჰოდა, ჩემო ბატონო, მეორე დილით დე სპეინი იჯდა და საუზმეს გეახლებოდათ და წარბები და თმა გვარიანად ჰქონდა შეტრუსული. ამ დროს შემოვიდა ზანგი და მოახსენა - ვიღაც კაცი გკითხულობთო. მივიდა კანტორაში და იქ ქუდდახურული, სერთუკში გამოწყობილი ები დახვდა; ფურგონიც დატვირთულ-გამზადებული იყო უკვე, ოღონდ ებს სახლიდან მოშორებით დაეყენებინა, რათა ვერავის დაენახა. „როგორც ეტყობა, ჩვენ ვერაფრის დიდებით ვერ მოვრიგდებით, - უთხრა ებმა. - მე მგონია, აჯობებს, ახლავე მოვეშვათ ამ საქმეს, ვიდრე რამე გაუგებრობა მოხდებოდეს. მე ამ დილასვე მივდივარ“. ამაზე დე სპეინი შეეკითხა: „კი, მაგრამ თქვენი კონტრაქტი?“ ებმა მიუგო: „კონტრაქტი დავარღვიეო“. იჯდა თურმე დე

სპეინი ერთ ადგილზე და იმეორებდა: „დაარღვია, დაარღვია“, - და მერე ასე უთქვამს: „მაგ კონტრაქტსაც დავარღვევდი, ასსაც და ათასსაც, და იმ თავლაში გადავუძახებდი, ოღონდ დანამდვილებით შემეტყო - თქვენ იყავით თუ არა, ტყვიები რომ დაგახალეთ წუხელის“. ებმა მიუგო: „რაკი ასეა, მიჩვილეთ სასამართლოში, იქ გაარკვევენ მაგ ამბავს. მე ისე ვატყობ, მომრიგებელი მოსამართლეები თქვენში მომჩივნის მხარეზე არიან ყოველთვის“.

- ფუი ეშმაკს! - ხელახლა ჩაილაპარაკა უორნერმა. - ფუი ეშმაკს!

- ჰოდა, გაბრუნდა და წავიდა ები, რომ არ ეხრება, იმ ფეხზე კოჭლობით წაჩლახუნდა...

- წავიდა და სახლიც გადაუწვა მოიჯარეს, ხომ? - წამოიყვირა უორნერმა.

- არა, კაცო. იქნება კიდევ შებრუნდა და, როგორც იტყვიან ხოლმე, სინანულით გახედა იმ სახლს განშორებისას. ოღონდ მეტი ხანძარი აღარ გაჩენილა. ესე იგი, იმხანად აღარ გაჩენილა. მე არ...

- ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ, როცა დე სპეინმა ტყვია დაახალა, სნოუჰისმა ნავთის ნარჩენი კიდევ შეასხაო ცეცხლში? ესე-ე. - უორნერი წამოწითლდა. - მერედა რაღა ეგ შევარჩიე კონტრაქტზე ხელის მომწერლად მთელ ოლქში? - ჯოდიმ გაიცინა, უფრო სწორად, კი არ გაიცინა, წაილაპარაკა: „ჰა, ჰა, ჰა“, - ოღონდ ეს იყო, მხოლოდ ხმით, მხოლოდ პირით იცინოდა, სახე და თვალები კი არ შეცვლია, ისევე ფიქრიანი ჰქონდა. - აბა, ძალიან მსიამოვნებს თქვენთან მუსაიფი, მაგრამ წასასვლელი ვარ. იქნება ჯერ კიდევ მოვახერხო და დავაჯერო. - შენ შენთვის, მე ჩემთვის-მეთქი, და რამე ძველ ფარდულს დამჯერდეს გადასაწვავად.

- ანდა უარეს შემთხვევაში ძველ თავლას, - მიადევნა რეტლიფმა.

ერთი საათის შემდეგ უორნერის ცხენი თავისი მხედრითურთ ხელახლა შეჩერდა, ამჯერად ჭიშკართან, უკეთ - ჩამოწოლილი და ჟანგმოდებული მავთულის ღობის რღვეულთან. თვით ჭიშკარი, უფრო სწორად, ის, რაც ჭიშკრისგან დარჩენილიყო, ანჯამებიდან ჩამოდებული, იქით მიეგდოთ და დაფუტუროებული თამასების ხვრელებში, როგორც მიტოვებული ჩონჩხის ნეკნებსა და ნეკნებს შუა, ბალახი იზრდებოდა. უორნერი მძიმედ სუნთქავდა, თუმცა ცხენი დაოთხილი არ უჭენებია აქეთკენ. პირიქით, რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო უჭერდა ცხენს სადავეს. ბოლოს გარღვეულ ღობესთან შეჩერებულს ოფლმა დაასხა, მძიმედ სუნთქავდა გადაფერდილი, უამინდობით დაწეწილი, ხანმოთეული სკის მინაგვარი ქოხის, მოტიტვლებული, უხეო და უბალახო ეზოს შემხედვარე და მისი გონება, ისე როგორც გაუმსკდარ ჭურვთან მიახლოებული კაცისა. გამალებით, დამაბულად მუშაობდა.

- ფუი ეშმაკს! - ჩუმი ხმით თქვა ხელახლა. - ფუი ეშმაკს! სამი დღეა უკვე, რაც აქ დასახლდა, და ჯერ ჭიშკარიც არ დაუკიდია. მე კიდევ ვერც გავბედავ რამე ვუთხრა ამის თაობაზე. იმასაც ვერ გავუბედავ, მივანიშნო - ღობე მორღვეულია და ზედ ჭიშკარია-მეთქი ჩამოსაკიდი. - გაშმაგებულმა

გამოჰკრა სადავეს. - ჰო, ჰო! - შეუყვია ცხენს. - რას მიაბჯინე ფეხი, ჰკუთ მეყოლე, აქ არსად ჩარჩე, თორემ შენც ცეცხლს შემოგინთებენ.

გზა (არც მოკენჭილი ყოფილა, არც მომანდაკებული, - უბრალოდ ფურგონის თვლებით დატოვებული ორი პარალელური, ძლივს გასარჩევი, ბალახითა და შამბნარით თითქმის გადაფარული კვალი ჩანდა და ეგ იყო) ამ ჩამკვდარი სახლის მორყეული, უსაფეხურო კართანასკენ მიუყვებოდა. და დაძაბული, სიმივით დაჭიმული და დადარაჯებული უორნერი ამ სახლს ისე უმზერდა, თითქოს ხაფანგს უახლოვდებო. ისე გულდაგულ იყო მიცეცებული, ვერავითარ წვრილმანს ვერ ამჩნევდა. უცებ უმინო სარკმელში რუხკეპიანი თავი დალანდა. ვერც კი იტყოდა ჯოდი, როდის გაჩნდა თავი იმ სარკმელში. კაცი იღეჭებოდა, მისი ყბა განუწყვეტლივ მოძრაობდა. თანაბრად მიდი-მოდიოდა აქეთ-იქით. „ეი, მანდი!“ - შეუძახა ჯოდიმ. თავი უმაღლ გაქრა. ჯოდის ხელახლა უნდოდა დაეძახა, მაგრამ შენიშნა, რომ სახლს უკან, ბაკისჭიშკართან, კაცი ჩალიჩობდა, და ჯოდიმ მაშინვე იცნო, თუმცა სერთუკი არ სცმია იმ კაცს. თავდაპირველად ჟანგმოდებული ოწინარის ჭრიალი შემოესმა, შემდეგ ორი ქალი აჯაჯღანდა ერთნაირი ხმით, ისე რომ სიტყვები არ გაირჩეოდა. ჯოდიმ სახლს შემოუარა და დაინახა ჭის გვიმი და სახრჩობელასავით აწოწილი ოწინარი. იქვე გაშემებულიყო ორი ზორბა ქალიშვილი, რომლებიც თავიანთი საკვირველი უძრაობით სკულპტურულ ჯგუფს მოაგონებდნენ ადამიანს (მათ უძრაობას ისიც ხაზს უსვამდა, რომ ორივენი ერთად ატარტალებდნენ ენას და ვიღაც ძალიან შორეულს მიმართავდნენ, ან, შესაძლოა, არც არავის მიმართავდნენ და თან ერთიმეორესაც არ უსმენდნენ); თუმცა ერთი მათგანი გადახრილიყო, ხელები გაეშვირა, თოკს ჩაფრენოდა და წყლით სავსე ვედროს ექაჩებოდა. სწორედ რეზუსიდან ამოჭრილ სურათს, ან კიდევ საშინელი ფიზიკური ძალისხმევის, დასაწყისშივე გაშემებულის, გამომხატველ რელიეფს ჰგავდნენ. მაგრამ ეს წუთით იყო ასე. შემდეგ ოწინარი ისევ აჭრიალდა და მყისვე ისევ გაჩერდა. ქალიშვილების ხმაც შეწყდა. როგორც კი მეორემ უორნერს ჰკიდა თვალი, ხოლო პირველი შემობრუნდა და ხელებჩამოშვებული გაშეშდა. და მერე, თითქოს ვინმეს ბრძანება გაეცეს, ორი ბრტყელი, უაზრო სახე ერთდროულად შებრუნდა და მზერა გაადევნა უორნერს.

ჯოდიმ გადაჭრა მოტყაული, ძველ მობინადრეთაგან დანაგვიანებული ეზო, სადაც ნაცარი, ნამტკრევეები და თუნუქის ქილები ეყარა უწყსრიგოდ. ღობესთან ორი ქალი მუშაობდა კიდევ. მათაც, მსგავსად უსერთუკო კაცისა, უკვე იცოდნენ ჯოდის მოსვლის ამბავი - ჯოდიმ დაინახა, როგორ გამოხედა ერთმა მათგანმა. მაგრამ კაცს („უ, შე გამოთაყვანებულო, დაგვაჯულო, შე კაცისმკვლელი!“ - უმწეოდ გაიფიქრა გულზე ცეცხლშემონთებულმა უორნერმა) თავი არ აუღია და ჭიშკართან ჩალიჩი არ შეუწყვეტია, ვიდრე უორნერი ზედ არ წაადგა. ახლა ორივე ქალი მას მოსჩერებოდა. ერთს გამოხუნებული ჩაჩი ეხურა თავზე, მეორეს - რაღაც უფორმო ქუდი, მანამდე, ალბათ, მამაკაცის ნაქონი. ამას ხელში ეჭირა დაჟანგული თუნუქი, რომელიც გაღუნული, ჟანგიანი ლურსმნებით იყო სანახევროდ სავსე.

- სალამო მშვიდობისა! - მიმართა უორნერმა და უცბად ვერც მოისაზრა, რომ თითქმის უყვიროდა. - სალამო მშვიდობისა, ქალბატონებო!

კაცი აუჩქარებლად შემობრუნდა და უორნერი კვლავ წააწყდა ცივ, შეუცნობელ, აქატისფერ თვალებს, შექმუხნილი წარბების ტეხილქვეშ გამომზირალს.

- გაგიმარჯოს, - უთხრა სნოუჰსმა.

- ვიფიქრე, გავუვლი ერთი, გავიგებ, რა გადაწყვიტეს-მეთქი, - ისევ ძალიან ხმამაღლა თქვა უორნერმა, თითქოს საკუთარი ხმა ვერ დაემორჩილებინა. „კარგი, კარგი, ამის დრო არაა ახლა“, - გაიფიქრა და მაშინვე შეიგინა გუნებაში, თითქოს გაახსენდა, რომ აქ ერთი წუთითაც არ იქნება უგულისყუროდ გაჩერება, თორემ ღმერთმა იცის, რით შეიძლება გათავდეს საქმე.

- დავრჩები ალბათ, - მიუგო სნოუჰსმა. - ისე, კაცმა რომ თქვას, ეს სახლი საღორედაც არ გამოდგება, მაგრამ გავართმევთ როგორმე თავს.

- ეგ როგორ? - უთხრა უორნერმა. არა, უყვირა, კი არ უთხრა, უკვე ერთი იყო მაინც; და უცბად გაჩუმდა. ყვირილს მოეშვა და საერთოდ გაჩუმდა, რადგან სათქმელი არაფერი ჰქონდა, თუმცა აზრად კი გაჰკრა: „დაწყევლოს ღმერთმა, აქედან დაიკარგეთ-მეთქი, - ვერ ვეუბნები, მეშინია, არადა რა ვუყო, სად წავიყვანო? თავლის გადაწვისთვისაც ვერ გავბედავ დაჭერინებას, მეშინია, ჩემსასაც ცეცხლს მისცემს“. ის იყო სნოუჰსი ისევ ღობისკენ უნდა შეტრიალებულიყო, რომ ბოლოს უორნერმა ხმა ამოიღო. ახლა სნოუჰსი უორნერისკენ გვერდულად იდგა და მოკრძალებით ან თუნდაც მოთმინებით კი არა, უბრალოდ მომლოდინე კაცის თვალით უმზერდა. - კარგი, - უთხრა უორნერმა. - სახლის თაობაზე კიდევ მოვისაუბრებთ და მშვენივრადაც მოვრიგდებით. ნახავთ აგერ. თუ რამე არ მოგეწონებათ, დუქანში მომაკითხეთ და გათავდა. თუმცა მოსვლაც არ დაგჭირდებათ: ერთი მაცნობეთ მხოლოდ და მაშინვე გავჩნდები. გამიგეთ? რაც კი არ მოგეწონებათ...

- მე ვისთანაც გინდა, იმასთან შემიძლია მორიგება, - უთხრა სნოუჰსმა. - მას აქეთია, რაც ფერმებს ვიღებ იჯარით, თხუთმეტს, იქნება ოც პატრონსაც მოვრიგებოვარ. თუ ვერ მოვურიგდი, მივდივარ ხოლმე. მეტი არაფერი გინდათ ჩემგან?

„არაფერი, - გაიფიქრა უორნერმა. - არაფერი არ მინდა“. უკან გამოემართა, გადმოჰკრა ის ეზო, ის ნაყარნუყართ მოფენილი სიცარიელე, მოტკეპნილი მიწა, სადაც ნაცარი, დანახშირებული მუგუზლები და შეჭვარტლული აგურები ეყარა და იმას მეტყველებდა, რომ წინათ აქ თეთრეულის გამოსახარშავი ბაკები იდგა ან დაკლული ღორები იფუფქებოდა. „ნეტავი არაფერი გამაჩნდეს, ცოტაოდენი რამ მეზადოს მხოლოდ, თავის სარჩენად რომ კმაროდეს, იმდენი“, - გაიფიქრა ჯოდიმ. ხელახლა შემოესმა ოწინარის ჭრიალი. ამჯერად უორნერმა რომ ჩაიარა, ჭრიალი არ შეწყვეტილა, ოღონდ ორი ბრტყელი სახე - ერთი გაშემებული, მეორე კი ოწინარის ჭრიალს მეტრონომივით ამყოლ-ჩამყოლი, - კვლავ აუჩქარებლად შემობრუნდა. უორნერი სახლს გამოსცდა და ისევ გამოვიდა ძლივს დაჩნეულ ნაკვალებზე, რომელიც მორღვეული ნაჭიშკრალისკენ მიდიოდა. და უორნერმა იცოდა, რომ მეორედ მოსვლისას ის ჭიშკარი ისევ ისე იქნებოდა ბალახზე დაგდებული.

კონტრაქტი ჯიბეში ედო ისევ. ის კონტრაქტი კმაყოფილების მშვიდი გრძნობით შეთხზა, ახლა კი ისე ეჩვენებოდა, იმ გრძნობას მე კი არა, ვიღაც სხვა კაცი განიცდიდაო. კონტრაქტი ხელმოუწერელი დარჩა. „შეიძლებოდა საგანგებო პუნქტი შემეტანა გადაწვის თაობაზე, - გაიფიქრა, მაგრამ ცხენი არც კი შეუყენებია, ისე განაგრძო: - კი, როგორ არა, შემეტანა და ახალ თავლაზე აბრასავით გამომეკიდა“. უკვე გვიან იყო და ჯოდიმ ცხენი ჩორთზე გადაიყვანა, რათა დაღმართებზე სულმოუთქმელი ცხენი სახლამდე ჭენებით მიეგდო. კარგადალი მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა გზისპირა ხესთან ის კაცი შენიშნა, სწოლუპსის სახლის სარკმელში რომ ჰქონდა თავი გამოყოფილი. ამწუთას გზის პირას არავინ ყოფილა, ახლა კი უცებ ის კაცი ამომართულა - იგივე მაუდის კეპი ახურავს და ისევე იღეჭება, თანაც ისე დამდგარა, თითქოს სულ შემთხვევით მოხვედრილიყოს ამ ადგილას (ოღონდ ამ ამბავს უორნერი მხოლოდ მოგვიანებით გაიხსენებს და დაუფიქრდება). კინაღამ გვერდზე ჩაუქროლა ჯოდიმ, მაგრამ მერე მოასწრო ცხენის შეჩერება. ახლა ჯოდის აღარ უყვირია, მისი გაშლილი სახე თავაზსა და ინტერესს გამოხატავდა.

- გამარჯობა, - მიმართა ჯოდიმ. - თქვენ ფლემი ხართ, ხომ? მე უორნერი ვარ.

- ჰო-ო? - თქვა იმან და გადააპურჭყა. ფართო, ბრტყელი სახე ჰქონდა და მღვრიე, ჭაობის წყლისფერი თვალები. ერთი შეხედვით კეთილი კაცი ჩანდა, ჰგავდა კიდევ უორნერს, ოღონდ ერთი თავით მასზე დაბალი იყო და ჭუჭყიანი თეთრი ხალათი და იაფფასიანი ნაცრისფერი შარვალი ემოსა.

- ლაპარაკი მინდოდა თქვენთან, - უთხრა უორნერმა. - მამათქვენსო, ასე მითხრეს, ერთი-ორჯერ უსიამოვნება შემთხვევია მიწის პატრონებთანო. ასეთი ამბები შეიძლებოდა სახეიროდ არც დამთავრებულყო მაგისტვის. - ის კაცი შეუჩერებლად იღეჭებოდა. - იქნება ძველი პატრონები უსამართლოდ ექცეოდნენ, ეგ არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე. მე ამას გეტყვით: ყოველნაირი შეცდომა შეიძლება ისე გამოასწოროს კაცმა, ხალხს მეგობრებად შეეძლება დარჩენა, თუ გინდა ვინმე უკმაყოფილოც იყოს. მართალს არ ვამბობ? - ის კაცი გულმოდგინედ იღეჭებოდა. სახე უძრავი ჰქონდა, ტაფაზე დატყეპებულ ცომს მიუგავდა. - ოღონდ ის არ უნდა ეგონოს, ჩემს უფლებებს მხოლოდ იმით დავიმტკიცებ, თუ ისეთ რაღაცასჩავიდენ, რისთვისაც სახვალიოდ აქედან გადაკარგვა დამჭირდებაო, - თქვა უორნერმა. - თორემ ის დღევ შეიძლება დაუდგეს, როცა გადასაკარგავი ადგილი აღარსად ექნება.

უორნერი დადუმდა. ამჯერად იმდენ ხანს იყო ჩუმად, იმან ბოლოს და ბოლოს ხმა ამოიღო, თუმცა უორნერი დარწმუნებული არ იყო - სწორედ ამის გამო ალაპარაკდაო ჩემი მოსაუბრე.

- ქვეყანა დიდია.

- რასაკვირველია, - გაეპასუხა უორნერი, ალერსიანი, უბოროტო, - ოღონდ აქეთ-იქით ხეტიალი არავის არგებს. მით უმეტეს, სულ უბრალო საქმის გამო. თავიდანვე რომ მოეკიდათ ასეთი საქმისთვის ხელი და მოეგვარებინათ, ხომ არაფრად ეღირებოდა. მოგვარებით კიდევ ხუთ წუთში მოგვარდებოდა,

ვინმე ისეთი რომ გამოჩენილიყო, ვინც იმ პირველს, ვთქვათ, იმ გულფიცხ კაცს, დააჯერებდა და აუხსნიდა – მოეშვი მაგ ამბავს, ნურსად ნუ მიდიხარო, ეტყოდა, ჩვენს პატრონს შენი დადანაშაულება გულშიაც არ გაუვლიაო, ოღონდ კაცურად მოელაპარაკე და მეტი არაფერი, მე ვიცი მაგის ამბავი, მე თვითონ შემპირდაო. – უორნერი დადუმდა. – კაცმა რომ თქვას, ის ბიჭი, ვისზეც ახლა ვამბობ, ვინც იმ პირველს გულს მოაბრუნებინებდა და ყველაფერს გააგებინებდა, ის ბიჭი მოგებული დარჩებოდა, თუკი პირველი გულფიცხი რამეს არ დააშავებდა და იქნებოდა თავისთვის ამასობაში.

უორნერი ისევ დადუმდა. ხოლო იმან ცოტა დაახანა და მერე იკითხა:

- რით დარჩებოდა მოგებული?
- ვთქვათ, კარგ ფერმას მიიღებდა, დუქანში ნისია ექნებოდა, მიწაც – რამდენსაც ისურვებდა, რის დამუშავებასაც შეძლებდა.
- მიწის ჩიჩქნა რა მოგებაა! ამ საქმეს თავი მინდა დავანებო.
- კარგი, – უთხრა უორნერმა. – ვთქვათ, იმ ბიჭს სხვა რამე საქმე ჩაედო გულში. საამისოდ დახმარება ხომ დასჭირდებოდა, ვიღაცას ფული ხომ უნდა გაეკეთებინა. მერედა სხვა რაა იმაზე უკეთესი...
- თქვენ დუქანი გაქვთ გახსნილი? – თქვა იმან.
- ...იმაზე უკეთესი, რომ... – გაიმეორა უორნერმა და გაჩუმდა. – რა-ა?
- იკითხა შემდეგ.
- თქვენი მითხრეს – დუქანი აქვსო გახსნილი.

უორნერი დააჩერდა. ახლა დამტკბარი აღარ ჰქონდა სახე, ოღონდ ძალზე მშვიდი და დაფიქრებული შექნოდა. გულჯიბეში ხელი ჩაიყო და სიგარა ამოიღო. თავად არც ეწეოდა და ვერც სმას ეწყობოდა: მისი ორგანიზმი იმდენად სრულქმნილი იყო ბუნებით, რომ, როგორც თვითონვე იტყოდა ალბათ, უკეთესი რაღა უნდა ენატრა. გარნა ორი-სამი სიგარა მუდამ თან დაჰქონდა მანც.

- სიგარა გინდათ? – შეეკითხა იმას.
- არ ვეწევი.
- ლეჭავთ მხოლოდ, ხომ?
- სანამ წვეს სულ არ გავადენ, მანამდე ვდექავ ხოლმე. ათი ცენტრი მიჯდება კვირაში. ასანთიც აღარ მჭირდება.
- მაღლი უფალს, – უთხრა უორნერმა. მერე სიგარას დახედა და ჩუმად დაუმატა: – ღმერთმა ქნას, არ დაგჭირვებოდეთ არც თქვენ და არც რომელიმე თქვენთანს. – სიგარა ისევ ჯიბეში ჩაიდო და ამოიქმუტუნა. – კარგი, – თქვა მერე, – შემოდგომაზე, მოსავალს რომ აიღებს, მაშინ. – ამ საუბრის დროს ერთხელაც ვერ იტყოდა დაბეჯითებით, როდის უმზერდა მას ფლემი და როდის არა, ოღონდ ახლა დაინახა, როგორ ასწია იმან ხელი და

როგორი უსაზომო სიფრთხილით მოაშორა სახელოს ვითომც ზედ შერჩენილი ერთი ციცქნა მტვერი. ამჯერად ამოიხვნეშა უორნერმა. - ჯანი გავარდეს, - უთხრა იმას. - იმ კვირას გავაკეთოთ. მანამდე შეგიძლიათ მაცალოთ? ოღონდ პირობა კი უნდა მომცეთ...

იმან გადააპურჭყა.

- რა პირობა? - იკითხა.

ორი მილი ექნებოდა გამოვლილი უორნერს, რომ ბინდი ჩამოწვა. ხეების შავ ღეროებს შორის მოთეთროდ კრთებოდა ლოცვად დამდგარი მონაზვნებივით ზეცისკენ ხელაპყრობილი შინდის ბუჩქები. პირველი ვარსკვლავი აციმციმდა. ბაგისკენ გაჩქარებული ცხენი ფეხმარდად მითოხარიკობდა ღამეულ სიგრილეში. ანაზდად უორნერმა სადავე მოქაჩა და შეაჩერა.

- ფუი ეშმაკს! - აღმოთქვა. - ადგილი ისეთი შეარჩია, რომ სახლიდან ვერავის მოეკრა თვალი, ხედავ შენ?

თავი მეორე

1

ფრანგისხევს მიახლოებულ რეტლიფს, საკერავი მანქანების გამსაღებელ აგენტს, საკერავი მანქანის ნაცვლად ჯიხურში ედო ნახმარი გრამოფონი და ფარცხის კბილების ახალთახალი, ფაბრიკაში შეფუთული და ჯერაც გაუხსნელი კომპლექტი. ის იყო მესერთან მთვლემარე ბებერი ფაშატი დალანდა, რომ იმავ წამს თვალი მოჰკრა ბილ უორნერსაც, რომელიც თავისი ხელით გამოკოპიტებულ სკამზე ჩამომჯდარიყო. მის ზურგს უკან, ბორცვზე მდებლო ბიბინებდა და ფრანგის გავერანებული ბაღი შეფენილიყო.

- სადამო მშვიდობისა, ბიძია ბილ, - თავაზიანი, მოკრძალებული ხმით მიესალმა რეტლიფი. - გავიგე, თქვენ და ჯოდის ახალი ნოქარი აგიყვანიათ.

უორნერმა ვიწრო, მსუსხავ თვალებს ზემოთ ჟღალი წარბები შეიკრა და ჩააშტერდა.

- უკვე დაუყრიათ ხმა, - მიუგო შემდეგ. - გუშინდელს აქეთ დიდი გზა გამოიარეთ?

- ასე, შვიდი-რვა მილი.

- ჰი! - თქვა უორნერმა. - ნოქარი ნამდვილად გვჭირდებოდა.

მართალს ამბობდა. მათ ესაჭიროებოდათ ისეთი კაცი, ვინც დილდილაობით დუქნის კარს გააღებდა ხოლმე, სადამოობით კი დაუკეტავდა - მხოლოდ

მოყიალე ძაღლებს, რადგან სიბნელე რომ ჩამოწვებოდა, მერე, მოყიალე ზანგების არ იყოს, მაწანწალებიც კი ვეღარ რჩებოდნენ ფრანგისხევში. ჯოდის დროდადრო მთელი დღითაც უხდებოდა დუქნის მიტოვება, ხოლო ბილი დახლს საერთოდ არც ეკარებოდა. მყიდველნი შედიოდნენ და, რაც სჭირდებოდათ, სხვისთვის თუ თავისთვის, თვითონვე მიჰქონდათ; ყოველგვარი საქონლის ფასი მათ ისევე ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ, როგორც თავად ჯოდიმ, ისე რომ საქონლის საფასურს გადაუმახებდნენ სიგარის კოლოფში, რომელიც მავთულის მრგვალი ბადურის ქვეშ იყო ამოღებული, გეგონებოდათ, ეს ყოველივე – სიგარის კოლოფიც, გაზინთული ქაღალდის ფულიც და გალეული მონეტებიც ხაფანგში ამოგდებული სატყუარააო.

- რას იზამ, სხვა რომ არაფერი, იატაკს მაინც გამოგვის ყოველდღე ის ბიჭი, - უთხრა რეტლიფმა. - ამნაირი პირობის ჩაწერას ყველა კი ვერ ახერხებს დაზღვევის პოლისში, როცა ხანძარზე ეზღვევიან.

- ჰი! - ხელახლა თქვა უორნერმა და ღეჭვა-ღეჭვით წამოდგა. პირიდან სველი თივის ბლუჯას მინაგვანი ნალექი თამბაქო გამოიღო, მოისროლა და ხელისგული შარვალს შეაწმინდა. მერე მიადგა მესერს, რომელშიც მჭედელს მისი მითითებით დაეტანებინა ეშმაკურად მოწყობილი გასასვლელი, სწორედ დღევანდელი ტურნიკეტის მსგავსად მოქმედი (არც მჭედელს და არც თვით უორნერს მსგავსი არაფერი ენახათ ოდესმე), ოღონდ აქ მონეტის ჩაგდება კი არ იყო საჭირო, ძეწკვიანი ჩეკი უნდა აგეწიათ.

- ჩემს ცხენზე გადმოჯექით, - უთხრა უორნერმა რეტლიფს, - ერთი თქვენი ფურგონით მომინდა გამოსეირნება.

- ეგ ცხენი შეგვიძლია ფურგონს გამოვაბათ და აქ ორნი ჩამოვსხდეთ, - გაეპასუხა რეტლიფი.

- არა, თქვენ ცხენით წამოდით, - უთხრა უორნერმა. - სულ არ მჭირდება ახლა ჩემ გვერდით თქვენი წამოკოსება. მე მგონი, ზოგჯერ ძალიან იცით ხოლმე გაჭკუისკოლოფება.

- თქვენი ნებაა, ბიძია ბილ, - მიუგო რეტლიფმა.

ბორბალი მუხრუჭით გაამაგრა, უორნერი რომ უფრო მარჯვედ ასულიყო ფურგონზე, თავად ცხენს მოაჯდა და დაიდრნენ. რეტლიფი ოდნავ ჩამორჩა, ისე რომ უორნერი მოუბრუნებლად, მხარზევით ესროდა სათქმელს.

- ის ჩვენი მეხანძრე...

- კი, მაგრამ, კაცმა რომ არ იცის! - რბილად თქვა რეტლიფმა. - სწორედ ესაა თავიდათავი. არჩევანზე რომ მიდგეს - კაცისმკვლეელი თუ კაცისკვლაში ეჭვიტანილიო, კაცისმკვლელს ამჯობინებდი, რასაკვირველია. ის მაინც გეცოდინებოდა, რა შეიძლება მოგელოდეს, და თვალს დაიჭერდი.

- კარგი, კარგი, - თქვა უორნერმა. - თუ ასე გინდათ, ცილისწამების მსხვერპლი ვუწოდოთ. ერთი სიტყვით, რა იცით იმ კაცისა?

- ბევრი არაფერი. ის ვიცი მხოლოდ, რაც ხალხისგან გამიგონია. მე თვითონ აგერ რვა წელი იქნება, აღარ მინახავს. მაშინ ფლემის გარდა კიდევ ერთი ბიჭი ჰყავდა, უმცროსი, ახლა ათი-თორმეტის იქნებოდა. ეტყობა, ამდენ წასვლა-წამოსვლაში მირჩათ სადღაც.

- იქნებ ამ რვა წელიწადში ბევრჯერ მოჰკარით ყური იმის ამბებს და ძველი მიქარვები მოიშალაო, იფიქრეთ?

- ეგეც კია, - მიუგო რეტლიფმა. სამი ცხენის ფლოქვებით აყენებული მტვერი ნიავს მიჰქონდა და გზისპირა თხრილებში ახლად აყვავებულ ირაგასა და აზინდას ბუჩქებს აფენდა. - რვა წელი გავიდა. მანამდე კიდევ ერთი თხუთმეტი წელიწადი იქნებოდა, აღარ შევხვედროდი. მე მისი სამოსახლოს გვერდით ვიზრდებოდი. თუმცა არა, მაგან იცხოვრა ერთ-ორ წელიწადს იქ, სადაც მე ვიზრდებოდი. მაგასაც და მამაჩემსაც ერთი ბერიკაცისგან - ენს ჰოლენდისგან ჰქონდათ იჯარით აღებული მიწა. ები მაშინ ცხენებით ვაჭრობდა. ჰოდა, მეც იქ ვიყავი, როცა ამ საქმეში ხელი მოეცარა და უბრალოდმოიჯარედ გადაიქცა. ბუნებით არაა მზაკვარი კაცი. ესაა, რომ გაბოროტდა.

- გაბოროტდა, - თქვა უორნერმა. მისი ხმა ახლა დამცინავად, თითქმის გამკილაავად ჟღერდა. - წუხელის ჯოდი გვიან დაბრუნდა. როგორც კი შევხედე, მაშინვე მივხვდი ყველაფერს. სწორედ იმას ჰგავდა, პატარა ბიჭობაში რამესრომ იცულლუტებდა და, რაკი იცოდა, სახვალიოდ მაინც შევიტყობდი მის ამბავს, აქეთ ჩქარობდა თვითონ მოეყოლა. ნოქარი ავიყვანეო, მითხრა. რად გინდოდა-მეთქი, რა, სემი ცუდად გიწმენდს-მეთქი კვირაობით ფეხსაცმელს? ადგა და აყვირდა: „უნდა ამეყვანა, უნდა ამეყვანა, უნდა, გაიგე!“ მერე დაწვა, ვახშამს არც მიკარებია. არ ვიცი, როგორ გამოიძინა, ყური არ მიგდია. ეს კია, ამ დილას ვითომ ცოტათი დაშოშმინებულს ჰგავდა. კი, კი, ძალიან დამშვიდდა. იქნება გამოგვადგეს კიდევო, მითხრა. უეჭველად-მეთქი, მაგრამ საამისოდ ხომ კანონიც არის-მეთქი. მერედა ვითომ არ შეიძლებოდა სულაც მიგვენგრია ის იმათი სახლი? შეშადაც შეგეძლო-მეთქი გაგეყიდა. თვალი არ მოუცილებია, ისე მიყურებდა, თურმე იმას უცდიდა - როდის მორჩებაო, ღამე ყველაფერი გაუსიგრძელებია. „ავილოთ, მაგალითად, მისნაირი კაციო, - მითხრა. - თავისნება კაცი, თავს რომ არავის დააჩაგვრინებს, თავისი უფლების და გამოსარჩენის დაცვა რომ იცისო. ჰოდა, ვთქვათ, მისი უფლება და მისი გამოსარჩენი ამავე დროს კიდევ ერთი კაცის უფლებაა და გამოსარჩენი, ვთქვათ, მისი მონაგები ამ მეორე კაცის მონაგებიცაა და ეს მეორე კაცი კიდევ მის სახლეულთაგანს ჯამაგირს აძლევს, ხოლო სახლეულნი მისი საქმის ინტერესს იცავენ. ახლა, ვთქვათ, ეს ისეთი საქმეა, რომ მოგება დროდადრო (შენ ეს ჩემზე ცუდად არ მოგეხსენებაო, მითხრა) ან, უკეთ რომ ვთქვათ, გამუდმებით მატულობს, იმას კიდევ ამ მოგებაში წილი არ უდევს, თუმცა ჯიბის გასქელება არც იმას აწყენდა, იმ თავისნება კაცს...“

- „სამიმ კაცსო“, - ასეც შეეძლო ეთქვა, - გააწყვეტინა რეტლიფმა.

- კი, შეეძლო, - გაეპასუხა უორნერი. - მერე?

პასუხის ნაცვლად რეტლიფმა თქვა:

- დუქანი ხომ ჯოდის სახელზე არ წერია, არა? - და თავის თავს თვითონვე უპასუხა, ვიდრე უორნერი პირის გაღებას მოასწრებდა: - ცხადია, არც იყო საკითხავი ეს ამბავი. მაგრამ ისე კი... ჯოდიმ რომ ფლემი ნოქრად აიყვანა... ვიდრე ჯოდის თავისთან ეყოლება, იქნება ებმა...

- ფეხებზე მკიდია, - თქვა უორნერმა. - თქვენ რაღას ფიქრობთ ამის თაობაზე?

- გინდათ გითხრათ, მართლა რას ვფიქრობ?

- აბა, რა ეშვებას გეკითხებით?

- მეც იმას ვფიქრობ, რასაც თქვენ, - მშვიდად უთხრა რეტლიფმა. - იმას ვფიქრობ, რომ ყველა ჩემი ნაცნობიდან მარტო ორ კაცს შეუძლია ეგ ხალხი ფეხებზე დაიკიდოს. ერთის გვარი უორნერია, ოღონდ იმ ერთს ჯოდი არ ჰქვია სახელად.

- მეორე ვინაა? - შეეკითხა უორნერი.

- ეს ჯერ კაცმა არ იცის, - ალერსიანად მიუგო რეტლიფმა.

2

უორნერის დუქნის, ბამბის საწმენდი მანქანის, საცხეველიანი წისქვილის, იჯარით გაცემული სამჭედლოს, სკოლის, ეკლესიისა და ოცდაათიოდე სახლის გარდა ფრანგისხევში იყო კიდევ საცხენე ბაკი თავლიანად, მის გვერდით კიდევ ჩრდილოვანი, ოღონდ უმწვანო ნაკვეთი, სადაც იდგა ვეებერთელა, უშნო, ალაგ ფიცრული და ალაგ ძელური, ალაგ დაშენებული, შეუღებავი შენობა, რომელსაც ეწოდებოდა „ლიტლჯონის სასტუმრო“; ხეზე აკრულ, წვიმით სანახევროდ გადარეცხილ აბრაზე ეწერა: „ნომრები სასმელ-საჭმელიანად“. აქ ათევენენ ღამეს და სადილ-ვახშამსაც აქვე ჰამდნენ წამსვლელ-მომსვლელი ვაჭრები თუ დალალები. გრძელი ვერანდის კედლის გასწვრივ სკამები იყო ჩარიგებული. იმ სადამოს რეტლიფმა ფურგონი და ცხენები თავლაში დააბინავა და ნავახშმევს ვერანდაზე მოკალათდა მეზობელი სახლებიდან გადმოსული ხუთი თუ ექვსი გლეხკაცის გვერდით. ეს ხალხი ისედაც ყოველ სადამოს აქ იყო, მაგრამ დღეს მზის ჩასვლამდე შეკრებილიყვნენ და უორნერის დუქნის ბნელ ფასადს გახედავდნენ დროდადრო. ასე იკრიბება ხოლმე ხალხი, რათა მდუმარედ უმზიროს ლინჩის კანონით გასამართლების შემდეგ დარჩენილ ნაცარს, ან კიდევ მისადგმელ კიბეს და ღიად დატოვებულ სარკმელს, რომლითაც ვიღაც გაქცეულა; რადგან დუქანში ხელფასზე თეთრკანიანი ნოქრის აყვანა იმ კაცის მიერ, ვინც ჯერაც ახერხებს ორ ფეხზე სიარულს და არც ჰკუიდან გადამცდარა, ყოველ შემთხვევაში, იმდენი ტვინი შერჩენია, მყიდველები გააბრიყვოს და არა საკუთარი თავი, - ისეთივე გაუგონარი ამბავი იყო, როგორც თეთრკანიანი მზარეული რომელიმე მათგანის სახლში.

- რა მოგახსენო, - თქვა ერთმა. - არ ვიცი, რა კაცია ის უორნერის აყვანილი ნოქარი, მაგრამ სისხლი სისხლია მაინც. ჰოდა, თუკი ისეთი შეჩვენებული სახლეულები დაგიდიან, რომ ყოველ წუთას შეუძლიათ თავლის გადაწვა...

- ეგ აგრეა, - გაეპასუხა რეტლიფი. - ოღონდ ბებერი ები არაა მზაკვარი კაცი. ესაა რომ გაბოროტდა ძალიან.

იყურეს. სკამებზე ისხდნენ ან ჩაცუცქულები იყვნენ და ერთიმეორეს ვედარ ხედავდნენ სიბნელეში. სულ ჩამოღამებულიყო, ჩრდილო-დასავლეთით შერჩენილი მიმქრალეებული მომწვანო ლაქადა მოგაგონებდათ ახლახან დაწურვილ მზეს. თხიწველიების ხმები გაისმა, გზისპირა ხეებს შორის ციციანათელები აკიაფდნენ.

- როგორ გაბოროტდა? - იკითხა ბოლოს ვიდაცამ.

- როგორ და ისე, ადგა და გაბოროტდა, - ალერსიანად მიუგო რეტლიფმა. - ჯერიყო და ის ომისდროინდელი ამბავი შეემთხვა. მაშინ არც ვინმეს უშავებდა რამეს ები, არც ის იყო, აქეთურებს ან იქითურებს მიხმარებოდა, თავის საქმეს მისდევდა - ვაჭრობდა, ცხენის ვაჭარი გახლდათ, ჩემო ბატონო, ჰოდა, არც ვაჭრობაა, მგონი, პოლიტიკასთან რითიმე დაკავშირებული და არც ცხენები. ამ დროს გამოტყვრა ვიდაც კაცი, საკუთარი ცხენებიც რომ არასოდეს ჰყოლია, ისეთი, და ფეხში ტყვია დაახალა. გაბოროტდებოდა, აბა, რა მოუვიდოდა! ამას მეორე ამბავი დაერთო, პოლკოვნიკ სარტორისის სიდედრის მისის როზა მილარდის ამბავი. ები წილში შეუდგა იმ ქალბატონს და მერე ორივენი ერთად ვაჭრობდნენ ცხენებით თუ ჯორებით, ვაჭრობდნენ კაცურად და ნამუსიანად, არც ჩრდილოელების წყენინება უფიქრიათ და არც სამხრეთელების, და ებს ცხენების და მოგების მეტი სხვა რამე საფიქრალი აღარც ჰქონდა, ვიდრე იმ ყმაწვილმა, თავის თავს მაიორ გრამბის რომ უწოდებდა, მისის მილარდი არ მიახალა, მერე პოლკოვნიკის ვაჟმა ბეიარდმა და ბიძია ბაკ მაკკაზლინმა ერთი ზანგის ბიჭი არ მოიშველიეს და ები არ გაქაჩეს ტყეში. ჰოდა, მერე რაღაც მოხდაო - ხეს თუ სხვა რაღაცა უბედურებას მიაკოჭეს და აღვირებით ან, იქნება, გავარვარებული ზუმბებითაც გვარიანად შეახურესო, თუმცა ეს ამბავი უფრო ჭორად ვიცი. ასე იყო თუ ისე, ამ ამბის მერე ებმა სარტორისებზე გული აიყარა. იმასაც მოგვარი ყური - კაი ხანს იმალებოდა ტყე-ტყე, ვიდრე პოლკოვნიკმა სარტორისმა თავისი რკინიგზის მშენებლობას არ მიჰყო ხელი და ებმაც გული საგულეს არ დაიგულაო. ჰოდა, ამ ამბავმა სულ გადარია კაცი. მაშინ ისღა დარჩენოდა, ისევ ალებ-მიცემობისთვის მოეკიდებინა ხელი. ოღონდ ამ დროს პეტ სტემპერს გადაეყარა და პეტმა ხელად დაუკარგა ამის ხალისი. მაშინ საბოლოოდ გააღაჯდა და ის იყო.

- ერთი სიტყვით, პეტ სტემპერს დაეტაკა და ამის მერე მაინც თავს უშველაო, ბრძანებთ? - იკითხა ვიდაცამ. პეტ სტემპერს ამ არემარეზე ყველანი იცნობდნენ. პეტ სტემპერი უკვე ლეგენდად იყო ქცეული, თუმცა ჯერ მიწას არ მიბარებოდა; მარტო ამ მხარეში კი არა, მთელ ჩრდილოეთ მისისიპისა და დასავლეთ ტენესიში ლეგენდად იყო ქცეული ეს ბრგე, ჩასხმული ვაჟკაცი, ღია ფერის ფართოფარფლიან ძვირფას ქუდს რომ ატარებდა და ცივი, ახალგამოპირული ნაჯახის პირივით მოლურჯო თვალები

რომ ჰქონდა. ფურგონში კარავი ედო, თვითონ ზედ იჯდა, მიმოდოდა და ცხენის საფასურად ცხენსვე იძლეოდა, როგორც კარტის მოთამაშე კარტს ჩამოდის ხოლმე მეორე კარტის გასაჭრელად ღირსეულ მოწინააღმდეგეზე გამარჯვების გულისთვისაც იმდენადვე, რამდენადაც თვით მოგების გულისთვის. დამხმარედ ერთი ზანგის ბიჭი ჰყავდა, მეჯინიბე, თავისი საქმის ნამდვილი არტისტი, ისეთივე, როგორიც, ვთქვათ, მოქანდაკვა თავისი საქმისა. ამ მიმოსივით თვალთმაქც ზანგის ბიჭს შეეძლო, რაც უნდა სულთმობრძავი და მისიკვდილებული პირუტყვი მიეზარებინათ, შეეყვანა ცარიელ ფარდულში, ან, სულერთია, სხვაგან სადმე, ოღონდ კი ოთხი კედელი ყოფილიყო, და მერე ისეთი გამოეგვარა, მის მშობელ დედას - ჭაკ ცხენსაც ვეღარ ეცნო, ძველ პატრონს კი არა. რადანაირი ურღვევი თანხმობით მოქმედებდნენ სტემპერი და ის ზანგი, თითქოს ორივეს ჰქონოდა ერთი ჰკუა, რომლის წინააღმდეგაც უბრალო მოკვდავნი ვერაფერს აწყობდნენ, რადგან ისიც შეეძლოთ, ცალ-ცალკე ემოქმედათ, სულ სხვადასხვა ადგილას, და ორი წყვილი მარჯვე ხელი მოეხმარათ.

- ბედმა გაუღიმა, - გაეპასუხა რეტლიფი. - არაფერი მოსწევია. თუ ვინმე ამოაგდო სტემპერმა, ეს მისის სნოუჰსია. თუმცა თვითონ მისის სნოუჰსი არასოდეს გამოტეხილა. მისის სნოუჰსი მაშინ მოტყუვდა, თვითონ რომ არ წავიდა ჯეფერსონს სეპარატორისთვის, თუმცა იმთავითვე იცოდა ალბათ, ადრე თუ გვიან მაინც მომიწევსო წასვლა. ებმა კი არ იყიდა პეტ სტემპერისგან ერთი ცხენი ორის საფასურად, უფრო მისის სნოუჰსმა. ები შუამავალი იყო მხოლოდ.

ისევ იყუჩეს. შემდეგ იმან, პირველად რომ ამოიღო ხმა, იკითხა:

- საიდან იცით ეგ ამბები? შეესწარით ყველაფერს ალბათ.

- შევესწარი, კი, - მიუგო რეტლიფმა. - სეპარატორის საყიდლად ერთად გავემგზავრეთ მე და ები. ჩვენ, ასე, ერთ მილზე ვცხოვრობდით იმათი სახლიდან. მამაჩემს და ებს იჯარით ჰქონდათ ალებული მიწა ენს ჰოლენდისგან და მე ებთან ერთად ხშირად ვტრიალებდი მათი თავლის სიახლოვეს. იმიტომ, რომ მეც იმასავით გადარეული ვიყავი ცხენების გულისთვის. ჰოდა, მაშინ ები ჯერ კიდევ არ ყოფილა ისე გაალქაჯებული. მაშინ პირველი ცოლი ჰყავდა, ჯეფერსონიდან ჩამოყვანილი ქალი, მაგრამ მერე ერთ მშვენიერ დღეს მისმა სიმამრმა ფურგონი მოაგრიალა, ქალი თავისი ავლადიდებინანად შიგ ჩაისვა და ებს გამოუცხადა - თუ ოდესმე კიდევ გადმოაბიჯებ უაიტლიფის ხიდს, ცოცხალი ვერ გამასწრებო. ცოლ-ქმარს შვილი არ ჰყოლია, მე ის იყო მერვე წელში ვიყავი გადამდგარი, მგონი ყოველ დილას მათი სახლისკენ გავრბოდი და მთელ დღეს ებთან ერთად ვატარებდი. ღობეზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე და მეზობლები იმის სანახავად მოდიოდნენ - როგორ ბედაურზე გაუცვლიათ ებს მავთულის გორგალი თუ მოხუც ენსის დამტვრეული გუთნები და ფარცხები. ებიც ყოველთვის ზომიერად მოხსნიდა პირს ტყუილების გუდას და მოუთხოვდა - ამდენი დაამდენი წლის ცხენია, ამდენი და ამდენი მივეციო. ცხენებისთვის ჰკუას კარგავდა, ოღონდ ისე ძალიან კი არა, როგორც მისის სნოუჰსმა აიჩმა იმ დღეს, როცა ბიზლი კემპისეული ცხენი მოვიყვანეთ და ბაკში შევაგდეთ, ჩვენ თვითონ კი შინისკენ გავემართეთ და ებმა ფეხზე გაიხადა, რათა სადილობამდე ცოტათი გაეგრილებინა, ხოლო მისის სნოუჰსი კარში

ჩამდგარიყო და ტაფას უღერებდა, ები კი ეუბნებოდა: „კარგი ახლა, ვინი, ხომ იცი, როგორ ვარ ცხენებისთვის გადარეული, სულ ტყუილად დამეტაკე. მაგას ის სჯობს, ღმერთს მაღლი შესწირო, რომ მისი წყალობით მარტო ცხენების ავ-კარგი კი არ გამეგება, ჭკუაც მეკითხება ცოტათი“.

იმიტომ, რომ, კაცმა რომ თქვას, ებს არც ჰყოლია ცხენი და არც გარიგებია ვინმეს. თუმცა არა, გარიგებით კი გაურიგდა და მერე როგორ გაურიგდა – სახნისი მისცა ცხენში ბიზლის და კიდევ ენსისეული ადამის ხნის უვარგისი სორგოს საფქვავე, ისე რომ ამ ფასად მისის სნოუპსსაც კი არ უნდა ძვირებოდა ისეთი საქონელი, რომელიც ბიზლის ბაკიდან მათ სახლამდე თავის ფეხით მიჩაქჩაქდებოდა. ოღონდ, როგორც ტაფამოდერებულმა მისის სნოუპსმა თვითონვე თქვა, ების გაღლეტა მაინც არავის შეეძლო, რადგან სულს იქით ისეთი არაფერი ებადა, თუნდაც ბეხრეკ ჯაგლაგზე მოეხერხებინა გადაცვლა. ეს იმიტომ კი არა, რომ ებმა დროულად მოიფიქრა და მოშორებით მიატოვა მინდორში გუთანნი, რათა მისის სნოუპსს სახლიდან თვალი ვერ მოეკრა, სახნისი და სორგოს საფქვავე კიდევ შემოსავლელ გზას გაუყენა ფურგონით, რათა მის მეუღლეს ამასობაში ჰგონებოდა – ყანაში მუშაობსო. ეტყობა, მისის სნოუპსმა უკვე იცოდა ის ამბავი, რაც ჩვენ არც დაგვსიზმრებოდა, – რომ ბიზლისთან მოხვედრამდე იმ ცხენმა ჯერ სტემპერის კლანჭებში გამოიარა, და ამ ცხენის ერთი მიკარება კმაროდა საიმისოდ, რომ ებსაც პეტ სტემპერისეული სენი შეჰყროდა. იქნებ მართალიც იყო მისის სნოუპსი. იქნებ ებს თავისთავი ჰოლენდის ფერმის ან მთელი მეოთხე უბნის პეტ სტემპერადაც მიაჩნდა, ოღონდ, რასაკვირველია, გულდაჯერებული კი იყო, რომ პეტ სტემპერი მის ღობეს არ მოადგებოდა და ამგვარი თავხედობისთვის პასუხს არ მოსთხოვდა. დარწმუნებული ვარ, მაშინ იმ თავის ვერანდაზე რომ იჯდა ფეხშიშველი, ხოლო სამზარეულოში ღორის ხორცი შიშინებდა და ჩვენ ველოდით – როდის გვაჭმევენ საქმელს, რომ ავდგეთ და ბაკის ღობეზე ჩამოვსხდეთ, რათა მერე ხალხი მოდგეს და უყუროს, ამგზობაზე რა ბედაური მოუყვანიაო ებ სნოუპსს, – დარწმუნებული ვარ, იქ რომ ვისხედით და, შეიძლება ითქვას, არც ვირხეოდით, ოღონდ ჩრდილისკენ კი ვიჩოჩებდით, მზე რომ დაგვაცხუნებდა, ხოლო ის თავლაფდასხმული გუთანნი ხნულში იდგა მოშორებით, მისის სნოუპსი კი უკანა სარკმლიდან ებს გამოხედავდა ხოლმე და თავისთვის ბუზღუნებდა: „ესეც ჩარჩი გამომივიდა, რა, დამჯდარა და ტრაბახობს, უბირ ხალხს ასულელებს, ბამბა და სიმინდი კიდევ ბალახმა ისე შეჭამა, მემინია ყანაში სადილი წავუღო – გველმა არ მიკბინოს-მეთქი“, – დარწმუნებული ვარ, ები გასცქეროდა ფოსტის ყუთზე თუ ბერიკაც ენსის მავთულის გორგალზე ან ერთ ტომარა სიმინდზე გადაცვლილ იმ თავის მერანს და ფიქრობდა – ღმერთმა ხომ იცის, ჩემი ცხენი კი არაა მარტო, უმშვენიერესია იმ ცხენთაგან, რომლებიც კი ხელში ჩამვარდნიაო.

ეტყობა, ასე ინება განგებამ. თითქოს თავად მაღალ ღმერთს გადაეწყვიტოს მისის სნოუპსის სეპარატორისთვის გადანახული ფულით ცხენის ყიდვა. და პირდაპირ უნდა ითქვას, ებს რომ არჩევდა საამისოდ, უფალი სწორედ ისეთ კაცს გადაეყარა, ვისი ოცნებაც იყო ამ საქმის ღვთისად გარიგება. იმ დილით, სეპარატორის საყიდლად რომ მივდიოდით, ებს არც უფიქრია ბიზლისეული ცხენის შებმა, რადგან იცოდა, ის ცხენი ჯეფერსონამდე ოცდარვა მილს და აქეთობისას კიდევ ერთ ამდენს ერთ დღეში ვერაფრის დიდებით ვერ გაივლიდა. ებს უნდოდა მოხუც ენსთან გადასულიყო და ჯორი

გამორთმია, რათა საკუთარს გვერდით შეემა ფურგონში. ასეც იზამდა, მისის სნოუჰსი რომ არ ატრუებულობო. მაგრამ მისის სნოუჰსი სულ იმის ქირქილში იყო, ეს რა გაახერხაო ჩემმა ქმარმა, ეს რა სამკაული იშოვა, ეზო-გარემოს დამამშვენიებელიო; ქალაქამდე რომ ჩააღწევინა როგორმე ამ ჯაგლაგს, იქნება ფასიანი თავლის პატრონისთვის შეგვეტყუებინა, აზრის მაგივრობას გააწვეინებდნენ, ჭიშკართან დააყენებდნენო. ისე რომ, შეიძლება ითქვას, მისის სნოუჰსმა თვითონვე ატეხა ები და ბიზლისეული ცხენის ქალაქს წაყვანა აფიქრებინა. ჰოდა, ჩემო ბატონო, მივედი იმათსას იმ დილას და ჯორთან ერთად ბიზლისეული ცხენიც შევაბით ოთხთვალაში. მანამდე კიდევ ორ-სამ დღეს საჭმელი მოვუმატეთ, ლამის ძალისძალად ვატენიდიოთ პირში, სამგზავროდ ვამზადებდით. ასე რომ, შესახედად ცოტათი უკეთესი შეიქნა, ვიდრე პირველი მოყვანისას იყო. თუმცა მტერს არც ახლა დაუყენებდა თვალს. ებმა დაასკვნა - ჯორის ბრალიაო ეს ამბავი; ცალ-ცალკე მართლა უკეთ გამოიყურებოდნენ ორივენი, მაგრამ არც ერთი ოთხფეხი არსების გვერდით იმ ცხენის ამოყენება არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა, ეს აფუჭებდა მთელ საქმეს, „კარგი იქნებოდა, ოთხთვალას ქვეშ რომ მოგვეხერხებინა ჯორის შებმა, ისე რომ გაწევით ჯორს გაეწია, ოღონდ გარეთ არ გამოეჩინა თავი და შესახედად მარტო ცხენი დარჩენილიყო“, - მითხრა ებმა. მაშინ ჯერაც არ იყო გააღქაჯებული. ერთი სიტყვით, რაც გაგვეწყობოდა, ყველაფერი გავაკეთეთ. ებს ისიც უნდოდა, საკვებში მარილი გაერია ბლომად, რათა მერე რაც შეიძლება მეტი წყალი ეხვრიპა ჩვენს ჯაგლაგს, ნეკნები მაინც აღარ გამოეჩინებოდა ისე ძალიან. მაგრამ მაშინ ჯეფერსონამდისაც ვეღარ ჩავიყვანდით, უკან დაბრუნების რომ აღარაფერი ვთქვათ; თანაც მაშინ ყოველ წყაროსთან და ჭასთან ფეხს მიაბჯენდა და ისევ წყლის სმას მოჰყვებოდა. მოკლედ, ყოველივე ისე მოვაწყვეთ, უკეთესს ვერცვინატრებდით. უფრო სწორად, ვიმედოვნებდით - ნამდვილად ასე აჯობებსო. ები შინ შევიდა და, რომ გამობრუნდა, უკვე სერთუკი ეცვა (სწორედ ის სერთუკი, ახლაც რომ ატარებს. ოდესღაც ის სერთუკი პოლკოვნიკ სარტორისის იყო, მისის როზა მილარდმა უფეშქაშა ებს ამ ოცდაათი წლის წინ), მისის სნოუჰსის მიერ ოთხ წელიწადს ნაგროვები ის ოცდაოთხი დოლარი და სამოცდარვა ცენტი ჩვარში გამოკრა და დავიძარიო.

აღებმიცემობის არაფერი გვიფიქრია, ოღონდ ცხენის ამბავი, რასაკვირველია, გვაფიქრებდა, რადგან ვშიშობდით - ბიზლისეული ბედაური ოთხთვალაზე დასადები არ შეგვექნეს, ჯორის გვერდით ებს არ დასჭირდეს შებმა და სადამოს ამნაირად შინ დაბრუნება არ მოგვიხდესო. ერთი სიტყვით, ებმა ოთხთვალა ჭიშკარს გამოაცილა და ისე ფრთხილად, ისე სათუთად მიუშვა ის ცხენი და ჯორი გზაზე, როგორადაც ქვეყნიერებაზე ჯერ არავინ მოპყრობია ცხენსა და ჯორს. ყოველ ბორცვს, ყოველ ბექობს ჩამოვხტებოდით და ქვეითად მივუყვებოდით, ჯეფერსონამდე ასე ვაპირებდით ჩასვლას. კარგი დარი იდგა, ცხელოდა, შუა ივლისი იყო. უაიტლიფის დუქნამდე ერთი მილი იქნებოდა დარჩენილი, და ამასობაში ჩვენს ცხენს ხელნაზე ჩამოკიდებული უფრო ეთქმოდა, ვიდრე მოსიარულე. მის ყოველ წაბორძიკებაზე ებს სახე უფრო და უფრო ექუშებოდა. უცებ დავინახეთ - ჩვენი ცხენი სულერთიანად გაქაფულიყო, თავი უკან გადაეგდო და საკისრულს ეპორწიალებოდა. საკისრულს პირველად ეხებოდა მას შემდეგ, რაც მთელი სიმძიმე ჯორს დააწვა. ებმა შოლტი მოუქნია, ბორცვიდან ჩავგრიალდით და უაიტლიფის დუქანს მივადექით. იმ ჩვენს ცხენს თვალები გადაეტრიალებინა, საკემსავ ძვლის სოკოსავით გადათეთრებოდა. ფაფარი და

კუდი ტალღებად ექორებოდა. მიწა გამისკდეს, თუ მთლად გაქაფული არ ყოფილიყოს, კარგად ნაჭენები ჯიშინი ცხენივით, თითქოს ნეკნებიც აღარ ჰქონდა იმ ზომაზე გამოჩრილი. და მაშინ ებმა, რომელსაც თავდაპირველად შემოსასვლელი გზით უნდოდა წასვლა, რათა დუქნის გვერდით არ ჩაგვევლო, ოთხთვალა შეაჩერა და კოფოზე ისე მოკალათებულმა, თითქოს თავის ღობეზე ყოფილიყოს ჩამომჯდარი, სადაც ვერც ერთი პეტ სტემპერი ვერაფერს დააკლებდა, ჰიუ მიჩელსა და გალერეაში თავშეყრილ სხვა ბიჭებს მოუთხრო - კენტუკიდანაა ჩამოყვანილიო ჩემი ცხენი. ჰიუ მიჩელს არც გაღიმებია. რაღა თქმა უნდაო, გვითხრა, მეც ვუყურებდი და ვერაფრით მივმხვდარიყავი - რა მოსვლია-მეთქი. ახლა გასაგებია, ამდენი დროა გასული. კენტუკიდან აქამდე პატარა გზა კი არაა. ხუთი წელი იქნება, რაც ჰერმან შორტმა ჯორშებმულ ეტლში გაუცვალა ეს ცხენი პეტ სტემპერს, შარშან ზაფხულში კიდევ ბიზლი კემპმა რვა დოლარი მისცა ჰერმანს. შენ რაღა მიეცი ბიზლის, ორმოცდაათი ცენტიო?

მთელი საქმეც ეს იყო. აბა, ისე ებს ცხენი ძალიან ძვირი კი არ დასჯდომია - სახნისი მისცა, მორჩა და გათავდა. იმიტომ რომ, ჯერ ერთი, სორგოს საფქვაკვი არაფრად ვარგოდა, მერე კიდევ სხვისი იყო ის საფქვაკვი, ების ხომ არ ყოფილა! არც ის ითქმის, რომ ჰერმანის ჯორშებმული ეტლი ენანებოდაო ვინმეს. საქმე ის რვა დოლარი იყო, რომელიც ბიზლიმ ნაღდ ფულად მიუთვალა, თუმცა ები იმ რვა დოლარისთვის ჰერმანს არ ემდუროდა. ჰერმანმა ხომ თავისი ჯორშებმული ეტლი დათმო, არა? თანაც ის რვა დოლარი ჩვენსავე მხარეში ჩარჩა და, მაშასადამე, არც ისე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ ჩაიჩხრიალებდა - ჰერმანი თუ ბიზლი. მთავარი ის იყო, რომ ვიღაც გადამთიელი პეტ სტემპერი მოეხეტა, ყველაფერი აურ-დაურია და იოკნაპატოფელთა ნაღდი ფულები მიფანტ-მოფანტა. კაცი ცხენში ცხენს რომ უცვლის ვინმეს, ეს ერთი ამბავია, და ჯანდაბამდის გზა ჰქონია. მაგრამ როცა ნაღდი დოლარები გადადის ხელიდან ხელში, ეს უკვე სულ სხვაა. ჰოდა, გადამთიელი რომ მოეხეტება და ჯიბიდან ჯიბეში დაიწყებს ფულების გადაქაჩვა-გადმოქაჩვას, ეს იგივეა, მძარცველი შეიჭრას შენს საკუთარ სახლში, რაც ხელში მოხვდება, მიყარ-მოყაროს, ოღონდ თან არაფერი წაიღოს. ორჯერ უფრო საწყენია! ერთი სიტყვით, მარტო ის კი არ იყო საჭირო, ბიზლისეული ცხენი ისევ პეტ სტემპერისთვის შეგვეჩქებინა, ბიზლი კემპის რვა დოლარიც უნდა წაგვეგლიჯა პეტისთვის როგორმე. აი, ამას ვგულისხმობდი, როცა ვთქვი - თავად ბედისწერამ აიძულა-მეთქი პეტ სტემპერი ჯეფერსონის სიახლოვეს ჩამომხდარიყო, სწორედ იმ გზის პირას, ჩვენ რომ უნდა გაგვევლო მისის სნოუპსის სეპარატორის საყიდლად გამგზავრებულებს; დიახ, ჩემო ბატონო, სწორედ გზის პირას მოწყობილიყო თავის კუდიან ზანგთან ერთად მაინცდამაინც იმ დღეს, როცა ები ქალაქს მიემგზავრებოდა, ჯიბეში ოცდაოთხი დოლარი და სამოცდარვა ცენტი ეგულეობდა და მხოლოდ და მხოლოდ მას შეეძლო იოკნაპატოფური აღებმცემობის მეცნიერებისა და ხელოვნების შელანძლული პატივი აღედგინა.

აღარ მახსოვს, სად შევიტყვეთ და როდის შევიტყვეთ - პეტი ჯეფერსონშიაო. შესაძლოა, უაიტლიფის დუქანში გვითხრეს ეს ამბავი. მაგრამ, შესაძლოა, ამგვარ ვითარებაში მხოლოდ ბუნებრივი და სამართლიანი კი არ იყო, რომ ები სტემპერს გადაჰყროდა ჯეფერსონისკენ მიმავალ გზაზე - იქნება ნამდვილი ბედისწერაც გახლდათ ეს ამბავი. მოკლედ, მივრონინებდით მე და ები, ბიზლი კემპის იმ რვა დოლარს აღმართში შევეშველებოდით ხოლმე და ჩვენ

თვითონ ქვეითად მივჩანჩალებდით. ბიზლისეული ცხენი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საკისრულს აწვებოდა, თუმცა თითქმის მთელ სიმძიმეს ჯორი ეზიდებოდა, ები კი ჩემ გვერდით მოდიოდა და პეტ სტემპერსაც უკურთხებდა, ჰერმან შორტსაც, ბიზლი კემპსაც და ჰიუ მიჩელსაც არ აკლებდა ხელს. მერე დადმართზე დავეშვით მთიდან და ებმა ოთხთვალას დამუხრუჭება დაიწყო, რათა ბიზლისეული ცხენი საკისრულში არ გაეძვინა და უკულმა არ გადაებრუნებინა წინდასავით. თანაც ისევ აგინებდა პეტ სტემპერსაც, ჰერმანსაც, ბიზლისაც და მიჩელსაც. ასე გრძელდებოდა, ვიდრე მესამე მილზე მდებარე ხიდს მივალწევდით. აქ კი ებმა გზიდან გადაუხვია, ოთხთვალა ბუჩქებში შეაყენა, ჯორი გამოხსნა, ზედ შემსვა, სადავე ისე ამოუკრა, რომ წაყვანა შემძლებოდა, ხურდა ფული მომცა და მიბრძანა ქალაქს ჩავსულიყავი, ათი ცენტის გვარჯილა მეყიდა, ხუთის - კუპრი და ათი ნომერი ანკესი, და მალე დავბრუნებულყავი.

ნასადილევს მივატანეთ ქალაქს. სწორედ იქით გავემართეთ, სადაც პეტი იყო დაბინავებული, და მის სადგომში შევეგრიადით. ბიზლისეული ცხენი ახლა ყოჩაღად აწვებოდა საკისრულს, თვალებიც თავად ებსავით ველური ცეცხლით უკიაფებდა, პირზე ქაფი მოსდგომოდა, რადგან ებმა გვარჯილა შეუზილა ღრძილებში, საკისრულქვეშ კი გულდასმით დაამაგრა მავთულის ორი ნაგლეჯი, ერთი კიდევ ფისით მიაწება იმ ადგილას, სადაც ცხენს კანქვეშ ნემსკავი შეუყვანა და სადაც მერე სადავეს უტლამუნებდა. ისე რომ პეტის ზანგი რომ არ გამოვარდნილიყო და აღვირში არ სწვდომოდა, პირდაპირ იმ კარავში შეგლიჯინდებოდა, სადაც პეტს ეძინა. მერე თავად პეტი გამოვიდა ცალ თვალზე იმ თავის ღია ფერის ქუდჩამოფხატული. ახალგამოპირული სახნისისფერი თვალები ჰქონდა. გამყინველი თვალები, ორივე ხელის ცერი თითები ქამარში გაერჭო. უყურე, რა გიჟი ცხენი მოუყვანიათო, თქვა.

რაც მართალია, მართალიაო, უთხრა ებმა, მეც სწორედ მაგიტომ მინდა თავიდან მოვიცილო. თქვენ რომ შემეშველებოდეთ და სხვა რომელიმეში გამიცვლიდეთ, სახლამდე ისე მივიდოდი, არც ჩემთვის მოვატეხინებდი კისერს და არც ამ პატარა ბიჭისთვისო. სწორად ჰქონდა ებს ჩაფიქრებული - ჯიქურ მისდგომოდა, იმთავითვე პირში მიეხალა - საქმეზე მოვედიო თქვენთან, პეტს ასე უფრო დააჯერებდი, ვიდრე ღობე-ყორეს მოდებით. ხუთი-ექვსი წელი იქნებოდა გასული, რაც პეტს ის ცხენი აღარ ენახა, ჰოდა, ებმაც იფიქრა - ახლა ისე იცნობს ამ ცხენს, როგორც ქურდს შეუძლია იცნოსო ერთდოლარიანი საათი, რომელიც მისი ჟილეტის ღილს შემთხვევით წამოსდებია ხუთი-ექვსი წლის წინ. ებს სულაც არ უნდოდა პეტის გაცურება, ოღონდ ეწადა, როგორმე ის რვა დოლარი დაებრუნებინა, იოკნაპატოფელთა აღებმიცემობის ღირსებისა და სიამაყის საფასური, სწორედ ღირსების და არა მოგების გულისთვის. მაინც ასეც გამოვიდა თითქოს. დღემდე დარწმუნებული ვარ, ებმა გააბრიყვა-მეთქი პეტი და პეტს ბიზლისეული ცხენი კი არ უცნია და იმიტომ კი არ უთქვამს-მეთქი უარი სხვაგვარად გაეცვალა, თუ არა - წყვილი წყვილში, უბრალოდ, იანგარიშა და ასე ამჯობინა. თუმცა, რა ვიცი, იქნებ ები ისე ძალიან ცდილობდა პეტი გაებრიყვებინა, რომ პეტს აღარც დასჭირვებია ების გაბრიყვება. ერთი სიტყვით, ზანგის ბიჭმა ორი ჯორი გამოიყვანა წყვილად, პეტი კი იდგა, ცერი თითები ქამარში გაერჭო, ებს გასცქეროდა და თამბაქოს ღეჭავდა ნება-ნება; ები კი იდგა, განწირული კაცის სახე ჰქონდა, თუმცა შიში არ ეტყობოდა, უკვე მიმხვდარი იყო - ძალიან შორს შევტოპეო; ახლა ისღა დარჩენოდა - ან თვალდახუჭულს

გელაჯებიან უკანმოუხედავად, ან კიდევ სიტყვა გადაეთქვა, ყველაფერი მიეტოვებინა, ოთხთვალაში ჩამჯდარიყო და იქაურობას გამოსცლოდა, ვიდრე ბიზლისეულ ცხენს კიდევ შერჩენოდა უნარი, ანკესის ჩხვლეტა შეეგრძნო. მაგრამ ამასობაში პეტ სტემპერიმა გვიჩვენა, რა კაციც იყო. აქეთ რომ მოსძალეობდა ებს, მის დაყოლიებას ცდილიყო, მე მგონია, ები უკან დაიხევდა უქველად. მაგრამ პეტს არც უფიქრია ასეთი რამის გაკეთება. პეტმა ისევე გააცურა ები, როგორც ერთი დიდოსტატი ქურდი გააცურებს ხოლმე მეორეს – სეიფის საიდუმლოს არ გაუმხელს და მორჩა.

„კარგი ჯორი ისედაც მყავს, – უთხრა ებმა. – მე ის მერჩინა, ცხენი მომემორებინა თავიდან, არ მჭირდება და იმიტომ. ცხენში გამიცვალეთ ჯორი“.

„კი, მაგრამ, მეც არაფრად გამომადგება გადარეული ცხენი, – მიუგო პეტმა. – კი, რაგინდარა საქონელი იყოს, თუ მთლად დავარდნილი არაა, შემძლია გავასალო, მაგრამ მეც ჩემი ანგარიში მაქვს. ამ ერთ ცხენში არაფერს გაგიცვლით, იმიტომ, რომ, თქვენი არ იყოს, მეც არაფერს მარგია. ოღონდ მაგ თქვენს ჯორს კი შევიძენდი. შეხედეთ ერთი, რა წყვილს გაძლევთ სამაგიეროდ! ამ წყვილში, ვინც უნდა იყოს, სამჯერ მეტს მომცემდა, ვიდრე ცალ-ცალკე გაყიდვით ავიღებდი ორივეში“.

„ხომ მაინც წყვილი დაგრჩებათ გადასაცვლელად“, – შეესიტყვა ები.

„არა, – უთხრა პეტმა. – ამ წყვილში თქვენგან მეტი უნდა მივიღო, ვიდრე წყვილის გაყოფისას ავიღებდი. ერთი ჯორის მეტი თუ არ გჭირდებათ, მაშინ სხვაგან უნდა სცადოთ ბედი“.

და მაშინ ებმა ერთხელ კიდევ შეათვალა ის ჯორები. რა ეთქმოდა, ჯორის პირობაზე თითქოს არაფერი უჭირდათ. არც გადასარევები ყოფილან და არც ძალიან წუნდასადები. ცალ-ცალკე ორივე უარესი იყო, ვიდრე ების ჯორი, მაგრამ წყვილად როცა იდგნენ, შეეხედებოდათ, ისე რომ ები განწირული იყო. კაცმა რომ თქვას, განწირული იყო სწორედ იმ წუთიდან, როცა ჰიუ მიჩელმა რვა დოლარის ამბავი ამცნო. მე მგონია, პეტ სტემპერიც მყისვე მიხვდა – ები განწირულიაო, როგორც კი თავი აიღო და დაინახა, რომ ზანგის ბიჭი ადვირში ჩაფრენოდა ბიზლისეულ ცხენს, ხოლო ცხენი კარვისკენ იქაჩებოდა. მე მგონია, პეტი მაშინვე მიხვდა – საჭიროც არაა ების გაბრიყვებას შევეცადო, „არა-არა“ უნდა ვიძახო რაც შეიძლება მეტხანს და მორჩა და გათავდაო. ჰოდა, იდგა პეტ სტემპერი ჩვენს ოთხთვალას მიყრდნობილი, ცერი თითები ქამარში გაერჭო, თამბაქოს ღეჭავდა და უმზერდა, როგორჩხრეკდა და ათვალაიერებდა ჯორებს ები. მაშინ მეც კი მივხვდი – ები გაეჭედა-მეთქი: ფეხქვეშ მყარი საყრდენი ეგულეობდა და თურმე საფლობში შეეტოპა, იმ ზომამდე, ერთი წამითაც აღარ შეეძლო შეჩერება, რომ უკან გამობრუნებაზე ეფიქრა. „ჯანი გავარდეს, – თქვა ებმა. – მიმყავს“.

ერთი სიტყვით, ზანგის ბიჭმა ოთხთვალას ახალი ჯორები შეუბა და ჩვენც ქალაქისკენ გავწიეთ. მაინცდამაინც წუნი არ დაედებოდათ იმ ჯორებს. მაშინ, სულელი ჩემი თავი, ისიც ვიფიქრე – მართალია, სტემპერის საფლობში კი ჩავარდა ები, მაგრამ მგონი უკვე თავიც დააღწია-მეთქი. ჰოდა, როცა

ხელახლა გზაზე გამოვედით და სტემპერის კარავიც თვალს მიეფარა, ების სახეზე ისეთი გამომეტყველება აღიბეჭდა, თითქოს შინ ყოფილიყოს, თავის ღობეზე ჩამომჯდარი, და მეზობლებისთვის ეჩიჩინებინოს – ცხენით ვაჭრობის ასავალ-დასავალი ბევრი არაფერი გამეგებოდეს იქნება, მაგრამ არც ისეთი ბრიყვი ვარ, როგორც თქვენ გეჩვენებათო. თუმცა შესახედავად მთლად გულდაჯერებული კაცის სახეც არ ჰქონია, დადარაჯებული იჯდა კოფოზე და ახალშებმულ წყვილს გამომცდელ მზერას არ ამორებდა. ამასობაში ქალაქში შევედით, ისე რომ ბევრი გამოცდის დრო აღარც იყო. სამაგიეროდ აქეთობისას გამოვცდით-მეთქი. „ღმერთმანი, – მითხრა ებმა, – სახლამდე რომ მიატანდნენ როგორმე, ვითომც უკან ამერთვას ის რვა დოლარი მაგ ღვთის პირიდან გადავარდნილისთვის!“

ოლონდ ის ზანგის ბიჭი ნამდვილი არტისტი იყო. იმიტომ, რომ შარს ვერაფერში მოსდებდი. რომ შეგეხედა, ორი ჩვეულებრივი ჯორი იყო. ვარსკვლავებს არ ეთამაშებოდნენ, რაღა თქმა უნდა, იმგვარები ასობით შეიძლება შემოგვხვდეს გზაზე. ოლონდ ერთი ზნე კი შევნიშნე ორივეს – აძვრისას ერთბაშად მოწყდნენ ადგილს, ჯერ ერთი გაიქაჩა და უმაღვე მიაბჯინა ფეხი, მერე მეორემაც იგივე ქნა. გზაზე რომ გავედით, ერთი მათგანი ერთბაშად გზის გარდიგარდმო გაეხირა მონუსხულივით, თითქოს უკან გაბრუნება განუზრახავს და პირდაპირ ოთხთვალას უნდა გადაეელოსო თავზე. მაგრამ სტემპერმა ხომ ის გითხრა მხოლოდ – გვარიანი წყვილიაო, სიტყვაც არ დასცდენია იმის თაობაზე, რომ ამ წყვილს, ოდესმე ერთად ემუშაოს. კი, ჩემო ბატონო, მართლა გვარიანი წყვილი იყო იმ გაგებით, რომ არც ერთს წარმოდგენაც არ ჰქონდა, როდის დაიძრებოდა ადგილიდან მეორე. მაგრამ ებმა მაინც მოახერხა მათი დაურვება, ასე რომ, გზა განვაგრძეთ და ის იყო ქალაქის მოედნისპირა ბექობს შევუყვებით, რომ უცებ შევნიშნეთ – ორივე სწორედ ისე იყო გაქაფული, როგორც ბიზლისეული ცხენი უაიტლიფის დუქანთან მისვლამდე. თუმცა ამას კიდევ არაფერი უშავდა, იმ დღეს გვარიანი ხვატი იდგა; და მაშინპირველად შევამჩნიე, რომ წვიმას აპირებდა. მახსოვს, სამხრეთ-დასავლეთით ვეებერთელა, სხივებგადაფრქვეულ, თითქოსდა გავარვარებულ ღრუბელს გავყურებდი და ვფიქრობდი – შინ დაბრუნებამდე ან თუნდაც უაიტლიფამდე მოგვისწრებს-მეთქი წვიმა, რომ უცებ შევამჩნიე – ჩვენი ოთხთვალა მალლა კი აღარ მიიწევდა ბექობზე, უკან-უკან გორდებოდა. მოვიხედე და თვალი მოვატანე, როგორ მიებჯინა ფეხი გზის გარდიგარდმო ახლა უკვე ორივე ჯორს და ხელნას აქეთ-იქიდან მიშტერებოდა ერთიმეორეს, ები კიდევ, ისიც თვალეგადმოქაჩული, ცდილობდა შეებრუნებინა. და ამ დროს ჯორები თვითონვე შებრუნდნენ და, მახსოვს, იმის გაფიქრებაც მოვასწარი – კიდევ კარგი, ოთხთვალასკენ არ ქნეს-მეთქი პირი, რადგან უცებ ორივემ ერთდროულად გაქაჩა – ალბათ პირველად თავიანთ სიცოცხლეში, ყოველ შემთხვევაში, პირველად მას შემდეგ, რაც ები მათი პატრონი შეიქნა – და ბექობზე ავგრიალდით, მოედანზე შევიჭერთ, ოთხთვალა ორ ბორბალზე შედგა, ები კიდევ სადავეებს ექაჩებოდა და ყვიროდა „დაგწყევლის ღმერთი! დაგწყევლის ღმერთი!“ და ირგვლივ ხალხი – მეტწილად ქალები და ბავშვები – წივილ-კივილით იფანტებოდა, ვინც საით მოასწრებდა. ებმა მაინც მოახერხა კეინის დუქნის უკან შესახვევში შევვარდნილიყავით, იქ ჩვენი ოთხთვალას ბორბალი მეორე ოთხთვალას წამოედო, ამან დაგვამუხრუჭა და შევჩერდით. მოკლედ, ხალხი ბლომად შეგროვდა ჩვენს დასახმარებლად, მერე კი ებმა ჩვენი ჯორები დუქნის უკან ბოძთან მიათრია და ისე მჭიდროდ

მიაკოჭა ორივე, ცხვირები მაღლა ააშვერინა. ამასობაში ხალხი მოჯარდა გარშემო, მოდიოდნენ და მოდიოდნენ, და ყველანი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ - უყურეთ, უყურეთ, სტემპერის ჯორებიო! ხოლო ები ქშინავდა და უზრუნველ კაცს აღარაფრით ჰგავდა, დადარაჯებული იმზირებოდა. მოდი, წავილოთ ის დაწყევლილი სეპარატორი და გავწიოთო.

შევედით დუქანში, მისის სნოუპსის ჩვარი კეინს მივაჩეჩეთ, იმანაც გადათვალა ის ოცდაოთხი დოლარი და სამოცდარვა ცენტი, ჩვენ კიდეც სეპარატორს ხელი წამოვავლეთ და ოთხთვალასკენ გავემართეთ. ოთხთვალა კი დაგვიხვდა ადგილზე, ოთხთვალა არ იყო მთელი ამბავი. ერთი კია, ძალიან გეჩხირებოდა კაცს თვალში. ებს სატვირთავ ფიცარნაგთან დაეყენებინა და, მახსოვს, ძარა და ბორბლის ფერსოები ჩანდა, ვხედავდი აგრეთვე შესახვევში მდგარ ხალხს, ოღონდ ახლა ორჯერ, შესაძლოა, სამჯერაც მეტი იქნებოდა მოჯარული წედანდელთან შედარებით. და მაშინ ვიფიქრე - ოთხთვალაც რაღაც ძალიან მეჩხირება თვალში და მის გარშემოც ძალიან ბლომად შეგროვილა-მეთქი ხალხი. მოკლედ, იქაურობა შესახედავად მოგაგონებდათ ერთ იმდაგვარ სურათს, რომლებსაც ქვეშ მიაწერენ ხოლმე: „რა არის არასწორად დახატული ამ სურათზე?“ ამასობაში ებმაც აღმოთქვა: „დაგწყევლის ღმერთი! დაგწყევლის ღმერთი!“ და გავარდა, ოღონდ სეპარატორისთვის ხელი არ შეუშვია. ფიცარნაგთან მიირბინა და მის ქვეშ შეიხედა. ჯორებიც ადგილზე დაგვიხვდნენ. დაწოლილიყვნენ. ებსმჭიდროდ მიეკოჭა ბოძზე, და ახლა ორივე სწორედ ისეთი შესახედავი იყო, როგორც თავისმკვლელთა კლუბის ორი ჩამომხრჩვალნი წევრი, არც მეტი და არც ნაკლები, - თავი აეშვირათ და ცას გასცქეროდნენ, ენა გადმოეგდოთ, თვალეზი გადმოეკარკლათ, ყელი ბარე ოთხიოდე ფუტზე წაგრძელებოდათ, ფეხები კიდეც ისე ჰქონდათ ამოკეცილი, თითქოს ნანადირევი კურდღლებიაო. ები მივარდა და დასაკეცი დანით გადაჭრა თოკი. არტისტი იყო-მეთქი, ხომ გითხარით! სწორედ იმდენი მიეცა წამალი თუ რაღაცა უბედურება, რომ ქალაქის მოედნამდე ჩამოედწიათ.

ამასობაში ები სულ გაფუჭდა. დღევანდელივით ვხედავ - სადღაც კუთხეში მიიჭუჭკა, კეინისეული გუთნებისა და კულტივატორების უკან, სახეზე გადაფითრდა, ხმა უკანკალებდა, ხელებიც, რის ვაი-ვაგლახით ექვსი მონეტა ამოაძვრინა ჯიბიდან, გამომიწოდა და მითხრა: „პიბოდისთან მიირბინე, ერთი ბოთლი ვისკი მომიტანე. ჩქარა!“ კი, სულერთიანად წამხდარი იყო. საფლოზში კი არა, უკვე ჯურღმულში იყო ჩავარდნილი და მისი გადარჩენა ერთადერთ ზუსტ ნახტომსდა შეეძლო. პინტა ვისკი ორ ყლუპად დაცალა, ცარიელი ბოთლი კუთხეში ისე ფრთხილად ჩამოსდო, თითქოს კვერცხი ყოფილიყოს, და მერე ოთხთვალისკენ გავემართეთ. ჯორები ასე თუ ისე ფეხზე იდგნენ. სეპარატორი დავუდევით და ებმა ფრთხილად დაძრა, ხოლო ირგვლივ ხალხი სულ იმის ლაპარაკში იყო - კი, ნამდვილად სტემპერისეული ჯორებიო. ებს პირსახე გაფითრებული კი აღარ ჰქონდა, წამონთებულიყო, და მზეც ღრუბლებს მიფარვოდა, მაგრამ, მე მგონია, ები ამ ამბავს ვერ ამჩნევდა. თანაც ჩვენ დილას აქეთ არაფერი ჩაგვეკარებინა პირში და, მე მგონია, ები ვერც ამას ამჩნევდა. ჰოდა, თუ გინდათ მიწა გამისკდეს, ოღონდ პეტ სტემპერი ისე დაგვიხვდა, თითქოს ფეხიც არ მოენაცვლებინოს ჩვენი წასვლის შემდეგ. ისევ იდგა ბაკს შემოყოლებულ ბაწართან, ქუდი გვერდზე მოეგდო და ცერი თითები ქამარში გაერჭო. ები კოფოზე იჯდა და ცდილობდა ხელების კანკალი შეეკავებინა. სტემპერისეული

ჯორები კი წაქცევაზე იყვნენ, თავები ჩაეჩინდრათ და ორთქლმავალივით ქშინავდნენ. „მე ჩემი წყვილის წასაყვანად მოვედი“, – უთხრა ებმა.

„რა მოხდა? – იკითხა სტემპერმა. – ვითომ ძალიან ფიცხები აღმოჩნდნენ? რაღაც არ ეტყობა, ასე რომ იყოს“.

„კარგი, – უთხრა ებმა, – გვეყოფა. მე ჩემი წყვილი მინდა. აგერ, ოთხი დოლარი დამრჩა. აიღეთ თქვენი ოთხი დოლარი სარგებელში და ჩემი წყვილი დამიბრუნეთ“.

„თქვენი წყვილი აღარ მყავს, – მიუგო სტემპერმა. – ის თქვენი ცხენი ხომ არც მე მჭირდებოდა არაფრად. ხომ გითხარით ეს ამბავი. მეც ავდექი და გავასაღე“.

ები ისევ კოფოზე იჯდა. ცოტათი დაშოშმინებულიყო. ნიავმა დაუბერა და წვიმის სუნი დადგა ჰაერში. „კარგი, ბატონო, ჩემი ჯორი ხომ არ გაგიყიდიათ, – უთხრა ებმა. – იმას წავიყვან, ჯანი გავარდეს“.

„მერედა რას მომცემთ? – შეეკითხა სტემპერი. – მაგ წყვილი გინდათ თქვენს ჯორში გამიცვალთ?“ ოღონდ ებს გარიგების თავიც აღარ ჰქონდა, საბოლოოდ გაფუჭებულიყო, – იჯდა და თითქოს ვედარც ვერაფერს ხედავდა, ხოლო სტემპერი ჭიშკრის სარს მიყრდნობოდა და, ვითომც აქ არაფერიო, ისე გაჰყურებდა. მცირე ხანს უმზირა და უთხრა: „არა, არ მინდა ეგ ჯორები. თქვენი სჯობს. მასე არაფერი გამოგვივა, არ გაგიცვლით. – უთხრა და გულმშვიდად გადააპურჭყა. – ესეც არ იყოს, თქვენი ჯორი სხვა ცხენს ამოუწყენე წყვილად. გინდათ ნახოთ?“

„კმარა, – თქვა ებმა. – რამდენი გინდათ?“

„შეხედვაც არ გასურთ?“ – გაიოცა სტემპერმა.

„კარგი“, – უთხრა ებმა. ჰოდა, ზანგის ბიჭმა ებისეული ჯორი და ცხენი, ტანმორჩილი, შავრა ცხენი გამოიყვანა. მახსოვს, იმ მოღრუბლულ, უმზეო დარშიც ერთიანად ზზინავდა – ჩვენ რომ მივეცით სტემპერს, იმაზე ოდნავ დიდი იყო და ღორივით გატიკნული. კი, კი, სწორედ ღორივით ნასუქალი გახლდათ, ისეთი ნაპატივები ცხენი არ მოიძებნება, მხოლოდ ღორი შეიძლება იყოს. ყურის ძირებამდე იყო გარუმბული და შესახედად დოლივით დაჭიმული. ისეთი ჩასქელებული იყო, ძლივს დააბიჯებდა. ფეხს რომ ადგამდა, გეგონებოდათ, იმ ფეხს წონა არც აქვსო, თითქოს ვერც გრძნობდა, ფეხები რომ ესხა. „ძალიან სქელია, – თქვა ებმა. – სახლამდეც ვერ ჩამიყვანს“.

„მეც მასე ვფიქრობ, – მიუგო სტემპერმა, – და ამიტომაც მინდა გავასაღო“.

„კარგი, – უთხრა ებმა. – უნდა გამოვცადო“. თქვა და ოთხთვალადან ჩამოსვლას შეუდგა.

„უნდა გამოსცადოთ?“ – შეეკითხა სტემპერი. ებმა არაფერი უპასუხა, ფურგონიდან ფრთხილად ჩამოვიდა და ცხენისკენ გაემართა. ფეხებსაც ფრთხილად და ძნელად ადგამდა. თითქოს იმ ცხენივით თავადაც ვერ

გრძნობდა საკუთარ კიდურებს. ცხენს ავშარა ეკეთა. ებმა ზანგის ბიჭს მისი წვერი ჩამოართვა და ამხედრებას შეუდგა. „მოითმინეთ, – შეესიტყვა სტემპერი. – რას აპირებთ?“

„გამოვცადო მინდა, – უპასუხა ებმა. – დღესდღეობით ერთხელ უკვე გაგიცვალეთ ერთი წყვილი“. სტემპერმა ებს შეხედა. მერე ხელახლა გადააპურჭყა, ცოტათი უკან დაიხია და ზანგის ბიჭს უთხრა: „კარგი, ჯიმ. შეაჯინე“. და აი, ზანგის ბიჭმა ები ცხენზე შესვა, ოღონდ სტემპერივით უკან დახევა ვეღარ მოასწრო, რადგან, ამხედრდა თუ არა ები, თითქოს შარვალში ელექტრონული დენი გაეტარებინოთ მისთვის. ცხენი ბზრიალასავით დატრიალდა – თავი სად იყო და ბოლო სად, ვერც გაარჩევდი, გეგონებოდათ, კარტოფილიაო, – და ებს ძირს გადმოუმახა. ები წამოდგა და ხელახლამიეტანა, ხოლო სტემპერმა თქვა: „ჯიმ, შეაჯინე“, და ზანგის ბიჭიც ხელახლა მიეხმარა შეჯდომაში და ცხენმაც ხელახლა გადმოაგდო, და ები წამოიშრთა და თვალის დაუხამხამებლად ისევ ცხენს მიაშურა, ავშარას ხელი წაატანა, ოღონდ ამჯერად სტემპერმა შეაჩერა. ღმერთმანი, გეგონებოდათ, ებს თვითონ მოუწადინებია, რაც გაეწყობა მაგრად მძნევესო ძირს ცხენმა და, თუ ხელ-ფეხი არ მოვიტეხე, ესე იგი ისეთი ოთხფეხი შემხვედრია, რომ ჩვენს სახლამდე მაინც ჩამაღწევინებსო. „რა, სიცოცხლე მოგბეზრდათ?“ – უთხრა სტემპერმა.

„კარგი, – თქვა ებმა. – რამდენი გინდათ?“

„კარავში შევიდეთ“, – უთხრა სტემპერმა.

მე ოთხთვალაში დავრჩი და ველოდებოდი. ქარი ეძალებოდა, ჩვენ კიდეც ზედა ტანსაცმელი არ გვქონდა წამოდებული. სამაგიეროდ ოთხთვალაში ეგდო რამდენიმე ქატოს ტომარა, მისის სნოუპისგან სეპარატორის შესაფუთად გამოტანებული. მეც სწორედ ის იყო შეფუთვას შევუდექი, რომ ზანგის ბიჭი კარვიდან გამოვიდა, გამოსვლისას კალთა გადაწია, და დავინახე, რომ ები პირდაპირ ბოთლიდან სვამდა. მერე ზანგის ბიჭმა ცხენშებმული ოთხთვალა გამოიყვანა, ები და სტემპერი კარვიდან გამოვიდნენ და ები ჩვენი ოთხთვალასკენ წამოვიდა, მე ზედაც არ შემომხედა, ოღონდ სეპარატორს ტომრები მოაცილა, ასწია და იმ მეორე ოთხთვალას დაუდო, მერე ისა და სტემპერი შესხდნენ და ქალაქში გაბრუნდნენ. ზანგის ბიჭი მე შემომაცქერდა. დასველდებით სახლში მისვლამდეო, მითხრა.

აღბათ-მეთქი.

არ გინდათ? – შეჭამეთ რამე იმათ დაბრუნებამდე, სადილი ღუმელზე მაქვსო შემოდგმული.

არა-მეთქი, მაღლობელი ვარ, და ზანგის ბიჭი კარავში შებრუნდა, მე კიდეც ოთხთვალაში დავრჩი და ლოდინი დავუწყე. ეტყობოდა, ის-ის იყო დასცხებდა წვიმა. მახსოვს, გავიფიქრე, სამაგიეროდ ახლა ტომრები მაინც გვექნება და იქნებ დაუსვენებლად გადავრჩეთ-მეთქი. მერე ები და სტემპერი დაბრუნდნენ და ებმა, წედანდელის არ იყოს, არც შემომხედა. ისევ კარავში შევიდა და დავინახე, როგორ მოიყუდა ხელახლა ბოთლი, მერე კი უბეში ჩაიღო. მერე ზანგის ბიჭმა ჯორი და ის მეორე ცხენი მოაყენა, შეუბა, ები გამოვიდა და კოფოზე შემოჯდა. სტემპერი და ზანგის ბიჭი ეხმარებოდნენ.

„იქნებ აჯობებდა, ამ ბიჭუნასათვის მიგეცათ სადავე, ჰა?“ - უთხრა სტემპერმა.

„არა, მე მეჭირება, - მიუგო ებმა. - შესაძლოა, გაცვლა-გამოცვლის არაფერი გამეგებოდეს, ოღონდ ცხენის წაყვანას კიდევ შევძლებ როგორმე“.

„როგორც გენებოთ - უთხრა სტემპერმა. - დაგანახებთ ეგ ცხენი, რაცაა“.

დაგვანახა კიდევ და ის იყო! - რეტლიფმა პირველად გაიცინა ამ ხნის მანძილზე, ჩუმად გაიცინა, ძლივს გასაგონად. და, თუმცა თავად არ ჩანდა სიბნელეში, ყველამ კარგად იცოდა, როგორი შესახედავი იყო ახლა, თითქოს თვალწინ ჰყოლოდათ, - ზის თავისთვის ხმელ-ხმელი, შავგვრემანი, სკამს გადასწოლია არხეინად, ალერსიანი და ცბიერი სახე აქვს, სუფთა ლურჯი ხალათი აცვია და ისეთივე უსაშველოდ მარტოხელა, უსაშველო ბერბიჭა კაცი ჩანს, როგორც ჯოდი უორნერია. ოღონდ მეტი აღარაფრით ჰგავდნენ ეს ორნი ერთიმეორეს. - დაგვანახა და მერე როგორ დაგვანახა! ერთი მილის გამოვლაც ვერ მოვასწართ, წვიმამ დასცხო, აგრგვინდა, და ორ საათს ტომრებს ქვეშ მობუზულუბი მივემგზავრებოდით და გავყურებდით, იმ წვიმაშიც კი როგორ იქაჩებოდა გასავარდნად ის ჩვენი ახალი, გარუმბულ-გადატკეცილი და გიჟმაჟი ცხენი, სწორედ ისევე, როგორც სტემპერისას, როცა ები ზედ მოექცა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს გზის პირას მდგარ ძველ თავლას არ შევეფარეთ. თუმცა, უფრო სწორად, მე შევეფარე, რადგან ამ დროისთვის ები ფურგონის ძირზე გამხლართულიყო და წვიმა თავ-პირში სცემდა, მე კიდევ კოფოზე ვიჯექი და მივერეკებოდი, და უცებ თვალი მოვკარი - ის გადატკეცილი შავრა ცხენი წაბლად იქცეოდა. მაშინ რვა წლის ვიყავი და მანამდე მე და ებს მის ბაკს იქით არსად გაგვერიგებინა აღებმიცემობის საქმეები. პირველივე შემხვედრ სახურავქვეშ დავაყენე ოთხთვალა და ებს გაღვიძება დაეუწყე. წვიმანასხამი ტანში გაგრილებულიყო და თითქმის აღარც ეტყობოდა ნასვამობა. მალე სულაც გამოფხიზლდა. რა გინდაო, მკითხა, რას მალვიძებო?

ცხენი-მეთქი, ვიყვირე, ფერს იცვლის ცხენი!

უკვე სავსებით ფხიზელი იყო. ერთად ჩამოვხტით ოთხთვალიდან და ებმა თვალეზი გადმოქაჩა - ოთხთვალაში წაბლა ცხენები ება. მაშინ როცა მის დაძინებამდე შავი იყო ის ცხენი. მაშინ ებმა ხელი გაიწოდა, თითქოს აღარც კი სჯეროდა, რომ მის წინ ცხენი იდგა, და სწორედ ის ადგილი მოუსინჯა, რომელზეც სადავეს უტყლამუნებდა გზაში. ჰოდა, თვალი მოვკარი, როგორ მოწყდა და გამოვარდა ცხენი, ძლივს მოვასწარი გამორიდება, და ჩემს უკან კედელს მიაწყდა, სულ ახლოს ჩამომიქროლა, თმაც კი ამიშალა მისგან შეძრულმა ჰაერმა. მერე კი ისეთი ხმა შემომესმა, თითქოს ველოსიპედის სალტეში ლურსმანი გაერჭოს ვინმეს. რაღაც აშიშინდა: „ვუიშშშშშშშშ“ - და პეტ სტემპერის გადატკეცილ-გაბერილი შავი ცხენისგან აღარაფერი დარჩენილა. არა, იმას კი არ ვამბობ, ების და ჩემს გარდა თავლაში მარტო ჯორი დარჩა-მეთქი. ცხენიც იქვე იდგა. ოღონდ ეს სწორედ ის ცხენი გახლდათ, დილით რომ ოთხთვალას შევუბით შინიდან წამოსვლისას და მანამდე ორი კვირით ადრე ბიზლი კემპს სორგოს საფქვავსა და სახნისში გავუცვალეთ. ანკესიც კი დაგვიბრუნდა და წვერიც იმ მხარეს ჰქონდა

მიშვერილი, საითაც ებმა უქნა პირი, ზანგის ბიჭს სულ ცოტაზე გადაეწია ის ანკესი, ეს იყო და ეს. ოღონდმეორე დილით ებმა ტყავქვეშ, სწორედ წინა ფეხის ქვეშ ველოსიპედის ნიპელი უპოვა იმ ცხენს. ეს ისეთი ადგილია, მოგეხსენებათ, ოც წელსაც რომ ჰყავდეს ცხენი პატრონს, მგონი ერთხელაც არ მოუვა აზრად იმ ადგილის მოსინჯვა.

შინ მეორე დღეს ძლივს მივატანეთ, როცა მზე გვარიანად მაღლა იდგა უკვე. ების ჭიშკართან გაგულისებული მამაჩემი გველოდებოდა. რაღა თქმა უნდა, მაშინვე წამათრია და იმასღა მოვკარი თვალი, რომ მისის სნოუჰუსი კარის ზღურბლზე იდგა – ეტყობოდა, მთელი ღამე ფეხი არ მოეცვალა იქიდან – და კითხულობდა: სად არისო ჩემი სეპარატორი? ხოლო ები ეუბნებოდა: ხომ იცი, ცხენების გულისთვის მუდამ ჰკუთას ვკარგავდი, ახლა რაღა გაეწყობაო. ჰოდა, მისის სნოუჰუსს ცრემლები ჩამოსდიოდა. შეიძლება ითქვას, იმათსას ვაღამებდი და ვათენებდი, ოღონდ მანამდე არასოდეს მენახა ატირებული მისის სნოუჰუსი. არ ყოფილა ისეთი ქალი, ხშირ-ხშირად ცრემლის ღვრა რომ შესძლებოდა. ახლაც მძიმედ ტიროდა, თითქოს არ სცოდნოდა, როგორ უნდა ტირილი, თითქოს ცრემლებსაც ბევრი არაფერი გაეგებოდა, რა უნდა მოემოქმედათ. იდგა კარის ზღურბლზე ძველ თავსაფარმოხვეული, სახესაც არ მალავდა, და იმასღა ამბობდა: „ჰკუთას კარგავ ცხენებისთვის, ხომ? კი, მაგრამ, რაღა მაინცდამაინც ამ ცხენისთვის? რაღა ამ ცხენისთვის?“

ერთი სიტყვით, მე და მამაჩემი წამოვედით. ისე წამიჭირა მხარში, მატკინა, მაგრამ გუშინდელი ამბავი რომ მოვუყევი, ასე და ასე მოხდა-მეთქი, გადაიფიქრა ჩემი გალახვა. და მაინც ებთან შუადღემდე ვეღარ მივბრუნდი. ღობეზე იჯდა, მეც ავძვერი და გვერდით ჩამოვუჯექი. ბაკი ცარიელი იყო. არც ჯორი ჩანდა სადმე და აღარც ბიზლისეული ცხენი. ოღონდ ებს ხმა არ ამოუღია და არც მე მითქვამს რამე. მერე შემეკითხა – უკვე ისაუბმეო? კი, ვისაუბმე-მეთქი. მე ჯერაც არ წამიხემსებიაო, მითხრა, და შინისკენ წავედით, ოღონდ მისის სნოუჰუსი, რაღა თქმა უნდა, სახლში არ დაგვხვედრია, მე მშვენივრად წარმოვიდგინე: აი, ები ღობეზე ჩამომჯდარა, ხოლო მისის სნოუჰუსი ბექობზე ეშვება, შლაპა დაუხურავს, მხრებზე შალი წამოუხსამს და ხელთათმანებიც კი ჩაუცვამს. თავლაში შედის, ჯორს უნაგირს ადგამს და ბიზლისეულ ცხენს აღვირს ამოსდებს. ები კი ზის და ვერაფრით გადაუწყვეტია – მივიდეს და მიეხმაროს თუ არა.

მე ცეცხლი შევანთე ქურაში. ები კერძის შემზადების დიდი ოსტატი არ ყოფილა, ისე რომ, ვიდრე ყველაფერს თავს მოვაბამდით, იმდენმა ხანმა გაიარა, გადაწყვიტეთ საუზმისთვის ბარემ სადილიც მიგვეყოლებინა. ბოლოს შესაჭმელი შევჭამეთ, მე ჭურჭელი დავრეცხე და ისევ ბაკისკენ გავემართეთ. უსახნისო გუთანნი ისევ ისევ იდო შორეულ სახნავში, ოღონდ უკან ვეღარაფრით მოგვექონდა. მართალია, ებს შეეძლო იმ ბერიკაცთან, ენსთან გადასულიყო და ჯორები ენათხოვრებინა, ოღონდ ეს იგივე იქნებოდა, ჩხრიალა გველს რომ მისდგომოდა ზარის სათხოვნელად; მაგრამ იმწუთას, ჩემი აზრით, ებმა გადაწყვიტა – მეყოფა გულისხმეთქვა, დღესდღეობით მაინც მეყოფაო. ერთი სიტყვით, ისევ ღობეზე ჩამოვსხედით და გამოცარიელებულ ბაკს გავცქეროდით. იმ ბაკს დიდი არაფრით ეთქმოდა, შიგ ერთი ცხენიც რომ შეგეგდოთ, უკვე გაჭედული გეგონებოდათ. ახლა კი ტეხასის პრერიას ჰგავდა და ის იყო გავიფიქრე – როგორ გამოცარიელდა-მეთქი, რომ ები ღობიდან ჩამოხტა, მთელი ბაკი გაიარა, მერე შედგა და თავლის კედელს

მიშენებულ ფარდულს მიაჩერდა. არა უშავს რა იქნებოდა ის ფარდული, კაცს რომ რიგიანად შეეკეთებინა და ახლად გადაეხურა. „ავდგები და ფაშატს ვიშოვი, - თქვა ებმა. - ჯორებს გამოვიყვან, რემას მოვაშენებ ნელ-ნელა. ეს ფარდული სწორედ საამისოდ გამოდგება, ოღონდ ცოტათი შეეკეთება მომიწევს“. მერე დაბრუნდა და ხელახლა ღობეზე დავსხედით. ასე, ოთხი საათი იქნებოდა, ჩვენს ეზოს ფურგონი მოადგა. კლიფ ოდემის ოთხთვალა იყო, გვერდებმაღალი, კლიფ ოდემთან კოფოზე მისის სნოუპსი იჯდა. სახლს გვერდი აუქციეს და პირდაპირ ბაკისკენ გასწიეს. „ვერ მიაართმევენ, - ჩაილაპარაკა ებმა. - კლიფი მაგას გაუყადრებს თავს სწორედ!“ ჩვენ უკვე თავლის უკან ვიყავით მიმალულები და ვხედავდით, როგორ მიაყენა კლიფმა უკანა მხრით ოთხთვალა ფიცარნაგს ჭიმკართან, ხოლო მისის სნოუპსი ჩამოხტა, თავსაფარი მოიხსნა, ხელთათმანები გაიძრო, ბაკი გადაჭრა, ძროხა სადგომიდან გამოიყვანა და ფიცარნაგზე შეაყენა. „თქვენ ცხენებს დაუდექით, ოთხთვალაზე მე შევდენი“, - უთხრა კლიფმა, მაგრამ მისის სნოუპსს ვითომც არ გაეგონოს. ძროხას ფურგონის უკანა მხრისკენ აქნევინა თავი, მხრით ბარკალში უბიძგა და, ვიდრე კლიფი კოფოდან ჩამოხტომას მოასწრებდა, ეს იმხელა ძროხა ძარაზე შეაგდო. კლიფმა უკანა ბორტი ასწია, მისის სნოუპსმა თავსაფარი ისევ წამოიხსნა, ხელთათმანები ჩაიცვა, მერე ორივენი შესხდნენ და წავიდნენ.

ხელახლა შევანთე ცეცხლი, რათა ებს ვახშამი მოემზადებინა; მერე მეც შინისკენ ვიყავი წასასვლელი - მზე ჩასვლაზე იყო უკვე. მეორე დილით ერთი ვედრო რძე მივუტანე. ები სამზარეულოში იყო, ისევ საუზმის თადარიგს იჭერდა. „აი მაგის მადლობელი ვარ, - მითხრა რძის დანახვაზე. - გუმინვე მინდოდა მეთხოვა - იქნება რძე მიშოვო-მეთქი“. მითხრა და ისევ საუზმის მზადებას მიჰყო ხელი, რადგანაც მისის სნოუპსს ჯერ არ მოელოდა აქეთ - დღეღამეში ოცდარვა მილს, თუ მეტს არა, ორჯერ ხომ ვერ აივლ-ჩაივლიდა. მაგრამ ხელახლა შემოგვესმა ბორბლების ხმა და მისის სნოუპსი დაბრუნდა, ამჯერად სეპარატორიანად. ჩვენ ისევ თავლის უკან მივიყუჩეთ და იქიდან ვუყურებდით, როგორ შეათრია სეპარატორი სახლში. „ხომ ისე დადგი რძე, რომ ნამდვილად დაინახავს?“ - მკითხა ებმა.

„დიახ, სერ“, - მივუგე.

„ჯერ ძველ ხალათს გადაიცვამს ალბათ, - თქვა ებმა. - აფსუს, ადრე მაინც დამეწყო საუზმის კეთება“. მაგრამ არა მგონია მისის სნოუპსს ტანზე რამე გამოეცვალოს, იმიტომ, რომ გუგუნის თითქმის მაშინვე შემოგვესმა. ძალიან კი გუგუნებდა ის სეპარატორი, ეტყობოდა, ერთი გალონი რძე ყლაპადაც არ ჰყოფნიდა. მერე გუგუნის შეწყდა და ებმა თქვა: „ეგ ვერაა კარგი, ერთი გალონის მეტი რომ არა აქვს რძე“.

მაშინ მე ვუთხარი - ხვალ დილას კიდევ მოვუტან-მეთქი, მაგრამ ები არ მისმენდა, სახლს არ ამორებდა თვალს.

„მიდი ერთი, კარში შეიჭვრიტე“, - მითხრაბოლოს. მეც მივედი და შევიჭვრიტე. მისის სნოუპსმა ქურაზე შედგმული საჭამადი ჩამოდგა და ორ თეფშზე გაანაწილა. არც კი ვიცოდი, მხედავდა თუ ვერა, ვიდრე არ შემობრუნდა და ის ორი თეფში არ გამომიწოდა. ახლა მის სახეს

ჩვეულებრივი იერი დაბრუნებოდა, მშვიდი სახე ჰქონდა, ოღონდ შეურევბული.

„გეშიებათ ალბათ, - მომმართა, - დაჯექით იქ და ჭამეთ, მე ჩემთვის ვიმუშავე და ფეხებში ნუ გამეხლართებით“. თეფშები ჩამოვართვი, ღობის ძირას მივსხედით და შევექეცით. ამასობაში სეპარატორი ისევ აგუგუნდა. მე არ ვიცოდი, რამდენჯერმე თუ უნდოდა რძეს სეპარატორში გატარება. მე მგონია, არც ებმა იცოდა ეს ამბავი.

„ეტყობა, კეინმა აუხსნა - ასე და ასე უნდაო, - შემესიტყვა პირგამოტენილი ები. - რაკი ას-ასჯერ მოისურვა გატარება, გაატარებს კიდეც ას-ასჯერ“. მერე სეპარატორი გაჩერდა, მისის სნოუჰისი კარს მოადგა და გადმოგვძახა - თეფშები მომიტანეთო გასარეცხად, მეც მივურბენინე, და მერე მე და ები ისევ ღობეზე ჩამოვსხედით. ბაკი იმხელა იყო, მთელ ტეხასს და ზედაც კანზასს დაიტევსო, იტყოდი. „ეტყობა, პირდაპირ მიადგა იმ წყეულ კარავს და უთხრა: აი, თქვენი წყვილი ჩაიბარეთ და ჩემი სეპარატორი მომეცით, ოღონდ დროზე გაინძერით, სახლამდე შორი გზა მაქვსო“, - თქვა ებმა. მერე ისევ შემოგვესმა გუგუნი და იმავე სადამოს ენსაც მივადექით კარზე, რათა ჯორი გვენათხოვრებინა და ის შორი ნაკვეთი მოგვეხნა. მაგრამ ენსს აღარაფრის მოცემა აღარ სურდა, სალანძღავის მეტი მისგან არაფერი გვსმენია და, რომ დაამთავრა, უკან გამოვბრუნდით და ისევ ღობეზე ჩამოვსხედით. რაღა თქმა უნდა, ხელახლა შემოგვესმა, როგორ აგუგუნდა სეპარატორი. კვლავაც ძლიერ ხმას გამოსცემდა, თითქოს შეეძლო უსასრულოდ გაეტარებინა რძე და სულერთი იყო - ერთხელ გაველო თუ ასჯერ ამ რძეს სეპარატორში. „ისევ მაგრად მუშაობს, - თქვა ებმა. - მოდი, სახვალიოდ იმ გალონის ამბავი ნუ დაგავიწყდება“.

არა-მეთქი, სერ, არ დამავიწყდება. და ისევ ყური მივუგდეთ, როგორ გუგუნებდა სეპარატორი. რადგანაც მაშინ ები ჯერაც არ ყოფილა გაალქაჯებული.

„ეტყობა, ძალიან სიამოვნებს სეპარატორია თუ რაღაცა. ხედავ, რა კმაყოფილია?“ - მითხრა ებმა.

3

რეტლიფმა ფურგონი შეაჩერა და მცირე ხანს უმზირა ანჯამებიდან მოგლეჯილ იმავე ჭიშკარს, ამხედრებული ჯოდი უორნერი რომ მისჩერებოდა ამ ცხრა დღის წინ, ბალახმიძალებულსა და შამბმოდებულ ეზოს, გადაფერდილსა და ავდრით შელახულ სახლს, მთელ ამ ხარახურით მოფენილ გატიალებულ არემარეს, სადაც ჭიშკართან მის მისვლამდე ორი ქალის ხმამაღალი და მონოტონური ლაპარაკი გაისმოდა. ქალიშვილების ამ ხმებში არც ყვირილი გამოკრთოდა და არც წივილი, მაგრამ მათში იყო ის გახევებული, უსაზღვრო ძალა, რომელიც სრულებით უცხოა ყოველგვარი დანაწევრებული მეტყველებისთვის, ყოველგვარი ადამიანური ენისთვის - თითქოს რაღაც საშინელ ფრინველთა ნისკარტებიდან გამოედინებოდა ბგერები, თითქოს

უდაბურ ადგილას, გაუვალ ჭაობსა თუ უდაბნოში, რომელიღაც გადაშენებული ჯიშის ორი უკანასკნელი წარმომადგენელი შემოიჭრა, აქ დასადგურებული მდუმარება შელახა და განაფრთხო, ამ ჭაობში დაემკვიდრა და ახლა ბილწავსო აქაურობას თავისი გაუთავებელი ყაყანით. და უცებ ყოველივე მიჩუმდა, როგორც კი რეტლიფმა მათ შეუძახა. იმავე წამს კარიდან შემოაშტერდა ორი ზორბა, ერთიმეორის მსგავსი ქალიშვილი, თითქოს ორი გიგანტური ძროხა ყოფილიყოს.

- დილა მშვიდობისა, ქალბატონებო! - უთხრა რეტლიფმა. - მამათქვენი სადაა?

ისინი ისევ მოშტერებოდნენ. გეგონებოდათ, არც კი სუნთქავნო, თუმცა რეტლიფმა იცოდა, რომ სუნთქვით კი სუნთქავდნენ, უეჭველად უნდა ესუნთქათ: ამსიმიძიმე, მართლაც გოლიათურ, ჯანიან სხეულებს ბევრი ჰაერი ესაჭიროებოდათ. ერთი წამით რეტლიფს ისინი წარმოუდგნენ ორ ძროხად, ორ უშობლად, რომლებიც მუხლებამდე ჰაერში ჩამდგარან, თითქოს წყარო ყოფილიყოს ანდა საგუბარი, ჩამდგარან, თავი წყალში წაუყვიათ და წყალი სწრაფად, უხმაუროდ განიპობა მათი სუნთქვისგან, წამით განიპობა და ფსკერს ჩაბჯენილ მათ ფეხებთან მოფუთფუთე სამყაროს გამოაჩენს. შემდეგ მათ ერთ ხმაზე წამოიძახეს, თითქოს კარგად შეწყობილ გუნდს აღმოეთქვას:

- ყანაშია.

„ოჰო, - გაიფიქრა რეტლიფმა და ადგილიდან დაიძრა. - მერედა რას უნდა აკეთებდეს ყანაში?“ რადგან ვერაფრით წარმოიდგენდა, იმ ებ სნოუჰესს, რომელსაც იცნობდა ძველად, ორზე მეტი ჯორი თუ შეიძლებოდა ჰყოლოდა. არადა ერთ ჯორს უკვე თვალი მოჰკრა რეტლიფმა, - სახლს უკან ბაკში ჩაეყენებინათ უქმად; მეორე ჯორი კიდევ ხეს იყო მიბმული უორნერის დუქანთან, აქედან რვა მილის სიშორეზე. ეს დაბეჯითებით იცოდა, რადგან სულ სამიოდე საათის წინ დაინახა იმ ადგილას, სადაც აგერ უკვე ექვსი დღე იქნებოდა, მის თვალწინ აბამდა ჯორს უორნერის ახალი ნოქარი. წამით ცხენებიც შეაჩერა. „ვერ უყურებ? - გაიფიქრა უბოროტოდ. - იქნება ბოლოს და ბოლოს აუხდა კიდევ აგერ უკვე ოცდასამ წელიწადს ნანატრი, - შესაძლებლობა მიეცა დაევიწყებინა სტემპერი და ყოველივე ხელახლა დაეწყო“. რეტლიფს არცგაჰკვირვებია, როცა ყანა გამოჩნდა და ჯორებშემბმულ გუთანზე წახრილი უშნო, მოუქნელი, ჩასკვნილი სხეული ეცნაურა. ის ჯორებიც მაშინვე იცნო, - ამ ერთი კვირის წინ ბილ უორნერს ეკუთვნოდნენ. ოღონდ რეტლიფმა ზმნას მაშინვე შეუცვალა დრო: „კი არ ეკუთვნოდნენ, - გაიფიქრა, - ეკუთვნიან. ხედავ, როგორ უმარჯვია?! ცხენებით ვაჭრობას აღარ მისდევს, კაცი გაუცვლია ერთ წყვილ ჯორში“.

რეტლიფი ღობესთან შეჩერდა. გუთანს სვრელის ბოლოში იყო გასული. მხვენელმა შემოაბრუნა - სულ რომ არ იყო საჭირო, ისე გაგულისებით გამოჰკრა სადავე და ჯორებმა თავი აიშვირეს, კბილები დაკრიჭეს, მერე ფეხიც აერიათ. რეტლიფი გულშეუძრავად უმზერდა. „ისევ ისეთია ები, - გაიფიქრა. - ცხენსა და ჯორს მაშინაც ისე ექცეოდა, თითქოს მუშტი შემოექნით მისთვის, ვიდრე ხმის ამოდებას მოასწრებდა“. მიხვდა, რომ სნოუჰესმაც თვალი ჰკიდა და იცნო კიდევ, თუმცა არ შეიმჩნია კი. ამასობაში ჯორებმა უკვე მწყობრად გამოსწიეს, სწრაფ-სწრაფად, ნერვიულად ადგამდნენ

სწორსა და ირემივით ვიწროფლოქვიან ფეხებს და მოელვარე სახნისით გადმობრუნებული მიწის შავ ფენას იტოვებდნენ უკან. ახლა რეტლიფი ხედავდა, რომ სნოუჰისი პირდაპირ მისჩერებოდა, - დაფანჩულ წარბებქვეშ თვალები ცივად უკიაფებდა და ის წარბები სწორედ ისეთივე იყო, როგორც რვა წლის წინ ახსოვდა რეტლიფს, სრულებით არ შეცვლოდა წარბები, ოღონდ ის იყო, ჭაღარა გარეოდა ოდნავ. ებმა უჩუმრად, იმავე უმაქნისი სიმკაცრით შეაბრუნა ჯორები, გუთანნი შეაჩერა და გვერდულად მიდგა.

- რა ამბავია? - შეეკითხა რეტლიფს.

- არაფერი, ყანაში არიო, მითხრეს, და გამოგიარეთ, - უპასუხა რეტლიფმა.
- კაი ხანია აღარ შევხვედრილვართ, ა? რვა წელი იქნება.

სნოუჰისმა დაიჯუჯღუნა:

- შენი შემხედვარე ვერ იტყვი მაგას. ისეთივე უწყინარი ჩანხარ. გეგონება, შენს დღეში დასალევი არაფერი ჩაგეკარებინოს.

- აბა, როგორ გინდათ? - გაეპასუხა რეტლიფი. - ჰო, დასალევზე გამახსენდა. - დასაჯდომს ქვეშიდან ბოთლი ამოაძვრინა, შიგ რაღაც ესხა, ერთი შეხედვით წყლის მსგავსი სითხე. - მაკვალემს ამის უკეთესი არაფერი მოეძებნა. იმ კვირის ნახადია. გამომართვი.

ბოთლი გაუწოდა. სნოუჰისი ღობეს მოადგა. ახლა ხუთ ფუტზე მეტი მანძილი არ ამორებდათ, მაგრამ რეტლიფი კვლავინდებურად ვერაფერს ხედავდა, ავად ჩამოქურუხებულ წარბებქვეშ ცივად მოკიაფე წინწკლებს გარდა.

- ვითომ ჩემთვის წამოიძვანე?

- აბა, ვისთვის? გამომართვი-მეთქი.

სნოუჰისი არ განძრეულა.

- რისი გულისთვის?

- არაფრის. ისე წამოგიღეთ. მოსვით ერთი. საუცხოო ვისკია.

სნოუჰისმა ბოთლი ჩამოართვა და რეტლიფმა იგრძნო, რომ იმ თვალებს რაღაც ჩამოსცილდა, რაღაც გაუჩინარდა. თუმცა იქნებ რეტლიფს აღარ შემოსჩერებოდნენ და მეტი არაფერი.

- სალამომდის დავიციდი, - თქვა სნოუჰისმა. - სიცხეში აღარ ვსვამ ხოლმე.

- ავდარში? - ჰკითხა რეტლიფმა. ახლა დანამდვილებით იცოდა - სნოუჰისი აღარ მიმზერსო, თუმცა სნოუჰისი არც განძრეულა, ისევ ისე იდგა ბოთლით ხელში და მის უხეშ, გაცრეცილ, ღვარძლიან სახეზე არაფერი შეცვლილიყო.
- მე მგონია, გვარიანად მოეწყობით აქ. ფერმა კარგი შეგხვდათ და ფლემმაც, ეტყობა, მაგრად მოიდგა ფეხი დუქანში, გეგონება, დაბადებიდან ვაჭრობის მეტი არაფერი ეკეთებინოს.

სნოუპსი არც უსმენდა თითქოს. ბოთლი შეაჯანჯღარა, ასწია და სინათლეზე გახედა, თითქოს სიმაგრეს უსინჯავდა.

- იმედია, კარგად მოეწყობით...

ამის თქმისთანავე ისევ დაინახა მისი თვალები - ბოროტი, განუქვრეტელი და ცივი.

- მერე შენ რა გესაქმება, მოვეწყობი თუ ვერ მოვეწყობი?

- არაფერი, - მშვიდად, მოალერსე ხმით მიუგო რეტლიფმა.

სნოუპსი დაიხარა და ბოთლი ღობის ძირას ჩადგა ბალახში, მერე გუთანს მიუბრუნდა და წამოსწია.

- მიდი ჩემთან სახლში და უთხარი სადილი გაჭამონ.

- მადლობელი ვარ, მაგრამ არ მცალია. ქალაქში ვარ ჩასასვლელი.

- როგორც გინდოდეს, - უთხრა სნოუპსმა. მერე ერთადერთი ჭკპანი მხარზე გადაიგდო და ისევ დაუზოგავად გამოჰკრა სადავეს, ჯორებმაც ისევ კბილები დაკრიჭეს, შებრუნდნენ და ადგილიდან დამკრამდე უკვე ფეხი აერიათ.

- დიდი მადლობელი ამ ბოთლისთვის, - უთხრა სნოუპსმა.

- რა სათქმელია, - თქვა რეტლიფმა. გუთანი ნელ-ნელა შორდებოდა.

რეტლიფი თვალს მიაცოლებდა. „შემომიარეო, არც კი მითხრა“, - გაიფიქრა. მერე სადავე აიკრიფა.

- აბა, მოუსვით, კურდღლებო! - გადასძახა მან. - ქალაქში წავსულვართ.

თავი მესამე

1

ორშაბათ დილას ფლემ სნოუპსი უორნერის დუქანში რომ გამოცხადდა, ახალთახალი თეთრი ხალათი ეცვა. გარეცხვა ჯერაც არ დასჭირვებოდა იმ ხალათს, აშკარად ზედ ემჩნეოდა ყველა იმდროინდელი ნაკეცი, როცა ტილოს სახით თაროზე იყო ჩამოდეებული, ნაკეცებს კიდევე მზით გამოხუნებული ზოლები ჩასდევდა, თითქოს ზებრას ტყავი ყოფილიყოს. და არა მხოლოდ იმ ხალათის საცქერლად მოსული ქალები, რეტლიფიც ამჩნევდა (ტყუილად კი არ ყიდდა საკერავ მანქანებს: თავის საქონელს მუშტრებს რომ ასინჯებდა, ნელ-ნელა კერვაც ისწავლა, და იმასაც ამზობდნენ - ლურჯ ხალათებს თვითონვე იკერავსო თავისთვის). რომ ეს ხალათი ხელით იყო გამოჭრილი და შეკერილი, ამასთან - გაუწაფავი, მოუხეშავი ხელით. მთელ კვირას

ატარებდა ფლემი იმ ხალათს. შაბათ საღამოსთვის სულ გაუჭუჭყიანდა, ორშაბათს კი უკვე სხვა ხალათი ეცვა, სწორედ პირველისნაირი, გამოხუნებული ზოლებიც კი ისეთივე ჰქონდა. მომდევნო შაბათისთვის ესეც გაუჭუჭყიანდა, თანაც სწორედ ის ადგილები დაესვარა, რომლებიც პირველს. კაცი იფიქრებდა, ამ ხალათის პატრონი, მართალია, ეზიარა ახალ ცხოვრებას, ახალ გარემოს, სადაც მის გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე გარკვეული ჩვეულებები და გარდაუვალი წესები იყო დამკვიდრებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველი დღიდანვე ხალათის გაჭუჭყიანების საკუთარი, თავისებური წესები დანერგაო.

გამხდარ, უნაგირდადგმულ ჯორზე ამხედრებული მოვიდა ფლემი (ყველამ ერთად აღიარა – უორნერების უნაგირიაო), უნაგირს თუნუქის პატარა ვედრო ჰქონდა გამობმული. ჯორი ხეს მიაკოჭა, ვედრო წაიძღვანა და ავიდა გალერეაში, სადაც უკვე ათიოდე კაცი შეკრებილიყო, მათ შორის იყო რეტლიფიც. სიტყვაც არ უთქვამს. კაცს არ შეუმჩნევია, იქ მყოფთაგანს ვისმე თვალი შეავლო თუ არა. ჩასკვნილი, ჯმუხი კაცი იყო, გაურკვეველი ასაკის – ოციდან ოცდაათამდე წლისა, უძრავი, ბრტყელი სახე ჰქონდა, ვიწროდ გაჭრილი პირი, კიდეებში თუთუნით მოსვრილი ოდნავ, ჭაობის წყლისფერი თვალები და მიმინოს ნისკარტივით მომცრო ონავარი ცხვირი, როგორღაც იჩქითად წინ წამოვარდნილი. გეგონებოდათ, რომელიღაც მოქანდაკეს თუ ქვისმთელეს განუზრახავს ამ ცხვირის გამოძერწვა, მაგრამ საქმე ბოლომდე აღარ მიუყვანია და ეს დაუმთავრებელი ნაკეთობა ხელში ჩავარდნიაო მოწინააღმდეგე სკოლის მიმდევარს, ან, იქნებ, ფანატიკურად გულბოროტ სატირიკოსს, ან კიდევ ისეთ ადამიანს, რომელსაც იმის დროლა დარჩენოდა, სასწრაფოდ აეწებებინა სახეზე ეს ავის მომასწავებელი ნიშანი.

დუქანში შევიდა თავის ვედროიანად, რეტლიფი და სხვები კი მთელ დღეს გალერეას არ მოსცილებიან და ხედავდნენ, რომ მარტო მთელი სოფელი კი არა, მთელი ოლქი იქ იყრიდა თავს; ცალ-ცალკე მოდიოდნენ, წყვილ-წყვილად ან ჯგუფ-ჯგუფად, მამაკაცები, ქალები და ბავშვები, მოდიოდნენ, რათა წვრილმანი რამე შეეძინათ, ახალი ნოქრისთვის თვალი შეეველოთ და ისევ თავ-თავიანთ გზას გასდგომოდნენ. მტრულად არ ეჭირათ თავი, მაგრამ ძალიან დადარაჯებულნი კი იყვნენ, უცხოდ მიდი-მოდიოდნენ, თითქოს ნახევრად გატყიურებული ჯოგი ყოფილიყოს, რომელსაც თავის სამოვარზე რაღაც არნახული მხეცის შემოჭრა ენიშნოს. ფქვილს, პატენტთან წამლებს, თოკებს, თამბაქოს იყიდდნენ, მერე იმ კაცს ესროდნენ მზერას, რომლის სახელიც ამ ერთი კვირის წინათ არც ერთ მათგანს არ გაეგონა და რომელთანაც აწ ნება-უნებურად საქმის დაჭერა მოუხდებოდათ ხოლმე, და ისევ ხმის ამოუღებლად ბრუნდებოდნენ უკან, როგორც მოსულიყვნენ. ცხრა საათი იქნებოდა, როცა თავისი სისვი ცხენით ჯოდი უორნერი მოვიდა და დუქანს მიაშურა. შიგნიდან მისი ბოხი ხმა გამოისმა, მაგრამ პასუხი არ გაუგონიათ, გეგონებოდათ, ჯოდი საკუთარ თავს შეესიტყვაო. შუადღისას ჯოდი გამოვიდა, ამხედრდა და გაემგზავრა, ნოქარი კი დუქანში დარჩა. ასე იყო თუ ისე, ყველამ იცოდა, რაც მოიძღვანა ფლემმა იმ თუნუქის ვედროში, და საშუალებოდ წასვლა-წამოსვლა დაიწყეს. კარს რომ ჩაუვლიდნენ, დუქანში იხედებოდნენ, ოღონდ თვალი ვერაფერს მოატანეს. თუკი ჭამდა რამეს ნოქარი, ეტყობა, სიღრმის კუთხეში მიმჯდარიყო. რეტლიფი რომ გალერეაში დაბრუნდა, პირველი საათიც არ იქნებოდა, იმიტომ, რომ დუქნიდან ასიოდე ნაბიჯზე ისადილა. თუმცა არც სხვებს დაუყოვნებიათ, კვლავ ჩამოსხდნენ

გალერეაში და გვიან საღამომდე იქ იყვნენ, თითო-ოროლა უმნიშვნელო სიტყვას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ხმადაბლა ერთმანეთს. ამასობაში კი ხალხი ყოველი მხრიდან ეშურებოდა, ხუთი-ათი ცენტის საფასურს რაიმე წვრილმანს ყიდულობდნენ და ისევ თავიანთ გზას მიუყვებოდნენ.

იმ კვირის ბოლოს უკვე ყველანი ნამყოფი იყვნენ დუქანში, ყველას ჰყავდა ნანახი ახალი ნოქარი, იმათაც, ვისაც მომავალშიც მოუწევდა მასთან საქმის დაჭერა, სანოვაგის თუ სხვა რამე საქონლის ყიდვა, და იმათაც, ვისაც არც მანამდე და არც შემდეგში არაფერი უყვია უორნერის დუქანში, - მამაკაცები, ქალები, ბავშვები, იმ დღემდე სახლიდან გამოუყვანელი ჩვილი ბალები, სნეულნი თუ მიხრწნილნი, რომელთაც, ეს ამბავი რომ არა, სახლის ზღურბლს მხოლოდ ერთხელ და საბოლოოდ გადმოაცილებდნენ და ის იქნებოდა, - მოდიოდნენ ცხენსა თუ ჯორზე ამხედრებულნი, ან ოჯახ-ოჯახ ფურგონებშიჩალაგებულნი. რეტლიფი ჯერაც არსაით ეშურებოდა, მისი მომცრო ფურგონი ნახმარ გრამოფონიანად და ფარცხისახალ კბილებიანად ისევ მისის ლიტლჯონის ბაკში იდგა, ხელნასთვის ფიცარი შეეყენებინა და სხვადასხვა ფერის მუხლმაგარი ცხენები, უქმად დგომით თავგაბეზრებულნი, თავლაში ბორგავდნენ. და რეტლიფი ყოველ დილით ხედავდა, როგორ მიემგზავრებოდა დუქნისკენ სხვის უნაგირდადგმულ ჯორზე ამხედრებული ნოქარი, ახალთახალ თეთრ ხალათში გამოწყობილი (რომელიც დღითი დღე უჭუჭყიანდებოდა), თუნუქის ვედროჩამოკონწიალებული, თუმცა ჯერ კაცს არ ენახა, როგორ სადილობდა ხოლმე. მოვიდოდა, ჯორს მიაბამდა და დუქანს გასაღებით გააღებდა, თუმცა არავინ ელოდა, თუ გასაღებსაც ანდობდნენ, - ყოველ შემთხვევაში ამთავითვე. მეორე თუ მესამე დღიდან მოკიდებული რეტლიფის და სხვა დანარჩენი ხალხის გამოჩენამდეც ასწრებდა დუქნის გაღებას. ჯოდი უორნერი ცხრა საათისთვის მოვიდოდა ხოლმე, კართანას აივლიდა, შეკრებილთ თავს დაუკრავდა და დუქანს მიაშურებდა, ოღონდ იმ პირველი დღის შემდეგ თხუთმეტ წუთზე მეტი აღარც დაუხანებია შიგ. რეტლიფს და მის ამფსონებს იმედი გაუცრუვდათ - ახალგაზრდა უორნერისა და მისი ნოქრის ფარული ზრახვები იყო თუ რაღაც საიდუმლო, ვერაფერი შეიტყვეს. ისევ ისე გაისმოდა უორნერის დაბალი, ბოხი ხმა და ისევ გეგონებოდათ, თავის თავს ესიტყვებოაო ჯოდი, რადგან რაიმე გარკვეული პასუხი არასოდეს გაუგონიათ. მერე ჯოდიცა და ნოქარიც კარს მოადგებოდნენ და შეჩერდებოდნენ. უორნერი უკანასკნელ განკარგულებებს მისცემდა და გაემგზავრებოდა; ხოლო როცა იქ მყოფნი ხელახლა კარისკენ შეტრიალდებოდნენ, იქ აღარავინ ხვდებოდათ.

ბოლოს, პარასკევ საღამოს, თავად ბილ უორნერიც გამოჩნდა. შესაძლოა, რეტლიფი და მისი ამფსონები სწორედ მის გამოჩენას ელოდებოდნენ. ოღონდ თუ ვისმე იმედი ჰქონდა - ახლა კი გამჟღავნდებაო საიდუმლო, რეტლიფი არ ყოფილა ის მოიმედე, ისე რომ, ეტყობა, მარტო რეტლიფს არ გაკვირვებია, როცა ყოველივე სხვაგვარად წარიმართა. მათი მოლოდინის საწინააღმდეგოდ: ნოქარმა კი არ შეიტყო ბოლოს და ბოლოს, ვისთან მსახურობდა, ბილ უორნერმა გაიგო, ვინც ემსახურებოდა. ბილ უორნერი თავის ხანმოთეულ, მსუქან თეთრ ფაშატზე ამხედრებული მოვიდა. კართანას ზედა საფეხურზე ჩამომჯდარი ერთი იქ მყოფთაგანი კიბეზე დაეშვა, აღვირი ჩამოართვა და ცხენი მიაბა, უორნერი კი ჩამოხტა. ვიდრე შეკრებილნი მორიდებით ჩურჩულებდნენ, გალერეაში ავიდა და რეტლიფს შეეკითხა მხიარულად:

- დასწყევლოს ღმერთმა, თქვენ ისევ უქმად ზიხართ?

დანებით დასერილ ხის ძელსკამზე ჩამომსხდარი ორი იქ მყოფთაგანი წამოდგა და ადგილი დაუთმო, მაგრამ უორნერი მაშინვე არ დამჯდარა. მაღალი, ხმელ-ხმელი უორნერი ჯერ ღია კარის წინ შეჩერდა, თითქმის ისევე, როგორც სხვები შეჩერდებოდნენ ხოლმე, კისერი ინდაურივით წაიგრძელა, წამით დუქანში შეიხედა და შესძახა:

- ეი, თქვენ, იმანო! ფლემ! ჩემი თუთუნი მომაწოდეთ ერთი! ჯოდი გიჩვენებდათ, სადაც დევს.

შეკრებილთ მიეახლა, ორმა ადგილი დაუთმო დასერილ ძელსკამზე, ისიც ჩამოჯდა, ჯიბიდან დანა ამოიღო და ის იყო თავის მხიარულ ხმაზე, ეპისკოპოსივით წამდერებულად, მარილიანი ანეკდოტის მოყოლა დაიწყო, რომ ნოქარი (რეტლიფს მისი ფეხის ხმა არ გაუგონია) მიადგა გვერდიდან. უორნერს თხრობა არ შეუწყვეტია, ისე ჩამოართვა თამბაქო, დასაღეჭი ჩამოჭრა, ცერით დანა დაკეცა და ფეხი გამართა ჯიბეში დანის ჩასადებად, მაგრამ უცბად გაჩუმდა და თავი მკვეთრად ასწია. ნოქარი ისევ გვერდით ედგა.

- ჰო? - მიმართა უორნერმა. - რა ამბავია?

- თუთუნის საფასური არ გადაგიხდიათ, - უთხრა ნოქარმა. წამით უორნერი, როგორც იყო, ისევ გაშეშდა, - ფეხი წინ გაწვდილი დარჩა, ცალ ხელში თამბაქოს შეკვრა და მისი ჩამონაჭერი, მეორეში დანა, რომელიც ჯიბემდე აღარ მიუტანია. სხვებიც გაშრნენ ყველანი, მდუმარედ და გულდასმით დაუწყეს თვალთვლება საკუთარ ხელებს ან იმას, რასაც მათი მზერა შერჩა. როცა თხრობა შეწყვიტა უორნერმა.

- ხო-ო, - თქვა უორნერმა. დანა ჩაიღო, შარვლის ჯიბიდან სიდიდით, მოყვანილობით და ფერით ბადრიჯნის მსგავსი ტყავის საფულე ამოიღო, ხუთი ცენტი გადათვალა და ნოქარს მისცა. რეტლიფს არც ის გაუგია, როგორ გამოვიდა დუქნიდან ნოქარი, და არც ის, როგორ შებრუნდა. ახალადა მიხვდა, რატომაც ვერ გაიგონა: ნოქარს ახალთახალი რეზინის ჩუსტები ეცვა ფეხზე.

- ჰო, რას ვამბობდი? - იკითხა უორნერმა.

- იმ ბიჭმა სწორედ შარვლის შეხსნა დაიწყო, - უწყინარი ხმით შეაგება რეტლიფმა.

მეორე დღეს რეტლიფი გაემგზავრა. საარსებო სახსრის მოპოვების მკაცრი აუცილებლობა როდი იყო მისი აქედან განრიდების მიზეზი. ამ მხარეში ბარე ნახევარ წელიწადს შეეძლო ერთი სუფრიდან მეორეს ისე სწვეოდა, ჯიბეში ერთხელაც არ ჩაეყო ხელი. გზაზე დადგომა აიძულა ოდითაგანვე დამკვიდრებულმა წესმა, ჭორების უცვლელმა და შეუწყვეტელმა ორომტრიალმა, მათი გავრცელების სიამოვნებამ, რადგან უკვე ორი კვირა იყო, რაც დუქნის გაღერებაში მჯდომარე თავისი თვალთ ხედავდა, როგორ გუბდებოდა ცინცხალ-ცინცხალი გულის შემძვრელი ამბები. ფრანგისხევეში ხუთი თვის შემდეგდა მოხვდა ხელახლა. ოთხ ოლქზე გადიოდა მისი გზა;

მოუშლელი იყო ის გზა და მხოლოდ თავისსავე ფარგლებში თუ შეიცვლებოდა ხოლმე. თავის ოთხ ოლქს ათ წელიწადს არსად გასცილება რეტლიფი, ოღონდ იმ ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს უცბად ტენესიში ამოყო თავი. და უცხო მიწაზე კი არ აღმოჩნდა მხოლოდ, ოქროს ბარიერს იქით დარჩა, წკრიალა ფულის განუწყვეტლივ მზარდი გროვაც ამორებდა მშობლიურ შტატს.

მთელ ზაფხულს და ზაფხულსაც მისი საქმე ჩინებულად მიდიოდა. ჩვეულებრივზე მეტი ივაჭრა, საკერავ მანქანებს ყიდდა და ნისიად უტოვებდა მოსავლის მოწევამდე, რის მოკრებაც გაეწყობოდა, იმ ფულს კრებდა, თანაც გადაცვილი საგნებს ნაღდ ფულზე ასაღებდა, რათა მემფისელი ბითუმად მოვაჭრე გაესტუმრებინა, ახალი მანქანების ფული მიეცა და მერე ის მანქანები ხელახლა გაეყიდა თავდებიანი თამასუქებით, ვიდრე ერთხელ არ აღმოაჩინა, რომ საკუთარი სპეკულაციებით კინაღამ გაკოტრებულიყო. ბითუმად მოვაჭრემ ფულის თავისი ნახევარი მოსთხოვა ვადაგაგრძელებული ოცდოლარიანი თამასუქებით. რეტლიფმაც ფიცხლად ჩამოუარა მოვალეებს. თავაზიანად ირჯებოდა, ანეკდოტს ანეკდოტზე ჰყვებოდა, გეგონებოდათ კვლავინდებურად არსად ეჩქარებაო. ოღონდ ყველანი ისე გამოიჭირა, ხელიდან ვერაფრით უსხლტებოდნენ, თუმცა ბამბა ის-ის იყო ყვავილობას იწყებდა, ისე რომ ფული ერთ-ორ თვეში უნდა გასჩენოდათ, მანამდე არა. ამის შემდეგ მას აღმოაჩნდა რამდენიმე დოლარი, ფურგონის ნახმარი მოსართავი და რვა ფრთა თეთრ-თეთრი ლეგჰორნი. მოვაჭრისა ასოცი დოლარი ემართა. რეტლიფმა რიცხვით მეთორმეტე კლიენტს მიაშურა, თავის შორეულ ნათესავს, და შეიტყო, რომ ის კლიენტი ერთი კვირის წინ გამგზავრებულიყო ტენესის შტატის კოლუმბიაში, იქაურ ცხენის ბაზრობაზე რამდენიმე ჯორის გასაყიდად.

რეტლიფი მაშინვე უკან გაჰყვა და მოსართავიცა და ქათმებიც თან გაიძღვანა. მარტო იმას კი არ ვარაუდობდა, ჩემს ვალს დავიბრუნებ, ოღონდ კი მანამდე ჩავუსწრო, ვიდრე იმ ჩემს სახლიკაცს თავის მხრივ ჯორებს სხვა შემოაჩეჩებსო, იმის იმედიც ჰქონდა, ბითუმად მოვაჭრის გასასტუმრებელ ფულსაც აქეთ ვესესხებიო. კოლუმბიას ოთხ დღეში მიატანა და, რომ მიიხედ-მოიხედა, გულმა სასიხარულო ამბავი ისე უგრძნო, როგორც უკაცრიელ, სპილოებით გაჭედილ აფრიკულ ჭალაში შემთხვევით მოხვედრილ თეთრკანიან მონადირეს, რომელსაც მეტი ჯაფა არ დაადგება, ოღონდ კი ისროლოს და სპილოს ძვალი მოხიკოს. რეტლიფმა საკერავი მანქანა იმ კაცს მიჰყიდა, ვისგანაც შეიტყო, თუ სად იდგა მისი სახლიკაცი, მერე კი ღამის გასათევად სახლიკაცთან ერთად გაემგზავრა მისი ცოლის ბიძაშვილთან, კოლუმბიიდან ათ მილზე, და მანქანა იქაც გაასალა. პირველსავე ოთხ დღეში სამი მანქანა გაყიდა; კოლუმბიაში ერთი თვე დაჰყო, საბოლოოდ რვა მანქანა გაასალა, ნაღდი ოთხმოცი დოლარი აიღო და ამ ოთხმოცი დოლარით, ფურგონის მოსართავითა და რვა ქათმით ჯორები შეიძინა, მემფისში ჩაიყვანა და ცხენის ბაზრობაზე ასოცდათხუთმეტ დოლარად გავიდა, ნისიად მოვაჭრეს ასოცი დოლარი და ძველის დასაფარავად ახალი თამასუქები მისცა და მოსავლის მოწვევის დროისთვის შინ დაბრუნდა. ორ დოლართან და ორმოცდაცამეტ ცენტთან ერთად ჯიბეში ედო თორმეტი ოცდოლარიანი თამასუქი, რომლებიც ბამბის გაწმენდისა და გაყიდვისთანავე უნდა გაენაღდებინათ.

ნოემბერში რეტლიფი ფრანგისხევს რომ დაუბრუნდა, იქ თავის კალაპოტში ჩამდგარი დახვდა ყოველივე. ხალხი უსიტყვოდ შეჰგუებოდა ნოქრის არსებობას, თუმცაღა თავისიან კაცად არავის მიუჩნევია, გარდა უორნერებისა. წინათ ჯოდი ყოველდღე ცოტა ხნით მაინც შეივლიდა ხოლმე დუქანში და მერე სადმე ახლომახლო იყო. ახლა კი რეტლიფმა შეიტყო - ჯოდი თვეობით არსად ჩანს და მისი მუდმივი, ძველი მუშტრები, რომლებიც ადრე მეტწილად თავადვე იღებდნენ, რაც კი სჭირდებოდათ, ხოლო წადებულის საფასურს პატიოსნად დებდნენ იქვე მდგარ სიგარის კოლოფში, ახლა იძულებულნი იყვნენ სულ უბრალო რამეზეც მიემართათ იმ კაცისთვის, ვისი სახელიც ამ ორიოდ თვის წინათ ყურმოკრულადაც არ იცოდნენ და ვინც ყოველ შეკითხვაზე „ჰოსა“ და „არას“ მეტს არაფერს უპასუხებდა და პირდაპირ სახეში არავის შეხედავდა, ან, თუ შეხედავდა, ისე გულს გარეთ, რომ სახელი ვერავისი დაიმახსოვრა, ოღონდ სამაგიეროდ ფულის გადათვლისას შეცდომა არასოდეს მოსვლია. ჯოდის ხომ მუდამ ეშლებოდა, რაღა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ, და მუშტრები ძაფის კოჭით თუ საყნოსავი თამბაქოს კოლოფითურთ სტოვებდნენ დუქანს, ოღონდ ადრე თუ გვიან გონს მოეგებოდნენ ხოლმე და უკან ბრუნდებოდნენ. იცოდნენ, ამგვარ ცოდვას რომ ჩადიოდა ჯოდი, მაგრამ იმაშიც გულდაჯერებულნი იყვნენ, რომ, თუკი გამოიჭერდნენ, ჯოდი ხელს გადაყოლებულს იმწამსვე დაუბრუნებდა, ყოველივეს ხუმრობად გაასაღებდა, თუმცა ბოლოს და ბოლოს მუშტარი არასოდეს იყო დარწმუნებული - სწორად მიანგარიშესო. ამასაც შეუწოდებდნენ ხოლმე ჯოდის, რადგან უარს არასოდეს ეუბნებოდა მათ დიდი ვადით ნისიად წაეღოთ სანოვაგე, გუთნები, ფარცხები და, თუმცა ისიც კარგად იცოდნენ, მერე პროცენტები უნდა ვიხადოთო, მაინც ეს ყოველივე დიდსულოვნებად და სიუხვედ ჩანდა, მიუხედავად იმისა, ეს პროცენტები საბოლოო ანგარიშში შედიოდა თუ არა. ნოქარი კიდეც არასოდეს შემცდარაო.

- კარგი ერთი, - თქვა რეტლიფმა. - ადრე თუ გვიან უეჭველად გამოიჭერენ. აქედან ოცდახუთ მილზე ერთი კაცი, ერთი დედაკაცი ან ერთი ყმაწვილიც არ მოიძებნება, ვინც არ იცოდეს, თუ რა იშოვება ამ დუქანში და რას რა ფასი აქვს, თანაც ბილზე ან ჯოდი უორნერზე ნაკლებად კი არა.

- ჰი, - თქვა ოდემ ბუკრაიტმა, ჩამჯდარმა, ფეხებმოკლე, შავწარბა, ცოცხალსახიანმა კაცმა. - საქმეც ეგ არის და.

- დავიჯერო, ერთხელაც ვერავინ გამოიჭირა?

- ვერავინ, - მიუგო ბუკრაიტმა. - ჰოდა, ხალხს ეჩოთირება ეს ამბავი. აბა, რა იქნება!

- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა. - აბა, რა იქნება!

- ნისიის ამბავს აღარ იკითხავ? - უთხრა მეორემ, აყლაყუდამ, თავდიდამ, თმაშეთხელებულმა და ბეცი თვალების პატრონმა, ქვიკმა, ხე-ტყის სახერხის მუშამ. მერე მოდგა და მოუთხრო, როგორც იყო საქმე მაშინვე შევატყვეთ, ვალს რომ არავის ანდობდაო. ბოლოს ის იყო, პირდაპირ უთხრა ნისიაზე უარი ერთ კაცს, ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს ვალებში რომ ეფლობოდა და მერე ისევ ამოდიოდა ამ ვალებიდან. მერე ამავე დღეს ბილ უორნერი თავადვე მოიჭრა თავისი თეთრი ფაშატით და ისე

ულრიალა, გზას გადაღმა სამჭედლოშიც გაიგონებდი - ვისიანო, შენი აზრით, ეს დასაღუპი დუქანი?

- ჩვენ კი ვიცით ასე თუ ისე, ვისიცაა ჯერჯერობით, - თქვა რეტლიფმა.

- ანდა ვისად მიაჩნიათ ჯერჯერობით ზოგიერთებს, - დასძინა ბუკრაიტმა. - ეს კია, რომ უორნერების სახლში ჯერ არ გადასულა საცხოვრებლად.

იმიტომ, რომ ნოქარი ახლა ფრანგისხევში ცხოვრობდა. ერთ შაბათს ვილაცამ შენიშნა, რომ დუქანს უკან შეკაზმული ჯორი აღარ იდგა. შაბათობით დუქანი საღამოს ათ საათამდე, თუ უფრო გვიანობამდე არა, ღია იყო ხოლმე, ირგვლივ კიდევ სულ მუდამ ხალხი ირეოდა. რამდენიმე კაცმა დაინახა, როგორ ჩააქრო ნოქარმა სინათლე, კარი გამოკეტა და ფეხით გაუყვა გზას. ხოლო მეორე დილით ფლემი, რომელიც მანამდე შაბათ საღამოდან ორშაბათამდე ფრანგისხევში არავის დაელანდა, ეკლესიაში გამოჩნდა და, ვინც კი დაინახა, თვალებს არავინ უჯერებდა. მაუდის რუხი კეპისა და რუხი ფერისავე შარვლის გარდა, ახლა შავი, ბანტად გაკრული, რეზინს მიმაგრებული ჰალსტუხიც ეკეთა. ორ დუიშზე გრძელი არც იქნებოდა, მაგრამ, იმ ჰალსტუხს თუ არ ვიანგარიშებთ, რომელსაც ეკლესიაში თავად ბილ უორნერი იკეთებდა ხოლმე, ეს ერთადერთი ჰალსტუხი იყო მთელ ფრანგისხევში. და იმ კვირადლიდან მოყოლებული სიკვდილის დღემდე ფლემი განუშორებლად ატარებდა იმ ჰალსტუხს, ან კიდევ მეორეს, ზუსტად ისეთივეს (შემდეგში, როცა უკვე ჯეფერსონის ბანკის პრეზიდენტი შეიქნა, ამბობდნენ - ერთად, ბითუმად უკვეთავსო იმ ჰალსტუხებს). ეკლესიიდან ფეხით გაბრუნდა. დილითაც ქვეითად მოვიდა დუქანში და ისევ ის ჰალსტუხი ეკეთა. საღამო ხანს კი უკვე ყველამ იცოდა - შაბათიდან მოყოლებული დუქნიდან ერთი მილის სიშორეზე ჩასახლდაო ერთ ოჯახში.

კარგა ხანი იყო, რაც ბილ უორნერი დაბრუნებოდა თავის ძველებურს, უქმსა და თან საზრუნავიან, უშფოთველ ცხოვრებას, თუმცა, კაცმა რომ თქვას, იქნებ არც მანამდე შეუცვლია ამგვარი ცხოვრების წესი. ოთხ ივლისს აქეთ დუქანში აღარ შეველო. შემდეგში, აგვისტოს მოცილილ დღეებში, როცა ბამბა სიმწიფეს იწყებს და ხალხს საქმე აღარაფერი აქვს, ჯოდიც შეეშვა დუქანში სიარულს და ახლა უკვე ნამდვილად იტყოდით - დუქნის მოვლა-პატრონობის უფლება კი არა მხოლოდ, თავად დუქანიც და მისი მთელი შემოსავალიც ეკუთვნისო ამ ჯამზე, სიტყვაძვირ კაცს, რომელსაც ემოსა კვირიდან კვირამდე გასაჭუჭყიანებელი თეთრი ხალათი და ეკეთა პაწაწკინტელა, ჭუჭყმოდებელი, ბანტად შეკრული ჰალსტუხი, კაცს, რომელიც გამოცარიელებული და სხვადასხვა სუნიტ გაჟღენთილი დუქნის სიბნელეში შეყუჟულიყო და უფერულ, გაბერილ, მომწამვლელ, თუმცაღა შხამის უქონელ ობობას ჰგავდა რაღაცით.

მერე კი, სექტემბერში, რაღაც მოხდა, უფრო სწორად, რაღაც დაიწყო, თუმცა თავდაპირველად ვერავინ მიხვდა, რაში იყო საქმე. ბამბა გაიშალა, კრეფდნენ უკვე. ერთ დილას დუქანში პირველ მომსვლელ მუშტარს იქ ჯოდი უორნერი დახვდა. ბამბის საწმენდი მანქანიანი ფარდული გაღებული იყო და უორნერების მჭედელი ტრამბლი თავის ხელქვეითთან და ცეცხლფარემ ზანგთან ერთად საალოოდ სინჯავდა იმ მანქანას, რომ დუქნის კარში სნოუჰსი გამოჩნდა, პირდაპირ ფარდულისკენ გაემართა და თვალს მიეფარა,

ესე იგი დროით ხსოვნიდანაც გაქრა. მხოლოდ დუქანი რომ დაიკეტა, ყველანი მიხედნენ, რომ ჯოდი უორნერი მთელ დღეს შიგ მჯდარიყო, მაგრამ მაშინაც კი ამ ამბისთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუციათ. იფიქრეს – ალბათ ჯოდიმ მანქანის მომზადებისთვის თვალის სადევნებლად გაგზავნაო ნოქარი. თუმცა ამას თავად აკეთებდა ხოლმე. ეტყობა, დაეზარა და დუქანში ჯდომა არჩია – ტყუილუბრალოდ ფეხებს ჯაფა არ დავაყენოო. ეს მცდარი აზრი მაშინდა გაიფანტა, როცა ბამბის წმენდა დაიწყო და პირველი დატვირთული ოთხთვალა გამოჩნდა. აქ ყველანი დარწმუნდნენ, რომ დუქანში კვლავაც ვაჭრობდა და ხუთ თუ ათცენტრიან ხურდა ფულს ითვლიდა ჯოდი უორნერი, ხოლო ნოქარი მთელ დღეს იჯდა სასწორთან და თვალს ადევნებდა, როგორ ადიოდნენ რიგრიგობით სასწორზე ოთხთვალები, შებრუნდებოდნენ და ბამბის მიმღებთან შედგებოდნენ. წინათ ჯოდი ორსავე საქმეს თავადვე ართმევდა თავს. ესე იგი მეტწილად სასწორთან იჯდა, ვაჭრობა კი ალაღბედზე ჰქონდა მიშვებული, – თუმცა ისედაც მუდამ ალაღბედზე მიდიოდა, – ოღონდ დროდადრო, უბრალოდ სული რომ მოეთქვა, ოთხთვალას სასწორზე მიატოვებდა, სასწორს კი თხუთმეტიოდე ან, სულაც, ორმოციოდე წუთით დაკეტავდა და თავად დუქანში საქმიანობდა ხოლმე. საამდროოდ ზოგჯერ მუშტარიც არსად ჩანდა. ცუდთვალანი თუ შემოეხეტებოდნენ, ჯოდის ნათხრობის მოსასმენად ნიადაგ მზადმყოფნი. მაგრამ ამას რა უშავდა. ყოველივე თავის რიგზე მიდიოდა. ახლა კი, როცა ორნი შეიქნენ, რატომ არ უნდა მჯდარიყო ერთი მათგანი დუქანში, ვიდრემეორე ბამბის წონით იქნებოდა დასაქმებული, ან რატომ არ უნდა ყოფილიყო სასწორთან ჯოდი? განა მათ სულში აღიძრა ცივი ეჭვი, რომ...

– რასაკვირველია, – თქვა რეტლიფმა. – ყველაფერი ცხადია. ახლა ჯოდი დუქანში იჯდება და ისაა. ოღონდ ვინ აიძულა – იქ იჯექიო? – რეტლიფმა და ბუკრაიტმა ერთიმეორეს გადახედეს. – ერთი კია, რომ ბიძია ბილი არ იზამდა ამას. დუქანიც და ის მანქანაც მშვენივრად იყო აგერ ორმოცი წელია. მეტი თუ არა, და ჯოდი მარტოდმარტოც ართმევდა თავს ორივეს, ბიძია ბილის ხანში კი ადამიანს მაინცდამაინც არ უყვარს თავისი შეხედულებების შეცვლა. კარგი, ეს ასეა, მაგრამ აწი რაღა?

გალერეიდან ორივენი ჩანდნენ. დატვირთული ოთხთვალები მოდიოდნენ, გზის გასწვრივ მწკრივდებოდნენ, ისე რომ ყოველი ჯორის ცხვირი ოთხთვალის ბოლოს იყო მიბჯენილი, და რიგს ელოდებოდნენ, რათა სასწორზე ასულიყვნენ, შემდეგ კი ბამბის მისაღებს მისდგომოდნენ. მათი პატრონები კი ჩამოხტებოდნენ, სადავეს სარზე მიახვევდნენ და მიაშურებდნენ გალერეას, საიდანაც კარგად ჩანდა სასწორი და იქვე – აუღელვებელი, ამოუცნობი, ნიადაგ მღეჭავი სახე, მაუდის კეპი და პაწაწკინტელა ჰალსტუხი, ხოლო დუქნიდან დროდადრო მოისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი დურდური, რომლითაც უორნერი თავის მუშტრებს გაეპასუხებოდა ხოლმე. ისინი ზოგჯერ თვითონაც შედიოდნენ დუქანში, რათა შეემინათ თამბაქო თუ ტომრები, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, არაფრად ესაჭიროებოდათ, ან კიდევ უბრალოდ კედარის ბადიიდან წყალი შეესვათ, იმიტომ, რომ ჯოდის მზერაში ისეთი რაღაც გამოკრთა, რაც წინათ არასოდეს შეუნიშნავთ – რაღაც ჩრდილი, რაღაცგვარი გამომეტყველება, ჯავრის, საფიქრალისა და ნამდვილი გულისხმისყოფის საშუალი, შეცბუნებული კი არა, პირიქით, – ფხიზელი. ეს ის დრო იყო, რომლის გამოც შემდეგში, ორი-სამი წელი რომ გამოხდა, ერთიმეორეს ასე ეტყოდნენ – სწორედ მაშინ, ჯოდი რომ გააცურაო, თუმცა

რეტლიფი უეჭველად დააზუსტებდა ხოლმე - თქვენ იმის თქმა გინდათ, ჯოდიმ რომ იაზრა - მატყუებენო.

გარნა ეს ყოველივე ჯერ კიდევ წინ იყო. ჯერჯერობით კი უთვალთვალეზდნენ და შეუმჩნეველი არაფერი რჩებოდათ. მთელ თვეს, გათენებიდან დაღამებამდე მიდამოს მანქანის გრიალი ავსებდა; ოთხთვალეზი სასწორთან რიგში დგებოდნენ და ერთიმეორის მიყოლებით მიიწევდნენ ბამბის მიმღებისკენ. დროდადრო ნოქარი გზას გადაჭრიდა და დუქნისკენ მიდიოდა და ქუდი, შარვალი, ჰალსტუხიცი კი ბამბის ფთილებით ჰქონდა ამოგანგლული. გალერეაში შეკრებილი, სასწორის რიგში თავგაბეზრებული ხალხი მზერით დუქნის კარამდე მიაცილებდა და წამის შემდეგ ესმოდათ ხმა, ამჯერად უკვე მისი ხმა - ჩუმი, საქმიანი, მკაფიო. გარნა ჯოდი უორნერი აღარ გამოკყვებოდა, დუქნის კარშიც აღარ გამოჩნდებოდა ხოლმე ძველებურად, და გალერეაში მყოფნი უმზერდნენ, როგორ ბრუნდებოდა მანქანასთან ნოქარი, უმზერდნენ მის განიერ, ჩასხმულ ზურგს - უსახოს, ავბედითს, ასაკდაუტყობელს. ბამბა რომ მოიკრიფა, გაიწმინდა და გაიყიდა, ის დროც დადგა, როდესაც ბილ უორნერი თავის არენდატორებსა და მოვალეებს უსწორდებოდა ხოლმე ყოველ წელიწადს. ამ საქმეს, ჩვეულებრივ, თავად აკეთებდა, ჯოდისაც კი არ დაიხმარებდა. ამ წელს კი ბილ უორნერი ფოლადის სეიფთან თავის დახლს მისჯდომოდა და მის გვერდით, ლურსმნების კასრზე სნოუჰისი ჩამომჯდარიყო ანგარიშების წიგნითურთ. დერეფანივით ვიწრო შენობაში, რომლის კედლებთან კონსერვის ქილები იყო ჩამწკრივებული, რომელიც სასოფლო-სამეურნეო იარაღებით იყო მოცეილილი, ამჯერად კი გაჭედილიყო მომთმენი, მიწის სუნგამჯდარი ხალხით, ვინც მზად იყო მთელი წლის ჯაფის საფასურად უორნერის მიერ გაღებულ ნებისმიერ თანხას დასჯერებოდა უდრტვინველად, უორნერი და სნოუჰისი მოგაგონებდნენ თეთრკანიან მოვაჭრეს სადმე აფრიკაში და მის ხელქვეით გადამთიელს, რომელიც თუთიყუშივით იმეორებს ბატონის ყოველ სიტყვას.

ოლონდ ეს გადამთიელი სწრაფად ეთვისებოდა ცივილიზაციის სიკეთეს. არავინ იცოდა, რამდენს უხდიდა მას უორნერი, ერთი კი იცოდნენ, რომ ბილ უორნერს წესად არ ჰქონია მაინცდამაინც ბევრი გაემეტებინა რაგინდარა საქმეც უნდა ყოფილიყო. და მაინც ამ კაცს, რომელიც სულ ამ ხუთიოდე თვის წინათ სამუშაოზე რვა მილის სიშორიდან მიდი-მოდიოდა ხელიდან წასულ უნაგირიან ჯორზე ამხედრებული და თუნუქის ვედროთი ცივი თალგამი თუ ცერცვი დაჰქონდა სადილად, ამ კაცს ახლა ბინა კი არ ჰქონდა ნაქირავები მხოლოდ, თითქოს მიმომსვლელი ვაჭარი ყოფილიყოს, არამედ ერთი იქაური მკვიდრისთვის გვარიანი თანხაც ესესხებინა პროცენტებზე საგანგებოდ შეუთანხმებლად. და, ვიდრე უკანასკნელად მოწეული ბამბა მანქანაში გაივლიდა, ყველამ შეიტყო, რომ ამ კაცისგან, რა დროსაც უნდა დაგჭირვებოდათ, შეგეძლოთ რამდენიც გინდოდათ, იმდენი გესესხათ, ოცდახუთი ცენტით დაწყებული და ათი დოლარით დამთავრებული, ოლონდ იმ პირობით, თუ სარგებლის პროცენტებს არ დაიშურებდით. მომავალი წლის გაზაფხულზე კი ტალმა ჯეფერსონს ჯოგი ჩარეკა რკინიგზაზე დასატვირთად და მიაკითხა ავადმყოფ რეტლიფს - მას ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთება ჰქონდა - მისსავე ბინაზე, სადაც მისი ქვრივი და დიასახლისობდა. ტალმა უამბო - მოზარდეულის დიდი ჯოგი, რომელიც გამოსაზამთრებლად იმ ფერმის სამოვარზე იყო, რომელიც სნოუჰისის მამამ იჯარით გამოართვაო უორნერებს, ვიდრე შენ მემფისის საავადმყოფოში ოპერაციას გაგიკეთებდნენ,

ვიდრე შინ დაბრუნდებოდი და ჩვენს არემარეში მომხდარი ამბებით ხელახლა დაინტერესდებოდი, გვარიანად წამოიზარდა, მერე კი, ერთ ღამეს, სულაც დაიკარგაო ის ჯოგი; და მის გაქრობისთანავე სხვა ფერმაში, რომელიც აგრეთვე უორნერებს ეკუთვნით, ოღონდ იჯარით არ არისო გაცემული, რაღაც სასწაულით გაჩნდაო მშვენიერი ჰერფორდული ძროხების ჯოგი, და ეს ძროხები ახალ სამყოფელში ისე აღმოჩნდნენ, ფრჩხილიც არ წამოსტკენიათ, არც არაფრით შეცვლილან, ოღონდ ეს კია, რომ წონაც და ფასიც მოემატათო, და მხოლოდ შემდეგ შევიტყვეთ - ამ სამოვარზე ჯოგი იმის წყალობით მოხვედრილა, რომ გირაო გამოურიცხავთ ვადაგადაცილებული საგირავნოდან, რომლის ნომინალური მფლობელი ჯეფერსონის ბანკი ყოფილა. ბუკრაიტმა და ტალმა ორივემ ინახულეს რეტლიფი და ეს ამბავი მოუთხრეს.

- იქნებ ამდენ ხანს სულ ბანკის სარდაფებში იდგნენ ის ძროხები? - მისუსტებული ხმით აღმოთქვა რეტლიფმა. - ბილი რაღას ამბობს - ვისიაო?

- სნოუპსებისააო. ასე თქვა - იმ ძაღლის დაგდებულს ჰკითხეთ, ჯოდიმ რომ ნოქრად აიყვანაო.

- მერე ჰკითხეთ?

- ბუკრაიტმა ჰკითხა და სნოუპსმა უპასუხა - ის ძროხები უორნერის სამოვარზე არიანო. ბუკრაიტმა - კი, მაგრამ ბილი ამბობს, თვექნიაო ის ძროხები. ამაზე სნოუპსმა ზურგი შეაქცია, გადააფურთხა და ისევ თავისი თქვა - უორნერის სამოვარზე არიანო.

რეტლიფი ისევ ავად იყო და ამიტომ კიდევ ერთ ამბავს ვერ შეესწრო, მხოლოდ სხვათა ნათქვამი მოისმინა, მაგრამ უკვე საკმაოდ იყო მომჯობინებული და მოკეთებული, რათა მონათხრობი გაეაზრებინა, როცა ბალიშებშემოწყობილი იჯდა ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში - დაფიქრებული, მჩხრეკელი, ცბიერი და შეუცნობელი - და უმზერდა, როგორ იწყებოდა შემოდგომა, უმზერდა და ოქტომბრის შუადღის მჭვირვალსა და მათრობელა ჰაერს ისუნთქავდა. რეტლიფს წარმოესახებოდა, როგორ მიიყვანა ცხენი დასაჭედად ამ მეორე გაზაფხულის ერთ დილას კაცმა, რომლის გვარი იყო ჰიუსტონი და რომელსაც უზარმაზარი, ჯიშისანი ნაგაზიც ახლდა, მიიყვანა და დაინახა, რომ სამჭედლოში ქურაზე ცეცხლის გასაჩაღებლად წახრილიყო და ჟანგიანი ბიდონიდან ნახშირს რაღაც სითხეს ასხამდა ვიღაც უცნობი, კარგად ჩასხმული, დაკუნთული ახალგაზრდა. ის კაცი რომ მოტრიალდა, ჰიუსტონმა თვალი შეავლო გამლილ, მშვიდ სახეს და ლამის ზედ წარბებამდე ჩამოზრდილი თმით დაფარულ ვიწრო შუბლს, უცნობმა უთხრა:

- გამარჯობა თქვენი. რაღაცა ცეცხლი ვერ ავანთე ვერაფრის დიდებით. ნავთს დავასხამ თუ არა, ქრება. უყურეთ ერთი. - ისევ წაუქცია თავი ბიდონს.

- მომითმინეთ, - უთხრა ჰიუსტონმა. - ნამდვილად ნავთი კია?

- ეს ბიდონი აგერ ამ თაროზე იდგა. ეტყობა, ნავთი უნდა ესხას შიგ. მართალია, ცოტა ჟანგი კი მოჰკიდებია, მაგრამ ჯერ არ გამიგონია, რომ ნავთს, თუ გინდა ჟანგმოდებულიც იყოს, ცეცხლი არ ეკიდებოდეს. -

ჰიუსტონი მივიდა, ბიდონი გამოართვა და დაყნოსა. ის მეორე ჰიუსტონს მისჩერებოდა. სალუქი ძალი ზღურბლზე იჯდა და ორივეს უმზერდა. - რაო, არა აქვს ნავთის სუნი?

- ეს მთხლეა, ნავთი კი არა, - მიუგო ჰიუსტონმა. მერე ბიდონი ქურას ზემოთ შექვარტლულ თაროზე შემოდგა. - კარგი, გამოწმინდეთ ურიდან ეგ დურდო. ხელახლა უნდა დავანთოთ. ტრამბლი სადაა?

ტრამბლი ის მჭედელი იყო, რომელიც აგერ ოცი წელი იქნებოდა, რაც აქ მუშაობდა.

- არ ვიცი, - უპასუხა იმან. - მე რომ მოვედი, არავინ დამხვედრია.

- თქვენ რაღას აკეთებთ აქ? ტრამბლმა გამოგზავნათ?

- არ ვიცი. მე ჩემმა სახლიკაცმა ამიყვანა. ასე მიბრძანა - დღეს დილიდან სამჭედურში იყავი, ცეცხლი დაანთე და ჩემს მოსვლამდე იქაურობას მიხედო. ერთი ნავთი შევასხა...

- ვინაა ის თქვენი სახლიკაცი? - შეეკითხა ჰიუსტონი.

ამ დროს გამოჩნდა ბებერი, გამვალტყავებული ჯაგლაგი, რომელიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ექაჩებოდა შელახულსა და მონჯღრეულ ეტლს, ცალი ბორბალი ორი ფიცრით რომ ჰქონდა შევრული ჯვარედინად, იტყოდით, მხოლოდ ინერციის ძალა აკავეს, თორემ, გაჩერდება თუ არა, მაშინვე დაიშლებო. ეტლში სხვა უცნობი იჯდა, მიღეული კაცუნა, თითქოს სხვისი გამოწაცვლით შემოსილი, სახეწაწვეტებული, ქრცვინის მინაგვარი. ამ კაცმა ცხენს შესაჩერებლად ისე ხმამაღლა შეუყვირა, თითქოს მინდორსგადმა ყოფილიყოს, ეტლიდან ჩამოხტა, სამჭედლოში შემოვიდა და უმაღვე ალაპარაკდა, უფრო სწორად, განაგრძო ლაპარაკი.

- დილა მშვიდობისა, დილა მშვიდობისა, - თქვა და წვრილი, ციმციმა თვალები ააცეცა. - ცხენის დაჭედვა გინდათ, არა? კარგი საქმეა, კარგი, ბედაურის მომვლელმა ჯერ ნალებს უნდა მოუაროს. კი, კარგი ცხენი გყოლიათ, მაგრამ ეგერ, მინდორში, ცოტა უკეთესსაც მოვკარი თვალი. თუმცა რა განსხვავებაა: მე და ჩემი ლაფშა ცხენიო. უპოვარ კაცს ასარჩევი ვინ მისცა? ასე რომ, არ იყოს, ყველანი რაშებს მოასხდებოდნენ. რაო, რა დღეში ხარ? - შეეკითხა წინსაფრიან კაცს. ახლა ადგილზე იდგა, მაგრამ გეგონებოდათ ისევ ფიცხლად მოძრაობსო, თითქოს მისი ტანსაცმელი ისე იყო შეკერილი და ისე ადგა ტანზე, რომ მისი სხეულის მოძრაობას, თუკი ამ ტანსაცმელქვეშ მართლა იყო სხეული, არაფრით ამჟღავნებდა. - ამდენ ხანს ცეცხლი ვერ დაგინთია? აბა, აბა.

თაროსკენ გაიწია, - იფიქრებდით, ეს ისევ ის განუწყვეტელი მოძრაობააო, - წამში იქ გაჩნდა, ბიდონს ხელი წამოავლო, დაყნოსა და, ვიდრე მისი ორიდამხვედური ხელის განძრევას მოასწრებდა, რაც შიგ იყო, კინალამ ნახშირს დაასხა, მაგრამ უკანასკნელ წამს ჰიუსტონმა შეაჩერა, ბიდონი გამოსტაცა და იქით მოისროლა.

- ეს მთხლე ამწუთას წავართვი ამ კაცს, - უთხრა ჰიუსტონმა. - რა უბედურება ტრიალებს აქ? სადაა ტრამბლი?

- ჰო, ის ყმაწვილი, წინათ აქ რომ იყო? - თქვა უცნობმა. - კონტრაქტი გააუქმეს. ახლა მე მაქვს იჯარით აღებული სამჭედური. მე სწოუპსს მეძახიან, ა. ო. სწოუპსს. ეს კიდევ ჩემი ბიძაშვილია, ეკ სწოუპსი, სამჭედურიც ისევ ისაა და გრდემლიც, ოღონდ მჭედელია ახალი.

- ფეხებზე მკიდია, რა ჰქვია მჭედელს, - უთხრა ჰიუსტონმა. - ცხენის დაჭედვა იცის?

უცნობი ისევ წინსაფრიან ახალგაზრდას მიუბრუნდა და ისევე შეუყვირა, როგორც მანამდე ცხენს უყვიროდა:

- მიდი, მიდი! გააჩაღე ცეცხლი!

ჰიუსტონი წუთით გაჩერებული უცქეროდა ორივეს, მერე საქმეს თვითონ მოჰკვიდა ხელი და ცეცხლი აბრიალდა.

- არაფერია, გაიწაფება, - უთხრა უცნობმა. - ოღონდ ვადა მოგვეცით. უროს მარჯვედ ხმარობს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჰიპოპოტრილ მჭედელს მაინცდამაინც არ უნდა ჰგავდეს. არაფერია, არა, ისწავლის. ნასწავლში ორ უსწავლელს იძლევიან. აი, დააცადეთ, ხელს გაივარჯიშებს და ორ-სამ დღეში ტრამბლზე ან, ვინც უნდა იყოს, იმაზე უარესად არ დაჭედავს ცხენს.

- ჩემს ცხენს მე თვითონ დავჭედავ, - უთხრა ჰიუსტონმა. - მაგან საბერველი ამუშაოს მხოლოდ, ამას, ალბათ, ისედაც შეძლებს, სამაგიეროდ ხელის გავარჯიშება არაა საჭირო.

მაგრამ ბადიაში ჩადებულ ნალი გაცივდა თუ არა, უცნობი მივარდა და ხელი სტაცა. ეს სრულიად მოულოდნელი იყო არა მარტო ჰიუსტონისთვის, არამედ, იტყოდით, თავად უცნობისთვისაცო, - ქრცვინის მსგავსი კაცი თითქოს სხვის ტყავში ცხოვრობდა და არა თავისაში, თითქოს ტანსაცმელიც მისი არ იყო, იმ ზომამდე, რომ ტანსაცმლის ხელის წავლება და შეყენება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ამით თავად მას, მის სხეულს ვერ შეაჩერებდით, მაინც თავისას იზამდა, რამეს გააფუჭებდა, სისამაგლეს ჩაიდენდა, რადგან ენერჯის უეცარი დაუოკებელი აღზნება უმალ გარეთ გამოიჭრებოდა, როგორც კი რაიმე განზრახვა გაუჩნდებოდა. ჰიუსტონსა და ზეაწეულ ფლოქვს შორის სოლივით ჩაერჭო ეს კაცი, ნალი მოარგო, მეორე დარტყმისთანავე ლურსმანი ცოცხალ ხორცში ჩაურჭო, ცხენი გაიქაჩა, და უცნობი, როგორც იყო, ისევე ჩაქუჩიანად როფში ჩაყირავდა. ჰიუსტონმა და იმ მეორემ, წინსაფრიანმა, ცხენი ძალისძალიად მიდენეს კუთხეში, ჰიუსტონმა ლურსმანი ამოაძრო, ნალის მიყოლებით ისიც კუთხეში მოისროლა და თავდაკარგულმა გამოაჯიკავა ცხენი სამჭედლოდან. ნაგაზი წამოდგა და მშვიდად დაიჭირა თავისი ადგილი პატრონის ფერხთით.

- შეგიძლიათ გადასცეთ ბილ უორნერს, თუკი ამ ამბავთან რამე ესაქმება, თუმცა, ეტყობა, ფეხებზე დაუკიდია ყველაფერი, შეგიძლიათ უთხრათ, ჰიუსტონმა თავისი ცხენი დასაჭედად უაიტლიფს წაიყვანა-თქო.

დუქანსა და სამჭედლოს მხოლოდ შარაგზა ჰყოფდა. გალერეაში უკვე რამდენიმე კაცი შეკრებილიყო და მათ დაინახეს, როგორ წაიყვანა ჰიუსტონმა ცხენი და როგორ მისდევდა უზარმაზარი, აუღელვებელი, მოხდენილი ნაგაზი. შეკრებილთ გზის გადავლაც არ დასჭირვებიათ, რათა აეთვალთვინებინათ ერთი მოსულთაგანი, - სწორედ ის, მეორეზე დაბალი და ასაკით უფროსი რომ იყო და ისეთი ტანსაცმელი რომ ეცვა, სულაც მიიკონკრებოდა, ჩამოსძვრებოდა და მაინც სხვის გამონაცვალს ემსგავსებოდა, მოძრავი, წვინატი პირსახე რომ ჰქონდა და მბრწყინავი, აცეცებული თვალები, ის თავად მიადგა დუქანს. კართანაზე ამავალი უკვე ესალმებოდა იქ შეკრებილთ. ენა არ გაუჩერებია, ისე შევიდა დუქანში, ხმიერად, სხაპასხუპით და უაზროდ მეტყველებდა, თითქოს რომელიღაც არაგონიერი არსება ცარიელ გამოქვაბულში თავის თავს ესიტყვებო. მერე ისევ გამოჩნდა კარში და ენა არც ამჯერად დაუყენებია:

- აბა, ჯენტლმენებო, ძველი გადაშენდეს და ახალმა იხაროს. კონკურენცია ვაჭრობის სული და გულია, და, თუმცა მთელი ჯაჭვი ვერაფრით ვერ იქნება იმაზე მაგარი, ვიდრე მისი ყველაზე სუსტი რგოლია, მაინც მალე თქვენ თვითონვე დარწმუნდებით, რომ სანდოა ის ბიჭი, - ოღონდ საქმეში გარკვევა აცალეთ. სამჭედურიც ძველია და გრდემლიც, სამაგიეროდ ახალი ცოცხი კარგად ჰგვის და, თუ ბებერ ძაღლს ახალ-ახალ ფანდებს ვერ შეაჩვევ, სამაგიეროდ ახალგაზრდას და თანაც მუყაითს რასაც გინდა, იმას ასწავლი კაცი. აცალეთ ოღონდ. კარგად ბრძანდებოდეთ, ჯენტლმენებო! - კართანაზე დაეშვა და ეტლში ჩაჯდა, თან ენას არ აჩერებდა, ხან სამჭედლოში მყოფს მიმართავდა, ხანაც თავის ჯაგლავს, თან ამას ერთი ამოსუნთქვით აკეთებდა, ერთხელაც არ შეფერხებულა, ისე რომ შეუძლებელი იყო იმის გაგება, თუ ვის ესიტყვებოდა. გალერეაში შეყრილი ხალხი გაქვავებული სახით მიაცილებდა მზერას. მთელ დღეს ერთიმეორის მიყოლებით გადადიოდნენ გზის გადაღმა, სამჭედლოში, და ათვალთვინებდნენ მეორე ახალმოსულს. მის აუღმდრეველ, გამოცარიელებულ, გაშლილ, უწყინარ სახეს, რომელიც, იტყოდით, მხოლოდ სარჩულიაო თავზე წამოზრდილი ხშირი ჯაგრისა. ვიდაცამ ფერჯგატეხილი ფურგონი მოიყვანა. და ახალმა მჭედელმაც შეაკეთა ფურგონი, თუმცა ლამის შუადღემდე მოუნდა ამ საქმეს, თანაც თავაუღებლად მუშაობდა, ოღონდ დუნედ, თითქოს გულისყური სადღაც სხვაგან აქვს და სულაც არ აინტერესებსო თავისი საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში გასამრჯელო ერგებოდა; ზრუნვამიძალეებული და უგერგილო თითქოს თავს ვერაფერს ართმევდა, თუმცა საბოლოოდ კი გაართვა თავი. ნაშუადღევს ტრამბლმა ჩაიარა ფურგონით, ძველმა მჭედელმა. მაგრამ გალერეაში შეკრებილნი რომ იმედოვნებდნენ - ერთი ვნახოთ, რა მოხდება, როცა ის კაცი გამოჩნდება, ვისაც ყოველ შემთხვევაში წუხანდლამდე თავი სამჭედლოს პატრონად მიაჩნდაო, ეს იმედი გაუცრუვდათ. ტრამბლმა მეუღლითურთ ფურგონით ჩაიარა და ის ფურგონი საოჯახო ბარგი-ბარხანით იყო დატვირთული. ჯუჯღუნა, ჯანმაგარმა ბერიკაცმა, კარგმა ოსტატმა, გუშინდლამდე რომ არავის აღუძრავდა ცნობისმოყვარეობას, თუკი შეავლო თვალი თავის სამჭედლოს, ეს არავის შეუნიშნავს. ტრამბლი მეტად აღარასოდეს უნახავთ.

რამდენიმე დღის შემდეგ ყველამ შეიტყო - ახალი მჭედელი ცხოვრობსო თავის ბიძაშვილთან (ბიძაშვილად ერგებოდა თუ სხვა რამე ნათესავად, დანამდვილებით არავინ იცოდა), ფლემთან, და ორივენი ერთ საწოლზე

წვანანო. ნახევარ წელიწადში კი მჭედელმა იმ სახლის პატრონის ერთი ქალიშვილთაგანი შეირთო, ვისთანაც ორივენი ცხოვრობდნენ და საზრდოობდნენ. ათი თვე რომ გამოხდა, კვირაობით უკვე საბავშვო ეტლს დაატარებდა (ძველად, ან იქნებ ახლაც, ის ეტლი ისევ ბილ უორნერს ეკუთვნოდა) ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნასთან ერთად, პირველი ცოლისგან რომ ჰყავდა, ფრანგისხვევლთაგან უნახავი ცოლისგან, და ამით ხალხს თითქოს ეუბნებოდა - პირადი, ყოველ შემთხვევაში - ოჯახური ცხოვრებისთვის გაცილებით მარჯვე ვარ და მიმწოლი, ვიდრე კაცთა თვალისთვის, სამჭედლოშიო. თუმცა ეს ყველაფერი მოგვიანებით შეიქნა ცნობილი. მანამდე კი ყველამ იცოდა ერთი რამ: მათ ჰყავდათ დაუზარელი, დამყოლი, მუდამ გულგახსნილი, არამცთუ გულგახსნილი - დიდსულოვანი, გარნა ბუნებით უგერგილო მჭედელი, და ყოველივე, რაც მის შემღებებს აღემატებოდა, - ყოველგვარი ჩანაფიქრი თუ გეგმა, - ყოველივე ქარწყლდებოდა, შემადგენელ ნაწილებად - ხისა თუ რკინის ნაჭრებად, ღვედებად, გამოუსადეგარ იარაღად იშლებოდა.

ორი თვის შემდეგ ფლემ სნოუპსმა ფრანგისხვევში ახალი სამჭედლო ააშენა. რასაკვირველია, ხელოსნები დაიქირავა, მაგრამ თვითონაც მთელ დღეებს ატარებდა მშენებლობაზე და თვალყურს ადევნებდა, როგორ მიდიოდა საქმე. ეს პირველი იყო მის მიერ წამოწყებულ საქმეთაგან, რომელშიაც თვალნათლივ მონაწილეობდა და აღიარებდა კიდეც - სამჭედლოს იმიტომ ვაშენებ, რომ ხალხს ისევ ადამიანურად მოემსახურონო. დუქნის მეშვეობით ახალი მოწყობილობა იყიდა თავის ფასად და დაიქირავა ახალგაზრდა ფერმერი, რომელიც წინათ მინდვრის სამუშაოების შეთხელებისას ტრამბლს ხელქვეითად უდგა ხოლმე. ერთ თვეში ახალმა სამჭედლომ ტრამბლის ყველა მუშტარი ხელახლა მიიზიდა, ხოლო კიდეც სამი თვე რომ გავიდა, სნოუპსმა ეს სამჭედლო თავისი ახალი მოწყობილობა-იარაღით, მუშტრებითა და რეპუტაციითურთ უორნერს მიჰყიდა, თანაც სართად მიიღო ძველი სამჭედლო, საიდანაც რკინის ხარახურა უტილის შემგროვებელს მიასადა, უორნერისეული მოწყობილობა ძველ სახელოსნოში გადაზიდა, ახალი სახელოსნო კი ერთ ფერმერს მიჰყიდა საბოსლედ, ისე რომ გადატან-გადმოტანაში ერთი ცენტიც არ დაუხარჯავს და თავისი სახლიკაციც ახალ მჭედელთან ქარგლად დააყენა. და აქ თავად რეტლიფსაც აებნა თავგზა, როცა იმის გაანგარიშება დაიწყო, თუ რამდენი უნდა მოეგო მთელი ამ კომბინაციით სნოუპსს. „ოღონდ დანარჩენის წარმოდგენა კი შემიძლია მე მგონი“, - ფიქრობდა მზეგადაფრქვეულ ფანჯარასთან მიმჯდარი, ოდნავ ფერმკრთალი, მაგრამ უკვე მომჯობინებული რეტლიფი. თითქმის ხედავდა ამგვარ სურათს: დუქანი, სალამო ხანია, კარი შიგნიდანაა ჩარაზული, დახლზე ლამპა ანთია, დახლს ნოქარი მისჯდომია და ყბებს ამოდრავებს გაუჩერებლად, ჯოდი უორნერი კი მის წინაშე დგას და დაჯდომაც ვერ გაუბედავს, მის თვალეგში გაცილებით მეტი შიში ჩამდგარა, ვიდრე შარშანდელ შემოდგომას იყო, ჯოდი მთელი სხეულით თრთის და მთრთოლვარე ხმითვე ეუბნება: „მე მინდა ერთი უბრალო და გარკვეული შეკითხვა მოგცეთ და მინდა უბრალო და გარკვეული პასუხი მივიღო. როდემდე გაგრძელდება ეს ამბავი? როდისღა გათავდება? რამდენი უნდა დამიჯდეს, რომ ერთი თავლა და სათივე გადაწვას გადავარჩინო?“

რეტლიფმა ავადმყოფობა გადაიტანა და ეტყობოდა კიდევ ეს ამბავი, როცა ახალ საკერავმანქანიანი, მთელ წელიწადს უქმად დგომით გადაგლესილ-გასუქებულ, მუხლმაგარ ცხენებზე მული თავისი ფურგონი მეზობელ შუკაში დაეყენებინა, თავად კი პატარა, მყუდრო რესტორანში, რომლის ნახევარიც ნომინალურად მასვე ეკუთვნოდა, დახლს მისჯდომოდა და ხელში ყავის ფინჯანი ეჭირა, ხოლო ჯიბეში ედო მორიგება ორმოცდაათი თხის მიყიდვისა ერთი ჩრდილოელისთვის, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ ოლქის დასავლეთ მხარეში თხის რანჩო გაემართა. სინამდვილეში ეს მორიგება ერთ სულზე ოცდახუთ ცენტად შეისყიდა პირვანდელი მოიჯარისგან, ვისაც ჩრდილოელისგან თითო თხაში სამოცდათხუთმეტი ცენტი უნდა მიეღო, მაგრამ კინალამ მთელი საქმე წყალში ჩაყარა. რეტლიფმა მორიგება იმიტომ შეისყიდა, რომ ფრანგისხევის ახლოს, ერთ მივარდნილ ადგილას, თხის ჯოგი, ორმოცდაათზე მეტი თხა ეგულებოდა, მოიჯარემ იმ ჯოგისა არაფერი იცოდა, რეტლიფი კი დარწმუნებული იყო - ჯოგის პატრონსმოგების ნახევარს შევაძლევ და მომყიდისო.

ახლა ფრანგისხევისკენ უნდა გამგზავრებულიყო, თუმცა ჯერ ადგილიდან არ იძროდა და არც ის იცოდა დანამდვილებით, როდის დაიძრებოდა. მთელი წელიწადი გავიდა, იქ აღარ ყოფილიყო. ამ გამგზავრებას მხოლოდ იმიტომ კი არ ელოდებოდა, რომ წინასწარ განიცდიდა ეშმაკურად მოწყობილი გარიგების სიამოვნებას (თუმცა ეს გარიგება შორს გაცვილდებოდა უხამსი და უხეში ანგარების ფარგლებს), ისიც მძაფრ სიხარულს ჰგვრიდა, ნაავადმყოფარს ფეხზე დგომა რომ შეეძლო და საკუთარი სხეულის ბატონ-პატრონად რომ შექმნილიყო, შეეძლო ემოძრავა მზისქვეშეთში, ჰაერზე, სადაც ხალხი მიდი-მოდის, სუნთქავს და ერთიმეორეს ურიგდება სხვადასხვა საქმის გამო. ამ სიამოვნებას ისიც ზედ ერთვოდა, რომ ჯერ არ გამგზავრებულიყო და ამქვეყნად ვერაფერი აიძულებდა იმაზე ადრე დაძრულიყო, ვიდრე თვითონ მოეგუნებებოდა. სისუსტეს აღარ გრძნობდა, უბრალოდ ნებივრობდა გამოკეთების ნეტარი გრძნობით, როცა არც დრო არსებობს, არც გეჩქარება სადმე და არც სამუშაო გაქვს. ის მოჯარული წამები, წუთები და საათები, რომლებსაც ჯანმრთელი სხეული ემონება ცხადსა თუ ძილში, ახლა უკუღმა მიიქცევა, და ახლა დრო თავად ლიქნის და ელაქუცება სხეულს, რომელიც ჩვეულებრივ მის შეუჩერებელ სრბოლას ემორჩილება ხოლმე. ძალიან გამხდარი იყო, სუფთა ლურჯი ხალათი მხრებზე თავისუფლად ეკიდა, მაგრამ მშვენივრად კი გამოიყურებოდა, შავგვრემან პირსახეს სიფერმკრთალე არ ეტყობოდა, მხოლოდ ოდნავ გაბაცებოდა, დასწმენდოდა, თითქოს დაოკებული ძალა გამოსჭვიოდა მასში, ისეთი, როგორიც აქვთ ტყის იშვიათ ყვავილებს, გამძლენი რომ არიან, უსურნელონი, ნაზამთრალ თოვლშივე რომ გაიფურჩქნებიან ხოლმე. იჯდა, გამხდარი ხელით ყავის ფინჯანი ეპყრა და სამსა თუ ოთხ მსმენელს მოუთხრობდა, როგორ ჩაიარა ოპერაციამ. გამქირდავი, შემპარავი ხმა ნაავადმყოფარზე არ შეცვლოდა, ოღონდ მისუსტებოდა ოდნავ. ამ დროს ორნი შემოვიდნენ - ტალი და ბუკრაიტი. კომბინეზონის უკანა ჯიბიდან ბუკრაიტს მათრახის ტარი უჩანდა.

- გამარჯობა, ბიჭებო, - მიესალმა რეტლიფი. - დღეს ადრიანად გამოჩნდით.

- პირიქით, გვიან, - უთხრა ბუკრაიტმა.

ისა და ტალი დახლს მოადგნენ.

- ღამით ჩამოვედით, საქონელი სადგურზე მივრეკეთ, დღეს დატვირთავენ, - უთხრა ტალმა. - გიავადმყოფიათ თურმე. მომენატრეთ კიდეც.

- ყველას მოგვენატრა, - თქვა ბუკრაიტმა. - ჩემი ქალი ამბობს - წელიწადი იქნება, მთელ ოლქში ერთი ახალი საკერავი მანქანაც არ გამოჩენილაო. რაო, რა ამოგაცალათ იმ მემფისელმა ექიმმა?

- საფულე, - მიუგო რეტლიფმა. - ალბათ ამიტომ დამაძინა წინასწარ.

- ეგ არა და, იმიტომ დაგაძინათ, რომ, სანამ ხელში დანას აიღებდა, საკერავი მანქანა ან ფარცხის კბილების მთელი ფურგონი არ მიგესაღებინათ, - უთხრა ბუკრაიტმა.

მეზუფეტემ ბუტერბროდიანი თეფში დაუდგა ორთავეს.

- არა, მე ბიფშტექსი მინდა, - უთხრა ტალმა.

- მე ბიფშტექსი არ მინდა, - თქვა ბუკრაიტმა. - ორ დღეს მეტს არაფერს ვაკეთებდი, იმას შევჩერებოდი, ნაკელს როგორ უშვებდნენ ეს ბიფშტექსები. თანაც ყანისა და ბოსტნის კიდეებიდან ვერეკებოდი. მეხვი მომეცით და ექვსი კვერცხის ტაფამწვარი.

პურს ხარბად მიეტანა. რეტლიფი მოსულებისკენ შებრუნდა თავის ტაბურეტზე.

- აბა, მოგენატრეთ? - თქვა მან. - მე კი მეგონა, ფრანგისხევში იმდენი ახალი ხალხი გაჩნდა, საკერავი მანქანების გამსაღებელი თორმეტი აგენტიც რომ გაქრეს, მაშინაც ვერაფერს შეამჩნევენ-მეთქი. რამდენი ახალი სახლივაცი გამოიწერა ფლემ სნოუპსმა? ორი თუ სამი?

- ოთხი, - უპასუხა პირგამოტენილმა ბუკრაიტმა.

- ოთხიო? ესე იგი ის მჭედელი, იმ ყმაწვილისას ვამბობ, ვახშობამდე რომ სამჭედლოში ყურყუტებს, - რა ჰქვია იმას?.. ჰო, ეკი. და ის მეორე, სამჭედლო იჯარით რომ აიღო, თავკაცი... .

- ეგ ახლა მასწავლებლად იქნება სკოლაში, - ჩუმად თქვა ტალმა. - ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ.

- არა, კაცო, - უთხრა რეტლიფმა, - მე სნოუპსებზე ვამბობ. იმ მეორეზე, ა. ო. სნოუპსზე. მაგ არ იყო, ჯეკ ჰიუსტონმა როფში რომ ჩააყუდა?

- მეც მაგისას მოგახსენებთ, - მიუგო ტალმა. - ამბობენ, გაისიდან ჩვენს სკოლაში მასწავლებლად იქნებაო. ძველი მასწავლებელი ნახალწლევს ადგა და გაემგზავრა. თქვენ მგონი ეს ამბავიც არ გცოდნიათ.

მაგრამ რეტლიფი უკვე არ უსმენდა. ძველ მასწავლებელზე აღარც ფიქრობდა. იმდენად გაოგნებული შესჩერებოდა ტალს, რომ მისთვის ჩვეული მქირდავი აუმიღვრეველობა უკვალოდ გამქრალიყო.

- როგორ? მასწავლებლად? ის ფეთხუმი? ის სნოუპსი? სამჭედლოში რომ გამოჩნდა იმ დღეს, როცა ჯეკ ჰიუსტონმა... მისმინეთ, ოდემ, ავად კი ვიყავი, ოღონდ მგონი ყურს არ დამკლებია ნავადმყოფარზე.

ბუკრაიტს პასუხი არ გაუცია. თავისი პური მოეთავებინა და ტალის თეფშზე გადასწვდა ნაჭერს.

- შენ მაინც არ ჭამ, - უთხრა, - ახლავე მოვატანინებ კიდევ.

- ხო-ხო-ხო, - თქვა რეტლიფმა. - მიწა გამსკდომოდა აქვე. ღმერთს გეფიცებით, თვალი მოვკარი თუ არა, ვიფიქრე, რაღაც კარგი არაფერი სჭირს-მეთქი. უყურე შენ! თავის საქმეს არც ადრე მოჰკიდებია - ესამჭედლოო, ეს ყანის სამუშაოო. მაგრამ მასწავლებლობა თუ ზედგამოჭრილი იქნებოდა მაგისთვის, ვერც წარმოვიდგენდი. უყურე შენ! მთელ ქვეყანაზე, არა, უფრო სწორად - ფრანგისხევში ერთადერთ ადგილს მიაგნო, სადაც მარტო ის კი არ შეიძლება, რომ მთელ დღეს ქადაგად იყო დავარდნილი, გასამრჯელოც შეგიძლია მიიღო ამ საქმეში. ასე-ე, გამოდის, რომ ბილ უორნერს ბოლოს და ბოლოს კარგი ჭირი მოუგვარებია სათავისოდ. დუქანი ფლემმა შეუჭამა, სამჭედლოც შეუჭამა, ახლა სკოლის რიგი დამდგარა. სახლილა დარჩა და ეგაა. გათავებული საქმეა, მერე ძალაუნებურად თქვენც მოგდგებათ, მაგრამ ჯერჯერობით სახლისთვის უნდა გაანძრიოს ხელი, იმიტომ, რომ ბილის...

- ჰი! - მოკლედ თქვა ბუკრაიტმა. ტალის თეფშიდან აღებული ნაჭერი უკვე შეუჭამა და ახლა მებუფეტეს გასძახა: - ეი, მანდ, ჯერჯერობით ღვეხელი მაინც მომეცით.

- რომელი ღვეხელი, მისტერ ბუკრაიტ? - შეეკითხა მებუფეტე.

- შესაქმელი, - მიუგო ბუკრაიტმა.

- ...იმიტომ, რომ ბილის იქიდან გამობუნძულება ასე იოლად არ გამოვა, - დაასრულა რეტლიფმა. - იქნება სულაც ვერაფერი მოუხერხოს. ასე რომ, ფრთხილად იყავით, მანამდე არ მოგდგეთ ფლემი, ვიდრე ნავარაუდევია ჰქონდა...

- ჰი! - მოულოდნელად მოუჭრა ბუკრაიტმა.

მებუფეტემ ღვეხელი მოუჩოჩა. რეტლიფი ბუკრაიტს შეაშტერდა.

- ჰო, - უთხრა, - რაო?

ბუკრაიტმა ღვეზელის ნაჭერი პირთან მიიტანა და გაბოროტებული, მოქუშული სახე რეტლიფისკენ მიაბრუნა.

- იმ კვირას ქვიკთან ვიჯექი, სახერხში. მეცეცხლური და ერთი ზანგის ბიჭი ნიჩბით ნაფოტებს ურთავდნენ ცეცხლს და საუბრობდნენ თავისთვის. მეცეცხლურს ხელის მონაცვლება ნდომებია, მაგრამ შიშობდა - ქვიკი არ მასესხებსო. მაშინ იმ ზანგის ბიჭმა უთხრა - დუქანში მიდი მისტერ სნოუპსთან, ის გასესხებსო. მე აგერ ორ წელიწადზე მეტი იქნება, ხუთი დოლარი მომცა, მას მერე ერთი ვიცი - ყოველ შაბათს დუქანში ათ-ათ ცენტს მივუტან ხოლმე. ის ხუთი დოლარი კიდევ აღარ გახსენებია, - ბუკრაიტი შებრუნდა და ღვეზელს ჩაასო კბილები, ლამის ნახევარი ჩამოკბიჩა. რეტლიფი ოდნავ გამქირდავად, თითქმის მოლიმარი შესცქეროდა.

- ასე-ე, - თქვა ბოლოს. - მაშასადამე, ერთბაშად ორივე მხრიდან შესდგომია საქმეს. რაკი ასეა, დიდხანს ცდა აღარ დაგჭირდებათ, ვიდრე შუაგულს მიატანდეს და უბირ თეთრკანიანებსაც მოგდგებოდეთ.

ბუკრაიტმა ისევ მოკბიჩა მოზრდილი ნაჭერი. მეზუფეტემ შენაკვეთი მოიტანა და ბუკრაიტმაც ღვეზელის ნარჩენით გამოიტენა პირი. ტალი თავისი ბიფშტექსის წვრილ-წვრილად დაჭრას შეუდგა. თითქოს ბავშვი უნდა დააპუროსო. რეტლიფი ორივეს თვალს ადევნებდა.

- ნუთუ თქვენებიდან არავის უცდია რამის გაკეთება? - შეეკითხა.

- ჩვენ რა შეგვიძლია? - უთხრა ტალმა. - კი, ბატონო, არაა კარგი ეს ამბავი, მაგრამ ჩვენ არ გვეკითხება.

- იქ რომ ვსახლობდე, გამოვაწყობდი რამეს, - თქვა რეტლიფმა.

- კი, როგორ არა, - უთხრა ბუკრაიტმა, შემწვარ ძეხვსაც რომ ღვეზელივით უსწორდებოდა. - ჰოდა, ცხენებზემზული ფურგონის მაგივრად ბანტად შეკრულ ჰალსტუხსაც მიიღებდით. ნამდვილად დაგმშვენდებოდათ.

- ნამდვილად, - მიუგო რეტლიფმა. - მართაღს ამბობთ, მე მგონია. - შებრუნდა და კოვზი პირთან მიიტანა, მაგრამ მაშინვე ისევ ფინჯანში ჩააბრუნა. - ამ ფინჯანში ნიავი ქრისო, იტყვი, - მიმართა მეზუფეტეს. - ცოტათი შეაცხელეთ, თორემ ყავა გაიყინება, ფინჯანს გახეთქავს და გადასახდელი შემექნება.

მეზუფეტემ ფინჯანი გამოართვა. ცხელი ყავა ჩაუსხა და ისევ მიაწოდა. რეტლიფმა კოვზით შაქარი ჩაიყარა. სახეზე ისევ ის გაურკვეველი გამომეტყველება აღბეჭდოდა, რასაც უფრო შესაფერისი სიტყვის უქონლობის გამო, ღიმილი უნდა ეწოდოს. ბუკრაიტმა ექვსივე კვერცხი ერთ დომხალად აქცია და წკლაპუნით სანსლაავდა. ორივენი, ისიც და ტალიც, ჩქარ-ჩქარა ჭამდნენ, ოღონდ ტალი ახერხებდა რაღაცნაირი პედანტური დახვეწილობით შექცეოდა საქმელს. ჭამის დროს ხმას არ იღებდნენ, თეფშები რომ მოასუფთავეს, მაშინვე წამოდგნენ, სიგარის კოლოფთან მივიდნენ და ფული გადაიხადეს.

- რეზინის ჩუსტები კი არ გეგონოთ, - უთხრა ბუკრაიტმა. - აგერ წელიწადი იქნება, აღარ ჩაუცვამს... არა, თქვენს ადგილას იქ დედიშობილა გამოვცხადდებოდი. მაშინ აქეთობისას სიცივეს ვეღარ იგრძნობდით.

- კი, ეგ მართალია, - მოსჭრა რეტლიფმა.

ისინი რომ წავიდნენ, რეტლიფი ისევ ყავას შეექცა, აუჩქარებლად სვამდა, თან სამსა თუ ოთხ მსმენელს თავისი ოპერაციის ამბავს მოუთხრობდა. მერე ისიც წამოდგა, ყავის ფული კეთილსინდისიერად გაისტუმრა და პალტო ჩაიცვა. უკვე გამარტებული იყო. მაგრამ ექიმს ნაბრძანები ჰქონდა - თბილად ჩაიცვიო. შუკაში რომ გავიდა, ერთხანს შეჩერდა თავის ფურგონთან და ტანმორჩილ, მუხლმაგარ ცხენებთან, რომლებიც უქმად დგომით გასუქებულიყვნენ და ნაზამთრალზე ახალი ბეწვი უზზინავდათ. მშვიდად უცქეროდა შეღებილ ჯიხურს, საიდანაც ხასხასა, გადაშლილ, ყალბ ვარდებთან ერთად ქალთა სახეები უღიმოდნენ გაშემებული, მიმქრალი, მიმწვევი ღიმილით. „წელს ყველაფერი ხელახლა უნდა შევღებო. ოღონდ კი არ დამავიწყდეს. ალბათ იმას მისცემს, რასაც ცეცხლი ადვილად წაეკიდება, - გაიფიქრა მერე. - მის სახელზე გადაწერს. ყველამ რომ იცოდეს, ისე. ჰო, - გაიფიქრა კიდევ, - მე რომ ბილ უორნერი მერქვას და ჩემს კომპანიონს - სნოუპსი, იმ ქონებას, რისი დაწვაც შეიძლება, უეჭველად მის სახელზე ჩავწერდი“. რეტლიფი ნელ-ნელა გაუყვა გზას, თან ყველა ღილი შეიბნია. მზე ჩქარა განკურნავს ხოლმე სნეულებას. ქალაქში რომ დაბრუნდება, პალტო იქნებ აღარც დასჭირდეს. მერე სვიტრიც აღარ დასჭირდება - გამაისდება, ივნისიც მოვა, ზაფხული, გრძელი, საუცხოო, ცხელი დღეები დადგება. მიმავალი ისეთივე იყო, როგორც მუდამ ყოფილა, ოღონდ სიგამხდრე და სიფერმკრთალე ეტყობოდა. ორჯერ შეჩერდა, რათა ორი კაცისთვის ეთქვა - ახლა გამოვმჯობინდი, მემფისელმა ექიმმა, შემთხვევით იყო თუ განსწავლულობით, ეტყობა, სწორედ ის ამომჭრა, რაც უნდა ამოეჭრაო. მერე კონფედერაციის მოედანი გადაჭრა, სასამართლოს შენობაში შევიდა, იქ ნოტარიუსის კარი შეაღო და იპოვა, რასაც ეძებდა - ორასამდე აკრი მიწა ნაგებობითურთ ფლემ სნოუპსის სახელზე დაეწერათ.

დღის ბოლოს მისი ფურგონი გორაკებში მიკარგულ ვიწრო გზაზე იდგა და რეტლიფი ძირს ჩამოუსვლელად კითხულობდა საფოსტო ყუთზე აღბეჭდილ გვარს. ყუთს მისამაგრებელი ბოძი ახალი ჰქონდა, სამაგიეროდ თვით ყუთი იყო ძველი. თუნუქი გაცრეცილიყო და გამრუდებულიყო. ეტყობოდა, ეს ყუთი ოდესღაც სულ დაჭყლეტილიყო, თითქოს ფურგონის ბორბალს გადაეველოს ზედ, მერე ხელახლა გაესწორებინათ, ოღონდ, დაბრეცილი ასოები იქნებ გუშინდა გამოეყვანათ. თითქოს ყვიროდნენ ეს ასოები: მინკ სნოუპსი, - სულ მთვარეული ასოები, გაკრულად ნაწერი, სიტყვებს შორის ადგილის დაუტოვებლად, გვერდებზე და ზემოთკენ, გახრილ სახურავზეც ადღაბნილი, რათა ყველა ასო დატეულიყო. რეტლიფი ღრმა ნაკვალევს მიჰყვა გადაფერდილი ოროთახიანი ქოხმახისკენ, ერთ იმდაგვარ ნაგებობას რომ წარმოადგენდა, რომლებიც უამრავი ხვდებოდა ხოლმე აღმა-დაღმა სავალ თავის გზებზე. სახლი გორაკზე იდგა, ქვემოთ ბინძური ნაკელით მოსვრილი ბაკი ეკრა, უფრო ქვემოთ კი, გორაკის ძირას, თითქოს სულიერთაგან გადახვეწილი გომური. იქიდან საწველელიანი კაცი გამოვიდა, და იმავ წამს რეტლიფმა იგრძნო, რომ სახლიდან ვიღაც უთვალთვალებდა, თუმცა არავინ ჩანდა. ცხენები შეაყენა, ოღონდ ფურგონიდან არ ჩამომხტარა.

- გამარჯობა თქვენი, - თქვა მან. - მისტერ სნოუპსი თქვენ ბრძანდებით? მანქანა მოგიტანეთ.

- რა მომიტანეთ? - იკითხა კაცმა ბაკში.

ჭიშკარში გამოვიდა ის კაცი და საწველელი ძირს დაწეული ვერანდის საფეხურზე ჩამოდგა. ისიც საშუალოზე დაბალი იყო, ოღონდ ხმელ-ხმელი, წარბებჩამოფხატული. „თვალეები ისეთივე აქვს“, - გაიფიქრა რეტლიფმა.

- საკერავი მანქანა, - თავაზიანად მიუგო მან.

თვალის კიდით ვერანდაზე დაინახა დედაკაცი - ძვალმსხვილი, უხემ პირსახიანი, ღია ყვითელი თმის პატრონი მაინც მსუბუქი ნაბიჯით გამოვიდა, ფეხშიშველი აღმოჩნდა, ზურგს უკან ორი გაბურძენილი ბალლი ატორღიალებოდა. რეტლიფს ზედაც არ შეუხედავს მისთვის, კაცს უმზერდა გულლიად, ალერსიანად.

- რაო? საკერავი მანქანაო? - თქვა ქალმა.

- არა, - უთხრა კაცმა. ქალისთვის არც მას შეუხედავს. ფურგონისკენ მიდიოდა უკვე. - შედი სახლში.

ქალს მისი სიტყვებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ვერანდიდან ისე სწრაფად ჩამოემზა, მისი შემყურე ვერც დაიჯერებდით, უფერული, მკაცრი თვალეებით მოაჩერდა რეტლიფს.

- ეს ვინ გიბრძანათ, მანქანა მიუტანეთ? - ქალმა იკითხა.

რეტლიფმა ახლა მას შეხედა კვლავ ალერსიანად და გულლიად.

- იქნება შევცდი? ფრანგისხევიდან დაკვეთა გადმომცეს ჯეფერსონში. იქ ნათქვამია - სნოუპსსო. ჰოდა, ვიფიქრე - ესენი იქნებიან-მეთქი, იმიტომ, რომ თქვენს... ბიძაშვილს, არა? - კაცი და ქალი მდუმარნი მოსჩერებოდნენ. - ფლემს რომ დასჭირებოდა მანქანა, ჩემს ჩასვლამდეც დამიცდიდა. იმან იცის, რომ ხვალ იქ უნდა ვიყო. ჰოდა, ამბის გასაგებად შემოვიარე.

ქალმა ხრინწიანი, უსიხარულო ხმით გაიცინა.

- ჰოდა, ადექით და იმასვე წაუღეთ. რაკი ფლემ სნოუპსს ხუთ ცენტზე ძვირად ღირებული რამის მოტანა უბრძანებია, ეტყობა, წმინდა საქმე არ უნდა იყოს. ნათესავეებს ფლემი მუქთად არაფერს მიაღირსებს. ფრანგისხევიში წაიღეთ მაგ მანქანა.

- შენ გეუბნებიან, სახლში შედი-მეთქი, - უთხრა კაცმა. - წადი.

ქალს მისკენ არც გაუხედავს. ისევ ისე ხრინწიანი ხმით იცინოდა რეტლიფის შემყურე.

- მუქთად არაფრის გამმეტებელი არაა, - ამბობდა ქალი, - მაგნაირი არ გახლავთ, ტყუილად კი არ ჰყავს ასი სული საქონელი, თივის ფარდულიც აქვს, თავისი საძოვარიც.

კაცი შებრუნდა და ჯიქურ მისკენ გაემართა. ქალიც მიუბრუნდა და შიგ სახეში აყრიდა სიტყვებს, მის კალთებს ჩაჭიდებული ბალები კი რეტლიფს მშვიდად მოსჩერებოდნენ, თითქოს ყრუნი ყოფილიყვნენ, ანდა მკვიდრნი სულ სხვა ქვეყნისა, სადაც ეს ყვირილი არ ისმოდა. ასე ორი ლეკვიც შემოხედავდა.

- რაო, მართალს არ ვამბობ? - გაჰყვიროდა ქალი. - ცოცხლად დასალპობად გაგიმეტებს ის შენი სახლიკაცი, შენც მოგეხსენება ეს ამბავი! შენ კიდეც თავი მოგაქვს იმ კაცით, ვითომ - დუქანში დგასო და დილიდან სალამომდე ჰალსტუხიანი დადისო. აბა, ერთ ტომარა ფქვილს მაინც შეეხვეწე, ნახავ, რასაც მოგართმევს! მიდი, აბა, და შეეხვეწე! თავისი გამონაცვალის ჰალსტუხი მოგცეს იქნება ოდესმე - სხვა სნოუჰსებზე ნაკლებად ჩაცმული არ დარჩესო!

კაცი მისკენ მიდიოდა შეუჩერებლად. კრინტიც აღარ დაუძრავს. ქალზე დაბალი იყო და რაღაც უცნაურად დოინჯემოყრილი, უდრეკად და თანაც ლამის მოწიწებით, და ბოლოს ქალი ვეღარ გაუჩერდა. სწრაფად შეტრიალდა და სახლისკენ გაემართა, ბალები მის წინ გაიქცნენ, თან მხარს უკან სულ რეტლიფს მოსჩერებოდნენ. კაცი ფურგონს მოადგა.

- თქვენ ფლემის დანაბარები შემოგიტვალეს?

- ფრანგისხევიდან შემომიტვალეს-მეთქი. სნოუჰსმა დაგვაბარაო.

- ვინ შეგატყობინათ ეგ ამბავი?

- ისე, ერთმა ახლობელმა კაცმა, - თავაზიანად უთხრა რეტლიფმა. - შემლია, ეტყობა. ბოდიში, თქვენი ჭირიმე. ერთი ეს მიბრძანეთ, უაიტლიფის ხიდისკენ გზაზე თუ გავალ აქედან?

- თუკი ფლემმა ჩემთან დატოვება შემოგიტვალათ, მაშინ დამიტოვეთ.

- ხომ გითხარით, შევცდი-მეთქი, და ბოდიშიც მოგიხადეთ, - უთხრა რეტლიფმა. - გზაზე როგორ უნდა...

- გასაგებია, - თქვა კაცმა. - როგორც გატყობ, ბეს მიღება გინდათ ხელზე. რამდენი უნდა?

- მანქანის ბეს ბრძანებთ?

- აბა, თქვენი ფიქრით, რისას?

- ათი დოლარი, - უთხრა რეტლიფმა. - გარდა ამისა, ოცი დოლარის თამასუქი ნახევარი წლით, მოსავლის მოწევამდე.

- ათი დოლარი? კი, მაგრამ, დანაბარები ხომ გადმოგცეს...

- ჩვენ ახლა დანაბარებისას კი არ ვამბობთ, - უთხრა რეტლიფმა. - ჩვენ საკერავი მანქანისას ვამბობთ.

- ხუთი მიიღეთ.

- არა, - ალერსიანად მიუგო რეტლიფმა.

- კარგი, - უთხრა კაცმა. - გამოწერეთ თამასუქი.

კაცი შინ შევიდა. რეტლიფი ჩამოხტა, ჯიხური გაალო და ახალი მანქანის ქვეშიდან გამოაძვრინა თუნუქის საქაღალდე, რომელშიც ეწყო კალმისტარი, საგულდაგულოდ თავდაცობილი მეღნიანი შუშა და თამასუქის ბლანკების დასტა. რეტლიფი ჯერაც ბლანკს ავსებდა, როცა სნოუპსი ისევ მიუახლოვდა. რეტლიფის კალამი შეჩერდა თუ არა, სნოუპსმა ბლანკი მიიჩოჩა, რეტლიფს კალმისტარი ჩამოართვა, გამოზომილი მოძრაობით ჩააწო მეღანიში, წაუკითხავად ხელი მოუწერა, მერე თამასუქი ისევ რეტლიფს მიაჩეჩა, ჯიბიდან რაღაც ამოაძვრინა, რეტლიფს არც დაუხედავს, რა იყო, ყურადღებით, აუჩქარებლად ათვალიერებდა ხელმოწერილ თამასუქს. მერე მშვიდად უთხრა:

- თქვენ მოგიწერიათ „ფლემ სნოუპსი“.

- დიახ, - იმან მიუგო. - მერე რა? - რეტლიფი მდუმარედ შესცქეროდა. - აჰა, გასაგებია. თქვენ ჩემი სახელიც გჭირდებათ, რომ ერთმა ჩვენგანმა მაინც აღარ გადავიცოს. კარგი. - თამასუქი გამოართვა, რაღაც კიდეც მიაჩხაპნა და ისევ რეტლიფს გაუწოდა. - აი, თქვენი ათი დოლარი. მანქანის ჩამოღებაში მომეხმარეთ.

მაგრამ რეტლიფი არც დაძრულა, რადგან იმ კაცს ფული კი არ გაუწვდია, არამედ რაღაც ქაღალდი, რამდენჯერმე დაკეცილი, გაზინთული, კიდეებჩამოცვეთილი. - რეტლიფმა გაშალა და ნახა, რომ ეს იყო მეორე თამასუქი - ათ დოლარზე პროცენტებითურთ, რომელიც მოთხოვნისამებრ უნდა გადაეხადათ შევსებიდან ერთი წლის შემდეგ, - გაცემული სამ წელიწადზე მეტი ხნის წინ, „აიზეკ სნოუპსს ან ამის წარმომდგენს“, - ხელმოწერით „ფლემ სნოუპსი“. ქაღალდის მეორე მხარეს გადაცემის წანაწერი იყო (რეტლიფმა ის ხელი იცნო, წედან რომ პირველ თამასუქს ორი სახელი მიაწერა): „მინკ სნოუპსს აიზეკ სნოუპსისგან (+ წერა-კითხვის უცოდინარობის გამო)“, ქვემოთ კი იმავე ხელით - მეორე, წუთის წინ საშრობდადებული თუ თავისით გამშრალი: „ვ. კ. რეტლიფს მინკ სნოუპსისგან“. რეტლიფი მშვიდად და აუძვრევლად თითქმის მთელ წუთს ათვალიერებდა თამასუქს.

- ყველაფერი რიგზეა, - თქვა კაცმა. - მე და ფლემი მაგის ბიძაშვილები ვართ. ბებიაჩვენმა ჩვენ სამს ათ-ათი დოლარი დაგვიტოვა თითოს. ფული მაშინ უნდა მიგველო, როცა ჩვენში უმცროსს - უმცროსი კი ეგაა - ოცდაერთი შეუსრულდებოდა. ფლემს ნაღდი ფული დასჭირდა და თამასუქით გამოართვა. მერე მაგასაც დასჭირდა ფული და ფლემის თამასუქი მე შევისყიდე. ჰოდა, იმის გაგება თუ მოგინდეთ, რა ფერის თვალები აქვსო, ან კიდეც სხვა რამის შეტყობა მოგესურვოთ, თქვენ თვითონვე შეგიძლიათ ნახოთ, როცა ფრანგისხევში იქნებით. ფლემთან ცხოვრობს.

- გასაგებია, - თქვა რეტლიფმა, - აიზეკ სნოუჰსი. აბა, თქვენ ამბობთ, ოცდაერთი შეუსრულდაო?

- რომ არ შესრულდებოდა, ფლემის სასესხებელ ათ დოლარს სად იშოვიდა?

- რასაკვირველია, - უთხრა რეტლიფმა. - ოღონდ ეს მაინც არაა ათი დოლარი ნაღდ ფულად...

- ყური დამიგდეთ, - უთხრა კაცმა. - არ ვიცი, გულში რა გაქვთ, და არც მინდა ვიცოდეთ, მაგრამ გაბრიყვებით ვერ გამაბრიყვებთ და არც მე ვაპირებ თქვენს გაბრიყვებას. ის რომ არ გჯეროდეთ, ფლემი იმ პირველ თამასუქს გამინადლებსო, არც გამომართმევდით. ჰოდა, თუ ის თამასუქი არგადარდებთ, ამისთვის რაღატომ უნდა სწუხდეთ, ამაში თანხაც ნაკლებია, თანაც იმავე მანქანისთვის გაძლევთ და კანონიერი ვადაც აგერ ორი წელია გასული აქვს. წაუღეთ იმას ორივე თამასუქი, იმას მიეცით და მორჩა. და კიდევ ჩემი სიტყვაც გადაეცით. ასე უთხარით - იმ სახლიკაცისგან-თქო, სულ მიწას რომ ჩიჩქნის, რათა შიმშილით სული არ ამოსძვრეს, იმ სახლიკაცს, მიწას რომ აღარ ჩიჩქნის და საქონლის და თივის ფარდულის პატრონი შეიქნა-თქო. საქონლის და თივის ფარდულის-თქო, ასე უთხარით. უკეთესი იქნება, გუნებაში გაიმეოროთ, სანამ გზაში იქნებით, რომ ნამდვილად უთხრათ.

- კარგი, დარდი ნუ გაქვთ, - მიუგო რეტლიფმა. - ესე იგი ამ გზით უაიტლიფის ხიდისკენ გავალ?

ღამე ნათესავებში გაათია (ამ არემარის სიახლოვეს იყო დაბადებული და გაზრდილი). ფრანგისხევს მეორე დღის ნაშუადღევს მიატანა, ფურგონი მისის ლიტლჯონის ეზოში გააჩერა და მიაშურა დუქანს, რომლის გაღერებში აშკარად იგივე ხალხი ჩამომსხდარიყო, ვინც ერთი წლის წინ იჯდა, როცა რეტლიფმა უკანასკნელად მოინახულა აქაურობა, და მათ შორის ბუკრაიტიც იყო.

- ყველას მოგიყრიათ თავი, ბიჭებო, - უთხრა რეტლიფმა.

- ბუკრაიტი ამბობს, მემფისელმა ექიმმა სხვა რამე კი არა, საფულე ამოაჭრაო რეტლიფს, - თქვა ერთმა. - კი მოუნდებოდით ერთ წელიწადს მომჯობინებას. მიკვირს, რამ გადაგარჩინათ ცოცხალი, თვალი რომ გამოახილეთ და აღარ იყო საფულე.

- სწორედ მაგან წამომახტუნა, - მიუგო რეტლიფმა. - ეგ რომ არა, აქამდე იქ ვეგდებოდი.

რეტლიფი დუქანში შევიდა. დუქნის წინა ნახევარი ცარიელი იყო, მაგრამ არ შეჩერებულა, როგორც შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, თვალს სიბნელის შეჩვევაც არ აცალა. დახლს მიადგა და თავაზიანად მიესალმა:

- გამარჯობა, ჯოდი! გამარჯობა, ფლემ! ნუ შეწუხდებით, მე ავიღებ, რაც მჭირდება.

ნოქარი რომ უჯდა, იმ დახლთან დახრილმა უორნერმა თავი ასწია:

- ა-ა, წამომდგარხართ უკვე.

- წამოვდექი და საქმესაც შევუდექი, - მიუგო რეტლიფმა. დახლს შიგნით შევიდა და გამოაღო ერთადერთი მინის ვიტრინა, სადაც არეულად იყო მიწყობილი ფეხსაცმლის თასმები, სავარცხლები, თამბაქო, პატენტისანი წამლები და იაფფასიანი ტკბილეული. - ვინ იცის, იქნება, ორივე ერთია. - ფერად-ფერადი, ჭრელ-ჭრელი შაქარყინულების შერჩევას შეუდგა, ზოგს იღებდა, ზოგს იქით დებდა, დახლისკენ, სადაც ნოქარი იჯდა ქაღალდებში თავჩარგული, ერთხელაც არ გაუხედავს და არც იმას შემოუხედავს რეტლიფისთვის. - ბიძია ბენ ქვიკი შინ არის, თუ იცით?

- აბა, სად იქნება? - მიუგო უორნერმა. - ოღონდ, მე ასე ვიცი, საკერავი მანქანა იმას უკვე მიჰყიდეთ ამ ორი თუ სამი წლის წინ.

- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა, შაქარყინული იქით გადადო და მეორე აიღო. - ამიტომაც მინდოდა შინ მენახა: ცუდად თუ შეიქნა, მომვლელი მაინც გამოუჩნდება. ამჯერად მე თვითონ მინდა ზოგი რამის ყიდვა მისგან.

- ისეთი რა ქონების პატრონი შეიქნა, დასწყევლოს ღმერთმა, რომ იმის ხათრით ამსიგრძე გზას გამოუყევით?

- თხების, - თქვა რეტლიფმა. თან შაქარყინულს ითვლიდა და ჯიბეში იწყობდა.

- რისიო?

- დიახ, დიახ, თხების. ვერაფრის დიდებით ვერ იფიქრებდით. ხომ? მაგრამ მთელ იოკნაპატოფის ოლქში და გრენიეში ერთი თხაც არსადაა, გარდა იმ თხებისა, ბიძია ბენს რომ ჰყავს.

- მ-და, მართლა ვერ ვიფიქრებდი. - თქვა უორნერმა. - ოღონდ ეს ვერ გამიგია, რად გინდათ ის თხები?

- რად უნდა კაცს თხები? - იკითხა რეტლიფმა, მივიდა და სიგარების კოლოფში ფული ჩაუშვა. - რა სათქმელია - ფურგონში შესაბმელად. თქვენ ყველანი კარგად ხართ - თქვენც, ბიძია ბილიც, მისის მეგიც?

- ჰო, - ჩაიბურტყუნა უორნერმა და ისევ დახლს მიუბრუნდა.

ოღონდ რეტლიფს ეს აღარ დაუნახავს. საფასური გადაიხადა თუ არა, გალერეაში გავიდა და შაქარყინული ყველას ჩამოურიგა.

- ექიმმა გამომიწერა, - დაატანა. - ვაითუ ერთი ანგარიში კიდევ გამომიგზავნოს, ათცენტისანი, ხუთი ცენტის შაქარყინულის გადაყლაპვის რჩევისთვის. რას იზამ, შაქარყინულზე არ ვიტყვი უარს, ოღონდ ერთ ადგილას ჯდომა არაა ჩემი საქმე. მაგრამ ასე მიბრძანა.

ემშაკურად და გულითადად გადახედა იქ მსხდომთ. ძელსკამი გრძელი იყო, ფანჯრის ქვეშ, კედელთან მიმდგარი. კიდეზე მჯდარი კაცი წამოდგა.

- კარგი, - თქვა მან. - ასე იყოს, დაჯექით, რომც არ გევაადმყოფათ, ერთ ნახევარ წელიწადს მაინც ასე მოგვაჩვენებდით თავს.

- რამე ხომ უნდა მივიღო იმ ჩემს სამოცდათხუთმეტ დოლარში, ამ ამბავს რომ გადავყოლე ჯიბიდან, - თქვა რეტლიფმა. - თუ გინდა ხალხის პატივისცემა მაინც, თუნდაც დროებით. ოღონდ ზედ გამკრავ ქართან გინდათ დამაჯინოთ? არა, სჯობია ჩაიწ-ჩამოიწიოთ, შუაში ჩაგიჯდებით. - ისინი ჩაიჩოჩნენ და შუაში ადგილი გაუთავისუფლეს. ახლა პირდაპირ ღია ფანჯრის ქვეშ იჯდა. შექარყინული პირში ჩაიღო, მოწუწა და მისუსტებული, გალეული, ნავადმყოფარზე ჯერაც მოუმაგრებელი ხმით ალაპარაკდა: - კი, ნამდვილად, მეგობრებო. ახლაც ლოგინში ვეგდებოდი, საფულე რომ არ მომგონებოდა. ოღონდ, რომ წამოვდექი, გვარიანად შევმინდი - ვაითუ აგერ ერთიწელიწადია მე ჩემთვის ვკოტრიალობ და ამასობაში ვინმე მარჯვე ბიჭი ჩამოვიდა და მარტო ფრანგისხვევი კი არა, მთელი იოკნაპატოვის ოლქი გაავსო-მეთქი საკერავი მანქანებით. მაგრამ ღმერთმა არ მომიძულა. მიწა გამისკდეს, ლოგინიდან წამოდგომა ვერ მოვასწარი, ღმერთი იყო თუ ვიღაც სხვა, ცხვარი გამომიგზავნა - ზუსტად ისე, როგორც საღვთო წერილშია, ისააკი რომ გადაარჩინა. თხების რანჩოს პატრონი მომივლინა.

- რისი? - იკითხა ერთმა.

- თხების რანჩოსი. თქვენ ალბათ თხების რანჩოს ამბავი არც გაგიგონიათ. იმიტომ, რომ ჩვენს მხარეში ასეთი რამე აზრად არავის მოუვა. საამისოდ ჩრდილოელი უნდა იყო. ჰოდა, აი, ერთმა ჩრდილოელმა სადღაც იქ, მასაჩუსეტსში, თუ ბოსტონში, თუ ოჰაიოში, მოისაზრა, აქ, მისისიპიში მწვანე-მწვანეების მთელი ჩანთით ჩამოზრბანდა და ჯეფერსონიდან დასავლეთით თხუთმეტ მილზე ორი ათასი აკრი რაც კი მოიძებნა საუკეთესო მიწა იყიდა - ყველა გორაკი, ყველა ველი და ბალახი, - და ათფუტისანი მესერი შემოაყოლა. ისეთი ხშირი, მგონი, წყალმაც ვერ გაჟონოს შიგ, და ის იყო, ნიჩბით ფულის მოსახვეტად მოემზადა, რომ უცებ მოისაზრა - თხები არ მყოფნისო.

- სისულელეა, - თქვა ვიღაცამ. - თხები ყველას სამყოფია.

- გარდა მაგისა, - უცებ მკვახედ თქვა ბუკრაიტმა, - ის თუ გინდათ, იქაც, სამჭედურშიც გისმენდნენ, შეგვიძლია, ყველანი იქ გადავიდეთ.

- სწორია, - თქვა რეტლიფმა. - თქვენ არც იცით, ბიჭებო, რა კარგია ენის განძრევა იმის შემდეგ, რაც ზურგზე ნაწოლი ხარ ისეთ ადგილას, სადაც ყველას, ვისაც შენი მოსმენა არ ნებავს, შეუძლია წამოდგეს და მიგატოვოს, შენ კიდევ უკან ვერ გაჰყვები. - რეტლიფმა მაინც ხმას დაუწია ცოტათი. - ჰოდა, ისე სჭირდებოდა იმ კაცს თხები, მეტი რომ აღარ შეიძლება. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩრდილოელია ის კაცი. ისინი ჩვენაირად კი არ აკვარახჭინებენ საქმეებს. ჩვენში რომ ვინმეს თხების რანჩოს გაშენება მოენდომებინა, უბრალოდ ადგებოდა და გააშენებდა, იმიტომ, რომ თხები სამყოფზე მეტი ჰყავს ისედაც. ოღონდ გაგვაფრთხილებდა, რომ მისი სახლი, ან ვერანდა, ან სასტუმრო ოთახი, ან რომელიმე სხვა ადგილი, საიდანაც თხებს ფეხს ვერაფრით ამოაკვეთინებდა, სწორედ ეს არისო თხების რანჩო, და მორჩებოდა. ოღონდ ჩრდილოელი სხვაგვარად მოიქცევა. მან თუ საქმეს

მოჰკიდა ხელი, მთელ სინდიკატს ჩამოაყალიბებს დაბეჭდილი წესების კრებულის თანახმად და ჯექსონიდან თავად მინისტრის პატენტს მიიღებს, რომელიც ოქროს ასოებით იქნება ამოტივტივებული და შიგ ეწერება - ამით ვამტკიცებ, რომ ოცი ათასი თხა ნამდვილად თხა არისო. ის თხებით კი არ დაიწყებს საქმეს ანდა მიწის ნაკვეთით, ქალაქის ფურცლით და ფანქრით დაიწყებს და თავის კაბინეტში ყველაფერს გათვლის: ამდენი და ამდენი თხა ამდენსა და ამდენ აკრზე; ამდენი და ამდენი ფუტი მესერი, თხები რომ ვერსად გაიქცნენო. მერე ჯექსონში გაგზავნის ქალაქს და მთელ ამ მიწაზე, მესერზე და თხებზე პატენტს მიიღებს, და ჯერ მიწას იყიდის, რათა მესრის დასადგმელი ადგილი გაიჩინოს, მერე მესერსაც შემოავლებს, რათა ველარაფერი გაექცეს, და ბოლოს ამ ოთხფეხსაც იყიდის, ამ მესერს შიგნით რომ უნდა ძოვოს. ჰოდა, თავდაპირველად ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა. მიწას მიაგნო, თანაც ისეთ მიწას, რომ მისთანაზე თხების რაოდენობა გამაზიარებლად არ დაესიზმრებოდა, თითქმის გაუწვავლებლად იყიდა ის მიწა, ის დასჭირდა მხოლოდ, პატრონი მოემეზნა და გაეგებინებინა მისთვის - მართლა ვაპირებ ამ მიწაში ფულის მიცემასო, მესერი კიდევ, შეიძლება ითქვას, თავისთავად წამოიჭიმა, იმიტომ, რომ ის კაცი თავის ადგილზე იჯდა, ნაკვეთის შუაგულში, და ფულს ალაგებდა ჯიბიდან. მაგრამ მერე იმასაც მიხვდა - თხები არ მყოფნისო. მთელი ოლქი სიგრძე-სიგანეზე მოჩხრიკა იმდენი თხის თავმოსაყრელად, რამდენიც პატენტში ეწერა, ასე რომ არ ექნა, ის ოქროს ასოები ხომ პირზე წაადგებოდნენ - ყალთაბანდი ხარო, ოღონდ სულ ტყუილად გაისარჯა. რამდენი არ იმტვრია თავი, მაინც ორმოცდაათ თხაზე კიდევ დარჩა ადგილი მესერს შიგნით. ასე რომ, ახლა ის თხების რაოდენობა კი არაა, გაკოტრებაა და მეტი არაფერი. ან პატენტი უნდა დაუბრუნოს უკან, ანდა თუ უნდა ქვესკნელში ჩადვრეს და ის ორმოცდაათი თხა იშოვოს სადმე! რაღა გამოდის? ღმერთმა იცის, კაცი რამსიმორიდან მოსულა, თვითონ ბოსტონიდან, მენის შტატიდან, ორი ათასი აკრი მიწა შეუძენია, ორმოცდაათი ათასი ფუტი მესერი გაუმართავს, ჰოდა, ჩემო ბატონო, მთელი ეს დავიდარაბა შეიძლება წყალში ჩაეყაროს ბიძია ბენ ქვიკის თხების გულისთვის, იმიტომ, რომ ჯექსონსა და ტენესის შტატს შორის თხები სხვაგან არსად მოიძებნება.

- თქვენ რა იცით ეგ ამბავი? - თქვა ერთმა.

- როგორ გგონიათ, რომ არ მცოდნოდა, ლოგინიდან წამოვდგებოდი და ამსიმორეზე წამოვეხეტებოდი? - უთხრა რეტლიფმა.

- აგელოთ და ჩამჯდარიყავით თქვენს ფურგონში და აღარ გადაგელოთ მგზავრობა, უფრო გულდამშვიდებული იქნებოდით, - უთხრა ბუკრაიტმა. ის სვეტთან იჯდა, პირი იმ ფანჯრისკენ ჰქონდა მიქცეული, რეტლიფის ზურგს უკან რომ იყო.

რეტლიფმა შეხედა, ალერსიანმა და გამოუცნობმა, კვლავინდებურად უჩინარი და გამქირდავი ნიღბით აღჭურვილმა.

- რასაკვირველია, - თქვა. - ის თხები დიდი ხანია ჰყავს. ალბათ ისევ წავა იმის გასარკვევად - ესა და ეს არ უნდა გავაკეთო, ესა და ეს კი უეჭველად მჭირდებაო, და, რაღა თქმა უნდა, ანგარიშსაც გაუგზავნის იმ რჩევა-დარიგებისთვის. . .

საუბრის თემა იმდენად რბილად და თანაც იმდენად გადაჭრით შეცვალა, თითქოს – როგორც მისი მოსაუბრენი შემდეგ მიხვდნენ – უცბად გამოეკრას წითელასობიანი წარწერა „სიწყნარე!“ და ალერსიანად, აუმღვრევლად გახედა დუქნის კარში გამოჩენილ უორნერსა და სნოუპსს. სნოუპსს კრინტი არ დაუძრავს, გალერეა გაიარა და კართანას ჩაუყვია. უორნერმა კარი გამოიკეტა.

- ჯერ ადრე არაა დაკეტვა, ჯოდი? - უთხრა რეტლიფმა.

- გააჩნია, „გვიანს“ რას ეძახით, - უგემურად მიუგო უორნერმა და ნოქარს მიჰყვა.

- იქნება ვახშობის დროა უკვე? - იკითხა რეტლიფმა.

- თუ ასეა, თქვენს ადგილას წავიხემსებდი და იმ თხების საყიდლად გაწვევდი, - უთხრა ბუკრაიტმა.

- რასაკვირველია, - მიუგო რეტლიფმა. - ოღონდ იქნება ბიძია ბენს სახვალიოდ ათი-თორმეტი სული კიდევ შეემატოს. კარგი, რაც იქნეს, იქნეს.

ადგა და პალტო შეიკრა.

- ჯერ თხები იყიდეთ, - ბუკრაიტმა უთხრა.

რეტლიფმა ისევ შეავლო მოალერსე, გამოუცნობი მზერა. მერე სხვებს მოავლო თვალი. თავად მას არავინ უცქერდა.

- არა უშავს, არსად გაიქცევიან. ბიჭებო, ვინმე თქვენგანი პურს თუ ჭამს მისის ლიტლჯონთან?

უცებ მან თქვა: „ეს რაღაა?“ - და ყველანი მაშინვე მიხვდნენ, რასაც კითხულობდა, - ასაკოვანი ფეხშიშველი კაცი, ვიწრო, გამოხუნებულ კომბინეზონში გამოწყობილი, ისეთში, თოთხმეტი წლის ყმაწვილს თუ მოერგებოდა, გალერეის გასწვრივ გზაზე მიდიოდა და თუნუქის ყუთგამობმულ ჩილიკა ჯოხს მიათრევდა თოკით, თან გარშემო ვერაფერს ამჩნევდა, ჩილიკა ჯოხით ბუქად ავარდნილ მტვერს აცქერდებოდა მხარუკუდმა. გალერეას რომ გაუსწორდა, თავი ასწია და რეტლიფმა დაინახა მისი სახე - ჩამქრალი, გეგონებოდათ სულაც დავსებული თვალები, დაღებული დორბლიანი პირი და ზაგეზე ოქროსფერი ღინღლი.

- ეგეც იმათგანია, - ხრინწიანი ხმით, მკვახედ თქვა ბუკრაიტმა.

რეტლიფი თვალმოუშორებლად შეაჩერდა იმ საცოდავ არსებას, - მსხვილ-მსხვილ ბარდაყებზე შარვალი ლამის გადასკდომოდა. მოგრეხილ კისერზე თავი მოუყანყალებდა, თვალები უკან მიექცია, მტვერში მოფხოკიალე ჩილიკა ჯოხისკენ.

- ჰოდა, კიდევ იმას გვეუბნებიან, ხატად ღვთისად ხართო გაჩენილი ყველანი, - თქვა რეტლიფმა.

- მე მგონია, ამის უარესიც მოიძებნება, რას არ შეხვდები ქვეყანაზე, - თქვა ბუკრაიტმა.

- არ ვიცი, რაღაც არ მჯერა, თუმცა მასეც იყოს იქნება, - უთხრა რეტლიფმა. - ესე იგი უბრალოდ ჩამოვიდა აქ და მეტი არაფერი?

- მერე რა არი საკვირველი? - გაეპასუხა ბუკრაიტი. - ეგ ხომ არაა პირველი.

- რასაკვირველია. ოღონდ ხომ უნდა სახლობდეს სადმე?

უცნაურმა არსებამ მისის ლიტლჯონის სახლს მიატანა და ჭიშკარში შეუხვია.

- ლიტლჯონის თავლაში ათევს ღამეს, - თქვა ერთმა. - რაღაც-რაღაცას კი აკეთებს. ლიტლჯონი აჭმევს და ასმევს, რაღაცნაირად აგებინებს კიდეც ნათქვამს.

- ეტყობა, მისის ლიტლჯონი კი არის ხატად ღვთისად შექმნილი, - თქვა რეტლიფმა და თავი მოაბრუნა. ხელში ისევ ეჭირა დავიწყებული შაქარყინული. პირში ჩაიდო და ხელი პალტოს კალთას შეაწმინდა.

- ჰო, რა ვქნათ ვახშმის?

- ჯერ თხები იყიდეთ, - უთხრა ბუკრაიტმა. - ვახშამს მერეც მოესწრებით.

- ხვალ ვიყიდი, - მიუგო რეტლიფმა. - იქნება ამასობაში ბიძია ბენს ორმოცი-ორმოცდაათი შეემატოს.

„იქნება ზეგაც, - ფიქრობდა და მარტის სუსხდაკრულ სადამოს მისის ლიტლჯონის ზარის წვრიალზე იქით მიდიოდა. - ისე რომ დრო სამყოფი ექნება იმას. პირწმინდად წავიმუშავე, მე მგონია. მარტო ის კი არ გამოვიყენე, რომ იმან, მგონია, იცის ჩემი ამბავი, არამედ ისიც, რომ მე, მისი აზრით, ვიცი მისი ამბავი, თუმცა მთელ წელიწადს ვიწექი და დიდებულ მეცნიერებასა და კეთილშობილურ თავშესაქცევს - გაცუცურაკების ხელობას ძალიან ჩამოვრჩი. ბუკრაიტი კი უცებ წამოეგო ანკესს. ტყავში ძვრებოდა, ჩემთვის რომ დაესწრო. სხვის საქმეებშიაც ჩაერია ამის ხათრით“.

ასე რომ, სახვალიოდ არამცთუ არ მიუკითხავს თხის ჯოგის პატრონისთვის, ექვს მილზე გაემგზავრა სულ სხვა მიმართულებით და მთელ დღეს იმის ცდაში იყო, როგორმე გაეყიდა საკერავი მანქანა, რომელიც თან არც ჰქონია. ღამეც იქვე გაათია, ფრანგისხევეში მეორე დილას დაბრუნდა და გაემართა პირდაპირ დუქნისკენ, სადაც ერთ ბოძზე უორნერის სისვი ცხენი იყო მიბმული. „გამოდის, უკვე ცხენითაც დაჯირითობს? - გაიფიქრა რეტლიფმა. - „ასე-ე“. ფურგონიდან არ ჩამოსულა.

- ხუთი ცენტის შაქარყინულს ხომ ვერ ამიღებთ ვინმე? - იკითხა მან. - იქნება ბიძია ბენის თავის მოქონვა დამჭირდეს მისი რომელიმე შვილიშვილის პირით. - გალერეაში მსხდომთაგან ერთი დუქანში შევიდა და შაქარყინული გამოუტანა. - სადილად დავბრუნდები, - თქვა რეტლიფმა. - მერე მზად

ვარ, რომელ ახალგაზრდა გაჭირვებულ ექიმსაც გინდათ, იმას ჩავუვარდე ხელში - გამჭრას.

დიდი გზა არ ედო: ხიდამდე ერთ მილზე ნაკლები და ხიდს იქითაც მილზეცოტა მეტი, სუფთა, ფაქიზ სახლს მიადგა. სახლს უკან დიდი გომური იყო, გომურს იქით - სამოვარი, რომელშიც თხები დაინახა. ვერანდაზე წინდებისამარა მჯდარი ჯანიანი, მოსული ბერიკაცი აყვირდა:

- გამარჯობა, ვ. კ.! ეგ რა ამბავი აგიტეხია ბილ უორნერთან?

რეტლიფმა ჩამოუხტომლად უპასუხა:

- ასე-ე, დამიკრა თავი, ხომ?

- ორმოცდაათი თხაო! - გაჰყვიროდა ბერიკაცი. - ერთი კაცის ამბავი გამიგია, ათ-ათ ცენტს იხდის, ოღონდ კი წყვილი თხა მოიშოროს თავიდან, მაგრამ მიდღემჩი არ მსმენია, ვინმეს ეყიდოს თხები, ისიც ორმოცდაათი ერთად!

- მარჯვე ბიჭია, - უთხრა რეტლიფმა. - რაკი ორმოცდაათი თხა უყიდია, ალბათ იცის კიდეც - ზუსტად ამდენი დამჭირდებაო.

- მარჯვე ბიჭია, კი. ორმოცდაათი თხაო. ეშმაკის ფეხი, ა! ისე, მე კიდეც დამრჩა ჯოგი, რომ არ მოგატყუო, ერთ საქათმეს კი გაავსებდა, იმდენი. იქნება გყვიდა?

- არა, - უთხრა რეტლიფმა. - სწორედ ის ორმოცდაათი მჭირდებოდა.

- მუქთად მოგცემ. ზედაც ხუთ შაურს დაგიმატებ, ოღონდ კი თვალში აღარ მეჩხირებოდნენ და.

- მადლობელი ვარ, - უთხრა რეტლიფმა. - რას იზამ, ზედნადებ ხარჯად წამივიდა ეს ამბავი.

- ორმოცდაათი თხაო, - ამბობდა ბერიკაცი. - დარჩი სადილად.

- მადლობელი ვარ, - მიუგო რეტლიფმა. - მგონია, ისედაც ზედმეტი დრო დავხარჯე ჭამა-სმამში.

ფრანგისხევეში დაბრუნდა, ერთი გრძელი მილი მდინარემდე და ერთიც მოკლე - მდინარის აქეთ გამოეწვლო. ტანმორჩილი, მუხლმაგარი ცხენები შეწყობილად ვერა, მაგრამ ფიცხლად კი მოგელავდნენ. სისვი ცხენი ისევ ისე იდგა დუქანთან და ხალხიც ისევე იყო ჩამომსხდარი გალერეაში, მაგრამ რეტლიფი არ შეჩერებულა. მისის ლიტლჯონის სახლამდე მიატანა. ცხენები ღობეს მიაბა, თავად კი ავიდა ვერანდაზე, საიდანაც დუქანი მოჩანდა. სამზარეულოდან უკვე მოდიოდა საჭმლის სუნი და ხალხიც წავიდ-წამოვიდა, რადგან შუადღე მოტანებული იყო, მაგრამ სისვი ცხენი ჯერაც ძველ ადგილას იდგა. „კი, - გაიფიქრა რეტლიფმა, - გამოიჭირა ჯოდი. კაცმა ცოლი რომ წაგართვას, ერთილა დაგრჩება - ტყვია დაახალო, და მაშინ ცოტათი სულს მოითქვამ. მაგრამ ცხენი რომ გამოგაცალონ ხელიდან...“

ზურგს უკან მისის ლიტლჯონის ხმა გაისმა.

- მე არც ვიცოდი, თუ დაბრუნდით უკვე. ისადილებთ?
- გეახლებით, მემ. ოღონდ ჯერ დუქანში გადავალ ცოტა ხნით.

მისის ლიტლჯონი სახლში შებრუნდა. რეტლიფმა საფულიდან ორი თამასუქი ამოიღო, ერთი პალტოს შიდა ჯიბეში ჩაიდო, მეორე - ხალათის გულის ჯიბეში, და მარტის ამ შუადღეს გზას გაუყვა. სქლად დატკეპნილ მტვერში გააბიჯა შუადღის უსიცოცხლო, უმოძრაო ჰაერის მსუნთქველმა, კართანაზე ავიდა და დაცარიელებული, თამბაქოს ნაღეჭით მოსვრილი, დანებით დასერილი გალერეა გაიარა. დუქანი შიგნიდან გამოქვაბულივით იყო - ბნელი, გრილი, ყველისა და ტყავის სუნით გაჟღენთილი. თვალი სიბნელეს უცბად ვერ შეეგუა. მერე გაარჩია რუხი კეპი, თეთრი ხალათი, ბანტად შეკრული ერთი ბეწო ჰალსტუხი, მცოხნელი ყბები. სნოუპსმა ამოხედა.

- თქვენ თავი დამიარეთ, - უთხრა რეტლიფმა. - რამდენად?

ნოქარმა თავი შეაბრუნა და ცივი ღუმლის ქვეშ მდგარ სილით სავსე ყუთში ჩააფურთხა.

- ორმოცდაათ ცენტად, - თქვა იმან.
- მე თვითონ გარიგებაში ოცდახუთი გადავიხადე, მიღებით კი სამოცდათხუთმეტს მივიღებ. ისე რომ, აჯობებს ხელშეკრულება დაიხეს. გადასაცვანი ხარჯები მაინც აღარ იქნება საჭირო.
- კარგი, - თქვა სნოუპსმა, - რამდენს მომცემთ?
- აი ამას მოგცემთ იმათში, - უთხრა რეტლიფმა.

პალტოს ჯიბიდან პირველი თამასუქი ამოიღო. და დაინახა - ერთი წამით რადანარი ახალი, სრული უძრაობა დაეუფლა გამოცარიელებულ სახეს და დახლს იქით მდგარ ჩასკვნილ, დონდლო სხეულს. ამ ერთ წამს ყბამაც კი შეწყვიტა ცოხნა, მაგრამ მაშინვე ისევ ამოდრავდა. სნოუპსმა ქალაღი ჩამოართვა და დახედა. მერე ის ქალაღი დახლზე დადო, თავი შეაბრუნა და სილით სავსე ყუთში ჩააპურჭყა.

- თქვენი აზრით, ეს თამასუქი ორმოცდაათ თხად ღირს, - თქვა მან.

ეს კითხვა კი არა, დასტური იყო.

- დიახ, - უთხრა რეტლიფმა, - იმიტომ, რომ მაგის გარდა სიტყვიერადაც უნდა გადმოგცეთ რაღაცა. გინდათ მომისმინოთ?

სნოუპსი უმზერდა და იღეჭებოდა. ეს ცოხნა რომ არა, სრულებით უმოძრაო იყო; იტყოდით, არც კი სუნთქავსო. იყუჩა და თქვა:

- არა, - და აუჩქარებლად წამოდგა. - კარგი. - თქვა მერე. საფულე ამოიღო, დაკეცილი ქალაღი ამოაძვრინა და რეტლიფს გაუწოდა. ეს იყო ქვიკის მიერ ხელმოწერილი ნასყიდობა ორმცდაათი თხის შეძენისა. - ასანთი

გაქვთ? მე არ ვეწევი. - რეტლიფმა ასანთი მიაწოდა და უცქერდა, როგორ მოუკიდა იმან თამასუქს ცეცხლი, დაელოდა, ვიდრე მთელი ქალაქი აბრიალდებოდა, სილიან ყუთში ჩააგდო და, რომ დაიფერფლა, ფეხსაცმლის ჭვინტით მოტკეპნა ნაცარი. მერე სნოუჰსმა მზერა მოაპყრო; რეტლიფი არ შერხეულა. მაშინ ისევ ერთი წამით რეტლიფს მოეჩვენა, რომ ყბამ ცოხნა შეწყვიტა. - ჰო? - თქვა სნოუჰსმა. - კიდევ რა?

რეტლიფმა სხვა ჯიბიდან მეორე თამასუქი ამოიღო. ახლა უკვე აშკარად ხედავდა, რომ ყბამ ცოხნა შეწყვიტა. ყბა მთელ წუთს აღარ შერხეულა, ვიდრე ბრტყელი, უძრავი პირისახე ჭუჭყიან, კიდებჩამოცრეცილ ქალაქდზე საჰაერო ბურთივით ეკიდა. აი, მან ერთხელ, მეორედაც გადააბრუნა ქალაქი. მერე ისევ მიაჩერდა რეტლიფს და მის სახეს სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობოდა, თუნდაც სულისთქმის მაუწყებელი. გეგონებოდათ, მთელი სხეული რალაცნაირად ახერხებდა ჰაერის საკუთარ მარაგს დასჯერებოდა. - ამაშიც გინდათ გადამახდევინოთ? - თქვა სნოუჰსმა. თამასუქი რეტლიფს დაუბრუნა. - კარგი, აქ დამიცადეთ - და უკანა კარით გავიდა დუქნიდან.

„რა უნდა იყო?“ - გაიფიქრა რეტლიფმა და უკან გაჰყვა. ჯმუხი, ზანტი სხეული, ამჯერად კაშკაშა მზით განათებული, სასტუმროს მესრისკენ მიდიოდა. იქ ჭიშკარი იყო. რეტლიფი ხედავდა, როგორ შევიდა ჭიშკარში სნოუჰსი, ეზო გადაჭრა და თავლისკენ წავიდა. მაშინ რალაც ბნელი შემოაწვა - სულისხუთვა, სისუსტე, გულისყრა. „უნდა გავეფრთხილებინეთ! - აღმოხდა თავისთვის. - ვინმეს მაინც გავეფრთხილებინე!“ და უმაღლე გაჰკვსა: „გამაფრთხილეს და ის იყო: ბუკრაიტმა გამაფრთხილა. ხომ თქვა - ეგეც იმათგანიაო. - მაგრამ მე ნაავადმყოფარზე ტვინს ვედარ ვანძრევ და ვერ“. ისევ დახლთან იდგა. მოეჩვენა - მიწაზე გათრეული ჩილიკა ჯოხის ფხაკუნნი მესმისო, თუმცა კი იცოდა, რომ ასე ჩქარა ვერ მოხდებოდა ეს ამბავი, მაგრამ მაშინვე მართლა მოესმა ფხაკუნნი და მაშინვე სნოუჰსი შემოვიდა, შებრუნდა, კარს გამოეცალა, ზღურბლს ჩილიკა ჯოხი მოხვდა, ნაკერავებზე გაფხრეწამდე მისულ კომბინეზონში ჩაცმული, თავმოყანყალე არსება კარში ჩადგა და შემობორიალდა, ჩილიკა ჯოხი კი მორახუნობდა, იატაკს მოსთრევდა, ვიდრე დახლის ქვეშ არ გაეჩხირა. სამი წლის ბალდიც კი, რომ დაღუნულიყო, იოლად გამოათრევდა ჯოხს იქიდან, მაგრამ ჭკუანაკლული იდგა, თოვს უაზროდ ქაჩავდა და, ისე იყო შეშინებულიც, გაოცებულიც, სლუკუნს, წკმუტუნს იწყებდა, რომ სნოუჰსმა ჩილიკა ჯოხი ფეხით გამოაგდო დახლის ქვეშიდან. ისინი მივიდნენ დახლთან, სადაც რეტლიფი იდგა. მოყანყალე თავი, თვალები, რომელთაც ოდესღაც, გაღებისთანავე იხილეს, თითქოს გორგონას საზარელი სახეაო, ის დასაბამითვე არსებული უსამართლობა, რომლისთვისაც კაცს არ შეეხედება, და მათში გაქრა, სამუდამოდ ჩაკვდა ყოველგვარი აზრი; დორბლიანი პირი, რბილი, ოქროსფერი ღინღლით შემოვლებული. - უთხარი, რა გქვია, - უბრძანა სნოუჰსმა. საცოდავი არსება რეტლიფს უცქერდა, თავს გაუჩერებლად აყანყალეობდა, იდორბლებოდა. - უთხარი, - მოთმინებით გაუმეორა სნოუჰსმა, - უთხარი, რა გქვია.

- აიკ 3' მოუპი.

და გაიცინა, თუმცა თვალის დახამხამებაზე ეს სიცილი აღარ იყო და რეტლიფი მიხვდა, რომ ის ხმა, ის როხროხი, ის სლუკუნის არც არასოდეს ყოფილა სიცილი, და იმ ზგერის ჩახშობა ადამიანის ძალას აღემატებოდა, გამალებული მოქროდა და თან სუნთქვას მოიყოლიებდა, თითქოს ისარივით გაფრენილ კაზაკის ცხენს რაღაც სულთმობრძავი არსება მოსთრევსო, ხოლო მომრგვალებულ პირს ზემოთ უძრავი და უსინათლო თვალები ედგა.

- სს-სუ! - უთხრა სნოუჰსმა. - ჩუმად! - მხარში ჩააფრინდა იდიოტს და მანამდე ანჯღრევდა, ვიდრე ის ხმა არ ჩაცხრა ბუყბუყითა და ყიპყიპით. მაშინ სნოუჰსმა კარისკენ უბიძგა და იდიოტი მორჩილად გაემართა იქით, თან მხარს უკან გამოსცქეროდა თუნუქის ორ კოლოფგამობმულ ჩილიკა ჯოხს, რომელიც ბინძური თოკის ბოლოში მოსთრევდა და კინაღამ ისევ არ გაეჩხირა დახლის ქვეშ, მაგრამ სნოუჰსმა მანამდე გამოჰკრა ფეხი, ვიდრე იქ გაეჭედებოდა თავმოყანყალე, პირღია, ფავნივით ყურებწაწვეტებული, სქელ-სქელ დედაკაცურ ბარდაყებზე შემოჭიმულ კომბინეზონიანი არსება ისევ ჩადგა კარში და თვალს მიეფარა. სნოუჰსმა კარი მიხურა და დახლთან მობრუნდა. ერთხელაც გადააპურჭყა სილიან ყუთში. - ეგ არის აიზეკ სნოუჰსი. მე მისი მეურვე ვარ. გინდათ ქალაღები გაჩვენოთ?

რეტლიფს არ უპასუხია. შემობრუნებულმა დახლზე თამასუქი რომ დადო, იმას ისეთივე ძნელადმესამჩნევი, მქირდავი, აუმღვრეველი სახით დაჰყურებდა, როგორითაც ამ ოთხი დღის წინ რესტორანში ყავის ფინჯანს. თამასუქი აიღო, სნოუჰსისთვის არც შეუხედავს.

- გამოდის, მისი ათი დოლარი მე თვითონვე რომ მივცე, თქვენ, როგორც მეურვე, სულერთია, ხელიდან გამოაცლით. თქვენ რომ გადაგახდევინოთ ეს ათი დოლარი თამასუქში, თქვენ ხელახლა შეგემლებათ მაგ თამასუქის გაყიდვა. მესამედ, ასე-ე, - ჯიბიდან ასანთი ამოიღო და თამასუქთან ერთად სნოუჰს გაუწოდა. - ამბობენ, ერთხელ გითქვამთ აქ - ფული ჩემს დღეში არ დამიწვავსო. ახლა შემთხვევა მოგეცათ ნახოთ, როგორ ხდება ეს ამბავი.

რეტლიფი დაჰყურებდა, როგორ იწვოდა მეორე თამასუქი, როგორ ნელ-ნელა ჩაფრიალდა სილიან ყუთში, როგორ ეხვეოდა ფერფლად ქცეული ქალაღი და, ბოლოს, როგორ მოისრისა ფეხსაცმლის ჭვინტით.

დუქანში ათი წუთიც არ დაუყვია. კართანადან შარაგზის დატკეპნილ მტვერში დაეშვა. „კიდევ მადლობა ღმერთს, კაცს შეუძლია ჩქარა დაივიწყოს, რის გამოსასწორებლადაც ვაჟკაცობა არ ჰყოფნის ხოლმე“, - უთხრა თავის თავს მიმავალმა. უკაცრიელი გზა, თითქოს მირაჟი ყოფილიყოს, ისე ლივლივებდა გაზაფხულის შუქჩრდილში. „ჰო, - უთხრა თავის თავს, - ეტყობა, უფრო სერიოზულად მიავადმყოფია, ვიდრე მეგონა. ამიტომაც მომეცარა ხელი და მერე როგორ მომეცარა. არა უშავს, წავისადილებ და იქნება გულს მეფონოს ცოტათი“.

მაგრამ სუფრას მარტოდმარტო რომ მიუჯდა და მისის ლიტლჯონმა თეფში დაუდგა წინ, საჭმელს პირი თითქმის ვერც დააკარა. ეჩვენებოდა - მშიაო, მაგრამ ყოველი ლუკმა მძიმედ და უგემურად ადგებოდა ყელზე, თითქოს მიწა გადაეყლაპოს, და მაღაც უფრო და უფრო ეკარგებოდა. ბოლოს და ბოლოს თეფში იქით მიდგა და აქვე მაგიდაზე გადათვალა ხუთი დოლარი -

თავისი მოგება: ოცდაჩვიდმეტ-ნახევარს თხებში მიიღებს, ამას გამოაკლდება თორმეტ-ნახევარი მორიგებისა და ოცი - პირველი თამასუქისა. ფანქრის ნატეხით იანგარიშა; ათდოლარიანი თამასუქის პროცენტები სამი წლის მანძილზე და თვით ის ათი დოლარი (ეს მისი საკომისიო იქნებოდა, ესე იგი რეალურ დანაკლისს არ მიეთვლებოდა), მერე იმ ხუთ დოლარს დაკლებული ფული მიუმატა - გაცრეცილი ქალაღდის ფული, გალეული ვერცხლი, სპილენძის ხურდა, ყველაფერი, რაც კი რამ მოემევებოდა. მისის ლიტლჯონი სამზარეულოში იყო. თავისი მდგმურებისათვის საჭმელსაც თვითონ ამზადებდა ხოლმე, ჭურჭელსაც რეცხავდა და ოთახებსაც ულაგებდა მათ. რეტლიფმა ფული წყლის ბაკანთან მდგარ მაგიდაზე დადო.

- ისა, რა ჰქვია იმას... აიკი... აიზეკი. მითხრეს, თქვენ ასაზრდოებთ თურმე... ისე რომ ფული არაფერში გამოადგება. მაგრამ იქნებ...

- კეთილი, - თქვა ქალმა, ხელები წინსაფრით შეიმშრალა, ვერცხლი ქალაღდში შეახვია გულდასმით და რეტლიფის წინ გაჩერდა. ფული არც დაუთვლია.

- შევუნახავ ამ ფულს. შეგიძლიათ არხეინად იყოთ. ახლა საით მიბრძანდებით, ქალაქისკენ?

- დიახ, - უპასუხა რეტლიფმა. - საქმეს უნდა მოვკიდო ხელი. ვინ იცის, კიდევ როდის ჩავუვარდები ხელში გუდამშიერსა და თავგამოდებულ საქმოსანს, ფულს რომ ცოცხალი კაცის გაფატვრით შოულობს.

კარისკენ წავიდა, მერე შეჩერდა, ქალს გამოხედა იმავე ძნელად შესამჩნევი ეშმაკური მზერით, ოღონდ ამჯერად უკვე დამცინავად, გესლიანად მოლიმარემ.

- ორი სიტყვა მინდოდა დამებარებინა ბილ უორნერისთვის... თუმცა ისეთი არაფერია.

- გადავცემ თქვენს დანაბარებს, - უთხრა მისის ლიტლჯონმა. - ძალიან ბევრი თუ არ იქნა სათქმელი, არ დამავიწყდება.

- არა, დიდი არაფერია... თუ შემთხვევა მოგეცეთ, ასე უთხარით: რეტლიფმა შემოგიტვალათ, ჯერ არაფერი გარკვეულა-თქო. მიხვდება, რასაც ვამბობ.

- ვეცდები არ დავივიწყო, - უთხრა მისის ლიტლჯონმა.

გამოვიდა და ფურგონში ჩაჯდა. პალტოს ჩაცმა აღარ იყო საჭირო; მეორედ ამოსვლისას თან წამოღებაც აღარ მოუხდებოდა. ტანმორჩილ ცხენთა წვრილანალებქვეშ შარაგზა გაქანდა უკან. „ესაა, რომ ვერ ჩავწვდი ამ საქმეს, - გაიფიქრა. - ადრე დავიხიე. იმას ჩავწვდი, რომ ერთი სწოუპსი მეორე სწოუპსის თავლას ცეცხლს წაუკიდებს, და ორივემ იცის ეს ამბავი. არც შევმცდარვარ, ოღონდ აქ შევჩერდი. იმას ვეღარ ჩავხვდი, რომ პირველი სწოუპსი უცებ აიღებს და დაავსებს ცეცხლს, თანაც მეორე სწოუპსს ფულს გამოძლავს ამაში, და ეს ამბავიც ორივემ იცის“.

ყველამ, ვინც კი ნოქრის მოქმედებას თვალს ადევნებდა, რაღაც სამჭედლოს მიჩემება კი აღარ შენიშნა ამჯერად, არამედ მემკვიდრეობის უფლების ნამდვილი უზურპაცია. მომდევნო შემოდგომაზე ნოქარი სასწორთან კი აღარ ტრიალებდა მხოლოდ, უორნერსა და მის მოიჯარადრე-მოვალეებს შორის წლიური ანგარიშსწორების დრო რომ დადგა, თავად ბილ უორნერი აღარც დასწრებია ამ ამბავს. სნოუპსი ახლა იმასაც აკეთებდა, რაც უორნერს თვით ღვიძლი შვილისთვის ერთხელაც არ მიუხდვია, - მარტოდმარტო მისჯდომოდა დახლზე გაშლილ საანგარიშო წიგნებსა და გაყიდული მოსავლით მიღებულ ნაღდ ფულს, ანგარიშობდა, საიჯარო გადასახადს ქვითავდა და დარჩენილი ფულიდან ყოველ მათგანს თავის წილს უხდიდა; ამასთან ორი-სამი კაცი ვითომ კიდევ შეედავა - სწორად არ გვიანგარიშეო. შესაძლოა მხოლოდ პრინციპის გულისთვისაც შეედავა, როგორც მაშინ, დუქნის ზღურბლს პირველად რომ გადააბიჯა; მაგრამ ნოქარს მათთვის ყურიც არ უთხოვებია, იჯდა თავისთვის გაჭუჭყიანებულ თეთრ ხალათში, ერთი ბეწო ჰალსტუხი ეკეთა, მოუშორებელ თამბაქოს ღეჭავდა, მღვრიე, უძრავი თვალებით იმზირებოდა, ისე რომ, ვერასოდეს მიხვდებოდი - შენ გიმზერდა თუ არა, იჯდა და ელოდებოდა, როდის მორჩებოდნენ, როდის გაჩუმდებოდნენ, მაშინ კი ხმის გაუღებლად ქალაქსა და ფანქარს მოიმარჯვებდა და უმტკიცებდა - ცდებითო. ახლა უკვე დუქანში აუჩქარებლად შემოსული ჯოდი უორნერი კი აღარ აძლევდა ნოქარს ბრძანებებსა და მითითებებს; ახლა უკვე ყოფილი ნოქარი კართანას აივლიდა, გალერეაში შეყრილ ხალხს გულსგარეთ თავს დაუკრავდა, ზუსტად ისევე, როგორც ადრე თავად ბილ უორნერს სჩვეოდა ხოლმე, დუქანში შევიდოდა, და იქიდან მაშინვე გამოისმოდა მისი საქმიანი, მოკვეთილი ხმა, რომელიც ფარავდა გულმოსულ ბღღვინვას იმ კაცისა, ვინც წინათ მისი პატრონი იყო და, იტყოდით, დღემდე ვერ მიმხვდარა, მაინც რა ამბავი დატრიალდაო. მერე სნოუპსი მიდიოდა და იმ დღეს მეტს აღარც ბრუნდებოდა, ბილ უორნერის ბებერ თეთრ ფაშატს ახლა მეგზური გაუჩნდა - სისვი ცხენი, რომელზეც წინათჯოდი ჯდებოდა ხოლმე. თეთრი ფაშატი და სისვი ცხენი გვერდიგვერდ იდგნენ, ერთ ღობეზე მიბმულნი, ვიდრე უორნერი და სნოუპსი ბამბის თუ სიმინდის ყანებს, ან საქონლის ჯოგებს, ან კიდევ საიჯარო ნაკვეთთა სამანებს ათვალეირებდნენ; უორნერი - მხნე, კალიასავით დაუდევარი, გადასახადის ამკრებივით ცბიერი და შეუბრალებელი, უსაქმური და გამრჯე, და მასთან ის, მეორე, - ხელები ენით უთქმელი, ფაყვე, ნაცრისფერი შარვლის ჯიბეებში ჩაუყვია, თავის მოუშორებელ საღეჭავს იცოხნება და დროდადრო დაფიქრებული გამოაფურთხებს ხოლმე ტყვიის მსგავს ლეკერტებს შოკოლადისფერი ნერწყვისა. ერთ დილას ახალთახალი წნული ჩემოდანი მოიტანა თან. იმავე საღამოს ის ჩემოდანი უორნერს წაუღო. ერთი თვის შემდეგ კი უორნერმა შეიძინა ახალი, მსუბუქი, წითელთვლებიანი, ფოჩებიანი ეტლი, რომელიც ცისმარე დღე მიმოქროდა მიყრუებულ თემშარებზე - ნასუქალი თეთრი ფაშატი და მოსული სისვი ცხენი ახალთახალი, სპილენძით გაწყობილი მოსართავებით, ეტლის თვლები წითლად ფერადობს, მანები არც უჩანს, ხოლო უორნერი და სნოუპსი -

თვალს არ დაეჯერება! - ბოლქვა-ბოლქვად ავარდნილი მტვრის ზემოთ გვერდიგვერდ სხედან და შეუჩერებლად მიჰქრიან. და, აი, ერთხელ, იმავე ზაფხულს, რეტლიფი ხელახლა მიადგა დუქანს და გალერეაში თვალი მოჰკრა სახეს, რომელიც წამით ვერც იცნო, რადგან სულ ერთხელ ჰქონდა ნანახი, ისიც ორი წლის წინ, ოღონდ მხოლოდ წამით ეუცხოვა ის სახე, რადგან მაშინვე შესძახა: „ოჰ, გამარჯობა თქვენი! როგორ მუშაობს მანქანა?“ მერე მოაღერსედ და სავსებით შეუცნობლად გამომზირალი ფურგონში იჯდა, ღვარძლიან, ჯიუტ, წარბებგადაბმულ პირსახეს აკვირდებოდა და იგონებდა: „რა ჰქვია? რაღაც ისეთი სახელია, ფინიასას ჰგავს... ჰო, ჰო, - მინკი“.

- გაგიმარჯოს, - უთხრა კაცმა. - მუშაობს, მერე რა? თქვენ თვითონ არ იკვებხნით - უვარგისები არა მაქვსო?

- რასაკვირველია, - უპასუხა ისევ მოაღერსე და შეუცნობელმა რეტლიფმა. კოფოდან ჩამოხტა, ცხენები ბოძს მიაბა და ავიდა გალერეაზე, სადაც ოთხნი ისხდნენ. - ოღონდ მე ასე ვიტყვი - სნოუჰსები არ ყიდულობენ-მეთქი უვარგისებს.

ამ დროს ფლოქვების თქარათქური შემოესმა, შებრუნდა და დაინახა დაოთხილი ცხენი, რომელსაც გვერდზე ნაგაზი მოსდევდა. მერე ჰიუსტონმა ცხენი შეაყენა, ჩამოხტა, აღვირი შეუჩერებლად თავზე გადაუდო, როგორც დასავლეთში სჩვევიათ, კართანა აიარა და იმ სვეტის პირდაპირ დადგა, რომელთანაც მინკ სნოუჰსი ჩაცუცქულიყო.

- მე მგონია, იცი, სადაცაა შენი ძროხა, - უთხრა ჰიუსტონმა.

- კი ვხვდები, - სნოუჰსმა თქვა.

- ჰოდა, ძალიან კარგი, - უთხრა ჰიუსტონმა. გულჯავრიანი ბრაზით არ ცახცახებდა, ოღონდ ეს დინამიტის ჭურვის უძრაობა იყო. ხმაც კი არ აუწევია. - მე გაგაფრთხილე. კი იცი, როგორია ჩვენი წესი. როცა ყანები დათესილია, საქონელი დაბმული უნდა გყავდეს, თორემ სამართალში აგებ პასუხს.

- ამდგარიყავით და შემოგელობათ, მაშინ ჩემი ძროხა თქვენსას აღარ გადმოვიდოდა, - თქვა სნოუჰსმა.

მერე მაგრად, მოკლე-მოკლე სიტყვებით ლანძღეს ერთმანეთი, თითქოს ურტყამენ ან რევილვერს ესვრიანო, არც უსმენდნენ ერთიმეორეს, ადგილიდანაც არ იძროდნენ - ერთი კართანაზე იდგა, მეორე სვეტთან ჩაცუცქულიყო.

- იქნება თოფი გეხმარათ, - უთხრა სნოუჰსმა. - უფრო მალე გადმოდენით.

ჰიუსტონი დუქანში შევიდა, გალერეაში მყოფი ხუთი კაცი კი მშვიდად იდგა თუ იჯდა თავთავის ადგილას და წარბებგადაბმულიც დანარჩენთა მსგავსად მშვიდად იყო. მერე ჰიუსტონი გამოვიდა, არავისთვის შეუხედავს, კართანას ჩაჰყვა, ცხენს მოახტა - ძალოვანი, მკლავებმოუღლეელი, გოროზი - და გააჰქენა, ძაღლიც უკან დაედევნა, ხოლო ცოტა ხანში სნოუჰსიც წამოდგა და

გზას ქვეითად გაუყვა. მაშინ ერთი იქ დარჩენილთაგანი გადაიხარა და მოაჯირს იქით ფრთხილად გადააფურთხა მტვერში, რეტლიფმა კი თქვა:

- რაღაც კარგად ვერ მივხვდი იმ ღობის ამბავს. მე ისე გავიგე, სნოუჰის ძროხა ჰიუსტონის ყანაში გადასულაო.

- მართალია, - უთხრა იმან, რომელმაც ის-ის იყო გადააფურთხა. - სნოუჰის ჰიუსტონისეულ მიწაზე სახლობს. ახლა ის მიწა ბილ უორნერისაა. დაგირავებული იყო და უორნერმა დაირჩინა შარშან.

- ჰიუსტონი სწორედ უორნერის მოვალე იყო, - თქვა მეორემ. - შემოგეღობაო, რომ უთხრა, იმ ნაკვეთისას ამბობდა.

- გასაგებია, - თქვა რეტლიფმა, - ისე უთქვამს, სიტყვის მასალად.

- ოღონდ ჰიუსტონი იმიტომ არ ყოფილა გულმოსული, მიწა რომ დაკარგა, - თქვა მესამემ. - საერთოდ, ფიცხი კაცია. ჩქარა იცის გულის მოყვანა.

- გასაგებია, - თქვა რეტლიფმა. - ახლა მივხვდი, რა მოსვლია იმ მიწას, ვისთვის მიუცია იჯარით ბიბია უორნერს. გამოდის, რომ ფლემს სახლიკაცებიც გამოსჩენია. ოღონდ, ჩემი აზრით, ეგ სნოუჰის განსაკუთრებული მოდგმისაა, ისე როგორც გველგესლაა გველის განსაკუთრებული ჯიში.

„ეტყობა, კიდეც აპირებს სახლიკაცის შეწუხებას“, - გაიფიქრა რეტლიფმა. მაგრამ ეს ფიქრი არ გაუმხელია, ოღონდ ის კი იკითხა ლაღმა, მოალერსემ, შეუცნობელმა:

- საინტერესოა, სად არიან ახლა ბიბია ბილი და მისი კომპანიონი? მათი ასავალ-დასავალი თქვენსავით არ ვიცი ჯერჯერობით.

- ამ დილას ორი ცხენი და ის ეტლი ფრანგის კარ-მიდამოს ღობესთან დავინახე, - თქვა მეოთხემ. ისიც გადაიხარა და ფრთხილად გადააფურთხა მოაჯირს იქით. მერე ისე დასძინა, თითქოს რაღაც წვრილმანი გახსენებოდეს: - იმ სკამზე ფლემ სნოუჰის ზის ხოლმე ახლა.

წიგნი მეორე

თავი პირველი - იულა

1

იულა უორნერს ცამეტი წელიც არ შესრულებოდა, როცა ფლემ სნოუჰსმა მამამისის დუქანში ნოქრის ადგილი იშოვა. ის უკანასკნელი, მეთექვსმეტე შვილი იყო ოჯახში, „ცუცნა“, თუმცა მეთექვსმეტეში გადამდგარმა დედამისს

გაუსწრო სიმაღლით. ახლა, ცამეტს მიტანებული, ბევრ მოწიფულ ქალზე ტანსრული იყო და მკერდიც როდი ედგა იმ ძლივს შესამჩნევ, კერკეტ, წაწვეტებულ კონუსებად, როგორც აქვთ ხოლმე მომწიფებადაწყებულ გოგოებს და თუგინდ ქალიშვილებსაც. პირიქით, მთელი თავისი აღნაგობით იულა უფრო მოგაგონებდათ ძველი დიონისური დროების სიმბოლიკას – მზეში მჭვირვალ თავლს და გატიკნულ ყურძნის მტევნებს, ნაყოფიერ ვაზს, რომელსაც სქელი წვენი სისხლად გასდის თხისფეხოსანთა გაუმადლარ და ულმობელ ფლოქვებქვეშ. იტყოდით, გარესამყაროს ცოცხალი ნაწილაკი კი არ არის, თითქოს ცურავსო პირსავსე სიცარიელეში, და მისნი დღენიც ბგერაგაუმტარი მინის ხუფქვეშ მიედინებოდნენ თითქოს, სადაც ის, მარადიული სიბრძნით თავის თავს დანთქმული, ქალის გათანგული სხეულის ზრდას აყურადებდა.

მამამისივით გაუსწორებელი მცონარა იყო, მაგრამ მამამისის მოუსვენარი და ხალისიანი უქნარობა ნამდვილ ძალად, უდრეკ და თვით ულმობელ ძალად გამოვლინდა. საკუთარი ნებით არც კი შეინძრეოდა ხოლმე, ოღონდ სუფრისკენ და სუფრიდან, ლოგინისკენ და ლოგინიდან თუ წავიდ-წამოვიდოდა. ფეხი გვიან აიდგა. მას ჰქონდა მთელ ოლქში პირველი და ერთადერთი საბავშვო ეტლი, ვეება, ძვირად ღირებული და მოჯორთილი. იმ ეტლს იმის შემდეგაც დიდხანს ვერ შეეღია, როცა წამოიზარდა და შიგ ვედარ იმართებოდა. როდესაც იმსიდიდე და იმსიმძიმე შეიქნა, რომ მოწიფული კაცის მეტი იმ ეტლიდან ვედარავინ აიტაცებდა, ძალისძალად ამოაკვეთინეს იქიდან ფეხი. იმ დღიდან სკამებზე გადაბარგდა. იმას სულაც არ მოითხოვდა – ატატებული წამიყვანეთო, თუკი სადმე იყო მისასვლელი. გეგონებოდათ, აკვნიდანვე გულდაჯერებულია – არსად ვარ წასასვლელი, არც ერთ გზას რაიმე ახლისა და არნახულისკენ არ მივყავარ და ყოველი ადგილი, სადაც უნდა იყოს, ერთნაირიაო. ასე იყო ხუთ-ექვს წლამდე, მერე კი მაინც მოუხდა ფეხის განძრევა, რადგან შინიდან გასულ დედამისს მისი სახლში დატოვება არ სურდა და ზანგ მსახურს ხელით მიჰყავდა ხოლმე. ხშირად უნახავთ ისინი სამნი გზაზე: მისის უორნერს საგარეო კაბა ეცვა და მხარზე შალი ჰქონდა ხოლმე გადაგდებული, უკან ზანგი მიჰყვებოდა და ხელში ტანსრული, გრძელფეხება ბავშვი ჰყავდა ატატებული (მაშინვე შეატყობდით, გოგო რომ იყო), თან ოდნავ ირწეოდა ტვირთის სიმძიმისგან.

ბავშვის კვალობაზე მასაც ჰყავდა თოჯინები. გარშემო სკამებზე ჩამოიმწკრივებდა ხოლმე, ისხდნენ თოჯინები მასავით უმოდრაოდ და არც მათ ეტყობოდათ სიცოცხლის ნიშანწყალი. მერე მამამისმა მჭედელს უბრძანა – სათამაშო ეტლი გაუკეთეო, იმის მაგვარი, ჩვილობაში რომ იწვავო შიგ. ეტლი მოჯორთილი და მძიმე გამოვიდა, მაგრამ ეს ერთადერთი სათამაშო ეტლი იყო, რომელიც ამ არემარეში ოდესმე ენახათ ან თუნდაც ყურმოკვრით წარმოედგინათ. იმ ეტლში ყველა თავის თოჯინას ჩაალაგებდა, თვითონ გვერდით უჯდა სკამზე. ჯერ ეგონათ, გონებრივი განუვითარებლობის ბრალია ეს ამბავი, ჯერაც ვერ გადაულახავსო ის თითქმის ხელშესახები მიჯნა, რომლის აქეთაც მოთამაშე გოგონა პატარა დედაკაცად იქცევა ხოლმე; მაგრამ მალე ცხადი შეიქნა, საიდან მოდიოდა ეს განურჩეველი დამოკიდებულება: ეტლი რომ ადგილიდან დაეძრა, თვითონაც ხომ მოუწევდა ამოდრავება.

ასე იზრდებოდა რვა წლამდე, სკამებს დაკრული, ერთიდან მეორეზე გადაჯდებოდა ხოლმე, ისიც ძალაუნებურად, როცა სახლს ალაგებდნენ ან

როცა სუფრას უნდა მისჯდომოდა. ცოლის მოთხოვნით უორნერი ისევ უკვეთავდა მჭედელს ათასგვარი საოჯახო ნივთის სათამაშო ასლებს – პატარ-პატარა ცოცხებსა და „შვებრებს“, ერთი ბეწო ნამდვილ ღუმელს, – იმის იმედით, რომ გართობა, თამაში საქმეს შეაჩვევსო, მაგრამ ეს ყოველივე ცალ-ცალკე და ერთადაც მასზე მეტ შთაბეჭდილებას არ ახდენდა, ვიდრე ძველ მემთვრალეზე ერთი პატარა ჭიქა ცივი ჩაი. თამაშში ამხანაგები არ ჰყავდა. არც გულითადი მეგობარი ჰყოლია. არც სჭირდებოდნენ ისინი. არასოდეს შეკავშირებულა ვისმესთან იმ გულდადებული ზოგჯერ ერთობ ხანმოკლე მეგობრობით, რომელიც ორ გოგონას საიდუმლო საბრძოლო შეთქმულებით გააერთიანებს ხოლმე მათივე თანატოლების – ბიჭების ან ყველა მოწიფულის წინააღმდეგ. ხელგაუნძრეველი იყო. ასე დედის მუცელშიც შეეძლო ყოფილიყო. თითქოს ნახევრად დაბადებულაო, მისი გონება და სხეული ან რაღაცნაირად სავსებით მოსწყდომოდნენ ერთიმეორეს, ან კიდევ გამოუხსნელად გადანასკვლიყვნენ და შერწყმულიყვნენ, თითქოს რაღაც ერთი მთლიანი გაჩნდაო მხოლოდ, ან კიდევ ერთი გაჩნდაო მეორის გარეშე, ოღონდ მისსავე წიაღში.

- იქნება ყაჩაღანა გამოვიდეს, ქალაბიჭა? – თქვა ერთხელ მამამისმა.

- მერე როდისღა? – იფეთქა გაცეცხლებულმა ჯოდიმ. – სანამ ეგ გაინძრეოდეს, ამ ორმოცდაათ წელიწადში რკოდან რაც მუხა ამოვა, გაზრდას, გახმობასა და ცეცხლში დაწვას მოესწრება ყველა, ვიდრე ეგ რომელიმეზე შეძრომას იფიქრებს.

რვა წლის რომ შესრულდა იულა, მისმა ძმამ გადაწყვიტა – დროა სწავლა დაიწყოსო. დედ-მამას კარგა ხანი იყო დაესკვნა – ოდესმე მაინცუნდა დავაწყებინოთო სწავლა, უმთავრესად იმიტომ, რომ ბილ უორნერი, ოფიციალურად სკოლის მზრუნველად შერაცხილი, სკოლის უმთავრესი დასაყრდენი და მისი ბედის განმგებელი გახლდათ. ყველა მშობლის თვალსაზრისით, სკოლა უორნერის საქმიანობის ერთ-ერთ სახეობათაგანი იყო, და ბოლოს და ბოლოს უორნერიც იძულებული შეიქნა მოეთხოვა, რომ მის ქალიშვილს სკოლაში ევლო თუნდაც მცირე ხნით მაინც, სწორედ ისევე, როგორც თავის მოვალეთაგან პროცენტების სრულად გადახდას მოითხოვდა. მისის უორნერს მაინცდამაინც არ აწუხებდა ის ამბავი, ივლიდა თუ არა მისი გოგო სკოლაში. იგი მთელ ოლქში ერთ-ერთი საუკეთესო დიასახლისი იყო და დაულაღვადაც აკეთებდა თავის საქმეს. დაუთოებელი ზეწრების გადაწყობისას ან ქილებით დახუნძლული თაროების, კარტოფილით ამოვსებული სარდაფებისა და ბარკლების გირლიანდებით გაფენილი საშაშხის მოხილვისას განიცდიდა ჭეშმარიტად ფიზიკურ სიამოვნებას, რასაც მომჭირნეობითა და დოვლათით მოგვრილ უბრალო კმაყოფილებასთან საერთო არაფერი ჰქონდა. კითხვით არაფერს კითხულობდა, თუმცა, როცა გათხოვდა, წერა-კითხვა კი იცოდა. ამ ცოდნის გამოყენება მაინცდამაინც ხშირად არ დასჭირვებია, ორმოც წელიწადში წიგნის ხელში აღებასაც გადაეჩვია, იმას ამჯობინებდა, თავად ცხოვრებისთვის მიემართა, მართალი იქნებოდა თუ გამოწვინა, ყველაფერზე ენად გაკრეფილიყო და ყოველივე შეგონებად გადაექცია. ასე რომ, განათლება ქალისთვის სულაც არ მიაჩნდა აუცილებლად. დარწმუნებულად იყო, ამა თუ იმ კერძს შეკაზმვა როგორ უნდა, ამას წიგნიდან კი არ შეიტყობენ, არამედ ქვაბიდან, კოვზის მომარჯვებითო, და რომ დიასახლისი, რომელიც მხოლოდ სკოლაში გაიგებს,

რამდენი დარჩენია ფული, როდესაც სახარჯო ფულს იმას გამოაკლებს, რაც უკვე დახარჯულა, ვერასოდეს გახდებაო ნამდვილი მეოჯახე.

ერთადერთი ძმა იყო, ჯოდი, უილას ცხოვრების მერვე ზაფხულს განათლების გულმხურვალე დამცველი რომ შეიქნა და სამი თვის შემდეგ მწარედაც ინანა ეს ამბავი. ოღონდ ის კი არ უნანია, სასწავლებელში დის გაგზავნა თავადვე რომ დაიჟინა. იმას ნანობდა, მუდამ დარწმუნებული ვიყავი და კვლავაც ვიქნები, რომ აუცილებელი საქმეა ის, რაც ახლა ასე ძვირად მიჯდებაო. იმიტომ, რომ იულამ სკოლაში ფეხით სიარული იუარა. სკოლაში ყოფნასა და გაკვეთილების დასწრებაზე კი არ უთქვამს უარი, ქვეითად სვლა არ ისურვა. თანაც სკოლა შორს არ ყოფილა, ნახევარ მილზე ნაკლები მანძილი ამორებდა სახლს. მაგრამ იქ სწავლის ხუთსავე წელიწადს - საათობით თუ გამოვითვლიდით, რაც იქ შეიძინა, ეს დრო წლობით ან თვეობით კი არ განიზომება, არამედ დღეების მიხედვით - იულა ფეხით არასოდეს წასულა. სხვა ბავშვები, სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერაც უფრო შორს რომ ცხოვრობდნენ, ქვეითად დადიოდნენ, იულა კი - ცხენით. საერთოდ უარზე იყო, ფეხით არ ვივლიო, - მშვიდად და მტკიცედ აცხადებდა. არც ტიროდა და არც ჯიუტობდა, გამაღიანებაზე რომ აღარაფერი ითქვას. უბრალოდ, გაუნძრევლად იჯდა და, ეტყობა, არაფერზე ფიქრობდა, ოღონდ შეუვალ სიმტკიცეს იჩენდა, თითქოს წმინდა სისხლის ოჩანი ჭაკი ყოფილიყოს, რომელიც ჯერ უწლოვანია, მაგრამ ერთ-ორ წელიწადში მისი ფასი არ მოიძებნება და ამიტომ მისი პატრონი, რაგინდა გაცოფებული და გაწვალებულიც უნდა იყოს, მათრახის გადასაკრავად მაინც ვერ გაიმეტებს. მამამისმა, როგორც მოსალოდნელიც იყო, მაშინვე ხელი დაიბანა:

- იჯდეს მაშინ სახლში, - თქვა მან. - მართალია, თითს თითზე არც აქ დააკარებს, მაგრამ იქნება ოჯახის მაინც ისწავლოს რამე სკამიდან სკამზე გადაჯდომა-გადმოჯდომაში. ჩვენ ის მოვახერხოთ, ცუდი არაფერი შევახვედროთ, სანამ გაიზრდებოდეს და კაცს მიუწვებოდეს გვერდით, ისე რომ ჩვენ ორივემ, იმ კაცმაც, ვინც იქნება, და მეც ვირის აბანოში არ ამოვყოთ თავი. მაშინ გაათხოვებ და ის იქნება. ერთიც ვნახოთ, ისეთი საქმრო ვუშოვოთ, ჯოდიც გადაარჩინოს დავრდომილთა თავშესაფარს. სახლს დავუტოვებთ, დუქანსაც, მთელ ქონებას, მე და შენ კიდევ იმ ბაზრობაზე წავალთ სენტ-ლუისში, სადაც, ამბობენ, ქვეყნის ყველა კუთხიდან იყრისო თავს ხალხი, და, თუკი მოგვეწონა, ერთ კარავს ვიყიდით და ვიქნებით ჩვენთვის.

მაგრამ ჯოდიმ დაიჟინა - უნდა ისწავლოსო. იულაც ისევ უარზე იყო, იჯდა თავისთვის - ქალურობით აღსავსე, ლბილი, უძრავი, არც არაფერს ფიქრობდა და, ეტყობა, არც ესმოდა რამე, ხოლო დედამისისა და ძმის შერკინება მისი აუმიღვრეველი არსების გარე ბოზოქრობდა. ბოლოს და ბოლოს იმ ზანგის ბიჭმა, ადრე რომ ხელში ატატებული დაჰყავდა იულა დედამისის კვალდაკვალ, ეტლში ცხენი შეუბა და სკოლისკენ გაუყვა ნახევარ მილს. ნაშუადღევს და სამ საათზე კი, როცა ბავშვებს შინ უშვებდნენ, სკოლასთანვე ელოდებოდა ხოლმე. ერთ-ორ კვირას ასე იყო. მერე მისის უორნერმა ბოლო მოუღო ამ ამბავს, რადგან დიდ უთავბოლობად მოეჩვენა, - ეს იგივეა, ოთხვედროიანი ქვაბი რომ შემოდგა ცეცხლზე ერთი თეფში წვნიანის გასაკეთებლადო. მან ულტიმატუმი წამოაყენა: თუ ჯოდის ნებავეს, მისი და უქვევლად სწავლობდეს, იმისთვისაც იზრუნოს, სკოლაში როგორ წავიდ-

წამოვიდესო. და, რაკი ჯოდი ცისმარე დღე ცხენით მიდი-მოდის დუქანში, იულაც უკან შემოისვას და ატაროსო. ხოლო იულა ისევ ისე იჯდა, უფიქრალი და უსმენელი, და ჯოდი ტყუილუბრალოდ ბობოქრობდა. მერე კი კართანასთან იჯდა დილდილობით იულა, მისთვის ნაყიდი მუშამბის იაფფასიანი ჩანთა ეჭირა და ელოდებოდა, ვიდრე მისი ძმა მოვიდოდა და შეუჯავღანებდა - ცხენზე შემომიჯექიო.

ჯოდი სკოლაში მიიყვანდა დას, შუადღეზე უკან მოაბრძანებდა, მერე ისევ სკოლისკენ გასწევდა და გაკვეთილების დამთავრებისასაც იქვე უცდიდა, თითქმის ერთ თვეს ასე იყო. მერე ჯოდიმ დაასკვნა - სკოლიდან დუქანმდე ორასიოდე იარდი ფეხითაც გამოიაროს და იქ დამელოდოს ხოლმეო. მისდა გასაოცრად იულა უსიტყვოდ დაყაბულდა. ზუსტად ორ დღეს ასე იყო. მეორე დღე რომ მიიწურა, ჯოდიმ და შინ მოაქროლა, ოთახში შევარდა, დედას წინ დაუდგა და სიბრაზით აცახცახებულმა ყვირილი მორთო:

- ახლა გასაგებია, რატომაც ინება დუქნისკენ გამოვლა! იმ გზის გასწვრივ ყოველ ას ფუტზე კაცები რომ ჩაამწკრივო, სულ ფეხით იგოგმანებდა. ღმერთმანი, ძუენა ძალღივით! შარვალს დაინახავს თუ არა, რაღაცა ისეთი სული ჩაუდგება, ათ ფუტზე იყნოსავ.

- სისულელეა, - თქვა მისის უორნერმა. - საერთოდ, რომ იცოდე, მომეშვი. შენ არ იყავი, რომ დაიჟინე - ისწავლოსო? შენ იყავი, მე კი არა. მე რვა ქალიშვილი გავზარდე და სულ ასე მეგონა, სხვებზე ნაკლებად ამიანებად არ დამიყენებია-მეთქი. იქნება, ის გგონია, ოცდაშვიდი წლის უცოლშვილო კაცს ამ საქმის ჩემზე მეტი ესმის? თუ გინდა, ხვალვე გამოიყვანე სკოლიდან, მე და მამაშენი არაფერს ვიტყვით. დარიჩინი მომიტანე?

- არა, - მიუგო ჯოდიმ. - დამვიწყებია.

- ეცადე სალამოსთვის ნუ დაივიწყებ. ძალიან მჭირდება.

ასე რომ, იულა დუქანთან აღარ იცდიდა ხოლმე. მისი ძმა ელოდებოდა სკოლასთან. თითქმის ხუთი წელიწადი გავიდა, რაც ამ სურათს სოფელში ყველანი შეეჩვივნენ - სისვ ცხენზე ამხედრებული ცოფმორეული, სიბრაზით მოთუხთუხე მამაკაცი და გოგონა, რომელსაც ცხრა, ათი, თერთმეტი წლისასაც ყველაფერი მეტისმეტად განვითარებული ჰქონდა - კიდურებიც, მკერდიც, თემოებიც. მეტისმეტად განვითარებული იყო მთელი ეს პირველქმნილი ქალის სხეული, რომელიც მუშამბის იაფფასიან ჩანთასთან ერთად პარადოქსად, სწავლის თვით არსების გამახსარავებად ჩანდა. თვით ცხენზე ამხედრებულს კი, მმის უკან შემომჯდარი, ამ სხეულში ჩასახლებული არსება, იტყოდით, ძუძუმწოვარის მსგავსად, ორი სხვადასხვა, გათიშული ცხოვრებით ცხოვრობსო. იყო ერთი იულა უორნერი, რომელიც სისხლს აწვიდა და ასაზრდოებდა ამ კიდურებსაც, მკერდსაც, თემოებსაც, და იყო კიდევ მეორე, რომელიც მხოლოდ სახლობდა მათში, იქით მიემართებოდა, საითაც ესენი გასწევდნენ, რამეთუ ასე უფრო ეიოლებოდა, მათში თავს ჩინებულად გრძნობდა, ოღონდ მათი მოქმედების აყოლა კი არ ნებავდა, - ასე გრძნობენ თავს ავეჯით გაწყობილ ბინაში, რომლის მორთვისთვისაც სხვას უზრუნია, მაგრამ ეს ბინა მარჯვე საცხოვრებელია და

თანაც ბინის ქირა წინასწარაა გადახდილი. პირველ დღეს უორნერმა ცხენი ჩორთით წაიყვანა - სკოლამდე მალე მივიდეთ, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ მთელი ეს სხეული, სკამზე შეუტოკებლად დასვენებულიც კი სწორი ხაზებისადმი შეუგუებლობას რომ ამჟღავნებდა, ეს ლბილი და მრგვალი სხეული როგორ ატოკდა მის ზურგს უკან. მაშინ მოეჩვენა, თითქოს მის უკან მოგიზგიზე, მონაპერწკლე რძის სფერო მოგორავდა, სადაც შორეთში მიიბურთებოდა, მარტო ჰორიზონტს კი არა, - მზის მსგავსად მთელ ქვეყნიერებას ეფინებოდა. ცხენი ისევ ნაბიჯზე გადაიყვანა. სხვაგვარად არ ეგებოდა, ხოლო და ერთი ხელით მის აჭიმს ან სერთუკს ებლაუჭებოდა, მეორეში წიგნებიანი ჩანთა ეჭირა, და მათ უნდა ჩაევლოთ დუქანთან, სადაც, ჩვეულებისამებრ, ყველას მოეყარა თავი, მისის ლიტლჯონის ვერანდასთან, სადაც ვაჭარი ან ჩარჩი იჯდა ხოლმე, - და უორნერი ახლა გულდაჯერებული იყო, დარწმუნებული იყო, კარგად ვიცო, თუ რატომ შეყრილა ეს ხალხი აქ, რატომ გამოიარესო ჯეფერსონიდან ოცი მილი გზა; მერე კი უნდა მისდგომოდნენ სკოლას, სადაც უკვე ირეოდნენ კომბინიზონებში, მოუხეშავ კოლენკორის კურტაკებსა და მოთელილ მამისეულ წაღებში გამოწყობილი ან სულაც ფეხშიშველა სხვა ბავშვები, რომელთაც სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ გრძელი გზა გამოევლოთ. იულა ცხენიდან ჩამოვიდოდა, მისი ძმა კი ადგილიდან არ იძვროდა, ბრაზით მოთუხთუხე თვალს აყოლებდა და ხედავდა, რომ მისი და უკვე მოწიფული ქალივით მიაქანებდა თემოებს, და უსაშველოდ ცოფმორეული ფიქრობდა - ხომ არ აჯობებს, ბარემ ახლავე გამოვიძახო მასწავლებელი და მოველაპარაკო - გავაფრთხილო, დავაშინო, თუნდაც ხელი შემოვარტყაო; თუ ის უკეთესი იყო, დალოდებოდა, ვიდრე მისი ფიქრით მაინც უეჭველად მოსახდენი საქმე არ მომხდარიყო. პირველ საათზე ისევ სკოლისკენ მიემგზავრებოდნენ ხოლმე, თორმეტსა და სამზე კი სკოლიდან ბრუნდებოდნენ, და უორნერი ასი იარდით გზას გაიგრძელებდა კორომისკენ, სადაც მოჭრილი ხე ეგდო. ზანგმა მუშამ ღამით წააქცია ის ხე, ცხენზე მჯდომარე უორნერი ფარნით უნათებდა. იმ ხესთან ცხენს მიაყენებდა და ავად უღრენდა, როდესაც იულა წაქცეული ხიდან მესამედ ეპოტინებოდა შესაჯდომად ცხენს:

- ჯანდაბას შენი თავი, მეტი ვერაფერი მოგიხერხებია, ისე მოტოტყავ, გეგონება ცხენი ოცი ფუტის სიმაღლე იყოს!

ერთხელ ისიც გადაწყვიტა, კაცურად აღარ გადავაჯენო ცხენზე. ერთ დღეს კი იმგზავრეს ასე, ვიდრე შემთხვევით თავი არ მიიბრუნა და არ დაინახა წარმოუდგენლად მომრგვალებული შხვართი ფეხი და ჩულქსა და კაბისკალთას შუა მოშიშველებული ბარძაყი, რომელიც ობსერვატორიის გუმბათივით უსაშველოდ გადაღელილიყო. კიდევ უფრო იმიტომაც მოსდიოდა გული, რომ იცოდა - მისი და განზრახ არ ჰფენდა ასე თავის სხეულს, იცოდა, ამ გოგოსთვის, უბრალოდ, სულერთი იყო, ვერც ხვდებოდა და, რომცმომხვდარიყო, თავს მაინც არ შეიწუხებდა კაბის გასასწორებლად. ისიც იცოდა, ისიც წარმოდგენილი ჰქონდა, რომ გოგო ცხენზეც ზუსტად ისე იჯდა, როგორც შინ იცოდა ჯდომა სკამზე, ისევე, როგორც ცისმარე დღე იჯდა ხოლმე სკოლაში. და უმწეოდ გამმაგებულ ჯოდის ზოგჯერ კიდევ უკვირდა - როგორ იგრძნობაო ამ გოგოს უფრო და უფრო მძიმედ შექნილ სხეულში, უბრალო მოძრაობასა და სიარულში ეს ფუმფულა, ჭკუის დამკარგვინებელი, ღამის მედინი სილბო; როცა თავისთვისაა ჩამომჯდარი ან ცხენზე როცაა ამხედრებული და რაღაც მიუწვდომლისთვის ოცნებობს საკუთარ

თავში დანთქმული, მაშინაც კი ავლენს, აფრქვევს წარმოუდგენელ უნარს უიმტანსაცმლოდ ცხოვრების, უიმტანსაცმლოდ არსებობისა, რაც ზედ მოსავს, და არამცთუ ვერაფერს უხერხებს ამ ამბავს, საერთოდ არც კი მიაქვს გულთან.

იულა სკოლაში სწავლობდა რვა წლიდან თითქმის შობის კვირამალამდე იმ წელიწადს, თოთხმეტი რომ შეუსრულდა. ეჭვი არაა, იმ სასწავლო წელსაც დაასრულებდა და, შესაძლოა, ერთ-ორ წელიწადს კიდევ გაატანდა ისევე თავშეუდებლად და უსწავლელად. მაგრამ იანვარში სკოლა დაიხურა. იმიტომ დაიხურა, რომ მასწავლებელი გაქრა უცებ. ღამით გაქრა, კაციშვილისთვის არაფერი უთქვამს, ისე, ნახევარი წლის ხელფასი არ მიუღია, ექვს წელიწადს ნაცხოვრები ცივი ოთახიდან თავისი მწირი ხაზაკი არ გაუყოლებია.

გვარად ლებოუვი იყო, მეზობელი ოლქის მკვიდრი, სადაც სრულიად შემთხვევით ბილ უორნერი გადაეყარა თავად. იმხანად ფრანგისხევში მასწავლებლობდა ერთი ბერიკაცი. უსაშველო მემთვრალე, რომელსაც მოსწავლეთა თავგასულობა უძლიერებდა სასმლის ტრფიალს. გოგონები არც მის ცოდნასა და შეხედულებებს სცემდნენ პატივს, არც მის პედაგოგიურ ნიჭს; ბიჭები იმიტომ არ აგდებდნენ რამედ, რომ არამცთუ ვერაფერს ასწავლიდა მათ, იმის უნარიც არ ჰქონდა, ეძულებინა მისთვის დაეჯერებინათ და წესიერად მოქცეულიყვნენ, ან თუნდაც კრძალვით მოპყრობოდნენ თავიანთ მასწავლებელს; ამიტომ მოსწავლეები ვერ დაემორჩილებინა და ამათაც სკოლა გადააქციეს რაღაც შინაურ ცირკად, სადაც მიხრწნილ, უკბილო დათვის ტანჯავდნენ და ამწარებდნენ.

ასე რომ, ყველამ იცოდა, მათ შორის - თავად მასწავლებელმაც, რომ მომავალი წლიდან იქ აღარ დაედგომებოდა. ოღონდ ხალხს მაინცდამაინც არ აწუხებდა ის ამბავი, საერთოდ იქნებოდა თუ არა სწავლა გაისად. სკოლა ხომ ჰქონდათ. თავად აეშენებინათ, თავადვე უხდიდნენ ქირას მასწავლებელს, და ბავშვებსაც უშვებდნენ სასწავლებლად, როცა საიმათო სამუშაო აღარ იყო, ერთი სიტყვით, მოსავლის მოწევიდან თესვის დაწყებამდე, ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ნამარტევამდე. ახალი მასწავლებლის მოძებნა აზრად არავის მოსვლია, ვიდრე ერთხელ, ზაფხულში მეზობელ ოლქში გამგზავრებული უორნერი გვიანობამდე არ შერჩა საქმეებს და ერთი მიღრინკული ფერმის პატრონმა ნაგვერდულებით დაგებულ იატაკიან სახლში არ შეიპატიჟა ღამის გასათევად. შინ რომ შევიდა, დაინახა, რომ მიხრწნილი დედაბერი გაცივებულ კერას მისჯდომოდა და ბინძურ ჩიბუხს სრუტავდა. იმ დედაბერს ფეხთ მამაკაცის ცოტათი უჩვეულო შესახედავი ფეხსაცმელი ეცვა, მაგრამ უორნერს ამ ამბისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ვიდრე ზურგს უკან კაკუნნი და ფრატუნნი არ შემოესმა და შებრუნებულმა თვალი არ შეასწრო ასე ათიოდე წლის გოგონას დაფლეთილ, ოღონდ სუფთა კუბოკრულ კაბასა და სწორედ ისეთ ფეხსაცმელში, როგორც დედაბერს ეცვა. მეორე დილას გამომგზავრებამდე უორნერმა კიდევ სამი წყვილი ისეთი ფეხსაცმელი შენიშნა და დარწმუნდა, რომ მსგავსი არაფერი ენახა. მასპინძელმა აუხსნა, რაც იყო.

- რაო? - გაიკვირვა უორნერმა. - ფეხბურთელის ბუცებო?

- თამაშია ერთი, - უთხრა ლებოუვმა. - უნივერსიტეტში თამაშობენ ხოლმე.

და მოუყვა. ჩემი უფროსი ვაჟიაო, ამჟამად შინ არ არის, სახერხშია, ფულს აკეთებს, რომ თავის უნივერსიტეტში დაბრუნდეს, ერთი ზაფხულის და ერთი ზამთრის სემესტრი უკვე ისწავლაო. სწორედ უნივერსიტეტში თამაშობენ იმ თამაშს, რომლისთვისაც ამგვარი ფეხსაცმელი არისო საჭირო. მასპინძლის ვაჟს მასწავლებლად გახდომა ნდომებია, ყოველ შემთხვევაში, პირველი წასვლისას ასე უთქვამს. უფრო სწორად, იმას უნივერსიტეტში სწავლა გადაუწყვეტია, ოღონდ მამამისს ეს უმაქნის ამბად მიუჩნევია. ფერმა ხომ დაგირავებული არაა, ადრე იქნება თუ გვიან, შენ დაგრჩებაო, უთქვამს, ეს ფერმაა, ჩვენ რომ გვაცხოვრებსო. მაგრამ ვაჟიშვილი თავისაზე დამდგარა. სახერხში მუშაობს და ამბობს – იმის სამყოფს კი ვიშოვი, რომ ზაფხულის განყოფილება დავასრულო და მასწავლებელი მაინც შევიქნე, – ზაფხულის განყოფილებაზე სხვას არაფერს ასწავლიანო. ის კი არა, ზაფხულის დამლევს აქაც ჩამოგისწრებთ და მოსავლის აღებაში მოგეხმარებითო. ჰოდა, ერთი სიტყვით, ფულს აკეთებსო. „ის სამუშაო ფერმისაზე მძიმეა, – თქვა ლებოუვ-უფროსმა. – მაგრამ უკვე ოცდამეერთეშია გადამდგარი. რა გაეწყობა, როგორ დავუშლიდი“; ჰოდა, ზაფხულის განყოფილებაზე ჩაწერილა, სულ რვაკვირიანზე. ესე იგი, აგვისტოში კი შეეძლო ჩამობრუნებულიყო, ოღონდ არ ჩამობრუნებულა. სექტემბერიც დადგა, მაინც არ გამოჩენილა. შინაურებმა ხეირიანად არც იცოდნენ, სად იყო, თუმცა მაინცდამაინც გული არ გახეთქიათ, უფრო ეწყინათ – როგორ მიგვატოვაო ამ გახურებულ ალოობაზე, როცა მოსავალი მოსაწევია, ბამბა – დასაკრეფი და გასაწმენდად წასაღები, სიმინდი – ბელელში ჩასაყრელი. შუა სექტემბერში წერილი მოსულა – გაზამთრებამდე უნივერსიტეტში გადავწყვიტე დარჩენა, სამუშაო ვიშოვე, მოსავალს უჩემოდ მიხედეთო. რა სამუშაო იყო, ამას აღარ იწერებოდა და მამამისს უფიქრია – ისევ სახერხში თუ მოეწყობა, რადგან მოხუცი ლებოუვის წარმოდგენით, არც ერთი სარფიანი საქმე სწავლასთან არ შეიძლებოდა ყოფილიყოდაკავშირებული. მერე ოქტომბრამდე ისევ აღარაფერი სცოდნიათ მისი ამბავი, ოქტომბერში ამანათი მიუღიათ და შიგ ორი წყვილი ეს საკვირველება რაღაცა ფეხსაცმელი ყოფილა. მესამე წყვილი ნოემბრის დამდეგს ჩამოსულა, კიდევ ორი – მადლის შეწირვის დღე გავიდა თუ არა, მაშინვე, ასე რომ, სულ ხუთი წყვილი მიუღიათ, თუმცა ოჯახში შვიდი სული არიან. ჰოდა, ისინიც ატარებენ ამ ფეხსაცმელს, ყველანი განურჩევლად, – ქოლგის არ იყოს, თუკი თავისუფალი წყვილი იქნა დარჩენილი, ოთხი წყვილი მოდისო ყველაზე, განმარტა ლებოუვმა. იმიტომ, რომ დედაბერი (უფროსი ლებოუვის ბებია ყოფილა) პირველსავე წყვილს რომ დააცხრა, როგორც კი ყუთიდან ამოვიღეთ, მერე აღარავისთვის მიუცია, ეტყობა, მოსწონს, როგორ ბაკუნობს იატაკზე ფეხსაცმელი, როცა სავარძელში ქანაობსო. ოღონდ ოთხი წყვილი მაინც დარჩენილა. ასე რომ, ბავშვები ფეხშიშველი აღარ დადიან სკოლაში, შინ დაბრუნებისას კი იხდიან, სხვებმაც რომ იხმარონო. იანვარში ვაჟიშვილიც ჩამოსულა. იმას მოუყოლია იმ თამაშის ამბავი. მთელ შემოდგომას უთამაშია. შემოდგომის სემესტრზე დარჩენის უფლება სწორედ იმის ხატრით მიუციათ, რომ თამაშობდა. ფეხსაცმელს უფასოდ აძლევდნენ თურმე სათამაშოდ.

- ერთბაშად ექვსი წყვილი როგორღა მიიღო? - იკითხა უორნერმა.

ეს ამბავი ლებოუვმა არ იცოდა.

- იქნება არც ითვლიდნენ, იმდენი იყო, - თქვა მან.

გარდა ამისა, მისი ვაჟიშვილისთვის უნივერსიტეტში სვიტერიც მიუციათ, შესანიშნავი, მსხვილად ნაქსოვი, თბილი, მუქი ლურჯი სვიტერი, რომელსაც გულისპირზე წითელი ფერის დიდი „მ“ ჰქონია გამოყვანილი. ბებიას ისიც მიუჩუმებია, თუმცა სრული კი მოსვლია. კვირადღეობით იცვამდა ხოლმე ზამთარ-ზაფხულ, და კარგ ამინდში ფურგონის კოფოზე რომ შემოჯდებოდა ეკლესიისკენ ამგზავრებული, გულადობისა და შემართების ალისფერი ნიშანი მზეზე ელვარებდა, ხოლო ავდრიან დღეს სავარძელში ჩასვენებული და ჩიბუხის მოპლაკუნე დედაბრის ჩამომჰკნარ მკერდსა და მუცელს მაინც კობტად აჯდა.

- ხო-ო, აი, სად ყოფილა თქვენი ბიჭი, - უთხრა უორნერმა. - ფეხბურთს თამაშობს.

არაო, განუმარტა ლებოუვმა, ახლა სახერხშიაო. გამოუთვლია თურმე - წლევეანდელი ზაფხულის სემესტრი რომ გავაცდინო და ამ დროის განმავლობაში ვიმუშაო, საკმარის ფულს ვიმოვი და შევძლებ უნივერსიტეტში დარჩენას, თუნდაც რომ ფეხბურთის ხათრით აღარ გამაჩერონ, მაშინ უკვე სრულ კურსს გავივლი ზაფხულის განყოფილების ნაცვლად, სადაც მხოლოდ მასწავლებლებს ამზადებენო.

- მე მეგონა, სწორედ მასწავლებლობას აპირებდა-მეთქი, - უთხრა უორნერმა.

- არა, ბატონო, - უპასუხა ლებოუვმა. - საერთოდ რომ ვთქვათ, ზაფხულის განყოფილებაზე სხვას არაფერს ასწავლიან თურმე. გაგეცინებათ, ალბათ, ამის გაგონებაზე: გუბერნატორი მინდა გავხდეო, ასე ამბობს.

- უყურე შენ, - თქვა უორნერმა.

- გეცინებათ ალბათ, ხომ?

- არა, - მიუგო უორნერმა. - არ მეცინება, გუბერნატორიო, ხომ? ასე და ამრიგად. მეორედ რომ ნახავთ, გადაეცით, თუ ერთ-ორ წელიწადს მოიცდის გუბერნატორობამდე და მასწავლებლობას დასჯერდება, ფრანგისხევი ამოვიდეს და მინახულოს.

ეს ამბავი ივლისში მოხდა. იქნება უორნერი არც ელოდებოდა - ლებოუვი მართლა ამოვაო. ოღონდ ახალი მასწავლებლის ძებნას შეეშვა, თუმცა ვერც ივიწყებდა ამ ამბავს. სკოლების მზრუნველად მის ყოფნას თავი რომ დავანებოთ, თვითონაც ჰყავდა გოგო, რომელიც, თუ გაისად არა, უკიდურეს შემთხვევაში ერთი წლის შემდეგ მაინც სასწავლებლად უნდა მიებარებინა. ერთხელ, სექტემბრის დამდეგს, თავის ეზოში ორ ხეს შუა გაბმულ ჰამაკში იწვა ფეხზე გახდილი, როდესაც თვალი მოჰკრა, რომ მისკენ მოდიოდა კაცი, რომელსაც ჩამომხმარი უფრო ეთქმოდა, ვიდრე ხმელ-ხმელი. ამ კაცს სწორი, შავი, ცხენის ძუასავით ხეშეში თმა ჰქონდა, ინდიელის მაღალი ღაწვები, უფერული, აუმღვრეველი, მკაცრი თვალები, გრძელი ცხვირი - აზრიანობის ნიშანი, ოღონდ ოდნავ დაბერილი ნესტოები - ქედმაღლობის ნიშანი, და წვრილი ტუჩები - ფარული და დაუძლეველი პატივმოყვარეობის ნიშანი. ეს იყო ორატორის სახე, სახე იმ ადამიანისა, რომელსაც ურყევად სწამს სიტყვის

ძალა, როგორც ისეთი პრინციპი, რომლის გამოც, თუკი საჭიროებამ მოიტანა, ღირს კიდევ სიკვდილი. ათასი წლის წინ ეს იქნებოდა სახე ბერის, მებრძოლი ფანატიკოსისა, რომელიც არა ფარისევლური, არამედ ჭეშმარიტი სიხარულით, მტკიცე გადაწყვეტილებით შეაქცევდა ხოლმე ზურგს ყოველსავე მიწიერს, თავის საგანეს მიაშურებდა და წამითაც უცდუნებელი იქ ატარებდა ამა სოფლად მისი ყოფნისთვის დაშთომილ დღეებს კაცთა მოდგმის გამოსახსნელად კი არა (კაცთა მოდგმასთან არაფერი ესაქმებოდა, კაცობრიული ტანჯვა ზიზღის მეტს არაფერს აღუძრავდა), არამედ საკუთარი - თანდაყოლილი, დაუოკებელი და შმაგი ლტოლვის დასაკმაყოფილებლად.

- მე იმის სათქმელად ამოგაკითხეთ, რომ ამ წელიწადს თქვენს სკოლაში ვერ ვიმუშავებ, - უთხრა მოსულმა. - დრო აღარ მრჩება. ისე ვარ ახლა მოწყობილი, მთელ წელიწადს შემოდგომა უნივერსიტეტში დარჩენა.

უორნერი ჰამაკვიდან არ წამომდგარა.

- ეს მარტო წელსაა ასე. გაისად რაღას აპირებთ?

- სახერხშიც მოველაპარაკე. გაისად ზაფხულზე დავბრუნდები იქ. თუ არა და, სხვა რამეს მოვძებნი.

- ასე, - თქვა უორნერმა. - ზოგიერთი რამე მეც მოვიფიქრე. ჩვენთან პირველ ნოემბრამდე სკოლის გახსნა არაფრის მაქნისია. მანამდე შეგიძლიათ ოქსფორდში დარჩეთ და ითამაშოთ ის თქვენი თამაში. მერე ჩამოხვალთ, სკოლას გახსნით და სწავლას დაიწყებთ. შეგიძლიათ უნივერსიტეტიდან წიგნებიც წამოიხმდგაროთ, თქვენს კურსს რომ არ ჩამორჩეთ; იმ დღეებში კიდევ, როცა თამაში გექნებათ, მიბრძანდით ოქსფორდში და ითამაშეთ. ჰოდა, იქვე გარკვიონ ხოლმე, ხომ არ ჩამორჩებით და გისწავლიათ თუ არა იმ თქვენი წიგნებით რამე, ერთი სიტყვით, რაც გასარკვევი იქნება. მერე ისევ სკოლაში დაბრუნდებით; ერთ-ორ დღეს კიდევ რომ შეფერხდეთ, მაგასაც არაფერი უჭირს. ცხენს მოგცემთ, რომელიც რვა საათში ჩაგიყვანთ ხოლმე. აქედან ოქსფორდამდე ორმოც მილზე მეტი არ იქნება. იანვარში, გამოცდები რომ დაიწყება, მამათქვენმა მითხრა ეს ამბავი, შეგიძლიათ სკოლაში სწავლა შეწყვიტოთ, იმ თქვენს უნივერსიტეტში მიხვიდეთ და მანამდე იყოთ იქ, სანამ ყველაფერს მოიმთავრებდეთ. მარტში კიდევ შეგიძლიათ სულაც დახუროთ სკოლა და თუ გინდათ ოქტომბრის ბოლომდე აღარც მოაკითხოთ. თუკი მოინდომებთ, არაფრად გელირებათ თქვენს კურსს არ ჩამორჩეთ უნივერსიტეტიდან სულ ორმოც მილზე მცხოვრები. აბა, რას იტყვით?

უორნერმა იცოდა, რომ ბოლო რამდენიმე წამი ლებოუვი მას აღარ უმზერდა, თუმცა არც შერხეულა და თვალეზიც გახელილი ჰქონდა წინანდებურად. გაუნძრევლად იდგა, უმწიკვლო პერანგი ეცვა, იმ ზომამდე ხშირად ნარეცხი, რომ ქინქლის ბადესავით გათხელებულიყო, პიჯაკი და შარვალიც უმწიკვლო ჰქონდა, ოღონდ სხვადასხვა ფერისა, თანაც პიჯაკი ცოტათი ვიწროდ ადგა, და უორნერი ხვდებოდა - ეს მისი ერთადერთი შარვალი და ერთადერთი პიჯაკიაო. ესენიც არ ექნებოდა ალბათ, თვითონვე რომ არ მოესაზრებინა ან სხვებს არ ეგრძნობინებინათ - ლექციებზე კომბინეზონით სიარული არ შეიძლებაო. იდგა და მის გულში იმედის ნაპერწკლიან მოკრძალებული

სიხარული კი არ ღვივდებოდა, არამედ ყოვლის მომსვრელი სიშმაგე, და მისი გალეული სხეული, გავარვარებულ ქურასავით შიგნითვე გამოტრუსულ-გამომწვარი, თითქოს არ ემორჩილებოდა არავითარ გარეშე ზემოქმედებას.

- კარგი, - თქვა მან. - პირველი ნომბრისთვის აქ ვიქნები.

წასასვლელად შებრუნდა.

- იმის შეტყობა არ გინდათ, რამდენს გადაგიხდიან?

- მინდა, - თქვა ლეხოვმა და შეჩერდა.

უორნერმა უთხრა, არც შერხეულა, შინ ნაქსოვი წინდები ეცვა და ჰამაკში გამხლართულიყო ფეხი ფეხზე გადადებული.

- ის თქვენი თამაში თუ მოგწონთ? - შეეკითხა კიდევ.

- არა, - მიუგო ლეხოვმა.

- მე ასე გამიგონია, ჩვეულებრივი მუმტი-კრივისგან დიდად არ განსხვავდება.

- დიახ, - ისევ მოკლედ მიუგო ლეხოვმა და დადუმდა. თავაზიანი, მომლოდინე მზერა მიეპყრო ხმელ-ხმელი, ცბიერი ბერიკაცისთვის, რომელსაც ფეხსაცმელი გაეხადა და ჰამაკში გაწოლილიყო სულის ძირებამდე მოცლილი, და რომელსაც თითქოს ისიც მოეხერხებინა უკვე, რომ თავისი მოსაუბრისთვის თავს მოეხვია ეს წყევლა, ეს გულდაჯერებული რწმენა, რომ კაცმა არ უნდა იჩქარო, არც წუთი და არც საათი არაფრად ღირსო, დაებორკა ამ რწმენით მოსაუბრე და ახლა აქ ამყოფებდა, აიძულებდა დრო ტყუილუბრალოდ დაეკარგა, იმაზე ეფიქრა, რაც არავისთვის გაემხილა და არც აპირებდა გამხელას, რადგან ახლა სულერთი იყო უკვე. ეს ამბავი შარშან დაიწყო, სწორედ იმ დროს, როცა ზაფხულის სემესტრი იწურებოდა. შინ დაბრუნებას ფიქრობდა, რათა დაპირებისამებრ მამამისს მიშველებოდა მოსავლის მოწვევაში. მაგრამ სწორედ სემესტრის დამთავრების ხანს სამუშაო იშოვა. კაცმა რომ თქვას, პირდაპირ ხელში ჩაუვარდა. ბამბის მოკრეფამდე და გაწმენდამდე კიდევ სამი თუ არა, ორი კვირა მაინც რჩებოდა. მას რომ ბინა ჰქონდა დაქირავებული, შეეძლო მცირე ფასად შუა სექტემბრამდე დარჩენილიყო. ასე რომ, შემოსავლიდან თითქმის არაფერი დაეხარჯებოდა. ადგა და დაეთანხმა. ფეხბურთის მოედნად შერჩეული ადგილი იყო მოსასწორებელი და მოსატკეპნი. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რა იყო ფეხბურთის მოედანი, არც სურდა სცოდნოდა. მისთვის ეს, უბრალოდ, საშუალება იყო ყოველდღიური რამე ფულის შოვნისა, ამიტომ არც კი შეჩერდებოდა ხოლმე მუშაობისას, როცა გულცივად ეცინებოდა იმის გაფიქრებისას - ისეთი რა თამაში უნდა იყოს, რომ მისთვის ნაკვეთის გაწყობა გაცილებით ძვირი ჯდება და უფრო სადავიდარაბო საქმეცაა, ვიდრე ამავე ნაკვეთის მოხვნა-დაფარცხვაო. ფულისა და დროის ამდენი დანახარჯის გასამართლებლად ამ ნაკვეთზე ფერმერს ოქრო მაინც უნდა მოეყვანა და მოეწია. ამიტომ ინტერესი კი არ აღძვრია, ისევ დამცინავად და ათვალწუნებით შეაცქერდა სექტემბერში ჯერაც დაუმთავრებელ მოედანზე გამოფენილ მოთამაშეებს და ისიც შენიშნა, რომ ის ჭაბუკები არც კი თამაშობდნენ, წვრთნას გადიოდნენ მხოლოდ. თვალყურის დევნება

დაუწყო იმ ბიჭებს, ეტყობა, უფრო დაჟინებით, ყოველ შემთხვევაში, უფრო ხშირად აცქერდებოდა, ვიდრე თვითონ ეგონა, და მის სახეზე, მის თვალბეჭდში ისეთი რამ გამოკრთოდა, რაც აგრეთვე თავად არ იცოდა, იმიტომ, რომ ერთხელ ერთმა მათგანმა (ლებოუვი უკვე მიმხვდარი იყო - ფასიანი მწვრთნელი ავარჯიშებსო ამ ბიჭებს) უთხრა:

- რაო, ვითომ უკეთ ვითამაშებო, გგონია? აბა, ერთი აქ მოდი.

სადამოთი კი, სექტემბრის მშრალი და მტვრიანი ბინდი რომ ჩამოდგა, იმ სახლის კართანაზე იჯდა, სადაც მწვრთნელი ცხოვრობდა, და მშვიდად, გულშეუძრავად იმეორებდა - არა და არაო.

- რაღაც თამაშისთვის ვალებს ვერ დავიდე, - ამბობდა ლებოუვი.

- მერე ვინ გითხრა, ვალები დაიდო? - ეუბნებოდა მწვრთნელი. - სწავლით უფასოდ გასწავლიან, ცხოვრებით ჩემთან იცხოვრებ სხვენზე, საქონელს საკვებს დაუყრი ხოლმე, ძროხას გამოწველი, ლუმელს შეანთებ, სასმელ-საჭმელი კიდევ ჩემი იქნება. გაიგე? - სახეზე ვერაფერს შეატყობდი, რადგან უკვე ჩამობნელდა და სახე აღარ უჩანდა, ხმაც, ლებოუვი დარწმუნებული იყო, არ გათქვამდა მის გულისწანდებს. და მაინც მწვრთნელმა უთხრა: - გასაგებია. არ გჯერა ჩემი.

- მართალი ხართ, - მიუგო ამან. - არ მჯერა. მარტო თამაშისთვის ვინ მომცემს ამდენ რამეს!

- სინჯე ერთი და შენ თვითონ ნახავ. იმის თანახმა ხომ ხარ, სანამ ფული არავის მოუთხოვია, ითამაშო?

- რომ მომთხოვონ, მაშინ შემეძლება წავიდე?

- კი, - უთხრა მწვრთნელმა. - სიტყვას გაძლევ.

იმავე ღამეს მამამის მისწერა, მოსავლის აღებაში მოსახმარებლად ვერ ჩამოვდივარ, ჩემ მაგივრად მუშახელი თუ დაგჭირდებათ, ფულს გამოგიგზავნითო. მერე ფორმა მისცეს და მეორე დღეს ერთ მოთამაშეს ისე უბიძგა, რომ ის დიდხანს ვეღარ წამოდგა ფეხზე. მერე განუმარტავდნენ - გარკვეული წესი არსებობსო, როდის შეიძლება დამგერება და როდის არა, ეს კიდევ მოთმინებით ცდილობდა გაეგო, შეეგნო, რა განსხვავება იყო - როგორღა უნდა მივაწიო ბურთით აგერ იმ ხაზზე, თუკი თავი დავაჭერინე და წავაქცევიყო.

მაგრამ ამ ამბებიდან არაფერი მოუყოლია. უბრალოდ იდგა ჰამაკის წინ თავის სუფთა შარვალსა და ზედ მოურგებ პიჯაკში გამოწყობილი, მშვიდი და თავდაჭერილი, წყნარად უპასუხებდა უორნერის შეკითხვებს - დიახ ან არაო, და ამ დროს ის ყოველივე გაკრთებოდა, უსახოდ, სწრაფად გაიელვებდა მის მხსიერებაში, - გარდასული, ძველი, გარდახედილი და უმაქნისი, როგორიც იყო თვით ის შემოდგომა - შორეული და სიზმარივით გამქრალი. დილის ოთხ საათზე წამოდგებოდა ხოლმე თავის სხვენზე, ხუთი მასწავლებლის სახლში ლუმელებს დაანთებდა და გამობრუნდებოდა. საქონლისთვის საკვების მისაცემად და ძროხის გამოსაწველად. მერე ლექციები, რასაც კი კაცის გონება

ჩასწვდომია, ყველა სიღრმიდან გამოკრებილი სიბრძნე სწავლულთა. მისით სუნთქავდნენ სუროშეყოლებული კედლები და ბერის სენაკივით მკაცრი აუდიტორიები, და უსაზღვრო იყო ის სიბრძნე, ოღონდ კი კაცს ძალა და ცოდნის წყურვილი არ შემოგლეოდა. მერე წვრთნა და ვარჯიში (მალე უფლება მისცეს დღეგამოშვებით ევლო და თავისუფალ დროს ხუთ ეზოში ფოცხავდა ჩამოცვენილ ფოთლებს), სახვალიოდ ნახშირის თუ შეშის მომარაგება. მერე ისევ ძროხას წველიდა და ბოლოს მწვრთნელის მიერ ნაჩუქარ პალტომოსხმული ლამპის შუქზე წიგნს ჩაუჯდებოდა თავის ცივ სენაკში, ვიდრე რომელიმე წაუკითხავ გვერდზე არ ჩაეყვინებოდა. ასე გადიოდა ხუთი დღე, მერე კი, შაბათობით, – მწვერვალი იყო, აღტყორცნა, და იმ უმაქნის, საძულველ ტყავის გორგალს თეთრად მოკიაფე უაზრო ხაზებს შორის დააგორებდა. და მაინც იმ წუთებში თავისი სიძულვილის, გულდაჯერებული სკეპტიციზმის, თავისი სასტიკი სპარტანული მემკვიდრეობის მიუხედავად, იმ წუთებში იგი ცხოვრებით ცხოვრობდა, ლაღად და შმაგად, – ფეხქვეშ ზამბარასავით მიწა, დარტყმები, მძიმე სუნთქვა, ხარბად გაწვდილი ხელები, სისწრაფე, გაჭედული ტრიბუნების ღრიალი; ოღონდ დამცინავი უნდობლობის გამომეტყველება არც მაშინ შორდებოდა მის სახეს. მერე იყო და ის ბუცები...

უორნერს ხელები თავქვეშ ამოედო და ისე გამოსცქეროდა.

- მერე იყო და ის ბუცები, – უთხრა უორნერმა.

„მე ხომ გულის სიღრმეში არასოდეს მირწმუნებია, რომ ეს ამბავი მომდევნო შაბათამდე მაინც გასტანდა“, – შეეძლო ეპასუხა ლებოუვს. ოღონდ არაფერი უპასუხა, უბრალოდ იდგა ხელებჩამოშვებული და უორნერს შესცქეროდა.

- ალბათ არც ითვლიდნენ, არა? – იკითხა უორნერმა.

- ერთიანად ყიდულობდნენ. ყველა ზომისას.

- უყურე შენ, – თქვა უორნერმა. – ალბათ მარტო ის იყო საჭირო, რომ გაეთქვა – ძველი ბუცები კარგად არ მადგას, ანდა დამეკარგაო სადღაც.

ლებოუვს თვალები არ დაუხრია. იდგა და გულმშვიდად შეჰყურებდა ჰამაკში მისვენებულ მოსაუბრეს.

- ვიცოდი იმ ბუცების ფასი, მწვრთნელს ვკითხე – რა ღირს-მეთქი წყვილი, უნივერსიტეტი რამდენს იხდის-მეთქი თითოში. ისიც გავიგე, მოგებაში რა მერგებოდა, ესე იგი გამარჯვებისას.

- გასაგებია. ახალი ბუცები მაშინ მოგკონდათ, როცა მოიგებდით ხოლმე. თქვენებისთვის ხუთი წყვილი გაგიგზავნიათ. სულ რამდენი თამაში გკონდათ?

- შვიდი, – უპასუხა ლებოუვმა. – ერთი ფრე იყო.

- გასაგებია, – თქვა უორნერმა. – კეთილი, შინ დღისსულ უნდა დაბრუნდეთ, ხომა? ერთი სიტყვით, სანოემბროდ ცხენს გაგიმზადებთ.

ლებოუმა ოქტომბრის ბოლო კვირას გახსნა სკოლა. იმავე კვირას წინა მასწავლებლისაგან მემკვიდრეობით დატოვებულ თავაშვებულობას მუშტებით მოულო ბოლო. პარასკევ საღამოს უორნერის ცხენით ორმოცი მილი გაიარა ოქსფორდამდე, მეორე დილას ლექციებს დაესწრო, მერე ფეხბურთი ითამაშა, კვირას შუადღემდე ეძინა, ნაშუადამევს კი უკვე ფრანგისხევში, თავის ცივ ოთახში იწვა თივის ლეიბზე. ბინა ერთ ქვრივ დედაკაცთან დაიდო სკოლის სიახლოვეს. მთელ მის ავლადიდებას შეადგენდა სამართებელი, შარვალი და ზედ მოურგები პიჯაკი, ორი პერანგი, მწვრთნელისგან ნაჩუქარი პალტო, კოუკისა და ბლექსტონის (ედვარდ კოუკი (1552-1634) და უილიამ ბლექსტონი (1723-1780) - ინგლისელი იურისტები, ბრიტანული კანონმდებლობის შესახებ დაწერილ წიგნთა ავტორები (რედ.)) წიგნები, მისისიპის შტატის სენატის ანგარიშთა კომპლექტი, ორიგინალის ენაზე გამოცემული ჰორაციუსისა და თუკიდიდეს პატარ-პატარა ტომები, რომლებიც საშობაოდ ეჩუქებინა მისთვის ძველი ენების მასწავლებელს, ვის სახლშიაც დილდილაობით ღუმელს აჩაღებდა ხოლმე, და ყველაზე კაშკაშა ლამაზა, როგორც კი ამ მხარეში ოდესმე ენახათ. ლამაზა მონიკელებული იყო, ვენტილებიანი, სარქველებიანი, რეგულატორიანი. მის მაგიდას ამშვენებდა ის ლამაზა და ალბათ მეტი ღირდა, ვიდრე ერთად აღებული მთელი დანარჩენი მისი ქონება, და საღამო-საღამოობით შორიდანაც მოდიოდა ხალხი მისი თვალისმომჭრელი და თანაბარი შუქის დასანახავად.

კვირა რომ მიიწურა, უკვე ყველანი იცნობდნენ - ხარბი პირი, გაუსამლისად პირქუში თვალები, ჯიუტი, ავი, წმინდად გაპარსული პირსახე, თითქოს ფოტომონტაჟი ყოფილიყოს, რომელზეც შეერწყათ ელისაბედის დროინდელი მეკობრისა და ვოლტერის ნაკვთები. მისი წინამორბედის მსგავსად „პროფესორს“ უწოდებდნენ, თუმცა ოცდაერთი წლის გახლდათ და მეტს არც მისცემდით და მისი სკოლაც მოთავსებული იყო ერთადერთ ოთახში, სადაც დომხალივით არეულიყვნენ მოსწავლეები - ექვსი წლის გოგო-ბიჭებით დაწყებული და ცხრამეტ წელს მიტანებული ჭაბუკებით დამთავრებული, რომელთაც მუშტებით უნდა შეჰგებებოდა, რათა პროფესორის წოდება არავის შეეღებოდა, და კლასები - უმცროსით დაწყებული, სადაც ანაბანას იზუთხავდნენ, უფროსამდე, სადაც მარტივ წილადთა საწყისები უნდა შეეთვისებინათ. ყველაფერი მას უნდა ესწავლებინა. როგორც ვაჭარს დააქვს ხოლმე თავისი დუქნის გასაღები, ისე დაატარებდა ჯიბით სკოლის გასაღებს. ყოველ დილით გააღებდა, იატაკს გამოხვეტდა, ბიჭებს წლოვანებისა და სიმაღლის მიხედვით ორ რაზმად დაჰყოფდა - წყლის მზიდველებად და შეშის მჩეხავებად, და შეგონებით, მუქარით, დაცინვითა და ძალის გამოყენებითაც აიძულებდა ემუშავათ. ზოგჯერ თვითონაც წაემველებოდა - მაგალითის მისაცემად კი არა, ჭარბი ძალის დასახარჯავად. უფროს ბიჭებს დაუზოგავად დაიტოვებდა ხოლმე გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, კარში ჩადებოდა, ურდულით გადაუკეტავდა და მუჯლუგუნებით ჩამოაშორებდა ღია ფანჯრებს. აიძულებდა მასთან ერთად სახურავზე აცოცებულიყვნენ, ყავარი შეეცვალათ და ეკეთებინათ ყოველგვარი სხვა სამუშაო, რისთვისაც წინათ უორნერს უხდებოდა ზრუნვა, როცა მასწავლებელი ჩივილით და წუწუნით ტვინს ამოუჭამდა ხოლმე. საღამოობით გამვლელ-გამომვლელნი მისი ოთახის ფანჯარაში ხედავდნენ პატენტისანი ლამპის თვალისმომჭრელსა და თანაბარ ნათებას, ის კი მიმჯდარიყო წიგნებს, რომლებიც არც ისე გულმხურვალედ უყვარდა, როგორც თვითონ წარმოედგინა, ოღონდ იძულებული იყო ეკითხა,

ჩასწვდომოდა, უკანასკნელ წვეთამდე გამოესრუტა და გამოეწურა ისეთივე მქირდავი სიკერპით, როგორითაც შეშას ჩეხავდა ხოლმე.

ყოველ პარასკევს, დღის ბოლოს, უორნერის ბაკს მიაშურებდა, დაძარღვულ, მუხლმაგარ, თავწვრილ ცხენს მოაჯდებოდა და იქითკენ გასწევდა, სადაც სახვალიოდ თამაში იყო დანიშნული, ან კიდევ რკინიგზისკენ გაიჩქარებოდა მატარებელში ჩასაჯდომად, და ზოგჯერ იმასაც ძლივს ასწრებდა, ფორმა გადაეცვა სწორედ მსაჯის სასტვენის წინ, მაგრამ ორშაბათ დილას უეჭველად ისევ სკოლაში იყო, თუმცა ზოგჯერ ისევ მოხდებოდა, ხუთშაბათიდან ორშაბათამდე მხოლოდ ერთ ღამეს – შაბათ ღამეს ეძინა. ორი შტატის კოლეჯთა თამაშის შემდეგ მაღლის შეწირვის დღეს მემფისის გაზეთმა მისი პორტრეტი დაბეჭდა. ფეხბურთელის ფორმაში იყო გამოწყობილი და ამიტომ ფრანგისხეველები ალბათ იმასაც იტყოდნენ – არ ჰგავსო. მაგრამ სახელი მისი ეწერა და ალბათ იცნობდნენ კიდევ, ოღონდ გაზეთი თან არ წამოუღია. ფრანგისხეველებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რას აკეთებდა ხოლმე მასწავლებელი შაბათ-კვირაობით, ერთადერთი ის იცოდნენ, უნივერსიტეტში აქვსო რაღაც საქმეები. თუმცა არც აინტერესებდათ ეს ამბავი. მათ აღიარეს მასწავლებელი, მასწავლებლად ყოფნა ერთგვარი წარჩინება კი იყო, მაგრამ წარჩინებად მხოლოდ ქალთა შორის ითვლებოდა და ქალთა საზოგადოებაში ფასობდა, ისევე როგორც სასულიერო წოდება. მისთვის სმა აკრძალული არ ყოფილა, ოღონდ მასთან ერთად არ შეჰყვებოდნენ სმას, და, თუმცა მისობას ენა ისე არ ჰქონდათ მოკეტილი, როგორც ნამდვილი ხუცესის გვერდით, მაგრამ თავის მხრივ აღვირი რომ მიეშვა, მომავალ სასწავლო წელს შეიძლებოდა ადგილიც დაეკარგა, – იცოდა ეს ამბავი. ამ ხალხთან ურთიერთობას ისე იღებდა, როგორც ყალიბდებოდა ეს ურთიერთობები, და თავადაც კი ცდილობდა რეპუტაცია განემტკიცებინა ისევ იმ პირქუში სიჯიუტით, რომელშიც სიამაყეც იყო და გამოწვევაც.

უნივერსიტეტში გამოცდები რომ დაიწყო, მთელ კვირას აღარ გამოჩენილა. დაბრუნებულმა უორნერი დაიყოლია – კალათბურთის მოედანი მოვაწყოთო. სამუშაოს მეტი წილი თავადვე გააკეთა თავის უფროს ბიჭებთან ერთად და თამაშიც ასწავლა მათ. მომდევნო წლის მიწურულს ფრანგისხეველთა გუნდმა უკვე დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე, რომლებთანაც კი შეხვედრამ მოუწია, ხოლო კიდევ ერთი წელი რომგამოხდა, გუნდში თავადაც მოთამაშე ლეგოვმა თავისი ბიჭები ჩაიყვანა სენტ-ლუისში, სადაც კომბინეზონებში გამოწყობილმა ფეხშიშველა გუნდმა ყველა პრეტენდენტს სძლია და მისისიპის ველის პირველობა მოიპოვა.

ფრანგისხევეში დაბრუნებულს კურსი დასრულებული ჰქონდა. სამ წელიწადში ხელოვნების მაგისტრისა და სამართლის ბაკალავრის ხარისხი მიიღო. ახლა უნდა გამგზავრებულიყო, ეტყობა, სამუდამოდ – თავისი წიგნებიანად, თავისი საუცხოო ლამპიანად, სამართებლიანად, ძველი ენების მასწავლებლის მიერვე საშობაოდ ნაჩუქარ ალმა ტადემის იაფფასიანი რეპროდუქციიანად – უნდა გამგზავრებულიყო ისევ უნივერსიტეტში, რათა ერთდროულად ორ ფაკულტეტზე დილიდან საღამომდე ესწავლა. ახლა კითხვის დროს სათვალეს ხმარობდა და შუქის დაცემისას უსიამოდ წკურავდა თვალებს, როცა აუდიტორიიდან აუდიტორიაში გადადიოდა და ზედ ერთადერთი კოსტიუმი ემოსა – ერთიმეორეს მოურგებელი შარვალი და პიჯაკი – და გზას მიიკვლევდა მოცინარ ჭაბუკთა და ქალიშვილთა ჯგროში. და ის ჭაბუკები და

ქალიშვილები ისეთ სამოსში იყვნენ გამოწყობილნი, როგორც მანამდე არასოდეს ენახა, ხოლო ისინი არამცთუ ზედაც არ უყურებდნენ, სულაც არ ამჩნევდნენ, სწორედ ისევე, როგორც ვერ ამჩნევდნენ ხოლმე ქუჩის ფარნებს, რომლებიც მას, ლებოუვს, პირველად ამავე ქალაქში ენახა ორი წლის წინ. იგი დადიოდა იმავე გამომეტყველებით, როგორც აღიბეჭდებოდა მის სახეზე, როცა თეთრ-თეთრი ზოლებით დახაზულ ფეხბურთის მოედანზე მიაქანებდა ხოლმე ბურთს, თვალს ავლებდა ქალიშვილებს, რომლებიც აქ, ეტყობა, გასათხოვრად ჩამოსულიყვნენ, და ჭაბუკებს, რომლებიც ღმერთმა იცის, რისთვის ჩამოსულიყვნენ.

და, აი, ბოლოს, ნაქირავებ მანტიასა და თავსარქმელში გამოწყობილმა სხვებთან ერთად მიიღო პერგამენტის გრაგნილი, ზომით პატარა, დახვეულ ტაბელ-კალენდარზე დიდი არ იქნებოდა და კალენდარივით შეიცავდა ამ სამ წელიწადს - მკაფიო თეთრ-თეთრ ხაზებს, მუხლმოუღლეელი ცხენის უნაგირზე დანთებულ ღამეებს და იმ ღამეებსაც, როცა პალტომოსხმული ლამპის სითბოთილა იბრუნებდა სულს და უსიცოცხლო სტრიქონებს მისციებოდა. ორი დღის მერე თანაკურსელებთან ერთად მსაჯულთა კოლეგიას წარუდგინეს ოქსფორდის სასამართლოში და სავეჯილო პრაქტიკის ნებართვა მიანიჭეს. ახლა ყველაფერი უკან იყო მოტოვებული. მთელი ღამე გაატარა სასტუმროს რესტორანში მოხმთან სუფრასთან, რომლის თავში სამართლის მასწავლებლებითა და იურისპრუდენციის სხვა მესვეურებით გარშემორტყმული თავად სასამართლოს თავმჯდომარე დაესვათ. ეს იყო იმ სამყაროს კარიბჭე, რომლისკენაც გზას მიიკვლევდა აგერ სამი, არა, ოთხი წელი სრულდებოდა, თუ იმ წელიწადსაც ჩავთვლით, როცა თვითონაც არ იცოდა, რას მიესწრაფვოდა. ახლა ისღა დარჩენოდა, ისეთივე გულდახშული სახით მჯდარიყო წვეულების დამთავრებამდე, დალოდებოდა, ვიდრე საბოლოო ტაშისცემა დაფარავდა საბოლოო სიტყვებს, მერე კი წამომდგარიყო, იმ დარბაზს გამორიდებოდა და გზა განეგრძო წინ მაცქერალს, ისევე როგორც უკვე სამი წელი იყო, რაც მიაღაჯებდა - წაუბორძიკებლად და უკანმიუხედავად. მაგრამ ძალა არ შესწევდა საამისოდ. ახლაც კი, როცა გადაელახა ის ორმოცი მილი თავისუფლებისა და (ეს კარგად იცოდა, ამას ეტყოდა თავის თავს) ღირსების, საკუთარი თავის პატივისცემის გზაზე, ძალა არ შესწევდა წასასვლელად. არა, ის უნდა დაბრუნებოდა თერთმეტწლიანი გოგონას მიზიდულობის სფეროს, ორბიტას, იმ გოგონასას, დასვენების დროს კიბის საფეხურებზე ჩამომჯდარი, მზისგან კატასავით თვალდაწკურული და ცივი ტკბილი კარტოფილის მჭამელიც კი ჰომეროსისა და თუკიდიდეს მისეულ წიგნებში გაცნობილ ქალღმერთთა სადარი რომ იყო, თითქოს მასაც მიმადლებული ჰქონდა გახრწნილიც ყოფილიყო და უმანკოც ერთსა და იმავე დროს, ისევე როგორც ისინი იყვნენ - ქალწულნიც და მხედართა, მამაკაცთა დედანი.

პირველსავე დილას, ძმამ რომ სკოლაში მოიყვანა იულა, ლებოუვმა თავისთვის თქვა: „არა, არა. ნუ იხამთ. აქ ნუ დატოვებთ!“ სულ ნახევარ წელიწადს ემუშავა ლებოუვს; ყოველ კვირას ღამით ოქსფორდს მიემგზავრებოდა და მერე უკანვე ბრუნდებოდა, გარდა ამისა, იანვარში გამოცდების ჩაბარებისას კიდევ ორი კვირა გაუცდა. და მაინც, არა მარტო თავი დააღწევინა სკოლას წინანდელი მასწავლებლის მიერ დატოვებული ქაოსისთვის, სასწავლო პროგრამაც კი ასე თუ ისე მოაწესრიგა. უთანაშემწეოდ მუშაობდა, ერთადერთ ოთახში ტიხარიც არ მოეპოვებოდა, მაგრამ

მოსწავლეები მათი უნარისდა მიხედვით დაანაწილა, აიძულა ემეცადინათ და ისინიც არამცთუ დაემორჩილნენ, ბოლოს და ბოლოს კეთილსინდისიერად მიჰყვეს ხელი სწავლას. ოღონდ ის არ ამაყობდა, გულიც კი ვერ დაიჯერა. გარნა კმაყოფილი იყო იმით, რომ რაღაც ძვრა მოხდა, რაღაც ნაბიჯი გადაიდგა თუ ნამდვილი ცოდნისკენ არა, წესრიგისა და დისციპლინისკენ მაინც. და ერთხელ გამოჯორკნილ საკლასო დაფას ზურგი რომ შეაქცია, თვალი ჰკიდა რვაწლიანი გოგონას სახეს, თოთხმეტწლიანის სხეულსა და ოცი წლის ქალიშვილის მკერდს. ამ არსებას ზღურბლზე ფეხის გადმოდგმისთანავე თავაწყვეტილი საზაფხულო ზარხოშის, პირველადი და ყოვლადძლიერი წიაღისადმი წარმართული მოზეიმე თავყვანისცემის სული შემოჰყოლოდა გათოშილსა და ჩაბნელებულ ოთახში, რომელიც პროტესტანტული დაწყებითი განათლების მკაცრ საჭიროებათა სამსახურისთვის იყო განკუთვნილი.

ლებოუვი პირველი შეხედვისთანავე მიხვდა იმას, რასაც ამ გოგოს ძმა, როგორც ეტყობა, უკანასკნელი უნდა მიმხვდარიყო. მიხვდა: ამ გოგოს არამარტო არ სურდა სწავლა და არც შეუდგებოდა ამ საქმეს, არამედ დედამიწის ზურგზე არც ერთ წიგნში არაფერი მოიძებნებოდა ისეთი, რაც მას წაადგებოდა - ამ ქვეყანას ის იმთავითვე ყოველმხრივ შეჭურვილი მოვლენოდა, რათა უშიშრად დაეძლია ყოველგვარი დაბრკოლება, რასაც მომავალი ცხოვრება უქადდა. მის თვალწინ იყო გოგო, რომლისთვისაც მომდევნო ორ წელიწადს, როგორც თვითონ ეგონა თავდაპირველად, მხოლოდ ბრაზით უნდა ემზირა, გოგონა, რომელსაც სიმწიფის მიჯნა დედის საშოშივე გადაელახა და ახლა უშფოთველად განაბულს ერთი კედლებიდან მეორეში მიჰყვებოდა უძრავი მოლოდინის უნარი, ვიდრე არ მოევლინებოდა კაცი ვინმე, რომლის სახე ჯერ არც ენახა, რომლის არც სახელი გაეგონა, და არ შემუსრავდა, არ განაქარვებდა ამ მოლოდინს. ხუთ წელიწადს უნდა ემზირა, როგორ მოჰყავდა გოგო მის ძმას ყოველ დილით, და ძმის გაბრუნებისთანავე როგორ გაირინდებოდა ხოლმე იმავე ადგილას, როგორ საათობით ეწყო მუხლებზე ხელები გაუნძრევლად, თითქოს ის ხელები ცალ-ცალკე ჩაძინებული ორი არსება ყოფილიყოს. თუკი ლებოუვი როგორმე მოახერხებდა მისი ყურადღება მიეპყრო, გოგო უპასუხებდა - არ ვიციო, ხოლო თუ მიაცივდებოდა, - ეგ არ მისწავლიაო. გეგონებოდათ, მისი კუნთები, მთელი მისი სხეული უძრავი არისო, დაღლილობისა და მოწყენისთვის შეუვალი, ან კიდევ მთვლემარე ქალურობის ამ სიმბოლოს სიცოცხლე კი აქვს მომადლებული, მაგრამ გრძნობები არა, და მხოლოდ იმას ელოდება, როდის მოვა მისი ძმა - ეჭვიანი, ბრაზით მოთუხთუხე საჭურისი ქურუმი - და უკანვე წაიყვანსო.

ყოველ დილას ცხადდებოდა კლასში იმ თავისი მუშამბის ჩანთით და ლებოუვმა არ იცოდა, შემწვარი ტკბილი კარტოფილის გარდა ჩანთაში სხვა რამეც თუ იყო. კლასში შემობიჯებისთანავე უბრალო ხის მერხებსაც და სკამებსაც კი ვენერას წალკოტად აქცევდა და ყველა მამაკაცს მოაჯადოებდა ხოლმე, დაწყებული წამოჩიტული ბიჭებით და გათავებული მოწიფული ცხრამეტწლიანი და ოცწლიანი ჭაბუკებით, რომელთაგან ერთი უკვე ოჯახს იყო მოკიდებული და დღეში ათამდე აკრი მიწის მოხვნა შეეძლო. და ყველა ისინი, მებრძოლ რაყიფებად აღზნებულნი, ჯიუტად ესწრაფოდნენ პირველობას მსხვერპლშეწირვის საქმეში. ზოგჯერ პარასკეობით სკოლაში ეწყობოდა საღამოები, რომლებზეც ლებოუვის მიერ თვალყურმიდევნებული მოსწავლენი თამაშით ერთობოდნენ. ის გოგო არაფერში მონაწილეობდა და

მანც ყველას მბრძანებელი და მეუფე იყო. ღუმელთან მიჯდებოდა ხოლმე ზუსტად ისევე, როგორც მეცადინეობის საათებში იცოდა, დაბინდული და აუმიღვრეველი ირგვლივ ამტყდარი წივილ-კივილისა და ბრაახუნისგან, გარნა ეს მას ეტანებოდნენ ყველა მივარდნილ კუთხესა თუ კუნჭულში ყოველ ჩითის კაბას გამოდევნებულნი. თავის კლასს არც უსწრებდა, ოღონდაც არც ჩამორჩებოდა, იმიტომ კი არა, რომ სწავლას უარობდა, არც იმიტომ, რომ სკოლის პატრონის - უორნერის ქალიშვილი იყო, არამედ იმიტომ, რომ, რომელ კლასშიაც მოხვდებოდა, ორ დღეში იქ აღარც მეცადინეო რჩებოდნენ და აღარც ჩამორჩენილნი. ერთი წლის მერე მისი გადაყვანა აღარსად შეიძლებოდა, იმიტომ, რომ ვერც ერთი სულიერი, ვისაც კი ძარღვებში სისხლი უჩქეფდა, მას ვერ უგანებდა. მათ მხოლოდ ერთი კერპი უნდა ჰყოლოდათ და ისინიც ფუტკრის გუნდივით მას მიაფრინდებოდნენ ხოლმე, ამ ბომონს, გარს დაჰბრუნავდნენ და აბეზრებდნენ. ხოლო ის თავად, ისევ ისე უშფოთველი და აუმიღვრეველი, თითქოს ბურანს მიცემული, მშვიდად უარს ჰყოფდა კაცობრიული აზრისა და ტანჯვის ვეება ნაერთს, ცოდნად, განათლებად, სიბრძნედ სახელდებულს, ის - უსაზღვროდ გარყვნილი და უმანკოც რომ იყო ერთსა და იმავე დროს: მეუფე, საშო.

ორ წელიწადს იყო ლეხოუვი ყოველივე ამის მოწმე და ეჩვენებოდა - ბოდმის მეტი არაფერი მაქვსო გულში. მეორე წლის დამლევეს კურსი უნდა დაესრულებინა, ორივე ხარისხი მიეღო. მაშინ ყოველივე დამთავრდებოდა, უკან იქნებოდა მოტოვებული; ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც აქაურობას მოექირავა, აღარ იარსებებდა; მიზანს ძვირი საფასურით მიაღწევდა, პატიოსნად გადახდილი საფასურით, რომელსაც მიეთვლებოდა ორმოცი მილის სიშორეზე იქით და აქეთ დამდამობით სიარული, რადგან თავშესაქცევად ცხენზე შეჯდომა მიწის საკუთარი ხელით დამმუშავებელი ფერმერის ადათებს ვერ ეგუებოდა. ამის შემდეგ შეეძლო აბარგებულიყო, მიეტოვებინა და სამუდამოდ დაევიწყებინა ეს სოფელი. პირველ ექვს თვეს დაჯერებული იყო - ასეც ვიზამო, მომდევნო წელიწად-ნახევარს კიდევ თავის თავს არწმუნებდა - სწორედ ასე მოხდებოდა. გარნა თავის დაჯერება და რწმენა განსაკუთრებით ადვილი მაშინ იყო, ვიდრე აქ ცხოვრობდა, - ორ თვეს გაზაფხულზე და შემდეგ ზაფხულში რვა კვირას, როცა თანდათანობით ამთავრებდა მეოთხე სემესტრს, მერე კი ეგრეთ წოდებული რვაკვირიანი შვებულება ჰქონდა, რომელიც სახერხში გაატარა, თუმცა ახლა მისაშოვარი მანცდამანც არც ესაჭიროებოდა, უნივერსიტეტს უამისოდაც დაამთავრებდა, მაგრამ უნდოდა ჯიბეში მეტი ფული ჰქონოდა, როცა უკანასკნელ კარს გამოშორდებოდა, მყარსა და გაშლილ გზას დაადგებოდა და დასახულ მიზანს აღარაფერი დააცილებდა; მერე კიდევ შემოდგომაზე ჰქონდა ექვსი კვირა, როცა ყოველ შაბათს ის თეთრ-თეთრი ხაზები გაკრთებოდა მისთა ფეხთა ქვეშ, როცა გახელებული ჰაერი ბლაოდა და ღრიალებდა, ხოლო ის თავად ამ ხანმოკლე წუთებში, საკუთარი ბუნების ნიშატთა მიუხედავად, ბობოქრობდა, დამაბული ცხოვრობდა და არც კი სჯეროდა ამ ამბისა.

შემდეგ კი ერთ მშვენიერ დღეს დარწმუნდა - აგერ ორი წელია საკუთარ თავს ვატყუებო. ეს მოხდა მეორე გაზაფხულზე, როცა დამთავრებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე ჩავიდა უნივერსიტეტში. მასწავლებლის ადგილზე უარი არ განუცხადებია, თუმცა კი ერთი თვის წინ, ფრანგისხევიდან გამომგზავრებისას, დარწმუნებული იყო - მეტს აღარ მოვბრუნდებო, რადგან უორნერთან დადებული ხელშეკრულებით მისი

მასწავლებლობა მხოლოდ იმიტომ იგულისხმებოდა, რომ უნივერსიტეტის დამთავრების საშუალება მისცემოდა. ამის გამო ფიქრობდა – სამუდამოდ მივემგზავრებო. გამოსაშვებ გამოცდებამდე ერთი თვეა რჩებოდა, მერე სავიქილო პრაქტიკის უფლების მოსაპოვებელი გამოცდა, და მის წინ კარი გაიღებოდა. ადგილსაც კი იყვნენ შეპირებული თავის მიერ არჩეული სპეციალობისდა მიხედვით. და მაშინ მოხდა ეს ამბავი, სრულიად მოულოდნელად, როცა ერთ საღამოს პანსიონის სასადილოში შევიდა სავახშმოდ და დიასახლისმა უთხრა – დღეს უნდა გაგიმასპინძლდეთ, სიძემ ძღვენი ჩამომიტანაო, – და თეფში დაუდგა წინ. თეფშზე იდო ერთადერთი შემწვარი ტკბილი კარტოფილი, და უცებ დიასახლისმა შეჰყვირა: „ოჰ, მისტერ ლებოუვ, ცუდად შეიქენით?“ – ხოლო მან თავი დაიურვა, წამოდგა და გავიდა. როცა ბოლოს და ბოლოს თავის ოთახს მიატანა, იგრძნო, რომ უნდა ეჩქარა, წუთის დაუყოვნებლად თუნდაც ფეხით გაქცეულიყო. თვალნათლივ დაინახა ის გოგო, სუნიც კი მოსწვდა მისი: აი, ზის სკოლის კართანასთან, ტკბილ კარტოფილს შეექცევა, მშვიდად და აუჩქარებლად იდექება და განუშორებლად ახლავს საშინელი უნარი არამცთუ უმწეოდ და უფიქრელად გამოისახოს, თითქოს თავისად არმისაჩნევი სამოსით, არამედ ერთიანად გამარცხული იყოს და ვერც კი ხვდებოდეს ამ ამბავს. ლებოუვმა ახლა იცოდა, რომ სკოლის კართანასთან კი არა, მისსავე ფიქრებში იყო ის გოგო ყოველ წამს მთელი ამ ორი წლის მანძილზე, რომ ბოღმა კი არ ეძალებოდა, არამედ შიში, და რომ ის კარიბჭე, რომელიც მან აღიმართა და თავის მიზნად ეზმანებოდა, მიზანი კი არ ყოფილა, არამედ თავის გადასარჩენი კუნძული; დასაღუპად განწირული კაციც ასეა – ჯილდოს გამო კი არ გარბის, არამედ სიკვდილისგან თავის სახსნელად.

მაგრამ მაშინ საბოლოოდ არ დანებებულა, თუმცა თავს კი უთხრა პირველად: „არა, აღარ დავბრუნდები“. წინათ ამგვარი რამის თქმა არ დასჭირვებია, რადგან სჯეროდა – წამოვალო იქიდან. მაგრამ ჯერ კიდევ შეეძლო თუნდაც ხმამაღლა დაეჯერებინა თავი – არ დავბრუნდებო, და ამის წყალობით მშვიდობით მიაღწია ხარისხისა და სავიქილო პრაქტიკის უფლების მინიჭებას, მერე კი ბანკეტსაც. საზეიმო სუფრის წინ ერთმა ამხანაგმა მოაკითხა: ნაბანკეტევეს ყველანი მემფისში შევიყრებით, შინაურულად განვავარძობთო დროს ტარებას. მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს ამბავი: სასტუმროში ღრეობას, მერე კი, ზოგიერთისთვის მაინც, – საროსკიპოს. მან უარი უთხრა – იმიტომ კი არა, ჯერაც რომ უმანკო იყო, არც იმიტომ, რომ ამგვარი ამბებისთვის ხელის გაშლას თავს არ დაანებებდა, არამედ იმიტომ, რომ სულ უკანასკნელ წლამდე ისევ სჯეროდა, ისევ ინარჩუნებდა ველურის წმინდა ემოციურსა და უნიადაგო რწმენას განათლებისადმი, ლათინურ ტიტულთა თეთრი მაგიისადმი, სწორედ ისე, როგორც ძველი დროის ბერს სწამდა თავისი ხის ჯვარისა. მერე გამოსამშვიდობებელი სიტყვა საბოლოო ტაშისცემასა და სკამების მიწვევ-მოწვევის ხმაურში დაინთქა; კარი ღია იყო, წინ გზა ელოდა, მაგრამ მან უკვე იცოდა, რომ არსად წავიდოდა. მემფისს დამპატიყებელ ამხანაგთან მივიდა და უთხრა – თანახმა ვარო. მემფისის სადგურზე სხვებთან ერთად გადმოვიდა ვაგონიდან და საროსკიპოს გზა იკითხა მშვიდად.

– რამ წავიყვანა სული, – უთხრა რომელიღაც ამხანაგმა, – ჯერ სასტუმროში მაინც ჩავწერილიყავით.

მაგრამ მას მოცდა არ სურდა. მარტო გაეშურა მიცემული მისამართით. გულდაჯერებულმა დააკაკუნა რომელიღაც საეჭვო კარზე. სულერთი იყო, ესეც ვერ უშველიდა და არც ჰქონია ამის იმედი. იგი ფლობდა უნარს, ურომლისოდაც კაცი ვერც ჭეშმარიტი მამაცი შეიქნება, ვერც ნამდვილად მხდალი; უნარს იმისა, რომ მედლის ორივე მხარე დაენახა, უკვე დამარცხებულად წარმოედგინა თავი. ეს ისეთი ნიჭია, თავისთავად უბედურებაა კაცისთვის. „იმას მაინც ვეღარ შეძლებს, ჩემი უმანკობისთვის რომ მომიძულოს“, – ეუბნებოდა თავის თავს. დილით თავის ღამეულ მეგობარს ბლოკნოტიდან ამოგლეჯილი ხაზიანი ქაღალდის ფურცელი და ვარდისფერი კონვერტი გამოართვა და უორნერს მისწერა – კიდევ ერთ წელიწადს ვიმუშაებო სკოლაში.

ოღონდ სამ წელიწადს იმუშავა კიდევ. ამ ხნის განმავლობაში მართლა ნამდვილ ბერად გადაიქცა, ხოლო ცივი, პირქუში სკოლა, პატარა, ღარიბი სოფელი მთად ექცა, გეთსიმანიის ბაღად და, თავადაც ხვდებოდა, გოლგოთად. ძველ მეუდაბნოეს დაემსგავსა. ცივი ოთახი სენაკი იყო მისი, ხის იატაკზე დაგდებული ნამჯის თხელი ლეიბი – ქვის საწოლი, რომელზეც გულადმა იყო გაშხლართული და ზამთრის ყინვიან ღამეებში ოფლად იღვრებოდა შიშველი, შეუდრეკელი, პირმოკუმული. ბრძენის სახე ჰქონდა და ფავნის ბანჯგვლიანი ფეხები. მერე გათენდებოდა, შეეძლო ამდგარიყო, ტანთ ჩაეცვა, გემოს ჩაუტანებლად წაეხემსებინა. საჭმელს არც წინათ არჩევდა ხოლმე, ოღონდ ახლა ხშირად არც კი იცოდა, ეჭამა თუ არა უკვე. მერე გამოვიდოდა, სკოლას გააღებდა, თავის მაგიდას მიუჯდებოდა და ელოდა, როდის გამოჩნდებოდა და მერხებს შორის გასასვლელს როდის ჩაუყვებოდა ის გოგო. წინათ იმასაც ფიქრობდა – ცოლად შევირთავო, დაველოდები, ვიდრე წამოიზრდებოდეს, და მის ხელს ვითხოვ, ვცდი მაინცო, მაგრამ ეს აზრი დიდი ხნის წინ მოიშორა. ერთი რომ, ცოლის შერთვა არ უნდოდა, იქნებ ჯერჯერობით ან იქნებ საერთოდაც. მეორეც, ცოლად კი არ სჭირდებოდა ისგოგო, ერთხელ სჭირდებოდა, ისე როგორც ხელის ან ფეხის განგრენიანი კაცი ნატრობს ნაჯახის დარტყმას, შედარებით გამომამჯობინებელს ხელახლა. გარნა ამ მსხვერპლსაც გაიღებდა, ოღონდ კი საცდურისთვის დაეღწია თავი. მაგრამ იცოდა, შეუძლებელი იყო ეს ამბავი, მარტო იმ გოგოს მამის გამო კი არა, თუმცა ისიც არასოდეს დასთანხმდებოდა მათ შეუღლებას, თავად იმ გოგოს გამო, მისი იმ არსების გამო, რომელიც პირწმინდად აუფასურებდა მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად დარჩენის ფიცს, შეუძლებელს ხდიდა ერთი მამაკაცი მარად მისი ყოფილიყო, აცამტვერებდა სიყვარულის იმ ბეჩავ უნარს, რომელიც ერთ მამაკაცს შეეძლო მიეძღვნა მისთვის. ლებოუვი თითქმის ხედავდა იმ გოგოს მომავალ ქმარს – ჯუჯას, გნომს, წელუმაგროსა და უვნებოს, რომელსაც ქალისთვის მეტი ფასი არ ექნებოდა, ვიდრე წიგნისთვის – ფორზაცზე აღნიშნულ სახელს მისი მფლობელისას. და ისევ იგივე, ისევ წიგნებიდან მომდინარე – მახინჯი მინამსგავსი სახებისა, რომელსაც ეს ერთხელ უკვე ეცდუნებინა: ვენერა და კოჭლი ვულკანი, რომელიც კი არ ფლობს მეუღლეს, არამედ უპყრია იგი მხოლოდ იმ ძალის მეოხებით, ფულის, სიმდიდრის, ყოველგვარი ფუჭი საშვებლის მეუფებით რომ მოიხვეჭება, ისევე როგორც შეეძლო დაჰპატრონებოდა ნახატს ან ქანდაკებას კი არა, არამედ, მაგალითად, ყანობირს. ლებოუვი სჭვრეტდა ამ ყანობირს: ჩინებული მიწა, პოხიერი, ნაყოფიერი, გაპატივებული, უკვდავი და ყურდახშული იმის ნაუბარისადმი, ვინც თავის უფლებებს აცხადებს მის მიმართ, გულმავიწყი, იმაზე ათჯერ მეტი ცოცხალი თესლის გამომძალველი,

ვიდრე მის პატრონს შეუძლია დაიუნჯოს და მიაფრქვიოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ასწილად მიმგებელი და იმაზე ათასჯერ მეტი მოსავლის მშობელი, რის მოწვევისა და დაუნჯების იმედიც ექნება მის პატრონს.

ჰო, იმედი არაფრისა უნდა ჰქონოდა. და მაინც არსად მიდიოდა. არ მიდიოდა, რათა არ დაჰკარგოდა შესაძლებლობა, მოსწავლეთა წასვლის შემდეგ, სკოლა რომ დაცარიელდებოდა, შეჩვენებულისა და მოკვეთილის სიმშვიდით სკამთან მისულიყო და ხელი დაეკარებინა მისი სხეულის სითბოს ჯერაც შემნახველი ხისათვის, ან დაჩოქილიყო კიდეც, სახით მიჰკვროდა, ლოყით გახახუნებოდა, შემოხვეოდა ხოლმე უგრძობებელ ხეს, ვიდრე სითბო არ განქარებულიყო, ჭკუიდან შეიშალა და თავადაც იცოდა ეს ამბავი. ზოგჯერ მისი სიყვარული კი აღარ ეწადა, ის უნდოდა, ეტკენინებინა მისთვის რამე, ენახა, როგორ დასდინდებოდა სისხლი, როგორი ზარი და ტანჯვა აღებუქდებოდა უშფოთველ სახეზე, რომლის გაქელვაც მოესურვებოდა ხოლმე. უნდოდა წარუხოცელი კვალი დაეჩნია, ენახა, საერთოდ როგორ დაკარგავდა ადამიანურ იერს ეს სახე. მაშინ გადაურჩებოდა შეშლილობას, თავისგან განდევნიდა, და მაშინ როლებსაც შეიცვლიდნენ ისინი. მაშინ თავად ქვედაემხოზოდა ამ სახის წინაშე, თოთხმეტწლიანი გოგოს სახის წინაშე, რომელიც, ასაკის მიუხედავად, აღბეჭდილი იყო ამისთვის მარად მიუწვდომელი ცოდნითა და გარყვნილი გამოცდილებით. ლებოუვი ბალად ჩანდა იმ ცოდნის წინაშე, ხელდაუკარებელ ქალიშვილს ჰგავდა, დაბნეულსა და დამფრთხალს, რომელიც მისი მაცდუნებლის ცბიერებისა და გამოცდილების მეოხებით კი არ მოხვედრილა ხაფანგში, არამედ მის წიაღშივე მობობოქრე ბრმა, უმოწყალო, მანამდე უცნობ ძალთა მეოხებით. მტვერში იხობებდა იმ გოგოს წინაშე, შეჰღაღადებდა სულმეხუთული: „მასწავლე, როგორ მოვიქცე. მითხარი, ყოველსავე მოვიმოქმედებ, რასაც კი მეტყვი, ოღონდ იმას მივწვდე, ის შევიტყო, რაც იცი შენ“. ჭკუიდან შეიშალა და თავადაც იცოდა ეს ამბავი. იცოდა, ადრე თუ გვიან უეჭველად მოხდებოდა რამე. ისიც იცოდა კიდეც: რაც უნდა მომხდარიყო, დამარცხებული თავად დარჩებოდა, თუმცა ჯერ ვერ ხვდებოდა, სად ჰქონდა ერთადერთი ბზარი მის ჯავშანს, არ ეგონა, თუ გოგო იმ ბზარს შეუცდომლად მიაგნებდა, ალლოთი, იმის არმცნობელი, თუ რა საფრთხეს გადარჩენოდა. „საფრთხეო? – ფიქრობდა, ყვიროდა თავისთვის. – საფრთხეო? საფრთხე მე ვიკითხო, იმან კი არა! მისი გულისთვის კი არ მეშინია ჩემი მოსამოქმედებელის, – ვერც მე და ვერც სხვა ვინმე კაცი ცუდს ვერაფერს დავმართებთ. იმას ვშიშობ, მე დამატყდება უბედურება“.

და, აი, ერთხელ მიაგნო თავის ნაჯახს. რაღაცნაირ ნეტარ ორგაზმში მყოფი პირველი უმარჯვო დარტყმის მერე ჩეხავდა განგრენიანი კიდურების ნერვთა და იოგთა ნაგლეჯებს. თავდაპირველად არაფერი გაუგია. მიწყდა უკანასკნელი ნაბიჯები, კარი უკანასკნელად მიიხურა. არ გაუგია, როგორ გაიღო კარი ხელახლა, მაგრამ რაღაცამ აიძულა წამოეწია სკამს დაკრული სახე. ის გოგო ისევ კლასში იყო და ამას უმზერდა. მიხვდა, რომ გოგომ არა მარტო შენიშნა ადგილი, სადაც ეს დაჩოქილი იდგა, იცოდა კიდეც, იქ რატომაც დაჩოქილიყო. შესაძლოა, ლებოუვს იმწუთას ისიც სჯეროდა – გოგომ ეს ამბავი ყოველთვის იცოდაო, იმიტომ, რომ უმალ შენიშნა – გოგო არც შემკრთალიყო და არც ეცინებოდა თავის მასწავლებელზე, უბრალოდ, მისთვის სულერთი იყო ეს ამბავი. ხოლო შემოსულს ეჭვადაც არ ჰქონია, რომ იმ კაცის სახეს უმზერდა, ვინც კაცისკვლად იყო გამზადებული.

მშვიდად შეუშვა ხელი კარის სახელურს და მერხებს შუა ღუმლისკენ გაემართა.

- ჯოდი ჯერ არ მოსულა, - თქვა გოგომ. - ცივა გარეთ. რას აკეთებთ აქ?

ლებოუვი წამოიმართა. გოგო ჯერაც მოდიოდა იმ თავისი მუშამბის ჩანთით ხელში, რომელსაც აგერ ხუთი წელია დაატარებდა და სკოლის გარეთ მხოლოდ იმიტომ თუ გახსნიდა ხოლმე, ლებოუვმა იცოდა ეს ამბავი, რათა ცივ-ცივი ტკბილი კარტოფილები ჩაეწყო შიგ. ლებოუვი მისკენ წავიდა. გოგო შეჩერდა და თვალს არ აშორებდა.

- ნუ გეშინია, - ეუბნებოდა კაცი. - ნუ გეშინია.

- ნუ მეშინია? - მიუგო გოგომ. - რისი?

ერთი ნაბიჯით დაიხია და ისევ შეჩერდა სახეში ჩაშტერებით ამის მზირალი. არ ეშინოდა. „ესეც არ უსწავლია ჯერ“, - გაიფიქრა ლებოუვმა; და აქ რაღაც მძვინვარე და ცივი წამოიზვირთა მასში, გამორიდება იყო თუ უკუგდებულის გამო მწვავე სევდა, თუმცა სახეზე არაფერი აღბეჭდია, სახე კიდევ უღიმოდა ოდნავ, - შეჩვენებულისა და მოკვეთილის ტრაგიკული, დაღლილი სახე.

- საქმეც ეგაა, - ამბობდა, - უბედურებაც ეგაა. არ გეშინია. ოღონდ ეს კი უნდა ისწავლო. ამას მაინც დაგასწავლი.

გარნა უკვე ესწავლებინა მისთვის სხვა რაღაცა, თუმცა ერთ-ორ წუთს თავადაც არ იცოდა ეს ამბავი. ჰო, ხუთი წლის მანძილზე ერთი რამ მართლაც ესწავლა ამ გოგოს სკოლაში, და ახლა გამოცდა უნდა ჩაებარებინა. ლებოუვი მისკენ მიდიოდა. გოგო არ იძვროდა. მერე კაცმა ჩაბღუჯა, ისე ფიცხლად მიაფრინდა, თითქოს ბურთი ყოფილიყოს, ან ბურთი ჰქონოდადეს ხელთ და გოგო გადალობებოდეს საძულველი, მაგრამ მაინც უსიკვდილოდ მისადწევი უკანასკნელი თეთრ ხაზისკენ მიმსრბოლავს. ასე მიაცხრა და მათი სხეულები ერთიმეორეს შეეტაკა, რადგან გოგოს გვერდზე გადგომაც არ უფიქრია, წინააღმდეგობის გაწევა კი არა. თითქოს უსიცოცხლო, ნებაშიშვებულ გოცებას შეეპყრო ერთი წუთით, და იდგა მოსული, უძრავი, თითქმის ლებოუვის სიმაღლე, მასზე თვალმიცივებული, - ეს სხეული, მუდამ რომ შეუმოსელი იყო თითქოს და თავადაც ამის ვერმცნობელი პრიაპულ ქაოსად რომ აქცევდა იმას, რისადმიც მთელი ცხოვრების შეწირვის უფლება კაცს სამწლიანი მსხვერპლის, მოთმინების, თვითგვემისა და საკუთარ დაუურვებელ სისხლთან მუდმივი კვეთების ფასად მოეპოვებინა, უძალო და მედინი სხეული, თითქოს რძე ყოფილიყოს, რაღაც სასწაულით რომ არ იღვრებოდა და ფორმას ინარჩუნებდა.

მერე ეს სხეული უცებ ერთიანად დაიძაბა შმაგი და უტყვი წინააღმდეგობისათვის, მაგრამ ახლაც კი კაცმა მასში ვერც შიში იგრძნო, ვერც თუნდ გულისწყრომა, არამედ გაკვირვება და წყენა მხოლოდ. გოგო ღონიერი იყო. ამას წინასწარაც ხვდებოდა. ეს უნდოდა, ელოდა ამას. შმაგად იყვნენ ურთიერთს ჩაჭიდებულნი. კაცი სულ იღიმოდა და ჩურჩულებდა.

- ასე, - ჩურჩულებდა. - მებრძოლე, მებრძოლე. აი, ქალი და კაცი იბრძვიან. სიძულვილი უნდა მოიკლას, ოღონდ ისე, რომ აწ და მარადის საეჭვო აღარ იყოს, ვინაა მოკლული. ისე რომ მკვდრებსაც არ ჰქონდეთ მოსვენება სამარეში, აწ და მარადის ისინი ერთად არიან იქ, და იმ ორს აღარასოდეს ექნება მოსვენება არც ერთად და არც ცალ-ცალკე, ვიდრე ცოცხალნი არიან.

ძალიან მაგრად არ შემოხვევია, რათა უკეთ ეგრძნო ძვლებისა და კუნთების შმაგი წინააღმდეგობა, ოღონდ არც იმის საშუალებას აძლევდა, სახეში სწვდომოდა. გოგოს ხმაც არ დასცდენია, თუმცა მისი ძმა, რომელიც არასოდეს იგვიანებდა, ახლა უკვე ზედ კარს შეიძლებოდა ყოფილიყო მომდგარი. ლებოუვი ამაზე არ ფიქრობდა. რომც ეფიქრა, ალბათ, სულერთი იქნებოდა მისთვის. არც ძალიან მაგრად ჰყავდა ჩაჭერილი და ისევ ისე მოლიმარი ლათინურ და ბერძნულ ლექსთა ნაწყვეტებსა და ამერიკულ ბილწისტიყვაობას ჩასჩურჩულებდა მონაცვლეობით. ანაზდად გოგომ ცალი ხელის განთავისუფლება მოახერხა და იდაყვი ამოჰკრა ნიკაპქვემ. კაცი შეტორტმანდა და, ჯერ გამართულიც არ იყო, იმან მეორე ხელით მძიმე სილა გააწნა. კაცი უკან გადაქანდა, პირდაპირ სკამს მიაწყდა, გადაყირავდა და სკამიც თან მიიყოლა. გოგო თავს ადგა, ღრმად, ოღონდ უჭირველად სუნთქავდა, თმაც კი არ ასწეწოდა.

- გეყოფა ჩემი ბურჯგნა, - თქვა გოგომ. - ესეც უთავო მხედარია, რაღა, იქაზოდ კრეინი! (ქაზოდ კრეინი - უომინგტონ ირვინგის ნოველის „მთვლემარე ხეობის ლეგენდის“ პერსონაჟი, სოფლის მასწავლებელი, რომელსაც გამოედევნა უთავო მხედრის აჩრდილი (რედ.))

კარი რომ გაჯახუნდა და მისი ფეხის ხმა მიწყდა, ლებოუვის ჩაესმა ოქსფორდიდან მისივე ჩამოტანილი იაფფასიანი მაგიდის საათის წიკწიკი, ჩამომდგარ სიჩუმეში უჩვეულოდ ხმამაღლა რომ გაისმოდა, თითქოს საფანტი იყრებოთ თუნუქის ქილაში. ჯერ წამოდგომაც ვერ მოესწრო, რომ კარი ხელახლა გაიღო და იატაკზე ჩამჯდარი ლებოუვი უმზერდა, როგორ ჩამოიარა გოგომ მერხებს შუა.

- სადაა ჩემი... - თქვა.

იმავე წამს თვალი ჰკიდა თავის ჩანთას, იატაკიდან აიღო და გაბრუნდა. კაცს ისევ მოესმა კარის გაჯახუნება. „ესე იგი ჯერ არ უთქვამს ძმისთვის“, - გაიფიქრა. კი, იცნობდა იმის ძმას. ჯერ შინისკენ არ გაუყენებდა გოგოს, მყისვე შემოვარდებოდა, რაკი ხუთ წელიწადს უსაფუძვლოდ გაშმაგებულს თავისი ეჭვი დაუდასტურდებოდა ბოლოს და ბოლოს. ეს რაღაც მაინც იქნებოდა უკვე. თვით იმ იდუმალ სიღრმეს ვეღარ მისწვდებოდა, ცხადია, მაგრამ იმავე ხორცს ხომ მაინც დაუწყებდა რტყმევას, იმავე მხურვალესა და ცოცხალ სხეულს, მისივე სისხლის მფლობელს, - ეს პაროქსიზმი იქნებოდა, თავისებური ორგაზმი, ბოლოს, კათარზისი, - რაღაც მაინც! წამოდგა, თავის მაგიდასთან მივიდა, დაჯდა და საათი თავისკენ შემოაბრუნა (საათი მუდამ გვერდულად ედგა, რათა მოსწავლეთა გამოკითხვისას კათედრასთან მისულს შეეხედა ხოლმე), იცოდა, რა მანძილზე იყო სკოლიდან უორნერის სახლი და საკმაოდ ხშირადაც ემგზავრა ცხენით უნივერსიტეტისკენ, რათა გამოეთვალა, რამდენ ხანს მოანდომებდა ამ გზას მხედარი, თანაც აქეთობისას

ცხენსგამოაჭენებსო, გაიფიქრა. თვალით მონიშნა, რამდენზე უნდა გადაწულიყო წუთების ისარი, მერე იჯდა და უმზერდა, როგორ მიცოცავდა ის ისარი დათქმული ხაზისკენ. შემდეგ ოთახის ერთადერთი თავისუფალი ადგილი მოათვალა. მართალია, აქაც ღუმელი იდგა, სკამზე რომ აღარაფერი ითქვას. ღუმელი იქით ვერ გაიწევა, სკამი - კი. მაგრამ მაშინაც... იქნებ ეზოში სჯობდეს დახვედრა, თორემ არ დასახიჩრდეს რომელიმე. მაგრამ მერე იფიქრა - სწორედ ის მინდა ახლა, რომელიმე რომ დავსახიჩრდეთო. ამის გაფიქრება იყო და მშვიდად შეეკითხა თავის თავს: „მაინც რომელი?“ - უპასუხა: „არ ვიცი. სულერთია ჩემთვის“. ისევ ციფერბლატს დააცქერდა. მთელი საათი რომ გავიდა, მაშინაც ვერ დაეჯერებინა - უკანასკნელი, უსაშველო უბედურება დამატყდაო. „რევოლვერით ჩასაფრებული მელოდება, - გაიფიქრა. - ოღონდ სადაა? სად ჩამისაფრდა? რაღა საფარი სჭირდება?“ - ხოლო თავად უკვე ხედავდა, ხელახლა როგორ შემოდიოდა ხვალ დილას კლასში ის გოგო, აუძღვრეველი სიმშვიდით მოემართებოდა აღარც არაფრის მხსოვნელი და მოჰქონდა ცივი ტკბილი კარტოფილი, რომელსაც დასვენების დროს კართანასთან მზეზე ჩამომჯდარი შეექცეოდა, თითქოს ქალწულობადაკარგული ქალმერთი ყოფილიყო. ერთი იმათგანი, უკვდავების წყალს რომ ეწაფებიან ოლიმპოს ზეგადაფრქვეულ კალთებზე.

მაშინ წამოდგა, მოაგროვა წიგნები და ქაღალდები, რომლებიც გაკვეთილების შემდეგ საათთან ერთად თავის ლატაკ ოთახში მიჰქონდა ყოველდღე, მეორე დილით კი ისევ გამოიტანიებდა ხოლმე, მაგიდის უჯრაში შეაწყო, უჯრა ჩაკეტა და მაგიდა დინჯად გადაწმინდა ცხვირსახოცით, მერე საათი მომართა და ძველ ადგილას დადო. ექვსი წლის წინ მწვრთნელის მიერ ნაჩუქარი პალტო ლურსმანზე ეკიდა. შეხედა იმ პალტოს, დააყოვნა, მერე სწრაფად მივიდა, ჩამოხსნა, ჩაიცვა, შეიკრა კიდეც და გამოვიდა ახლა უკვე სრულიად დაცარიელებული ოთახიდან, რომელიც მაინც ერთობ მოცვეთილი და ხალხმრავალი იყო და მუდამ ასეთივედ დარჩებოდა; სადაც იმპირველივე დღიდან, როცა ძმამ ის გოგო აქ მოიყვანა, სივიწროვე იყო, კვლავაც მუდამ დიდი სივიწროვე იქნებოდა თუნდაც ერთი კაცისათვის ყველა ოთახში, სადაც კი ის გოგო მცირე ხანს დაჰყოფდა ან ერთხელ მაინც ამოისუნთქავდა.

ზღურბლს გამოსცდა თუ არა, დუქანთან სვეტზე მიბმული სისვი ცხენი დაინახა. „რაღა თქმა უნდა, - გაიფიქრა მშვიდად. - რასაკვირველია, პისტოლეტს არც თან დაატარებს და არც ბალიშქვეშ ინახავს სახლში. ცხადია. აი, სადა აქვს პისტოლეტი“. დუქნისკენ მიმავალი თავის თავს ესიტყვებოდა იმ გოგოს ძმას იქნებ მოწმეებიც სჭირდება, ისევე როგორც მეც მჭირდებაო, და სახე ტრაგიკული ჰქონდა და მშვიდი. „სწორედ ეს იქნება საბუთი! - შეჰყვირა უჩუმრად. - ისინი იმას ირწმუნებენ, რაც არასოდეს მომხდარა! ძალიან კარგი! ირწმუნონ! ამაში მაინც დავაჯერო გული, ვიცოდე მაინც, რომ ხალხმა ირწმუნა, ეს მაინც ვიცოდე! სწორედ ასე ჩარჩებათ ხსოვნაში სამუდამოდ, წარუხოცველად, რადგან სინამდვილე მხოლოდ ორმა იცის და ერთი მათგანი მკვდარი იქნება“.

ჯანლიანი დღე იდგა, ერთი იმ უქარო, გარინდულ დღეთაგანი, რომელნიც ძალზე მიმკვდარებულნი არიან საიმისოდ, რათა მოთოვოს მაინც. სოფელი ჩამკვდარიყო - ყრუდ ჩაკეტილი სამკედლო, უქმად მდგარი ბამბის საწმენდ მანქანიანი ფარდული, უამინდობით შელახული დუქანი; ერთადერთი ცხენი

იყო ცოცხალი, უძრავად გაჩერებული სისვი ცხენი. ოღონდ ისინი, რაღა თქმა უნდა, შიგნით არიან, დუქანში. ლებოუვი უკვე ხედავდა მათ – მძიმე-მძიმე ფეხსაცმელი და ჩექმები, კომბინეზონები და პარუსინის კურტაკები განურჩევლად მოგდებული ყოველგვარი ტანსაცმლის სისქეს ზემოდან მოფოფვრია, – სილიან ყუთთან ჩამომსხდარან, იქვე თითქოს ჩაცვებული ღუმელი კარგა მაგრად აცხუნებს და ჩამომდგარ სითბოს რაღაც თავისებური სუნი ახლავს, მამაკაცური სუნი, ლამის მონასტრული, უდიაცო. იგი ამ სითბოში ბნელი და უკაცრიელი სიცივიდან კი არ შეაბიჯებს, არამედ თავად სიცოცხლიდან, კართანას აივლის, ზღურბლს გადააბიჯებს და სიცოცხლეს კარს უკან დატოვებს. ცხენს რომ ჩაუარა, ცხენმა თავი ასწია და შემოხედა. „არა, შენ არა ხარ საჭირო, – უთხრა ლებოუვმა. – აქ იდექი, რომ სისხლმა არ დაგსვაროს, სისხლი დაიღვრება ახლავე“. კართანაზე ავიდა, გალერეის დაფხაჭნილი იატაკი გაიარა. დახურულ კარზე გაკრული იყო რომელიღაც პატენტისანი წამლის გაცრეცილი რეკლამა, რომელზეც გამოესახათ გულშეჯერებული, წვეროსანი, სვესვიანი კაცი, ცოლშვილიანად რომ ცხოვრობდა სადღაც ძალიან შორეულ მხარეში და ვნებათაღელვისა და სისხლიანი ღალატისთვის მიუწვდომელი რომ იყო.

მერე, უკვე კარის სახელურს რომ მიეტანა, შეჩერდა უცებ. ერთხელ – რაღა თქმა უნდა, ფეხბურთის სათამაშოდ მიემგზავრებოდა მაშინ, იმიტომ, რომ ფეხბურთის დღეების გარდა მატარებლით არც ერთხელ არ უმგზავრია, მემფისში იმდამინდელ ჩასვლას თუ არ ვიანგარიშებთ, – ერთხელ ცარიელ ბაქანზე გამოვიდა თავისი ვაგონიდან. უეცრად სადგურის კართან რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა, ლანძღვა-გინება და ყვირილი შემოესმა. კარში ზანგი გამოვარდა, თეთრკანიანი მოსდევდა. ზანგი შებრუნდა, მოიკუნტა, შემთხვევითი მაყურებელი უმალ მიმოიფანტნენ, ხოლო თეთრკანიანმა მოკლე რევოლვერიდან ესროლა ზანგს. მოაგონდა, პირქვე როგორ დაეცა მუცელზე ხელებწავლებული ზანგი, მერე უცებ გულაღმა გადმობრუნდა და, თითქოს სიგრძეში მოემატებინოს, სულ ცოტა ერთი იარდით გაიჭიმა. მისი მაგინებელი თეთრკანიანი შეკრეს და იარაღი აართვეს, ორთქლმავალმა დაუსტვინა, მატარებელი აიძრა და რკინიგზის ფორმიანმა კონდუქტორმა ხალხი გამოარღვია, გაიქცა, მაგრამ, თავის ვაგონს რომ დაეწია და საფეხურსშეახტა, მერეც სულ უკან-უკან იყურებოდა. ლებოუვს გაახსენდა, როგორ გაიკაფა გზა ფეხბურთის ილეუების უნებურად გამომყენებელმა, როგორ დახედა ზანგს, რომელიც უძრავად იწვა გულაღმა, ხელი მუცელზე დაეჭირა, თვალები დახუჭული ჰქონდა და სახე – სავსებით მშვიდი. მერე ვიღაც კაცმა, ექიმი იყო თუ მსახური, ზანგის წინ ჩაიჩოქა, შეეცადა დაეხსნა მისი ხელები. წინააღმდეგობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა – უბრალოდ, იტყოდით, გაქვავებულაო ის ხელები, რომლებსაც ექიმი თუ მსახური ექაჩებოდა. ზანგს თვალები არ გაუხელია, არც სახის მშვიდი გამომეტყველება შეცვლია. თითქოს ამბობდა: „შეხედეთ, თეთრკანიანებო, დამხვრიტეს“. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ზანგს ხელები დაუხსნეს და მას მოაგონდა, როგორ აძრობდნენ ჯემპრს, კომბინეზონს, დაძონძილ პიჯაკს, რომელიც პალტო აღმოჩნდა და არა პიჯაკი, თემოებთან რაღაც ბასრით, ალბათ სამართებლით გადაჭრილი. მის ქვეშ კიდევ ხალათი იყო და შარვალი. ქამარი შეუხსნეს და ბაქანზე გადმოვარდა მშრალი ტყვია, სისხლის წვეთიც რომ არ მოსცხებოდა. კარის სახელურს ხელი შეუშვა, პალტო გაიხადა და მკლავზე გადაიკიდა. „ასე ნაღდი მაინც იქნება“ – გაიფიქრა კარის გაღებისა და შესვლისას. თავდაპირველად ეგონა – დუქანში არავინ არისო. ღუმელი დაინახა, სილიანი

ყუთი, რომელსაც ლურსმნის პატარ-პატარა კასრები და ყირაზე დაყენებული ყუთები ჰქონდა შემოყრილი გარშემო. ახალნაფურთხის მყრალი სუნიც იყოსა. ოღონდ ღუმელთან არავინ მჯდარა და, როცა მეორე წამს იმ გოგოს ძმის მსუქანი, პირქუში და ჯავრიანი სახე დაინახა დახლოსზემთ, გულისწყრომა შემოაწვა. იფიქრა, რომ უორნერმა მოწმეები მოიშორა, განზრახ გაისტუმრა ყველა, რათა ეს უკანასკნელი გამართლებაც წაერთმია მისთვის, მისი გამარჯვების საბუთი, რომელიც აქ მოსულს სიცოცხლის ფასად უნდა მოეპოვებინა; და უცებ მიხვდა - არ მსურსო სიკვდილი, მეტიც, სიკვდილის თვით აზრსაც კი შმაგად იგერიებდა. უცბად უკუიქცა გამორიდების მნდომელი, ირგვლივ რაიმე იარაღის მძებნელი, როდესაც უორნერის სახემ კიდევ უფრო აიწია დახლის თავზე, თითქოს ნაღველივით გადაყვითლებული მთვარე ყოფილიყოს.

- რა ეშმაკები გინდათ კიდევ? - უთხრა უორნერმა. - გუშინწინ არ გითხარით, ფანჯრის მინები ჯერ არ ამოუტანიათ-მეთქი?

- მინები? - თქვა ლებოუვმა.

- ჯერჯერობით ფიცრებით ააჭედეთ, - უთხრა უორნერმა. - რა, გეგონათ საგანგებოდ ჩავიდოდი ქალაქში, თქვენ რომ ზურგში არ გიბეროთ?

მაშინ ლებოუვს გაახსენდა. საშობაო არდადეგების დროს ფანჯარას მინები ჩაუმტვრიეს და ფიცრებით ააჭედა. აღარ ახსოვდა ეს ამბავი. არც გუშინწინდელი საუბარი ახსოვდა შეპირებული მინების გამო, მის თხოვნაზე რომ აღარაფერი ითქვას - ქალაქიდან ამოატანინეთო. ახლა იდგა და იხსენებდა. ნელა გასწორდა წელში და ასე იდგა მკლავზე პალტოგადაკიდებული. ახლა ვეღარც ამჩნევდა პირქუშ, დაეჭვებულ სახეს. „ჰო, - ფიქრობდა მშვიდად. - ჰო. გასაგებია“. არაფერი უთქვამს. არც კი დავიწყებია თქმა. უბრალოდ, არ იცის, რომ ასეთი ამბის თქმა არის საჭირო. უორნერი კი ისევ ლაპარაკობდა; ეტყობა, რაღაც ეპასუხა.

- აბა, რა გინდათ?

- ლურსმანი მინდა, - მიუგო ლებოუვმა.

- აიღეთ, - სახე ისევ გაქრა დახლს იქით. - ჩაქუჩის უკან მოტანა არ დაგავიწყდეთ.

- ჩაქუჩი არ მჭირდება, - მიუგო მან, - ლურსმანი მინდა მარტო.

მისი სახლი, სადაც ექვს წელიწადს ეცხოვრა ცივ ოთახში თავისი წიგნებითა და კაშკაშა ლამპითურთ, დუქანსა და სკოლას შუა იდგა. რომ ჩაუარა, არც მიუხედავს იქითკენ. სკოლაში მიბრუნდა, კარი მიხურა და ჩაკეტა. აგურის ნატეხით კართან ლურსმანი ჩააჭედა კედელში და ზედ გასაღები დაკიდა. სკოლა ჯეფერსონის გზაზე იყო, ხოლო პალტო თან ჰქონდა წამოღებული.

თავი მეორე

იმ გაზაფხულს და გრძელ ზაფხულს, მისი სიცოცხლის მეთოთხმეტე წელს, თხუთმეტ, თექვსმეტ, ჩვიდმეწლიანი ბიჭები, მასთან ერთად სკოლაში მოსიარულენიც და არმოსიარულენიც, ისე ეხვეოდნენ გარშემო, როგორც კრაზანები დაედებთან ხოლმე მწიფე ატამს, რომელსაც ასე ძალიან ჰგავდა მისი ხორციანი და სველი ბაგე. მჭიდროდ შემორკალულ ჯგუფს ქმნიდნენ ისინი და ამ ჯგუფის ღერძი, მისი ცენტრი, იყო იულა - უშფოთველი, მარად რაღაცის მღეჭველი. მათ შორის სამი-ოთხი ტანმორჩილი გოგოც ერია, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცოდა, შემთხვევით გაეახლოებინა ისინი, თუ განზრახ, კონტრასტისთვის. მიღულები ჩანდნენ, თუმცა ყოველი მათგანი მასზე უფროსი იყო. თითქოს აკვიდანვე მისი მხლებელი ნაყოფსავსეობა სხეულის სიმრგვალით, თმისა და პირის კანის დიდმშვენიერებით იმ გოგოთა დაჩრდილვას არ დასჯერებოდა და მოცულობითაც, სიდიდითაც უქველად უნდა დაემდაბლებინა, სულაც გაექელა ისინი.

კვირაში ერთხელ მაინც იკრიბებოდნენ, ჩვეულებრივ - უფრო ხშირ-ხშირადაც, კვირადღეობით დილითვე ხვდებოდნენ ერთმანეთს ეკლესიაში და ჩამოსხდებოდნენ ხოლმე ორ სკამზე, რომლებიც მრევლისა და მღვდლის საერთო თანხმობით ახლა მათ სკამებად გადაქცეულიყო, თითქოს კლასი ყოფილიყო, ან კიდევ იზოლატორი. სოფლის დღესასწაულებზე კი თავს იყრიდნენ გამოცარიელებულ სკოლაში, მთელ ორ წელიწადს, ახალი მასწავლებლის მოსვლამდე უქმად რომ იყო დარჩენილი. მუდამ ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ, დასაწყვილებელ თამაშში მხოლოდ ერთიმეორეს ირჩევდნენ. ბიჭები ცეტნი, უჯიათნი და ხმაურის მოყვარულნი იყვნენ. გეგონებოდათ სადმე აფრიკაში ან ჩინეთში მოხვედრილი მასონები იკრიბებინაო ყოველკვირა. წასვლითაც ერთად მიდიოდნენ ხოლმე, მჭიდროდ შეჯგუფებულნი ხმაურით მიუყვებოდნენ შარას მთვარის თუ ვარსკვლავების შუქზე, რათა იულა მამისეული სახლის ჭიშკრამდე მიეცილებინათ და მერე დაშლილიყვნენ. არავინ იცოდა, ეძებდა თუ არა რომელიმე ბიჭი შემთხვევას მარტოს მიეცილებინა სახლამდე, რადგან არავის უნახავს, რომ იულა საიდანმე მარტო დაბრუნებულიყო ან მარტო წასულიყო სადმე, ისიც ქვეითად, თუკი უმცირესი შესაძლებლობა მაინც მოიძებნებოდა ამის თავიდან ასაცილებლად.

კიდევ მაგალობელთა გუნდის ვარჯიშზე, ნათლობასა თუ პიკნიკზე შეიყრებოდნენ ხოლმე ისინი. იმ წელიწადს არჩევნები უნდა ყოფილიყო და ბამბის დათესვისა და მიწის შემოყრის შემდეგ მაგალობელთა გუნდი ვარჯიშობდა ხშირად, ყოველი თვის პირველ კვირადღეს ნათლობები იმართებოდა და წინასწარჩვენო პიკნიკებიც ეწყობოდა. ზედიზედ მრავალი კვირის მანძილზე შეიძლებოდა გენახათ სხვა ეტლებს შორის ჩაყენებული უორნერის ეტლი სოფლის ეკლესიასთან ან ტყის პირას სადმე, სადაც ხის გრძელ-გრძელ მაგიდებზე ქალები უხვად აწყობდნენ მთელი კვირის სამყოფ ცივ საუზმეულს, მამაკაცები ფიცარნაგებთან იდგნენ და უსმენდნენ შტატის სენატსა და კონგრესში საოლქო თანამდებობათა კანდიდატებს, ახალგაზრდები კი ჯგუფ-ჯგუფად თუ წყვილ-წყვილად ტყეში დაეხეტებოდნენ, ან კიდევ, თუკი სადმე მყუდრო კუნჭულში ქალიშვილის შეტყუებას მოახერხებდნენ,

უხერხულად, უხეშად ეარშიყებოდნენ. აცდუნებდნენ. ის გოგო ორატორებს არ უსმენდა. სუფრას არ აწყობდა, არც მღეროდა. ორ, სამ ან ოთხ მასზე ტანმორჩილ გოგოსთან ერთად უბრალოდ იჯდა ხოლმე მოხმაურე გუნდით გარშემორტყმული მისი ბირთვი, ცენტრი, შუაგული, სწორედ ისე, როგორც შარშან იცოდა სკოლაში მოწყობილ სადამოებზე, ჩასახვის, დედობის გამაბრუებელ სიტკბოებად იღვენთებოდა, ოღონდ ხელსაც არავის დააკარებინებდა, ამ ლალსა და მაცდუნებელ გარემოშიც კი, რომლითაც სუნთქავდა და რომელშიც იძვროდა (ან, უკეთ, უძრავად იჯდა), იმდენს ახერხებდა, შეულახველი უბიწოება შეენარჩუნებინა. თითქოს სცოდნოდეს თავისი საბედოს თუ სახელი და გარეგნობა არა, ყოველ შემთხვევაში ის წუთი, ის წამი, რომლისთვისაც იყო შექმნილი, და ამ წუთის მომლოდინე ყოფილიყოს.

კიდევ შინაურობაშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს, გოგოებთან. ამ შეხვედრისთვის, ცხადია, წინასწარ მოილაპარაკებდნენ ხოლმე, თანაც ამ შეხვედრებს, რასაკვირველია, სხვა გოგოები აწყობდნენ, მაგრამ მან თუმცა კი იცოდა – ბიჭების მოსაზიდად მპატიჟებენო, არ იმჩნევდა ამ ამბავს. ღამეს მეგობარ გოგოებთან ათევდა, ზოგჯერ ორ-სამ დღესაც რჩებოდა სტუმრად. სადამ-სადამოობით საცეკვაოდ წასვლის ნებას არ რთავდნენ, არც თავის სკოლაში გამართულ ცეკვებზე და არც მეზობელ სკოლებსა თუ დუქნებში. ამის თაობაზე კრინტსაც არ სძრავდა: უფრო სწორად, საცეკვაოდ სიარული ძმამ მანამდე აუკრძალა სასტიკად, ვიდრე ვისმე აზრად მოუვიდოდა – შესაძლოა ითხოვოსო იქ წასვლა. გარნა მეგობარ გოგოებთან ყოფნას ძმა არ უშლიდა. ის კი არა, თავადვე მიჰყავდა ცხენით და მერე უკან მოამგზავრებდა, ისე როგორც სკოლაში დაატარებდა წინათ, იმავე მიზეზის გამო, რა მიზეზითაც სკოლიდან მარტო დაბრუნებას უკრძალავდა. ისევ ისე თუბთუხებდა ბრაზით და მძულვარებით თავისი ეჭვის სიმართლეში ფანატიკურად დარწმუნებული, ასე გადიოდა მრავალ მილს. გოგოს კიდევ ძველებურად ეჭირა მუშამბის ჩანთა, რომელშიც დედამისის აჩემებისამებრ ღამის პერანგი და კბილისჯაგრისი ჰქონდა ჩადებული, იმავე ხელით ეჭიდებოდა მისი კომბინეზონის აჭიმს, და მის ზურგს რბილი, ღამის რძედ დადენილი სხეული ეღვენთებოდა. გაუწყნარებელი ღეჭვის ხმაც ჩაესმოდა. ბოლოს მასპინძელთა სახლის წინ ცხენს შეაჩერებდა და შეულრენდა:

- მორჩი მაგ ოხერი კარტოფილის ღეჭვას და ჩამოდი ახლა, სამუშაო მაქვს!

სექტემბრის დამდეგს ჯეფერსონში ყოველწლიური საოლქო ბაზრობა მოეწყო. იულა მშობლებს გაჰყვა ქალაქში და ოთხ დღეს სასტუმროში ცხოვრობდა. ყველა ბიჭი და სამივე გოგო იქ დაუხვდნენ. ვიდრე მამამისი საქონელს და ყოველგვარ სამიწათმოქმედო იარაღს ათვალიერებდა, დედამისი კი მურაბების, მწნილებისა და ნამცხვრების გამომფენელ ქალთა შორის ტრიალებდა, იულა მთელი დღეები დაეხეტებოდა ტირიდან საქანელებამდე და საქანელებიდან ესტრადამდე. იგივე კაბა ეცვა, შარშან რომ ატარებდა სკოლაში, ოღონდ კაბას კალთები ჰქონდა გამოშვებული, გარს უტიფარ ყმაწვილთა ამაღა ერტყა და გაუწყნარებლად იღეჭებოდა, ან კიდევ ჩამოუხტომლად დაქანაობდა კარუსელის ცხენზე და ოლიმპიელ ქალღმერთისეული ფეხები ღამის ბარდაყებამდე უშიშვლდებოდა.

მეთხოვთმეტე წელიწადში რომ გადადგა, უკვე ჭაბუკები ეხვეოდნენ გარს. ტანით ასაკოვან მამაკაცებს გაუტოლდებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, მუშაობაში მამაკაცებს ტოლს არ უდებდნენ ეს თვრამეტ, ცხრამეტ, ოცწლიანი ჭაბუკები, რომელთაც იმ დროისა და იმ მხარის ჩვეულების თანახმად, ცოლის შერთვაზე უნდა ეფიქრათ და ამის გამო მაინც უნდა მიექციათ ყურადღება სხვა ქალიშვილებისთვის. მაგრამ ისინი ცოლის შერთვაზე არ ფიქრობდნენ. ათზე მეტნი იყვნენ ისინი, ეს შეღერებული ბიჭები, რომელნიც იმ მეორე გაზაფხულს, რომელიღაც წუთს, რომელიღაც წამს, მისი ძმა ვერც კი გეტყოდათ - დანამდვილებით როდის მოხდა ეს ამბავი, გარეულ ხართა გახლებულ ჯოგად შეიჭრნენ მის უმფოთველ ორბიტაში და უმოწყალოდ მიფანტ-მოფანტეს წინა ზაფხულს მისი გარემომცველი ყმაწვილები. მისი ძმის ბედად, ამ წელიწადს პიკნიკი ისე ხშირად აღარ ეწყობოდა, როგორც არჩევნების წინ. ახლა ჯოდი მთელი ოჯახითურთ ეტლით მგზავრობდა ხოლმე. პირქუში იყო, ბრაზით მოთუხთუხე, ცხელი, სრული კოსტიუმით, უსაყელოო გახამებული ხალათით მოსილი, და, თითქოს უნდობელ გაკვირვებას შეეპყრას, აღარც კი უღრენდა ხოლმე. იმდენ ხანს შეუჩნდა მისის უორნერს, ვიდრე ამან ქალიშვილი არ აიძულა კორსეტი ეტარებინა, და, როცა კი სახლს გარეთ დაინახავდა თავის დას, მარტო იქნებოდა თუ ხალხში, ხელის მოსმით ამოწმებდა - კორსეტი თუ აცვიაო.

მომღერალთა გუნდს თუ ნათლობებს ჯოდი აღარ ესწრებოდა, ოღონდ მშობლებს კი ლამის ძალად გაისტუმრებდა ხოლმე. ასე რომ, ახალგაზრდები კვირადღეობით თუ იგრძნობდნენ მცირედ თავისუფლებას, ყველანი ერთად გამოცხადდებოდნენ ეკლესიასთან, ცხენებსა თუ ჯორებზე ამხედრებულნი (ის ცხოველები წინადღეს გამოეხსნათ გუთნიდან და სახვალიოდ გამთენიისას ისევ გუთანში უნდა შეეხათ), და უორნერის ეტლს ელოდებოდნენ. აქ თუ მოჰკრავდნენ თვალს იუღას შარშანდელი მეგობარი ყმაწვილები, - ვიდრე ეტლიდან ეკლესიის კარს მიატანდა შებოჭილად, მოუმგვანებლად მავალი, კორსეტით და ბავშვის დაგრძელებული კაბით მოსილი, წამით გაკრთებოდა და იმ ჭაბუკების მზორგავ გროში დაინთქებოდა, რომლებსაც მისი თავი წაერთმიათ ამათთვის. ხოლო კიდევ ერთი წლის მერე კვირადღეობით სახლს უკვე ნამდვილი გამოწვეპილი კავალერი მოადგება ხოლმე ლაქწასმული, კრიალა ეტლით, რომელშიც სალუქი უღაყი თუ ფაშატი იქნება შებმული, და ის კავალერი ამ ჭაბუკებს დაახვეინებს უკან. გარნა ეს ერთი წლის მერე იქნება მხოლოდ; მანამდე კი მის გარშემო ნამდვილი რიარიას, რომელსაც მაინც აოკებს წესიერებისა და კეთილგონიერების ფარგლები, ტაძრისა და კვირადღის სიწმინდე, ეს არის მოთოკილი გულისთქმა, გეგონებათ, ძაღლების ხროვა ასდევნებიაო ჯერაც სრულიად გამოუცდელსა და აზრზე მოუსვლელ ძუკნას. დაწალიკებით შემწკრივდებოდნენ ეკლესიაში და ჩამოსხდებოდნენ ხოლმე უკანა მერხზე, საიდანაც მშობლებისა და ძმის გვერდით მისი თაფლივით ოქროსფერი, დახრილი თავი ჩანდა.

ეკლესიიდან მისი ძმა სადღაც მიემგზავრებოდა, გულის გადასაყოლებლადო, - ასე ითქმოდა, და მთელ გრძელსა და თვლემამორეულ დღეს უორნერის მესერთან აღვირჩაბმული ჯორები იყო მიბმული. მათი პატრონები კი ვერანდაზე ისხდნენ, ერთიმეორის ჯიუტად მოთვალთვალენი, ხეპრენი, მყვირალანი, გამოთაყვანებულნი, გულმოსულნი - ერთიმეორეზე კი არა, თვითონ იმ გოგოზე, რომლისთვისაც, ეტყობა, სულერთი იყო მათი იქ ყოფნა-არყოფნა, ეტყობა, არც კი იცოდა, ისინი ერთიმეორის ჯიბრზე რომ

არ იძროდნენ ადგილიდან. ასაკოვანი გამვლელი ხედავდნენ მათ: ექვსი კაცი, ღია ფერის საკვირაო ხალათით მოსილი, მზით გარუჯულ, გამოპარსულ კისრებს ზემოთ დაპომადებული თმა, გაკრიალებული ფეხსაცმელი, უხეში, ლიტონი სახეები და თვალები, რომლებშიც აღბეჭდილია ხსოვნა ყანაში ილაჯგამწყვეტი მუშაობის წარსული კვირისა და ფიქრი მომავალი, ასეთივე მძიმე დღეებისა; და მათ შორის ქალიშვილი, აქაც რომ ცენტრად, შუაგულად რჩებოდა – სხეული, ბავშვის კაბა რომ ევიწროებოდა, თითქოს ღამეულ წარღვნას სამოთხიდან გამოეტაცოს და გამვლელებს რაც კი ხელში მოჰყვათ, იმით დაეფაროთ ეს სხეული, ხოლო მას არც კი გაღვიძებოდა. ისე ისხდნენ, გეგონებოდათ ხელფეხშეკრულნი არიანო, ისხდნენ აჭინჭყლებულნი, აბორგებულნი, დროის უქმად გამცდენელნი და ამის გამოც გულზე გამსკდარნი; ამასობაში ჩრდილებს სიგრძე ემატებოდა, ბაყაყები და თხიწველიები თავიანთ საწყალობელ მოძახილს მოჰყვებოდნენ და წყაროს თავზე ციციანთელები იწყებდნენ ფრენას. მერე ენად გაკრეფილი მისის უორნერი გამოფაცურდებოდა და ნაყროვანი სადილის ცივ-ცივ ნარჩენთა წასალუკმად ყველას ერთად წაასხამდალამძის ქვეშ გაწყობილი სუფრისკენ, სადაც ქინქლი ღრუბელივით ირეოდა, და აქ კი მოტყდებოდნენ ხოლმე. წასვლითაც ერთად მიდიოდნენ, ბოღმა ახრჩობდათ, მაინც ზრდილობას არ გადაუხვევდნენ, თავიანთ მოთმინე ჯორებსა და ცხენებზე ამხედრდებოდნენ და უსიტყვო შეთანხმებისამებრ შმაგად გაქროლდებოდნენ უორნერის სახლიდან ნახევარ მილზე ერთი წყაროსპირა ადგილისაკენ. აქ დაქვეითდებოდნენ, ჯორ-ცხენებს მიაბამდნენ და ჩუმსა და სასტიკ მუშტიკრივს გააჩაღებდნენ. ამის მომღველნი წყაროს წყლით სისხლს ჩამოიბანდნენ, ისევ ამხედრდებოდნენ და შინისკენ წავიდ-წამოვიდოდნენ თითებგადატყაულნი, ტუჩებდახეთქილნი და თვალებამოლურჯებულნი, დროებით მაინც გადარჩენილნი ჯავრს, ბოღმასა და გულისთქმას.

მესამე ზაფხულს გაქუცული საყანე ჯორები ფეხმარდმა ცხენებმა და ეტლებმა შეცვალეს. ახლა უკვე ეს ჭაბუკები, მის მიერ ერთ წელიწადში უკან მოტოვებულნი და გულიდან ამოღებულნი, კვირადღეობით დილიდანვე ელოდებოდნენ ხოლმე ეკლესიის გაღვანთან, რათა ამათაც მწარე უილაჯობით ექვრიტათ, თუ როგორ აცლიდნენ ხელიდან ძველ უფლებებს, – ემზირათ ლაქწასმული კრიალა ეტლისთვის, მცირედი მტვრით რომ შეფიფქულიყო, სპილენძისმოსართავიანი, მოკაზმული ფაშატისა თუ ულაყისათვის, ამ საუცხოო ავლადიდების მფლობელისთვის, იმ კაცისთვის, ვინც მუდამ თვითონვე იყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, ვისაც უთენია არავინ წამოახტუნებდა სხვენზე გამართული საწოლიდან, ძალდი რომ არ გაიგდებოდა გარეთ, ისეთ ამინდში, რათა სხვისი ძროხები მოეწველა ან სხვისი მიწა ეჩიჩქნა. გვერდით ის ქალიშვილი უჯდა, შარშან რომ რამდენადმე მათ ეკუთვნოდა და ახლა უკან რომ მოეტოვებინა ისინი, წასულიყო შარშანდელი ზაფხულივით მოუბრუნებლად. ბოლოს ესწავლა ისე სიარული, თითქოს არავითარი კორსეტი არ სცმოდა აბრეშუმის კაბისქვეშ, რომელშიც ოცი წლის ქალიშვილივით ჩაცმულ თექვსმეტი წლის გოგოს კი არ ჰგავდა, არამედ ოცდაათს მიტანებულ ქალს, რომელსაც თავისი თექვსმეტი წლის დაიკოს კაბა ჩაუცვამს.

გაზაფხულის ერთ საღამოს, უფრო სწორად – მთელ დღეს საღამომდე ოთხი ეტლი იდგა უორნერის სახლთან. მეოთხე, ნაქირავები ეტლი ერთ მოვაჭრეს ეკუთვნოდა. აქ შემთხვევით მოხვედრილიყო, გზა დაბნეოდა და თავისი

დანჯდრეული, ჯეფერსონს ნაქირავები ორთვალათი ფრანგისხევისკენ გადმოეხვია იმის არმცოდნეს, რომ აქვე ახლოს დუქანი დაუხვდებოდა. დუქანს რომ თვალი მოატანა, გაჩერდა და შეეცადა ნოქრისთვის - სნოუპსისთვის თავისი საქონელი მიესაღებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახალგაზრდა კაცი იყო, ქალაქელის იერის მქონე, ქალაქელის შესაფერისად თავდაჯერებული და აბეზარი. გალერეის მოცლილ ბიჭებს უცებ დასცინცლა - ვინ იყო და სად ცხოვრობდა დუქნის პატრონი, უორნერის სახლს მიადგა, რასაკვირველია, დაუკაკუნა და შინ შეიწვიეს, ან იქნებ არც შეუწვევიათ - მაშინ მეტი ვერაფერი შეიტყვეს ამ ამბისა. ორი კვირის მერე იმავე ორთვალათი ამოიარა, ოღონდ ამჯერად რაიმეს გასაღება აღარც უცდია; შემდეგში ყველამ შეიტყო - უორნერებისას უვახშმიაო. ეს სამშაბათს მოხდა, ხოლო პარასკევს ისევ გამოჩნდა. ამგზობაზე საუკეთესო ეტლით იყო, როგორც შოვნაც კი ჯეფერსონში შეიძლებოდა ქირით. თავად მას ჰალსტუხი კი არ ეკეთა მხოლოდ, ფრანგისხეველთაგან მანამდე უნახავი ფლანელის ქათქათა შარვალიც ეცვა. თუმცა შემდეგში აღარავის უნახავს ის შარვალი, ფრანგისხევეში მაინცდამაინც არ დაუხანებია. მისმა მფლობელმა უორნერების სახლში ივახშმა, იმავე საღამოს მათი ქალიშვილი სკოლაში წაიყვანა საცეკვაოდ, იქიდან რვა მილის სიშორეზე და მერე თუ გინდა მიწას ჩაეყლაპოს. ქალიშვილი სხვა ვიღაცამ მოჰგვარა უკან უორნერებს. მეორე დღე რომ გათენდა, ნაქირავები ეტლი მეჯინიბემ ჯეფერსონის თავლის ჭიშკართან ნახა, და იმავე დღეს სადგურის ღამის მორიგე ჰყვებოდა - ვიღაც დაფეთებულმა და გვარიანად ნაბეგვმა კაცმა, ნაღების ნაყინისფერ შემოფხრეწილ შარვლიანმა, დილის პირველ მატარებელზე ბილეთი იყიდაო. სამხრეთისკენ მიმავალი მატარებელი იყო, თუმცა იცოდნენ, რომ ის მოვაჭრე მემფისში სახლობდა, მერე კი ისიც შეიტყვეს - ცოლ-შვილი ჰყოლიაო, მაგრამ ამ ამბავთან ფრანგისხევეში ვის რა ესაქმებოდა.

ასე რომ, სამნი დარჩნენ. მუდამ მასთან იყვნენ, ზუსტი რიგით მონაცვლეობდნენ - კვირის კვირობამდე, შარშანდელი ბანკროტები კი ეკლესიასთან ყურყუტებდნენ, რათა დაენახათ, როგორ ჩამოსვამდა მას ეტლიდან, ვისიც იღბალი იყო იმ დღეს. ნაწირვებსაც ელოდებოდნენ, რათა თვალი მოეტანებინათ, როგორ მოუშიშვლდებოდა ფეხი ხელახლა ეტლში ჩაჯდომისას. ან კიდევ სადმე გზაზე ჩაუსაფრდებოდნენ და უცებ ჯგროდ გამოშლიგინდებოდნენ ბუჩქებიდან, ეტლი რომ ჩაუქროლებდათ ხოლმე, და მახრჩობელა მტვრის ბოლქვებიდან უწმაწურ სიტყვებს მიაყოლებდნენ უკან გულაჯევრიანად. მერე, საღამოჟამს, თითო-თითოდ, ორ-ორად თუ სამ-სამად უორნერის სახლს ჩაუვლიდნენ და თვალის კიდეს შეავლებდნენ მესერთან მიბმულ ცხენს, ეტლს, ჰამაკში მთვლემარე ბილ უორნერს, სიცხის დასაფარავად ჩვეულებრივ დაგმანულ დარაბებს სასტუმრო ოთახისას. სიბნელეში მიიმალებოდნენ ხოლმე, ხშირად თეთრი ფერის შინნახადი ვისკის დოქიანად, სახლს, სკოლას თუ დუქანს შემორტყმული ნათელი წრის ზედ კიდესთან, განათებულ კარებსა და ფანჯრებში კი შეუწყობელი ვიოლინოების წრიპინისა და ზუზუნის ხმაზე მოცეკვავე წყვილთა სილუეტები მიმოქროდნენ. ერთხელ მთვარის შუქდაფრქვეულ გზასთან ჩრდილში ჩაუსაფრდნენ და ეტლს დაუხვდნენ შემზარავი ღრიალით, რომლისგანაც ფაშატი ყალყზე შედგა და გავარდა, ხოლომხედარი წამოიჭრა, ამათ მათრახი გადაუჭირა აქეთ თუ იქით და ახარხარდა, რა დაინახა, როგორ ფიცხლად მიიფანტ-მოიფანტნენ დარტყმის ამრიდებელნი. ჰო, ახლა უკვე მისი ძმა კი არა, ესენი, შარშანდელ ზაფხულს სანაგვეზე მოსროლილნი ხვდებოდნენ, ყოველ

შემთხვევაში, დაჯერებულნი იყვნენ - სულ ერთი და იგივე ეტლი დადისო. აგრ თითქმის წელიწადი იქნებოდა, რაც ჯოდი აღარ ელოდებოდა ხოლმე შემოსასვლელ ოთახში, ვიდრე მისი და ჩაცმას მორჩებოდა და ჭიშკართან მდგარ ეტლში ჩასაჯდომად გამოვიდოდა, რათა ჯოდის ხელში ხელი ეტაცა და სწორედ ისე, თითქოს ახალნაყიდ ცხენს ზურგს უსინჯავს - უნაგირისაგან იარები ხომ არ დარჩენიაო, უხეში და მძიმე ხელით მოესინჯა, კორსეტი ეცვა თუ არა.

ეს ეტლი ერთი ჭაბუკისა იყო, გვარად მაკკერონისა, რომელიც სოფლიდან თორმეტიოდე მილის სიშორეზე სახლობდა. ერთადერთი ვაჟიშვილი გახლდათ ქვრივის, შეძლებული მიწათმფლობელის ერთადერთი ქალისა. ის ქალი უდედოდ გაიზარდა და ცხრამეტი წლის რომ შეიქნა, პირმშვენიერ, ენამახვილ, თავდაჯერებულ და სათნო, გაურკვეველი წარსულის მქონე კაცთან ერთად გაიქცა სახლიდან. იმ არემარეზე ერთი წელი იქნებოდა ცხოვრობდა ის კაცი, თითქმის მთელ დროს იმას ახმარდა, რომ სოფლის რომელიმე დუქნის თუ თავლის უკანა ოთახში პოკერს თამაშობდა და ყოველთვის იგებდა ხოლმე, თუმცა არავის ეეჭვებოდა, რომ პატიოსნად თამაშობდა. ქალები ერთხმად ამბობდნენ - ვერაფერი ქმარი იქნებაო. კაცები იმას ამბობდნენ - თოფი თუ არ დაადირე, ისე ვისიმე ქმრობას ვერ აფიქრებინებო. თუმცა ნებითაც არავინ ჩაისიძებდა, რადგან რაღაც ისეთი ჰქონდა დაყოლილი, რაიც ღამის საუფლოსკენ ეზიდებოდა - ღამეული ჩრდილებისკენ კი არა, ამ ჩრდილთაგან დაფენილი გონის დამკარგავად კაშკაშა სინათლისკენ, უძილო ცხოვრების გარყვნილებისკენ. და მაინც ერთ ღამეს ელისონ ჰოუკი მეორე სართულის ფანჯრიდან გაიპარა. არც კიბე ჰქონიათ, არც წყალსადენი მილი იყო სადმე, არც ზეწრებისგან დაგრეხილი თოკი თუნდაც. ამბობენ, პირდაპირ გადაეშვა ფანჯრიდან და მაკკერონმა დაიჭირაო. ათ დღეს სადღაც იყვნენ გამქრალნი, მერე დაბრუნდნენ და ქათქათა კბილებით მოღიმარმა მაკკერონმა, თუმცა კი სახე სერიოზული ჰქონდა, პირდაპირ იმ ოთახს მიაშურა, სადაც აგრ ათი დღე იყო, მოხუცი ჰოუკი იჯდა გატენილი თოფით ხელში.

ყველას გასაოცრად მაკკერონი მარტო კარგი ქმარი კი არა, კარგი სიძეც აღმოჩნდა. სოფლის მეურნეობისა ბევრი არაფერი გაეგებოდა და არც ცდილა თავი ისე დაეჭირა, ვითომ გულზე მეხატებაო ეს საქმე, მაგრამ სიმამრს ზედამხედველად დაუდგა და მის განკარგულებებს მუშებს ამცნობდა ხოლმე, თუმცა დიქტოფონზე უკეთ ვერც სწვდებოდა სათქმელის აზრს. სამაგიეროდ მშვენივრად ეწყობოდა ყველას, ვინც მასავით ენამახვილი ვერ იყო და იმასაც კი აიძულებდა ხალხს, რომ მის ნათქვამს დამორჩილებოდნენ. კაცმა რომ თქვას, მოჯამაგირე ზანგები უფრო იმიტომ სცემდნენ პატივს, რომ მხიარული, თუმცაღა მერყევი ხასიათის კაცი იყო და ილბლიანი მოთამაშის სახელი ჰქონდა დაგდებული, ვიდრე მისი სიძობის და რევოლვერის მარჯვედ ხმარების გამო. შინაყუდად იქცა და პოკერსაც კი მიაწება თავი. მალე საქმე ისე შეიქნა, დაბეჯითებით ვედარავინ გეტყოდათ - იმ ორიდან რომელს მოუვიდა აზრად, საქონლით ვაჭრობა დაეწყოთ, იმას თუ მის სიმამრსო. ასე იყო თუ ისე, წელიწადსაც არ გაეგლო, რომ იმ დროისთვის უკვე მამად ქცეულმა მაკკერონმა საქონლის შესყიდვას მიჰყო ხელი, ყოველ ორ-სამ თვეში ჯოგს სადგურისკენ გაირეკავდა და იქიდან რკინიგზით მემფისში მიამგზავრებდა. ასე მიდიოდა საქმე ათ წელიწადს, მერე სიმამრი მოკვდა და მთელი ქონება შვილიშვილს უანდერძა. ამის შემდეგ მალე მაკკერონიც

უკანასკნელად გაემგზავრა რკინიგზით. ორ დღეში ერთმა მეჯოგემ ცხენი მოაჭენა და მისი ცოლი გააღვიძა. მაკკერონი მკვდარი ენახათ და მისი სიკვდილის გარემოება დაწვრილებით ველარავინ შეიტყო შემდეგ. ეტყობა, სამორინეში უნდა ესროლათ მისთვის. მისმა ცოლმა ცხრა წლის ვაჟი ზანგ მსახურებს ჩააბარა, ქმრის სხეულის ჩამოსასვენებლად უბრალო ფურგონით გაემგზავრა, ჩამოსვენა და მუხებითა და კედრებით დაფარულ გორაკზე დაკრძალა, თავის მშობელთა გვერდით. მერე იმ არემარეში ხმა დაირხა ერთი-ორი დღით - ქალმა ესროლაო. ოღონდ ეს ხმაც მალე მიწყდა. ხალხმა თქვა - აი, თურმე რას აკეთებდაო მთელი ამ ხნის განმავლობაში. საქმე ამით მოთავდა და შემორჩა მხოლოდ ლეგენდა ფულის და ძვირფასეულობისა, რომლებსაც ის კაცი ათ წელიწადს იგებდა თამაშში, მერე ღამდამობით შინ ეზიდებოდა და ცოლის დახმარებით სადღაც ღუმლის მიღში სკვამავდა თურმე.

მისი ვაჟიშვილი ჰოუკი ოცდასამი წლისა გაცილებით უფროსს ჰგავდა. უტიფარი, ლამაზი, თავდაჯერებული სახე ჰქონდა მამამისივით. მაგრამ რადაცნაირი ყოყლოჩინობაც ახლდა და ნებივრული იერი, იმდენად გულზვიადობა არა, რამდენადაც ვერმეწყენარებლის ზადი, რაიც მამამისს არ სჭირვებია. იუმორსაც მოკლებული იყო, მაინცდამაინც უხვად მომადლებული არც გულდინჯობა და, კაცმა რომ თქვას, არც ჭკუა ჰქონია, ის თვისებები, რომლებიც მამამისს კი არ აკლდა, ოღონდ სრულებით არ მოეძევებოდა იმ ადამიანს, ვისაც სახლიდან ქალიშვილის გაქცევის შემდეგ შეეძლო ათ დღეს მჯდარიყო გატენილი თოფით ხელში. ბავშვობაში ერთადერთი ამხანაგი ჰყავდა - ზანგის ბიჭი, ვიდრე ამას ათი შეუსრულდებოდა, ერთ ოთახში ეძინათ, ზანგის ბიჭი იატაკზე წვებოდა, ნამჯის ლეიბზე. ზანგის ბიჭი ერთი წლით იყო მასზე უფროსი. ერთი რომ ექვსის შეიქნა და მეორე - შვიდის, პატიოსანი მუშტი-კრივით სძლია ზანგს. მერე კი, შეთანხმებისამებრ, ზანგის ბიჭს თავისი ჯიბის ფულიდან გასამრჯელოს უხდიდა, რათა უფლება ჰქონოდა პატარა შოლტით გაეწკეპლა ხოლმე, ოღონდ ძალიან სატკენად არა.

თხუთმეტი წლისა დახურულ სამხედრო სკოლაში მიაბარა დედამისმა. თავის ასაკთან შედარებით მოწიფული, ტანადი ყმაწვილი სწრაფად ითვისებდა ყოველსავე, რაც შეიძლებოდა რამეში წასდგომოდა, და სამ წელიწადში საკმარისად ჩააბარა საგნები, რათა კოლეჯში შესვლის ნებართვა მიეღო. დედამისმა სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი ირჩია. ესეც აიბარა და მთელ წელიწადს ქალაქში ისე დაყიალობდა, განცხადებაც არ შეუტანია, მაშინ როცა დედამისს ეგონა - პირველ კურსს ამთავრებსო. მომავალ შემოდგომას შევიდა კოლეჯში, ხოლო ხუთი თვის თავზე წინადადება მისცეს უჩუმრად გასცლოდა იქაურობას, მას შემდეგ, რაც მოხდა ერთი სკანდალური ამბავი, რომელშიც უმცროსი მასწავლებლის ცოლი გახლდათ გახვეული. შინ დაბრუნდა და ორი წელიწადი დედამისის პლანტაციის მოწესრიგებას მოანდომა - დედამისი ახლა ბამბის მოშენებას მისდევდა. მისი საქმიანობა ის იყო, რომ ყოველდღე ყანაში დააჭენებდა ცხენს სამხედრო სკოლიდან გამოყოლილ საპარადო ჩექმებში გამოწყობილი. იმ არემარეში ეს პირველი საცხენოსნო ჩექმები იყო.

ხუთი თვის წინ ფრანგისხვეზე მოუხდა გავლა და იულა უორნერი იხილა. მაშინ მემფისელი მოვაჭრის ნაცვლად ერთიანად მის წინააღმდეგ აიშალნენ გაქუცულ ჯორებზე ამხედრებული შარშანდელი ოყლაყები, იმის დასაცავად აღმდგარნი, რაიც არც მათ და არც ძმას იულასას, ეტყობა, აღარ სწამდათ,

თუმცა თავიანთი სიმართლის დამტკიცება ძველი რაინდებივით მამაცურად ვეღარ მოახერხეს. ორი თუ სამი მზვერავი სადღაც უორნერების მესერთან ჩასაფრდებოდა ხოლმე და ეტლის დაძვრას ელოდებოდა, რათა თვალი მიედევნებინათ, თუ საით გაემგზავრებოდა ქალი. კვალდაკვალ გაჰყვებოდნენ ან გადაუსწრებდნენ კიდეც და ვისკის დოქის მქონებელნი ელოდებოდნენ იქ, სადაც ფეხები დასრიალებდა და ვიოლინოები წრიპინებდა. მერე ეტლს უკანვე მოაცილებდნენ სახლამდე ან თითქმის სახლამდე – გრძელი გზა მთვარიანსა თუ უმთვარო ღამეში, სადავე საფეხურთან ბუდეში ჩარჭობილი მათრახის ტარზეა დახვეული, თავის ნებაზე მიშვებული ცხენი რბილად მიბაკუნობს ხავერდოვან მტვერში, ფრთხილად ეშვება რუსკენ, ჩერდება და წყალში ჩიჩვირწყაფილი სვამს, სვამს, შეყვირება არც ესმის თითქოს, სულს უბერავს წყალს, ვარსკვლავთა გამოსახულებებს მიმოფანტავს, მერე წვეთებმოწურწურე ჩიჩვირს აიშვერს და ხელახლა წყალს მიეტანება, ისევ სვამს ან, იქნებ, ისევ სულს უბერავს, როგორც იციან ხოლმე დარწყულებულმა ცხენებმა. არც აჩუს ეტყვის ვინმე, არც სადავეს უტლამუნებს – არაფერი აიძულებს გზის განგრძობად. და დიდხანს, დიდხანს, დიდხანს დგას ასე. ერთხელ ღამით გზისპირა ჩრდილიდან თავს დაესხნენ მიმავალ ეტლს. მაგრამ მათრახის დარტყმებმა უკუაქცია ისინი, რადგან მოფიქრებული გეგმა არ ჰქონიათ, მხოლოდ გააფთრებისა და ბოდმის სტიქიურმა ტალღამ მიაგდო წინ. კიდეც ერთი კვირის შემდეგ, როცა ცხენშებმული ეტლი უორნერის ღობესთან იდგა, ისინი უცებ საზარლად აღრიალდნენ და ბნელი ვერანდის უკან ქვაბები და ტაფები აარახუნეს. მაკკერონი მაშინვე მშვიდად გამოვიდა მათკენ, ოღონდ კართანადან კი არ გამოსულა, იმ ხეებს გამოსცილდა, სადაც უორნერის ჰამაკი ეკიდა, ორსა თუ სამს სახელი დაუმახა, ზარმაცად, აუძღვრევლად შეაგინა და შესთავაზა – ორი თქვენგანი სალაპარაკოდ გზაზე გამოვიდესო. თემოსმიბჯენილ ხელში რევოლვერი დაუნახეს.

მაშინ გამაფრთხილებელი წერილი გააშანშვალეს. შეეძლოთ ქალის ძმისთვის მოეყოლათ ყველაფერი, მაგრამ ეს არ ქნეს, თანაც იმიტომ კი არა, რომ მისი ძმა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, თავად დამბეზღებლებს მიბერტყავდა. ლებოუვის არ იყოს, ეს სულს მოათქმევინებდა მხოლოდ, აღტაცებას მოჰგვრიდა მათაც. მათთვისაც, ისევე როგორც ლებოუვისთვის, ეს იგივე ცოცხალი ხორცი მაინც იქნებოდა, იგივე მღვივანი სხეული, რომელიც მათი მძვინვარე დარტყმებით დალილავდებოდა, დაწყლულდებოდა, სისხლისგან დაიცლებოდა, – მათაც, ლებოუვის არ იყოს, ახლა სწორედ ეს სწყუროდათ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად. არა, მათ არ შეეძლოთ მისი ძმისთვის მოეთხროთ ყოველივე, რადგან მაშინ მათი მძვინვარება თავს დაატყდებოდა მათი შურისგების იარაღს და არა თავად შეურაცხყოფელს მათსას; ხოლო მათ ეწადათ იმას შეჰყროდნენ პირისპირ, ვისაც მოკრივის ხელთათმანები ჩაეცვა და მათთვის საშინელი, სასიკვდილო შეურაცხყოფა მიეყენებინა. ასე რომ, გამაფრთხილებელი წერილი გააშანშვალეს, ხელი მოაწერეს და მაკკერონს გაუგზავნეს. ერთი მათგანი ღამით თორმეტი მილის სიშორეზე გაემგზავრა, დედამისის სახლისკენ, და წერილი კარზე დაჰკიდა. მეორე დღეს მაკკერონის ზანგმა, ამანაც უკვე მოწიფულ კაცად ქცეულმა, ხუთი პასუხი ჩამოარიგა და იმდენი მოახერხა, ხუთივე საპასუხოს გადაურჩა, – მართალია, თავი გასისხლიანებული კი ჰქონდა, მაგრამ ჭრილობა სახიფათო არ აღმოჩნდა.

გარნა მაკკერონი კიდევ მთელ კვირას აყრიდა თვალში ნაცარს. ესენი ცდილობდნენ, ეტლში მარტო მყოფი მოეხელთებინათ უორნერებისკენ მიმავალი თუ იქიდან გამობრუნებული. მაგრამ ცხენი ჰყავდა ძალიან ფეხმარდი, მათი ბეხრეკი საყანე ჯორები რას დაეწოდნენ, ხოლო ეტლის გაჩერება რომ ეფიქრათ, გამოცდილებით იცოდნენ – მაკკერონი ცხენით გადაქელავდა, ფეხზე წამომდგარი, დიდრონ კბილთა მხიარულადმღრჭენელი მათრახს მძვინვარედ ააშხუილებდა. გარდა ამისა, რევოლვერიც ჰქონდა და საკმაოდ ხშირად სმენოდათ მისი ამბავი, რათა გული დაეჯერებინათ – რაც ოცდაერთი წელი შეუსრულდა, უიარაღოდ აღარსად დადისო. ბოლოს, ჯერ იმ ორსაც არ გასწორებოდა, ვინც შიკრიკად გაგზავნილი ზანგი გაულახა.

ასე რომ, სახუნდარის მოწყობამ ღელეს ფონთან მოუწიათ, როცა მაკკერონი იულასთან ერთად ეტლით მოემგზავრებოდა და ცხენი წყლის დასაღვად შეჩერდა. მერე ვერავინ შეიტყო რიგიანად, რაც იქ მომხდარიყო. ფონის სიახლოვეს სახლი იდგა, მაგრამ ამჯერად არც ყვირილი ყოფილა, არც ღრიალი, ოღონდ დილით ხუთიდან ოთხ ბიჭს ჩამტვრეული კბილები, დაბეგვილი ხორცი და ჭრილობები აღმოაჩნდა. მეხუთე, ზანგის გამლახველთაგან ერთ-ერთი რომ იყო, ჯერაც უგრძნობლად იწვა ახლომდებარე სახლში. ვიღაცამ მათრახი იპოვა მიწაზე, ზედ სისხლი შეხმობოდა და თმა მისწებებოდა. მრავალი წლის შემდეგლა მოჰყვა ერთი მათგანი – მათრახს თავად ის გოგო ხმარობდაო, ეტლიდან გადმოხტა და სამი ჩვენგანი მათრახით გაგვაქცია, ვიდრე მისი გულის მურაზი რევოლვერის ტარით დანარჩენი ორის იარაღს – ფურგონის მუხრუჭსა და საჯიგველს იგერიებდაო. ეს იყო და ეს, მეტი ვერაფერი შეიტყვეს, თანაც ეტლს მაინცდამაინც არ დაჰგვიანებია უორნერების სახლამდე მისვლა.

სამზარეულოში მჯდარსა და ატმიანი ცივი ღვეზლის მიმრთმევ ღამის პერანგის ამარა ბილ უორნერს ესმოდა, ჭიშკარს რომ გამოსცდნენ და ვერანდაზე ამოვიდნენ ჩუმად, ჩურჩულით მოსაუბრენი, როგორც საერთოდ ეჩურჩულებოდა ხოლმე იულა ყმაწვილკაცებს – მამამისის აზრით, რაღაც უმნიშვნელო წვრილმანების გამო, მერე წინა ოთახს მოატანეს, ბოლოს – სამზარეულოს კარს. უორნერმა თავი ასწია და დაინახა უტიფარი, ლამაზი პირსახე, მჭიდრო კბილთა მოსალამე კრეჭა, რაც ღიმილად შეიძლებოდა მიგეჩნიათ, თუმცა მაინცდამაინც მოკრძალებულ ღიმილად კი არა, ჩასივებული თვალი, ნიკაპზე გრძელი იარა და ტანის ჩასწვრივ მათრახივით მოკონწიალე ხელი.

- რაღაცას დაეტაკა, - უთხრა ქალიშვილმა.

- ვხედავ, - მიუგო უორნერმა. - ოღონდ, ვატყობ, იმ რაღაცასაც გვარიანად უთხლებია.

- დასაბანია. პირსახოცი იქ არის, ზემოთ, - თქვა ქალმა და შეტრიალდა; სამზარეულოში აღარ შესულა, სინათლის შუქზე. - ახლავე ჩამოვალ.

უორნერს ესმოდა, როგორ ავიდა იულა თავისთან და როგორ მიდი-მოდიოდა ზედა ოთახში, მაგრამ ყურადღება აღარ მიუქცევია მისთვის. მაკკერონს მიხედა და შენიშნა, რომ მისი კბილთა კრეჭა უფრო ღრჭენა იყო, ვიდრე

ლიმილი, შუბლზე ოფლი გამოსხმოდა. მერე აღარც ამ ამბისთვის მიუქცევია ყურადღება.

- აბა, რაღაცას დაეტაკე, არა? - უთხრა. - პიჯაკის გახდა შეგიძლია?

- შემიძლია, - უპასუხა იმან. - ცხენს მივსდევდი დასაჭერად და დავშავდი. რაღაცა შეშები იყო.

- ახია შენზე, ბედაური ცხენი საშეშეში თუ გიყენია, - უთხრა უორნერმა. - ხელი გაქვს მოტეხილი.

- ასეა, - თქვა მაკკერონმა. - თქვენ ვეტერინარი ხართ, ხომ? კაცი კიდეც ჯორისგან დიდად არ განსხვავდება.

- რაც მართალია, მართალია, - გაეპასუხა უორნერი. - ოღონდ კაცს ჭკუა აქვს ნაკლები.

მისი ქალიშვილი შემოვიდა, უორნერს ესმოდა, კიბეზე როგორ ჩამოდიოდა, ოღონდ ის აღარ შეუმჩნევია, რომ უკვე სხვა კაბა ჩაიცვა.

- ჩემი ვისკიანი დოქი მომიტანე, - უთხრა ქალიშვილს.

დოქი საწოლის ქვეშ ედგა მუდამ. იულა ზევით ავიდა და ჩამოუტანა. ახლა მაკკერონი იჯდა და მხრამდე გაშიშვლებული ხელი სამზარეულოს მაგიდაზე ედო. სკამის საზურგეზე გადაწოლილს ერთხელ წაუვიდა გული, ოღონდ ცოტა ხნით. მერე კი კბილს კბილზე აჭერდა მხოლოდ, ოფლად იღვრებოდა, ვიდრე უორნერმა ყოველივე არ მოიმოქმედა, რაც საჭირო იყო.

- ერთი ყლუპი კიდეც დააღვივინე და წადი, სემი გააღვიძე, სახლში წაიყვანოს, - უთხრა უორნერმა.

მაგრამ მაკკერონს არც ის უნდოდა, რომ შინ სხვას წაეყვანა, და არც ის, რომ ლოგინში ჩაეწვინათ. მესამედ მოსვა დოქიდან და ქალიშვილთან ერთად ვერანდაზე გავიდა. უორნერმა ღვეზელი მოათავა, დო დააყოლა, დოქი აიღო და ზემოთ გაემართა დასაძინებლად.

იმ საღამოს არავითარი წინათგრძნობა არ გაჭაჭანებიათ არც მამამისს და არც თავად ძმას მისას, რომელიც აგერ ხუთი თუ ექვსი წელიწადი იქნებოდა, ერთი რამით ითქვამდა სულს, იმ ერთი აზრით, ეჭვის შედეგად აღძრულით კი არა, პირდაპირ სარწმუნოდ ქცეულით, მით უფრო შეუცვლელით, რომ, რამდენსაც არ ცდილობდა, დამტკიცებით ვერაფერი დაემტკიცებინა. უორნერმა თვითონაც მოსვა ვისკი, დოქი საწოლის ქვეშ შეაჩოჩა, სადაც მტვერში მოხაზული წრე აგერ უკვე მრავალი წელი იყო მის ადგილს მიანიშნებდა. მერე ჩვეულებრივად მისცა თავი მშვიდსა და ბავშვურად უმფოთველ ძილს და აღარ გაუგია, როგორ აიარა მისმა ქალიშვილმა კიბე, ამჯერად უკვე საკუთარი სისხლით დასვრილი კაბის გამოსაცვლელად. ცხენშებმული ეტლი გაემგზავრა, გაქრა, თუმცა მაკკერონმა შინ მისვლამდე კიდეც დაკარგა გრძნობა. დილით კი ექიმმა დაადასტურა - გატეხილი ძვალი სწორად არის ჩასმული და არტამანიც კარგად ადევსო, მაგრამ შემდეგში ძვალმა მაინც შეიცვალა ადგილი და მისი პირები ერთიმეორეს მიებჯინა,

ასერომ, ხელახლა შეიქნა მისი ჩასმა საჭირო. გარნა უორნერმა არ უწყოდა ეს ამბავი - იმ გოგოს მამამ, სათნოდ შესახვედრმა ცბიერმა და გამჭირახმა კაცმა; თავის ლოგინში ეძინა ვისკიან დოქს ზემოთ იქიდან თორმეტ მილზე და, რა შეცდომებიც უნდა მოსვლოდა საერთოდ ქალის გულის და, კერძოდ, საკუთარი ქალიშვილის გულის შეცნობის მოსურნეს, ბოლოს და ბოლოს ერთმა რამემ შეაცდინა - ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისი გოგო არამცთუ შეეშველებოდა, შეიძლება ითქვას, თვითონვე, თავისი ხელით მიასვენებდა დაჭრილს.

ხოლო როდესაც სამი თვის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, პეწიანი ეტლები და ფეხმარდი ცხენები უორნერის მესერს მეტად აღარ მოსდგომიან, თავად ბილ უორნერმა ყველაზე გვიან შენიშნა ეს ამბავი. ეტლები თავიანთი პატრონებიანად ერთ ღამეში გაქრნენ არა მარტო ფრანგისხევიდან, საერთოდ, იმ ოლქიდანაც. თუმცა იმ სამთაგან ერთმა დანამდვილებით იცოდა, ვინც იყო დამნაშავე, ხოლო დანარჩენი ორი ორ უდანაშაულოს იცნობდა. სამივენი გაერიდნენ იქაურობას, საიდუმლოდ, მიყრუებული თემშარებით, თავიანთი ბარგი-ბარხანა უნაგირზე შემოიკრეს თუ თითო ჩემოდანს წამოავლეს ხელი, დრო რომ არ დაეკარგათ. ერთი იმის შიშით გადაიკარგა, რასაც, მისი ფიქრით, უორნერები დამართებდნენ, ორნი იმის მცოდნენი გაიძურწნენ, რომ უორნერები არაფერს დამართებდნენ. უორნერებმაო, იფიქრეს, ახლა თვითონაც იციან სანდო წყაროს - თავად იმ გოგოს მეშვეობით, რომ ჩვენ ორს არაფერი ბრალი მიგვიძღვისო. მაშასადამე, ორივეს ბორტს იქით გადაუძახებდნენ, სიცარიელეში, უსულო გუმინდელ დღეში, მწარე სინანულისა და მუდმივი ვარამის მორევში, იმ უილაჯო ყმაწვილკაცებთან ერთად, რომელნიც ამათაც ისევე სდევნიდნენ, როგორც იმას, ილბლიანს, და, კაცმა არ იცის, რის გამო, წარმატების შარავანდედითაც მოსავდნენ. იმ ილბლიანთან ერთად ლტოლვილნი იმას ესწრაფოდნენ, რომ მათთვის დაუბრალებელი ბრალით მოეპოვებინათ უკანასკნელი, განწირული ჯილდო - დამატკობელი სირცხვილი ძალადობისა, რომელიც მათ არც კი ჩაედინათ.

ასე რომ, როცა იმ არემარეში ხმა დაირხა - მაკკერონი და ის ორნი გაქრნენ და იულა უორნერს ის შეემთხვა, რასაც სხვა მის ადგილას უბედურებად მიიჩნევდაო, ეს ამბავი ყველაზე გვიან შეიტყო მამამისმა. იმ კაცმა, ვისაც ურყევად სწამდა - ქალის სიწმინდის თავად ცნებაც კი სხვა არაფერია, თუ არ ახალგაზრდა ქმართა გასაბრიყვებელი არაკიო, იმ კაცმა, ვინც ძველადაც და ახლაც გვარიან დროს ხარჯავდა, რათა საკუთარი თავისათვის თავისივე სიმართლე დაემტკიცებინა და დღემდე კავშირი ჰქონდა ერთი თავისი მოიჯარის ცოლთან, კარგა ხანია ორმოცს გადაცილებულ დედაკაცთან. პირდაპირ უთხრა ქალს - იმ ხნის აღარ ვარ, რომ, ჩემი სახლი იქნება თუ სხვისი, ღამღამობით გავწიოო ბუღობა. ამიტომ დღისით შეიყრებოდნენ ხოლმე ისინი, ქალის სახლთან ახლოს, წყაროსპირა ტევრში. ქალი ქათმის საბუდრების სამებრად გამოდიოდა ვითომ. და ამ პანის (პანი - ბერძნულ მითოლოგიაში - ჯოგების, ტყეებისა და მინდორ-ველების ღვთაება) საბრძანებელ ტყეში, როგორც მათი მოთვალთვალე თოთხმეტი წლის ბიჭი ჰყვებოდა მერე, უორნერი შლაპასაც კი არ იხდიდა. ერთი სიტყვით, უკანასკნელმა შეიტყო ყველაფერი: თავის ჰამაკში ეძინა ფეხზე გახდილს და, როცა ცოლის ძახილმა წამოახტუნა, ხეირიანად გამოფხიზლებულიც არ იყო, წინდების ამარამ, აწოწილმა ეზო გადაირბინა და წინა ოთახში შევარდა. იქ ძველ, ფრიალა კაპოტში ჩაცმულმა მისის უორნერმა ისეთი ყვირილი

შემოაგება, ზემოდან, ქალიშვილის ოთახიდან ჩამოღწეული ჯოდის ღრიალი დაფარა:

- იულა ორსულადაა! ადი ზევით და უთაქე თავში იმ გამოტვინებულს.

- რა არისო? - ჩაჰკითხა უორნერმა, ოღონდ არ შეჩერებულა. კიბეს ეცა, მისის უორნერი მას მიჰყვა, და იმ ოთახში შევარდა, საიდანაც ერთი-ორი დღე იყო მისი ქალიშვილი სადილადაც აღარ გამოდიოდა. თავად მას ამ ამბისათვის ყურადღება რომ მიექცია, იტყოდა - ალბათ კუჭი აეშალაო ღორმუცელობისგან, თექვსმეტი წელია, მაგის შიგანი ყველაფერს უძლებს, ჰოდა, ახლა აირიაო. მისი ქალიშვილი სკამზე იჯდა ფანჯარასთან, ხელოვნური აბრეშუმის ხასხასა ხალათი ეცვა, ამას წინათ ჩიკაგოდან ფოსტით გამოწერილი. ჯოდი ანჯღრევდა და უყვიროდა:

- რომელია იმ ბიჭებიდან? მითხარი, რომელია!

- ნუ გამიწყალე გული, - უთხრა ქალმა. - შეუძლოდ ვარ.

უორნერი წამითაც არ შეჩერებულა, მათ შორის ჩავარდა და ჯოდი იქით მიაგდო.

- დაანებე თავი, - უთხრა. - მოშორდი აქაურობას!

ჯოდიმ აჭარხლებული სახე მისკენ შემოაბრუნა.

- თავი დავანებო? - თქვა და ავად გაიცინა, თვალები გადმოკარკლოდა და გადათეთრებოდა ბოლმისაგან. - ეგაა საქმე! ძალიან დიდხანს გყავდათ თავმინებებული! მინდოდა გამეკეთებინა რამე. ვიცოდი, რაც გამოვიდოდა ამ ამბიდან. ხუთი წლის წინ გაგაფრთხილეთ ორივენი. გამიგონია? თქვენ უკეთ მოგეხსენებოდათ, ხომ? აჰა, ბატონო, ესეც თქვენ! ხომ ხედავთ, რაც მოხდა! ოღონდ ამას კი ავალაპარაკებ, იცოდეთ! ღმერთმანი, ავალაპარაკებ და გავიგებ, ვინ იყო. მაშინ...

- კარგი, კარგი, - უთხრა უორნერმა. - კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ისეთი?

ჯოდიმ ლამის მთელ წუთს ხმა ვეღარ ამოიღო. საზარლად გადმოკარკლა თვალები. იტყოდით, ძალისძალად იკავებს თავს, რომ არ აფეთქდეს, ადგილზევე არ გასკდესო.

- კიდევ მეკითხება - რა მოხდაო! - ამოიხრიალა ბოლოს, თითქოს ყურებს არ უჯერებდა. - მეკითხება - რა მოხდაო!

შეტრიალდა და ხელი აღმართა, თითქოს გამძვინვარებული განუდგაო ყოველივეს, უორნერს მოსწყდა და იქვე დაეტაკა დედამისს, რომელიც ის წამი იყო, კარში შემოდიოდა აღელვებულ მკერდზე ხელდაჭერილი და სულის მოთქმისთანავე აქაქანებად გამზადებული. ჯოდი ორას გირვანქას იწონიდა, მისის უორნერი, თუმცა ცოტათი იყო ხუთ ფუტზე მაღალი, - თითქმის ამდენსავე. ჯოდიმ მაინც იმდენი მოახერხა, დედამისს კარშივე გვერდი

აუქცია და ხელიდანაც დაუძვრა, ხოლო უორნერი გველთევზასავით გასხლტა მის ფეხდაფეხ.

- დაიჭირე მაგ ჩერჩეტი! - გასძახა მისის უორნერმა და ფეხდაფეხ მიჰყვა. მამა-შვილმა კიბე ჩაიგრიალა და მიასკდა პირველი სართულის ერთ ოთახს, უორნერი რომ ჯერაც თავის კაბინეტს უწოდებდა, თუმცა უკანასკნელ ორ წელიწადს აქ ნოქარს ეძინა, სნოუპსს. უორნერი ჯოდის დაეწია დიდ კაკლის ბიუროსთან (იმას ახლა ფასი არ დაედებოდა, ოღონდ უორნერმა არ იცოდა ეს ამბავი), რომელიც ჯერ კიდევ ბაბუამისს ეკუთვნოდა, - ჯოდის უჯრა გამოედო და გამხმარი ბამბის თესლების, აბზინდების, ტყვიებისა და ქაღალდების გროვაში რევოლვერს ეძებდა გამალეებული. ფანჯარაში ჩანდა, როგორ გარბოდა უკანა ეზოში თავისი ქოხისკენ თავზე წინსაფარწამომხობილი მზარეული ქალი, - ყველა ზანგის ქალი აგრე იქცევა, როცა თეთრკანიანთა შორის ჩხუბი ატყდება ხოლმე. მის უკან სემი მირბოდა, ოღონდ ნაკლები სიჩქარით, დროდადრო სახლისკენ უკუმოიხედავდა, და უორნერმა და ჯოდიმ ერთად შეასწრეს მას თვალი.

- სემ, ცხენი შეკაზმე! - იღრიალა ჯოდიმ.

- ჰეი, სემ! - უყვირა უორნერმა. ორივენი რევოლვერს ჩაფრენოდნენ, ოთხი ხელი ჩახლართულიყო უჯრაში. - არ გაბედო ცხენის ხელის ხლება! გამობრუნდი ახლავე!

წინა ოთახში მისის უორნერის მძიმე ნაბიჯების ტყავუნი გაისმა. ამათ რევოლვერი უჯრიდან ამოიტაცეს, ოღონდ ჩაჭიდებული, ჩახლართული ხელები არ შეუშვიათ, და დაინახეს, რომ მისის უორნერი კარში ჩამდგარიყო მკერდზე ხელებწავლებული, მუდამ მხიარულსა და თავდაჯერებულ სახეზე სისხლი მოსკდომოდა და ბრაზისგან მოჰქცეოდა.

- გეჭიროს მასე, ახლავე შეშის ღერს დავურთავ, - თქვა აქლომინებულმა. - ვაჩვენებ მაგას! ორივეს ვაჩვენებ! იმას მუცელი აუკიდებია, ეს კიდევ მთელი სახლის გასაგონად ღრიალებს და იგინება, როცა ის-ის იყო თავი მივდევი წასამინებლად!

- კარგი! - უთხრა უორნერმა. - მოიტა შეშის ღერი.

ქალი გავიდა. გეგონებოდათ საკუთარი მრისხანების ტალღამ გააქანაო კარიდან. უორნერმა რევოლვერი გამოგლიჯა და ჯოდი მაგიდისკენ უკუაგდო (ჯერაც ძალიან ღონიერი, დამარღვეული, თანაც საოცრად ხელსწრაფი კაცი იყო თავისი სამოცი წლის კვალობაზე, მაგრამ, რაც მთავარია, მას ცივი განსჯა არ დაეკარგა, მაშინ როცა მის ვაჟიშვილს ბრმა გულისწყრომა დაუფლებოდა), მერე კარს მიადგა, რევოლვერი წინა ოთახში მოისროლა, კარი შეიჯახუნა, გასაღებით ჩაკეტა და უკანვე მიბრუნდა ოდნავ აქლომინებული.

- რა ამოიჭერი გულში? - შეეკითხა.

- არაფერი! - იყვირა ჯოდიმ. - შენ იქნებ ფეხებზე გვიდია შენი სახელი, ოღონდ მე - არა! მე მალლა უნდა მქონდეს თავი აწეული ხალხის წინაშე და შენ როგორც გინდა, ისე ქენი!

- ჰი, - თქვა უორნერმა. - გქონდეს მერე. ისე მალა წაგივიდა მაგ თავი, რომ თასმის შესაკვრელადაც ვედარ დაიხრები.

ჯოდი აქლომინებული მისჩერებოდა.

- ღმერთმანი, - თქვა, - ამასაც რომ ვერაფერი დავაცდენინო, ვინმეს, ენა რომ ვერ შეუნახავს, მივაკვლევ. სამივეს მოვძებნი! სამივეს...

- რად გინდა მერე? ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად თუ რა? გინდა შეიტყო - რომელმა ბურჯნა და რომელმა არაო?

ჯოდის ახლაც კარგა ხნით ჩაუვარდა ენა. იდგა მაგიდასთან ვეება, ნამდვილი გადარეული ხარი, უილაჯო, გულმოკლული. უორნერების დიდების შებლაღვა კი არ სტანჯავდა, არამედ სასტიკად თაკილობდა ამ ამბავს. წინა ოთახში ისევ გაისმა ფეხშიშველი მისის უორნერის მძიმე ნაბიჯები. შეშის ნაჭერი კარს დაურთო და - ბილ, კარი გამიღო, მოაყვირა.

- ესე იგი, არაფერს იზამ? - ჰკითხა ჯოდიმ. - სულ არაფერს?

- რაღა საქნელი? - მიუგო უორნერმა. - ვის უნდა გავუსწორდეთ, შენც იცი, რომ ის შეჩვენებული კუროები ახლა ტეხასის შუაგზაზე იქნებიან. შენ თვითონ სადღა იქნებოდი, იმათ ადგილას რომ იყო? ან, თუ გინდა, მე, ჩემი ხნის კაცს სახურავებზე პორტუგალიც რომ შემეძლოს და იქ შეძრომა, სადაც მომეგუნებებოდა? ღმერთმანი, მე კი ვიცი, რომ იმათ ადგილას შენც და მეც უკვე შორს ვიქნებოდით და მათრახს არ დავზოგავდით ცხენის ასაჩქარებლად. - კარს მიადგა და გააღო, მაგრამ მისის უორნერი ისევ გულმოსულად უბარტყუნებდა შეშის ნაჭერს, ეტყობა, ვერ გაეგო, გასაღები როგორ გადატრიალდა. - ახლა თავლაში წადი და, სანამ არ დაშოშმინდები, იქ იჯექი. სემს უთხარი, ჭიყვლები დაგიძებნოს, და სათევზაოდ წადი. ჩვენმა ოჯახმა თავის მალა დაჭერა თუ უნდა იფიქროს, ეგ საქმე მე მომანდე. - კარის სახელური შეატრიალა. - ფუი ეშმაკს! რამხელა ალიაქოთი ატყდა იმის გამო, რომ ერთი გავარდნილი ძუკნა გაება ბოლოს და ბოლოს! აბა, შენ რა გეგონა - იმ ადგილიდან წყლის დაქცევის მეტს არაფერს გააკეთებდა მთელისიცოცხლე?

ეს ყოველივე შაბათს მოხდა. ხოლო ორშაბათ დილას გალერეაში მსხდომი შვიდი კაცი უმზერდა, როგორ მოდიოდა უორნერის სახლიდან ქვეითად ნოქარი სნოუპსი და როგორ მოსდევდა უკან ვიღაც კაცი ჩემოდნით ხელში. ნოქარი რუხ კეპსა და ერთი ბეწო ჰალსტუხში კი არ იყო მხოლოდ, პიჯაკიც ჩაეცვა. მის თანამგზავს ის დაწნული ჩემოდანი მოჰქონდა, რომელიც სნოუპსმა, წელიწადი იქნებოდა, ერთ საღამოს ახალთახალი შეიტანა და დატოვა უორნერების სახლში. ეს რომ შენიშნეს, იმ ჩემოდნის მტვირთველსაც შეავლეს თვალი. ის კაცი ნოქარს ძალივით კუდში მოსდევდა. ტანად უფრო დაბალი იყო, ოღონდ წყლის წვეთივით კი ჰგავდა. იტყოდით, ეს იგივე კაცია, ოღონდ უფრო შორიდან დანახულიო. ერთი შეხედვით სახეც კი არ გამოერჩეოდათ. როცა ორივემ კართანა ამოიარა, ყველამ დაინახა, რომ ის მეორე კაცი მართლაც წმინდა წყლის სნოუპსი იყო, იმ ძნელად შესამჩნევი განსხვავებით, რომელიც გვარეულობის ჩვეული იერის ფარგლებს არ გადასცილდება, - იმ მეორეს პირსახე პირველისაზე მომცრო არა და უფრო

მორჩილი კი უჩანდა, ყველა ნაკვთი თავმოყრილი ჰქონდა შუაგულისკენ მიჯრილი, ოღონდ შიგნიდან, საკუთარი ნებით კი არა, უფრო მეტად გარედან, თითქოს ვიღაც გარეშეს ხელის ერთი სწრაფი მოსმით შეუკუმშიაო. ცოცხალი, აზრიანი სახე ჰქონდა, მეტირდავი კი არა, უფრო თავგადაკლულად მხიარული, და მოკიაფე, დადარაჯებული, მრუში თვალები, როგორც თრიითინას აქვს ხოლმე.

კართანა ამოიარეს და გალერეა გადაჭრეს თავიანთი ჩემოდნიანად. ახლაც რაღაცის მღეჭველმა სნოუქსმა შეკრებილთ გულს გარეთ დაუკრა თავი, როგორც თავად ბილ უორნერმა იცოდა, და დუქანში შევიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მოპირდაპირე სამჭედლოდან კიდეც სამნი გამოვიდნენ, ასე რომ, ერთი საათის მერე, უორნერის ეტლი რომ გამოჩნდა, გალერეის სიახლოვეს ათამდე კაცი იყო თავშეყრილი. ცხენებს სემი მართავდა. მის გვერდით, წინა დასაჯდომზე, იდო კიდეებშეცვეთილი საკვოიაჟი, რომლითაც მისტერ და მისის უორნერები თაფლობის თვის გასატარებლად გამგზავრებულიყვნენ სენტ-ლუისში; მას შემდეგ ყველა უორნერს, ვინც კი სადმე გამგზავრებას დააპირებდა, ის საკვოიაჟი მიჰქონდა თან. ქალიშვილებიც ასევე იქცეოდნენ გათხოვებისას და მერე ცარიელს უკან აგზავნიდნენ, და ის ჩემოდანი იმის სიმბოლოდ და ფორმალურ დასტურად ჩანდა, რომ თაფლობის თვე დამთავრდა და საჭიროა ზეციდან მიწაზე დაბრუნებაო; თითქოს გამოსამშვიდობებელი მოკითხვა იყო ბარაქიანი, თავაწყვეტილი ვნებისა, ისევე როგორც დაბეჭდილი საქორწილო მოსაწვევები იმედებით აღსავსე ცისკრის სიმბოლოს მოგაგონებდათ. უკანა საჯდომზე ქალიშვილის გვერდით მოწყობილი უორნერი მოჭრით, გულგრილად მიესალმა ყველას. ეტლიდან არ გადმოსულა, ხოლო გალერეაში მყოფთ შეხედეს ვუალიანი გამოსასვლელი შლაპის ქვეშ გაქვავებულ ლამაზ ნიღაბს, გამოსასვლელ კაბას, რომელზეც ზამთრის პალტოც კი მოესხათ, და შებრუნდნენ და დაინახეს, როგორ გამოვიდა დუქნიდან სნოუქსი წნული ჩემოდნით ხელში და წინა საჯდომზე, საკვოიაჟის გვერდით მოთავსდა. ეტლი დაიძრა. სნოუქსმა თავი შეაბრუნა და ბორბალს იქით გადააფურთხა. ჩემოდანი ბავშვის პატარა კუბოსავით ედო მუხლებზე.

მეორე დილას ტალი და ბუკრაიტი ჯეფერსონიდან ამობრუნდნენ, სადგურზე ჯოგი ჩაერეკათ. ასე რომ, სადამო ჟამს მთელმა ოლქმა იცოდა, რაც მერე მომხდარიყო, - ორმაბათს უორნერი, მისი ქალიშვილი და ნოქარი ბანკში ყოფილიყვნენ და უორნერს თავისი ანგარიშისათვის გვარიანი თანხა მოეკლო. ტალი ამბობდა - სამასი დოლარიო, ბუკრაიტი ამბობდა - ესე იგი, ას ორმოცდაათი, რადგან უორნერი თავის თავს ას ორმოცდაათი პროცენტისა უანგარიშებსო ქალადის ფულს. მერე ნოტარიუსთან გამგზავრებულან და მოხუცი ფრანგის კარ-მიდამო ფლემისა და იულა უორნერ-სნოუქსის სახელზე დაწერილა. მომრიგებელი მოსამართლის კაბინეტი იმავე შენობაში იყო და ქორწინების რეგისტრაციაც იქ მოუხდენიათ.

ტალი ჰყვებოდა და თვალებს ახამხამებდა გაცბუნებული. მერე ჩაახველა და თქვა:

- ხელის მოწერის დამთავრებისთანავე პატარძალი და სიძე ტეხასში გაემგზავრნენ.

- გამოდის, სულ ხუთნი წასულან იქით, - თქვა კაცმა, რომლის გვარი იყო არმსტიდი, - მაგრამ, ამბობენ, ტეხასი დიდაო.

- ჰო, ახლა დიდი არე შეიქნება საჭირო, - თქვა ბუკრაიტმა. - თქვენ გინდოდათ გეთქვათ - ექვსნიო.

ტალმა კვლავ ჩაახველა. ისევ ისე ახამხამებდა თვალებს.

- მისტერ უორნერმა იმის ფულიც თავად გადაიხადა.

- რისი იმის? - იკითხა არმსტიდმა.

- ხელის მოწერის, - გაეპასუხა ტალი.

2

იულა კარგად იცნობდა იმას. იმდენად კარგად იცნობდა, შეხედვაც არ სჭირდებოდა. თოთხმეტი წლიდან იცნობდა, იმ დროიდან, როცა ხალხში ხმა გავრცელდა - მის ძმას „თავი დაუარაო“. ეს ამბავი იულასთვის არ უთქვამთ. ვერც გაიგონებდა, მისთვის სულერთი იყო. თითქმის ყოველდღე ხედავდა, რადგან იულას მეთხუთმეტე ზაფხულს სწოუპსმა მათსას დაიწყო სიარული. ჩვეულებრივ ნავახშმევს მოვიდოდა ხოლმე, მამამისთან ერთად ვერანდაზე დაჯდებოდა, უსმენდა, ხმას არ იღებდა და დაღეჭილ თუთუნს ზუსტად აპურჭყებდა მოაჯირს იქით. კვირადღეობით ზოგჯერ ნასადილევსაც მოვიდოდა ხოლმე, ჰამაკის გვერდით ხესთან ჩაცუცქდებოდა (ჰამაკში ფეხზე გახდილი, იულას მამა იწვა) და ისევ ისე არ იღებდა ხმას, ისევე ღეჭავდა თუთუნს; იმ წლის საკვირაო კავალერთა ჯიბრიანი გროვით გარშემორტყმული იულა ვერანდიდან მოჰკრავდა ხოლმე იმას თვალს. საამდროოდ ქალი უკვე სცნობდა მისი რეზინის ჩუსტების უხმო შარიშურს; თავდაპირველად თავსაც არ ასწევდა, კარისკენ არ შეაბრუნებდა, ისე გასძახებდა მამამისს: „მამა, ის კაცი მოვიდა!“ ბოლოს - მარტო „ის“: „მამა, ის მოვიდა“; თუმცა ზოგჯერ ასეც ამბობდა ხოლმე: „მისტერ სწოუპსი“, ზუსტად ისევე, როგორც იტყოდა - მისტერ მურიაო.

მომდევნო, მისი ცხოვრების მეთექვსმეტე ზაფხულს, არამცთუ აღარ უმზერდა, ვეღარც კი ხედავდა იმას, რადგან სწოუპსი ახლა მათ სახლში ცხოვრობდა, მათ სუფრას უჯდა და ჯოდის ცხენს დაატარებდა საკუთარი თუ ბილ უორნერის გაუთავებელი საქმეებით დაკავებული. წინა ოთახში ჩაივლიდა ქალის გვერდით, სადაც უკვე ჩაცმულსა და ჭიშკართან მდგარ ეტლში ჩასაჯდომად გამზადებულ იულას მისი ძმა უხეში, მძიმე ხელით სინჯავდა - კორსეტი თუ აცვიაო, და ქალი მას ვერ ხედავდა. სუფრასთანაც ხვდებოდნენ დღეში ორჯერ, რადგან საუზმობით მარტო საუზმობდა იულა, მოგვიანებით, როცა დედამისი ბოლოს და ბოლოს მოახერხებდა ლოგინიდან მის წამოგდებას, ამასთან მთავარი გაღვიძება იყო, თორემ სამზარეულოში გაშლილი სუფრისკენ უკვე ხალისით მიდიოდა ხოლმე. მერე ზანგის ქალი ან დედამისი სამზარეულოდან გამოისტუმრებდნენ, გამოვიდოდა ბოლო

ნამცხვრის მღეჭველი, პირდაუბანელი, თმაგაშლილი, კაბაშემოჩაჩული, ისეთი იერის მქონე, თითქოს პოლიციელთა ალყას ეს წუთია წამოეგდოსო სამეძაო სარეკლიდან, და წინა ოთახში საშუადღეოდ დაბრუნებულ ნოქარს შეეჩებოდა და მუდამ იმგვარად ჩაუვლიდა, თითქოს ცარიელი ადგილი ყოფილიყოს. და, აი, ერთხელაც საკვირაო კაბა წამოაცვეს, მისი დანარჩენი ავლადიდება - ქალაქიდან ფოსტით გამოწერილი ღია ფერის ხალათები და ღამის პერანგები, იაფფასიანი ტუფლები, მთელი ტუალეტი - დიდ საკვოიაჟში ჩაულაგეს, თავად ეტლში ჩასვეს, ქალაქს ჩაიყვანეს და იმას გააყოლეს ცოლად.

იმ ორშაბათს რეტლიფიც ჯეფერსონში იყო. თვალი ჰკიდა, როგორ მიდიოდა მოედანზე ბანკიდან სასამართლოსკენ ის სამი, და უკან მიჰყვა. კანცელარიის კარს რომ ჩაუარა, დაინახა, რომ იქ იყვნენ; ცოტაც რომ მოეცადა, შეხედავდა, როგორ მიდიოდნენ აქედან მომრიგებელი მოსამართლისკენ, დაქორწინების მოწმე შეიქნებოდა, მაგრამ აღარ მოუცდია - არც ესაჭიროებოდა. იცოდა უკვე, რაც ხდებოდა, ამიტომ პირდაპირ სადგურზე გავიდა, ერთ საათს დაელოდა მატარებლის მოსვლამდე და არც შემცდარა; დაინახა, როგორ დაიდგა ტამბურში გვერდიგვერდ წნული ჩემოდანი და დიდი საკვოიაჟი, და ეს ამბავი უცნაურს აღარ ჰგავდა. ვაგონის გაცურებული ფანჯრის იქით დაინახა მშვიდი, მშვენიერი, ნიღბის მსგავსი სახე, რომელიც სადღაც მის მიღმა იყურებოდა - ეს იყო და ეს. მთელ გაზაფხულსა და ზაფხულს ფრანგისხევშიც რომ ეცხოვრა, მეტს მაინც ვერაფერს შეიტყობდა: პატარა, მიგდებულ სოფელს მიეღო ბრმა თესლი, ხელგაშლილი ოლიმპიელის მიერ წარმოფრქვეული, და არც კი უწყოდა ეს ამბავი, მორჩილად მუცლად ელო, ეტარებინა და ეშვა; მერე - ნათელი და მოკლე ზაფხული, თავდაპირველად ცენტრისკენული სტადია, როცა ბედაურებშებმული სამი ეტლი ზუსტი მონაცვლეობით ან ჭიშკართან იდგა, ან იქაურ გზებზე მიგორავდა სახლებს შორის, გზაჯვარედინებთან მდგარ დუქნებს შორის, სკოლებს, ეკლესიებს შორის, სადაც ხალხი თავის შესაქცევად თუ თავის დასავიწყებლად იკრიბებოდა, ხოლო შემდეგ ცენტრიდანული - ერთბაშად, ერთ ღამეში გაქრა და დაიკარგა ეტლები; ხმელ-ხმელი, აწოწილი, ცბიერი, გულმხეცი ბერიკაცი, საოცარი ქალიშვილი, მშვენიერი, ნიღბივით უძრავი სახის პატრონი, და ის გომბემო, ის არსება, ქალს მხრისთავამდეც ძლივს რომ სწვდებოდა; მათ ჩვეით ფული მიიღეს, სარეგისტრაციო გადაიხადეს და მატარებელში ჩასხდნენ; ლეგენდა, რომელიც ყველას ერთი კაცივით სურს ირწმუნოს, შურითა და მარადი, მოუშთობელი სინანულით შობილი, სახლიდან სახლში მიიპარება, ვარცლებსა და საკერავ მანქანებს, ქუჩებსა და გზებს გადაუვლის, ფურგონიდან ცხენოსანს მისწვდება, ცხენოსნიდან - ხნულში გუთნის შემჩერებელ მიწისმოქმედს, - ლეგენდა, ნანატრი ოცნება ყველა მამაკაცისა ამქვეყნად, ცოდვისათვის მეოცნებისა, - მცირეწლოვანთა, რომელთაც ოდენ ეზმანებათ ძალადობა, ოღონდ ჯერ უნარი არ შესწევთ საამისოდ, უძლურთა და ხეიბართა, რომელნიც თავიანთ ძილგამკრთალ ლოგინებში ოფლად იღვრებიან და ნანატრი ცოდვა ვერ ჩაუდენიათ, მიხრწნილთა, სიბერით დასაჭურისებულთა და მიწაზე ძლივს მხოხავთა; ლეგენდა, დამღუპველ გამარჯვებებსა და ბრწყინვალე დამარცხებებს რომ იფარავს თავისში; და არავინ უწყის, რომელია უმჯობესი - დაეუფლო ამ ლეგენდას, მომავლის ამ ოცნებასა და იმედს, თუ ბედის განჩინებით უკანმოუხედავად გაექცე ამ ლეგენდას, ამ ოცნებას, ჩამოტოვებულსა და წარსულში შთენილს. ერთი იმ ეტლთაგანი შემორჩა კიდეც, რეტლიფმა ნახა

ის ეტლი; ერთი-ორი თვის მერე ენახათ, - ცარიელი, ხელნებაშვერილი, დამტვერილი იდგა თავლის გვერდით, ფარდულში, სოფლიდან რამდენიმე მილზე; ზედ წიწილები წამოსკუპებულიყვნენ, თითქოს ქანდარა ყოფილიყოს, მზინავი ლაქიკირივით თეთრი სკორეთი წაებლწათ და აეჭრელებინათ. ასე იდგა ის ეტლი მოსავლის მოწევამდე, ვიდრე ხალხს ფული გაუჩნდებოდა ხელახლა და მისი ყოფილი პატრონის მამა მოჯამაგირე ზანგს მიჰყიდდა. მას მერე ამ ეტლს წელიწადში რამდენჯერმე მოჰკრავდნენ ხოლმე თვალს ფრანგისხევში და იქნებ ცნობდნენ კიდეც, იქნებ შემდეგში, როცა მისი ახალი პატრონი ოჯახს მოეკიდა, მერე გაჭადარავდა, ხოლო მისი შვილები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ეტლმა პეწი დაკარგა და მის თვლებს ჯერ ერთს, მერე მეორეს კასრის ფიცრები ააკრეს მავთულით, შემდეგ კი ფიცრებთან ერთად თვით ის მოხდენილი თვლებიც გაქრა, ეტყობა, პირდაპირ შეიცვალა უკვე ნახმარი, წინანდელელებზე ოდნავ მომცრო ფურგონის ბორბლებით, რისგანაც ეტლი გვერდზე გადაიზნიქა და სულ უფრო და უფრო გადაფერდილი ჩანდა სამ თვეში ერთხელ სოფელში გავლისას, როცა მას რომელიღაც გამვალტყავებული, ბეხრევი, მოსართავდამონძილი ცხენი თუ ჯორი ექაჩებოდა, - თითქოს მის პატრონს ამ ათიოდე წუთის წინ ტყავსახდელიდან სპეციალურად გამოეგვაროს ის ცხენი თუ ჯორი, რათა ქვეყნიერებისათვის წარედგინა ეს გედის სიმღერა, ეს უკანასკნელი აპოთეოზი, რომელიც, რაგინდ სამწუხაროც უნდა იყოს, ძალთა შეუფასებლობის გამო უკანასკნელი არ აღმოჩნდებოდა ხოლმე.

მაგრამ როდესაც რეტლიფმა თავისი მუხლმაგარი ცხენები ბოლოს და ბოლოს ფრანგისხევისკენ მიუშვა ხელახლა, დიდი ხნის წინ შინ დაბრუნებულმა ბუკრაიტმა და ტალმა ყოველივე მოუთხრეს. სექტემბერი იდგა. ბამბა გაშლილიყო და თეთრი ბუსუსები დაფრინავდა მინდორ-მინდორ. თვით ჰაერსაც მისი სუნი ჰქონდა გამჯდარი. რეტლიფი პლანტაციას პლანტაციაზე ჩაუვლიდა, წელში გახრილ მკრეფავთა გასწვრივ. ჰაერი ცხელი იყო და უძრავი, უკვე განწირული და მომაკვდავი ზაფხულის უკანასკნელი ძალუმში ამონასუნთქი. ცხენთა ფლოქვები სწრაფ-სწრაფად კრთოდა მტვერში, რეტლიფი კი არხეინად იჯდა, ოდნავ ირწეოდა მათი თქარათქურის მიმყოლი, ცალი ხელით სადავე ეჭირა მიშვებულად. სახე დამცხრალი ჰქონდა, და მისი შეუცნობელი, გამკილავი, ფიქრმიძალებული თვალები ჯერაც ხედავდნენ, იხსენებდნენ: ბანკი, სასამართლო, სადგური, გაცურებული ფანჯრის მიღმა მშვიდი მშვენიერი ნიღაბი, მერე - სიცარიელე. „ოღონდ ასეც უნდა მომხდარიყო, ის ხომ სხეულია მხოლოდ, ქალის სხეული, - გაიფიქრა, - და, სხვა თუ არაფერი, ეგ მაინც მუდამ იყო და იქნება თავზე საყრელად. რაღა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, რომ ხელიდან გამოგვეცალა, ის კი არა, სწოუპსს რომ შეხვდა ტყუილუბრალოდ, ყველას დაგვეკარგა, მეც მათ შორის. ვითომ დაგვეკარგა კი?“ - გაიფიქრა უცებ და წამით კვლავ წარმოუდგა ის სახე, თითქოს ხსოვნაში მარტო ის დღე კი არ გაცოცხლებულიყოს, არამედ მატარებელიც - თვით მატარებელი, რომელიც ზუსტად გრაფიკის, განრიგის მიხედვით მიდიოდა, ახლა კი აღარსადაა, მაგარ-მაგარი ვაგონები და ორთქლმავალია დარჩენილა. ისევ შეხედა იმ სახეს გონების თვალთ. მასში არასოდეს ყოფილა რაიმე საბედისწერო, ახლა კი წყევლის დაღიც გამქრალიყო, რადგან მის მიღმა იფარვოდა მხოლოდ მომაკვდინებელი სახე ადამიანთა მოდგმის მამაკაცთა მთელი ნახევრის მარადი მტრისა. ჰო, მშვენიერი იყო ის სახე! მაგრამ განა მახვილთა და პისტოლეტთა ელვარება არ ამშვენებს დიდი გზის ყაჩაღს! და უკვე თვალს მიეფარა, გაუჩინარდა მშვიდი

პირსახე: სწრაფად გაცურდა; გეგონებოდათ ვაგონის ფანჯარაც უკუმიიქცაო. თითქოს ისიც ჩვენება ყოფილიყოს ზღვისგან წარტაცებულ ნამუსრევთა ორომტრიალში, და, აი, წნული ჩემოდანილა დარჩა, ერთი ბეწო ჰალსტუხი, გაუწყნარებლად რაღაცის მღეჭელი ყბა...

ვიდრე თავად წყვდიადის მეუფეს არ მიეახლნენ ქანცაწყვეტილნი.

„ხელმწიფეო, უთხრეს, შეუსმენელი ყოფილა. ვერაფერი გავაწყვეთ“.

„რაო?“ - იღრიალა მეუფემ.

„გარიგება გარიგებააო, ამბობს. პატიოსნად მოგაგირავეთ, ახლა კი გამოსასყიდად მოვედი, კანონიც ასეთიაო. ჩვენ კიდევ დავეძებთ და ვერასგზით გვიპოვია. ყველაფერი მოვჩხრიკეთ უკვე. სულ ერთი ბეწო იყო, საგულდაგულოდაც მოვუარეთ. ცეცხლის გამძლე ასანთის კოლოფში დავბეჭდეთ, კოლოფი კიდევ განსაკუთრებულ განყოფილებაში დავკრძალებთ. მაგრამ განყოფილება რომ გავაღეთ, ის აღარ იყო. კოლოფიც ადგილზე იყო, ბეჭედიც ხელუხლებელი, ოღონდ შიგნით ვერაფერი ვნახეთ, მხოლოდ ერთ კუნჭულში ტალახის ლაქა მიმხმარიყო. ეს კიდევ მის გამოსასყიდად მისულა. როგორღა მივცეთ საუკუნო სატანჯველს, სული თუ არ ექნა?“

„დასწყევლოს! - იღრიალა წყვდიადის მეუფემ. - სამარქაფოდან მიეცით. დღე ერთია და რამდენიმე სული მოგვადგება კარზე, გვიკაკუნებენ, მოთქვამენ ათასი ეშმაკივით - შეგვიშვითო, ბარათებსაც მოიყოლებენ ხოლმე ვიღაც კონგრესის წევრებისაგან, რომლებსაც, კაცმა რომ თქვას, არაფერი გვსმენია, ჰოდა, აიღეთ და ერთი იმათგანი მიეცით“.

„ვცადეთ უკვე, - მიუგეს, - ოღონდ ვერაფერი შევასმინეთ. არაფერი მინდაო, გვითხრა, გარდა ჩემი კუთვნილი პროცენტისა, რომელიც მერგება საფინანსო სამართლისა და სამოქალაქო კანონთა მიხედვით, შავით თეთრზე რომ არისო დაბეჭდილი. მე ჩემი მოვალეობის აღსასრულებლად მივედი და, რაღა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, სხვისა არ ვიცი და, თქვენ კი თქვენსას აღასრულებთო“.

„მაშინ უთხარით, სხვა ვინმეს მიაკითხოს. მისამართი არ მიუციათ-თქო სწორი, უთხარით. ჩვენი არაფერი გმართებს-თქო. შენი თამასუქი დაკარგულია, შეიძლება არც არსებულა-თქო, უთხარით, წარღვნა იყო-თქო აქ, ან კიდევ ყინვა“.

„არ წავა უიმისოდ...“

„უთაქეთ კისერში! გააბუნძულეთ!“

„კი, მაგრამ, - უთხრეს, - კანონი მის მხარესაა“.

„ოჰო! - თქვა წყვდიადის მეუფემ. - შინზრდილი ვეჭილი ყოფილა. გასაგებია. კარგი, თქვენვე მოაგვარეთ ეს საქმე. მე რაღას მაწუხებთ?“ და წყვდიადის მეუფე ისევ მოკალათდა. თავისი კათხა ასწია და ალს სული შეუბერა, თითქოს ისინი იქ არც ყოფილიყვნენ. ოღონდ ისინი არ დაძრულან.

„რა მოვაგვაროთ?“ – იკითხეს.

„მოქრთამეთ! – დაიღრიალა წყვდიადის მეუფემ. – მოქრთამეთ! თქვენ თვითონ არ მითხარით – კანონები ზეპირად იცისო, ასე არ მითხარით? რა გგონიათ, როგორც რიგი და წესია, ისე აქვს საქმე?“

„ვცადეთ უკვე, – მიუგეს, – ოღონდ არ იღებს“.

მაშინ წყვდიადის მეუფემ მათ შეხედა და თავს ლავის დასხმა დაუწყო. ენამოსწრებული იყო, შეპასუხებას ვერ ითმენდა და საქმე ასე შეაბრუნა: თქვენ გეგონათ, მოქრთამვა იმას ნიშნავს, რომ ფული ოფიციალურად მიუთვალთ ბანკის მემწეობით და იქნებ სენატშიც წახვიდეთო დასტურის მისაღებად. ისინი კიდეც იდგნენ და ხმის გაუღებლად ითმენდნენ ყველაფერს, რადგან მათი მეუფე გახლდათ. ოღონდ მათ შორის ერთი ისეთი იყო, რომელიც იქ ჯერ კიდეც წყვდიადის მეუფის მამისობას მსახურობდა. ეს მეუფე მუხლებზეც ჰყავდა ნარწევი მისი ყმაწვილობისას, მომცრო ფიწალიც გაეკეთებინა მისთვის და ზინზლიან ხატაელებსა და პოლინეზიელებზე ავარჯიშებდა, ვიდრე მკლავი ისე გაუმაგრდებოდა, რომ თეთრკანიანებზე მიეშვათ. იმას ეს ამბავი არ მოეწონა, თავი ასწია, წყვდიადის მეუფეს შეხედა და უთხრა:

„მამათქვენი უარესადაც მოტყუებულა და მაინც არავის დაუყვედრებია მისთვის. ან, იქნება, დიდ ხეს დიდი ნაფოტი სცვივაო...“

„თქვენ კიდეც პატარა გაყვედრით, არა?“ – შეულრინა წყვდიადის მეუფემ. ოღონდ მასაც გაახსენდა გარდასული დღეები, როდესაც გახარებული ბერიკაცი ამაყად ჩაიცინებდა ხოლმე, ლავისა და გოგირდის ნარჩენებთან მისი ბალღური ოინბაზობისა და სხვა ამგვარების მაცქერალი, საღამოს კი აღარ იცოდა, როგორ შეესხა მისთვის ხოტბა მოხუცი მეუფის წინაშე: ასე და ასე გაატარაო დღევანდელი დღე, საცოდავ ხატაელებს ისე უხიმანკლა, დიდებიც ვერ მოიფიქრებდნენო. ამის გამხსენებელმა ბოდიში მოიხადა, ბერიკაცი დაამოშმინა და თქვა:

„მაინც რა შესთავაზეთ?“

„სალხენელნი“.

„მერე?..“

„საკუთარიც ჰქონია. იმ კაცისთვის, ვინც მხოლოდ იღეჭება, ყოველგვარი საფურთხებელი გამოდგებაო, თქვა“.

„კიდეც რა?“

„ამაო საშვებელნი“.

„მერე?..“

„ესენიც საკუთარი ჰქონია. მთელი გროვა მოათრია ჩემოდნით – შეკვეთით არის ნაკეთები, აზბესტის, ძნელსადნობი ლითონის საკინძეებიანი“.

„აბა, რა მინდაო? - აღრიალდა წყვდიადის მეუფე. - სამოთხე ხომ არ ნებავს?“

აქ ბერიკაცმა შემოხედა და ის იყო წყვდიადის მეუფემ გაიფიქრა - წელანდელი გაკილვა ვერ უპატიებიაო ჩემთვის, მაგრამ სულ სხვა რამ გამოირკვა.

„არა, - თქვა ბერიკაცმა. - ჯოჯოხეთი უნდა“.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა დიდებულ სამეფო დარბაზში, გარდასული დროის მარტივლთა კოცონების ზვიადი, ბრძოლებში დაწეწილი კვამლით რომ იყო მოფენილი, ჩქამიც არ ისმოდა, გარდა ტაფების შიშხინის და ჭემმარიტ ქრისტიანთა გაუწყნარებელი ყრუ გოდებისა. გარნა წყვდიადის მეუფე მამამისის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იყო. უქმი სიბარიტობა და ყოველგვარი ქირდვა თუ კილვა მეყსეულად უკვალოდ გაქრა: თითქოს თავად მოხუცი მეუფე მდგარიყოს მათ წინაშე.

„აქ მომგვარეთ და დაგვტოვეთ მარტო“, - თქვა.

და, აი, შემოჰგვარეს, გაილალნენ და კარი მიიკეტეს. მის სამოსს ჯერაც ბოლი ასდიოდა, თუმცა აქ შემოსვლამდე გვარიანად შებერტყილიყო. სამეუფეო ტახტს მიეახლა მღეჭველი, წნული ჩემოდნით ხელში.

„აბა?“ - უთხრა წყვდიადის მეუფემ.

იმან თავი შეაბრუნა და გადააპურჭყა. ნაფურთხი მაშინვე დაიწვა იატაკზე, ლურჯ ბოლად აიჭრა.

„აიმ სულის გამო მოვედიო“.

„ჰო, მომახსენეს, - თქვა წყვდიადის მეუფემ. - ოღონდ არ გქონია სული“.

„მერე ჩემი ბრალია თუ?“ - თქვა იმან.

„აბა, ჩემი? - მიუგო წყვდიადის მეუფემ. - ჩემი შექმნილი გგონია შენი თავი?“

„მაშ, ვისი!“

ამაში გამოიჭირა და წყვდიადის მეუფეც მიხვდა ამ ამბავს. მაშინ გადაწყვიტა, თვითონვე მოექრთამა. ყველა საცთური, საშვებელი, ყოველგვარი ნეტარება ჩამოუთვალა და მათ რომ წვრილად აღწერდა, მუსიკის უტკბესი იყო მისი სიტყვა. ოღონდ იმას ღეჭვაც არ შეუწყვეტია - იდგა თავისთვის და ჩემოდანს ხელს არ უშვებდა. მაშინ წყვდიადის მეუფემ უთხრა: „აქეთ მოიხედე“, - და კედელი მიუთითა. და იმის წინაშე ყოველივემ ჩაიარა, ყოველივე თანმიყოლებით ნახა, საკუთარი თავიც იხილა. როგორ იქმოდამას, ისეთ რამეებს, რაც თვითონ აზრადაც არასოდეს მოუვიდოდა, დაბოლოს ყოველივე დასრულდა, ყველაზე წარმოუდგენელიც კი. იმან ისევ შეაბრუნა თავი და კვლავ გადააფურთხა საღეჭი თამბაქოს ნაჭერი, ხოლო წყვდიადის მეუფე თავისი სამეუფო ტახტის საზურგეს გადააწვა გააფთრებული და შემცბარი.

„აბა, რაღა გინდა? - უთხრა. - რა გნებავს? სამოთხე?“

„მაგაზე არ მიფიქრია რაღაც, - მიუგო იმან. - განა იქაც თქვენი საბრძანებელია?“

„მაშ, ვისი?“ - თქვა წყვდიადის მეუფემ და მიხვდა - ახლა კი მე გამოვიჭირო. კაცმა რომ თქვას, წყვდიადის მეუფემ იმთავითვე იცოდა - გამოჭერილი მყავსო, იმ წუთიდანვე, როცა ისინი შემოვიდნენ და მოახსენეს - ყველა კანონი ზეპირად იცისო. სახელურზეც კი გადაიხარა და სახანძრო ზარს ჩამოჰკრა, რათა ბერიკაცი შემოსულიყო და ენახა, მოესმინა, როგორ წარიმართებოდა საქმე, მერე ისევ საზურგეს გადააწვა და იმას დახედა, დაბლა რომ იდგა თავისი წნული ჩემოდნითურთ. უთხრა:

„შენ შესაძლოდ მიგაჩნია, ის კი არა, დაიჟინე კიდეც - ჩემი შემქმნელი ხარო. რაკი ასეა, შენი სული იმთავითვე ჩემი ყოფილა. მაშასადამე, იმ თამასუქის გასანადღებლად რომ მიეცი, ისეთი რამ მიგიცია, რაიც შენ არ გეკუთვნის, ასე რომ, თავს იდევი პასუხისმგებლობა...“

„მერე არც ვდავობ მაგის წინააღმდეგ“, - თქვა იმან.

„...დანაშაულებრივი მოქმედებისათვის. ასე რომ, აილე ჩემი ჩემოდანი და... - ეუბნება წყვდიადის მეუფე. - რაო? - იკითხა უცებ, - რა თქვი?“

„არც ვდავობ მაგის წინააღმდეგ“, - მიუგო იმან.

„რის წინააღმდეგ? - ჩაეკითხა წყვდიადის მეუფე. - რის წინააღმდეგ არ დავობ?“

ოღონდ ეს სიტყვები აღარც ისმის უკვე, წყვდიადის მეუფე წინ წახრილა და, აი, თვისთა მუხლთა ქვეშ უკვე გრძნობს გავარვარებულ იატაკს, გრძნობს, რომ საკუთარ ყელს ჩაფრენია, ეწევა და იგლეჯს იქიდან სიტყვების ამოსაქაჩად, დამზრალ მიწაში კარტოფილს თხრიდეს თითქოს. „ვინა ხარ?“ ხრიალებს აქლოშინებული, პირით ჰაერის მძებნელი, და თვალს უქაჩავს იმას, ხოლო ის უკვე სამეუფეო ტახტზე დამჯდარა თავისი წნული ჩემოდნითურთ და გვირგვინით ადგას ცეცხლის კაშკაშა ენები. „სამოთხე იყოს! - ხავის წყვდიადის მეუფე. - სამოთხე!“ ზემოთ ქარი ზრიალებს, ქვემოთ - წყვდიადი, ხოლო წყვდიადის მეუფე ბრჭყალებით ფხოჭნის იატაკს, დაგმანულ კართან იკაწრება და გოდებს...

წიგნი მესამე

თავი პირველი - გრძელი ზაფხული

რეტლიფს ფურგონი შეეჩერებინა და უმზერდა, როგორ გამოვიდა ეზოდან თავის ბებერ თეთრ ფაშატზე ამხედრებული უორნერი. ცხენმა მესრის გასწვრივ გაუხვია ქუჩაში, შორიდანვე მოისმოდა, როგორ ყრუდ უბუზუნებდა სტომაქი, თითქოს ორლანი ყოფილიყო.

„ისევ ამხედრებულა, – გაიფიქრა რეტლიფმა. – მოუწია გადაჩახვამ, აბა, ფეხით ხომ არ ივლის! მაშასადამე, ისიც წაუგლეჯიათ. მიწა რომ აჩუქა, ხელის მოწერის ორი დოლარი რომ გადაიხადა, ტეხასის ბილეთები უყიდა და ნაღდ ფულსაც ჩამოვიდა, ის არაფერი, ახალი ეტილიც უბოძებია მეეტლითურთ, ოღონდ როგორმე ამოეკვეთა დუქნიდან და სახლიდანაც ის ერთი ბეწო ჰალსტუხი“.

ეტყობა, ცხენი თვითონვე შეჩერდა, როცა გაუსწორდა ფურგონს, რომელშიც მოკრძალებული, თავდაჭერილი და ნაღვლიანი რეტლიფი იჯდა, თითქოს მიცვალებულის ოჯახში ჩამოსულიყოს სამძიმრის სათქმელად.

– სხვა საშველი არ იყო ალბათ, – ჩუმი ხმით თქვა რეტლიფმა.

უორნერისთვის გულის ტკენა არც უფიქრია, არც მისი ქალიშვილის შერცხვენაზე ფიქრობდა ახლა, ის ქალიშვილი არც აგონდებოდა. მიწას გულისხმობდა, მოხუცი ფრანგის კარ-მიდამოს. ვერასოდეს დაიჯერებდი, რომ ის კარ-მიდამო არაფრის საღირალი არ იყო. სხვა ვინმეს რომ ჩაეგდო ხელში, იქნებ მაშინ დაეჯერებინა. მაგრამ რაკი თავად უორნერმა იყიდა და თავისთვისაც დაიტოვა, თან არც იმას ცდილა, რომ როგორმე გაესაღებინა, ეს იმას ნიშნავდა, რაღაცაში იყო საქმე. ვერც კი გაიფიქრებდა – შესაძლოა, უორნერი ოდესმე გაბრიყვდესო: რაკი იყიდა, ეს იმას ნიშნავდა, უფრო იაფი დასჯდომოდა, ვიდრე სხვა ვისმე დაუჯდებოდა, ხოლო, რაკი არ ყიდდა, მაშასადამე, თავისი ქონების ნამდვილი ფასიც იცოდა. რეტლიფი ვერ მიმხვდარიყო – რაში სჭირდებოდა უორნერს ის კარ-მიდამო, მაგრამ უორნერს შეეძინა და გაყიდვასაც არ უპირებდა, ეს კი საკმარისი იყო. და ახლა, როცა უორნერი ბოლოს და ბოლოს შელეოდა იმ მიწას, რეტლიფი დარწმუნებული იყო – ნამდვილი საფასური უნდა მიეღო, ისეთი, რომლის გულისთვისაც ღირდა ოც წელიწადს ლოდინი, ყოველ შემთხვევაში, კარგაძალი საფასური, თუ გინდა ფულად არც მიეცათო. ხოლო იმას რომ ითვალისწინებდა, თუ ვის მისცა უორნერმა ის კარ-მიდამო, რეტლიფი დაასკვნიდა – გამორჩენის გამო კი არ გაუკეთებია ეს ამბავი, იძულებული შეიქნაო.

უორნერს თითქოს წაეკითხოს მისი აზრები. ცხენზე ამხედრებული ჟღალ წარბებს ქუშად ჰმუხნიდა და მოციმციმე მსუსხავი თვალებით მოსჩერებოდა რეტლიფს, რომელსაც თავისი არსებითაც, აზრთა წყობითაც და შესახედაობითაც უფრო შეჰფეროდა მისი ვაჟიშვილობა, ვიდრე რომელსამე სხვას მის ნაშიერთაგან.

– აბა, თქვენი აზრით, იმ კატას მარტო ღვიძლის ჰმევეით ვერ ამოყორავს კაცი? – უთხრა უორნერმა.

– თუ ნასკვიანი ბაწარი არ იქნა შიგ ჩამალული.

– რა ბაწარიო?

- არ ვიცი, - მიუგო რეტლიფმა.
- ჰი! - თქვა უორნერმა. - ჩვენ ერთი გზა გვაქვს?
- არა მგონია, - მიუგო რეტლიფმა. - პირდაპირ დუქანში მივდივარ აქედან.
- „თუკი ძველებურად იქ ჩამოჯდომა არ უდევს გუნებაში“, - გაიფიქრა.
- მეც იქით მოვდივარ - თქვა უორნერმა. - დავაა გადასაწყვეტი, შეჩვენებული ჯეკ ჰიუსტონისა და მეორის, რა ჰქვია იმას... მინკის. მისი სასიკვდილე ძროხის თაობაზე.
- ესე იგი, ჰიუსტონმა იჩივლა სასამართლოში? - შეეკითხა რეტლიფი. - ნუთუ ჰიუსტონმა?
- არა, კაცო. ჰიუსტონმა ძროხა თავისთან დაიტოვა, შარშანდელ ზაფხულს არ გაუშვია, სნოუჰისი კიდეც გატრუნული იყო. მერე მთელ ზამთარს არჩენდა იმ ძროხას, ამ გაზაფხულს და ზაფხულსაც მის სამოვარზე ბალახობდა. ჰოდა, გასულ კვირას იმ სნოუჰისმა უცებ გადაწყვიტა წაეყვანა ძროხა; არ ვიცი, რას ფიქრობდა, ალბათ დაკვლა დაუპირა. აიღო თოკი და სამოვარს მიადგა. რომ უნდა დაეჭირა ძროხა, ჰიუსტონმა დაინახა და არ აქნევინა. რევოლვერის დაღირებაც მომიხდაო, ასე ამბობს. სნოუჰისს კიდეც რევოლვერისთვის რომ შეუხედავს, უთქვამს: რაღას უყურებ, მესროლე, ხომ იცი, უიარაღო ვარო. ამაზე ჰიუსტონს უპასუხია: კარგი, ჯანდაბას შენი თავი, მოდი, რევოლვერი ღობის სარზე შემოვდოთ, ჩვენ აქეთ და იქით დავდგეთ პირველ სარებთან, სამამდე დავითვალოთ და მერე ვინც მოასწრებს, იმან ესროლოსო.
- რაღაზე არ ქნეს მერე მასე? - იკითხა რეტლიფმა.
- ჰი, - ჩაიცინა უორნერმა. - კარგი, წავედით. მალე მინდა მოვითავო. ისედაც თავზე საყრელი მაქვს საქმე.
- თქვენ მიბრძანდით, - უთხრა რეტლიფმა. - მე ნელ-ნელა გამოვუყვები. საძროხე დავა ხომ არ მაქვს გადასაწყვეტი.

და ბებერი ფაშატი (მუდამ ისეთი ფაქიზი, თითქოს ეს-ესაა ქიმწმენდიდან გამოიყვანეს და თითქოს ბენზინის სუნსაც დაიკრავსო) ისევ ბუყბუყით გაუყვა გზას ძველი, ბევრგან მორღვეული ღობის გასწვრივ. რეტლიფი ადგილიდან არ დაძრულა, ისე მიაყოლებდა მზერას ფაშატსა და ხმელ-ხმელ, აწოწილ მხედარს, რომელიც უნაგირის გამოუცვლელად აჯდა ამ ცხენს ოცდახუთ წელიწადს, გარდა იმ სამი წლისა, როცა ეტლი შეიძინადა იმით მიდი-მოდიოდა. ახლა თეთრმა ფაშატმა ან ჩემმა ცხენებმა მესერი რომ დაყნოსონ, ისე როგორც ძაღლებს სჩვევიათ, იმ ყვითელთვლიან ეტლთა სუნს ვეღარ დაიკრავნო, - ფიქრობდა რეტლიფი. „ახლა ამ არემარის ყველა ორფეხა ხვადს, ოცდაათიდან თვრამეტ წლამდე ასაკისას, ისე შეუძლია ჩაუაროს აქაურობას, იმის მოთხოვნილება არ იგრძნოს, რომ შეჩერდეს და ფეხი აიშვიროს“. და მაინც ის ეტლები აქ იყო ისევ. ეს იცოდა რეტლიფმა, გრძნობდა ამას. რაღაც ისეთი დარჩენილიყო, რაც ასე უკვალოდ ვერ გაქრებოდა, - სული დარჩენილიყო, ზარხოში, ბარაქიანი, დამატკობელი,

იმ გათქვირულ სხეულს რომ მოსავდა, თექვსმეტივე წელიწადის უქნარობაში გამტარებელსა და საზრდელის დაუცადებლად მწოველ სხეულს; რატომ არ უნდა ჰგვანებოდა ეს სხეული მთის მიუვალ მწვერვალს, რატომ არ უნდა ყოფილიყო ქალწულის უბიწოების პირველქმნილი ციტადელი, რომელსაც მამაკაცი მხოლოდ დიდი საფასურის ფასად უნდა დაუფლებოდა ან ვერც უნდა დაუფლებოდა; არა, მამაკაცს უკუგდება მოელის, დაეცემა, უკვალოდ და უნიშნოდ გაქრობა („მისი შვილიც ალბათ ისევე არ ემგვანება აქაურებს, როგორც თავადაც არ ჰგავს ქალი“, - გაიფიქრა), ეტლებიც მხოლოდ ნაწილია მთელისა, უმნიშვნელო და ფუჭი წყრილმანი, მისი კაბის ღილებივით, ან თვით კაბასავით, ან კიდევ იმ სამთაგან ერთ-ერთის ნაჩუქარი იაფფასიანი მძივებივით. ეს ყოველივე, რაღა თქმა უნდა, სამისო ამბავი არ ყოფილა, როგორც ისა და უორნერი იტყოდნენ ალბათ. იცოდა ეს და არც სევდას განიცდიდა, არც სინანულს, არც არასოდეს მოიწადინებდა ამას („გინდაც ორლანი ეჩუქებინოთ ჩემთვის, - გაიფიქრა, - მე კიდევ იმის მეტი არაფერი მემარჯვებოდეს, რომ ამას წინათ ფოსტის ყუთში გაცვლილი ძველი გრამოფონის მომართვა ვისწავლო“). თავად გამარჯვებულსაც კი, იმ გომბეშოს, არც ეჭვიანობდა, ისე იგონებდა; ოღონდ იმიტომ კი არა, რომ იცოდა: რისი მოლოდინიც უნდა ჰქონოდა სნოუპსს, რაც უნდა ეწოდებინა თავისი მონაპოვრისთვის, გამარჯვება არ ეთქმოდა ამ ამბავს. უაზრო მფლანგველობა უმღვრევდა მხოლოდ გუნებას; რარიგ უაზრო იყო ყოველივე თავიდან ბოლომდე - თითქოს დიდ-დიდი ძელებისგან ხაფანგი გაემართოთ და შიგ მთელი დეკეული დაეტანებინოთ ვირთხის დასაჭერად, ან კიდევ უარესი - თითქოს თავად ღმერთებს შეეხილწოთ, უწმინდურებით მოეფრქვიოთ შუქმოსილი ივნისი, სიწმინდისა და სინათლის გულისგული, და მატლებით მოფუთფუთე ნეხვის გროვად ექციოთ იგი. წინ, ღობის იქით, ძლივს შესამჩნევი, ბალახით თითქმის დაფარული გზა უხვევდა ფრანგის კარ-მიდამოსკენ. თეთრმა ფაშატმა იქითკენ დააღირა თავი, მაგრამ უორნერმა გეზი ტლანქად შეუცვალა. „გინდაც დავრდომილთა თავშესაფარში მიეცა“, - გაიფიქრა რეტლიფმა. ოღონდ იქ ის დამპალი მაინც არ ეყოლებოდა. სადავე მოუტლაშუნა ნელა.

- აჩუ! - შეუძახა ცხენებს. - მიდი!

ცხენები დაიდრნენ და გზაზე მოფენილ ბოლქვა-ბოლქვა მტვერში აბაკუნდნენ. ახლა მთელი ფრანგისხევი ხელისგულზე ჩანდა - დუქანი, სამჭედლო, ბამბის საწმენდი მანქანის სახურავი და მილი, რომლიდანაც მსუბუქი, გამჭვირვალე ორთქლი ამოდიოდა. სექტემბერი განახევრებული იყო. მშრალი დამტვერილი ჰაერი ოდნავ თრთოდა მანქანის გუგუნზე, თითქმის იმ ორთქლივით იყო გაცხელებული და ამიტომ ორთქლს აღარც აჩენდა, მილის თავზე არიალებდა ოდნავ. დასიცხულ მიდამოს ტვირთმოჭარბებულ ოთხთვალათა ჭრიალი ეფინებოდა, ირგვლივ ბამბის სუნი ტრიალებდა, მისი ნაფლეთები გზისპირა ბალახის გადამხმარ ღეროებს მიჰფენოდა, ალაგ-ალაგ შარაზეც ეყარა ბორბლებითა და ფლოქვებით მტვერს შეგლესილი ფთილები. უძრავად ჩამწკრივებული ოთხთვალეებიც მოჩანდა, თავჩარგული ჯორები, დროდადრო ერთი ოთხთვალის სიგრძეზე რომ გადაინაცვლებდნენ ხოლმე, უდრტვინველად ელოდებოდნენ, როდის მოუწევდათ რიგი სასწორზე შემდგარიყვნენ, მერე კი მიეტანებინათ ბამბის ჩასაბარებლისთვის, სადაც კვლავ ჯოდი უორნერი იძლეოდა განკარგულებებს, ხოლო დუქანში უკვე ახალი ნოქარი იჯდა, ძველის მსგავსი ორი წვეთი წყალივით, ოღონდ ოდნავ ტანმორჩილი და

ბეჭვიწრო, თითქოს იმის თარგზე ყოფილიყოს გამოჭრილი, ოღონდ უკუღმა, თანაც მაშინვე კი არა, მოგვიანებით, კიდევები რომ გაიქუცა და გაცვდა, იმის მერე; მომცრო, ფუნთუშა, კნუტის უკანალივით მუქი ვარდისფერი პირი ჰქონდა, მოკიაფე, აცაზაცა მიმავალი, მრუში თვალები მაჩვისა, და მისი არსებიდან გამოსჭვიოდა, რომ მხიარულად, უსაზღვროდ, ურყევად იყო გულდაჯერებული - კაცთა მთელი მოდგმა, ჩემი არ იყოს, უცვლელად და ამოურწყავად ნამუსგარეცხილი არისო ბუნებით.

ჯოდი უორნერი სასწორთან იდგა; მის გვერდით ჩავლისას რეტლიფმა კისერი ინდაურივით წაიგრძელა და დაინახა მისი მოფლოხვილი სამოსი, უსაყელოო თეთრი ხალათი, იღლიებთან ოფლის დენისაგან ამოყვითლებული, და დამტვერილი, ფთილებმოდებული შავი შლაპა. „ჰო, ახლა, ეტყობა, ყველანი კმაყოფილნი არიან, - გაიფიქრა რეტლიფმა. - თუმცა არა, ალბათ ყველანი, გარდა ერთისა“, - დასძინა თავისთვის, რადგან დაინახა, როგორ გამოვიდა დუქნიდან ბილ უორნერი და ამხედრდა თავის ფაშატზე, რომელიც ვიღაცას აეხსნა და ახლა აღვირით ეჭირა. გალერეაში ისხალხი გამოეფინა, ვისი ოთხთვალეებიც, სასწორთან რიგის მომლოდინე, დუქნის პირდაპირ იდგა გზის პირას, ხოლო როდესაც რეტლიფიც დუქანს მიადგა, კართანადადამეშა მინკ სნოუპსი, რომელსაც მეორე სნოუპსიც ახლდა, ის ენაჭარტალა, მასწავლებელი (ამჯერად ახალთახალი სერთუკი ეცვა, მაგრამ მაინც ნასხვისარივით ადგა ტანზე, ზუსტად ისევე, როგორც ის ძველი, რომელშიც პირველად ნახა რეტლიფმა). რეტლიფის თვალწინ გაკრთა უჯრათი სახე, ახლა რომ ზედ სიმმაგე მისციებოდა, გადამბული წარბები, ხოლო მის უკან - მასწავლებლის ვირთხისებური პირსახე, ახალი შავი სერთუკის ყოშებიდან გამოვარდნილ ხელთა უთავბოლო კორიანტელი, და გაისმა ხმა, რომელიც, აბორიალებული ხელების არ იყოს, თითქოს თავისთავად, სხეულზე დამოუკიდებლად არსებობდა:

- მოთმინება იქონიე, ბატონო, მოთმინება! აჩქარებით სოფელი არავის მოუჭამია, ზღვა კოვზით დაილიაო. ოღონდ ვადა დათქვი - ღმერთი მართალს ხედავს. ჩემი თვალით მაქვს წაკითხული კანონი; ბილ უორნერს მისი არაფერი გაეგება და უნდა გითხრა სიმართლე, არივ-დარია ყველაფერი. შვეიტანთ საჩივარს და ის იქნება...

გარნა ამ დროს მინკმა პირქუმ წარბთა ქვეშ თვალები დააკვესა და ავად მიუგდო:

- ჯირკო შენ!

ისინი წავიდნენ და რეტლიფი დუქანს მიადგა. ვიდრე ეს ცხენებს აბამდა, ჰიუსტონი გამოვიდა თავისი ნაგაზითურთ, ამხედრდა და გაემგზავრა. რეტლიფი ავიდა გალერეაში, სადაც ამჟამად ოცი კაცი მაინც იქნებოდა თავშეყრილი. მათ შორის იყო ბუკრაიტი.

- ეტყობა, მოსარჩელეს გვარიანად უჭრის ენა, - თქვა რეტლიფმა. - როგორია განაჩენი?

- სნოუპსმა სამი დოლარი უნდა გადაუხადოს ჰიუსტონს წანახდენის საფასური და ძროხის სარჩენი. მერე შეუძლია თავისი ხვადაგის წაყვანა.

- აჰა, - თქვა რეტლიფმა. - როგორ, მის დამცველს არც მოუსმინა მოსამართლემ?

- დამცველი დააჯარიმა და გაჩუმება უბრძანა, მორჩა და გათავდა, თუკი მაინცდამაინც ამის გაგება გინდოდათ, - მიუგო ბუკრაიტმა.

- ასე-ე, - თქვა რეტლიფმა. - ასე-ე, გამოდის, რომ ბილ უორნერმა ამ სნოუპსს ენის ჩაგდებინების მეტი ვერაფერი მოუხერხა. რას იზამ, სნოუპსები წავლენ და წამოვლენ, ოღონდ ბილ უორნერი, ეტყობა, სამუდამოდ გასნოუპსებულა, ანდა, თუ გნებავთ, თვითონ ფიქრობს - სამუდამოდო. როგორაა ის ნათქვამი - ძველი გადაშენდეს და ახალმა იხაროსო? შეხედავ და ყველაფერი ძველებურად დარჩენილა: სამუშაოც, ხელსაწყოც, ოღონდ კაცია ახალი. ჰოდა, ერთი ჭირი არაა ორივე?

ბუკრაიტმა რეტლიფს შეხედა.

- უფრო ახლოს მიმდგარიყავით კართან, იმას უკეთ რომ გაეგონა.

- მართალი ბრძანებაა, - მიუგო რეტლიფმა. - კედლებსაც ყური აქვსო, ფულს კიდევ ანგარიში უყვარს. ძალოვანს ნუ შეეჭიდებიო, მაგრამ ყოველ ოჯახს კი არ ჰყავს თავისი ვეკილი, წინასწარმეტყველზე რომ აღარაფერი ითქვას. ოღონდ წინასწარმეტყველი რად უნდა იმის გამოცნობას - მომგებიანი თუა ქალი.

ახლა ყველანი მას შემოსცქეროდნენ, რაღაც ისეთი ჰქონდა აუმიღვრეველ, შეუცნობ სახეში, თვალებსა და ბაგეებთან გავლებულ ნაკეცებში, რისი მიხვედრაც მათ არ შეემლოთ.

- ეს რანაირ დღეში ხართ? - უთხრა ბუკრაიტმა.

- მე-ე? არც რანაირში. ვისგანაც იმ თავის ჰალსტუხებს ყიდულობს, იმას ერთი წყვილი გრძელ-გრძელი შავი წინდებიც მოემეზნება ალბათ. ჰოდა, ვინმე ხელოსანი იმდენს მოახერხებს, თეჯირი მოუჯღაბნოს, თაროებიანი, ზედ თუნუქის ქილებს შემოიდგამს, საწოლთან მიიჩოჩებს და - დუქანში ვარო, ასე ეგონება და...

- ყური მიგდეთ, - უთხრა ბუკრაიტმა.

- ...და მაშინ იმასაც იზამს, რასაც აქ აგერ ოცდამეცხრე დღეა ყველანი ფიქრობენ, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ის გოგო, ცამეტწლიანი გოგო-ბიჭებით დაწყებული და ას ერთი წლის მაკკალემით გათავებული. რასაკვირველია, სხვაგვარადაც შეემლო მოეწყო საქმე - ფარდულის სახურავიდან ფანჯარაში გადამძვრალიყო. ოღონდ რის მაქნისი ან რა საიმისო საქმე იქნებოდა მაგ ამბავი. არა, ძმაო, გამიგონია? შერევილი კატა კი არაა ის ყმაწვილი, სახურავებზე რომ იფხოტილოს. იმას...

კართანასთან კომბინეზონში გამოწყობილმა ცხრა-ათი წლის ბიჭუნამ მოირბინა, გალერეაში ამოვიდა. იქ მყოფთ მიწის სუროსავით ცისფერი, უმანკო თვალეები შემოაფეთა და დუქანში შეაბიჯა საქმიანად.

- ...იმას მეტი არაფერი უნდა, აქ იჯდეს, დუქანში, და ელოდოს, ვიდრე რომელიმე დედაკაცი თვითონვე ეახლებოდეს ხუთი ცენტის ღორის ქონისთვის, ნისიად, რაღა თქმა უნდა: ოღონდ კი სთხოვოს მისტერ სნოუპსს - მისცემს და წიგნში ჩაიწერს; ამას კიდევ იმდენივე გაეგება იმისი, თუ რა ჩაიწერა და რისთვის ჩაიწერა, რამდენიც იმისი, თუ როგორ და რანაირად მოხვდა ეს ქონი იმ ქილაში, ზედ რომ ღორი ახატია, თანაც ისე კარგად ახატია, ამ დედაკაცსაც არ ეეჭვება - კი, ნამდვილად ღორი უნდა იყოსო. ის კიდევ ქილას ისევ თავის ადგილზე დგამს, წიგნს ინახავს, მიდის და კარს ურდულით კეტავს. ამასობაში ქალი დახლს იქით გასულა და იატაკზე დაწოლილა, ალბათ ჰგონია - ასე უნდაო, იმიტომ კი არა - ქონის ფული არ გადავიხადო, არა, ქონის ამბავი უკვე წიგნში ჩაიწერა იმან, იმიტომ, რომაქედან როგორმე გამიშვასო...

ახალი ნოქარი დუქნიდან გალერეაში გამოვარდა, თითქოს მიწიდან ამოზრდილიყოს. სახეზე მიჯრილი და თითქოს რომელიღაც ცენტრისკენ მიმსწრაფი ნაკვთები საოცრად წამოგზნებოდა. სუროსფერთვალეებიანი ბიჭუნა გვერდით გამოუხტა და არავის დალოდებია, ისე ჩაიქროლა კართან.

- აი, ბიჭებო, - სხაპასხუპით მოაყარა აღელვებულმა მედუქნემ. - დაიწყო უკვე. ასე რომ, იჩქარეთ. მე დღეს არ ვარ იქ წამომსვლელი, დუქანს ვერ მოვშორდები. თქვენც მოფარებულებით გადადით, ლიტლჯონის დედაბერმა არ დაგინახოთ, თორემ გვიბღვერს ისედაც.

ხუთმა თუ ექვსმა კაცმა რაღაც უცნაურად, ქურდულად და თან გამომწვევად აიჩქარა. ერთიმეორეს მიჰყენენ კართანადან. დაუდევარი ბიჭუნა მისის ლიტლჯონის ადგილს შემოყოლებული ღობის გასწვრივ გარბოდა უკვე.

- რა მოხდა? - იკითხა რეტლიფმა.

- აქამდე თუ არ გინახავთ, წავიდეთ, - უთხრა ერთმა მათგანმა.

- რა არ მინახავს? - რეტლიფმა დარჩენილთ თვალი მოავლო. ბუკრაიტი მათ შორის იყო, თავჩაქინდრული ფიჭვის ჯოხს თლიდა გულდაგულ.

- დროზე გაინძერი, - ააჩქარა კართანასთან შეყოვნებული კაცი უკან მიმყოლმა, - თორემ, სანამ მივიდოდეთ, გათავდება ყველაფერი.

და ისინი ჯგუფად გაემართნენ. რეტლიფი ხედავდა, როგორ მიძუნძულებდნენ ბიჭუნას დადევნებულნი ღობის გასწვრივ, ისეთივე ქურდული და თან გამომწვევი იერის მქონენი.

- რა ხდება ბოლოს და ბოლოს თქვენთან? - იკითხა რეტლიფმა.

- მიბრძანდით და თქვენ თვითონ ნახეთ, - უხეზად მიუგო ბუკრაიტმა, თავიც კი არ აუწევია იმ თავისი ჯოხით მოკირკიტეს. რეტლიფი დააცქერდა.

- თქვენ ნანახი გაქვთ?

- არა.

- წამოხვალთ?
- არა.
- იცით მაინც, რა ამბავია?
- მიბრძანდით და ნახეთ, - კვლავ უხეშად, გაბოროტებით გაეპასუხა ბუკრაიტი.
- ჰო, მომიწევს, ვატყობ, რაკი არავის უნდა მითხრას, რა ამბავიცაა, - თქვა რეტლიფმა.

და კართანაზე გავიდა. გაქცეულთა ჯგუფი უკვე შორს იყო, ჩქარი ნაბიჯით მიემართებოდნენ ლობის გასწვრივ. რეტლიფი აუჩქარებლად დაეშვა კართანადან. კიბეზე ჩადიოდა და მილაპარაკობდა, ერთხელაც არ მოუხედავს; ვერ გაიგებდით, გალერეაში დარჩენილთ ესიტყვებოდა, თუ საერთოდ არავის არ მიმართავდა.

- ...კარს ურდულით კეტავს და მიდის იმ შავკანასთან, პირდაპირ ყანიდან რომ სწვევია, ჯერ ოფლიც რომ არ შემოიხილა ტანზე, ოღონდ აზრადაც რომ არ მოსდის - ოფლით ვარო აქოთებული, დაბადებიდან მეტი არაფრის სუნი არ სცემია და იმიტომ, ისე როგორც ჯორსაც არაფერი გაეგება იმისა, ჯორის სუნი რომ ასდის. ჰოდა, წევს დახლქვეშ იმ თავის ერთადერთი კაბის ამარა და გვერდზე იყურება, ქილებს შესცქერის, თევზებით და ათასი უბედურებით მოხატულს, ოღონდ რა არის იმ ქილებში, ეს აღარ იცის, რადგან თავის სიცოცხლეში ათი ცენტი ერთად არ სჭერია ხელში. ამას კიდევ, ღორის ქონისთვის ნიკელიც რომ დაემატებინა, მესამე თუ მეოთხე მოსვლაზე ის დედაკაცი იმ ქილებში დებულის სახელს სხვა მუშტრებისგან შეიტყობდა და იატაკზე მწოლიარე და ნიადაგ მათი მაცქერალი შეეკითხებოდა ხოლმე: მისტერ სნოუპს, აი, ის სარდინები რა ღირსო?

2

ზამთარი რომ მიიწურა და გაზაფხული მოდგა კარზე, მერე და მერე ნაკლებად უხდებოდა წყვდიადში სირბილი, წყვდიადისგან ლტოლვა. მალე იმ დღემაც მოატანა, როცა მხოლოდ მაშინ ბნელოდა, ეს რომ ფრთხილად გამოჯახირდებოდა თავისი სამყოფლიდან - ბაგიდან, ცალი ფეხით მიწის ხშირ-ხშირად მომსინჯველი, სახლის გრძელ ჩრდილს უკან მოიტოვებდა და გასწევდა, ხოლო იმ სახლში ლოგინებზე, რომელთა გაშლა-გასწორებაც ამას ისე ესწავლა, თავად მისის ლიტლჯონსაც აღარ ჩამოუვარდებოდა, ბალიშზე თავმიდებულნი ხვრინავდნენ წინადღეს ჩამოსული მოვაჭრენი. აპრილში იმ წყვდიადისგან საგანთიადლო ბინდბუნდის თხელი ფარდალა შემორჩა და ახლა თავის თავს მყარ, ხილვად და შეხებად რაიმედ გრძნობდა უკვე, აღარ აწვალებდა ძრწოლის უთავბოლო განცდა, სხეულში ჩაღვრილი და ძარღვების მწეწველი, როცა მარტოდ დარჩენილი და საზარლად თავისუფალი იყო, ამ განუჭვრეტელ, მტრულ, პირველყოფილ საშინელებაში გადასროლილი. ახლა

ეს ყოველივე უკან ჰქონდა მოტოვებული. შიში მხოლოდ განთიადის წინ მოიცავდა ხოლმე, იმ თითქმის შეუმჩნეველ წამს, რომელსაც ესოდენ უცდომლად შეიგრძნობენ მხეცები და ფრინველნი, - როცა დღე ბოლოს და ბოლოს დასძალავს ხოლმე ღამეს; და მაშინ თავქუდმოგლეჯილი გარბოდა იმიტომ კი არა, დროულად რომ მიესწრო, იმიტომ, რომ მალე დაბრუნებულიყო, უკვე მშვიდად გარბოდა, შიში აღარ ჰქონდა, გარბოდა ნათელმომალებული ცის ქვეშ, ნაცრისფრიდან თავდაპირველად ღია ყვითლად რომ იღებებოდა, მერე კი ოქროსფრად. შორეული გორაკის თხემზე აირბენდა, იქიდანვე თავქვე დაეშვებოდა, ხევისპირა ნისლში, ღელისკენ, იქ პირდაპირ ცვრიან ბალახში ჩაწვებოდა, სადაც მირიადობით ცოცხალი არსება იღვიძებდა ფუთფუთით, და სმენაგამახვილებული ელოდებოდა იმის მოსვლას.

ბოლოს მისი ფეხის ხმა ჩაესმოდა, ღელის პირს ჩამოყოლილი, ეს არცთუ დიდხანს ელოდება - ერთს, ორს და სამ საათს არა; მაგრამ რიჟრაჟი ცხრება, ჯერ არ დამდგარა ნალოდინევი წამი, ის ჯერ არ მოსულა, მაგრამ, აი, ესმის მისი, სველ ბალახში მწოლიარეს, უშფოთველს, მთელი თავისი არსებით ბედნიერს. გრძნობს იმას, ნისლს მისი სუნი გასჯდომია, ნისლის იგივე ფაფუკი ხელები, ამის გაწუწულ, მიწაზე გამხლართულ სხეულს რომ შემოხვევია, მარგალიტის წვეთებით დაფრქვეულ მის გავასაც ელამუნება და ორივეს ურღვევი საბელით აკავშირებს მაშინვე. ეს არ ინძრევა. წევს სულგანაბული, ირგვლივ კი უმცირეს არსებათა მთელი სამყარო იღვიძებს. ზედ ამის სახესთან მიწისკენ დახრილა ცვარით დამძიმებული, მუქი და უმოდრაო ბალახი და გახრილ ღერებზე აცურებულ ნამის წვეთებში მრავალგზის ისარკება აფერადებული ალიონი, თან ერთსახე და თანაც ვეება, და ეს იყნოსავს, გემოთიც კი გრძნობს ბოსლის, რძის ტკბილ, ბლანტ, თბილ სუნს, გრძნობს მარადისი მდედრი საწყისის მოახლოებას, ესმის, როგორ იტლიზება ტალახი, როდესაც ის ფრთხილად ადგამს მიწაზე გაყოფილ ჩლიქს, თუმცაღა ჯერ ვერ ხედავს მას საქორწინო ჰიმნის აწეული ჰანგებით გამჯდარ ნისლში.

ბოლოს დაინახავს მას; დილის მზის წვრილ-წვრილი მბრწყინავი რქები ნისლს გაჰკვეთს და ის წარმოდგება ამის წინაშე, უძრავი, ნათელი, ნამის მარგალიტებგადაფრქვეული, ღელის წყალში ჩამდგარა და ბლანტ-თბილ, საყნოსავ სულად ეღვრება; ახლა მზე ამას უკვე თვალებს უბრმავებს და ესეც აწრიალდება სველ ბალახში, ყრუდ, სუსტად, უჩუმრად იწყებს კვნესას. შუადღემდე, საღამომდე მთელი დღით აქ დარჩენა არ შეუძლია. იმიტომ კი არა, სამუშაოს რომ უნდა მიაშუროს. ამას არ უხდება ილაჯის გამწყვეტი შრომა, ოფლის ღვრა, ფიზიკურად თუ სულიერად საამისოდ თავის იძულება; „გუშინ“ არ ჰქონია, არც „ხვალე“ ექნება, ხოლო ამისი „დღეს“ არის მხოლოდ წყნარი და მიამიტი გაოცება, როდესაც უმზერს იატაკის ჯაგრისის წინ გაცურებულ მტვერსა და ნაგავს, ან ზეწრებს, შესწავლილი მოძრაობით რომ სწორდება და იტკიცება ხოლმე - იოლი და ჩვეული საქმეა; ამის წარმმართველია ალერსიანი, ოღონდ მტკიცე ხელი, მშვიდი ხმა აოკებს ამის აღტყინებას - ძალს წვრთნიან და იმორჩილებენ ხოლმე ასე.

იმიტომ, რომ ვერ გაუბედავს. სცადა უკვე. ეს მაშინ იყო, მესამედ რომ ელოდებოდა იმას; ნისლი გაიფანტა და დაინახა ის, და ამისთვის უკვე აღარ არსებობდა თვით „დღეს“, - არც ხმა, აღარც ხელი, არც ამის მომლოდინე ლოგინები. ერთგულება და ჩვეულება კი სძლია. წამოდგა და იმისკენ

გაემართა, შეეხმინა, გაეპოტინა. იმან თავი ასწია, დაინახა და ღელის მეორე ნაპირზე გავიდა. ეს უკან მიჰყვა, წყალში კრძალვით შეაბიჯა, ფეხების მაღლა-მაღლა მწვეველი მიტოპავდა ღელეს და ჩუმად მიკვნესოდა, მოუთმენლობას იოკებდა - უფრო არ დავაფრთხო. ერთხელ წაიბორძიკა, პირქვე დაეცა. წყალმა თავზე გადაუარა, ამას კი თავის შემაგრება არც უცდია, ოღონდ ხმამაღლა წამოიყვირა, მერე წამოდგა ერთიანად გალუმპული და ის იყო ჩაისუნთქა, რათა ხელახლა ეყვირა, მაგრამ თავი შეიკავა და რაღაცის ბურტყუნს მოჰყვა, მერე ნაპირს მიატანა და ისევ მისკენ გაემართა ხელეგაწვდილი. მაშინ იმან მოძურწა, მაგრამ ცოტაოდენი რომ გაირბინა, შემობრუნდა და რქები დაუღირა; ვიდრე ეს ხელის გადასმას მოასწრებდა, ის ხელახლა მოსწყდა და გავარდა, ეს კი მისდევდა და სულ ესიტყვებოდა, რაღაცას მიბურტყუნებდა ჯიუტად. ბოლოს იმან პირი უკან ქნა, გვერდით ჩამოურბინა და ისევ ღელისკენ დაქანდა. ეს ვერ ეწეოდა, მიკვნესარე მიჩაქჩაქებდა და ვერაფერს ხედავდა, გარდა გამკრთალი ჩრდილებისა, რომლებიც წაეფინებოდნენ ხოლმე იმას, მიუწვდომელსა და ხელიდან დასხლტომილს. ამასობაში იმან ღელე გადატოპა, ბილიკით მცირე მანძილი აირბინა, შეჩერდა და ბალახს დაუწყო წიწვნა.

ეს აღარ კვნესოდა. ღელეს მიატანა და ისევ შიგ შევიდა ყოველ ნაბიჯზე ფეხების მაღლა-მაღლა მწვეველი, თითქოს სულ იმას შიშობს - წყალი არ გაიპოზაო ფეხქვეშ, ან იქნებ არ იცოდა, ფეხქვეშ რა დაუხვდებოდა და ეს იყო მხოლოდ. ამჯერად არ დაცემულა. მაგრამ გაღმა ნაპირზე გავიდა თუ არა, ის, მართალია, ნაბიჯით, მაგრამ მაინც სწრაფად გაუყვა ბილიკს, ასე რომ, ამას გაკიდება მოუხდა. ვერ ეწეოდა, მიკვნესოდა და ამ კვნესით გამოიხატებოდა გაკვირვება, ნირის წახდენა და სიჯიუტე. ის იმავე გზით ბრუნდებოდა, რომლითაც იმ დილით მოსულიყო და რომლითაც ყოველდღე მოდიოდა ხოლმე, ეს კი, ეტყობა, ვერ ხვდებოდა ამ ამბავს, არც იცოდა, საით გარბოდა, ველარავის ხედავდა, გარდა იმ ძროხისა, ალბათ მაშინაც ვერ მიხვდა - ეზოში ვართო, როცა ძროხამ ეზო გადაჭრა და ბოსელში შევარდა იქიდან სულ ერთი საათის წინ გამოსული, თუმცა საერთოდ კი უნდა სცოდნოდა ამას საიდან მოდიოდა ხოლმე ის დილდილაობით, რადგან თითქმის მთელ ამ მიდამოს იცნობდა და ჯერ მხარი არასოდეს ჰქცევდა. ალბათ ვერც იმას მიხვდა, ძროხა რომ თავის ბაგაში იდგა უკვე. ეტყობა, მხოლოდ ის იცოდა, რომ ძროხა გაჩერებულიყო, ბოლოს და ბოლოს აღარ გაურბოდა, იმიტომ, რომ მაშინვე შეწყდა ამის შფოთიანი, მოუთმენელი კვნესა და ესეც ბაგაში შევიდა ისევ იმასთან შემსიტყვებელი, რაღაცის მობურტყუნე, ლორწოჩამოდენილი და მისი შეხების მოსურნე. ის შეტოკდა; საეჭვოა ეს მიმხვდარიყოს - ახლა კი ველარ გამექცევაო, მაგრამ ძროხა აღარ გარბოდა და ეს ამბავიც კმაროდა. ისევ შეეხო ხელათროლებული, ხმაკანკალებული. მერე კი ზურგზე იწვა, ძროხა ზედ ამის თავთან ჯერაც წიხლებს სცემდა ფიცრულ კედელს, ხოლო ამას უზარმაზარი ნაგაზი წამოსდგომოდა. წამიც და ვიღაცამ ქეჩოში ხელი ჩაავლო, წამოაყენა. და, აი, უკვე გამოუთრევიათ ბოსლიდან, ჰიუსტონს ამის ქეჩოსთვის ხელი ჯერაც არ შეუშვია და უკურთხებს, ხოლო ამან არც კი იცის, რომ ეს მძვინვარება კი არაა, არამედ უიმედო გულისჯავრი. ძალი ცოტათი მოშორებით იდგა მომლოდინედ.

- აიკ 3' მოუპი, - აღმოთქვა ამან. - აიკ 3' მოუპი.

- ფუი ეშმაკს, - თქვა ჰიუსტონმა და შებერტყა. - გაეთრიე! ჩქარა-მეთქი! მოაშორე აქედან, - უბრძანა ძაღლს. - ოღონდ არ უკბინო, იცოდე!

ძაღლმა დაყევა. ადგილიდან არ დაძრულა, ისე წამოყევა და ეს, განუწყვეტლივ მკვნესარი, განწირული მზერით ჰიუსტონისთვის რაღაცის ახსნის მოსურნე, ღია ჭიშკრისკენ გაჩლახუნდა. ნაგაზი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ამან ბოსელს მიხედა, ხელახლა შეეცადა რაღაც ეთქვა მზერით, მაგრამ დუჟმოდენილმა მხოლოდ ამოიკვნესა, ნაგაზმა კი ისევ შეუყევა, ერთი ნაბიჯი, ერთადერთი ნაბიჯი გადმოდგა ამისკენ და ამანაც ძრწოლით შეხედა და ჭიშკრისკენ წაჩაქჩაქდა. ძაღლმა ზედიზედ სამჯერ დაყევა, ამან ხრინწიანი ხმით საცოდავად ამოიხავლა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ვაი-ვაგლახით მოუსვა სქელ-სქელ ფეხთა გაჭირვებით მომნაცვლებელმა.

- არ მიეკარო! - უყვირა ძაღლს ჰიუსტონმა.

ოღონდ ამას არ გაუგონია. ზურგს უკან ნაგაზის თათების თქარათქური ესმოდა მხოლოდ. შიშით აღმუვლებული მძიმედ გარბოდა ჭიშკრისკენ.

და, აი, ახლა ვეღარ ბედავს მიაკითხოს ხოლმე. მხოლოდ იმას ბედავს, ბალახში იწვეს, დაელოდოს, მისთა ფეხთა ხმას მიაყუროს, ნისლის გაფანტვისას იხილოს - და მეტი არაფერი. ამიტომ წამოდგება ხოლმე და დგას ასე, ოდნავ ირწევა კიდევ და ჩუმად კვნესის ხრინწიანი ხმით. მერე შემობრუნდება და გორაკს შეუყვება მობორძიკე, რადგან მისი თვალები ჯერაც დაბრმავებულია მზისგან. მაგრამ აი, შიშველ ფეხებქვეშ გზის მტვერს იგრძნობს და რაც ძალი და ღონე აქვს კვლავ გაიქცევა განუწყვეტლივ მკვნესარი. მტვრიან გზაზე მისი ჩრდილი უფრო და უფრო მოკლდება, მზე მაღლა მიიწევს, ზურგს უცხუნებს და კომბინეზონს აკრული სველი ტალახი ზედ ახმება ნელ-ნელა. ბოლოს მიატანს სახლს, სადაც დაულაგებელი ოთახები და გაუსწორებელი ლოგინები მიელის. მალე ჩვეულ საქმეს მიჰყოფს ხელს - იატაკს გვის, დროდადრო თუ შედგება ხოლმე მწუხარედ და თავგზააბნეულად მკვნესარი, მერე კი ისე, ჩუმი გოცებით ჩააშტერდება ჯაგრისის წინ გაცურებულ მტვრისა და ნაგვის გროვას. იმიტომ, რომ იატაკის მხვეტელსაც კი თვალწინ უდგას ის - ნათელი, მზის ათინათი მოციალე.

ზედა სართულზე ოთახს გვიდა და უცებ კვამლი დაინახა. მაშინვე მიხვდა, სადაც გაჩენილიყო ხანძარი, - იქ, ღელეს გაღმა, ისლიან და მანანისბუჩქებიან გორაკზე. და, თუმცა იმ გორაკს სამი მილი მაინც ამორებდა, უმალ წარმოიდგინა, როგორ გაურბოდა დაფეთებული ძროხა ცეცხლს, მისი ზმუილიც ჩაესმა. ადგილს ისე მოსწყდა, ჯაგრისისთვის ხელი არ შეუშვია, უაზროდ მიასკდა კედელს, თითქოს ბუზი ყოფილიყოს, ანდა მახეში მოხვედრილი ფრინველი, მერე ვიწროსა და მაღალ ფანჯარას შეეჩება და კვლავ კვამლი დაინახა, - ამ ფანჯარაში მაინც ვერ გამძვრებოდა, გინდაც თვრამეტი ფუტის სიმაღლიდან გადაშვება გაებედა. ბოლოს ამის წინ დერეფნის კარი აღმოჩნდა, თავკუდმოგლეჯილი გავარდა ისევ ჯაგრისიანად და დერეფნით კიბეს მიაშურა, მაგრამ ამ დროს მეორე ოთახიდან მისის ლიტლჯონი გამოვიდა და შეაჩერა.

- აიზეკ, - უთხრა ქალბატონმა. - სად მირბიხარ, აიზეკ?

ხმა არ აუმაღლებია, არც კი შეხებია, მაგრამ ეს შეჩერდა, აკვნესდა, თან გამოთაყვანებული თვალებით მისჩერებოდა და ფეხიდან ფეხზე ინაცვლებდა, კატამ რომ იცის ხოლმე გახურებულ სახურავზე, ისე. მაშინ მისის ლიტლჯონმა ხელი გაუწოდა, მხარში ჩაავლო, შეაბრუნა და ესეც მორჩილად, კვნესა-კვნესით გაბრუნდა უკან, ოთახისკენ; ის იყო, ერთი-ორჯერ ჯაგრისიც მოუსვა, რომ ფანჯარაში ისევ დაინახა კვამლი. ამჯერად კარს თითქმის მაშინვე მიაგნო, ოღონდ აღარ გაქცეულა. მცირე ხანს შეყოვნდა ჩუმიად მოწყმდილე, ხელში ჩაბლუჯულ ჯაგრისს დახედა, მერე წუთის წინ საგულდაგულოდ გასწორებულსა და გადატკეცილ ლოგინს, წკმუილი შეწყვიტა, საწოლთან მივიდა, საბანი გადასწია და ჯაგრისი ბოლოთი ბალიშზე მიასვენა, თითქოს ვისიმე თავი ყოფილიყოს, საბანი წაახურა, თავისი უჯიათი ხელებით ლოგინი წარმოუდგენლად სწრაფად და მარჯვედ გასწორა და გავიდა.

ამგზობაზე კრინტიც არ დაუძრავს. ფეხაკრეფით მიმავალმა მაინც საოცრად სწრაფად და უხმაუროდ განვლო დერეფანი; მისის ლიტლჯონი ჯერ გვერდითა ოთახიდანაც არ გამოსულიყო, რომ ეს უკვე კიბეს მიაწყდა და დაშვებას შეუდგა. პირველად, ამ სამი წლის წინ, არასგზით არ სურდა კიბეზე დაშვება. მაშინ ზემოთ თვითონვე ასულიყო, სხვის დაუხმარებლად; ვერავინ შეიტყო, კიბეს აპყლოდა თუ ოთხზე ეფორთხა, ან, იქნებ, მაღლა-მაღლა ისე აცოცებულებოდა, არც იცოდა, რას აკეთებდა, სიმაღლის გრძნობა ჯერაც არ გაღვიძებოდა. მისის ლიტლჯონი შინ არ ჩანდა, დუქანში წასულიყო. ვიღაც გამვლელს ამის ყვირილი შემოსმოდა და, როცა მისის ლიტლჯონი დაბრუნდა, წინა ოთახში ხუთი თუ ექვსი კაცი დახვდა შეყრილი - თავები აეშვირათ და შესცქეროდნენ, როგორ ჩაფრენოდა ეს მოაჯირს კიბის ზედა საფეხურთან, თვალები დაეხუჭა და ბლაოდა განწირულად. მისის ლიტლჯონი რამდენს დააპირებდა, მოაჯირს მოეწყვიტა და ძირს ჩაეყვანა, ეს თითებს უფრო მაგრად უჭერდა და ღრიალებდა. სამ დღეს იჯდა იქ, მისის ლიტლჯონს საჭმელი აჭქონდა, ხოლო ხალხი შორიდანაც მოდიოდა ამის გასაგებად - რასშვრება, ისევ იქ არისო? ვიდრე ბოლოს და ბოლოს, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ არ აიძულა ძირს ჩასულიყო. თუმცა მაშინაც კარგა ხანს გაგრძელდა ეს ამბავი, რამდენიმე წუთს, წინა ოთახში კი ხალხი შეყრილიყო და უყურებდა, როგორ ებლაუჭებოდა ეს მოაჯირს აღრიალებული, ხოლო ალერსიანი, ოღონდ მტკიცე ხელი და წყნარი, შეუვალი, მოთმინე ხმა აიძულებდა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაპყლოდა საფეხურებს. ამ ამბის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ეცემოდა ხოლმე, როცა კიბეზე დაშვებას შეეცდებოდა, იცოდა - დავეცემიო, და წინასწარ აკვნესდებოდა ხოლმე, ანდეზე გააბიჯებდა, სიცარიელეში, თავდაყირა გადაეშვებოდა საფეხურებზე მჯექველი და ტკივილით კი არა - გაოგნებით ტანჯული, და ბოლოს წინა ოთახში იატაკზე გაიშხლართებოდა და ღრიალებდა შიშნაჭამი და უნდო მზერით სიცარიელეს მიმტერებელი.

გარნა ბოლოს და ბოლოს შეეჩვია კიბის ავლა-ჩამოვლას. და ახლა ოდნავ შეყოვნდა მხოლოდ, ვიდრე პირველ ნაბიჯს გადადგამდა არცთუ თამამად, მაგრამ არც მფრთხილად. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას თითქოს სიცარიელეში გამოეკიდებოდა ხოლმე; ამ დროს მის ქვეშ წამით პირს აღებდა გამოუცნობი სივრცე, ლამის უფსკრული; მაგრამ, აი, უკვე წინა ოთახში აღმოჩნდა, უკანა ეზოში გავარდა, აქ კი შედგა, აქეთ-იქით რწევა დაიწყო და მის უაზრო სახეს შეცბუნება აღებქდა. იმიტომ, რომ აქედან კვამლი არ

ჩანდა, ამას კი ახსოვდა მხოლოდ მოტიტვლებული გორაკი, საიდანაც ნისლში ეშვებოდა ხოლმე ღელისკენ და იმას ელოდებოდა, ხოლო ახლა ყოველივე სხვაგვარად გამოიყურებოდა. ახლა ამის ირგვლივ სინათლეა, მზე, და ყოველივე იხილვება, - თვითონაც, ხეებიც, მიწაც და სახლიც, - ყველაფერი ზუსტად და თვალსაჩინოდ არის გამოსახული. აღარც წყვდიადია, აღარც წყვდიადში სირბილი და მისგან ლტოლვაცაა საჭირო, და ყოველივე სხვაგვარია. ცოტა ხანს იდგა გამომტერებული, მკვნესარი და აქეთ-იქით მოქანავე, მერე ეზო გადაჭრა და ჭიშკრისკენ გაემართა. ჭიშკრის გაღება უკვე კარგა ხანი იყო, რაც ესწავლა. ურდული გადასწია და ჭიშკარი ვითომც არ ყოფილიყო მის წინაშე; გავიდა, თითქმის მაშინვე მიაგნო ღობესთან გაღებულ საგდულს, დაკეტა, ურდული გაუყარა, კვნესა-კვნესით გაიარა მზედაფრქვეული ბაკი და თავლაში შევიდა.

თავდაპირველად ვერაფერი დაინახა მზით დაბრმავებულმა. მაგრამ აქ რომ დასაძინებლად მოდიოდა, მაინც სიბნელე იყო ყოველ საღამოს, ასე რომ, გულდაჯერებულმა მიაშურა თავისი საკუჭნაოს კუთხეს, ორივე ხელით კარის წირთხლს ჩაეჭიდა, ცალი ფეხი საფეხურზე შემოდგა, მეორით მიწა მოსინჯა, ზურგუკულმა სინათლეზე გამოვიდა, შემობრუნდა და შუქმა გააყრუა უჩუმარი ღრიალით, მყარი და ხილვადი გახადა უმაღლ; ოღონდ ეს უკვე იქითკენ მიჩაქჩაქებდა, გორაკისკენ, საიდანაც ფერდობს ჩაირბენდა ხოლმე ნისლში, ღელის პირისკენ, რათა ჩაწოლილიყო იმის მომლოდინე. ბაკი გადაჭრა და მავთულის ღობეში საძრომს მიატანა. კომბინეზონი მავთულს წამოედო, მაგრამ გაიქაჩა, თავი გაითავისუფლა და აუკვნესებლად წაძუნძულდა თავისი დიაცური ბარდაყების მიმაქნეველი. სახეზე და თვალეში შემფოთება ეხატებოდა.

გორაკამდე სამი მილი რომ გაირბინა, გზიდან გადაუხვია და ფერდობზე აიჭრა; გაღმა კვამლი დაინახა, კვლავ ხრინწმორეული ღრიალი აღმოხდა ზარდაცემულს და ღელისკენ დაქანდა. არსად დაყოვნებულა, არც უყოყმანია, გაქანებული შეიჭრა ჭავლდაკრულ წყალში, მირბოდა, ეცემოდა, ისევ გარბოდა, ვიდრე პირქვე არ წაიქცა, მერე ერთიანად გალუმპული წამოიმართა და მუხლამდე წყალში მდგარმა ღრიალი მორთო. ჯერ ერთი ფეხი ასწია მაღლა და ისე გადადგა, თითქოს კიბეზე ადისო, მერე ისევ და ისევ მოინაცვლა ნაბიჯი გაქცევის მოწადინემ და ხელახლა წაემხო წყალში. ოღონდ ამჯერად უკვე ნაპირს მიატანა გაწვდილი ხელებით, ხოლო წამომდგარს მისი დამფრთხალი ზმული შემოესმა მახლობელი გორაკის გარემომცველი კვამლის საბურველს იქით. ფეხი წყალს ამოაცილა და ისევ გავარდა. ამგზობას უკვე მიწაზე წაიქცა. ძლივძლივობით წამოიმართა სველი კომბინეზონით მოსილი, მინდორი გადაირბინა, მერე კვამლით დაბურულ ბორცვს შეუყვა. უქარო დღე იყო და კვამლი უძრავად იდგა, მოკაშკაშე მზის შუქზე ცისფრად, მერე ღია ვარდისფრად, იასამნისფრად და ბოლოს სპილენძისფერ-მეწამულად ისახებოდა.

გაშლილი მობიბინე ჭალა ერთ მილზე დარჩა უკან, აქ გორაკები იწყებოდა - აპალაჩის მთათა უკანასკნელი, ოდნავა შესამჩნევი მოცისფრო კვალი მიწის პირზე. ეს მიწა-წყალი ოდესღაც ჩიკასოს ტომის ინდიელებს ეკუთვნოდათ, მერე, სადაც კი შესაძლო იყო, ახოებად აქციეს, მაგრამ სამოქალაქო ომის შემდეგ მიატოვეს, პატარ-პატარა გადასატანი სახერხებილა შემორჩა ალაგ-ალაგ. მაგრამ ახლა მათი სახსენებელიც აღარსად იყო და მათ ადგილს

წამოზვიწული ჩანდა დამპალი ნახერხის გროვა, - კაცთა მოდგმის დაუოკებელი სიხარბის სავალალო ძეგლი. მერე და მერე ამ არემარეზე ხელახლა წამოიზარდა დაკოინებული ფიჭვები და მუხები, მათ ქვეშ შინდიც აყვავდა, მაგრამ შემდეგში ეს ტყეებიც გაჩეხეს, სართავ დაზგათა თითისტრებად მოიხმარეს, და ნაყანარებს, რომლებსაც ხნულის ნიშანწყალიც აღარსად აჩნდათ, თითქოს ზედ გუთანს არასოდეს გაეველოს, ორმოც წელიწადს წვიმა რეცხავდა, ყინვა ფიტავდა, ხვატი ახმობდა, ასე რომ, ის არემარე თანდათანობით იქცა უბრალო მანანის ბუჩქებითა და ბალახით დაფარულ, დახრამულ ზეგნად, სადაც კურდღლები და მწყერები მომრავლებულიყვნენ და სადაც თეთრ-წითელი ნაშალი მიწა ჩანდა ფერდობებზე. სწორედ ამგვარი ფერდობისკენ მირბოდა ახლა, ნაცარში მირბოდა და ვერც კი ხვდებოდა ამ ამზავს, რადგან აქ მიწას უკვე მოესწროგაცივება, მირბოდა შარშანდელი ისლის გაშავებულ ღეროებზე, აქა-იქ დაწვას გადარჩენილი მცენარეულობის კუნძულებზე, სადაც ზოგჯერ გაკრთებოდა თეთრ-მოცისფრო ზიზილების საღად შენახული ფურცლები, ზემოთ მირბოდა, ბორცვისკენ.

კვამლი კედლად აღიმართა ამის გზაზე; კვამლიდან კი დაფეთებული ძროხის განწირული ზმუილი მოისმოდა გაუწყნარებლად. მის ძახილზე ეს პირდაპირ კვამლში შევარდა. ფეხთა ქვეშ მიწა გაუხურდა. ხან ერთ, ხან მეორე ფეხს სწრაფ-სწრაფად აიკაუჭებდა; ერთხელ თავადაც დაიყვირა ხრინწიანად და გაოგნებულად, და კვამლი, ბუჩქნარი, ბორცვები, გამაყრუებელი ღრიალით გამოეხმაურენ. ყოველი მხრიდან მოაწყდა ეს ღრიალი, - ზემოდანაც და ქვემოდანაც. სულის მოსათქმელად შეჩერებულს ფლოქვების ხმა შემოესმა და ცხენი გამოჩნდა, პირდაპირ კვამლიდან მოევილინა რაღაც საზარელი, ველურად თვალბმოკიაფე და ფაფარაშლილი ურჩხული და ამას მომართა. ორივენი ახივლდნენ ერთმანეთის შეხედვისას, მერე კი ველურად მოკიაფე თვალეები, ყვითელი კბილები და ბოროტად მოზეიმე ვეება წითელი ხახა ამას დააცხრა და იქვე ჩაუქროლა, რადგან ცხენმა ნახტომის დროსვე იცვალა გეზი, და ამ ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულის მიერ აღძრულმა ქარმა თმა და სამოსი აუშალა. ცხენი გაქრა. ეს ისევ იქით გაიქცა, საიდანაც ზმუილის ხმა მოდიოდა. და როდესაც ზურგს უკან ხელახლა შემოესმა ფლოქვების თქარათქური, არც კი მიუხედავს, არც უყვირია. გარბოდა, გარბოდა უკანმოუხედავად, ხოლო მიწაზე ისევ ყრუდ გაითქარუნა ფლოქვებმა, ისევ წამოეწია გულის გამგმირავი ხივილი. ორივე ხელი თავზე წაიფარა და პირქვე დაეცა, ირგვლივ ისევ აწივლდა ცეცხლით მსუნთქავი ქარი, გადარეულმა ცხენმა ისკუპა, მიწაზე გართხმულ სხეულს გადააფრინდა და თვალს მიეფარა.

ეს წამოდგა და გაიქცა. ახლა ძროხა ახლოს იყო უკვე, წინ მისგან დამაშორიშორებელი ცეცხლის თხელი, მოვარდისფრო ფენა დაინახა, მიწას გაკრული კვამლში. როგორც კი ამის ტერფი მიწას შეეხებოდა, საცოდავად შეჰყვირებდა და მასზე სხეულის სიმძიმის დაყრდნობამდე უკვე ისწრაფოდა, მიწისთვის აეშორებინა ის ფეხი, მაგრამ მყისვე შეჩქვიფდებოდა და წამით დავიწყებულ მეორე ფეხს შეიგრძნობდა ზარდაცემული, ასე რომ, ახლა წინ კი აღარ მიიწევდა, ერთ ადგილზე ბუჩქავდა. და უცებ ჩაესმა, რომ ცხენი ისევ ამისკენ მოქროდა. მაშინ ძლიერ დაიყვირა. მისი ყვირილი და ცხენის ჭიხვინი ერთ ველურ, შმაგ, განწირულ ხმად შეირყა. ეს პირდაპირ ცეცხლში შევარდა გადასალახავად, ჰაერზე, სინათლეზე. მზეზე გასაჭრელად, თან ძონძებივით ათრეულ ალს იბერტყავდა. ძროხა ახლა ამისგან ათიოდე ფუტზე იდგა,

ხრამის პირას, დრუნჩი ცეცხლისკენ გამოეშვირა და ზმუოდა. ძლივს მოასწრო მასთან მიჭირლიყო და თავისი სხეულით ძროხას გადაფოფრებოდა თავზე ხელეზაფარებული, რომ გაგიჟებული ცხენი კვამლიდან გამოვარდა და მათზე წამოვიდა.

მხარი არც კი უცვლია, გამოჭენებულმა შეუჩერებლად ისკუპა. ყვითელი კბილები, ველურად მოელვარე თვალები, ვეება წითელი ხახა, ფაფრისა და ძუის მძვინვარე ორომტრიალში დანთქმული, მათ მოაფრინდა და ცხენი როგორღაც შემზარავად ნელა გადაევიდა მათ თავზე. ჰაერი ისე იძრა, თითქოს გაავებულ ფრთათა კვეთება დასტყდომოდეს, ნალებმა ოთხ ნახევარმთვარედ გაიელვა და მოჭიხვინე ცხენი ხრამში გაუჩინარდა. ძროხაც და ესეც უკან მიჰყვნენ, თითქოს ცხენის ნახტომისას გაჩენილმა სიცარიელემ გადაითრიაო. მიწა აიყალყა და ჩაიმზღვლა მათ ქვეშ უფსკრულის განმხმელი, უცბად, მოწყვეტით, ისე, რომ დამამშვიდებელი თანდათანობა არ უგრძნიათ. ამას ხმა არ დასცდენია, როცა ნაშალი ფერდობით სამივენი ფსკერისკენ გადაიჩხენენ, სადაც ცხენი ოთხივე ფეხზე დახტა და არც შეჩერებულა, ისე გაჭენდა ხრამის ფსკერზე, ხოლო ამან, აზმუვლებული და წიხლების მსროლელი ძროხის ქვეშ რომ დაეტანია, იგრძნო, ზედ როგორ გადმოეღვარა ფუნა. ზემოთ ცეცხლის უკანასკნელი ენა ხრამის კიდეს გაელამუნა, მიილია, ჩაქრა და მკრთალ ბოლად ადინდა ნათელი ცისკენ.

თავდაპირველად ვერაფრის დიდებით ვერ დაიურვა ძროხა. გაჭირვებით ფეხზე წამომდგარი ამას შემოუბრუნდა, რქები მოაღირა და დაიბღავლა, ამან რომ მისკენ ნაბიჯი გადადგა, განერიდა და ჩამოქცეულ კბოდეს ააწყდა ნაშალ ქვიშაზე ფეხმოცურებული, თითქოს საშინლად დაერცხვინოს და ცდილიყოს გაჰქცეოდეს მხოლოდ ამას კი არა, მის მოსურნეს, არამედ სულაც იმ არემარეს, სადაც მისი მყუდროება შეელახათ, სადაც წყვდიადიდან მუხანათურად დასხმოდნენ თავს, ხოლო ის გაბახებულიყოს თავისი ბუნებითი სისუსტის გამო. ეს კი უკან მისდევდა, ამუნათებდა, ცდილობდა, განემარტა – მაგ საჩოთირო მარცხისთვის არავინ დაგძრახავს, რადგან ბუნების მარადიული წესი ასეთიაო. მაგრამ ძროხა არ უსმენდა, ზევით მიიწევდა ნაშალ ფერდობზე მოცურებული. მაშინ ეს ბეჭით შეუდგა და უბიძგა. ერთი-ორი ნაბიჯით კი აიწია ორივემ, მაგრამ ქვიშა ფეხქვეშ ეცლებოდათ, ბოლოს ძალა გამოეღიათ და ერთიმეორეს მიკრულნი ისევ ქვემოთ, ხრამის ფსკერზე ჩამოცურდნენ. ისევ მიეზინა ბეჭით გავაზე, ისევ გაიქაჩნენ ციცაბოზე ასაფორთხებლად, ერთი თუ ორი ნაბიჯიც გადადგეს, მაგრამ ვერაგი ქვიშა ხელახლა გამოეცალათ ფეხქვეშ. ამან ალერსიანად გაამხნევა და ორივემ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა. მაგრამ მიწა ისევ აიყალყა; ხრამის ფსკერიც, ქვიშიანი ციცაბოც – ყველაფერი ფეხქვეშ გამოეცალათ და ზემოთ აიჭრა, გაფერმკრთალებული, ჯერაც გაბოლილი ზეცისკენ. და, აი, უკვე ფსკერზე ფართხალებენ ხელახლა. ეს ისევ ძროხის ქვეშ მოტანებულა, მაგრამ გამეტებით მწიხლავი ძროხა ბოლოს და ბოლოს წამოვარდა დააბღავლებული იქითკენვე გაჭენდა ხრამში, საითაც ადრე ცხენი გაუჩინარებულიყო, და თვალს მანამდე მიეფარა, ვიდრე ეს წამოდგომას და მის დაწევას მოახერხებდა.

ხრამი ზედ ღელესთან მთავრდებოდა. ეს თითქმის მაშინვე ისევ სამოვარზე მოხვდა, მაგრამ ალბათ არც შეუმჩნევია, რადგან წინ გაქცეული ძროხის მეტს ვერაფერს ხედავდა. ეტყობა, ვერც ის ფონი იცნო, სადაც ისინი ღელეს

გადი-გამოდიოდნენ ხოლმე. მაშინაც ვერ იცნო, როცა ძროხამ ნაბიჯი შეანელა, წყალში შევიდა, შეჩერდა და წყლის სმას მოჰყვა, ხოლო ამან, აგრეთვე ნაბიჯშენელებულმა, უკან მისდია და უთმინოდ, ოღონდ ჩუმად აკვნესდა - არ დავაფრთხოო. და, აი, ეს კვნესაშეკავებული ნაპირთან მიდის, ერთ ადგილას იტკეპნება და აწითლებულ, დამწვარ სახეზე დამაბულობა და მოუთმენლობა აღბეჭდვია. ძროხა აღარ გაურბის და ესეც ბედავს ხელახლა შედგას ფეხი წყალში, უკეთ - წყალზე, რადგან უკვე დავიწყნია, რომ წყალი გაიპობა მისი სიმძიმისაგან; მერე წამოიყვირებს - იმდენად გაკვირვებისაგან არა, რამდენადაც იმის შიშით - ძროხა არ დავაფრთხოო, უფრო ღრმად შედის, მიტყაპუნდება და ძროხას ხელს უთათუნებს. ძროხა წყლის სმასაც კი არ ანებებს თავს; გადის ერთი წამი, მეორე, ამის ხელი მის ფერდზე დევს, და მხოლოდ ახლა სწევს ძროხა დრუნჩს, რომლიდანაც წყალი ჩამოწურწურებს, თავს ამისკენ შემოაბრუნებს და უცქერის ფიქრიანად. აღარ უფრთხის.

სწორედ აქ წაადგათ თავს ჰიუსტონი. უბელო ცხენი სამოვარზე ეჭენებინა დაოთხილი, ძალიც უკან მოსდევდა. მოიჭრა და დაინახა სქელ-სქელი გონჯი კაცი, რომელიც ძროხის გვერდით ჩაცუცქულიყო და ტირიფის ტოტით ხელუმარჯვოდ უბანდა უკანა ფეხებს.

- როგორაა, გადარჩა? - გადმოსძახა და, რაკი აღვირიც არ გაეკეთებინა ცხენისთვის, შესაჩერებლად დაუწრუწუნა. - ჰო, დადექი, შე სამგლე! ჰეი, თქვენ, რატომ არ ეცადეთ ცხენი დაგეჭირათ? რომ მოეტება... - ამ დროს ჩაცუცქულმა კაცმა დამწვარი სახე შემოაბრუნა და ჰიუსტონმაც იცნო, ვინ იყო. ხმამაღლა შეიგინა, ცხენის შესაყენებლად ფაფარი მოქაჩა, თავად მის გაჩერებას არც დალოდებია, ფეხი გადმოიქნია და ჩამოხტა, თან იგინებოდა - გაშმაგებული კი არა, უიმედოდ გულმოსული. თავის განუშორებელ ნაგაზთან ერთად ნაპირისკენ დაეშვა, დაილუნა, წყალდიდობისას ჩამოტანილ ხმელ ტოტს დასწვდა და ძროხას გადაუჭირა, ჯოხის ნატეხი კიდეც უკან მიაყოლა, როცა ძროხა მეორე ნაპირს მიაწყდა. - დაიკარგე აქედან! - დაუყვირა ჰიუსტონმა. - სახლში წადი ახლავე, შე წუწკო! - ძროხამ ცოტა გაირბინა, მერე შეჩერდა და ბალახს დაუწყყო წიწვნა. - გააგდე სახლში! - უთხრა ძალღს ჰიუსტონმა.

ნაგაზი ადგილიდან არ დაძრულა, დინგი აიშვირა მხოლოდ, მოწყვეტით დაიყეფა. ძროხამ უმაღლ თავი ასწია და გაიქცა, ხოლო ღელეში ჩამდგარმა კაცმა რომ დაინახა - ნაგაზი წამოდგაო, კვლავ ხრინწიანად ამოიხავლა და ესეც წამოხტა. ოღონდ ძალი წყალში არ შესულა, არც კი აჩქარებულა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ნაპირ-ნაპირ, ძროხის პირდაპირ შეჩერდა და ისევ ერთადერთხელ დაჰყეფა რიხიანად. ახლა შემოტრიალდა ძროხა, ღელის პირს აჰყვა ჰენებით თავის ბოსლისკენ, ნაგაზი მეორე ნაპირზე მისდევდა. ასე მიეფარნენ თვალს. ორჯერ კი სცადა ძროხამ შეჩერებულიყო, მაგრამ ორჯერვე ნაგაზმა შეუყეფა მოწყვეტით.

ეს კი წყალში იდგა და კვნესოდა, უკეთ - ახლა თავად ზმუოდა ნამდვილ ძროხასავით, ხმადაბლა, გაოგნებულად. ჰიუსტონმა ღელესთან რომ მოაჭენა ცხენი, ამან უწინარეს ყოვლისა ნაგაზს გამოხედა მაშინ, ის იყო, პირიც გააღო დასაყვირებლად, მაგრამ ნაცვლად ამისა სახეზე აღებეჭდა ბრიყვული თავდაჯერებულობის ლამის გააზრებული გამომეტყველება, რაც, ჰიუსტონმა

გინება რომ დაიწყო, გაუქრა, უნდო, ნაწყენი გაოცებით შეეცვალა და აღარც მოსცილებია, ვიდრე წყალში იდგა აკვნესებული, ხოლო ჰიუსტონი ნაპირიდან დამზერდა მის წაბილწულ კომბინეზონს და გაგულისებული იგინებოდა, თან იმეორებდა:

- შენი პატრონი!.. - და ხელებს შლიდა გულჯავრიანად. მერე თქვა: - ჰეი, ამოძვერი მაქედან. მოდი აქ, - ოღონდ ეს, წყალში მყოფი, მხოლოდ კვნესოდა და იქით იყურებოდა, საითაც ძროხა მიეფარა თვალს. მაშინ ჰიუსტონი ზედ წყლის პირს მიადგა, დაიხარა, კომბინეზონის აჭიმში სწვდა, წყლიდან უხეშად ამოათრია, ნესტოებათროლებულმა აჭიმები გინებ-გინებით შეუხსნა და კომბინეზონი თითქმის მუხლებამდე ჩააძრო, გაიხადეო, უთხრა. მაგრამ ეს გაუნძრევლად იდგა და ჩუმად კვნესოდა მხოლოდ, ვიდრე ჰიუსტონმა საყელოში არ მოქაჩა; მაშინ, როგორც იქნა, შემოიცილა კომბინეზონი და პერანგის ამარა დარჩა, ხოლო როდესაც ჰიუსტონმა აჭიმს წვიპად მოჰკიდა ხელი და კომბინეზონს წყალში გადაუძახა, ამან ისევ წამოიყვირა საწყალობლად, ხრინწიანი, ძლივს გასაგონი ხმით. - რაღას უდგებარ, გაირეცხე, - უთხრა ჰიუსტონმა.

და ენერგიული მოძრაობით უჩვენა, როგორ უნდა გაეკეთებინა ეს საქმე. მაგრამ ეს მხოლოდ შეჰყურებდა ჰიუსტონს და კვნესოდა. მაშინ ჰიუსტონმა მეორე ჯოხი მონახა, კომბინეზონი ზედ დაახვია და წყალში გააღანღალა, მერე ნაპირზე ამოათრია და ჯოხის გამოუძრობლად ბალახს შეაწმინდა. პირი არ გაუჩერებია, იგინებოდა და იგინებოდა.

- აჰა, - უთხრა ბოლოს. - ახლა დამეკარგე აქედან. სახლში წადი! სახლში! - დაუყვირა. - აქ აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა! იმ ძროხის მიკარებაც არ გაბედო!

ჰიუსტონი რომ კომბინეზონის გავლებას შეუდგა, ეს მიყურდა და უჩუმრად შეჰყურებდა. ახლა კი დუჰმოდგარი ისევ აკვნესდა და უიმედოდგაგულისებული ჰიუსტონი გაოგნებული შემოაჩერდა. მერე ჯიბიდან ერთი მუჭა მონეტები ამოიღო, ორმოცდაათცენტისანი შეარჩია, გულის ჯიბეში ჩაუჩარა, ჯიბე ღილით შეუკრა და ცხენთან მივიდა, გაელაპარაკა, მერე კი ხელი გადაუსვა, ფაფარს ჩაეჭიდა და მოახტა. იდიოტმა კვნესა შეწყვიტა და მდუმარედ შესცქეროდა. როგორ ატოკდა ცხენი, ადგილიდანვე დაოთხილი მოწყდა და ფიცხლად, როგორც ამ ერთი საათის წინ, ამასა და ძროხას თავს რომ გადაევლო ხრამთან, ისე ფიცხლად გაქენდა და თვალს მიეფარა.

ეს ხელახლა აკვნესდა. ასე იდგა და კვნესოდა შეკრული ჯიბის შემყურე და ხელით მომსინჯველი. მერე მის ფერხთით დაგდებულ სველსა და დაჭუმქნილ კომბინეზონზე გადაიტანა მზერა. ცოტა ხნის შემდეგ დასწვდა და აიღო. შარვლის ერთი ტოტი გადმოზრუნებულიყო. ერთხანს მოთმინედ, კვნესა-კვნესით ცდილობდა ჩაეცვა. მერე ტოტი როგორღაც თავისთავად გადაბრუნდა. ამან კომბინეზონი ჩაიცვა, აჭიმები შეიკრა და ღელეში გატოპა ყოველ ნაბიჯზე ფეხის მალლა-მალლა მწვევლმა, თითქოს კიბეზე ადისო, ნაპირზე გავიდა და იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც აგერ უკვე სამი თვე იქნებოდა, იწვა ხოლმე გამთენიისას ძროხის მომლოდინე. სწორედ იმ ადგილას აღმოჩნდა. აქ მცირე ხანს შეყოვნდა შეკრული ჯიბის კვნესით მომსინჯველი. მერე ბორცვს შეუყვა და ამისმა ფეხებმა კვლავ შეიგრძნეს

შარაგზის მტვერი, თუმცაღა თვითონ, ეტყობა, ვერ გრძნობდა ამას, მხოლოდ ინსტინქტი შემორჩენოდა მწუხარედ სასოწარკვეთილს და იმას მიჰყავდა სახლისკენ, საიდანაც ამ დილით გამოსულიყო. პირველი მილიც არ ჰქონდა გამოვლილი, ორჯერ შეჩერდა და შეკრული ჯიბე მოისინჯა. ეტყობა, ბოლოს და ბოლოს როგორღაც მოახერხა ღილის შეხსნა, რადგან მონეტა ახლა ხელში ეჭირა, დასცქეროდა და კვნესოდა გაუჩერებლად. მერე ვიწრო, ბალახით დაფარულ მცირე ხრამზე გადებული ხის ბოგირი შემოხვდა. ვერაფრის დიდებით ვერ ახერხებდა ის მონეტა ხელიდან გავარდნოდა, იმიტომ, რომ გაუნძრევლად იდგა, ხელიც კი არ გაუქანებია, და მაინც ხელისგული უცებ დაუცარიელდა. მონეტამ მტვრიან ფიცრებზე ყრუდ გაიწკარუნა, მზეზე აბრჭყვიალდა და გაქრა. ვინ იცის, სოფლის უკიდურესი მომაგების რა თვალმოუტანებელმა, შმაგმა სწრაფვამ მოისროლა ის მონეტა! ოღონდ მაშინვე ჩაიფერფლა ის ალტყინება, იმიტომ, რომ იდიოტი წყნარი გაოცებით დააშტერდა ცარიელ ხელისგულს და კვნესაც კი შეწყვიტა, ხელი შეატრიალა, რათა ხელის ზურგზე დაეხედა, მერე მეორე ხელის მტევანი გაშალა, თვალთან მიიტანა. მაშინ გაუგონარი ძალისხმევით – ეს თითქმის ფიზიკური დამაბზვა იყო, მშობიარობის დროს რომ ხდება, ისეთი – ამან შეძლო ორი აზრი დაეკავშირებინა, თითქოს უკან გაბრუნებულიყოს, წარსულში, მოვლენათა ლოგიკური თანმიმდევრობა აღადგინა და ერთხელ კიდევ მოსინჯა გულისჯიბე, შიგაც კი ჩაიჭვრიტა, ოღონდ წამით, თითქოს იქ მონეტის პოვნის იმედი არ აქვსო. მერე კი უეჭველად მხოლოდ ინსტინქტის მორჩილმა ფეხქვეშაც დაიხედა, მტვრიან ფიცრებს დააკვირდა. მეტს აღარ კვნესოდა, უჩუმრად იდგა ფიცრებს ჩაშტერებული და ფეხს ინაცვლებდა; მერე წამობორძიკდა და იმ მცირე ხრამში ჩავარდა. ძნელი სათქმელია, თავისი ნებით მოიმოქმედა ეს ამბავი თუ უნებურად, ოღონდ ამჯერადაც ინსტინქტმა, მიწიერი მიზიდულობის ბუნებითმა გაუქრობელმა ალლომ აიძულა ბოგირქვეშ ეძებნა ის მონეტა, თუკი საერთოდ ეძებდა რასმე ბალახში ჩაცუცქული და ჩუმად თავის მოკანტურე. ამ წუთიდან მოყოლებული კრინტიც აღარ დაუძრავს. ცოტა ხანს კიდევ იყო ჩაცუცქული, ბალახს წიწვნიდა და მის მოძრაობას აღარ ახლდა ის შეუსაბამო სიმარჯვე, რომლის მეოხებითაც მისი უჯიათი ხელები თითქოს მასზე დამოუკიდებლად სძლევდა გასაკეთებელ საქმეს; მისი შემყურე იფიქრებდით – სულაც არ სურსო მონეტის პოვნა. მერე კი ყველა მიხვდებოდა, რომ არ ცდილა მის პოვნას. როდესაც ცოტა ხნის შემდეგ გზაზე ფურგონი გამოჩნდა და კოფოზე მჯდარი კაცი ბოგირის გადავლისას შეეხმინა, ამან თავი ასწია და სახე უაზროც კი არ ჰქონია, – ეს სახე უღრმეს სიმშვიდეს მოეცვა; ფურგონიდან სახელი რომ გადმოსძახეს, არ უპასუხია, ის ერთადერთი ხმაც არ გაუღია, რომლის გაღებაც იცოდა, ან, ყოველ შემთხვევაში, ერთადერთი ხმა, რომელსაც გაიღებდა ხოლმე, როდესაც შეესიტყვებოდნენ.

ვიდრე ფურგონი თვალს არ მიეფარა, არ შერხეულა, თუმცა თვალი არც გაუყოლებია მისთვის. მერე წამოდგა და გზაზე გამოვიდა. და, აი, უკანვე მიძუნძულებს უკვე, იქითკენ, საიდანაც ეს წუთია მოდიოდა, მათის ნაშუადღევის ცხელი მზის ქვეშ თავისსავე ნაფეხურებზე მიაბიჯებს გახურებულ მტვერში, იქითკენ, სადაც ყოველდღე გზიდან გადაუხვევდა ხოლმე გორაკზე ასასვლელად, ხოლო გორაკს რომ გადასცდებოდა, ძირს ეშვება, ღელის პირას. არც კი დაუხედავს იმ ადგილისთვის, სადაც სველ ბალახში წვებოდა დილდილაობით, ღელეს აღმა აჰყვა. შაბათი დღე იყო, ორი სრულდებოდა. რაღა თქმა უნდა, ამას ვერ ეცოდინებოდა, რომ სწორედ იმ დღესა და იმ

საათს უშვილო ქვრივი ჰიუსტონი, რომელიც ნაგაზისა და ზანგის მზარეულის შემყურე ცხოვრობდა ამქვეყნად, თავისი სახლიდან სამი მილის სიშორეზე დაჯდებოდა უორნერის დუქნის გალერეაში; რაღა თქმა უნდა, არც უფიქრია – შესაძლოა ჰიუსტონი შინ არ დამხვდესო. ისიც ცხადია, არ შეჩერებულა, რათა გული დაეჯერებინა – მართლა არ არისო შინ. ჭიშკარში შევარდა და ბოსლის გამოკეტილ კარს მიაშურა პირდაპირ. კართან ლურსმანზე თოკი ეკიდა. შესაძლოა, შემთხვევით ჩამოეხსნას ის თოკი, ურდულის მოსინჯვისას. ეს კია, რომ ძროხას მარჯვედ ჩააბა, რქებში. ისე როგორც მის თვალწინ სხვები აკეთებდნენ ხოლმე.

სადამოს ექვსი საათისთვის ისინი უკვე შორს იყვნენ, კარგა ხუთი მილიჰქონდათ გავლილი. ამან არ იცოდა, რამდენი მილი გაევიდოდა. ან კი რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ამბავს; ამათთვის უკვე აღარ არსებობს მანძილი დედამიწასა თუ სივრცეში, დროს აღარ გრძნობენ, ვერც გავლილი გზის სიგრძის მიმნიშნებელ დაღლას განიცდიან. სივრცეში კი არ მიიწევენ, არამედ დროში, დასალიერის საოცარი ზედეთისაკენ, სადაც სადამო და დილა შეირწყმის; ელვარე მაისი ამათ მომავალში, სახვალიოდ კი არ აკავშირებს, არამედ დღესდღეობით, ამჟამად, როცა ეს თოკს ექაჩება მისკენ პირმიქვეული, დაჟინებით ებუტბუტება სასიარულოდ მისი დაყოლიების მოსურნე. ის კიდევ გაჯიქებულა, თოკის მოშორებას ცდილობს და ზმუის თან. აგერ ნახევარი საათი იქნება, რაც უძალიანდება უკვე, რადგან დაბერილი ჯიქანი ამძიმებს, უკან, სახლისკენ ეზიდება. გარნა ეს არ უშვებს, ნელ–ნელა თოკს იმოკლებს და მერე თავისუფალი ხელით ჯერ დრუნჩზე ეფერება, მერე ქედზე უსვამს ხელს, ემუდარება, და ბოლოს ძროხა აღარ ჯიუტობს, სვლას განაგრძობს. ფიჭვნარით დაფარულ ბორცვებს შორის მიაბიჯებდნენ უკვე. თუმცა სამხრობის ქარი ჩამდგარიყო, ხეთა ფაფუკი წვეროკინები სილაჟვარდეთი ჯერაც გაუწყნარებლად რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთიმეორეს. ხის ტანი და ხშირი წიწვი არფის სიმები იყო, რომლებსაც დღე ჩამოჰკრავდა ხოლმე; ხოლო მაღლა ერთიმეორის მიყოლებით მისცურავდა დამავალი დღის საოცრად მორიალე აჩრდილები; ამათ რომ ბორცვთა გრებილი გადავლეს და საჩრდილეთში, სადამოს ლურჯ ფიალაში, დამის უდრტვინველ ჭაში ჩაეშვნენ, დასალიერის დაცხრილული კარიბჭე ამათ უკან დაიგმანა. თავდაპირველად ძროხამ ხელიც არ დააკარებინა ჯიქანზე. მერეც წიხლი ისროლა, ოღონდ იმიტომ მხოლოდ, რომ უცხო, გაუწაფავი ხელის შეხება იგრძნო, და ბოლოს ქაფქაფა რძე დადინდა ამის თითებს შუა, ხელებსა და მაჯებზე ჩამოედვარა, მიწაზე გაიჩხრიალა.

მთვარიანი ღამეები იდგა. მთვარე ყოველდღე კლებულობდა თანდათანობით; ალიონზე კი მასთან ერთად ცისკრის ვარსკვლავიც აენტებოდა დამის დასასრულის მაუწყებლად, და ეს გრძნობდა, თუ როგორ დგებოდა გაღვიძებად მოქცევის წამი, ხედავდა, როგორ წამოიმართებოდა სიბნელიდან, ჯერ უკანა ფეხებზე როგორ წამოდგებოდა ძროხა. მაშინ ესეც დგებოდა, თოკის ბოლოს ტოტს მიაბამდა, წუხანდელი საკვების სუნზე კალათს მიაგნებდა და გასწევდა. ტყის პირიდან უკან მოიხედავდა. ბინდბუნდში ძროხა ჯერაც არ ჩანდა, მაგრამ ესმოდა მისი, ეს კი თითქმის იგივე იყო, – თბილი სუნთქვა იხილვებოდა ბალახის მცოცავ ფესვთა ზემო, ჯიქნებიდან დაღვრილი რძის თბილი ნაორთქლი დედდებოდა მიმქრალბულ მიწაზე.

ახლო ბოსლამდე ნახევარი მილი თუ იქნება. აი, ეს უკვე ბუნდოვანსწორკუთხედად გამოსახულა ზეცის თვალშეუდგამი, საიდუმლო წარწერებით გადასერილი გრაგნილის ფონზე. ეზოს ძალი ხმის გაუღებლად ეგებება ჭიშკართან, სიბნელეს კვეთს უხილავი და უჩუმარი, სადაც, ხედვისა და სმენის საზღვარზე მოძრავი. პირველ დილას გაავეებული ყევით მოასკდა. ეს შეჩერდა. იქნებ სხვა ძალი გაახსენდა, აქედან შორს, ხუთ მილზე დარჩენილი; ოღონდ სულ ერთი წამით, რადგან ასეთია ქუდბედიანის წერა, ამგვარია მძლეველობა გამარჯვებისა, რომელიც ყველა წინანდელი მარცხის ჯაბან სულისკვეთებას გაუსწორდება ხოლმე; ახლა ძალი კუდმოქიცინე მოეახლება, რბილად ეტმასნება ფეხებზე უჩინარი, და მისი თბილი, სველი, რბილი ენის შეხება ამის საკუთარ, მოქანავე ხელსაც შესაგრძნობს ხდის წამით.

ბოსლის ამიაკიან სულის ხუთვაში, სადაც ბღავილითა და ფლოქვთა ცემით იღვიძებს საქონელი, ამას სივრცის განცდა სულ ეკარგება. მაგრამ მაინც არ ჩერდება. კარს მიაგნებს, ბაგაში შედის; კალათს იატაკზე დგამს და აჩქარებული გულმოდგინედ იწყებს მის გავსებას, საკვებს ბლუჯა-ბლუჯა იღებს, ნახევარი ებნევა და დღესაც გუშინდელივით და გუშინწინდელივით თვითონვე ტოვებს თავის საწინააღმდეგო სამხილს. რომ წამოდგება და კარისკენ შემობრუნდება, უკვე არჩევს კარის ჭრილს, რომელიც ყოველივე გარემომცველზე ნაკლებ რუხია და თან, თითქოს მისი შებრუნებისთანავე შავ სიცარიელეში გაუმჭირვალი მინის სწორკუთხა ნაჭერი ჩაუდგამთ, რათა სიბნელე უფრო ფანტასტიკური გაეხადათ. ახლა ფრინველის გნიასიც ესმის. საქონელი უფრო და უფრო მალლად ხმიანებს გაუწყნარებლად. უკვე კარგად არჩევს ბაგასთან მის მომლოდინე ძალს და ხვდება - უნდა ვიჩქარო, რადგან მალე ვინმე გამოჩნდება საქონლისთვის საკვების დასაყრელად და ძროხების გამოსაწველად. ბაგიდან გამოდის, კართან მცირე ხანს ყოვნდება, თითქოს აყურადებსო, ძროხებისა და ცხენების სასიამოვნო სუნს ისე ისუნთქავს, როგორც ბედნიერი მიჯნური ისუნთქავს სურნელს ქალის სხეულისა.

ბინდბუნდში ესა და ძალი ხელახლა გადაივლიან ფრინველის გნიასით სავსე ეზოს. ღობესთან, ახლა რომ გარკვევით მოჩანს უკვე, ძალი ჩამორჩება. ეს ფაცხაფუცხით ძვრება ღობეში, კალათისთვის ორივე ხელი მოუხერხებლად ჩაუჭიდა და წინ მიატარებს, თან დანამულ ბალახზე აშკარა მუქ კვალს ტოვებს. ამის თვალწინ ხელახლა ხდება ის სასწაული, რომელიც სამი დღის წინ იხილა პირველად: ზეციდან კი არ ეღვრება დედამიწას რიჟრაჟი, ნათელი, - პირიქით, მიწიდანვე იფრქვევა. ხეთა და ბალახთა ბრმად მცოცავი ფესვები მკვიდრი საფარველის ქვეშ, პირველქმნილ წყვილიდში, უხსოვარი დროის ნემტთა შორის, სადაც აურაცხელი ჭია მოუღლელად, დაუძინებლად ფუთფუთებს და ერთადაა მიქუჩული სახელოვანი ძვლები - მშვენიერი ელენე და ნიმფები, დამიწებული ეპისკოპოსები, მხსნელნი და მსხვერპლნიც, მეფენიც - სინათლე იღვიძებს, მოჟონავს, ზემოთკენ მოიწევს უთვალავი წვრილ-წვრილი არხის მეოხებით: ჯერ ფესვებს მოჰყვება, მერე ღეროებს, მათგან უმსუბუქესი ნისლივით ადენილი განიზნევა და ძილით გათანგულ მიწას მწერთა ნაბურანევ ზუზუნად ეკუურება; მერე დაქარგულ ქერქს მიჰყვება მალლა და მალლა ამდინარე, ტოტებს, ფოთლებს გადაუვლის უფრო და უფრო მოსწრაფე, შორს განფენილი, ფრთათა ფათქუნით და სირთა რბოლის ხმებით ავსებული, ბოლოს ზე აიჭრება და მდუმარე ღამეულ

ცარგვალს ვარდისფრად ააელვარებს. ქვემოთ კი, შორს, მჭვირვალ ბურუსში უკვე ყივილით აფათქუნებულა მამალი, მას მთელი საქათმე აჰყოლია, მერე ბოსელი, თავლა - ყველანი ესალმებიან დღის დადგომას. სამრეკლოებზე ფლუგერები სამხრეთ-დასავლეთის ქარის მობერვას აღნიშნავენ, ყანა კიდევ მხვნელს ელოდება იმ წამიდან, რაც დასალიერმა აკურთხა ხნულში უცხენოდ თავმინებებული გუთანნი და მოტოვებული კვლები ახლა სიბნელიდან ისე მოტივტივებს, თითქოს მითვლემილი ტალღები ყოფილიყოს. ბოლოს მზეც ამოდის: მანამდე წამოეწევა, ვიდრე ეს ნახევარ მილს გამოივლიდეს აქეთობას. სპილენძის უჩუქარი ხმიანობა ნამიან ბალახს ბრიალით მოსდევს და ამის ეული, წინ გატყორცილი და მიწას გაკრული ჩრდილი მიუწვდომლად გაურბის ფეხთაგან, თითქოს მიწას აერეკლოს ამის მოჯორჯილი, საცოდავი სხეული. ეს ანარეკლი, ეს ჩრდილი უკანასკნელ ბორცვზე ამალდება და სივრცეში უძრავად დაკიდებული მანამდე მყოფობს იქ, ვიდრე ეს თხემს მიაღწევდეს, მერე კი თითქოს უჩინარ ხიდად ედება გალეულ ღამეს და კვლავ ამის წინ გარბის, დაჭაობებულ დუბეს გასცდება და, ტყეს რომ მიატანს, მოკლდება ფოთოლთა მჭიდრო კედელზე აცოცებული, - ჯერ თავი, მერე მხრები, ტანი, ლაჯები და ბოლოს მთელი ჩრდილი წამოიმართება, ხოლო ეს შეუჩერებლად შეაბიჯებს მის წიად.

ძროხა, ამან რომ დატოვა, იქვე დგას და იცოხნება. დიდრონ, სველ, უგუგო თვალეზში ეს თავის თავს - ორ ერთნაირ, ციციქნა გამოსახულებას ხედავს; ხარისთვალა იუნონას თვალთაგან ეს უმზერს თავის თავს, ძროხის ისეთად მჭვრეტელს, როგორადაც ოდესღაც ხალხს წარმოუდგებოდა. კალათს წინ უდგამს. ძროხა ჭამას იწყებს. ფოთოლთა მოცახცახე ჩრდილები ძროხას ლანდად აჩენს, ისევე უსხეულოდ, როგორც ამის მორბენალი ჩრდილი იყო წუთის წინ, მაგრამ ეს მხოლოდ ეჩვენება: ერთი წამიერი შეხებაც ადასტურებს მის ხორციელობას აჩრდილთა მკრთალ ქსელში; ხელისგულის ერთი მიკარებაც უბრუნებს მას, შესაგრძნობსა და შეხებადს, იმედის უძირო სიღრმიდან. მის გვერდით ჩაცუცქული წველას იწყებს.

მერე ერთად შეექცევიან კალათიდან. ამას საქონლის საკვები წინათაც უჭამია - კოპტონიც, ქატოც, შვრიაც, სიმინდის ტაროებიც, ბუეცა და სილოსიც, - ცოტ-ცოტაობით, ოღონდ ხშირ-ხშირად კი; იმიტომ, რომ ფრინველებთან ერთად იღვიძებდა ხოლმე, თავის თეფშს ძლივს მიეკარებოდა, რასაც მისის ლიტლჯონი უმზადებდა, იმის ნახევარზე მეტს ხელუხლებელს ტოვებდა, ხოლო ერთ საათში ისევ შეექცეოდა რაიმეს. გარჩევით არ არჩევდა - რას, იმას ჭამდა, რაც დოგმებმა და კანონებმა უხსოვარი დროიდანვე „სიბილწედ“ მიაჩნევიან ყველა ორფხს. არც გემოს არჩევდა, გარდა მიწის, ჩამოცვენილი ბათქაშის, გაზეთის დაჭმუჭნილ ნაგლეჯზე წათხუპნილი საღებავის და ჭიანჭველას ცხარე სიმჟავის გემოსი; ოღონდ ერთ წესს კი ადგა მოუშლელად; მუდამ მძოვართაგანი იყო და თუ რამე ცოცხალი შეუჭამია - მცენარის მეტი არაფერი. მერე კალათს იქით გადადგამს. შიგ კიდევ არის ჩარჩენილი საკვები, ზუსტად ნახევარი იმისა, რაც მოუტანია. ძროხას კალათს აართმევს, მცოხნელ ყბათაგან გამოაცლის შეცბუნებულს, ტოტზე კიდებს და ყოველივე მარჯვედ გამოსდის, გამარჯვება უკვე განუცდია, სიფრთხილე, დამალვა, მოპარვა და თადარიგის დაჭერაც კი უსწავლია. არ განუცდია მხოლოდ ვნება, სიხარბე, სისხლის წყურვილი და სინდისის ქენჯნა, კაცს რომ ღამლამობით ძილს გაუფრთხობს ხოლმე.

ჯერ წყაროსკენ მიდიან. ამ წყაროს პირველსავე დღეს მოაგნო - მღვრიე სითხე მოწვეთავდა მიწიდან იქ, სადაც გადახლართულიყო თხმელისა და წიფელის მზეგაუვალი წვეროები, და იქვე ახლოს იკარგებოდა ტირიფნარისა და წიფლნარის ფესვებთან. ამან წყაროს თვალი ამოწმინდა, მცირე ორმო ამოთხარა და ახლა შიგ ყოველ დილით ანკარა წყალი უხვდება ჩაგუბებული. ამ წყალში ფოთლები იხატება და ესენი რომ დაიხრებიან დასარწყულებლად, საგუბარის მწვანედ დაფერილი ზედაპირი აშხეფდება ხოლმე. სვამენ, მათი გამოსახულებანი ერთურთს ერწყმიან და ყოველი მათგანი სამუდამოდაა აღბეჭდილი ამ ხატში. მერე ეს წამოდგება, თოკს ხელს ჰკიდებს და ორივენი ტყეში შედიან.

დაფიონი უკვე გაფერმკრთალებულა. დღე მობრძანდება გაშიშვლებულად. მზე ახლა მალა დგას. ჰაერში არ წყდება სირთა გნასი, ოღონდ ახლა ეს საიდუმლო, საზეიმო ქორალი კი აღარაა, მწვანე სამსხვერპლოებთან ცისად აღვლენილი, არამედ მიწაზე მოსაფენი აკომპანემენტი დღიური გარჯის - საკვების მოპოვებისა. ჩიტები ფერად-ფერად ელვასავით გაკრთებიან ხოლმე ფიჭვებს შორის, რომელთა ფაფუკი წვეროვინები ნიადაგ ყრუდ ეჭურჩულებიან ერთმანეთს ქარის წამობერვისას. ახლა საჭირო აღარაა ძროხის თოკით ქაჩვა; ამ წუთიდან სადამომდე ისინი დღის სინათლეს გაჰყვებიან კვალდაკვალ, ოღონდ გადაუსწრებლად. ამათაც იგივე მიზანი აქვთ - დასალიერი. მზესთან ერთად ილტვიან მისკენ ძველთაძველი ორბიტით. ვარვარა და უზრუნველ მზეს მიჰყვებიან უკან, თავადაც მასავით უზრუნველნი, ოღონდ არ ვარვარებენ მასავით, ხეთაღეროების ჩრდილს ეფარებიან, და ეს ღეროები ისე მიკრთის, თითქოს მინები ყოფილიყოს, რომელთა მეშვეობითაც მზე დედამიწის სფეროს თავის ღერძზე აბრუნებს, მალუმად, დინჯად ამოაცურებს სიბნელის წყვდიადიდან და რიჟრაჟი აკიაფდება, ალიონი მოატანს, დილა დადგება, მდორე ნაკადად დადინდება შუადღედ, მალა და მალა, აპოგეისკენ მიიწევს და ნათლის გვირგვინი ამკობს სამუდამოდ დაცემულ სერაფიმთა შუბლს. მზე შვეულ ყვითელ სვეტად აღმართულა. მძიმედ აწვება ბეჭებზე, როდესაც ეს უჯიათ, დაფარჩხულ ფეხებს გაჭირვებით მოკეცავს და ჯერ ბალახს, მერე კი ყვავილებს გლეჯს ხოლმე. ხასხასა ზიზილებს წყვეტს, ახალშობილი ზაფხულის ამ გულსავსე საბომვარს. ზოგჯერ უნიათო ხელი ღეროს მოტეხის ნაცვლად ზედ გადმოუსრიალდება და დასრესილ-დაფლეთილ ფურცელთა გროვალა რჩება ხელისგულზე. მაინც, ვიდრე იმას დაუბრუნდებოდეს შუადღის უძრავ ჩრდილში, ბლომად ასწრებს ყვავილთა მოკრეფას. საკმარისზე მეტიც უგროვდება ყვავილები, ამას ორიც მოსარჩენად ეყოფოდა. ბალახბულახს წინ დაუყრის და მის უნიათო, ალაღბედზე მოფათურე ხელთაგან აღმოცენდება და მყისვე იშლება გვირგვინის საცოდავი გამოსახულება. ამ გვირგვინით თავს რომ უმკობს, ყვავილები აქეთ-იქით ცვივა, მის დაქანებულ შუბლსა და მცობნავ დრუნჩს ჩამოეფინება: ბალახი და ყვავილები ერთიმეორეში აირევა, უსასრულო საცობნელად იქცევა. ყბები ზომიერად მოძრაობს და ტუჩს უკანასკნელი ყვავილი ჩამოკონწიალებია.

იმ დღეს წვიმამ დაასხა. მოულოდნელად მოხდა ეს ამბავი. ეს შესცქეროდა, როგორ ეცემოდა წვეთები, გულგრილად უყურებდა, უაზროდ, უხალისოდ, არ იცოდა, რა ექნა. ამასობაში წვიმამ იმძლავრა, ირიბ ნაკადებად ესხმოდა მიწას ყოველი მხრიდან, მთელი თვალსაწიერის სივრცეზე. გეგონებოდათ წვიმა ამათ ორივეს საგულდაგულოდ ეძებსო, იმ ხის ქვეშ ფათურობდა, რომელსაც შეჰფარებოდნენ, და, ბოლოს, რაკი მიაგნო, სულ დაუნდობლად

დაატყდა თავს. ფიჭვებში მოღრიალე ქარი წუთით მიწყნარდა. მაგრამ მაშინვე ხელახლა მოაფრინდათ; პირაშკმულ, ძალმილეულ სიცარიელეში მიწისპირი ისე აიჯაგრა, ვით ვნებით გადარეული ფაშატი, და ხანმოკლე, გამანაყოფიერებელმა ქარიშხალმა გამაყრუებელი ელვარე გრგვინვით დათესლა მიწა და გაქრა, სადღაც გადაიკარგა. ამის მერე იყო, რომ ზეცა ჩამოირღვა, თითქოს მძიმე ნაყოფისაგან განთავისუფლებულიყოს, და ნამდვილი თქეში წამოვიდა. წვეთებიკი არ იყო, დახრილ ფოთლებს რომ ეცემოდა, არამედ ყინულის მწვავე ნემსები, რომლებიც, ასე იტყოდით, მიწისკენ კი არ მოფრინავენ, პირუკუ, აბღავლებულ ქარს მისდევნენ. მერე ისინიც გაქრნენ, გაქანდნენ ჩრდილოეთისკენ, აღმოსავლეთისკენ, სადაც ცისარტყელა ბრწყინავდა ზავის ალამივით მიუწვდომლად, და თავიანთი ზარზეიმინი კარნავალის შემდეგ კონფეტად დარჩა ფერადი წვეთები, რომლებიც ფოთოლ-ფოთოლ, ტოტებ-ტოტებ, ღერო-ღერო ჩამოდინდა რაკრაკა ნაკადულებად.

და, აი, ყოველივე დასრულდა. ეს თოკს ისევ ხელში იღებს, ხეს გამოსცილდებიან და თავიანთ გზას განაგრძობენ, კვლავინდებურად აუჩქარებლად იძვრიან, ოღონდ მას შემდეგ, რაც ტყეს შემოაფარეს თავი, პირველად მიდიან გარკვეული მიზნის მიხედვით. იმიტომ, რომ მწუხრი ახლოვდება. წვიმა დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ახლა შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ამ უთავბოლო და უწყინარ გრუხუნს, ამ მძვინვარებას რაღაც ისეთი ახლდა, რამაც დაარღვია დღის მოუშლელი და თანაბარი მდინარება, - ასეა ხოლმე ჩვილი ბავშვის უეცარი, გულის შემძვრელი ატირება, რომელიც იმდენად ხმამაღალია და ჭირვეული, დაყოვნებას ვერ ითმენს, - ისიც თითქოს მათრახს გადაუჭყერს ხოლმე დროის მსვლელობას. ეს ერთიანად გალუმპულა, კომბინეზონი დამძიმებია, ნოტიოა და ცივი. მაგრამ ფოთლებსა და ტოტებში დაოქრული ჰაერი ელვარებს და ამ ელვარებაში მიაბიჯებენ ისინი, სველი თოკის ოქროს ჯაჭვით გადასკვნილნი იქით მიდიან, სადაც იგავმიუწვდენელი ციალი დაღვრილა - პირდაპირ დასალიერისკენ, კვლავინდებურად მზის კვალს მიჰყვებიან. აი, უკანასკნელ თხემზე შედგეს ფეხი. ერთად მივლენ ისინი, სამივემ ერთსა და იმავე წამს დაძლია უკანასკნელი აღმართი, დასალიერის ლურჯ უძირობაში ჩაეშვა და გაუჩინარდა.

მწუხრი სწრაფად ჩამოწვა და დღის გაფერმკრთალებული ფურცლიდან ამოშალა ისინი. ერთი ბეწონი, თვალეზამოღამებულნი ეშვებიან ბორცვიდან. ეს კალათს სუნზე მიაკვლევს, ტოტიდან ჩამოიღებს და წინ უდგამს. ძროხა შიგ დრუნჩს წაჰყოფს, ამაოდ ფშვინავს საკვების მოტკბო სუნის მყნოსველი. ამ სუნს მალევე შეერწყმის აუჩქარებლად დადენილი რძის სურნელი, რძე მოჰყვება ამის თითებს, ხელისგულებს, მაჯებს, თბილი და სქელი რძე, როგორც სისხლი თავად სიცოცხლისა, ულეველი და თავისივე თავის ამაღორძინებელი. მერე ეს სიბზნელეში უხილავ კალათს იქვე ტოვებს იმ ადგილის მიმნიშნებელი, რათა გამთენიისას მიაგნოს, და წყაროსკენ მიდის. აქ მეტი სინათლეა და ისევ უბრუნდება ხედვის უნარი. ამის სახე კვლავ ქუცმაცდება, მერე კვლავ აღდგება ნამსხვრევთაგან, როცა ეს სვამს და მასთან ერთად თავდაყირა მდგარი გამოსახულებაც ეწაფება წყალს. დღეთა ეს ჯურღმული, მშვიდი და უძირო, მიწის წიაღში იკარგება და დროის ფიცხელი სრბოლის თავისში რაღაც მანქანებით დამაოკებელი მთელ დღეს ნთქავს, ცისკრიდან მიმწუხრამდე - გუშინდელსაც, დღევანდელსაც, ხვალინდელსაც; მასში ჩაკარგულია ღამეული ზეცის ვარსკვლავთა ქვიშრობები და საიდუმლო

წარწერები, ალიონის დამაბრმავებელი ათინათი. დილის დაუოკებელი სრბოლა და შუადღის ზანტი სისავსე. ეს წამოდგება. ჭანჭრობის თავზე არცხრება ციციანთელათა უთავბოლო რიალი. მაღლა სადამოს კაშკაშა ვარსკვლავი კიაფებს მხოლოდ, მაგრამ ზეცას მაშინვე გამოეფინება თანავარსკვლავედთა მწყობრი რიგები, მიმომქროლავნი, მბრუნავნი თავიანთ უცვლელ გზას მისდევენ. მათი მკრთალი შუქით ფენილი და გასხვიოსნებული ძროხა მქროლავ ლანდად ისახება ლანდურად მბზინავ ბალახში. გარნა ის აქ არის, ცხადად მოვლენია მიწის სიზმარეულ ფონს. ეს ბრუნდება, მსუბუქად მოაბიჯებს ამ მიწაზე, მოთელავს მიწისზედა ძილის უგზოუკვლოდ აღრეულ საფარს, - სადაც ელენეც არის, ეპისკოპოსნიც არიან, მეფენიც და ურჩი სერაფიმებიც. ეს რომ მოვა, ძროხა წვება უკვე - ჯერ წინა ფეხებით ჩაიკეცება, მერე უკანებით, მწუხრის მიყუჩებულ მორევს მისცემს თავს რომის ტკბილ საკმეველში აფშვინვებულს. ისინი გვერდიგვერდ იძინებენ.

3

ჰიუსტონი რომ შინ დაბრუნდა და ძროხას მიაკითხა, ბინდი წვებოდა უკვე. ჰიუსტონი ქვრივი იყო და უშვილო. მას აქეთ, რაც ამ სამი თუ ოთხი წლის წინ ცოლი დაჰკარგოდა, ძროხა ერთადერთი მდედრობითი სქესის არსება იყო მის ფერმაში. მზარეულადაც კი მამაკაცი ჰყავდა, ზანგი, ძროხას ის წველიდა ხოლმე. მაგრამ იმ შაბათს ზანგთა დღესასწაულზე წასვლის უფლება გამოეთხოვა პატრონისთვის, თუმცა იმას კი შეჰპირებოდა - ადრე დავბრუნდებიო ძროხის მოსაწველად და ვახშმის გასაკეთებლად. ოღონდ ჰიუსტონს, რაღა თქმა უნდა, არ დაუჯერებია მისი დანაპირები, კარგა ხანია ყელამდე იყო მადღარი ამგვარი დაპირებებით. ასე რომ არა, ალბათ სულაც აღარ დაბრუნდებოდა სახლში ღამის გასათევად და დილამდე ძროხას არც მიაკითხავდა.

ასე იყო თუ ისე, დადამებამდე მოიქცა შინ, ოღონდ სავახშმოდ კი არა, - რადგან საჭმლისადმი გულგრილი იყო, - ძროხის მოსაწველად. ის აზრი, რომ ძროხა აუცილებლად გამოსაწველი მყავსო, მთელ დღეს მოსვენებას არ აძლევდა. ამის გამო იმ შაბათს ჩვეულებრივზე ცოტათი მეტიც გადაკრა; ჯანმგარი, ოღონდ ბუნებით პირქუში კაცი იყო ჰიუსტონი, თანაც ქალთა წინააღმდეგ უსაშველოდ ამხედრებულა მას აქეთ, რაც ის მძიმე დანაკლისი განეცადა; ხოლო რადგანაც ახლა იძულებული შეიქნა შინისკენწამოსულიყო და კიდევ და კიდევ მიახლებოდა მდედრის ბუნებას, ამ სამი წლის წინ მისგან უკვე შეჩვენებულს, გარდა ამისა, შეხებოდა ყოველსავე დანარჩენსაც - მისთვის ესოდენ სამძიმო სიმწუხრის ჟამს, როდესაც მთელ კარ-მიდამოს თავს დაჰბრუნავდა აჩრდილი მისი ცოლისა, ზოგჯერ კი აგრეთვე ვაჟიშვილისაც, რომელიც ცოლ-ქმარს არც კი შესძენოდა, ცხადია, მაინცდამაინც მხიარულ გუნებაზე ვერ იქნებოდა, ბოსელს რომ მიაკითხა და დაინახა - ძროხა შიგ არ არისო.

ჯერ ის იფიქრა, ალბათ თვითონ გაიპარაო, ალბათ იმდენ ხანს ურტყა კარს რქები და ჩლიქები, ვიდრე რაზა არ ჩამოვარდაო. ოღონდ, თუკი ასე მოხდა, რატომ ზმუილით ჰიშკართან არ შემოეგება სავსე ჯიქნით დამძიმებული? ძროხა ეხოშიც არსად ჩანდა და მისმა მწყევლელმა, აგრეთვე საკუთარი თავის შემკურთხებელმა ჰიუსტონმა - ჰიშკარი რატომ არ გავიკეტეო, - ძაღლს

დაუსტვინა და ღელისკენ გაბრუნდა. ჯერ არ დაბნელებულიყო, კვალი კიდეც გაირჩეოდა. მართლაც თვალი ჰკიდა ფეხშიშველა კაცის კვალს, ხოლო მასზე – ძროხის ჩლიქთა ანაბეჭდს, ოღონდ იფიქრა – მათ, სულ ცოტა, ექვსი საათი მაინც აშორებსო და არა ექვსი ფუტი. თავდაპირველად ხეირიანად არც კი დაუხედავს ამ ნაკვალევს, რადგან გულდაჯერებული იყო – ვიცი, სადაც არისო ძროხა. მაშინაც დარწმუნებული იყო, როცა ღელესთან ძაღლმა აუხვია და ზემოთ, ბორცვისკენ გავარდა. გულმოსულმა მოუხმო უკან. მაშინაც კი, როცა ძაღლი შეჩერდა და თავისი სერიოზული, ჭკვიანი სიფათი გაკვირვებულმა შემოაბრუნა, ისევ ისე გულჯავრიანად იყო დაჯერებული. ზარხომის, ძარღვების აშლისა და ძველი, მოუხელებელი სადარდელოს ბრალი იყო ეს ამბავი. ამიტომ ძაღლს უყვირა და უყვირა, ვიდრე უკან არ დააბრუნა, მერე კი წიხლით ღელისკენ წაიგდო და თვითონაც შიგ გატოპა; ის იყო, ძაღლი ჩამორჩა და უკან-უკან მიჰყვა შეცბუნებული და დადარაჯებული, რომ ისევ წიხლით გაიგდო წინ.

სამოვარზე ძროხა არ დახვედრია. ახლა, რაკი ამაში დარწმუნდა, მიხვდა – ვიღაცას წაუყვანიაო. გულისჯავრი ძაღზე ამოიყარა და ცოტაოდენი აზრი როგორც იქნა მოიკა. ღელე ისევ გამოტოპა. შარვლის ჯიბეში ედო ადგილობრივი ყოველკვირეული გაზეთი, რომელიც ჯერ ისევ დღისით, დუქნისკენ მიმავალს ამოეღო თავისი ფოსტის ყუთიდან. ის გაზეთი დაახვია და ცეცხლი წაუკიდა. ამ ჩირაღდნის შუქზე გაარჩია ჭკუანაკლულისა და ძროხის ნაკვალევი ზედ ღელის პირას, სადაც მათ ბორცვისკენ გაეხვიათ და გადაღმა გზას დასდგომოდნენ, მერე კი გაზეთი დაიფერფლა, ის იდგა გზის პირას პირველ ვარსკვლავთა შუქზე (მთვარე ჯერ არ ამოსულიყო) და გამწარებული იგინებოდა.

ცხენის შესაკაზმად თითქმის მთელი მილი უნდა გამოევიღო. სამოვარზე უთავბოლოდ მოწრიალეს უკვე ორი ამდენი ჰქონდა გავლილი და ახლა უძღური სიმშაგით თუხთუხებდა, თავადაც არ იცოდა, რა აცოფებდა და კიდეც უფრო მძვინვარებოდა იმის გამო, რომ ძალი არაფრისა შესწევდა, ჯავრს ვერავისზე ამოიყრიდა. ეჩვენებოდა – ხელახლა ვემსხვერპლე უაზრო, ოღონდ ცბიერად მოწყობილსა და ბოროტ ხუმრობას, რომელიც მიწყვიტ ვერაგმა დამაწია ერთადერთი მიზნით – ვეიდულებინე მთელი მილი მებოდილაო სიბნელეში. გარნა, მართალია ჭკუანაკლულის გონს მოყვანა ან დასჯა არაფრით შეეძლო, სამაგიეროდ იმის ძალა კი შესწევდა, რომ, თუ ღვთის არა, ყოველ შემთხვევაში ქურდობის და, ცხადია, ამის – ჯეკ ჰიუსტონის შიში მაინც ჩაენერგა მისთვის, რათა შემდგომში დაჰკარგოდა ძროხის წაყვანის ხალისი. მაშინ ამას, ჯეკ ჰიუსტონს, შინიდან წასვლისას აღარ მოუხდებოდა მკითხაობა – რომ დავბრუნდები, ძროხა ბოსელში დამხვდება თუ არ დამხვდებაო. გარნა ბოლოს და ბოლოს რომ ამხედრდა და ადგილიდან დაიძრა ნიავეთ გაგრილებული, იგრძნო, რომ ცივი, უტეხი სიმშაგე სხვაგვარი, უფრო ჩვეული გრძნობით შეცვლოდა – ავი დამცინველობით, ცოტა არ იყოს, უხეში, ოღონდ უძლეველი, ჯიუტი გრძნობით, რომელიც უნუგეშო სადარდელსაც არ ემორჩილებოდა ხოლმე. ამიტომ ფრანგისხევს ჩასვლამდე კარგა ხნით ადრე უკვე იცოდა, რასაც მოიმოქმედებდა. იმ ყეყეს ნაღდი და უცდომელი ხერხით სამუდამოდ განკურნავს ძროხის სიყვარულისგან: აიძულებს მოწველოს და საკვები დაუყაროს; ამაღამ სახლში მობრუნდება, ხვალ დილით კი ისევ მიაკითხავს, მოაწველინებს, საკვებს მიაცემინებს და მერე ფეხით წამოაყვანინებს უკან.

ამიტომ მისის ლიტლჯონის სახლთან არც შეჩერებულა. კუთხეში შეუხვია და პირდაპირ ბაკს მიაშურა; მაგრამ მისის ლიტლჯონმა თავად გადმოსძახა ლობის იქიდან, რომელსაც მთვარის გრძელი, მუქი ჩრდილი დაეფინა:

- რომელი ხართ?

ამან ცხენი შეაყენა. „დაბრმავდა თუ რა დაემართა, ჩემი ძაღლიც ვერ იცნო“, - გაიფიქრა. და მაშინვე მიხვდა - არც ამას გეტყვით რამეს. ახლა ხედავდა ქალს - მაღალს, ჭოკივით გრძელსა და ხმელ-ხმელს. ლობეს იყო მომდგარი.

- მე ვარ, ჯეკ ჰიუსტონი, - უთხრა კაცმა.

- რა ამბავია?

- აგერ, ცხენი მინდოდა დამერწყულებინა თქვენთან.

- რაო, დუქანთან წყალიც აღარაა?

- მე სახლიდან მოვდივარ.

-ჰო-ო, - თქვა ქალმა. - ის ხომ არ... - ხრინწომდგარი ხმით ესიტყვებოდა, ბორძიკ-ბორძიკით და ჰიუსტონმა იგრძნო - ახლა ვეტყვიო ამ ამბავს. ამასობაში სიტყვები თვითონვე მოსწყდა მის ბაგეს:

- იმის დარდი არ იქონიოთ, მე ვნახე.

- როდის?

- აქეთ რომ მოვდიოდი. ამ დილას იყო, საღამოსაც. ჩემს სამოვარზე, ასე რომ, არ იჯავროთ. იმანაც ხომ უნდა დაისვენოს შაბათ დღეს.

- თქვენი ზანგიც სასეირნოდ იქნება წასული, - ჩაიბუზღუნა ქალმა.

- დიახ, მემ.

- ჰოდა, შემობრძანდით და წაიხემსეთ. ვახშამს რაღაც-რაღაც გადამირჩა.

- მადლობელი ვარ, ნავახშმი გახლავართ. - ცხენი შემოაბრუნა. - თქვენ არ იჯავროთ. თუ ისევ იქ დამხვდა, სახლისკენ გამოვუშვებ.

- ავი ცხენის დარწყულებას აპირებდით, - ისევ ჩაიბუზღუნა ქალმა.

- ნამდვილად, - თქვა ჰიუსტონმა და ბაკში შეიყვანა ცხენი, საამისოდ მოუხდა ჩამომხტარიყო, ჭიშკარი გაეღო და მიეხურა, მერე ხელახლა გაეღო და გამოეხურა და ბოლოს ამხედრებულიყო. ქალი ისევ ლობესთან იდგა, ოღონდ ამან რომ ღამე მშვიდობის უსურვა, აღარ გაპასუხებია.

ჰიუსტონი შინისკენ გაემგზავრა. სავსე მთვარე ახლა ხეების თავზე ეკიდა. ამან ცხენი ბაგაში დააყენა, გამოცარიელებულ ბოსელს ჩაუარა, გადაქათქათებული ეზო გადაჭრა, ასევე გამოცარიელებულ სახლში შევიდა, ტანთ გაიხადა და თავის მონაზვნურ მაგარ რკინის საწოლზე მიწვა; ძაღლიც

იქვე მოთავსდა, ხოლო ფანჯრიდან დაცემული მთვარის თეთრი შუქის კვადრატი ისევე დაეფინა ზედ, როგორც მათ ორს ეფინებოდა ხოლმე. როდესაც მისი ცოლი ცოცხალი იყო და ამ რკინის საწოლის ნაცვლად აქ ფართო ლოჯინი ედგათ. აღარც იგინებოდა, არც სიშმაგე ედგა სულში, როცა გამთენიისას ცხენი იქ გაიყვანა, სადაც წუხელის კვალი დაჰკარგოდა, და ამხედრდა. აკვირდებოდა მიწას, მკრთალი, ამოუცნობი ხვეულებით გადაჭრელებულს, რაც შაბათ საღამოს დაეჩნია ბორბლებს, ფლოქვებს თუ კაცთა კიდურებს - აქ თავად პირველქმნილი უბრალოება და უუნარობა ჭკუანაკლულისა საჭირო ჟამს მიუწვდომელ ცბიერებად ქცეულიყო; ზოგიერთ კაცს მოსდის ხოლმე ასე, ცხოვრობს ამქვეყნად და არც კი იცის, რაოდენ სიმამაცეს მიაკვლევს თავის სულში საჭირო ჟამს; აკვირდებოდა მიწას და იგინებოდა. ბოლმა კი არ დაუფლებოდა, არამედ მძვინვარე ზიზღი და სიბრალოელი იმ უძლური, უსასოო, ოღონდ შეუვალი სხეულისადმი, რომელიც ამქვეყნად მოვლენამდე და პირველი ხმის გაღებამდე უკვე განწირული და დაწყევლილი იყო.

ამასობაში ბოსლის პატრონი უკვე წააწყდა მიმობნეულ საკვებს და კალათის ნადგამზე დარჩენილი ნახევარწრის კვალს. თვალის ერთი მოვლებით დარწმუნდა - კალათიც ჩემი მოუპარავთო. კვალმა ეზოს გავლით ჭიშკართან მიიყვანა და იქ გაუჩინარდა. ოღონდ სხვა ყოველივე ადგილზე დახვდა, ცოტაოდენი საკვებისა და ძველი კალათის მეტი არაფერი დაკარგულიყო. მან დაცვენილი საკვები მოაქუჩა, ისევ ბაგაში გადაუმახა და უძლური გულისჯავრის, მისი საკუთრების აგრე უხეშად ხელყოფით აღმრული აღშფოთების პირველი ზვირთი მალე მიუწელდა, მთელი დღის განმავლობაში ერთხელ თუ ორჯერდა გაუჩუქუნდა გულმოსული გაკვირვება; ოღონდ მეორე დილით რომ ბაგაში შევიდა, მიმობნეულ საკვებსა და კალათის ნადგამზე დარჩენილ კვალს ამჯერადაც გადააწყდა. გაკვირვებისგან სული კინაღამ შეეხუთა, მერე კი მძვინვარებამ იფეთქა მასში. ასე მოსდის ხოლმე ადამიანს, გადარეული ცხენის მომაკვდინებელ ფლოქვებსროგორღაც რომ გამოერიდება და უცებ ბანანის ქერქზე დაუცდება ფეხი. იმწუთას შეეძლო, კაცი მოეკლა. ეს უკვე მეორედ დაერღვიათ ესოდენ შემზარავად ბიბლიის ძველისძველი მცნება, რომლის თანახმადაც კაცმა ან ოფლითა პირისა თვისისა უნდა აშრომოს, ან კიდევ არაფერი უნდა მოეძეებოდეს (მცნება, რომელშიც ის პატიოსნების წყაროს, ცხოვრების აზრს, ყოველივე არსებულის საფუძველს ხედავდა); შეებილწათ ზნეობრივი ციხესიმაგრე, რომელსაც აგერ ოც წელზე მეტი იყო, რაც იცავდა ჯერ მარტოდმარტო, მერე ხუთ შვილთან ერთად, და ახლა მისი ზნეობა მარცხად ქცეულიყო. უკვე ხანში შესული კაცი იყო, ხოლო ცხოვრებას რომ იწყებდა, რკინის ჯანის, ამოურწყავი მოთმინების და პურიტანული დამთმენლობისა და ზომიერების მეტი არაფერი გააჩნდა; თავისი მწირი, ოკრობოკრო ნაკვეთი, რომელიც ისე შეიძინა, თითო აკრში დოლარზე ნაკლები გადაიხადა, მშვენიერ ფერმად ექცია, დაოჯახებულიყო, შვილები გამოეზარდა, გამოეკვება, ჩაეცვა, დაეხურა, რის ვაი-ვაგლახით განათლებაც კი მიეცა. ყოველ შემთხვევაში თავაუღებლად შრომა მაინც ესწავლებინა მათთვის; ისინიც, წამოზრდილიყვნენ და მისი მორჩილების ულლიდან განთავისუფლებულიყვნენ თუ არა, ყველანი - ვაჟებიც და ქალიშვილებიც - სად და სად გადახვეწილიყვნენ (ერთი მოწყალების დად შექმნილიყო, მეორე - რომელიღაც წვრილფეხა პოლიტიკანის აგენტად, მესამე - მეძავად, მეოთხე - დალაქად ქალაქში, ხოლო უფროსი ვაჟი სულაც უკვალოდ გადაკარგულიყო), ასე რომ, ამას პატარა, კარგად მოვლილი, ოფლით

მორწყული ფერმადა შემორჩენოდა. ჭირის დღესავით სძულდა ის ფერმა, ისიც თითქოს უსიტყვოდ უხდიდა სამაგიეროს, ოღონდ წასვლით კი ვერსად წაუვიდოდა, ვერც ამას გააძევებდა სადმე, თუმცა, ეტყობა, ბეჯითად იცოდა, რომ მოიჭამდა თავის პატრონს, უეჭველად მოიჭამდა მასაც და მის ცოლსაც, რომელსაც თავისქმრისოდენი სიჯიუტე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძალა და მოთმინება კი ჰქონდა, რათა ყოველივე აეტანა.

ბოსლიდან გამოვარდა ცოლის სახელდებით მხმობელი. იმან რომ სამზარეულოს კარში გამოიხედა, შეუძახა - საქონელი გამოწველეო, თავად შინ შევარდა, მერე იქიდან საფანტის თოფით ხელში გამოიჩრა, ცოლს ჩაუქროლა, რას გაშტერებულხარო - მიაყვირა, თავლაში ერთ ჯორს ლაგამი ამოსდო, თოფიანად ამხედრდა, ლობესთან მიაჭენა და აქ კვალი დაეკარგა. ამჯერად უკან აღარ დაუხვია და უცებ ისევ მიაგნო კვალს - მუქი ზოლი ჯერაც აჩნდა გათელილ, ცვრით დამძიმებულ ბალახს მის სათიბში, მერე მინდორს მიუყვებოდა და ტყეში შედიოდა. აქ, ტყეში, ხელახლა დაიკარგა კვალი. ოღონდ ის ამჯერად არ მოეშვა. მთელი ამდენი დავიდარაბისთვის ძალზე ხანდაზმული კაცი იყო, ერთობ ხანმოთეული საიმისოდ, რათა ესოდენ ილაჯგამწყვეტი გულისჯავრისა და მძვინვარებისთვის გაეძლო. ჯერ არც ესაუზმა, ოჯახში სამუშაო ელოდებოდა. გაუთავებელი სამუშაო, მუდმივი და უცვლელი, მარღვებისა და სხეულის მომშლელი; ეს იყო ერთადერთი რამ, რითაც მისთვის ბოლოს მოღება შეეძლო იმ მიწის ნაკვეთს, მის დაუძინებელ მტრად ქცეულს, სწორედ იმ სამუშაოს, რომელსაც გუშინ იყო შებმული და დღესაც უნდა შებმოდა მარტოდმარტო, ხვალაც, ზეგაც, ან კიდევ ქედი მოეხარა, ელიარებიანა - მძლიაო, თავის წარმოსახულ გამარჯვებაზე უარი ეთქვა. და ასე იქნება სულ, ვიდრე მისი ჟამი არ დაჰკრავს. მაშინ კი (ესეც იცოდა) წაიბორძიკებს და დაეცემა ჯერაც თავდია, ხელ-ფეხი გაუშემდეგა და ასე იწვება ნახნავსა თუ სათიბში, ნამგალი ან ნაჯახი ხელთ ექნება შერჩენილი, და მასზე მოპოვებულ უკანასკნელ გამარჯვებას მოყრანტალე ყვავ-ყორნები იხეიბებენ, ვიდრე ბოლოს რომელიმე ცნობისმოყვარე მგზავრი არ გადააწყდება და არ დაფლავს მის ნეშტს. ოღონდ ბერიკაცი მაინც არ გაბრუნებულა უკან. ბედმა გაუღიმა და მალე კვალსაც მიაგნო ხელახლა, სამ ნაფეხურს წააწყდა სილაზე ხევში, სადაც წყარო მიწანწკარებდა, სულ შემთხვევით წააწყდა, იმიტომ, რომ აქედან ერთი მილის სიშორეზე დაჰკარგოდა კვალი. სრული საფუძველი ჰქონდა შეეჭვებულიყო - ეს ის კვალი არ არისო, თუმცაღა სწორედ ის კვალი იყო სინამდვილეში. მაგრამ ბერიკაცი წუთითაც არ შეეჭვებულა. დღე ჯერაც არ იყო დამდგარი, როცა შეიტყო, თუ ვისი იყო ის ძროხა. ტყეში ჰიუსტონის ზანგს გადაეყარა, აგრეთვე ჯორზე ამხედრებულს. გაცოფებულმა თოფიც კი დააღირა ზანგს და შეუძახა - ძროხა თვალთ არ მინახავს, ამ არემარეზე არ არის და არც ყოფილა, ეს ჩემი მიწააო (თუმცაღა სამი მილის ფარგლებში მას არაფერი ეკუთვნოდა, სადღაც გადამალული კალათის გარდა) და ზანგს უბრძანა - აქედან დამეკარგე, შენი სახსენებელიც არსად იყოსო.

ამის ანაბარა დაბრუნდა შინ, ოღონდ თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია: ახლა უკვე იცოდა, რა უნდა მოემოქმედებინა და მიზნისთვის რა გზით მიეღწია. გეგმა შეუმუშავდა, თუ როგორ უნდა ესწავლებინა ჭკუა ქურდისთვის, როგორ დაესაჯა და, გარდა ამისა, თავისი დანაკარგიც აენაზღაურებინა. ქურდის ანაზღად გაქაჩვა გადაიფიქრა; არა, ამას ისა სჯობს, ძროხა დავიჭირო და, ან პირდაპირ პატრონს მოვთხოვო ფული, ან,

თუკი ამაზე უარს მეტყვის, ჩემი კანონიერი უფლებით ვისარგებლო და ირაო საქონლისთვის ჯარიმა გადავახდევინებინო. ეს კია, რომ იმ კანონით კუთვნილი ერთადერთი დოლარი ალბათ ვერ აუნაზღაურებდა დაკარგულ დროს, იმ დროს კი არა, ძროხის დაჭერას რომ მოანდომებდა, არამედ იმას, უკვე რომ დაეკარგა, გაუთავებელ, უღმობელ სამუშაოს მოსწყვეტოდა, თან მოჯამაგირეც ვერ აპყავდა, იმიტომ კი არა, თითქოს გასტუმრება არ შეძლებოდეს, უფრო იმიტომ, რომ მთელ ოლქში არც ერთი სულიერი, თეთრკანიანი იქნებოდა თუ ზანგი, რაც უნდა შეეძლია, ამასთან მუშაობას არდაყაბულდებოდა, ამავე დროს კი იცოდა - ერთს თუ მოიგდებდა ფეხქვეშ სამუშაო, მერე წასული იყო მისი საქმე. შინ აღარ შებრუნებულა, პირდაპირ ყანაში გავიდა, ჯორი გუთანს შეუბა და შუადღემდე შეუჩერებლად ხნავდა, ვიდრე მისმა ქალმა ზარი არ ჩამორეკა. ნასადილევს ყანაში დაბრუნდა და დაღამებამდე ხნავდა.

მეორე დღეს მთვარეს სინათლე ჯერაც არ დაჰკარგოდა, ეს რომ უკვე ბოსელში იყო და ბაგამიც შეკაზმული ჯორი ელოდებოდა. მკრთალი რიჟრაჟის ფონზე თვალი ჰკიდა დაბალ-დაბალსა და ფეხმრუდ კაცს კალათით ხელში. მოსული ბაგისკენ გასრიალდა, ბერიკაცის ძალღი უჩუმრად მისდევდა უკან. მერე ქურდი ისევ გამოძვრა, კალათისთვის ორივე ხელი შემოეტოტებინა დათვივით, ჭიშკრისკენ გატუსტუსდა, ძაღლმა კი ისევ უკან გასდია. ძაღლის დანახვაზე მისი პატრონი ბოლმამ კინაღამ დაახრჩო. პირველ დილას კი ჩაესმა, როგორ გაანჩხლებული აყევდა ძაღლი, მაგრამ ბერიკაცმა ძილ-ღვიძილში ვერაფერი გაარჩია, ხოლო როცა გამოფხიზლდა, ძაღლი უკვე დამშვიდებულიყო; ახლა ხვდებოდა, რატომ აღარ აყევებულა ძაღლი მეორე და მესამე დილას, ისიც იცოდა - ახლა ბოსელს რომ გავცილდე, ქურდმა რომც არ მოიხედოს, ძაღლმა, შესაძლოა, აქეთ შემომიყეფოსო. ხოლო როდესაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა - ახლა კი შეიძლება დავტოვო საფარი, ეზოში აღარავინ იყო, გარდა ძაღლისა, რომელიც ჭიშკართან გაჩერებულიყო და ღობეს გადაცილებულ ქურდს თვალს მიაყოლებდა. პატრონი არც შეუმჩნევია, ვიდრე ამან გულმოსული წიხლისკვრით უკან არ გააგდო.

მართალია, ნამიან ბალახს ახლაც დამჩნეოდა მუქი კვალი, მაგრამ ბერიკაცმა ტყეს რომ მიატანა, გამოირკვა, რომ მას ჰიუსტონის შეცდომა გაემეორებინა, როცა ჯეროვნად ვერ შეეფასებინა ყოვლისმძლეობა ვნებისა, რომელიც, უპოვარობისა და უმანკოების არ იყოს, ეტყობა რაღაც გაურკვეველი გზებით ახერხებს ხოლმე თავდასაცავ საშუალებათა გამონახვას. ლამის მთელ დილას უზმოდ აწყდებოდა აქეთ-იქით ბრაზით ათუხთუხებული, მის უკან კი მნათობი უფრო და უფრო ძალა იწევდა და ილაჯის გამწყვეტ ყანას ახსენებდა უღმობლად. იმ დილით ისევ მიაგნო კვალს - თითქმის ბალახი კი დაინახა იქ, სადაც კალათი მდგარიყო, ვიდრე ძროხა საკვებს ჭამდა. თავად კალათსაც იპოვიდა, ტოტზე ჩამოკიდებულს, მის დამალვას ხომ არც არავინ ცდილა. მაგრამ ბერიკაცს აზრადაც არ მოსვლია ძაღლი აეხედა, რადგან ახლა ძროხის კვალს მისდევდა მისი მზერა. გაჰყვა კიდეც ამ კვალს გარეგნულად მშვიდი და აუმღვრეველი, თუმცა სულში კი უდუღდა ყველაფერი. დაკარგავდა კვალს, ისევ მიაგნებდა, მერე ხელახლა კარგავდა. ასე გაგრძელდა მთელ დილას, ლამის შუადღემდე. ისიც ხეს შეფარებული იდგა, ვიდრე ქარიშხალი მძვინვარებდა, ელავდა და ცივი წვიმა უღმობლად ესხმოდა მის მოკუნტულ სხეულს, მერე კი ისევ გააჭენა თავისი ჯორი

ოქროვანი წვეთებით განზანდილ მიწაზე. სახლს შვიდი მილით გამოსცილებოდა უკვე. დაღამებამდე ერთი საათილა რჩებოდა. ოთხიოდე მილი გამოველო უკან და, მწუხრის ვარსკვლავი რომ აკიაფდა, მაშინლა მოუვიდა აზრად, რომ შესაძლო იყო ლტოლვილნი უბრალოდ ამდგარიყვნენ და იმ ადგილას მიბრუნებულიყვნენ, სადაც ეს რძის გუბეს გადააწყდა. ხელახლა შეაბრუნა ჯორი, თუმცა წარმატების არავითარი იმედი არ ჰქონია. სიბრაზემაც კი გაუარა.

სახლს ნაშუაღამევს მიატანა ქვეითად მიმავალმა, დასადავებული ჯორი და ძროხა თან მიჰყავდა. თავდაპირველად შიშობდა - ქურდი არ გამექცესო. მერე უკვე აღარ იცოდა, როგორ დაეხსნა მისგან თავი. და ვიდრე საკუთარ კარ-მიდამოს მიატანდა, ამოდ ცდილობდა გაემევებინა ის დამთხვეული არსება, ის ჭკუანაკლული, რომელიც ძროხას გვერდით მისწოლოდა და ზეწამოჭრილიყო ხრინწიანი, დაფეთებული ყვირილით, რომელმაც ბერიკაცი მიახვედრა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, ახლა კი მობორძიკე და მკვნესარი უკან მოჰყვებოდა, ერთ ნაბიჯზეც არ სცილდებოდა, მაშინაც კი, როცა ეს, ამდენი დავიდარაბის გადასატანად ძალზე ხანდაზმული, იმდენად შიმშილით არა, რამდენადაც განუმორებელი, მოუცილებელი ჯავრით განაწამები, მიუბრუნდებოდა ხოლმე და უყვიროდა, აგინებდა. ცოლი ჭიშკართან მიელოდა ფარნით ხელში. ეზოში რომ შევიდა, თოკი და ავშარა ფრთხილად გადასცა, ჭიშკარი გულდასმით შემოიკეტა, დაიხარა, ბებრული სიდინჯით ჯოხი მოიფათურა, მერე უცებ ფიცხლად წამოიმართა, ჭკუანაკლულს მივარდა და ცემა დაუწყო ჩახრინწული, გახელებული, ლამის ჩამწყდარი ხმით მისმა მაგინებელმა. ცოლი ამისკენ გამოენთო, სახელს ეძახდა გამწარებული.

- გაჩერდი! - უყვიროდა ქალი. - გაჩერდი, გაიგე?! გადაყვე გინდა ამ ამბავს?

- ჰი! - თქვა აქლოშინებულმა და მოცახცახე ბერიკაცმა. - ერთ-ორ მილს კიდევ გავივლიდი, არაფერი მიჭირს. წადი, ბოქლომი მომიტანე.

ეს ერთადერთი ბოქლომი იყო მთელ ფერმაში, მთავარ ჭიშკარზე ეკიდა, უკანასკნელი შვილიც რომ გაეცალა აქაურობას, იმის მეორე დღეს ჩაკეტა პატრონმა ის ჭიშკარი. ცოლმა ბოქლომი მოუტანა, ამასობაში ეს სულ იმის ცდაში იყო, როგორმე იდიოტი გაეგდო ეზოდან. მაგრამ ობროდს ხელში ვერაფრით მოიგდებდი. ტლანქად, უხერხულად იძვროდა განუწყვეტლივ მკვნესარი და დორბლჩამოდენილი, ოღონდ ბერიკაცმა ვერც ხელის წატანება მოუხერხა, ვერც დაფრთხოვა. ჭკუანაკლული სულ ამის ზურგს უკან იყო, თან არც ფარნის შუქის არეში ხვდებოდა. მაშინაც კი ვერ მოიშორეს, როცა ბერიკაცმა ძროხა ბაგაში შეაგდო. მერე კარის სახელურს ჯაჭვი გაუყარა და ბოქლომით გამოიკეტა. ხოლო დილით, ამან რომ ჯაჭვი ახსნა, ის არსებაბოსელში დახვდა, ძროხის გვერდით მოკალათებული. საკვებიც კი დაეყარა ძროხისთვის, თუმცა საამისოდ ბაგიდან გამოძრომა და მერე უკანვე შეძრომა დასჭირდებოდა. და მერე მთელ ხუთ მილს, ზედ ჰიუსტონის ფერმამდე სულ კუდში მისდევდა აკვნესებული და ლორწოდადენილი, ოღონდ სახლს რომ მიაღწენენ, ბერიკაცმა მოიხედა და ვედარსად დაინახა. როდის გამქრალიყო, ეს არ იცოდა ბერიკაცმა. საჯარიმო დოლარის მიღების შემდეგ უკან რომ გაბრუნდა, გზა დაათვალიერა, რათა შეეტყო - საით წავიდაო. მაგრამ ვერავითარ კვალს ვერ მიაგნო.

ძროხა ათ წუთსაც არ გაუჩერებიათ ჰიუსტონისას. თავად ჰიუსტონი ამ დროს შინ იჯდა და თავდაპირველად უნდოდა ზანგისთვის ებრძანებინა ძროხის წაყვანა. მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და ნაცვლად ამისა უბრძანა - ცხენი შემიკაზმეო. იდგა, ელოდებოდა და კვლავ იგინებოდა იმ განწირული და გულცივი გრძნობით მოცული, რომელსაც არც ზიზღი ერია და არც სიბრაზე. ძროხა რომ ეზოში ჩაიყვანა, მისის ლიტლჯონი ეტლში ცხენს უბამდა და ჰიუსტონს არც კი დასჭირვებია განემარტა - ასე და ასეო. უბრალოდ მათ ერთიმეორეს მიაპყრეს მზერა ისე კი არა, როგორც კაცმა და ქალმა, არამედ განუყოფადი ბუნების მქონე ორმა ადამიანმა, რომელთაც სხვადასხვა გზით დაემკვიდრებინათ გულით უძრავად ქმნილი უსქესო შინაგანი სამყარო. ქალმა ჯიბიდან განასკვული სუფთა ჩვარი ამოიღო.

- არ მჭირდება მე თქვენი ფული, - მკვახედ უთხრა კაცმა. - უბრალოდ თვალს მინდა მოვაშორო.

- ეს იმის ფულია, ჩემი კი არა - უთხრა მისის ლიტლჯონმა და ჩვარი გაუწოდა. - აიღეთ.

- ფული საიდან გაუჩნდა?

- არ ვიცი. მე ვ. კ. რეტლიფმა მომცა. იმის ფულია.

- ეტყობა, მართლა იმისი ყოფილა, რაკი რეტლიფს მოუცია. ოღონდ სულერთია, მე არ მჭირდება.

- კი, მაგრამ, იმას რაღად უნდა? - უთხრა ქალმა. - ვითომ ამის მეტად კიდევ შეიძლება რამე მოესურვოს?

- კარგი, - თქვა ჰიუსტონმა და ჩვარი ჩამოართვა. არც კი გაუხსნია, რომ ეკითხა - რამდენიაო, ვერც ქალი უპასუხებდა, რადგან თვითონაც არ ჰქონდა დათვლილი. ბრაზით მოთუხთუხე ოღონდ გარეგნულად კვლავინდებურად მშვიდმა ჰიუსტონმა უთხრა: - ეშმაკსაც წაუღია ორივე, თვალი გეჭიროთ, რომ ჩემს სახლს ახლოს არ გაეკარონ. გამიგეთ?

საქონლის ბაკი უკანა ეზოდან მოსამხრობად იყო მოწყობილი, ასე რომ, თვალის უკანა კედელი არც თავად სახლიდან ჩანდა და არც გზიდან. კაცმა რომ თქვას, ფრანგისხევის არც ერთი ადგილიდან არ ჩანდა ის ბაკი, და სექტემბრის იმ დილით რეტლიფი მიხვდა, რომ არც იყო საჭირო მისი გამოჩენა. იგი მიჰყვებოდა ბილიკს, რომელიც წინათ არ შეუნიშნავს, რომელიც მაშინ, მაისში არც ყოფილა გაკვალული. მაგრამ, აი, ბოლოს გამოჩნდა ის უკანა ფიცრული კედელი. ერთი ფიცარი ზუსტად კაცის სიმაღლეზე იყო გამომტვრეული და ჩამოკონწიალებული, - ლურსმანთა წვეროები საგულდაგულოდ შეედუნათ შიგნით და ფიცრის წინ უძრავი, თითქოს გაქვავებული ზურგებისა და თავების გროვა შექუჩულიყო. რეტლიფმა ახლა კი იცოდა, რასაც ნახავდა, ბუკრაიტის მსგავსად მაინც იცოდა, რომ არ სურდა ამის ნახვა, ოღონდ, ბუკრაიტისგან განსხვავებით, მაინც გადაწყვიტა ენახა... იმათ რომ უკან მოხედვა დაიწყეს, რეტლიფს მოგლეჯილი ფიცარი უკვე ხელში ეჭირა, ისე ეჭირა, თითქოს ეს-ესაა იმათ მოუნაცვლებსო ამ ფიცარს. გარნა მისი ხმა მხოლოდ დამცინავად გაისმა, რბილად, ჩვეულად,

როცა ზუსტად ჰიუსტონივით შეიგინა: უბოროტოდ, შეურაცხყოფილი სათნოების აღშფოთების გამოუხატავად.

- როგორც ვატყობთ, თქვენც სეირის საყურებლად მოსულხართ, - უთხრა ერთმა მოთვალთვალეთაგანმა.

- რასაკვირველია, - მიუგო რეტლიფმა. - მე ხომ თქვენ არ გაგინებთ, მეგობრებო. ყველა ჩვენგანს ვაგინებ, ჩემს თავსაც ვაგინებ. - ფიცარი ასწია და თავის ადგილას ჩასვა. - ის რა... რა ჰქვია იმას? აი, იმ ახალს... ჰო, ლემპი. ყოველ გზობაზე საგანგებოდ გახდევინებთ, თუ ყველა წარმოდგენაზე აბონემენტები გაქვთ აღებული? - კედელთან აგურის ნატეხი ეგდო. იმ აგურით ფიცრის აჭედებას შეუდგა, ისინი თვალმოუშორებლად შემოსცქეროდნენ, აგური ტყდებოდა, იფშვნიებოდა, მტვრად ეყრებოდა ხელებზე. - ესეც ასე, - თქვა რეტლიფმა. - მორჩა ეს საქმე.

არ დალოდებია, ვიდრე ისინი წავიდ-წამოვიდნენ. ბაკი გადაჭრა და უკანა ეზოში გავიდა. მისის ლიტლჯონი სამზარეულოში იყო. და ამჯერადაც, ჰიუსტონთან მაშინდელი შეხვედრის არ იყოს, ქალი უსიტყვოდ მიხვდა ყოველსავე.

- როგორ გგონიათ, რას ვფიქრობ, ფანჯრიდან რომ გადავიხედავ და დავინახავ, როგორ მიიპარებიან ხოლმე ღობე-ღობე? - ჰკითხა მან.

- ეს კია, რომ, როგორც ვატყობ, ფიქრის მეტს არაფერს აკეთებთ, - უთხრა რეტლიფმა. - სულ იმის ამბავია, იმ ახალი ნოქრის, სნოუჰისის დამქაშის. ლანსელოტი. ლემპი. დედამისის ვიცნობდი.

თვითონაც იცნობდა და სხვისი ნაამბობითაც იცოდა. გამხდარი, გამრჯე, უბრალო ქალი იყო, მასწავლებელი, მთელი ცხოვრება მშიერ-მწყურვალს გაეტარებინა, არც ფარავდა ამ ამბავს და ეჭვადაც არ ჰქონია - მშიერ-მწყურვალი ვცხოვრობო. ძმების ჯოგში გამოზრდილიყო. მამამისმა, დაბადებითვე ხელმოცარულმა კაცმა, ურიცხვი წვრილ-წვრილი გაბანკროტების შუალედებში თავის ვიშვიშა და თავშეუდებელ თანამეცხედრესთან იმდენი შვილის გაჩენა მოახერხა, მათი წესიერად ჩაცმა-დახურვა და გამოზრდა სად შეეძლო. მერე ამ ქალმა ზაფხულის ერთ სემესტრში შტატის პედაგოგიური კოლეჯის კურსი გაიარა, სოფლის ერთოთახიან სკოლაში მოეწყო და პირველი სასწავლო წლის დამთავრებამდე პასუხისგებაში მიცემულ კაცს გაჰყვა ცოლად - ერთ კომივოიაჟორს შესანახი საკნიდან ტუფლების ნიმუშებიანი ყუთი დაჰკარგოდა, ყველა ტუფლი მარჯვენა ფეხისა ყოფილა. მზითვად მიჰყვა თავისი ერთადერთი ავლადიდება - იმის უნარი, რომ დაეხანა, დაეპურებინა და გამოეწყო და-ძმების მთელი ჯგრო, იმ შემთხვევაშიც კი, როცა არც საპონი მოეძევებოდა სამყოფად, არც საჭმელი და არც შესამოსელი; მიჰყვა აგრეთვე რწმენა იმისა, რომ წიგნებში შეიძლება იპოვო ღირსების, სიქადულის, ზვიადობის, ხსნისა და სასოების მისაბამი მაგალითები. ერთადერთი ვაჟი შობა, ლანსელოტი უწოდა, ზედ ხაფანგის ხახასთან გამოიჩინა ეს კადნიერება, და უფალს ჩაჰბარდა.

- ლანსელოტი! - წამოიძახა რეტლიფმა. იმის უფლებაც არ მიუცია საკუთარი თავისთვის, რომ შეეგინებინა, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ მისის ლიტლჯონს არ ესიამოვნებოდა ეს ამბავი, მისის ლიტლჯონი ვერც

გაიგონებდა ალბათ. - ლემპი! წარმოიდგინეთ ერთი, როგორი სირცხვილი და თავის მოჭრა იყო, როცა წამოიზარდა და მიხვდა, როგორ მოპყრობოდა დედამისი მის სახელსა და ოჯახის სიქადულს, რაკი ამჯობინა - უბრალოდ ლემპი მერქვასო! მაგან გამომტვრია ის ფიცარი! მერე, მე შენ გეტყვი, არ სცოდნოდა, რომელი ფიცარი გამოემტვრია! ბავშვის ან ქალის სიმაღლეზე კი არა, ზუსტად კაცის გადასახედზე გამოტეხა! მისგან დაავალა იმ პატარა ბიჭს - თვალი გეჭიროს და, როცა დაიწყება, დუქანში მოირბინე და შემატყობინე ხოლმეო. მართალია, ჯერ ძალას არავის ატანს - უეჭველად უცქირეთო, ეს ვერ მოუვიდა მთლად მოჭახრაკებულად და ვერაფრით გამიგია, რა მოხდა. ამისი მეშინია ყველაზე მეტად. იმიტომ, რომ, თუკი ის, ლემპ სნოუპსი, ლანსელოტ სნოუპსი... მე დამქაში ვთქვი! - წამოიძახა რეტლიფმა. დამრჩომი-მეთქი, მინდოდა მეთქვა. ერთი სიტყვით - ქვებუდანია.

თავისი ენამჭევრობის მარაგი ამოწურა და გაჩუმდა, შეცბა, გულმოსული მისჩერებოდა ამ ქალს, მამაკაცივით მაღალსა და მამაკაცივით მკაცრს, გამოხუნებული ჯუბით მოსილს, რომელიც ასევე ჩაცივებით მოსჩერებოდა რეტლიფს.

- აი, ეგაა, - თქვა ქალმა. - თქვენ სხვა მუცლის გვრემა გჭირთ. ის არ გაძლევთ მოსვენებას, რომ სნოუპსის გვარის კაცმა, უკეთ, სწორედ ამ სნოუპსმა, რაღაც ისეთი გამოაკვარახჭინა, რისი ასავალ-დასავალიც ვერ გაგირკვევიათ. თუ ის გაშვოთებთ, ხალხი რომ მოდის ამათ საყურებლად? ვითომ - მოხდეს, რაც მოსახდენია, ოღონდ კი არავინ იცოდეს და არავინ ნახოსო?

- ეს ამბავი უნდა მორჩეს, - უთხრა რეტლიფმა. - ვიყო ფარისეველი, ამის საწინააღმდეგო არასოდეს მითქვამს რამე. ჰოდა, თქვენი ჭირიმე, არ მითხრათ ახლა - მეტი არაფერი მოემეცებაო ამ ქვეყანაზე. მეც ვიცი ეგ ამბავი. ან კიდევ - თქვენი საქმე არ არისო. ვიცი, ისიც ვიცი, რომ იმ თავის ერთადერთ სიხარულს არ დაეუტოვებ უბრალოდ იმიტომ, რომ საიმისო ძალა მეყოფა - წავართვა სიხარული. იმაზე ძლიერი ვარ და იმიტომ. უფრო სათნო არა ვარ. იქნება არც უკეთესი ვიყო. უბრალოდ, უფრო ძლიერი ვარ.

- როგორ აპირებთ მაგ ამბის მოგვარებას?

- არ ვიცი. იქნებ არც შემემლოს ამის გაკეთება. ან იქნებ არც მსურდეს. იქნებ ერთადერთი, რაც მსურს, ისაა, რომ ხალხს დავანახვო, - აი, როგორი რიგიანი კაცი ვარ-მეთქი, რათა უფლება მქონდეს ჩემს თავს ვუთხრა: როგორც საჭიროდ მიმაჩნდა, ისე მოვაწყვე საქმე, ახლა სინდისი სუფთა მაქვს და დღესდღეობით მაინც მშვიდად შემიმძლია-მეთქი დავიძინო.

გარნა, ეტყობა, კი იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა. მართალია, მცირე ხანს შეყოვნდა მისის ლიტლჯონის კართანაზე, მაგრამ იმიტომ მხოლოდ, რათა ყველა შესაძლებლობა აეწონ-დაეწონა, ან უფრო სწორად, მეხსიერებაში სნოუპსთა სახეებისთვის გადაეხედა: აი, ავი, ჯიუტი, წარბებგადაბმული სახე; აი, წაგრძელებული, დაჟღაჟა, გაშლილი, უშუბლო სიფათი - თითქოს მჭედლის წინსაფარზე საზამთროს ნაჭერი დაეკოსებინოთ; და კიდევ მესამე, რომელსაც იტყოდით, შავ სერთუკთან არაფერი ესაქმება, უბრალოდ, ძაფით მიუმაგრებიათო საჰაერო ბურთივით. მისი ნაკვთები თითქოს არეულად

გაფანტულიყო პროფესორის უღიმღამო ცხვირის მიდამოებიდან, თითქოს ეს მოტყაპნილი, საჭაერო ბურთივით დაბუმტული სახე ეს-ესაა თავსხმა წვიმიდან გამოუთრევიათო. - მინკი, ეკი და ა. ო.; მერე მწყეველმა ლამის ფიზიკური ძალისხმევით აიძულა თავი ისევ ჩაღრმავებოდა ამ საგულისხმო, გადაუდებელ საქმეს; მთელი ამ დროის განმავლობაში გაუნძრევლად იდგა კართანას ზედა საფეხურზე და ყველასთვის ნაცნობ მის მშვიდ სახეს ძლივს შესამჩნევი ღიმილი გადაურბენდა ხოლმე, ხოლო მისი შინაგანი მზერის წინაშე კვლავ ერთვოდა ის სამი სახე და ესეც უჩუმრად აკვირდებოდა მათ. პირველი არც კი მოუსმენს; მეორე ვერც მიხვდება, თუ რას ეხება საუბარი; ხოლო მესამე ასეთ ვითარებაში ისე მოიქცევა, როგორც სადგურის ავტომატი, რომლის ასამოქმედებლადაც სპილენძის ფული ან ლითონის ჟეტონი უნდა ჩაუშვან და მაშინ სანაცვლოდ კაცმა არ იცის, რას მიიღებთ, ერთადერთი იმის გარანტია გექნებათ, რომ თქვენ მიერ მიღებული ნივთი იმ სპილენძის ფულსა თუ ჟეტონზე ნაკლები ეღირება. რეტლიფმა ისიც კი გაიხსენა, მათგან უფროსი, ყოველ შემთხვევაში, მათგან პირველი - ფლემი; იფიქრა - იქ, სადაც ხალხი ფულზე დამყარებით ცხოვრობს, სუნთქავს და აგებს თავის ცხოვრებას, ვიღაცას პირველად მოესურვა, რომ ფლემ სნოუპსი აქვე იყოს სადმე, ახლოს, და არა ცხრა მთას გადაღმა, სულერთია, სად და სულერთია, რისთვის გადაკარგულიო.

შუადღე ახლოვდებოდა და რეტლიფს რომ სჭირდებოდა, ის კაცი აგერ ერთი საათის წასული იქნებოდა დუქნიდან, თავისი თვალით დაინახა მიმავალი. დუქანში იკითხა - სად ცხოვრობსო, და ათი წუთის მერე გზიდან გადაუხვია ახალთახალ მავთულის ღობეში დატანებული ჭიშკრისკენ. სახლიც ახალი იყო, ერთსართულიანი, შეუღებავი, კართანას წინ უსწორმასწორო, ვაგლახად მოქუჩებულ, გადამხმარ ყვავილნარზე და მის აქეთ-იქით დაჟანგულ თუნუქის ქილებსა და კასრებში ჩამჭკნარიყო ზაფხულის მტვრიანი ყვავილები. უკანა ეზოში რეტლიფის ნაცნობი ბიჭუნა თამაშობდა. კარი მაღალ-მაღალმა, ჯანიანმა ახალგაზრდა ქალმა გაუღო. მშვიდი სახე ჰქონდა. ერთი ბავშვი ზურგზე ჰყავდა მომჯდარი, მეორე მისი ქვედაბოლოს იქიდან იჭვრიტებოდა.

- თავისთან არის, მეცადინეობს, - უთხრა ქალმა. - მობრძანდით.

კედლები ოთახშიც შეუღებავი იყო, ფიცრული. ოთახი სეიფს ჰგავდა, მასავით ვიწრო და დახუთული, მაგრამ რეტლიფმა მაინც მაშინვე შეამჩნია, რომ ოთახი მარტოხელა კაცის ბინის სუნს კი არ დაიკრავდა, არამედ იმ საკუჭნაოსას, სადაც შებერებული ქვრივი დედაკაცი თავის კაბებს ინახავს ხოლმე. იმავე წამს თვალში მოხვდა საწოლის ფეხებთან დაგდებული სერთუკი, რადგან სახლის პატრონი - მართლაც წიგნი ეჭირა ხელთ და სათვალეც ეკეთა, - როგორც კი კარი გაიღო, შეჩქვიფდა, სკამიდან წამოხტა, სერთუკს დასწვდა და ჩაცმა დაიწყო.

- ნუ წუხდებით, თქვენი ჭირი მე, - უთხრა რეტლიფმა. - ერთი წუთით შემოვიარეთ. თქვენი ბიძაშვილის აიზუკის საქმეზე. - ოღონდ იმას უკვე ჩაეცვა სერთუკი და გაჩქარებული იკრავდა ყველა ღილზე ბამბაზიის გულისპირის ზემოთ, რომელიც პერანგის მაგივრობას უწყევდა (მანუქტები პირდაპირ სერთუკის სახელოებზე იყო მიკერებული). მერე ასევე ფაცაფუციტ მოიხსნა სათვალე, თითქოს სერთუკის ჩაცმას მხოლოდ იმიტომ ჩქარობდა, რათა სათვალე მოეხსნა, თანაც რეტლიფმა შეამჩნია, რომ სათვალის ჩარჩოში

მინები არ იყო ჩასმული. მასპინძელი რეტლიფს იმ ნაცნობი მზერით შემოაჩერდა, შეფიქრიანება და დიდი გონიერება რომ უნდა გამოეხატა ერთსა და იმავე დროს, მზერით, რომელიც თითქოს თავისთავად არსებობდა, მის თვალეზე, მხედველობაზე დამოუკიდებლად, - ეს უმალ აბლაბუდა იყო, მის გუგებს მოდებული, რაღაცნაირი შემთხვევით წინაფიფქვი, იმ ბუმბულის მინაგვარი, ბავშვები ბაბუაწვერას რომ წააცლიან ხოლმე სულის შებერვით.

- მე იმ ძროხის ამბავზე მოვედი, - უთხრა რეტლიფმა.

ახლა კი ამოდრავდა სახის ნაკვთები, მასპინძლის წვინატი ცხვირიდან სხვადასხვა მხარეს გაიშალა. გონივრულობისა და სიმტკიცის კარიკატურად ეკიდა ეს ცხვირი, ოღონდ გაღრეჭილ სახეს გადაფენილ ცივ ცნობისწადილსაც გამოხატავდა უტიფრად. მერე კი რეტლიფმა ისიც შენიშნა, რომ თვალეები არც უცინოდა მასპინძელს. თვალეები მოსაუბრეს მოსჩერებოდნენ, ჩხრეკდნენ, და მათში აზრიანად დადარაჯებული თუ არა, იდუმალად შეეჭვებული კაცი მაინც ჩანდა.

- ჰო, კი უნდა იყოს იქ სასერიო ამბავი! - წიწინა ხმით ჩაიხითხითა სნოუჰსმა. - რაც ჰიუსტონმა ის ძროხა უფეშქაშა, მისის ლიტლჯონმა კიდევ სადგომიც მიუჩინა ორივეს, ხშირად მიფიქრია - აფსუს, რომ არც ერთი იმის ნათესავი სახელმწიფო თანამდებობაზე არ იყრის-მეთქი კენჭს. როგორც იტყვიან ხოლმე - პური და სერი, და მზადაა კარიერა.

- არ მოხდება ეგ ამბავი, - უთხრა რეტლიფმა. მარტო ეს თქვა, მეტი არაფერი, მშვიდად თქვა, ხმის აუმაღლებლად. სნოუჰსიც აუძღვრეველი ჩანდა: უცვლელი გრიმასი, ჩამოგრძელებული უძრავი ცხვირი, თითქოს თავისთავად არსებული თვალეები, იყუჩა და მერე ჰკითხა რეტლიფს:

- არ მოხდება?

- არ მოხდება. - მიუგო რეტლიფმა.

- არ მოხდებაო, - გაიმეორა სნოუჰსმაც. „ორში ერთია - ან მართლა გონიერი კაცია, ან კიდევ გვარიანად თვალთმაქცობს“, - ფიქრობდა რეტლიფი. - კი, მაგრამ მე რომ არაფერ შუაში ვარ?

- ვითომ? - შეეკითხა რეტლიფი. - როგორ გგონიათ, რა მოხდება ცოტა ხნის მერე ბილ უორნერთან რომ მიბრძანდეთ იმის სათხოვნელად - მასწავლებლის ადგილი შემინარჩუნეთო, და ამ დროს აღმოჩნდეს, რომ კეისრის ცოლი უცოდველი არ ყოფილა?

სნოუჰსს სახე არ შესცვლია, რადგან მისი სახის ნაკვთები განუწყვეტლივ მოძრაობდა ისედაც, ყოველი მათგანი თავისთავის იცვლებოდა, თუმცა ერთ სხეულს ეკუთვნოდა, ერთ თავის ქალაზე იყო დამაგრებული.

- მადლობელი გახლავართ, - უთხრა სნოუჰსმა. - როგორ ფიქრობთ, ახლა რა უნდა ვქნათ ჩვენ?

- ჩვენ - არაფერი, - უპასუხა რეტლიფმა, - მე ხომ მასწავლებლობას არ ვაპირებ.

- კი, მაგრამ, ხომ უნდა გაგვიწიოთ დახმარება. ბოლოს და ბოლოს სანამ თქვენ არ ჩაერიეთ ამ საქმეში, ყველაფერი რიგზე იყო.

- არა, - მკაცრად გაეპასუხა რეტლიფი. - ჩემი იმედი ნუ გექნებათ. ოღონდ ერთს კი გავაკეთებ. აქ დავრჩები და ვნახავ ერთი, რასაც მოიმოქმედებენ მისი ნათესავები. დაუშვებენ თუ არა, რომ იმ საცოდავს ხალხი ამასხარავებდეს.

- რასაკვირველია, - თქვა სნოუპსმა. - ეგ ამბავი არაფრად ვარგა. ესაა მთელი საქმე. კაცის ხორცი სუსტია, ცოტა რამე ყოფნის. ცოდვილს თვალაცდუნებს; უნდა მივეხმაროთ მოყვასს, რათა თვალში დირე მოიშოროს, მერე კიდევ - თვალი შორს - გულიც შორსო. არ იქნება, რომ ჩვენს გვარს ტყუილუბრალოდ ენაზე იტრიალებდნენ. დიდი ხანია ამ მხარეში სნოუპსებს მალლა უჭირავთ თავი საიმისოდ, რომ ახლა თავშეუდებლობა დაბრალდეთ.

- მასწავლებლის ადგილზე რომ აღარაფერი ითქვას, - უთხრა რეტლიფმა.

- რასაკვირველია. თათბირს მოვაწყობთ, საოჯახო თათბირს. დღესვე შევიყრებით დუქანში.

რეტლიფი რომ დუქანში მივიდა, უკვე ყველანი შეყრილიყვნენ - მჭედელი, მასწავლებელი და მათთან ერთად ხუცესი, იქაური ფერმერი. ოჯახს მოკიდებული, ლიტონი, გონებაშეზღუდული, პატიოსანი, ცრუმორწმუნე და სათნო კაცი. ამას სემინარიაში არ ესწავლა, წოდება არ ჰქონია, სასულიერო კრების მიერ დამტკიცებული არ ყოფილა, - უბრალოდ მრავალი წლის წინ ბილ უორნერს მღვდლად დაენიშნა, ისევე როგორც მასწავლებლებსა და შერიფებს ნიშნავდა ხოლმე.

- ყველაფერი მოგვარდა, - თქვა ა. ო-მ, როცა რეტლიფი შევიდა. - მამა უიტფილდს ხერხი სცოდნია. ოღონდ...

- არა, კაცო, მე მარტო ის ვთქვი, ერთი შემთხვევა ვიცი, როცა ამ ხერხმა გაჭრა-მეთქი, - შეუსწორა ხუცესმა.

მაშინ იმან, მასწავლებელმა, განმარტა:

- ის საქონელი უნდა დაიკლას, რომელიც იმას შეჰყვარებია, ხორცის ნაჭერი მოიხარშოს, და მერე იმას უნდა შეაჭამო. ოღონდ უეჭველად იმ ძროხის ხორცი უნდა იყოს, ან იმ ცხვრის თუ რაც იქნება, და იმანაც აუცილებლად უნდა იცოდეს, რასაც ჭამს; ძალით შეჭმევინება ან შეტყუება არ იქნება, არც ის შეიძლება, ხორცი შეუცვალო და სხვა ძროხის ნახარში აჭამო. ამის მერე დაშოშმინდება და ქვეყნის სამასხარაო აღარ იქნებაო. ოღონდ... - და აქ რეტლიფმა დაინახა, რომ მისი დაშლილი სახე წამით შეურევბული და ბოროტი შეიქნა. - ... ოღონდ მისის ლიტლჯონი ძროხას მუქთად არ მოგვცემს. თქვენ მგონი ბრძანეთ - ის ძროხა ჰიუსტონმა აჩუქაო, არა?

- ეგ თქვენ მითხარით, მე კი არა, - მიუგო რეტლიფმა.

- კი, მაგრამ, ასე არ იყო?
- მისის ლიტლჯონს ჰკითხეთ, ან თავად ჰიუსტონს, ან კიდევ თქვენს ბიძაშვილს.
- კარგი, სულერთი არ არის! ასეა თუ ისე, მუქთად არ მოგვცემს ძროხას. ასე რომ, საფასურის გადახდა მოგვიწევს. ჰოდა, აი, რა ვერ გამიგია ვერაფრით - ლიტლჯონის ქალი ბრძანებს - მე არ ვიცი, რა ღირს ის ძროხა, შემოგვითვალა - იმას ჰკითხეთო.
- კარგი ერთი, - ესღა თქვა რეტლიფმა. ახლა სნოუპსს აღარ უმზერდა, ხუცესს იყო მიჩერებული.
- თქვენ ბეჯითად იცით, ეგ ხერხი რომ გაჭრის, მამაო? - იკითხა მან.
- მე მარტო ის ვიცი, იყო შემთხვევა, როცა გაჭრა-მეთქი, - მიუგო უიტფილდმა.
- გამოდის, სხვა შემთხვევებიც იცით, როცა მაგ ხერხს არ უმოქმედია?
- მე მარტო ერთი შემთხვევა ვიცი, როცა ეს ხერხი სინჯეს.
- დიახ, - თქვა რეტლიფმა და შეხედა ორივე სნოუპსს - ბიძაშვილებს, ბიძა-ძმისწულს თუ რადაც მოუდიოდნენ ერთიმეორეს. - ერთი სიტყვით, ეგ ამბავი თექვსმეტი დოლარი და ოთხმოცი ცენტი დაგიჯდებათ.
- თექვსმეტი დოლარი და ოთხმოცი ცენტი? - შეცბა ა. ო. - დასწყევლოს!
- მისი პატარ-პატარა, უფერული თვალეები სწრაფ-სწრაფად მიაწყდა მოსაუბრეთა სახეებს. ბოლოს ხუცესს მიუბრუნდა: - ყური მიგდეთ, რას გეტყვით. ძროხა მარტო ხორცი ხომ არ არის. ბევრი ისეთი რამეც აქვს მიზრდილი, რაც დაბადებიდან არ დაჰყოლია. ესეც ძროხის ნაწილი არაა? - რქები, ბალანი. რატომ არ შეიძლება ერთი ბლუჯა ბალანი ავიღოთ და წვნიანად მოვხარშოთ? შეიძლებოდა ცოტა სისხლიც დაგვემატებინა, სულ მართალი რომ ვიყოთ...
- არა, ხორცი უნდა იყოს, - თქვა ხუცესმა. - ეს მკურნალობა მე ისე მესმის, რომ, თუკი გვინდა მოვამლევიანოთ, ბარემ მიხვდეს - ცოცხალი აღარააო.
- კი, მაგრამ, თექვსმეტი დოლარი და ოთხმოცი ცენტი... - თქვა ა. ო-მ; მერე რეტლიფს შეხედა. - თქვენ, ალბათ, არაფერს დაუკლებთ.
- არა, - უთხრა რეტლიფმა.
- მინკიც არაფერს მოგვცემს, მით უმეტეს, ბილ უორნერმა ამ დილას ჯარიმის გადახდა გადაუწყვიტა, - ბოლმამორეული ხმით თქვა ა. ო-მ. - არც ლემპი. კაცმა რომ თქვას, ლემპსაც მალე მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა, ოღონდ რა საქმისთვის - ეს თქვენ აღარ გეხებათ, - უთხრა რეტლიფს. - არც ფლემია აქ. ასე რომ, მე და ეკი დავრჩით. თუკი მამა უიტფილდი არ ისურვებს შეგვეშველოს ზნეობრივი მოსაზრებებით. ბოლოს და

ბოლოს, რაც მრევლის ერთ წევრს გასვრის, ის მთელ სამწყსოსაც უტეხს სახელს!

- არა, - უთხრა რეტლიფმა. - მისგან არ იქნება. მაგ წამლობის ამბავი მეც გამიგონია. ყველაფერი სისხლით ნათესავებმა უნდა იკისრონ, თორემ არ გაჭრის.

პატარ-პატარა მოკიაფე თვალები ისევ აწყდებოდა ერთი სახიდან მეორეს.

- თქვენ ასეთი არაფერი გითქვამთ, - უთხრა მან ხუცესს.

- მე რაც ვიცოდი, ის მოგახსენეთ, - მიუგო უიტფილდმა. - რა ვიცი, რა ფულით იყიდეს მაშინ ის ძროხა.

- ჰო, მაგრამ, თექვსმეტი დოლარი და ოთხმოცი... - ბუტბუტებდა ა. ო.
- დასწყევლოს!

რეტლიფმა შეხედა - თვალები ახლა გაცილებით ცბიერი ჰქონდა, ვიდრემანამდე ეჩვენებოდა; არა, ჭკვიანი კაცი არ არისო, შეუსწორა თავის თავს რეტლიფმა. ეშმაკია. იმან ახლავდა შეხედა პირველად თავის ძმას თუ ძმისწულს.

- ესე იგი, მე და შენ დავრჩენილვართ, ეკ.

მაშინ ძმამ თუ ძმისწულმა პირველად ამოიღო ხმა.

- შენ იმის თქმა გინდა - ჩვენ უნდა ვიყიდოთო?

- ჰო, - მიუგო ა. ო-მ. - შენ, რასაკვირველია, უარს არ იტყვი ამ მცირე მსხვერპლზე იმ გვარის გულისთვის, რომელსაც ატარებ.

- კეთილი, - თქვა ეკმა. - რაკი გვევალება...

ტყავის წინსაფარქვეშიდან ტყავისავე ვეება საფულე ამოაძვრინა, გახსნა და გამურულ ხელში ჩაბლუჯა - ასე უჭირავს ხოლმე ყმაწვილს ქაღალდის პარკი, როცა მის გაბერვას აპირებს. - რამდენია ჩემზე?

- მე ხელმარტო კაცი ვარ, - უთხრა ა. ო-მ. - შენ კიდევ სამი შვილი გყავს.

- ოთხი, - გაუსწორა ეკმა. - ერთს ველოდებით კიდევ.

- მაშასადამე, ოთხი, ასე რომ, ჩემი აზრით, ერთადერთი გზა ისაა, ხარჯი იმ სარგებლობის მიხედვით გავანაწილოთ, რასაც ყოველ ჩვენგანს მოუტანს მისი განკურნება. შენ შენი და ოთხი შვილის ნაწილი უნდა გადაიხადო. ეს გამოდის ხუთი ერთზე. მაშასადამე, მე ვიხდი დოლარს და ოთხმოც ცენტს, ხოლო ეკი - თხუთმეტ დოლარს, იმიტომ, რომ სამჯერ ხუთიც თხუთმეტია და ხუთჯერ სამიც - თხუთმეტი. ტყავი და ხორციც, რაც კი დარჩება, ეკმა წაიღოს თავისთვის.

- კი, მაგრამ, ხორცი და ტყავი არ ღირს თხუთმეტი დოლარი, - თქვა ეკმა.
- რომც ღირდეს, მე მაინც არაფრად გამომაღებოდა. რად მინდა ამდენი - თხუთმეტი დოლარის ხორცი?
- ეგ უბრალოდ ხორცი და ტყავი კი არაა. ასე აეწყო გარემოება. ჩვენ ჩვენს შეურცხვენელ სახელს დავიცავთ.
- კი, მაგრამ, ეგ შეურცხვენელი სახელი მე რატომ უნდა დამიჯდეს თხუთმეტი დოლარი, შენ კიდევ მარტო დოლარი და ოთხმოცი ცენტი?
- სწოუკსების ღირსება ყველაზე მეტი საღირალია. შეგიძლია ამის გაგება? აქამდე ეს ღირსება არაფრით შელახულა. ეს ღირსება მარმარილოს ძეგლივით უმწიკვლოდ უნდა შევინახოთ, რათა შენს შვილებს არ ერცხვინებოდეთ ჩვენი გვარის ტარება.
- ჰო, მაგრამ, მაინც ვერაფრით გავიგე, მე რატომ უნდა გადავიხადო თხუთმეტი დოლარი, შენ კიდევ მარტო...
- იმიტომ, რომ ოთხი შვილი გყავს. შენ ერთი ხუთად ხარ. ხუთჯერ სამი კიდევ თხუთმეტია.
- ჰო, მაგრამ, ჯერჯერობით სამი მყავს მარტო, - თქვა ეკმა.
- აბა, მე რას ვამბობ? ხუთჯერ სამი-მეთქი! კიდევ ერთიც რომ შეგძენოდა, ოთხი გეყოლებოდა, ჰოდა ხუთჯერ ოთხი ოცი გამოვიდოდა და მე სულაც არაფრის გადახდა აღარ მომიწევდა.
- ოღონდ მაშინ ვიღაცას მოუწევდა სამი დოლარი და ოცი ცენტი ხურდა მიეცა ეკისთვის, - თქვა რეტლიფმა.
- რაო? - იკითხა ა. ო-მ, მაგრამ მაშინვე ისევ თავის ძმას თუ ძმისწულს მიუბრუნდა: - გარდა ამისა, ხორცსა და ტყავსაც შენ მიიღებ, ეს არ დაგავიწყდეს.

თავი მეორე

1

ჰიუსტონის მეუღლე ულამაზო ქალი იყო. არც დიდი ჭკუით გამოირჩეოდა და თანაც უმზითვოდ იყო გამოთხოვილი. დედ-მამით ობოლი, შეუხედავი და არც ისე ყმაწვილი, - უკვე ოცდაოთხი შესრულდებოდა, - შეკედლებული ჰყავდა შორეულ ნათესავს, რომელსაც ისე აღეზარდა, როგორც ეხერხებოდა - თავისი გლეხური ჭკუის, წარმოშობისა და ცხოვრებისეული გამოცდილების კვალობაზე. ჰიუსტონმა იქიდან წამოიყვანა ერთი მომცრო ზანდუკითურთ, რომელშიც ტილოს სადა საცვალი, ზეწრები, ხელით ნაკერი პირსახოცები და

ქალის ხელითვე შეკერილი სუფრა ეწყო. გარდა ამისა, ქალს თან მოჰყვა მისი ერთადერთი ღირსება – ერთგულების ამოურწყავი მარაგი. დაქორწინებიდან ნახევარ წელიწადში ქალი გარდაიცვალა და აგერ ოთხ წელიწადზე მეტი იქნებოდა, უკარება, პირქუში, მისი ხსოვნის უცვლელად ერთგული ჰიუსტონი მას გლოვობდა და მეტი არც არაფერი ებადა ამქვეყნად.

ერთმანეთს ბავშვობიდანვე იცნობდნენ. ორივე დედისერთა იყო, ორივენი ფერმაში იყვნენ დაბადებულნი, ერთმანეთისაგან სულ სამიოდე მილის დაშორებით. ერთსა და იმავე მრევლს ეკუთვნოდნენ და იმ ერთოთახიან სკოლაში დადიოდნენ. და, თუმცა ქალი ხუთი წლით უმცროსი იყო, ვაჟი რომ სკოლაში შევიდა, ის უკვე მეორე კლასში იყო გადასული და, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟმა ორ წელიწადს სწავლის შემდეგაც მომდევნო კლასს ვერ მიაღწია, ქალი მაინც კვლავინდებურად მხოლოდ ერთი კლასით იყო მასზე წინ. მერე ვაჟი დაიკარგა, მარტო მამამისის სახლი კი არა, საერთოდ ფრანგისხევიც მიატოვა თექვსმეტი წლისამ, მუდმივი უღლისგან თავის დაღწევის მოწადინემ, და ცამეტ წელიწადს აღარ გამოჩენილა. მერე უცებ გამოჩნდა, ამასთან, დაბრუნება რომ გადაწყვიტა, იცოდა (აღბათ, საკუთარი თავისავე მწყევლემა), – ჩავალ და ის ქალი შინ დამხვდებაო გაუთხოვარი. არც შემცდარა.

სკოლაში თოთხმეტი წლისა შევიდა. ველური არ ეთქმოდა, უბრალოდ თავაშვებული იყო, იმდენად გავარდნილი არა, რამდენადაც დაუოკებლად მწყურვალი, ოღონდ ცხოვრების ან თუნდაც მოძრაობის კი არა – თავისუფლებად სახელდებული ლაღი უმოქმედობისა. სწავლა არ ეზარებოდა, გარდაუვალი მორჩილების აუცილებლობა აცოფებდა მხოლოდ. მამამისის ფერმაში ჩინებულად აუდიოდა სამეურნეო საქმეებს, ხოლო დედამისმა ხელისმოწერა ასწავლა და მალე სული განუტევა, ასე რომ, თავის ქმარს გულს აღარ უწვრილებდა – გინდა თუ არა ბიჭი სკოლაში მივებაროთო. მანამდე კი ეს კარგა ოთხ წელიწადს ბედნიერად იყო სკოლისაგან თავდახსნილი, განებივრებული შვილისადმი დედის სიყვარულს იყენებდა ზვიადი მამის სიმკაცრისაგან თავდასაცავად; გულით ხარობდა, როცა სულ უფრო მეტად ძნელ საქმეებს ანდობდნენ, უყვარდა კიდეც ძნელი სამუშაო, რასაც შვილის კაცად დაყენების მოსურნე მამამისი ავალეზდა ხოლმე. ოღონდ ბოლოს და ბოლოს თავადვე იქცა თავისი ეშმაკური ტაქტიკის მსხვერპლად; მამამისისთვისაც კი ცხადი შეიქნა – აწი ფერმაში ველარაფერს ისწავლისო. ასე რომ, იძულებული გახდა წასულიყო სკოლაში, სადაც სამაგალითო მოწაფე არ გახლდათ, უმსგავსი უფრო ეთქმოდა. შეგნებულ მოქალაქედ მანამდე იქცა, ვიდრე არჩევნებზე ხმის უფლებას მიანიჭებდნენ, და მამადაც მანამდე შეეძლო ქცეულიყო, ვიდრე დამარცვლით კითხვას ისწავლიდა. თოთხმეტი წლისას ვისკის გემო უკვე გასინჯული ჰქონდა და საყვარელიც გაეჩინა – მასზე ორი თუ სამი წლით უფროსი ზანგის გოგო, მამამისის მოიჯარის ქალიშვილი. ჰოდა, ახლა იძულებული ხდებოდა თავის ტოლებზე ოთხი, ხუთი, მერე კი სულაც ექვსი წლით გვიან ანაბანა ეზუთხა საამისოდ ერთობ წამოზრდილს; ლილიპუტებს შორის მოხვედრილი გოლიათი, ძალაუნებურად მრავალ რამეში გამოწაცადი, ბუნებრივია, თავის თანაკლასელებს არად აგდებდა და სრულიად გამოუსწორებელი იყო, თანაც იმიტომ კი არა, რომ არასგზით არ სურდა ესწავლა, უბრალოდ გულდაჯერებული იყო – სწავლა არ მაინტერესებს, არც მეხერხება და, საერთოდ, არც რამეს მარგაო.

შემდეგში ასე ეჩვენებოდა - კლასში რომ შევედი, პირველი, რაც დავინახე, ეს იყო მოკრძალებულად დახრილი თავი, ზედ რომ სადად დავარცხნილი წაბლისფერი თმა ადგა. ხოლო უფრო გვიან, როცა მიაჩნდა, რომ უკვე გასხლტომოდა იმას ხელიდან, ეჩვენებოდა - მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ის გოგო ჩემთან იყო, ჩემსა და მის დაბადებას შორის გავლილი ხუთი წლის განმავლობაშიც. არა, რაღაც მიუწვდომელი სასწაულით ქვეყნად კი არ უცხოვრია იმ ხუთ წელიწადს, - ამან თავად მაშინ დაიწყო ცხოვრება, ის რომ დაიბადა, და იმ წუთიდან ისინი საუკუნოდ დაკავშირდნენ სიყვარულით კი არა, არამედ ურყევი ერთგულებით და ჯიუტი წინააღმდეგობით: ერთი მხრივ - მტკიცე, მოუშლელი ნება გარდაქმნის, გაუმჯობესების და სრულქმნისა, მეორე მხრივ - მძვინვარე, განწირული წინააღმდეგობა. ეს არ ყოფილა სიყვარული, არ ყოფილა ის გაღმერთება, თაყვანისცემა, რომელიც ვნებამ გადაუშალა მისსავე გამოცდილებას, რაღა თქმა უნდა, შეზღუდულს, ოღონდ არც ისე უმანკოს. მას შეეძლო ელიარებინა, გარდაუვალად მიეჩნია ეს გრძნობა, ისევ დამორჩილებოდა, როგორც ემორჩილებოდა ხოლმე მასთან ადრე შეხვედრისას იმ ქალებში, - დედამისსა და საყვარელში, - რომლებთანაც მანამდე ჰქონია საქმე, როდესაცამ გრძნობას ნებაყოფლობით მონობას უწოდებდა. გარნა მან არც კი იცოდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა არის ნამდვილი მონობა, - ის ჯიუტი, მუდმივი, დესპოტური მისწრაფება მონისა არა მარტო განუყოფლად დაეუფლოს, ერთიანად შთანთქას, არამედ გაუბატონდეს თავის დამპყრობელს, ხატად თავისად გარდაქმნას იგი. ჯერჯერობით ვაჟი იმ გოგოს არ ესაჭიროებოდა, და იმიტომ კი არა, თავად ძალზე ნორჩი რომ იყო, არამედ ალბათ იმიტომ, რომ საამისოდ გამზადებულად არ მიაჩნდა ვაჟი. მთელი კაცობრიული ჭიანჭველეთიდან ისეთ ადამიანად კი არ გამოერჩია, ვინც მის ყველა მოთხოვნას შეესატყვისებოდა, არამედ ნამდვილ მამაკაცად, რომელთან ერთადაც ნამდვილი ცხოვრების შექმნასა და მოწყობას შეძლებდა.

გოგო ცდილობდა სწავლაში შემველებოდა ვაჟს, იმიტომ კი არა, რათა ამას სკოლა დაემთავრებინა ან ცოტა რაღაც მაინც ესწავლა, უფრო ჭკვიანი და განათლებული შექნილიყო; ეტყობა, გოგოს მხოლოდ ის უნდოდა, რომ ეს სხვა მოწაფეებივით დროულად გადასულიყო კლასიდან კლასში. თავდაპირველად ამას ეგონა, გოგოს ალბათ ის სურს, იმ კლასამდე მიმატანებინოს, რომელიც ასაკით შემეფერებაო. ეს რომ მოეხერხებინა, მერე ალბათ თავის ნებაზე მიუშვებდა - მომდევნო კლასში გადავიდეს ან იმავეში ჩარჩეს, როგორც მისი ხასიათი და ბუნება იზამსო. შესაძლოა, ასეც მოქცეულიყო გოგო. ან, იქნებ, რაკი იმდენი სიკეთე აღმოაჩნდა, რომ შეეცადა სწავლაში შემველებოდა, იმდენი ჭკუაც ეყო, რომ მიმხვდარიყო - ვაჟი არა მარტო ვერასოდეს დაეწეოდა თავის ტოლებს, აწინდელ თავის თანაკლასელებსაც კი ვერ აუბამდა მხარს სწავლაში. იქნებ მეტსაც იყო მიმხვდარი; ამას ყოველივეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ის კი არა, რომც ჩარჩეს, არც ეს იქნება დიდი ბედენა, რაკი მე მოვკიდეო ხელი ამ საქმეს.

ეს იყო სიყვარულისა ან ვნებისადმი კი არა - ქორწინებისადმი უდრევი მისწრაფებისა და თავისუფლების და მარტობისადმი მძაფრი, უცვალელებელი მისწრაფების ბრძოლა, ჩუმი და შეუპოვარი შერკინება. იმ პირველ ზამთარს ვაჟი კლასში ჩარჩა, თვითონაც მოელოდა ამ ამბავს. მარტო თვითონ კი არა, ამ ამბავს მთელი სკოლა მოელოდა. გოგო ხმასაც არასოდეს სცემდა, სათამაშო

მოედნისკენ მიმავალი გვერდს ისე ჩაუვლიდა, ზედაც არ შეხედავდა; მაგრამ ვაჟის მერხზე ყოველდღე უეჭველად ჩნდებოდა ვაშლი ან ღვეზლის ნაჭერი, რასაც გოგო თავისი საუზმიდან უწილადებდა ხოლმე, მის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში - ნამალევად ჩაჩურთული ფურცელი, რომელზეც მრგვალი ბავშვური ხელით ეწერა ამოხსნილი ამოცანები, გასწორებული გრამატიკული შეცდომები თუ სავარჯიშოები. ეს იყო დაპირება და ჯილდო, რომელსაც ვაჟი უარყოფდა, დახმარება, რომელსაც ირიდებდა, და იმიტომ კი არ მოსდიოდა გული, თითქოს ეს ამბავი თავისი მიამიტობისა და მიმნდობი ხასიათის ხელყოფად მიეჩნის, არამედ იმიტომ, რომ თავისი გულისწყრომისა და ზიზღის დაუფარავად გამოხატვა არ შეეძლო, და დარწმუნებულიც არ იყო, რომ მისთა გრძნობათა ფარულად გამოვლენა - საჭმელს იქით მოისვრიდა და ფურცლებს ნაკუწ-ნაკუწად აქცევდა ხოლმე გაცოფებული - ცოტაოდენად მაინც თუ შეატანდა იმ პატარა, მოკრძალებით დახრილ ჯიუტ თავში, მისკენ პროფილით რომ იყო მოქცეული, ან ნახევრად შებრუნებული, ან კიდევ სულაც კეფის მხრით მოშვერილი, და ვაჟს ისიც კი არ სმენოდა ოდესმე, რომ იმ გოგოს მისთვის სახელი დაეძახოს. მერე ის იყო, ერთმა ბიჭუნამ, ამაზე ერთი სამჯერ პატარამ, გამოსაჯავრებელი შაირი წაიმღერა და იმ შაირში ჩვეულებრივი სიტყვების ნაცვლად - ლიუსი პეიტი ჯეკ ჰიუსტონის გოგოაო, ნათქვამი იყო - ლიუსი პეიტს ჯეკ ჰიუსტონისთვის ყურებში ხელი წაუვლია და მეორე კლასში ექაჩებაო. იმ ბიჭუნას ისეთი ლეწა, გეგონებოდათ თავის კბილას შერკინებოდეს. უმაღვე ოთხი უფროსკლასელი ეძგერა, ეს გააფთრებული ექაჩებოდა, და უცებ ბიჭებმა უკან დაიხიეს და მისი მტრების თავებზე ჩანთის მოტყაპუნე გოგომ ამისკენ გზა გამოიკაფა. გოგოსაც ისევე გონს მოუსვლელად გაუქანა, როგორც წელანდელ ბიჭუნას, და იქით მიაწყვიტა. ერთ-ორ წუთს კიდევ ბობოქრობდა ცოფმორეული. მაშინაც კი, როცა წააქციეს, ოთხ ბიჭს მოუხდა მესერზე აგლეჯილი მავთულით გაეკოჭა. მერე კი, რომ შეხსნეს, აქეთ-იქით გავარდნენ თავქუდმოგლეჯილნი.

ეს იყო მისი პირველი გამარჯვება. იმ წელიწადს კლასში ჩარჩა. შემოდგომაზე იმავე კლასში ამოყო თავი მუხლებამდე ძლივს რომ სწვდებოდნენ, იმ ქონდრისკაცებს შორის მოხვედრილმა გოლიათმა, და შარშანდელზე პატარა ყმაწვილების გროვა დაეხვია. მაშინ დაასკვნა - ახლა კი დავიხსენიო იმისგან თავი. რაღა თქმა უნდა, იმის სახეს კვლავაც ხედავდა, მაგრამ იმედი ჰქონდა - ჩვენი გამთიშველი უფსკრული კიდევ ერთი კლასით გაღრმავდაო. ასე რომ, ბრძოლა მოგებულად მიაჩნდა და გამარჯვებას ზეიმობდა; კარგა ორი თვე გავიდა, ვიდრე შეიტყობდა, რომ გოგოც ჩაჭრილიყო საგაზაფხულო გამოცდებზე და იმავე კლასში დარჩენილიყო.

ახლა კი ლამის პანიკური შიში დაეუფლა. მიხვდა, რომ მათი ბრძოლის გასაქანი და ხასიათი შეცვლილიყო. გააფთრება როდი მომატებია იმ ბრძოლას, - მეტს რაღას მოიმატებდა - ოღონდ ეს უკვე მოწიფულ ადამიანთა კვეთება იყო. აქამდე, ამ ბრძოლის მთელი სერიოზულობის მიუხედავად, მასში რაღაც ბავშვურიც ერია, თავისი ახირებით რაღაცნაირად თანმიმდევრული, თავისი უაზრობით გონივრული. ახლა კი ეს მოწიფულთა კვეთება იყო; ამ ზაფხულს, ისინი რომ ეკლესიაშიდა ხვდებოდნენ ერთმანეთს წირვისას, რაღაც წამი გაკრთა ისეთი, როდესაც სქესთა ბიოლოგიური განსხვავების ძველისძველი, გაცვეთილი ხელთათმანი ნასროლი იქნა დამიღებული. თითქოს თავისთვისვე შეუყნობლად ორივეს ერთბაშად ეხილოს ის მარადი გველი და ცნობადის ხის ნაყოფი ეგემოს საამისოდ უკვე

გამზადებულს და მისით დატკობის მოწადინეს, გარნა ვერშემძლებელს, თუმცა ამ დროისთვის ვაჟს უკვე რაღაც-რაღაცები კი ჰქონდა ნასწავლი. მერხზე ახლა ვაშლები და ღვეზელები აღარ ხვდებოდა, ფურცლები ჩნდებოდა მხოლოდ, - უქცველი, აუცდენელი, შიგ ერთ შეცდომასაც ვერ ნახავდი; სახელმძღვანელოებში ხვდებოდა, პალტოს ჯიბეებში, თავისი სახლის ჭიშკარზე ჩამოკიდებულ საფოსტო ყუთში; ყოველთვიურად, როცა მის კლასს საკონტროლო წერა ჰქონდა, ეს სუფთა ფურცელს ჩააბარებდა ხოლმე, უკან კი სხვა ფურცელი უბრუნდებოდა, ფრიადზე შეფასებული, თანაც იმავე ხელით ნაწერი, და ეს ხელწერა უფრო და უფრო ემსგავსებოდა ამისას - ბოლოს ხელის მოწერასაც ვეღარ გარჩევდით. და ის მისი სახე ნიადაგ, თუმცა გოგო კვლავინდებურად უბრად უვლიდა გვერდს, არც კი შემოხედავდა, მერხზე დახრილი მისი სახე, ამისკენ პროფილით თუ სამი მეოთხედით შებრუნებული, მშვიდი და აუძღვრეველი სახე! არა მარტო მთელ დღეს უმზერდა იმ სახეს, სადამოს შინ მიმავალს ისიც თან მიჰყვებოდა, დილით გაღვიძებისთანავე ისევ თვალწინ დაუდგებოდა კვლავ უშფოთველი და ურყევი. მისგან თავის დახსნას იმით ცდილობდა, თავის საყვარლად ქცეულ ზანგის გოგოს მოიგონებდა ხოლმე, მაგრამ ის უშფოთველი სახე თვალწინ ედგა უცვლელად და ზედ არც გულისწყრომა ეწერა, არც ნაღველი, საყვედურიც კი არა; წინასწარვე შეუნდობდა ყოველსავე, ვიდრე ეს შენდობაზე ფიქრს გაბედავდა ან დაიმსახურებდა ამ შენდობას. მოლოდინში იყო დანთქმული ის მშვიდი და ზარდამცემი სახე. იმ წელს ერთხელ განწირული აზრი დაებადა - სამუდამოდ დავიხსნი თავს იმისგან, ჩემი დახმარების საშუალებას მოვუსპობ, სწავლას ჩავუჯდები, დაკარგულ წლებს ამოვიგებ და, ასაკით რომ შემფერის, იმ კლასს დავეწევიო. კიდევ შეეცადა ეს გაეკეთებინა, მაგრამ დიდხანს არ გაჰყოლია გულმოდგინება. ყოველგან, ყოველთვის ის სახე მოაცივდებოდა ხოლმე. იცოდა, ვერასოდეს გაექცეოდა, - უკან როდი დაქაჩავდა ის სახე, არა, ახლა, თავის მხრივ, ამას მოუხდებოდა თან ეტარებინა, ისევე როგორც ის სახე ამას დროისა და სივრცის გარეშე ამყოფებდა იმ ხუთ წელიწადს, ვიდრე გოგო დაიბადებოდა; და არა მარტო ვერ გაექცევა ვაჟი, მათ გამთიშველ იმ ერთადერთ წელიწადსაც ვერ გადალახავს, და, რასაც უნდა მიაღწიოს ცხოვრებაში, ის გოგო მუდამ აქვე იქნება, ერთი წლით დაწინაურებული, და მისი თავის დავლა, მისი გადასწრება ვერასგზით ვერ მოხერხდება, ასე რომ, ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა: უკან ვეღარ გაბრუნდებოდა, ან კი სადღა უნდა წასულიყო უკან, ის შეეძლო მხოლოდ, რომ დაემუხრუჭებინა სრბოლა, უხილავი შემფერხებელი დეზები გვერდებში გაერჭო ჭენებით გავარდნილი სასკოლო სიბრძნისთვის.

ასეც მოიქცა. მისი შეცდომა ის იყო, რომ ეგონა - ხომ უნდა ექნესო ბოლო ქალის უღმობლობას. მასწავლებელს ყოველთვიურად სუფთა ფურცელს აბარებდა, ხოლო უკან უბრუნდებოდა უმწიკვლოდ შესრულებული საკონტროლო სამუშაოები, ზემოდანაც გულდასმით იყო გამოყვანილი მისი გვარი; თვე თვეს მისდევდა და გადასაყვანი გამოცდები ახლოვდებოდა. სუფთა ფურცლები ჩააბარა მასწავლებელს, ზედ არაფერი ყოფილა, გარდა მისი გვარის და თითების ჭუჭყიანი ლაქებისა, უკანასკნელად დახურა ჯერაც გაუზინზლავი სახელმძღვანელოები და სკოლიდან გამოვიდა თავისუფალი. მთელ დღეს, სადამომდე თავისუფლების ეს განცდა არ მოშორებია. ის იყო დასაწოლად გახდა დაიწყო და შარვლის ცალი ტოტიდან ფეხი ამოჰყო კიდევ, რომ უცებ დაუყოვნებლად ისევ ამოიცვა შარვალი და ფეხშიშველი, უპერანგო

გავარდა სახლიდან. მამამისს უკვე ეძინა. სკოლა დაკეტილი არ ყოფილა, მაგრამ მასწავლებლის მაგიდის გასაჩხრეკად ბოქლომის გატეხვა მოუხდა. მისი სამივე საკონტროლო სამუშაო იქ იდო - იმავე ზომის ფურცლები, როგორც დაუწერელი ჩაებარებინა, - არითმეტიკისა, გეოგრაფიისა, თხზულებაც. რომ არ სცოდნოდა - ცარიელი ფურცლები ჩავაბარეო, იმ ნაწერებში ზოგიერთი ისეთი სიტყვა რომ არ ამოეკითხა, რომლებსაც პირველად ხედავდა და ვერც კი გამოთქვამდა, აგრეთვე ყველა დანარჩენი სიტყვა რომ არ ყოფილიყო, რომელთა მნიშვნელობა კი იცოდა, ოღონდ გაგებით შინაარსი ვერ გაეგო, ეს ყველაფერი რომ არა, იმის თავდებიც ვერ იქნებოდა - ეს თხზულება ჩემი დაწერილი არ არისო.

შინ დაბრუნდა, რაღაც-რაღაც ტანსაცმელი მოაგროვა, ამ სამი წლის წინვე ნაშოვნ რევოლვერს ხელი დაავლო და მამა გააღვიძა; ზაფხულის ამ შუაღამისას ლამპის შუქით განათებულნი უკანასკნელად ხედავდნენ ერთმანეთს - შემკრთალი, ოღონდ სიმტკიცით აღსავსე ჭაბუკი და დაბოდმილი, ხმელ-ხმელი, ძარღვიანი კაცი, ვაჟიშვილზე თითქმის მთელი თავით დაბალი, გაუპარსავი, ჭაღარა თმაშლილი, კოჭბამდე ჩაგრძელებული ღამის პერანგით მოსილი, რომელმაც სკამზე მიგდებული შარვლის ჯიბიდან გაცრეცილი საფულე ამოიღო და, რაც კი ებადა, შვილს მიუთვალა, მერე რკინისჩარჩოიანი სათვალე დაიდგა ცხვირზე, გაცემული თანხის პროცენტაინი თამასუქი დაწერა და ხელი მოაწერინა.

- აჰა, - უთხრა ვაჟიშვილს, - ახლა ჯანდაბამდე გზა გქონია. რაც უნდა იყოს, ჩემი შვილი ხარ და თექვსმეტი წლის კაცმა თავი კი უნდა ირჩინო. მე ვირჩენდი შენხნობაზე. ოღონდ, რაც ახლა მოგეცი, იმდენს ჩამოვდივარ სანამძლეოდ, ნახევარი წელიწადიც არ გაივლის, რომ - მიშველეო, შემომეხვეწები.

გზად მიმავალმა სკოლაში შეიარა და საკონტროლო სამუშაოები სუფთა ფურცლებთან ერთად თავის ადგილას ჩააწყო; რომ შეძლებოდა, გატეხილბოქლომსაც შეაკეთებდა. მამამისიც კი გაისტუმრა, თუმცა სანამძლეო არ წაეგო. ერთ წელიწადში დაუბრუნა ის ფული, როცა ერთ შაბათ საღამოს ზარში სამი იმდენი მოიგო, რაც ემართა, ოკლაჰომაში, რკინიგზის მშენებლობაზე, სადაც მეტაბელედ მუშაობდა.

წარსულს კი არა, მომავალს გაურბოდა თავისას. თორმეტი წლის მერედა მიხვდა - ვერც ერთს გაექცევი კაცი და ვერც მეორესო, ცეცხლფარეშად მუშაობდა ორთქლმავალზე, მალე დაწინაურებას ელოდა, მემანქანე უნდა შექმნილიყო. იმხანად ელ-პასოში ჰქონდა ბინა დადებული, ქვის პატარა, სუფთა, ოთხი წლით იჯარით აღებულ სახლში, ერთ ქალთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც მეზობლებს, მედუქნეებს და სხვა დანარჩენ ხალხს მის ცოლად მიაჩნდათ და რომელიც შვიდი წლის წინ გალვესტონის საროსკიპოდან გამოეყვანა. მანამდე კი კანზასში პურს მკიდა, ნიუ-მეხიკოში ცხვარს მწყემსავდა, არიზონასა და დასავლეთ ტეხასში ისევ რკინიგზის მშენებლობაზე მუშაობდა, მერე გალვესტონის დოკებში იყო მტვირთავად; და თვითონაც არ იცოდა, რომ ისევ იმ გოგოს გაურბოდა, რადგან მრავალი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც აღარც კი ეფიქრა - როგორც იქნა დავივიწყეო მისი სახე. არც კი იცოდა ეს ამბავი, როდესაც დარწმუნდა, რომ მხოლოდ მანძილის მეოხებით ვერც წარსულს გაექცევი კაცი და ვერც მომავალს. (მანძილი -

წარმოსახვის რა სიმწირე, განშორების რა ბრიყვული რწმენა ახასიათებს კაცობრიობას, რომელსაც გარიდების უკეთესი საშუალება ვერ გამოუნახავს; და პირველ რიგში თავად ამას, რომელსაც ეგონა - მანძილი ჩვეულებრივი სივრცე კი არ არის, არამედ გარემო, ჰაერი, ურომლისოდაც თავისუფალი მაწანწალა ვერ ისუნთქებსო). საკუთარი თავის ერთგული დარჩენილიყო, - ერთ ქალს გამოქცეული მეორეს უძვრებოდა კალთის ქვეშ, ისევე როგორც ყმაწვილობისას დედისგან ზანგის ქალისკენ გარბოდა ხოლმე, - მაგრამ არც უწყოდა ეს ამბავი, როცა გამთენიისას საროსკიპოდან ლამის ძალისძალიად გამოათრია ნაშუადამევს პირველად ნანახი ქალი. გაზის თალფაქის მიმქრალ შუქზე ამასა და თმადახვეულ დიასახლისს შორის გულის შემძვრელი სცენა გაიმართა, გეგონებოდათ ეს დედისერთა ქალიშვილს, მთელი ქონების მემკვიდრეს იტაცებდა სახლიდან.

შვიდ წელიწადს ცხოვრობდნენ ერთად. კაცი ხეტიალს შეეშვა, ისევ რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა და სამსახურებრივ კიბეზე წაიწია კიდევ; და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხორციტაც ერთგული იყო იმ ქალისა, ისიც, თავის მხრივ, ერთგულობდა, გონივრულად, თავმდაბლად იქცეოდა და ამის ფულს ტყუილუბრალოდ არ ანიავებდა. ქალი ამის გვარს ატარებდა, იჯარით აღებულ სახლში ბინადრობდნენ და თავისას ეძახდნენ იმ სახლს. თუმცა ქალს ამის თაობაზე კრინტიც არ დაუძრავს, ეს დაქორწინებასაც ფიქრობდა, - იმდენად შეურბილა, ბოლოს კი სულაც გაუქარწყლა მაშინ ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა და პიროვნების თავისუფლების მოტრფიალე დასავლეთის გავლენამ მემკვიდრეობით მიღებული ფანატიკური წარმოდგენა ქორწინების, ქალის უმანკოებისა და მარიამ მაგდალინელის ცოდვათა შესახებ, რაც პროვინციული სამხრეთის პროტესტანტებისთვის იყო დამახასიათებელი. თუმცა მამამისისათვის ჯერ კიდევ უნდა გაეწია ანგარიში. იმ ლამის შემდეგ, სახლი რომ მიატოვა, არ ენახა და აღარც ჰქონდა ნახვის იმედი. არა, მამა არ მომკვდარიყო მისთვის, უფრო შორეული არ შექნილიყო, ვიდრე მისისიპის შტატში დარჩენილი ძველი სახლი, სადაც უკანასკნელად ნახეს ერთმანეთი; უბრალოდ, ამას ვერ წარმოედგინა, რომ მათ შეხვედრა შეეძლოთ სხვაგან სადმე, გარდა მისისიპისა, ხოლო იქ დაბრუნებას, ხანში რომ შევიდოდა, მერე ფიქრობდა. ოღონდ ის კი იცოდა, თუ როგორ შეხვდებოდა მამამისი ნაკახპართან მის დაქორწინებას, ხოლო მანამდე ისეთი არაფერი ჩაედინა, რასაც, მისი აზრით, მამამისიც არ ჩაიდენდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, არ მოუწონებდა. მერე მამამისის სიკვდილის ამბავიც მოუვიდა (იმავე ფოსტით მეზობლის წერილი მიიღო - ფერმა მომყიდეო. ამან უარი შეუთვალა. მაშინ თვითონაც არ იცოდა, რატომ უარობდა) და ეს დაბრკოლებაც მოისპო. ოღონდ, კაცმა სიმართლე რომ თქვას, არც არსებულა ოდესმე ის დაბრკოლება. ეს საკითხი საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილს უკვე გადაეწყვიტა ერთ ღამეს, როცა რელსებზე მოღრჭიალე ქუფრი ორთქლმავალი წყვდიადში მიქროდა: „ხელიდან წასული კი იყო იქნება, მაგრამ მეც ხომ არ ვარ დიდი სულიწმიდა. სამაგიეროდ აგერ ამდენი წელიწადი გადის, რაც მე მჯობია“. შესაძლოა, ხანი რომ გავა, შვილიც გვეყოლოსო. გადაწყვიტა სასწაულივით დალოდებოდა ამ ამბავს. თუმცა თავდაპირველად ამგვარი რამის შესაძლებლობისთვის ფიქრიც არ უნდოდა, - იგივე ფანატიკოსი პროტესტანტი ჰყავდა გამჯდარი: უფლის მარჯვენა სულიერი განახლების შემდეგაც კი დამძიმებულია ცოდვილსა ზედა; ბაბილონელ მეძავს ზენაარმა საუკუნოდ დაუხშო საშო. ამან არ იცოდა, რამდენი დრო უნდა გასულიყო, უბიწოების რამდენად ხანგრძლივ გამოცდას შეეძლო მიემადლებინა მისთვის

განწმენდა და ცოდვათა მიტევება, ოღონდ სურათი ამგვარად წარმოესახებოდა: რომელიღაც იდუმალსა და გამოუცნობ წამს მის შებილწულ სხეულს უსახელო მამაკაცთა მიერ დატოვებული ქერეჭი გადაეცლება, თახსირი ვნებით ამოშანთული იარები პირს შეიკრავს და წარიხოცებაო.

მაგრამ ახლა ეს უკან იყო დარჩენილი - ის ამოუხსნელი წამი კი არა, განწმენდა რომ უნდა მოჰყოლოდა, ის საათი, ის დღე, როდესაც, ამის აზრით, ქალს უნდა ეთქვა - ფეხმძიმედ ვარ და უნდა დავქორწინდეთო. ახლა ეს შორს იყო მოტოვებული. ეს არ მოხდება არასოდეს. და ერთ ღამეს, სახლიდან გამოქცევის მეთორმეტე წელი რომ გადიოდა, უკანასკნელ სადგურხესადილედ გამზადებულმა სამი წლის წინანდელი წერილი ამოიღო და მიხვდა, რატომაც იუარა მაშინ მეზობლის წინადადება. „წავალ სახლში“ - უთხრა თავის თავს. ეს იყო და ეს, ახსნა-განმარტება არ დაუწყია; ის სახეც კი არ წარმოსდგომია, რომელსაც სკოლაში მისვლის დღემდე ვერც კი აღწერდა, ხოლო ახლა ვერც კი გაეხსენებინა. მეორე დღეს ელპასომდე რეისით ჩასულმა შვიდ წელიწადს ნაგროვები ფული ბანკიდან გამოიტანა და შუაზე გაყო. გარნა შვიდ წელიწადს მის ცოლად ნამყოფმა ქალმა ფულს არც კი დახედა, ისე დაუწყო ლანძღვა.

- ვიცი მე, ცოლის შერთვას აპირებ, - უთხრა. ცრემლები არ წამოსვლია, ისე წყევლიდა. - ფული რად მინდა? აბა, შემხედე. როგორ გგონია, ისე ვერ შევინახავ თავს? წამიყვანე თან. მეზობლად დავსახლდები რომელიმე ქალაქში, ჰოდა, როცა მოგეხასიათოს, ჩამოდი ხოლმე. მე რა, ხელს გიშლიდი ოდესმე?

- არა, - მიუგო ამან.

მაშინ ქალმა ორივეს დაუწყო წყევლა. „ნეტავ ხელი ეკრა, შემოერთყა მაინც, რომ გული მომსვლოდა და გამელახა“, - გაიფიქრა კაცმა. მაგრამ აქამდე არ მისულა საქმე. იმდენად კაცს არ აგინებდა ის, რამდენადაც იმ სხვა ქალს, თვითონ არასოდეს რომ არ ენახა, კაცსაც ძლივს რომ აგონდებოდა ახლა. და მაშინ კაცმა მიითვალა თავისი ხვედრი ფული - ის ფული, მუდამ რომ თავისით უვარდებოდა ხელში, იღბლიანი კაცი იყო, იმიტომ კი არა, თითქოს ის ფული იოლად ემოვოს, არც იმიტომ, თითქოს სადმე ეპოვოს, მოეგოს ან უშრომლად მოექუჩებინოს, არამედ იმიტომ, რომ მისი სამყოფი გარყვნილება თუ სიამოვნება იაფი უჯდებოდა და მის ქისას დიდი ჯაფა არ ადგებოდა - და შინისკენ გაემგზავრა, მისისიპოში. ოღონდ ამის მერეც, ჩანს, მთელი წელიწადი დასჭირდა, რათა გული დაეჯერებინა - არც კი მსურსო წარსულისგან თუ მომავლისგან გაქცევა. მეზობლებმა დაასკვნეს - ფერმის გასაყიდად ჩამობრუნდებოდაო. გარნა კვირები გადიოდა, ხოლო ამას გაყიდვა გულში არ გაუვლია. გაზაფხულდა, მაგრამ არც იჯარით გაუცია ფერმა, არც თვითონ შესდგომია მუშაობას. ძველ, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომამდე აშენებულ სახლში ცხოვრობდა და ის სახლი, მართალია, ციხე-დარბაზს არაფრით ჰგავდა, მაგრამ უწინაც ერთობ ხალვათი იყო სამი მობინადრისათვის. თვე თვეს მისდევდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ჰიუსტონი შვებულებით იყო ჩამოსული და ის ადგილიც ენახებოდა ტეხასის რკინიგზაზე, სადაც (მამამისისგან ასე სმენოდათ) სამსახურში იყო ჩამდგარი. ასე მარტოსულად აღამებდა და ათენებდა, თავის კბილა ხალხს თუ გაეკარებოდა ხოლმე ვისკის დასალევად ან კარტის სათამაშოდ, ისიც

იშვიათად. ზაფხულობით ზოგჯერ პიკნიკებზე გამოჩნდებოდა, ხოლო შაბათ დღეს მუდამ უორნერის დუქნის გალერეაში იყო ჩამომჯდარი სხვებთან ერთად; მასლაათობდა, უკეთ, პასუხს აძლევდა გამომკითხველებს - დასავლეთში ასე და ასე საქმეო, და გულჩახვეული სულაც არ ყოფილა, ოღონდ თითქოს სხვადასხვა ენაზე მეტყველებდნენ ისინი, ერთიმეორის შეკითხვები და პასუხები არ გაეგებოდათ. ცხოვრებას მოეთვინიერებინა ცოტათი, თუმცა მაინცდამაინც არ ემჩნეოდათ ეს ამბავი. სახეზე ჯერაც აღბეჭდოდა აქეთ-იქით ხეტიალისა და ყარიბობის დამლა, ოღონდ როგორღაც მაინც დამცხრალი, უფრო აზრიანი ჰქონდა სახე, რადანარი გაცნობიერებული, თუმცა შეუდრეკელი დაძაბულობა ჩასახლებულიყო მის არსებაში; ამ გარეულ მხეცს, ნიადაგ მარტოსულს, უეცრად ხაფანგისკენ გაუწია გულმა, თან იცოდა, გრძნობდა, ეს რომ ხაფანგი იყო, და, თუმცა არ ესმოდა, თუ რატომ იყო განწირული, გარნა უწყოდა, გარდაუვალი რომ იყო ეს ამბავი, და აღარც ფრთხებოდა, ლამის მოშინაურებულიყო.

იანვარში დაქორწინდნენ ისინი. ტეხასიდან ჩამოყოლილი ფული კარგა ხანია შემოჭმოდა, თუმცა იმ არემარეზე ჯერაც ქონების პატრონად მიაჩნდა ყველას, - აბა, როგორ უნდა ერჩინა თავი უმუშევრად მთელ წელიწადს და მერე ობოლ, უმზითვო გოგოზე როგორ უნდა დაქორწინებულიყო. რაკი ყველაფერში ნაღდს იხდიდა, მეზობლებმა ერთხელ და სამუდამოდ გული დააჯერეს - ფულიანი კაციაო, ისე როგორც თავდაპირველად ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ - თავისი სახლი გაჭირვებამ მოაკითხვინაო. მიწის ნაწილი ბილ უორნერს მიაგირავა და აღებული ფულით ახალი სახლის შენება წამოიწყო, თემშარას დაუახლოვა სამოსახლო. ერთი ულაციც იყიდა - ეს ვითომ საქორწინო საჩუქარი უნდა ყოფილიყო პატარძლისთვის, თუმცა თვითონ არასოდეს უთქვამს ასე, ან იქნებ ეს ცხელი სისხლი, ეს ძვლები და კუნთები მისთვისაც იმ პოლიგამიის, იმ დაუოკებელი მამრული საწყისის განსხეულება იყო, რასაც თავად განდგომოდა, ოღონდ არც ამის თაობაზე უთქვამს რაიმე. და თუკი ზოგზოგიერთი ნაცნობ-მეზობელი - ბილ უორნერი ან, ვთქვათ, რეტლიფი - მიხვდა, რომ ამ ამბით იგი მართლაც თავის თავს ეძიებდა, განზრახ ცდილობდა თავისი განდგომის სიცარიელე შეევესო, არც იმათ უთქვამთ რაიმე.

ქორწინებიდან სამი თვის შემდეგ სახლიც მოთავდა, ესენი საცხოვრებლად იქ გადავიდნენ და ზანგის ქალი დაიქირავეს მზარეულად, თუმცა მთელ იმ მეზობლობაში ერთადერთი ნაქირავეები მზარეული - თეთრკანიანი იქნებოდა თუ ზანგი - მხოლოდ უორნერებს ჰყავდათ. მთელი ოლქიდან სტუმრებმა იწყეს დენა ამათკენ. კაცებს ულაცი სურდათ ენახათ, ქალებს - ნათელი ოთახები, ახალი ავეჯი, ნაირ-ნაირი საოჯახო ჭურჭელი და შრომის შემამსუბუქებელი და დროის დამზოგველი მანქანები, რომელთათვისაც თავად ოდენ ოცნებობდნენ კატალოგთა მფურცველნი. ესენი ხედავდნენ, როგორ ჩაუმუხლებლად საქმობდა ახალ კარ-მიდამოში პატარძალი - სადა კაბაში გამოწყობილი, სადად თმაგადავარცხნილი, მოკრძალებული სახე გადაშლოდა, ლამის გალამაზებულიყო. თავისი ბედნიერება როდი აკვირვებდა, თავისი ერთგულების საზღაურით როდი ტკებოდა, ისე წამოეგზნებოდა ხოლმე, დაწვები სიხარულით შეუფაკლდებოდა, სტუმრები რომ იტყოდნენ - რა დროულად მოთავდა სახლი, საწოლ ოთახში აპრილის სავსე მთვარე შემოანათებსო.

მერე ის იყო, ულაცმა იმსხვერპლა. ქათმის საბუდარს ეძებდა. ზანგმა მსახურმა გააფრთხილა: „ქალბატონო, ეგ ხომ ცხენი არაა მხოლოდ. ეგ ბედაურია, მამაკაცი, ნუ მიეკარებით“. გარნა ქალი არ შემდრკალა. თითქოს მიმხვდარიყოს, გამოეცნოს კაცის გარდასხეულება, გაორება, და, ხმამაღლა თუ არ უთქვამს, გაიფიქრა მაინც: „რა სისულელეა. ახლა ხომ ცოლ-ქმარნი ვართ“. გადარეული აჯლიდას ბაგისკენ კაცი დანით ხელში გავარდა, მაგრამ ზანგმა დააკავა, იმაზე დაიყოლია, რომ სახლიდან რევოლვერის მოტანამდე მოეთმინა, და იმ რევოლვერით ულაცს სიცოცხლე რომ მოუსწრაფა, მერე ოთხ წელიწადს და ორ თვეს ცხოვრობდა ახალ სახლში ნაგაზისა და მზარეული ზანგის ანაბარა. ცოლისთვის შეძენილი ფაშატი გაყიდა, ძროხაც ზედ მიაყოლა, მზარეულ ქალს გაუსწორდა და ქათმები მეზობლებს ჩამოურიგა. ახალი ავეჯი ნისიად იყო ნაყიდი. ეს ავეჯი ძველი სახლის გვერდით მდგარ ფარდულში გადაზიდა და მოვაჭრეებს მისწერა – ჩამოდით და წაიღეთო. ახალ სახლში დაიტოვა მხოლოდ ღუმელი, სამზარეულოს მაგიდა, რომელსაც ინჯრობისას მიუჯდებოდა ხოლმე და ფანჯარასთან მიდგმული ვიწრო საწოლი, რომლითაც ძველი ფართო ლოგინი შეეცვალა. პირველ ღამეს, ამ ვიწრო საწოლზე რომ მიდო თავი, მაშინდელივით ახალი მთვარე იდგა, ამიტომ საწოლი სხვა ოთახში გადაიტანა და ჩრდილოეთის კედელს მიუჩოჩა, სადაც მთვარის შუქი ვერ აღწევდა, ორი ღამის შემდეგ კი ისიც სცადა, ძველ სახლში გაეთია ღამე. გარნა იქ ყოველივე დაეკარგა – არა მარტო მოსვენება, არამედ აგრეთვე ის სასტიკი, უკურნებელი ვარამი, რომელშიც შეეძლო თხემით ტერფამდე დანთქმულიყო ხოლმე.

მაშინ ახალ სახლს დაუბრუნდა ისევ. მთვარე მიმცხრალიყო, მომდევნო ახალი მთვარის დადგომამდე მთელი თვე ედო და ახლა ის ერთადერთი საათიდა რჩებოდა – მზის დასვლიდან დაბნელებამდე, როცა დაღლილობით იყურებდა გულის სატკივარს. ხოლო დაღლილობა იოლი საშოვარი იყო; მარტო ბილ უორნერისთვის მიგირავებული მიწის გამოსყიდვა კი არ ჰქონდა თავსატეხი, ვაჭრებმაც ერთი აყალმაყალი ატეხეს – ნისიად წამოღებული ავეჯის უკან დაბრუნება არაფრის დიდებით არ უნდოდათ. იძულებული შეიქნა ისევ მოეკიდა ხელი ფერმის საქმეებისთვის, და ყოველდღე ხვდებოდა, რამდენი რამ დავიწყებოდა. ასე რომ, ზოგჯერ ვერც კი ამჩნევდა ხოლმე, როგორ მოეპარებოდა ის საზარელი საათი, ვიდრე არ იგრძნობდა – აგერ, მოახლოვდა, თავს წამომადგა და მახრჩობსო. ამ დროს ცოლის დაუოკებელი სული და ზოგჯერ აგრეთვე სული ვაჟიშვილისა, რომელიც გაისად იქნებ შესძენოდათ კიდევ, თავს დასტრიალებდნენ მისთვის აგებულ სახლს, თუმცა ამ სახლში ერთი ნივთიც აღარ იყო მისგან ხელშენავლები ან თუნდაც მისი აქ ცხოვრების მომსწრე, გარდა ღუმლის, სამზარეულოს მაგიდის და ერთი კაბისა – ხალათის ან ღამის პერანგის კი არა, კუბოკრული კაბისა, იმის მსგავსის, როგორშიც ამან პირველად იხილა სკოლაში; ჰო, ფანჯარა იყო კიდევ და იმ ფანჯარის გადამკიდე ზაფხულის ყველაზე ცხელ სადამოებსაც კი, ვიდრე ზანგი ვახშმის თადარიგით იყო გართული, დახუთულ სამზარეულოში ატარებდა, დოქიდან ვისკის ისხამდა, მუხის კასრში ნადგამი ნელთბილი წყლით აზავებდა, თან ხმამაღლა ამრახდებოდა ხოლმე, უფრო და უფრო გულს შემომსკდარი, მძვინვარედ ღვთის მგმობელი. ოღონდ ეს იყო – გულის ჯავრს ვერავისზე ამოიყრიდა, მოსარევი და დასათრგუნავი არავინ ჰყავდა.

გარნა ადრე თუ გვიან მთვარე ისევ მატებისკენ მიიქცეოდა. სულ უმთვარო ღამეებიც იცოდა. და მაინც შუქის ვერცხლისფერ-მოთეთრო სწორკუთხედი

ფანჯრიდან კვლავ დაეფინებოდა და ზედ ადგა მთელ ღამეს, რომელსაც გათენება აღარ უნდა ღირსებოდა თითქოს, ისევე როგორც ეფინებოდა ხოლმე მათ ორთავეს, ძველებური ნათქვამის გამხსენებლებს – სავსე მთვარე აპრილში მუცლადღებას უწყობსო ხელს. ოღონდ ახლა მის გვერდით აღარავინ იწვა მთვარის შუქზე, აღარც ადგილი იყო ვისთვისმე დარჩენილი. რადგან მისი ახალი საწოლი ერთობ ვიწრო იყო და მხოლოდ მკვეთრი შავი ჩრდილი ეცემოდა იატაკს, სადაც ნაგაზი იწვა უჩინრად და ეძინა. ეს კი უძრავად ეგდო ლოგინზე გულადმა და კბილებს აღრჭიალებდა შეურიგებელი. „არ ვიცი, არ ვიცი, – ჩურჩულებდა, – არც მესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებ. ოღონდ ჩემი მომრევი არა ხარ. ვერ მაჯობებ. არ ხარ ჩემი მომრევი“.

უნაგირიდან რომ გადმოექანა, ჯერაც ცოცხალი იყო. ჯერ გრიალი გაიგონა, ხოლო წამის შემდეგ მიხვდა, რომ, ეტყობა, გასროლის ხმის გაგონებამდე ჯერ ტყვიის მოხვედრა შეეგრძნო. და აქ დაირღვა ჩვეულებრივი მსვლელობა, რასაც თავისი ცხოვრების ოცდაცამეტი წლის მანძილზე შესჩვეოდა. მოეჩვენა – მიწას დავასკდიო, თუმცა იცოდა, ჯერ არ დასულიყო მიწამდე, ჯერაც ეცემოდა. მერე ვარდნა შეწყდა, მიწაზე აღმოჩნდა და, რაც კი მუცლის ჭრილობები ჰქონდა ნანახი, ყველას გამხსენებელმა გაიფიქრა: „ახლა ტკივილი თუ ვერ ვიგრძენი, გათავებულია საქმე“. ნატრობდა – ტკივილი ვიგრძნო, და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რატომ აყოვნებდა ტკივილი. მერე სადღაც იმ ადგილს ზემოთ, მისი ფეხები რომ უნდა ყოფილიყო, ჯურღმული დაინახა, უფსკრული, და გულადმა მწოლიარე ხედავდა, როგორ მიიმართებოდა ამ უფსკრულის წიად ნერვთა და გრძნობათა დაწყვეტილი, დახლართული ბოლოები. ჭიებივით უსინათლონი, ბეწვის უწვრილესნიერთიმეორეს დაემებდნენ, რათა კვლავ შეერთებულიყვნენ და შეზრდოდნენ ერთმანეთს. მერე თვალი მოჰკრა, ელვასავით როგორ გაკრთა სიცარიელეში ტკივილი. ოღონდ შიგნიდან კი არ მიახლებია ის ტკივილი, საიდანღაც გარედან დააცხრა, ესოდენ ნაცნობი და მისგან განრიდებული მიწიდან. „დაიცა, მოითმინე, – წაიჩურჩულა ამან. – ნელ-ნელა მომიახლოვდი, უცებ ნუ დამეტაკები, მაშინ იქნებ გაგიძლო კიდეც“. გარნა ტკივილს მოცდა არ სურდა, ღრიალით ეკვეთა, ააქანა და დაკრუნჩხა. მოცდა არ სურდა, ის ეწადა, უმაღვე გადაეტყორცნა სიცარიელეში, და მაშინ ამან შეჰკრიალა: „ჩქარა! ჩქარა-მეთქი!“ სისხლიანი ზრიალიდან შემზერდა სახეს, რომელთანაც სამარადისოდ დააკავშირა, შერწყა იმ გასროლამ, მეთაე კალიბრის იმ ვაზნამ, მერე კი, რომ დაინახა – გადახსნილი ორლულიანი თოფი არ იძვროდა: „ჩათლახო, ორი ტყვიაც ვერ გამოამეტებინე, მათხოვარო შენ...“ – და სიტყვა გაუწყდა. ჩამავალი მზის მისადევნებლად ჯერაც გახელილი თვალები უეცრად დაენამა და სხვისად ქცეულ, უგრძნობელ დაწვებზე მბრწყინავი წვეთები ჩამოედინა, თითქოს ნამდვილი ცრემლები ყოფილიყოს.

გასროლა ერთობ ძლიერი აღმოჩნდა, თანაც იმიტომ კი არა, რომ ეს იყო გასროლა, – თავად ხმა იყო ერთობ ძლიერი, მქუხარე. თითქოს სივრცეც და ამ ხნის მიმრქმელი ექოც ამის წინააღმდეგ ამხედრებულიყვნენ, როცა ეს

თავისთა უფლებათა დასაცავად აღდგა, უსამართლობის წინააღმდეგ გაილაშქრა. და ქუხილი უფრო და უფრო მალა ედებოდა ბუჩქნარს, სადაც ეს ჩამალულიყო, და მრუმე, ძლივს გასარჩევ გზას, თუმცა დიდ ხანს გაევილო უკვე, რაც ამას მხარში უკუბიძგი ეგრძნო, შავი დენტის სუნი გაფანტულიყო, ხოლო ადგილს მომწყდარი ცხენი შორს მიჭენაობდა და ცარიელი უზანგები ცარიელსავე უნაგირს ეტლაშუნებოდა. აგერ ოთხი წელიწადი იქნებოდა, თოფი ხელში აღარ აეღო და დარწმუნებულიც კი არ იყო, რომ მისი ხუთი ვაზნიდან ორი მაინც გაისროდა. გასროლით მეორემ გაისროლა, პირველმა უმტყუნა: ჩახმახმა ფუჭად გაიჩხაკუნა და გრგვინვაზე გამაყრუებელი იყო ის ჩხაკუნა. და ამას ხელახლა უნდა დაემიზნებინა და მეორე ჩახმახი მოეფათურებინა. მერე კი იგრილა, ოღონდ ამას არც გაუგონია, ისე გააყრუა მეორე ჩხაკუნმა, ბოლმა და დენტის სუნმა უკან დაახევინა, ტევრისკენ, და მიწას გააკრა. წუთით ცუდად შეიქნა, ასე რომ, კიდევ რომ შეძლებოდა ხელახლა გასროლა, მაინც გვიან იქნებოდა, ძაღლიც გაქრა, მუხანათურად მიატოვა ამ ტყეში, სადაც ეს კანკალებდა და სულს ძლივს ითქვამდა წაქცეული ხის უკან ჩამალული.

ახლა საქმე უნდა მოეღია, ისე კი არ უნდა მოეღია, როგორც თვითონ უნდოდა, არამედ როგორც აუცილებლობა აიძულებდა, ისე. ამას არ დასჭირვებია დაეთრგუნა ბრმა, განუკითხველი, შემზარავი შიში, უკანმოუხედავად რომ გააქცუნებს ხოლმე კაცს. პირიქით, ახლა ყველაზე მეტად იმას ისურვებდა, მოკლულის მკერდზე დაეტოვებინა დაბეჭდილი პლაკატი: „აი, რა მოუვა, ვინც მინჯ სნოუჰისს საქონელს წაართმევს“, – და ხელიც მოეწერა ზედ. მაგრამ ამის გაკეთება არ შეეძლო და, რაც ჩახმახს გამოჰკრა, იმ წუთიდან აგერ უკვე მესამედ აწყდებოდა იმავე შეთქმულებას, რომლის მიზანი იყო შეელახათ, ფეხქვეშ გაექელათ ამის ადამიანური უფლებები და გრძნობები. საჭირო იყო ამდგარიყო, ბუჩქებს გამოსცლოდა და ის გაეკეთებინა, რასაც აუცილებლობა მოითხოვდა, იმის გამოც კი არა, რომ ამ ამბავს მორჩენილიყო, არამედ იმიტომ, რომ როგორღაც გაესრულებინა დაწყებული საქმე, რადგან ფლოქვების ხმის გაგონებამდეც და თოფის შემართვამდეც იცოდა უკვე – ასე იქნებოდა: დამიზნებით იმიტომ უმიზნებდა, რათა მტერი მოეკლა თავისი, მოხვედრით კი მხოლოდ და მხოლოდ გვამს მოახვედრა, და ის გვამი ახლა სადმე უნდა გადაემალა. ხესთან ჩამოჯდა, თვალები დახუჭა და ხმამაღლა თვლას მოჰყვა აუჩქარებლად, რათა კანკალი გადასვლოდა, ხოლო როცა ფლოქვების თქარათქური და ის ამაზრზენად მჭექარე გასროლის ხმა მინელდა მის ყურებში, წამოდგა და გადახსნილი, ცალ ლულაში უვარგისვაზნიანი თოფი ხელიდან არ გაუშვია, ისე გამოვიდა, ლამის სირბილით გამოიჭრა გზაზე. ოღონდ სულერთია, შინ დაბრუნება, რომ დაბნელდებოდა, მხოლოდ შემდეგ შეეძლო.

შებინდდა. ხევს ამოსცდა და შეხედა ბორცვს, სადაც მისი მწირი, ბეჩავი ყანა იდგა, მერე კი შეუღებავი, ორთვლიანი, სამზადმიშენებული ქოხიც დაინახა. ამისი არ იყო ის ქოხი, გადასახადს კი არ იხდიდა ამ ქოხისთვის, არამედ იჯარას, თანაც წელიწადში თითქმის იმდენივეს, რაც ახლის აშენება დაუჯდებოდა. არც იმდენად ხანმოთეული იყო ის ქოხი, ოღონდ სახურავში უკვე წვეთავდა, ფიცრული კედლები უამინდობას წაეხდინა, და ორი წვეთი წყალივით ჰგავდა იმ ქოხს, სადაც ეს დაბადებულიყო (არც ის ქოხი ყოფილა მამამისის საკუთრება) და სწორედ ასეთსავე ქოხში დალევს სულს, თუკი ჭერქვეშ სიკვდილი უწერია, ასეც იქნება ალბათ, – დაუდეგარი, დაუოკებელი

გული უცხად, მოულოდნელად გაუჩერდება, როცა ეს სადღაც საწოლსა და მაგიდას შუა იქნება ან, შესაძლოა, სულაც ზღურბლზე იყოს შემდგარი. იმ ექვსსა თუ შვიდ ქოხსაც ორი წვეთი წყალივით ჰგავს ეს ქოხი, რომლებშიც ამას ოჯახს მოკიდების შემდეგ უცხოვრია, და კიდევ იმ თორმეტსა თუ თოთხმეტსაც, რომლებშიც, კი იცის, მოუწევს ცხოვრება სიკვდილამდე, ოღონდ ახლა დარწმუნებული მაინც არის - ჩემს საკუთარ ბიძაშვილს ვუხდით იჯარას, და სულ ეგაა, რის მიღწევასაც შეძლებს ეს, მინკი, საკუთარი ჭკრითავს ზემოთ არასოდეს ეღირსება. ეზოში ორი ბავშვი თამაშობდა, - ეს რომ დაინახეს, წამოხტნენ, ამისთვის თვალი არ მოუშორებიათ, ისე შებრუნდნენ და სახლს მიაშურეს. მერე ისიც მოეჩვენა - ჩემს ქალს ვხედავო; გაღებულ კართან იდგა, თითქმის იმავე ადგილას, სადაც ამ რვა საათის წინ დამდგარიყო და ამის ზურგს მოსჩერებოდა, ხოლო ის მაშინ გაცივებულ კერას მისჯდომოდა და გამდნარი ღორის ქონით პოხავდა თოფს, - მეტი არაფერი მოეძეებოდა, მარილგამჯდარი ქონი კი ლითონის გაპოხვის ნაცვლად ზედ სქლად ედებოდა საპონივით; ქალი კარში ისე იდგა, თითქოს მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შერხეულიყოს, კარის ჭრილი ჩარჩოსავით შემოვლებოდა, და, თუმცა ლამპა ჯერ არ ენთო, გეგონებოდათ კაშკაშა შუქით არისო ფენილი, ისევე როგორც მაშინ, კაცთა ხრინწიან, უჩინარ ხმათა ზრიალში რომ ჩამდგარიყო სასადილოს ღია კართან - იქ, მისისიპიში, გამასწორებელ ბანაკში, სადაც ამ ცხრა წლის წინ შეხვდნენ ესენი პირველად. ამან სახლს თვალი მოსწყვიტა და ჩაყვითლებულ, დაკოინებულ სიმინდში გააბიჯა, ჩაყვითლებულსა და დაკოინებულში, რადგან ამას არც სასუქის ფული ჰქონდა, არც ხეირიანი იარაღი და არც გამწევი საქონელი ჰყავდა, რათა როგორც რიგი და წესია, ისე დაემუშავებინა მიწა; მშველელიც არავინ ჰყავდა, მარტოხელა შრომობდა, ილაჯს იწყებდა, და ყველა სიკეთესთან ერთად ამინდიც გაუგონარი იდგა, - სასწაულად წვიმიან გაზაფხულს, როცა შუა მაისიდან ივლისამდე გადაუღებლად ასხამდა, გვალვა მოჰყვა, თითქოს ციერნი ძალნი ამის მტრებს მიმხრობოდნენ ერთობლივ, უტაროო, ჩაყვითლებულ ღეროებს შორის მიმავალს თან მიჰქონდა თოფი, ისეთი უმველებელი თოფი, იტყოდი - ამის დამიზნება და გასროლა კი არა, მხარზე გადებაც უნდა უჭირდესო, - ამ შვიდი წლის წინ დაიცარიელა ჯიბე მისმა მყიდველმა, თანაც მხოლოდ იმის წყალობით შეხვდა ის თოფი, რომ სხვა არავინ გამოუჩნდა მუშტარი - ერთობ მსხვილი კალიბრის იყო და მარტო ირემზე, დიდი-დიდი - გარეულ ბატზე სანადიროდ თუ გამოდგებოდა, საიმისო ვაზნებიც ძვირი ჯდებოდა, მარტო კაცის მოსაკლავად თუ გაიმეტებდი.

სახლს აღარ უმზერდა. გვერდი აუარა, დაფუტურობულ მესერს იქით ჰას მიადგა, თოფი გვიმს მიაყუდა, ფეხზე გაიხადა, ვედროთი წყალი ამოიღო და ფეხსაცმლის რეცხვას შეუდგა. უცებ იგრძნო, რომზურგს უკან ქალი ადგა თავზე. ეს ძველ ძელსკამზე იჯდა და არც კი შებრუნებულა - ტანმორჩილი, გახუნებული სუფთა ხალათითა და დაბეჭვილი კომბინეზონით მოსილი, ვედრო წაფერდებინა და სიმინდის ტაროთი ფეხსაცმელს წმენდა. ქალმა ხრინწიანად, გრძლად გაიცინა.

- რა გითხარი ამ დილას, - უთხრა. - თუ მაგ თოფიანად გადახვალ ეზოს გადაღმა, სახლიდან წავალ-მეთქი. - ამას თავი არ აუწევია, სველ ფეხსაცმელზე იყო წახრილი, შიგ ხელი ჰქონდა წაყოფილი და სიმინდის ტაროთი ხეხავდა. - შენი საქმე არაა, სად წავალ, ნურც იმის შეტყობას

ეცდები - სად არისო, როცა ისინი მოგაკითხავენ. - ამას არ უპასუხია, ერთ ფეხსაცმელს მორჩა, დადო და მეორეს მიმართა, წყალი მიასხურა და ხეხვას შეუდგა. - ოღონდ შორს არსად წავალ! - უცებ ყრუდ, ხმის აუმაღლებლად წამოიყვირა ქალმა. - ჩემი თვალით მინდა გიყურო, როგორ ჩამოგახრჩობენ.

ეს წამოდგა. გასარეცხი ფეხსაცმელი გულდაგულ დაუშვა მიწაზე, გვერდით ტარო მიუღო და წამოდგა - ჩია კაცი, ქალზე თითქმის ნახევარი თავით დაბალი, ფეხშიშველი და დოინჯშემოყრილი აუჩქარებლად წავიდა ქალისკენ, თავი დახრილი ჰქონდა, არც კი უყურებდა, ქალი კი ჩაქცეულ ღობესთან იდგა, - შეღებილი თმა ძირებთან ისევ გამუქებოდა, რადგან აგერ წელიწადი იქნებოდა, შესაღები ფული ვერ მოექუჩებინა, ხრინწმორეული, გაუწყნარებელი სიცილით შემოსცქეროდა ამას, თვალეში ცნობისმოყვარეობა უკრთოდა. ამან კბილებში გაართყა ხელი. თვალი მიაყოლა თავისსავე ხელს, თითქოს უნდომლად, ძნელად რომ გაქანდა და მოხვდა სახეს, რომელიც არც გარიდებია, თვალიც კი არ დაუხამხამებია.

- შე უჯიშო, კაცისმკვლელო შენ! - აღმოთქვა ქალმა და პირიდან ალისფერი სისხლი წამოსკდა. ამან ხელახლა გაართყა და ხელი სისხლით მოისვარა, კიდეც და კიდეც მოუნაცვლა მოზომილად, აუჩქარებლად. განზრახ კი არ იქცეოდა აგრე, უსაშველოდ ჯიუტი იყო და ქანცაწყვეტილი.

- წადი, - უთხრა ამან. - წადი, წადი, წადი.

ქალს უკან მიჰყვა, ეზო გადაჭრა, კართანაზე ავიდა, ოღონდ ზღურბლს არ გადასცილებია. თუმცა ოთახში თითქმის ბნელოდა, ზღურბლიდან ხედავდა ქალს ფანჯრის ნაცრისფერი ვიწრო სწორკუთხედის ფონზე. მერე ასანთმა გაიჩხაკუნა, ცეცხლის ენა აკიაფდა პატრუქის თავზე, ასე რომ, ახლა ქალი მკვეთრი შუქით იყო განათებული, ხოლო მის ირგვლივ უჩინრად რიალებდნენ მამაკაცთა მოზრიალე და უხმო აჩრდილები, - უსახელონი, ურიცხვნი; დროდადრო, მაშინაც კი, როცა თავის შვილებს ხედავდა, ამას ეჩვენებოდა - არასოდეს უმშობიარიაო ამ სხეულს. ამ ქალის სხეულს, მანამდე რომ მოეახლა, ვიდრე ორი დოლარის საფასურად მოხდებოდა მათი ქორწინების რეგისტრაცია, რომელმაც კი არ აკურთხა, დასტური მისცა მხოლოდ მათ ურთიერთობას. და მუდამყამს, როცა კი ეს ქალს მიეახლებოდა, ტანსაცმელი კი არ უშლიდა ხელს, არამედ ის მრუში ლანდები აბრკოლებდნენ, რომლებიც წარსულის ნაწილად ქცეოდნენ ამას, თითქოს მანამდე ქალი კი არა, თავად ეს ნებდებოდა ხოლმე იმათ თვინიერად. და მიუხედავად ქალის ჭუჭყიანი, მოჯაჯული სამოსისა, ეს მზად იყო ემზირა მისთვის ცივი, უვარსკვლავო ღამეული სივრცეებიდან, სადაც არც ვნებაა და არცთუ სიძულვილი, და ემეორებინა: „სიმთვრალესავითაა ეს ამბავი. ჩემთვის ბანგივითაა ეს ამბავი“. მერე პატრუქთან მიტანილი იმავე ასანთის შუქზე ამან დაინახა ორივე ბავშვისსახე, თითქოს იმ ერთადერთი ასანთით ქალი სამივეს შეხებოდეს ერთბაშად. ბავშვები კუთხეში, იატაკზე ისხდნენ, არ იმალებოდნენ, ბნელში ისხდნენ ეტყობა, რაც ეს ხევიდან ამოვიდა და ისინი სახლისკენ გამოექცნენ. მათ მზერაშიც იგივე ჩანდა, რაიც ამის არსებაში იყო შენივთებული: სიბეჩავე კი არა, სიჯიუტე მხოლოდ, კიდეც ძველისძველი, მოღლილი სიბრძნე და მიღება, შეგუება საწადელსა და არსებულს შორის გაწოლილ შეურიგებელ წინააღმდეგობასთან, რაც გარდაუვალი იყო იმის გამო, რომ სამივენი სუსტნი იყვნენ და გალეულნი, ხოლო ამ ამბავს

ადარსაიდან შემოევლებოდა. ბავშვებმა ამას ზურგი შეაქციეს, დედის დასისხლიანებული სახის დანახვა არ გაუოცებიათ, სიტყვაც არ დაუძრავთ, როცა ქალმა ლურსმნიდან კაბა ჩამოხსნა, ნამჯის ლეიბზე გაშალა და მცირე ხელბარგი გამოკოჭა - ზოგი რამ შესამოსელი, ბავშვის ფეხსაცმლის ერთადერთი წყვილი, რომელსაც ის ორნი რიგრიგობით იცვამდნენ ხოლმე ზამთრობით, გაბზარული სარკე, ხის სავარცხელი, სახელურმომძვრალი ჯაგრისი.

- წამოდით, - თქვა ქალმა.

ეს გვერდზე გადაგა, გზა დაუთმო იმათ, - ბალები ქალის ქვედაბოლოს ეკვროდნენ და, ოთახიდან რომ გამოდიოდნენ, ამან წამით თვალთაგან დაკარგა, მერე კი კვლავ დაინახა ისინი, დედის წინ მიდიოდნენ დერეფანში. ესეც უკან მიჰყვა იმათ, ოღონდ ახლოს არ მისდგომია, და, როდესაც იმთ კართან განვლეს და დაძველებულ, დაფუტურობულ საფეხურებს ჩაუყვინენ, ეს ზღურბლზე იყო შეჩერებული. კართანასთან ქალი შეყოვნდა და მაშინ ეს კვლავ დაიძრა წინ, ისევე უღმობლად და მოღლილად, მაგრამ შეჩერდა, რა დაინახა, რომ უფროსმა გოგომ, სიბნელეში უჩუმარმა დაუსხეულომ, რადგან უკვე თითქმის ღამე ჩამოწოლილიყო, ეზო გადაირბინა, მიწიდან რაღაც აიღო სწრაფად და დედამისთან მობრუნდა, მკერდზე ხის სათამაშო მიეკრა, ბორბლების ნაცვლად თუთუნის ჩასაყრელ თუნუქის მრგვალ-მრგვალ კოლოფთა ოთხი თავსახურავი რომ ჰქონდა ზედ მიჭედებული. მიმავალნი ისევ დაიდრნენ. ეს თავის ადგილას დარჩა. თითქოს აღარც უმზერდა იმთ, როდესაც ისინი მორღვეულ ჭიშკარს გასცილდნენ.

სახლში შებრუნდა, ლამპა სულის შებერვით ჩააქრო და ირგვლივ უცებ წყვილი ჩამოწვა, თითქოს ცეცხლის მკრთალ, მოცახცახე ენას დღის უკანასკნელი ნარჩენები გაჰყოლოდეს თან. ასე რომ, ჭასთან მიბრუნებისას ამან ხელის ფათურით მიაგნო ტაროსა და ფეხსაცმელს და შერჩენილი ტალახი ჩამოწმინდა. მერე თოფი გარეცხა. როცა პირველად ჩაუვარდა ხელში თოფი, როცა ახალი იყო, ყოველ შემთხვევაში - ამისთვის მაინც როცა იყო ახალი, მაშინ ზუმბაც ჰქონდა. თავად გააკეთა ის ზუმბა, ლელისგან გამოჭრა, გულდასმით გარანდა და გაასწორა, ბოლოში გულიც გამოუღო ჩვრის ჩასადებად და მთელ წელიწადს, ვიდრე ამას დენტის, საფანტისა და ფისტონის ფული მოეძეებოდა, რათა ვაზნები დაეტენა და ზოგჯერ მაინც გაენადირა, იმ ზუმბას თოფზე მეტადაც უფროთხილდებოდა, იმიტომ, რომ თოფი ნაყიდი ჰქონდა, ხოლო ზუმბა თავისი ხელით გაეკეთებინა. მაგრამ ახლა ზუმბა დაკარგულიყო, კაცმა არ იცის - სად და როდის გამქრალიყო სხვა ნივთებთან ერთად, რომლებიც ხალხში გამოსვლის შემდეგ შეეძინა, რომლებიც ოდესღაც ძვირფასი იყო მისთვის, გარნა სადღაც გზა-გზა მიმოეფანტა მანამდე, ვიდრე მოწიფული კაცი შეიქნებოდა, და ახლა აღარაფერი გააჩნდა, გარდა გამოცარიელებული სხვისი სახლის, თოფის და კიდევ მოგონების, იმ გამოუსწორებელი წამის მოგონებისა, როცა ორლულიანი თოფი მოიგდო, დაუმიზნა და თავი აიძულა ჩახმახი გამოეკრა, სიკვდილის მეტი რომ ვერაფერი ამოუშლიდა ხსოვნიდან, იმ წამის მოგონებისა. თოფს ვედროდან წყალი შეასხურა, ხალათი გაიხადა, თოფი გაამშრალა, ფეხსაცმელს დასწვდა, სახლში შებრუნდა და ცივ ღუმელთან ბნელში მდგარი სინათლის აუნთებლად შეუდგა ქოთნიდან ცივი ლობიოს ხელით ჭამას, მერე კი კომბინეზონის გაუხდელად მიწვა ნამჯისლეიბიან საწოლზე იმ ოთახში,

რომელიც ბოლოს და ბოლოს დაცარიელებულიყო, მოზრიალე აჩრდილებიც კი გამქრალიყვნენ, გულადმა მიეგდო, თვალი არ მოუხუჭავს, არც ფიქრი დაუწყია რაიმესთვის. მერე ძაღლის ყმუილი შემოესმა.

თავდაპირველად არც შერხეულა: თანაბარი სუნთქვა რომ არა, ცხედრად შეიძლებოდა მიგეჩნიათ, იმდენად გაუნძრევლად იწვა. ხოლო შორს ყმუილი მიწყდა და მირიადი ხმით გაზავებული ღამეული სიჩუმე ჩამოდგა, მერე კი ეს სიჩუმე კვლავ შეარყია ხმამაღალმა ყმუილმა, გულის გამაწვრილებელმა და ნაღვლიანმა. ეს არ შერხეულა, თითქოს მზად ყოფილიყოს საამისოდ, თითქოს მოლოდებოდა და მიტომაც დაწოლილიყო, დაშოშმინებულიყო, თავიდან ყოველივე ამოეგდო, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ძილს მისცემოდა, არამედ იმიტომ, რომ მხნეობა მოეკრიბა (როგორც მორბენლებმა და მოცურავეებმა იციან ხოლმე) საზარელი ძაღლისხმევის წინ, რომლითაც აწი უნდა ეცხოვრა, და ათიოდე წუთს ასე წოლილიყო, ვიდრე გულის გამგმირავი ყმუილის ხმა შეესმებოდა ხევიდან; თითქოს სცოდნოდეს – ეს ათი წუთი, უკანასკნელი სიმშვიდის წუთებია ჩემს ცხოვრებაში. მერე წამოდგა. ისევ სიბნელეში გადაიცვა ჯერაც გაუშმრალი ხალათი, სულ ახლახან გარეცხილი ფეხსაცმელი ჩაიცვა, კარს უკან მიჭედებული ლურსმნიდან ჩამოხსნა ახალი თოკი, რომელიც ისევე დაგორგლილი ეკიდა, როგორც ამ ორი კვირის წინ დაეხვია ამის ბიძაშვილს, უორნერის დუქნის ნოქარს, – და სახლიდან გავიდა.

უმთვარო ღამე იყო. ხმელ-ხმელ, უჩინარ სიმინდებს შორის დაუყვა ქვემოთკენ ვარსკვლავების მიხედვით გზის გამგნებელი, ვიდრე მიატანდა ტყეს, რომლის შავ კედელზეც ციცინათელები ნაპერწკლებად იბნეოდნენ, ხოლო სიღრმიდან ბაყაყების ყიყინი და ძაღლის ყმუილი მოისმოდა. ტყეში რომ შევიდა, ცას ვედარ ხედავდა, მაგრამ ახლალა მიხვდა იმას, რაც კარგა ხნის წინ უნდა ეაზრა: ძაღლის ყმუილზე შეიძლებოდა გეზის აღება. იქითკენ მიმართა; ტალახში ფეხი უცურდებოდა, ეცემოდა, ეკალბარდებსა და გადახლართულ ტოტებს შორის მიფორთხავდა, უჩინარ ხეებს ეჯახებოდა სახეზე ხელაფარებული, ოფლში გაღვარული, ძაღლის ულმობელი ყმუილი კიდევ უახლოვდებოდა და უახლოვდებოდა და უცბად ნახევარ ნოტზე გაწყდა. წამით მოეჩვენა – ძაღლის მოკიაფე თვალებს ვხედავო, თუმცა თან ფარანი არ ჰქონია, რომ იმ თვალებს შუქი აერეკლათ, და უცებ, თვითონაც რომ არ იცოდა, რას სჩადიოდა, ისე მიაწყდა იმ ადგილს, სადაც ის თვალები ეჩვენებოდა. პირველსავე ხეს მხარი მიახეთქა, გვერდზე გადაქანდა, თუმცა არ დაცემულა, ხელები გაწვდილი ჰქონდა და ინერციით ისევ წინ მიისწრაფოდა. მერე იგრძნო – ვეცემიო. „ხე თუ დგას წინ, მორჩენილია ჩემი საქმე“, – გაუელვა აზრმა. და უეცრად ხელით ძაღლს შეეხო. მისი სუნთქვა მოსწვდა და კბილთა ღრჭიალიც ჩაესმა, ძაღლმა რომ ჯერ ამისკენ ისკუპა და მერე უკანვე გადახტა, ეს კი ლაფში ოთხზე დამდგარი დარჩა, ვიდრე უჩინარი თათების ქვეშ რტოების ლიწინ-ლიწინი მიწყდებოდა შორს.

ზედფერდობის პირას იდგა მუხლებზე, საჭირო იყო მხოლოდ წამომდგარიყო და სახეზე ისევ ხელაფარებულსა და წახრილს ის ფერდობი ჩაეელო ღრმა, კოჭებს მოსაწვდომ, მოჭყაპუნე, მზის სხივდაუკრავ წუმპემდე, ჩამპალი მცენარეულობით რომ იყო ამოვსებული, და კიდევ ერთი თუ ორი ნაბიჯი გადაედგა ტოტების გროვამდე. დაგორგლილი თოკი უბეში ამოიღო, წაიხარა და დამპალი, სლიპი ტოტები გაქექა. როკებში რალაცამ გაიფათურა და

მიმკვდარი, ჩვილივით საცოდავი ხმა აღმოხდა; თავზარდაცემული მხეცი ფეხში ჩააფრინდა, როცა ეს წიხლის კვრით იშორებდა და თან თავს იმშვიდებდა - ეს ხომ ოპოსუმიაო. ოპოსუმი და მეტი არაფერი. და ისევ წაიხარა მყრალი, ნესტიანი რტოების ხვავისკენ აქეთ-იქით მათი მომსროლელი, ვიდრე გვამს არ მიატანა. მერე ლაფითა და შლამით დათითხნილი ხელები ხალათსა და კომბინეზონს შეაწმინდა, ცხედარს ილღიებქვეშ მოეჭიდა, გაჩოჩდა და გაითრია. ეს ხრამი კი არ ყოფილა, ძველი ტყესაკაფი იყო, ახალ ხეებწამოზრდილი და ახლა თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველი, მიწის დონიდან ორიოდ ფუტით დაბალი. ასე გალია ერთი მილის სიგრძე თავისზე ბარე ორმოცდაათი გირვანქით მძიმე სხეულის მთრეველმა, მხოლოდ დროდადრო ჩერდებოდა, რათა გაოფლიანებული ხელები ხალათისთვის შეეწმინდა და გული დაეჯერებინა - სწორად მივდივარო, თუკი ცის ნაგლეჯი ან ნაცნობ ხეთა წვეროები მაინც მოჩანდა.

მერე გვერდზე გაუხვია, გვამი ზევით აათრია და ასიოდე ნაბიჯი კიდევ განვლო. ეტყობა, ზუსტად იცოდა, სადაც იმყოფებოდა, რადგან ერთხელაც არ შებრუნებულა. ბოლოს ცხედარს ხელი შეუშვა, წელში გაიმართა და ის მოიფათურა, რასაც ეძებდა - ოდესღაც გოლიათი მუხის ტანი, ახლა წვერგადანატეხი, ათიოდე ფუტის სიმაღლისა, - ასეთად ექცია ეს ხე მეხისტეხილს, დროს თუ სიდამპლეს. ამ ორი წლის წინ თვალი მოეკრა, როგორ შეფრინდა შიგ ველური ფუტკარი; მაშინ რომ ფინი გამოთალა და ხეს მიაყუდა თაფლამდე ასაღწევად, ადგილზევე დახვდა. უბიდან თოკი ამოიღო, ერთი ბოლო ცხედარს შემოაკოჭა, ფეხზე გაიხადა, მეორე ბოლო კბილებში დაიჭირა, ხეზე აძვრა, ნაწიბურზე ჩამოჯდა და გვამი აქაჩა თოკის ხშირ-ხშირად მომმოკლებელმა, თავისზე ლამის ორჯერ დიდი გვამი, მუხის ქერქს რომ ეხლებოდა და ეხახუნებოდა, ვიდრე ხის კიდეს არ გადაეკეცა სანახევროდ დაცლილ ტომარასავით. განასკვული თოკი აღარ იხსნებოდა. მოთმინებადაკარგულმა დანა იძრო, თოკი გადაჭრა და გვამი ფულუროში ჩააგდო. ოღონდ გვამი მაშინვე გაეხირა და ამან ახალა მოისაზრა, როცა უკვე გვიან იყო, - თავით უნდა ჩამეშვაო. შეეცადა ჩაეტენა როგორმე, მხრებზე დააწვა, მაგრამ გვამი უბრალოდ კი არ იყო გაჭედილი, გადაგრეხილი მკლავი სოლივით ეტანიებოდა. მაშინ ამან თოკის ბოლო ჯდის ჩამონატეხს ჩააბა, ხელზე დაიხვია, ცხედარს მხრებზე შეადგა და ზედ ხტუნვას მოჰყვა. ანაზდად გვამი ჩაინთქა, ხოლო ეს თოკს ჩამოეპორწიალა. ზემოთ ატოტყებას შეუდგა, თოკს მალა-მალა სტაცებდა ხელს, დაფუტურობულ მერქანს ეპოტინებოდა და ხვრიში, მწვავე, გამომშრალი მტკერი ნესტოებს თუთუნით უვსებდა. მერე მოესმა, როგორ გაილიწინა ჯდამ, თოკი წამოსძვრა, ამას საყრდენი გამოეცალა და განწირულად ააწყდა მალა, ცალი ხელით, თითის წვერებით მოებლაუჭა ხის კიდეს. ოღონდ მთელი სიმძიმით ზედ რომ ჩამოეკიდა, დამპალმა ხემ ვერ დაიმაგრა, მეორე ხელიც მიაშველა, მაგრამ ამ ხელსაც ჩამოეფშვნა საყრდენი, და უსასრულოდ დიდხანს ამაოდ მიტოტყავდა გამალებული, პირით ჰაერს ყლაპავდა და ანთებული თვალები მიეპყრო სექტემბრის შორეული ცისთვის, სადაც ვარსკვლავთა საათზე ისრები უკვე დიდი ხნის წინ გადასცდენოდნენ შუალამეს, ვიდრე ბოლოს ხის ფშვნა არ შეწყდა და ეს ხელებით არ დაეკიდა აქლომინებული, მერე კიდევ აიწია და ნაწიბურზე ჩამოჯდა. სული რომ მოითქვა, ძირს ჩამოვიდა, ხის ტანს მიყრდნობილი ფინი მხარზე გაიღო და ოციოდე ნაბიჯით გააშორა იქაურობას, მერე დაბრუნდა და ფეხზე ჩაიკვია. შინამდე რომ მიატანა, ცისკრის ხანი იყო უკვე. ლაფში ამოსვრილი

ფეხსაცმელი წაიძრო და ნამჯის ლეიბზე მიწვა. და მაშინ, თითქოს ამის დაწოლასდა ელოდებო, ძალი აყმუვლდა ხელახლა. ამას მოეჩვენა – კიდევ ჩამესმო, როგორ ჩაითქვა სული ძაღლმა, ვიდრე მისი ხმა პირველად ამოაღწევდა ხვიდან, სადაც ღამის წყვილი და შეუვალი სიმყუდროვე იდგა ისევ.

დღეები ღამეებად გადაექცა. ცისკრის ვარსკვლავის ანთების ან მზის ამოსვლისას ბრუნდებოდა ხოლმე ხვიდან და თავისი მოუვლელი, დაკონინებული ყანის გავლით მიდიოდა სახლისკენ. ახლა ფეხსაცმელს აღარ ირეცხავდა, არც კი იხდიდა ყოველთვის, ცეცხლსაც არ ანთებდა, ფეხზე დამდგარი ჭამდა ცივ ლობიოს პირდაპირ ქოთნიდან, ვიდრე ერთიანად არ ამოჭამა, და სვამდა გაცივებულ, გემოდაკარგულ ყავას, ვიდრე ერთიანად არ გამოწრუპა, მერე კი, როცა აღარც ერთი დარჩა და აღარც მეორე, ფქვილს პეშვით იხვეტავდა თითქმის ამოცლილი კოდიდან. ერთ-ორ დღეს კი სტანჯავდა შიმშილი, ამგვარ ყოფას მიუჩვეველს კატორღულ სამუშაოზე მეტად ეძნელებოდა ამის გაძლება, თანაც ერთი წუთითაც არ ყოფილა მოსვენებული. მაგრამ ნელ-ნელა შეეჩვია და მაშინ იმასაც მიხვდა – ამ ამბავს შეიძლება მხოლოდ ერთადერთი ბოლო ჰქონდეს და, მამასადამე, არც ექნებო ბოლო, და ამის მერე შიმშილი აღარ აწვალებდა. გაიღვიძებდა, წამოდგებოდა, თავს ეტყოდა – უნდა ვჭამო, და ხმელა ფქვილს ჭამდა (მალე კოდში აღარაფერი ჩარჩენილა კედლებს მიკრული ხეშეში ქერქის გარდა, და დანით უხდებოდა იმის ამოფხეკა). ყელში არ გადაუდიოდა და ალბათ არც ესაჭიროებოდა ამგვარი საზრდელი, თითქოს მტკიცე, დაუოკებელი სული კვებავდა ამის სხეულს და ორგანიზმს ცხიმის მაგივრობას უწევდა. მერე ნამჯის ლეიბზე გაუხდელად მიეგდებოდა კომბინეზონითა და ჯერაც შემრობადა უწყებელ ლაფში ამოთხვრილი ფეხსაცმლით მოსილი, იმ ქერქის მღეჭველი, და გაუპარსავი ჯაგარი ებურძენებოდა გამოტენილი პირის ირგვლივ, თითქოს მიწოლილი კი არ თვლემს, მხოლოდ მცირე ხნით ინთქება მზერა-და-სმენადახშულ მდუმარებაში, რათა მოსულიერდეს და ძალა მოიკრიბოსო, ისევე როგორც აბაზანაში ეშვება ხოლმე კაცი. დღის მიწურულს იღვიძებდა თითქოს მალვიძარას ხმაზე – მუდამ ერთსა და იმავე დროს, თანაც გეგონებოდათ არც კი დაწოლილიყოს, რადგან სული კი არა, მხოლოდ სხეული ჰქონდა დაღლილი და დასვენების მონატრული. მერე ცეცხლს გააჩაღებდა, თუმცა კოდიდან ამოფხევილი ქერქის გარდა მოსახარში აღარაფერი ჰქონდა. ჭამა კი არა, რამე ცხელის დალევა ეწადა, მაგრამ ყავაც ერთიანად შემოლეოდა. ქოთანში წყალს ჩაასხამდა, წამოადუღებდა და შაქრით ოდნავ დატკბილულ მდუღარეს სვამდა. მერე კი წნულ სავარძელში ჩაჯდებოდა კართანასთან და უმზერდა, როგორ მოცოცავდა ხეობის ფსკერიდან ღამეული სიბნელე, როგორ ეძალებოდა და ერეკებოდა მზეს, გორაკ-გორაკ ზემოთ მოიწევდა ბინდბუნდშიც ისეთივე ჩაყვითლებული და გადამხმარი ყანის ამოვლით, და ბოლოს სახლსაც შემოადგებოდა. მერე ძალი აყმუვლდებოდა და ეს ერთი ათიოდე თუ თხუთმეტოდე წუთს კიდევ იჯდა, ისევე როგორც სეზონური მილეთის მქონე მგზავრი არხინად ზის ხოლმე თავის მუდმივ ადგილზე და გაზეთს კითხულობს, მაშინ როცა სადგურს მიახლოებულ ორთქლმავალს დაუსტვენია უკვე.

მეორე დღეს რომ გაიღვიძა, კართანაზე ბიჭუნა იჯდა – მრგვალთავა, ცისფერთვალა ვაჟი მისი სახლიკაცისა, რომელიც უორნერის სამჭედლოში მუშაობდა. დერეფანში ამის ფეხის ხმის გამგონე ბიჭი შეჩქვიფდა, ხოლო ეს

რომ ზღურბლზე გამოვიდა, ყმაწვილი ძირს ჩახტა, რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და მოუხედა.

- ბიძია ლემპმა - დუქანში მოვიდესო, - უთხრა ბიჭმა. - დიდი საქმე მაქვსო.

ამას არ უპასუხია. კართანაზე იდგა გუშინდელ ლაფში ამოსვრილ წაღებსა და კომბინეზონში და დილით გადასანსლული ფქვილის ნარჩენები - ისეთი მშვიდი ძილი ჰქონდა - პირის ირგვლივ აშლილი ჯაგრიდან არც კი ჩამოსცვენოდა. ამასობაში ბიჭი ეზოდან გავიდა, მერე მოკურცხლა, უკუმოხედა, ტყის პირას წამით შეყოვნდა, მერე ისევ გაიქცა და თვალს მიეფარა. ეს არც შერხეულა, სახეზე ძარღვიც არ შესტოკვებია. „ფულის მოცემა რომ უნდოდეს, სხვისი ხელითაც გამომიგზავნიდა“, - იფიქრა. არა, რა ფული, რის ფული! კი, ეღირსები მაგათგან ფულის მიღებას! ხოლო მესამე დილას უეცრად იგრძნო, რომ ვიღაც კარში ჩამდგარიყო და მოსჩერებოდა. იმ არყოფნიდანაც კი, რომელსაც ძილი კი არა, სიცარიელე უფრო ეთქმოდა, სადაც ამის ნებელობა, ტვინი ისე ფხიზლობდნენ, იტყოდით - დაუურევბელი, დაღლილობისა და შიმშილის არადჩამგდები ცხენი არისო, ვიდრე მხედარი - ამის უძლური სხეული - ძალ-ღონეს იკრებდა, იმ არყოფნიდანაც კი იგრძნო - ეს ბიჭი არ არისო, გარეთ ისევ დილის ჟამი დგას და სულ ცოტა ხანია, რაც ჩამემინაო. „აქ ჩამალულან და დავუნახავვარ, ხევიდან როცა ამოვბრუნდი“, - გაიფიქრა ხმამაღლა იმის მეცადინმა, რომ თავისივე ხმით ძილი განეფრთხო, თითქოს თავად დახრილიყოს საწოლზე და საკუთარი თავი შეენჯღრიოს. „გაიღვიძე! გაიღვიძე-მეთქი!“ - ბოლოს გამოფხიზლდა და უმაღლ მიხვდა, რომ უკვე გვიანი იყო, იატაკზე დაფენილი ფანჯრის ჩარჩოს ჩრდილის შეხედვაც კი არ დასჭირვებია საიმისოდ, რათა დარწმუნებულიყო - იგივე, ჩვეულებრივი სადამოსპირი დრო არისო. ქურაში ცეცხლი დააგზნო, ზედ ქოთანს შემოღდა, კოდში ფქვილის ნარჩენები მოფხიკა და ჭამას შეუდგა. თან შეამჩნია - ნამცეცები წვერში ჩამრჩაო; იმ ნამცეცებსაც გადაუძახა, მღეჭველი პირის კიდეები ჩამოიწმინდა თითებით. მერე ერთი ფინჯანი შეტკბილებული მდულარე დალია და ეზოში გამოვიდა. აქ ელოდა და წააწყდა კიდეც კვალს. უმაღვე იცნო შერიფის ნაკვალევი - დიდრონ-დიდრონი, ღრმად წასული, გულდაჯერებული, თვით ხვატისგან გამოგვალულ მიწაზეც კი აღბეჭდილი, - ნაკვალევი იმ ორასორმოცგირვანქიანი ლოხი კაცისა, სათამაშო კარტზე ოდნავ მომცრო მეტალის ბალთას რომ ატარებდა, რომელიც არა მარტო თავისუფლების, იქნებ თავისი სიცოცხლის მუქაფადაც ეგულებოდა. მისი თანაშემწეების ნაკვალევიც იქვე იყო. ხელებისა და მუხლების ანაბეჭდები დაინახა, სადაც ერთ მათგანს ოთხზე ეფორთხა სარდაფის მოჩხრეკისას, ვიდრე ამას ეძინა ზემოთ, თავლაშიც კედელთან თვალი ჰკიდა თავისსავენიჩაბს, რომლითაც იმათ ერთი წლის დაგროვილი ცხენისნაკელი გაექექათ, რათა მის ქვეშ მიწის იატაკი მოეთვალაიერებინათ; სახლს უკან, ხეებქვეშ იმ ადგილსაც მიაკვლია, სადაც მათი ეტლი მდგარიყო. ოღონდ სახე კვლავინდებურად უძრავი ჰქონდა, არც მღელვარება დასჩნევია, არც შემფოთება, არც შიში; ზიზღი ან კმაყოფილებაც კი არა, არამედ ოდენ გულცივი და ურყევი, ლამის სამშვიდობოდ განწყობილი სიჯიუტე.

სახლში შებრუნდა და კუთხეში მიყუდებული თოფი აიღო. თოფს თითქმის ერთიანად მოსდებოდა თამბაქოსფერი თხელი ჟანგი, გეგონებოდათ იმ პირველ

ღამეს, ესოდენ გულმოდგინედ რომ აპრიალეზდა იარაღს, ზედმეტი მოუვიდა და თოფიდან ხალათში შესრუტული სინესტე მერე ისევ თოფს მოედო. მსუბუქად და უცბად არ გადახსნილა თოფი, ნელ-ნელა დაიძრა, ძნელად დაემორჩილა დაწოლას, მერე ზედ შეცივებული ქონის სქელი, შოკოლადისფერი ფენა გამოაჩინა, ისე, რომ ამას მოუხდა თოფი დაეშალა, ყავის ქოთანში წყალი აედუღებინა, მდუღარეთი ქონი მოერეცხა და დაშლილი ნაწილები გაეფინა უკანა კართან, სადაც ისინი მწუხრის დადგომამდე შრებოდა. მერე ხელახლა ააწყო თოფი, დარჩენილი სამი ვაზნიდან ორით გატენა, სკამთან კედელს ააყუდა და ისევ დაუწყო მზერა, როგორ მოიგრაგნებოდა ხეობიდან ღამის წყვიდიადი, მალა-მალა მოიწევდა გორაკზე ამის საცოდავი ყანის დამფარველი და ნელ-ნელა სახლსაც ნთქავდა უფრო და უფრო ზემოთ ამოდენილი, თითქოს ორმა გაშლილმა, ზეცისკენ აპყრობილმა ხელისგულმა ბოლოს გამოაფრთხილა მიმწუხრის ფრინველი და ისიც დასავლეთით გაფრინდაო. ქვემოთ, ყანის გადაღმა, სიბნელის მრუმე მკერდზე მცოცავი ციცინათელები ციმციმებდნენ. უფრო შორს, წყვიდიადის სიღრმეში ბაყაყები ხმინებდნენ, თითქოს ღამეული მაჯა თანაბრად სცემს და გული ფეთქავსო, ხოლო როცა ბოლოს გარდაუვალი წამიც დადგა, - ისეთივე გარდაუვალი, როგორც სადამოსპირს ნიადაგ ერთსა და იმავე დროს გამოღვიძება, - იმ გულის ფეთქვაც მიწყნარდა თითქოს და მიმკვდარებულ სიჩუმეში ნაღვლიანი, მჭმუნვარე ყმუილი გაისმა. ამან ხელი გაიწოდა და ზურგს უკან აყუდებულ თოფს დასწვდა.

ამჯერად ყმუილზე აიღო გეზი პირდაპირ. გორაკიდან რომ დაეშვა, ქარის მიმართულების გასაგებად შეჩერდა. მაგრამ ქარი არ ქროდა და პირდაპირ იქითკენ გასწია, საიდანაც ყმუილი მოისმოდა, არც ფეხი აუჩქარებია, რათა ხმაური არ აეტეხა, და არც შეყოვნებულა, რათა ეს ამბავი მალე მოემთავრებინა, შინ დაბრუნებულიყო და შუაღამემდე, შუაღამის დადგომამდე ბევრად ადრე დაწოლილიყო. და ყმუილის მხარეს ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმავალი გულში იმეორებდა: „ამაღამ კი გამოვიძინებ ბოლოს“. ახლა ყმუილი სულ ახლოს ისმოდა, ამან თოფი მოიგდო, ორსავე სასხლეტს დაადო თითი. მაგრამ ამ დროს ყმუილი ამჯერადაც ნახევარ ნოტზე შეწყდა, წყვიდიადში თვალთა ორი ყვითელი წერტილი გაკრთა, და თოფის ლულეებმა მყისვე დაფარა ისინი. გასროლისას რომ დაეღვა, ამან თვალნათლივ დაინახა ვეება ნაგაზი, აქეთკენ გადმომხტარი, კამარაშეკრული. დაინახა, როგორ მიებნა საფანტი, როგორ მიაწყვიტა უკანვე, მომსკდარი წყვიდიადის მოზრიალე მორევში. ღამის ფიზიკური ძალისხმევით შეიკავა მეორე ჩახმახზე დასაჭერად გამზადებული თითი და წინდახრილი თოფით ხელში მიწას გაეკრა სუნთქვაშეკრული, ბრმა წყვიდიადს მიცივებული, და ბოლოს გააყრუა უკიდევანო სიჩუმემ, ამ სამი დღის წინ რომ შეილახა, როცა ამ ძაღლის ყმუილი შეესმა პირველად, და მერე ერთი წუთითაც აღარ მობრუნებულა, არ ჩამომდგარა, ძილშიაც კი; მერე შედედება იწყო ამ სიჩუმემ, ცემენტით გაქვავება, მარტო ყურებში კი არა, - ფილტვებშიც, ყელშიც, გარეთაც და შიგნითაც, ხეთა შორის გაშემდა ტევრში, სადაც გასროლის ექო ნამსხვრევებად დაფანტულიყო, მინავლებულ დრტვინვად ქცეული ჩამკვდარიყო, ვიდრე მიჩუმებას მოასწრებდა, ამ დამზრალ გარემოში დანთქმულიყო. ამან თვალი ჰკიდა, სადაც დაეცა ნაგაზი, და თოფდახრილმა იმ ადგილს მიმართა, დაღრჰენილ კბილთა შორის სტვენით სუნთქავდა და ცეცებით აგნებდა გზას. უცებ მიხვდა - იმ ადგილს უკვე გამოვცდიო. იგრძნო, რომ, აი, ახლავე გაიქცეოდა, რომ უკვე თავქუდმოგლეჯილი ალაღბედზე გარბოდა წყვიდიადში,

და საკუთარ თავს ჩასძახოდა, ჩასისინებდა: „დადექი! გაჩერდი, შე ლენჩო! თავს გაიჩეჩქავა!“ აქლოშინებული შეჩერდა. ფოთოლთა შორის დარჩენილი ჭვრეტით ცის შემხედვარემ იაზრა, სადაც იმყოფებოდა იმჟამად. მაინც საკუთარი თავი აიძულა გაჩერებულიყო, ვიდრე სულს მოიბრუნებდა, მერე თოფიდან ვაზნა გამოიღო და ამჯერად ნაბიჯით გაუყვა. გზას ახლა ბაყაყების გაბმულ ყიყინზე იგნებდა, ეს ყიყინი მიყრუვდებოდა, მიწყნარდებოდა ხოლმე. მერე ისევ დაირხეოდა უფრო და უფრო ხმამაღლა, მეტად და მეტად, თან ყოველი მათგანი ერთ ნოტზე კი არ ხმიანებდა მხოლოდ, მთელ ოქტავას ფარავდა, თითქმის აკორდივით იყო, – სულ უფრო მაღლა, უფრო ახლოს გაისმოდა მათი ბოხი ხმა, მერე უცებ მიჩუმდნენ, წამით გაირინდნენ დამაბულ სიჩუმეში, რომელიც მაშინვე დაარღვია წყნარმა, არეულმა ჩქაფუნმა, თითქოს მრავალი ხელისგული წყალს ეტყაპუნებო, და, ეს რომ ნაპირზე გავიდა, წყალი წვრილ-წვრილ, მოციმციმე ზოლებად იფანტებოდა უკვე და მათ შორის ვარსკვლავთა ანარეკლი კიაფობდა ხანგამოშვებით. ამან თოფი წყალში მოისროლა. იარაღმა თვალთა წინაშე გაუელვა, ჰაერში მდორედ გადატრიალდა. მერე დგაფუნი გაისმა და კი არ ჩაძირულა თოფი, ვარსკვლავების ნამსხვრევთა რიალში გაიბნა თითქოს.

შინ შუალამემდე დაბრუნდა. ამჯერად არამცთუ ფეხსაცმელი, აგერ სამ დღე-ღამეს გაუხდელად ნაცვამი კომბინეზონიც კი გაიძრო და საწოლზე გაიშოტა. ოღონდ მაშინვე მიხვდა, – ვერ დავიძინებო. იმიტომ კი არა, რომ ამხნის განმავლობაში დღე ღამედ ჰქონდა ქცეული, არც დამაბული, ილაჯგაწყვეტილი ნერვებისა და კუნთების გამო, რომლებსაც ვერა და ვერ დაიურვებდა, არამედ პირველი გასროლით დამსხვრეული და მეორით აღდგენილი ამ სიჩუმის გამო. და, აი, ისევ გულაღმა წევს უმომძრაო და უშფოთველი, ხელები სხეულის ჩაყოლებით გაუჭიმია, თვალები გახელილი აქვს, ხოლო თავი და ფილტვები გალიცლიცებია ყურთასმენის წამლები სიჩუმით, რომელშიც ნელა ციმციმებენ ხავერდოვანი ციციანათელები, სიღრმეში კი მწყობრად ყიყინებენ დაუდებარი ბაყაყები. აი, კარის ალმაცერ სწორკუთხედსა და დერეფნის ბოლოში ზეცა ჯერ თალხისფერი შეიქნა, მერე ყვითელი მიეძალა, და, აი, სამი მობოინე ძერაც მოჩანს უკვე. „უნდა ავდგე, – უთხრა ამან თავის თავს, – დღეს თავსაც არ მივდებ, რომ ღამით დამეძინოს“. და ბეჯითად გაუმეორა: „გაიღვიძე! გაიღვიძე-მეთქი!“ ვიდრე ბოლოს მართლაც გაიღვიძა. ხოლო ფანჯრიდან დაფენილი მზის ოქროვანი კვადრატი იატაკზე ისევე იხილვებოდა, როგორც ყოველ საღამოს. დალიანდაგებულ საბანზე, ამის სახიდან სულ ერთი დუიმის დაშორებით, დაკეცილი სახვევი ქაღალდის ნაგლეჯი იდო, ხოლო რომ წამოდგა, მტვრიან იატაკზე, კართან, ბიჭის შიშველი ფეხის კვალი დაინახა. ქაღალდის პარკის ჩამოხეულ ნაგლეჯზე ხელმოუწერლად იყო მიფხაჭნილი: „მოდით ჩემთან, შენს ცოლს ფული აქვს შენთვის“. გაუპარსავი უკომბინეზონოდ იდგა და თვალთა პარპალით დასცქეროდა ამ ბარათს. „ახლა შეიძლება იქ მისვლა“, – გაიფიქრა და რაღაც შეეძრა გულში. თავი აიღო და ტანჯულად თვალმოფახულემ ამ სამ დღეში პირველად გახედა მზედაფრქვეული ზეცის სიღრმეს, თავისი გამოცარიელებული სახლის კედელთა წიაღ გახედა, იმ ჩიხის წიაღ, რომელშიც მისი ცხოვრება მომწყვდეულიყო.

- ახლა შეიძლება... - თქვა ხმამაღლა. მერე ისევ დაინახა ძერები. გამთენიისას სამი ფრინველი ჩანდა. ახლაც შეეძლო დაეთვალა, რამდენი იყო, მაგრამ თვლას აღარ შესდგომია. უბრალოდ თვალს ადევნებდა მათ

სპირალურ ტრიალს, თითქოს უჩინარ მილს ჩასდევნო, ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდნენ ხეების მიღმა. ეს ისევ ხმამალა ალაპარაკდა. – ალბათ ძაღლს დასტრიალებენ, – თქვა იმის მცოდნემ, რომ ძაღლი არაფერ შუაში იყო. ოღონდ ამას არც ჰქონდა მნიშვნელობა. „სულერთია, აქ მაინც აღარ ვიქნები“, – გაიფიქრა. არა, გულს როდი მოშვებია; ახლავა იგრძნო სწორედ, რა ლოდიც აწვა.

სამხრობის ხანი იყო, ეს რომ წვერგაპარსული და ფეხსაცმელ და კომბინეზონგაწმენდილი გალერეაში ავიდა და დუქანში შეაბიჯა. ამის ბიძაშვილი თავლია ყუთთან იდგა და რაღაც გააქანა პირისკენ.

– სადაა... – დაიწყო ამან.

მდეჭველი ბიძაშვილი ყუთს თავს ახურავდა.

– ორი დღეა კაცი გამოგიგზავნე, შე ლენჩო, რომ ცოცხალი თავით გაგესწრო, სანამ ის მუცელგასივებული ჰემპტონი თავისი მეძებრებიანად მოედებოდა აღმა-დაღმა. ერთი ზანგი მიეხეტებოდა თურმე იმ ჭაობთან ახლოს და ის შენი დაწყველილი თოფი ამოუღია, ჩაძირვაც ვერ მოესწრო.

– ჩემი არაა ის თოფი, – უთხრა ამან. – სად მაქვს მე თოფი, სადაა...

– კი, მაგრამ, ხომ ყველამ იცის, შენი რომაა ის თოფი, შე დედამკვდარო. მასეთი ადამისდროინდელი, ჰედლის სისტემის ათკალიბრიანი, მოღრეცილჩახმახებიანი იარაღი მეტს არავის აქვს მთელ ოლქში. მე აღარც მიუარია, ის გათახსირებული ჰემპტონი აქ იჯდა, ზანგმა რომ თოფი მოათრია. ჰოდა, ასე ვთქვი – რასაკვირველია მინკის თოფია, ნაშემოდგომებს აქეთია ეძებს-მეთქი. მერე ზანგს მივდექი: რა ქენი-მეთქი, შე ტილა, შემოდგომაზე გამოთხოვე მისტერ სნოუჰის თოფი ციყვებზე სანადიროდ, ჰოდა მერე ჭაობში დაძირე და აქეთ გვატყუებდი – ვერ ამომიღიაო!? აჰა, დაიჭი.

დახლქვეშ შეძვრა, თოფი ამოიღო და მინკს წინ დაუდო. გულმოდგინედ იყო გაწმენდილი, მხოლოდ კონდახთან შერჩენოდა მიმხმარი ტალახის ლაქა.

მინკს თოფისთვის ზედაც არ შეუხედავს.

– ჩემი არაა ეს თოფი, – უთხრა. – სადაა...

– ნუ გეშინია, ახლა ყველაფერი გარიგებულია. დროზე მოვაგვარე ეს საქმე. ჰემპტონს ეგონა – უარზე დადგება, იმახებს – მინკის არ არისო. მაშინ იმის ხელში იქნებოდა. მაგრამ მე ეს საქმე მოვაგვარე. ჰემპტონმა პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ ზანგს გადავაბრალე ყველაფერი. დღეს ან ხვალ საღამოს რამდენიმე ბიჭთან ერთად ჩავალ ალბათ და ზურგს ავუჭრელებ, ან კიდევ ფეხისგულეებს შევუხურებ ღვედებით. რომც არაფერში გამოტყდეს, ხალხი შეიტყობს – იმისას ღამე ყოფილანო, ჰემპტონი კიდევ აქ ბევრ ხმას დაკარგავს, გულხელდაკრეფილი თუ გაჩერდა, ასე რომ, გინდა თუ არ გინდა, იმ ზანგის ჩამოხრჩობა რომც ვერ გაბედოს, ციხეში მაინც უნდა უკრას თავი, ჰოდა, თვითონ ჰემპტონმაც მშვენივრად იცის ეს ამბავი. ასე რომ, ყველაფერი მოგვარებულია. კიდევ შენი ცოლის თაობაზე გამოგიგზავნე კაცი.

- ჰო, - თქვა ამან. - სადაა...

- მაგ ქალი გაგაუბედურებს. გაგაუბედურა და ესაა. გათახსირებული შერიფი, ძილშიც რომ ის ელანდება - ხმები ბლომად როგორ შევარგოვო, ტყვილა კი არ სუნავს აქაურობას. ჰიუსტონის ზანგმა მისი ცხენი კი იპოვა, მაგრამ თვითონ ჰიუსტონი თავის ძალღიანად გეგონება მიწამ ჩაყლაპაო, ამას კიდევ არაფერი უჭირდა, მაგრამ ხალხმა გაიხსენა, რომ სწორედ იმ ღამეს შენი ქალი აქ მობრძანდა ორივე ბავშვიანად და ხელბარგიანად, ტუჩი გახეთქილი ჰქონდა, ჩემო ბატონო, სისხლი ჯერაც არ შეხმობოდა, ასე რომ, აქ ყველამ შეიტყო ძალაუნებურად, რომ შენ გამოგიგდია სახლიდან. ოღონდამასაც მოითმენდა კაცი, იმ შენს ქალს ამვლელ-ჩამომვლელის დაჯერება რომ არ დაეწყო - ჩემი ქმარი არაა დამნაშავეო. ჯერ არც გვამი უპოვიათ და არც სისხლის ნაკვალევი - მარტო ცხენი ნახეს ცარიელი უნაგირიანად, ეს კიდევ შენს გამოხსნას ცდილობს, ყველას ეუბნება - არაა დამნაშავეო. ჰოდა, რა დანაშაულია ასეთი, ჯერ კაციშვილმა არ იცის ხეირიანად, იქნება არც მომხდარიყოს არაფერი. რა ეშმაკად ჩარჩი აქ? იმდენი ტვინი როგორ არ გეყო, იმ დღესვე წასულიყავი?

- მერე რა ფულით? - თქვა ამან.

ამასთან მოსაუბრე ბიძაშვილი თვალებს ხშირ-ხშირად აფახულებდა. პატარა თვალებმა ამჯერად შეაჩერა ხამხამი.

- რა ფულითო? - აქეთ შეეკითხა.

მინკს არ უპასუხია. მას აქეთ, რაც შემოვიდა, შეურხევლად იდგა ტანმორჩილი, უძრავი, შუა დუქანში იდგა, კარის საპირისპიროდ, რომელშიც მიმქრალი მზე იხედებოდა და ამას თხემით ტერფამდე სისხლივით ესხურებოდა ვარდისფრად.

- ის გინდა თქვა - ფული არ მაქვსო? პირში გინდა მომატყო, ვითომ - ჯიბეები ცარიელი ჰქონდაო? დაგიჯერებ, კი! მაგის ჩიტი ვარ! სწორედ იმ დილას ჩემ თვალწინ გახსნა საფულე. ორმოცდაათამდე მაინც, ღმერთმანი, სულ ყოველთვის თან ჰქონდა...

უცებ ხმა ჩაუწყდა. მერე უნდო გაოცების გამომხატველი ჩურჩულით შეეკითხა:

- ესე იგი, არც გაგიჩხრევია? არც გაგიჩხრევია?

მინკმა პასუხი არ გასცა. იქნებ არც გაუგონია შეკითხვა, შეურხევლად იდგა სიცარიელეს თვალმიპყრობილი, ხოლო შუქის უკანასკნელი მეწამული ათინათი მოქცევასავით აჰყვა ამის ტანს, სახის გულგრილი, უძრავი ნიღაბი წამით გაუნათა და ჩაქრა, და თაროების მწკრივს, ბნელ კუნჭულებს თალხი ბინდი გამოაცოცდა, ხოლო ამის თავს ზემოთ, ჭერთან დავიწყების ნისლივით შესქელდა, შენივთდა ყველის, ტყავისა და ნავთის განუქარვებელი სუნი. მისი ბიძაშვილის ხმა თითქოს იმ ნისლიდან, არსაიდან, არაფრიდან მოდიოდა.

- სად ჩამარხე? - დახლიდან გამოსული ბიძაშვილი უკვე წინ უდგას და თავს ძლივს იკავებს ამის სახეში მსუნთქველი. - ღმერთმანი, ორმოცდაათი დოლარი მაინც ჰქონდა თან. ვიცი მე. ჩემი თვალით დავინახე. აი, აქ, ამ დუქანში. მითხარი, სად...

- არა, - მოუჭრა ამან.

- მითხარი.

- არა.

ამათი სახეები სულ ერთი ფუტით თუ იქნებოდა დაცილებული, ორივენი ხმამაღლა და ხშირ-ხშირად ითქვამდნენ სულს. მერე კი ის მეორე სახე, ამისაზე ფართო და მაღლა მდგომი რომ იყო, გაერიდა და ბინდში წაიშალა.

- კარგი, - უთხრა ბიძაშვილმა. - მით უკეთესი, ფული თუ არ გჭირდება. იმიტომ, რომ, ჩემით თუ ფიქრობდი აშენებას, კაი ხანს მოგიხდება დაცდა. შენც კარგად იცი, რასაც უხდის ბილ უორნერი თავის მედუქნეებს. ჰოდა, იანგარიშე ახლა, ბევრს მოუყრის თუ არა თავს ის, ვინც ბილ უორნერს ემსახურება, თუ გინდა ათი წელიწადიც გავიდეს, ორი თვე კი არა. ასე გამოდის, რომ ის ათი დოლარიც არ გჭირდება, რაც შენს ქალს აქვს გადანახული. უკეთესი რა იქნება.

- ჰო, - თქვა ამან. - სადაა...

- ბილ უორნერთანაა.

ეს შებრუნდა და კარისკენ წავიდა. ბიძაშვილმა სიბნელიდან დაადევნა:

- უთხარი, რაც მიიღო, იმის გარდა თუმანი გამოსთხოვოს ბილ უორნერს ან ჯოდის.

თუმცა ჯერ არ ჩამოლამებულიყო, უორნერის ფანჯრებში სინათლე ენთო უკვე. ეს შორიდანაც ჩანდა და მინკი, თითქოს გარეშე დამკვირვებელი ყოფილიყო, უმზერდა, თანდათანობით როგორ უმცირდებოდა მანძილი ფანჯრებში გამონასხივებ შუქამდე. „იქ გათავდება ყველაფერი, - გაიფიქრა. - ეს დღეები და ღამეები, ვითომ უსასრულოდ რომ უნდა გაგრძელებულიყო, აქ შეიყარა, ამ მტვრიან გზაზე, ჩემსა და იმ განათებულ კარს შორის“. და როცა ჭიშკარს მიადგა და ხელი შეავლო, მოეჩვენა - ამ დროის განმავლობაში ქალი სულ მე მელოდებოდა და გზას გამოჰყურებდაო. ქალმა კართანაზე გამოირბინა, განათებული კარის ჩარჩოში გაკრთა, როგორც იმ ღამეს, ეს რომ პირველად შეხვდა იმ ბანაკში, - ხოლო თავად როგორ მოხვდა იქ, რა ავბედითი შემთხვევითობის მეშვეობით, ამის გახსენება ახლაც კი არ სიამოვნებდა, ცხრა წლის შემდეგ. ოღონდ შეგრძნება ამჟამადაც იმგვარი ჰქონდა, ოდნავადაც არ განელებოდა. და აღარ აშინებდა ეს მოგონება, არ ლამობდა მისგან თავდახსნას, არ ნანობდა იმის გამო, რაც მოემოქმედებინა, რადგან მოტევა არ ესაჭიროებოდა და არც დაემებდა მოტევებას. მხოლოდ ის არ სურდა, ძალისძალად გაეხსენებინათ ის უბედურება, რაც იმ შემთხვევის შემდეგ დაატყდა თავს, სხეულისა და სულისთვისაც შეურაცხმყოფელი შემთხვევის შემდეგ, როცა არც ძალა ეყო და არც მხნეობა;

ოღონდ ფუჭი მონანიებით არ იტანჯავდა თავს, არც იღრინებოდა ვისიმე მისამართით, კვლავინდებურად გულცივი იყო, უჯიათი და თავისნება. სიყმაწვილე ერთი ნაქირავები ქობიდან მეორემდე წოწილით გაეტარებინა, ათზე მეტი იმგვარი დროგადასული და საცოდავად ნაკოწიწები ქობი ჰქონდა გამონაცვალი, რადგან მამამისი ფერმიდან ფერმაში გადადიოდა და წარმოდგენაც არასოდეს ჰქონია, თუ საით მიხაბაკობდა, იმიტომ, რომ გადაბარგებამდე არც ერთ იმ ფერმათაგანს ათ ან, იქნებ ოც მილზეც ახლოს არ მიჰკარებოდა. მერეკი, ერთ ღამეს, ამას მოუხდა მიეტოვებინა ის ქობმახი, თავის სახლს რომ უწოდებდა, ის ერთადერთი მიწა, ის ხალხი, რომელსაც იცნობდა: ვერც თავისი ავლადიდების მოხიკვა მოასწრო, თუკი საერთოდ ებადა რამე მოსახევი, ვერც უკანასკნელი „მშვიდობის“ თქმა, თუკი საერთოდ ეგულებოდა ვინმე დასამშვიდობებელი, და რამდენსამე კვირაში ორასზე მეტი მილის გავლა მოუხდა ქვეითად. ზღვისკენ ჰქონდა გეზი აღებული; იმხანად ჯერაც ახალგაზრდა კაცი იყო, სულ ოცდასამი წლისა. ზღვა არასოდეს ენახა; დანამდვილებით არც კი იცოდა, სად იყო ზღვა, ერთადერთი ის ჰქონდა გაგონილი - სამხრეთისკენ არისო. მანამდე ზღვის ფიქრი თავშიც არ გაეველო და ახლა თავადაც არ უწყოდა, თუ რა ძალას მიჰყავდა მაინცდამაინც იქითკენ, რატომ განდობოდა მიწას, ხმელეთს, სადაც ძალა და ჭკუა არ ჰყოფნოდა ის მოემოქმედებინა, რისკენაც მიეზიდებოდა თავისი გულცივი, უდრეკი ნებელობა; არ უწყოდა, თუ რას გამოელოდა იმ მლაშე უსაზღვროებიდან, იმ უკიდეგანო თავდავიწყებისგან, - თავდავიწყებისგან, რომელიც არც უძებნია და რომლის მპოვნელიც ვერასოდეს შეიქნებოდა, თითქოს განზრახ არ სურსო მეხსიერების ძაფის გაწყვეტა, ტანჯვად გაემეტებინა მოღალატე სხეული და ჭკუა. შესაძლოა მხოლოდ აღთქმა ესაჭიროებოდა, დაპირება უკიდეგანო სივრცის და განუკურნებელი თავდავიწყებისა, რომლის წინაშეც ძრწოდა და უკუიქცეოდა ყოველივე მიწიერის ამო დრტვინვა; იმიტომ კი არ ესაჭიროებოდა, რათა მისით ესარგებლა, არამედ იმიტომ, რომ გაუჩინარებულყო მრავალსახოვან უსახურობაში, იმ მიუწვდომელ ნავსაყუდელში, სადაც თავშესაფარს პოულობს ყველა ჩაძირული ოქროს ნავი და სადაც უკვდავი სირინოზნი სუფევენ. მერე კი, როცა თითქმის მიღწეული იყო თავის მიზნამდე, და დღე-ღამეზე მეტი უზმოდ გადაეველო, უცერად შუქს მოჰკრა თვალი, იქითკენ გაემართა, მაღალი ხმიანობა შემოესმა და როგორც ჩარჩოში, ისე დაინახა კარში ის ქალი, უძრავად იდგა ასვეტილი, გულშეუძრავი, ხოლო მამაკაცთა მაღალი, ჩახრინწული ხმები თითქოს საკმევლის ზვირთებად მონანაობდა მისკენ. მერე აღარ გაუგრძელებია გზა. მეორე დილით უკვე შემისმჭრელად მუშაობდა იქ თვით იმის არმცოდნე, თუ ვის ჰყავდა ქირაზე აყვანილი; ის იყო მხოლოდ, რომ გულგრილად გამოჰკითხა ამბავი ზედამხედველს, რომელმაც დაქირავებისას მოურიდებლად მიახალა პირში - ძალზე სუსტი და გალეული ხარ საიმისოდ, რათა ბირდაბირი იხმარო. მანამდე პატიმრის ზოლებიანი სამოსელი არასოდეს ენახა, ამიტომ იყო, რომ უცბად ვერც იაზრა, რამდენიმე დღის მერეღა მიხვდა, სადაც იმყოფებოდა, - ხელუხლებელი ტყის მთელი მასივის ამოძირკვას შესდგომოდა იქ ვიღაც ჯაჯღანა კაცი, - ასე, ორმოცდაათს მიტანებული, ამაზე მაღალი ტანისა არც იქნებოდა, მავთულივით გახეშეშებული, მოკლედ შეკრეჭილი, ჭადარაგარეული თმისა და მოზრდილი ღიპის პატრონი, - რომელსაც ყოველნაირი ინტრიგის თუ ქრთამის, ან კიდევ რაღაც სხვა ხერხის მეოხებით შტატის მთავრობისთვის გამოეტყუებინა უფლება პატიმართა შრომის გამოყენებისა და მათი გამოკვება და შენახვა ედო თავს; ქვრივი იყო, მისი ცოლი დიდი ხნის წინ

გადაწყობილია პირველ მშობიარობას და ახლა თვითონ დაუფარავად ცხოვრობდა პირმშვენიერ კვარტერონ ქალთან, რომელსაც ლამის ყველა კბილი ოქროსი ჰქონდა ჩასმული. ეს ქალი განაგებდა სამზარეულოს, სადაც აგრეთვე პატიმარნი მუშაობდნენ, და თავის ქვრივთან ერთად ფიცრულ, ზრეზენტით გადახურულ ბარაკებს შორის ჩამდგარ ცალკე სახლში ცხოვრობდა. განათებულ კარში ასვეტილი ქალი იმ ქვრივის პირმშო იყო. მამამისთან და კვარტერონთან ერთად ბინადრობდა მათივე სახლის მიდგმულში, ცალკე შესასვლელი რომ ჰქონდა დატანებული; მაშინ ყორნის ფრთასავით შავი თმა ჰქონდა, დიდებული, ფუმფულა თმა, და ყოველი ზედამხედველი, მცველი, ტუსალი და, ესეც თავად, როცა ამის რიგმაც მოატანა – საიმდროოდ უკვე მშვენივრად იყო მიმხვდარი, რისთვისაც სჭირდებოდა ქალს ცალკე შესასვლელი, – ყველანი შევლოდნენ სამართებლით იმ თმის მამაკაცურად მოკლედ შეჭრაში, სქელი და გაუხეშებული თმა ადგა თავზე, ამან ეს პირველ ღამესაც დაინახა, ლამპის შუქზე, და მეორე დღესაც, როცა ნაჯახმემართული უცებ შებრუნდა და მაღალ, ნაპატივებ ცხენზე ამხედრებულ, კომბინეზონით მოსილ ქალს ჰკიდა თვალი. შეფარული უსირცხვილობით კი არ დამზერდა, უტიფრად მოსჩერებოდა ის ქალი, თავისის გატანას ჩვეული თავხედი კაცივით. ჰო, ეს დაინახა ამან, – თავისის გატანის ჩვევა, ნებისა და გრძნობის სრული შერწყმა, მიზნის მიღწევის უძლეველი უნარი, რაც ქალურს კი არა, კაცურ იერს ანიჭებდა, ისევე როგორც მისივე ტანსაცმელი, ტანსრულობა და მოკლედ შეჭრილი თმა; გულისთქმას დამონებული ქალი კი არ იყო ამის წინაშე, არამედ ზვიადი მბრძანებელი ჰარამხანისა. იმჯერად არ გამოლაპარაკებია ამას. ცხენი გააჭენა და ეს მიხვდა – ცალკე შესასვლელით მარტო ღამდამობით როდი სარგებლობენო. იმ თავის ცხენზე ამხედრებული მოვიდოდა ზოგჯერ, ცხენს შეაჩერებდა, ზედამხედველს მოკლედ რაღაცას გადაულაპარაკებდა და გაეცლებოდა. ზოგჯერ კვარტერონი ქალი გამოჩნდებოდა ცხენით, ვიღაცის სახელს ახსენებდა და გაბრუნდებოდა ხოლმე; მერე ათისთავი იმ სახელს მაღალი ხმით დაიძახებდა, ხოლო გამახებული ცულსა თუ ხერხს მიატოვებდა და ცხენოსანს გაჰყვებოდა. ეს კი მუშაობის შეუჩერებლად, წელში გაუმართავად თითქოს თვალს გაადევნებდა გამახებულს და ხედავდა, როგორ შევიდოდა ის გვერდით კარში, მერე მობრუნებული ისევ როგორ შეუდგებოდა მუშაობას. ასე იყო მათი საქმე განურჩევლად – დიდი გზის ყაჩაღი იქნებოდა, კაცისმკვლეელი თუ ქურდი, რაყიფობა ან ეჭვიანობა არ იცოდნენ. როგორც ეტყობოდა, ამის ხვედრი მხოლოდ ეს იყო. ოღონდ, ვიდრე რიგიმოუწევდა, გულიდან ეჭვიანობა ამოიგდო და უდრტვინველად დაემორჩილა თავის ბედს. ეს აღზრდილი იყო იმ ტრადიციული რწმენით, რომ ყოველი მამაკაცისთვის, როგორი წარსულის მქონე, რაგინდ დაცემულიც უნდა ყოფილიყო, სულ ცოტა, ერთი უმანკო სასძლო, ერთი ქალიშვილი მაინც იყო ამქვეყნად გამზადებული და იმ ქალიშვილის უბიწოება მხოლოდ ამ მამაკაცს უნდა შეეღებოდა. აქ კი ხედავდა, მხოლოდ იმისთვის უნდა ებრძოლა – როგორმე ყურადღება მომაქციონო, იმ ადამიანებთან უნდა ებრძოლა, რომელთა შორისაც არა მარტო ბაღდად გრძნობდა თავს, არამედ სხვა რასისა და სხვა ჯიშის ბავშვადაც. და როდესაც ბოლოს და ბოლოს იმ ქალის წინაშე წარდგებოდა, მხოლოდ სამოსი კი არ უნდა შემოეცილებინა მისი სხეულისთვის, არამედ აგრეთვე ოცდაათი თუ ორმოცი მამაკაცის ხვევნის უხილავი კვალი; თანაც მხოლოდ იმ ერთხელ კი არა, შემდგომშიც (მაშინვე გრძნობდა თავის იღბალს), მუდამყვამს, დაუსრულებლად; ვერანაირი ოთახი, ვერანაირი წყვილი, თვით უდაბნოც კი ვერ დაიტევდა ამ ორს და მათთან ერთად იმ ყველგანმყოფ აჩრდილთა

ვაცა ჭიხვინს. ბოლოს ამის რიგმაც მოატანა და გაიძახეს, როგორც მოელოდა კიდეც. ეს სინანულის გარეშე დამორჩილდა, ყოველივეს წინასწარ მცოდნე. ოღონდ ბერწი როსკიპის ალხიან, გაუგრილებელ სარეცელზე კი არ მოხვედრილა, არამედ ძუ ლომის ლიტონსა და საზარ ბუნაგში - მისი სხეული არ ნებდებოდა, შეწყალებას არ ითხოვდა, და ეს სამუდამოდ გადაიქცა ერთის მოტრფიალე არსებად, ისევე როგორც ოპიუმის ან სისხლის ერთხელ მგემებელი ნარკომანად ან კაცისმკვლელად იქცევა ხოლმე. დღისით იყო ეს ამბავი. ივლისის მწველი მზე იღვრებოდა არამცთუ უდარაბო, უფარდო ფანჯრებში, გამვლელ-გამომვლელის მზერისთვის ღია რომ იყო. გაუშალაშინებელი ექვსდუმიანი ფიცრებისგან ულაზათოდ შეკრულ, ფოლადის მავთულის ზამბარიან საწოლს ეღვრებოდა მზე და ეს უზარმაზარი საწოლი, გეგონება, მსუბუქი სარწევი სავარძელიაო, მოკლე-მოკლე ნახტომებით შეუჩერებლად მიდი-მოდიოდა იატაკზე. ხუთი თვის მერე კი დაქორწინდნენ. ეს ამბავი განზრახული არ ჰქონიათ თავიდან. მას აქეთ ამას არასოდეს გაუშვია ხელიდან შემთხვევა ყველა, მათ შორის საკუთარი თავიც, დაერწმუნებინა - ქალი არც ფიქრობდა, არც აპირებდა ცოლად გამომყოლოდაო. მაგრამ ქალი მამამისის გაკოტრებამ აიძულა, ასე მოქცეულიყო, - ესეც კი ხვდებოდა, იმ კაცის საქმე ხელიდან წასულიაო, ყოველი წაქცეული ხე აახლოებდა მის ჩაფლავებას. მერე და მერე ეჩვენებოდა კიდეც - ჩვენი იმ დღეს შეყრა სიგნალივით იყო და ამ სიგნალზე ეს ამხელა უშველებელი ლიხეტი, ერთ ღამეში მოქუჩებული ცარიელზე, თავის უკანონოდ მიჩემებულ მიწიანად, ჩაფრების მიერ დაცული ბარაკებიანად, ქანცგაწყვეტილ ხალხიან-ჯორებიანად ერთ ღამეშივე გაცამტვერდა, ისევე სიცარიელედ, უმაქნის ხარახურად იქცაო, - ნახერხის ზვინებიღა დარჩა, ჩაშავებული როკები, ჯირკები, გაოხრებული და გაჩანაგებული კორომი. ხუთ თვეს მუშაობის გასამრჯელოდ მიღებული ფული ამას თითქმის ხელუხლებლად შენახვოდა, უახლოეს ქალაქამდე ფეხით ჩავიდნენ და ხელი მოაწერეს; მომრიგებელმა მოსამართლემ თამბაქოს ნაღები პირიდან გამოიღო, ხელში ჩაბლუჯა, ქუჩიდან ორი გამვლელი შეიხმო, და ესენი ცოლ-ქმრად იქცნენ. ამის სამშობლო მხარეში გამოემგზავრნენ და ამან პატარა ფერმის ნაწილი აიღო იჯარით. თუნუქის ძველ ღუმელს ფლობდნენ, პირდაპირ იატაკზე დაგებულ ნამჯის ლეიბს, სამართებელს, რომლითაც ეს თმას უმოკლებდა ხოლმე ქალს კვლავინდებურად, და კიდეც მცირეოდენ სხვა ხარახურას. იმხანად მეტი არაფერი ესაჭიროებოდათ. ქალმა ასე უთხრა:

- ასამდე კაცი მაინც ვიცი, მაგრამ ბზიკთან ჯერ არ მეცხოვრა. შენ შხამი დაგდის ნამდვილი და მიშუშხავს ყველაფერს. შვილებსაც ამომიწვავს მაგ შხამი. შენგან შვილი არასოდეს მეყოლება.

მაგრამ სამი წლის შემდეგ შვილი მაინც შეეძინათ. ხოლო ხუთი წელიწადი რომ გამოხდა, უკვე ორი შვილის პატრონი იყვნენ; გახედავდა ხოლმე, როგორ მოუყვებოდნენ ისინი საცოდავ ყანას თუ სათიბს და სადილის ნაცვლად ცივი წყალი მოჰქონდათ დოქით ამისთვის, ან როგორ თამაშობდნენ ჩილიკა ჯოხს, ან კიდეც მოსართავის ჟანგმოდებული ბალთებით თუ უკვე ამისთვისაც გამოუსადეგარი გუთნის ჭანჭიკებით იქცევდნენ თავს ნაქირავები ქობნახის ლაფაროს მტვერში; კართანაზე კი ეს იჯდა ხოლმე გაოფლილი, ნამუშევარზე გრილდებოდა და კვლავ უღვივდებოდა ადრინდელი მწვავე, მოუნელებელი გულის ჯავრი, პირველად რომ დარია ხელი, ისეთივე მძინვარე და სასტიკი. იჯდა და გულში გაივლებდა ხოლმე - ღმერთმა ნუ

ქნას, ჩემები არ იყვნენ ეს ბავშვები. მერე კი, ცოტათი რომ დაცხრებოდა ნამჯის ლეიბზე მწოლიარე, როცა ქალი ღრმა ძილში იყო უკვე წასული, ამის განაწამები სხეული კი ჯერაც თრთოდა და იკრუნჩხებოდა, იმასაც იფიქრებდა – ჩემები რომც არ იყვნენ, რა განსხვავებააო. სამაგიეროდ ბავშვები ქალსაც იმაზე უარესად ბორკავდნენ, ვიდრე ეს იყო მათგან შებოჭილი, ასე რომ, ბოლოს ქალიც ბედს დამორჩილდა და ამ მორჩილების ნიშნად თმაც მოუშვა გრძლად და დროდადრო იღებავდა კიდეც.

ახლა ბილიკზე მორბოდა ქალი ამის შესახვედრად, მძიმედ, ოღონდ სწრაფად გამორბოდა. ჭიშკარს მანამდე მოაწყდა, ვიდრე ეს შეღებვას მოასწრებდა, გამოიჭრა, ქმარი კინალამ წააქცია და მის კომბინეზონს ჩააფრინდა.

- არ იქნება! - შემოუძახა, ოღონდ მისი ხმა ჩურჩულზე მაღალი არ ყოფილა. - არ იქნება! რა პირით მოდიხარ? არ შემოგესვლება აქ!

- სადაც მომეგუნებება, იქ შევალ, - მიუგო ამან. - ლემპმა თქვა...

უნდოდა გამოსხლტომოდა, მაგრამ ქალი თავადვე შეეშვა კომბინეზონს, ხელში სტაცა ხელი და აჩქარებულმა ძალისძალად წააქიჩმაჩა მესრის გასწვრივ, სინათლეს გამოაშორა, რაც გაეწყობოდა. მერე ეს ისევ გაუძალიანდა.

- მოიცადე, - უთხრა ქალს.

- რეგვენო! - ჩახრინწული ხმით უჩურჩულა ქალმა. - რეგვენო! შე დაწყევლილო! - ეს გულგრილი, შენივთებული სიბრაზით ეწინააღმდეგებოდა, ბოღმა ყელში აწვებოდა, ოღონდ, ეტყობა, ჯერ იმის დრო არ დასდგომოდა, რომ სადინარი ეპოვა გადმოსაღვრელად. უცერად წიხლი ჩასცხო ქალს, თუმცა ჯერ არ ფიქრობდა ეტკენინებინა, მისგან თავის დახსნა ეწადა მხოლოდ. მაგრამ ქალს ორივე ხელით ჰყავდა ჩაბლუჯული. - იმავე ღამეს რატომ არ წახვედი? ღმერთო, მე კიდეც იმას ვფიქრობდი - მე წავალ თუ არა, ესეც მაშინვე გამოშორდება-მეთქი იქაურობას. - თავგზადაკარგული ბალსავით აჯანჯლარებდა თითქმის ძალდაუტანებლად. - რატომ-მეთქი? თქვი, რატომ?!

- მერე რა ფულით? - უთხრა ამან. - ან საით წავსულიყავი? ლემპმა თქვა...

- კი, ვიცი, ფული არ გქონია, არც საჭმელი გეშოვებოდა, კოდში ჩარჩენილი ქატოს მეტი. ოღონდ დამალვა კი შეგემლო! სადმე ტყეში დასკვამულიყავი და მე ამასობაში... ჩემი ნება რომ იყოს, ორივე ხელით წაგახრჩობდი! - ლამის ზედ მიმსკდარი აჯანჯლარებდა და ეს გრძნობდა ქალის მძიმე, ცხელ, წყვეტილ სუნთქვას. - არა, იმის მოკვლისთვის კი არა, იმიტომ წაგახრჩობდი, იმ დროს რომ გააკეთე მაგ საქმე, როცა ერთი მონეტაც არ გიგდია ჯიბეში, არც გზის ფული გეშოვება და არც საჭმელია რამე სახლში. ჩემი ნება რომ იყოს, ჩამოგახრჩობდი, მერე ყულფიდან თავს გამოგაყოფინებდი და ხელახლა ჩამოგახრჩობდი, კიდეც და კიდეც...

ამან ისევ ჩასცხო წიხლი, ამჯერად ძალუმად, გულმოსულად. ოღონდ ქალი უკვე თვითონვე ჩამოხსნოდა და ცალ ფეხზე დამდგარიყო, მეორე კი ამოეკაუჭებინა უკეთ მისაწვდომად. ფეხსაცმლის ყელიდან რაღაც ამოაძვრინა

და ამას ჩასჩარა ხელში. ეს მაშინვე მიხვდა, ფული რომ იყო. რამდენჯერმე გაკეცილი ქაღალდის ფული, ერთი ბეწო, კვადრატული, ქალის სხეულის სითბო ჯერაც ზედ ჰქონდა შერჩენილი. ერთადერთი ქაღალდი იყო. „დოლარია“, - გაიფიქრა იმის მცოდნემ, რომ ეს არ იყო დოლარი. „ა. ო-ს და ეკისა“, - უთხრა თავის თავს იმის მცოდნემ, რომ მათი არ ყოფილა ეს ფული და რომ იმ არემარეზე ერთადერთ კაცს, დიდი-დიდი - ორ კაცს შეიძლებოდა აღმოსჩენოდა ათი დოლარი ერთ ქაღალდად; ახალა ჩახვდა, რაც უთხრა ბიძაშვილმა, ამ თხუთმეტი წუთის წინ დუქნიდან რომ გამოდიოდა. არც დაუხედავს, რა ედო ხელში.

- მიჰყიდე რამე ბილს თუ შარვლიდან ამოართვი ფული, როცა დაიძინა? თუ ჯოდის ამოცალე?

- თუ გინდა, მასე იყოს! ამაღამაც შემძლია რაღაც მივყიდო და ათი დოლარი ვიშოვო კიდეც! ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, სახლში არ წახვიდე. ტყეში დაიძალე. ხვალ დილით კიდეც... - ეს არ შერხეულა, მარტო მომუჭული ხელი გაშალა, ოღონდ მასში მონეტა არ ყოფილა, დამტვერილ, გაბინძურებული ბამბის ფთილებით მოდებულ გზისპირა ბალახში დავარდნისას რომ გაეწკარუნა. ბოლოს ამან იქით გააბიჯა და ქალი ფეხდაფეხ გაედევნა. - მინკ! - უთხრა ქალმა, ეს კი ფეხის აუჩქარებლად მიაბიჯებდა და ქალიც გვერდიგვერდ მისდევდა. - თუ ღმერთი გწამს, - თქვა. - თუ ღმერთი გწამს...

მერე მხარში ხელი ჩაავლო, ძალით მიატრიალა თავისკენ. მაშინ ამან წიხლისკვრით იქით მიაწყვიტა, გზისპირისკენ გადახტა, დაიხარა, ბალახში ჯოხი მოძებნა, შემართა და ქალისკენ დაიღირა თავი ახლაც დინჯად, მოღლილად და უღმობლად, ვიდრე ის უკან არ გაბრუნდა. ამან ჯოხი დაუშვა, ოღონდ ფეხი არ მოუცვლია, ვიდრე ქალის ლანდი გზის მიმქრალ მტვერს არ შეერწყა. მერე ჯოხი იქით მოისროლა და შებრუნდა. ზურგს უკან მისი ბიძაშვილი იდგა. ლემპი რომ უფრო ტანმორჩილი ყოფილიყო, ან კიდეც ეს, მინკი, უფრო ზორბა, უბრალოდ ზედ გადაუვლიდა ბიძაშვილს და მიწაში ჩაბეკნიდა. ლემპი გაეცალა და გვერდზე გამოჰყვა ამის ყურში ხრინწიანად მსუნთქავი.

- ერთი სიტყვით, მაგ ფულსაც გადაუძახე, ხომ? - უთხრა ლემპმა. მინკს არ უპასუხია. გვერდიგვერდ მიდიოდნენ კოჭებამდე მტვერში, მათი ნაბიჯის ხმას რომ ანელებდა. - იმას ორმოცდაათი დოლარი მაინც ექნებოდა-მეთქი, გეუბნები, ჩემი თვალით მინახავს. ჰოდა, შენ გინდა დამაჯერო - არ ამომიცლიაო. - ეს ამჯერადაც არ პასუხობდა. ისევ აუჩქარებლად მიაბიჯებდნენ, თითქოს სეირნობენო. - კარგი, ბატონო, ახლა მე იმას ვიზამ, რასაც ჩემს ადგილას არავინ გააკეთებდა მთელ ქვეყანაზე; ავიღებ და დაგიჯერებ, რომ არც ამოგიცლია და არც გინახავს ის ფული. ის მაინც მითხარი, სად ჩამარხე? - ამას პასუხი არ გაუცია, არც კი შეჩერებულა. ბიძაშვილი მხარში ჩააფრინდა; ამჯერად მისი მძიმე სულისთქმა და ჩახრინწული ჩურჩული მხოლოდ გაკვირვებას კი არა, ცივ, უძლურ გაცოფებასაც გამოხატავდა, თითქოს ის კაცი ყოფილიყოს, ვინც იდიოტს რაღაცას უჩიჩინებს და ლამისაა დაკარგოს მოთმინება. - შენ რა, ის გინდა, რომ ის ორმოცდაათი დოლარი მანამდე იდოს იქ, სანამ ჰემპტონი და მისი მეძებრები ერთმანეთში არ გაიყოფენ?

მინკმა ხელი ჩამოაღებინა მხრიდან.

- მომეშვი.

- კარგი. მოდი, ასე ვქნათ. ამ წუთში მოგიტვლი ოცდახუთ დოლარს. მერეწავალთ და საფულეს ისე მომცემ, შიგ ნურც ჩახედავ. ან შარვალს მომცემ იმისას, თუკი ჯიბეებში ქექვა არ გესიამოვნება. ამ ფულის ხელის ხლებაც არ მოგიწევს, თვალითაც ვერ დაინახავ. - გზის გასაგრძელებლად შებრუნდა. - კარგი, ბატონო, თუ ასე გულს გეყრება და ვერ გადაგიწყვეტია, მე მაინც მითხარი, სად ჩამარხე. ჰოდა, რომ მოვბრუნდები, ათ დოლარს მოგცემ, თუმცა, კაცი რომ ათდოლარიანების ფანტვას დაიწყებს... - ეს შეუჩერებლად მიდიოდა. ხელი ისევ ჩამოაწვა მხარზე და იქით მიაბრუნებინა თავი; დაბოდმილი, მთრთოლვარე ხმა არსაიდან და ყოველი მხრიდან მოედინებოდა, ჩასაფრებული, ყურდაცქვეტილი სიბნელიდან. - მოიცადე, ყური დამიგდე. კარგად დამიგდე ყური. ჰემპტონთან რომ წავიდე, რაღას იზამ? მთელი დღე აქ დაწანწალებდა და ახლაც სადმე ახლოს იქნება. რომ ვუთხრა - ახლა გამახსენდა, შარშან შემოდგომაზე როგორ დაკარგავდა თოფს მინკი, როცა იმ კვირას დუქანში ამდენი და ამდენი თოფისწამალი იყიდა-მეთქი? - მაშინ კი უნდა გამოტყდე, რომ ფულით კი არა, თოფისწამლით გაისტუმრე ჰიუსტონი იმ ძროხის ამბავზე ჯარიმადადებულმა...

ამჯერად აღარ უცდია - ხელი ჩამოეღებინებინა მხრიდან, პირდაპირ დააღირა თავი ბიძაშვილისკენ, დინჯად გაემართა, ულმოზლად, დაღლილი ნაბიჯით, ოღონდ ბიძაშვილს არ შეუმჩნევია, და ასე მიდიოდა, შეუჩერებლად, ვიდრე იმან უკან არ დაიხია. ლაპარაკითაც ხმადაბლა დაელაპარაკა, დუნედ, გულგრილად.

- გეხვეწები, დამანებე თავი, - უთხრა ამან. - კი არ მოვითხოვ, გეხვეწები. შენთვის იქნება უარესი. დაღლილი ვარ და მომეშვი.

უკან-უკან წასული ბიძაშვილი ნაბიჯს უჩქარებდა და მათ შორის მანძილი იზრდებოდა. მინკი შეჩერდა, მანძილი კი ისევ დიდდებოდა და ბოლოს ლემპი გაუჩინარდა, მისი ავის მომასწავებელი ჩურჩული ესმოდა მხოლოდ.

- დამაცადე, შე დამპალო, კაცისმვლელო შენ! ვნახოთ ერთი, როგორც გამომძვრები ამ საქმიდან...

ფრანგისხევისკენ გაბრუნებული უჩუმრად მიაბიჯებდა მტვრიან შარაზე, სიბნელეში ეჩვენებოდა - ერთ ადგილას ვიტკეპნებიო, თუმცა დუქნის ბნელი კონტურების გვერდით მისის ლიტლჯონის სამზარეულოს ფანჯრიდან - მთელ სოფელში ეს იყო ერთადერთი განათებული ფანჯარა - შუქი უახლოვდებოდა. ცოტათი იქით გზა ამის სახლისკენ უხვევდა, ოთხი მილი იყო იქამდე. „ჯეფერსონში უნდა მივდიოდე ახლა, რკინიგზისკენ“, - გაიფიქრა; და ახლა, როცა გვიანდა იყო, როცა აღარ უნდა ჰქონოდა იმის იმედი, რომ თავადვე შეძლებდა არჩევანის მოხდენას - თვალთმაქცურად გაჩარხული გახვეწა თუ თავგზაარეული, განწირული, პანიკური ლტოლვაო, როცა უღრანსა და ჭანჭრობში უნდა ეწანწალა გამვალტყავებული, მშიერი, ბუნაგის გზამოჭრილი ნადირით, უცბად მიხვდა - ამ სამ დღეს მარტოიმედი კი არ

მქონდა, გულდაჯერებულიც ვიყავი, რომ არჩევანი ჩემი იქნებოდაო. ახლა კი არამცთუ დაჰკარგოდა ეს უპირატესობა, არამედ ბრმა შემთხვევის გამოისობით, იმის გამო, რომ ამის ბიძაშვილს დაენახა თუ მიმხვდარიყო, რა ჰქონდა ჰიუსტონს საფულეში, ამაღამ უარესი გამოსავალიც მოკეტილი იყო ამისთვის. მოეჩვენა - ის მკრთალი შუქი არამცთუ საბოლოო მიზნის, თუნდაც უარესის, გზას არ მინათებს, იქ, იმ შუქთან იმედი გადაიწურება და ახლა ყოველი ნაბიჯი ამცირებსო ჩემი თავისუფლების ვადას. „მე მეგონა - მოკლავ კაცს და ამით მორჩება-მეთქი ამბავი, - უთხრა თავისთვის. - ვერ მოგართვეს. ახლა დაიწყო თავიდათავი“.

სახლში არ შესულა, პირდაპირ საშემისკენ გაუხვია, ნაჯახს დაავლო ხელი და მცირე ხანს შეიცადა ვარსკვლავთა მჭვრეტელმა. მეათე საათი იყო; შუალამემდე შეეძლო მოეცადა. სახლს მოუარა და ყანაში დაეშვა. შუა გზაზე შეჩერდა და მიაყურა, მერე გზა განაგრძო. ოღონდ ხევში არ ჩასულა; პირველსავე დიდ ხეს ამოეფარა, ნაჯახიც ხის ტანს ააყუდა, რათა მერე უცბადვე ეტაცა ხელი. მერე მიჩუმებულსა და ჩასაფრებულს შეესმა, როგორ მოიძურწებოდა ყანაში ფეხაკრეფით ლოხი კაცი, უფრო და უფრო ახლოს ისმოდა მძიმე-მძიმე სუნთქვა, მერე მორბენალი გაუსწორდა, სული მოითქვა და, რა დაინახა - ეს ხეს გამოსცდა და გორაკს შეუყვავო, შეჩერდა.

ყანა-ყანა მიდიოდნენ, ერთიმეორეს ხუთიოდე ფუტით დაშორებულნი. ამას ზურგს უკან ესმოდა მობორძიკე ნაბიჯების ხმა, სიმინდის შრიალი, ლიწინ-ლიწინი, და გამძაფრებული, მოთუხთუხე, თანაც დაოკებული სულისთქმა. თავად ჩუმი ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს უხორცო ყოფილიყოს, ხმელ-ხმელი ღეროებიც კი არ შერხეულა არც ერთხელ.

- ყური დამიგდე, - უთხრა ბიძაშვილმა. - მოდი, ვითათბიროთ, როგორც გონიერ ხალხს შეშვენის... - აღმართი აათავეს, ეზო გადაჭრეს და სახლში შევიდნენ, ერთიმეორეს ისევ ისე ხუთიოდე ფუტით დაშორებულნი. ეს სამზარეულოსკენ გაემართა, ლამაზ აანთო და ღუმელთან ჩაცუცქდა ცეცხლის დასაგზნებად. მძიმედ მსუნთქველი ბიძაშვილი ზღურბლზე იდგა და შემოსცქეროდა, როგორ მოაქუჩა ამან პინწკლები, ცეცხლი გააჩაღა, ღუმლიდან საყავე აიღო, შიგ ვედროს წყალი ჩაასხა და ცეცხლზე შემოიდა. - საჭმელიც არაფერი გაქვს? - ჰკითხა ბიძაშვილმა. - ამას პასუხი არ გაუცია. - საქონლის საჭმელი სიმინდი ხომ მაინც გექნება? მოდი, შეეწვათ. - ღუმელში ცეცხლი არიალებულიყო. ამან საყავე მოსინჯა, თუმცა წყალი ასე ჩქარა ვერაფრის დიდებით ვერ გაცხელდებოდა. ბიძაშვილი ამის კეფას შემოსცქეროდა. - გეყურება? - უთხრა. - წამოდი, მოვიტანოთ.

მინკმა ხელი გამოაშორა საყავეს. იმისკენ არ მიუხედავს.

- მოიტანე, - უთხრა, - მე არ მშია.

კარში ჩამდგარი ბიძაშვილი ქმინავდა და ამის უშფოთველ სახეს უშხერდა.

- კარგი, - თქვა ბოლოს. - წავალ თავლაში და მოვიტან.

ზღურბლს გადააბიჯა, დერეფანში მძიმედ გაალაჯა, უკან კარში გავიდა და, დაადგა თუ არა მიწას ფეხი, მოკურცხლა. კისრისტეხით მირბოდა წყვილიადმი ფეხის წვერებზე, სახლს შემოურბინა და ჩაიმაღლა სუნთქვაშეკავებული, წინა

კარის მოთვალთვალე; მერე ლაფაროსთან მიიჭრა, სამზარეულოდან გამოსული შუქით მკრთალად განათებულ დერეფანს გახედა და წამით ისევ გაიყინა თვალეზადმოქაჩული. „გამაბრიყვა მაგ მამამაღლმა, – გაიფიქრა. – უკანა კარიდან გაპარულა“, – და კიბეზე ავარდა ბორძიკ-ბორძიკით, დერეფნით სამზარეულოსკენ გაბრაგუნდა და, სამზარეულოს კარს რომ მიაწყდა, დაინახა, რომ მინკი იმავე ადგილას იდგა ღუმელთან და ისევ საყავისკენ ჰქონდა ხელი გაწვდილი მოსასინჯად. „ჩათლახი, მამამაღლი, კაცისმკვლეელი, – გაიფიქრა. – ვერ დაიჯერებ პირდაპირ. ვერ დაიჯერებ, რომ ამდენს გაუძლებს კაცი, თუ გინდა ხუთასი დოლარის გულისთვის“.

ოღონდ ზღურბლს ისე გადააბიჯა, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, ვითომ ფეხიც არ მოენაცვლებინოს ადგილიდან, მხოლოდ სუნთქვა ჰქონდა უფრო აჩქარებული და ხრინწმორეული. უმზერდა, როგორ მოიტანა მინკმა ფაიფურის გაბზარული ფინჯანი, სქელი ჭიქა, ფსკერზე შაქარჩარჩენილი თუნუქი და კოვზი; ამრახებითაც ისეთ კილოზე ამრახდა, თითქოს თავისი პატრონის მეუღლეს ესაუბრებოდა ჩაის სუფრასთან.

– ბოლოს და ბოლოს ადუღდა, ხომ?

მაგრამ მინკს ხმა არ გაუღია. ფინჯანში მდულარე ჩაისხა, დაშაქრა და მოურია ღუმელთან მდგარმა, მერე ბიძაშვილისკენ გვერდულად გაჩერდა, და თავდახრილმა მოსვა ცოტ-ცოტა. ბიძაშვილმა ცოტაც დააყოვნა, მერე ღუმელთან მივიდა, ჭიქაში მდულარე ჩაისხა, იმანაც დაშაქრა და დამანჭულმა მოსვა, მთელი პირსახე – თვალეზი, ცხვირი, პირიც კი – ჭიქის კიდიდან სადღაც ზემოთ გაექცა, შუბლისკენ, თითქოს კანი მარტო ერთ ადგილას, კეფასთან ჰქონოდეხს მიმაგრებული თავის ქალაზე.

– მისმინე, – უთხრა, – მოდი, აზრი დავატანოთ საქმეს. ის ორმოცდაათი დოლარი იქ დევს და არავისი არაა ახლა. შენ უჩემოდ ვერ წახვალ და ვერ ამოიღებ, იმიტომ, რომ მე არ გაგიშვებ. მე კიდევ უშენოდ ვერ ჩავიგდებ ხელში, იმიტომ, რომ არ ვიცი სადაა. ჰოდა, ვკარგავთ აქ დროს ტყუილუბრალოდ, იმ გათახსირებულ შერიფს კიდევ ყოველ წუთს შეუძლია მიაგნოს თავისი მეძებრებიანად. ამ საქმეში უკან დახევა არაფრის დიდებით არ იქნება. გინდა თუ არ გინდა, უნდა წამოვიღოთ ის ფული. მე რომ შემეძლოს, რასაკვირველია, სულ ჩემთვის წამოვიღებდი, შენი არ იყოს. მაგრამ არც შენ და არც მე ასე არ გამოგვივა. ტყვილა ვყურყუტებთ აქ და დროს...

მინკმა ფინჯანი დაცალა და დაამხო.

– რომელი საათია? – იკითხა მერე.

ბიძაშვილმა ფართო, გაცრეცილი ქამრის ქვეშიდან ტყავის გაზინთულ თასმაზე მოკონწიალე იაფფასიანი საათი ამოაძვრინა, დახედა და უკანვე ჩაასრიალა.

– ათის ოცდარვა წუთია. ხომ უნდა გათავდეხს ეს ამბავი. დილის ექვსზე დუქანი უნდა გავაღო. თანაც ხუთი მილი კიდევ ფეხით მაქვს გასავლელი, სანამ ლოგინს მივატანდე. ოღონდ ეგ არაფერი. ამაზე ნუ ფიქრობ, ვისაც რა საზრუნავი უნდა აწუხებდეს, საქმე საქმეა მაინც. იმაზე იფიქრე...

მინკმა ცარიელი ფინჯანი ქურაზე შემოდგა.

- გინდა, შაში ვითამაშოთ?

- ...შენს თავს რა უშველო. შენ ხომ... რა თქვი? - სიტყვა გაუწყდა, ხედავდა, როგორ მიადგა მინკი რომელიღაც ბნელ კუთხეს და მოკლე, ფართო ფიცარს დასწვდა. თაროდან თუნუქის კოლოფი ჩამოიღო და ეს ყველაფერი მაგიდაზე დაალაგა. ფიცარი ნახშირით იყო დახაზული მრუდე შავ-თეთრ კვადრატებად; კოლოფში აღმოჩნდა ფაიფურისა და მინის ორფერი ნატეხები, - ეტყობა, გატეხილი თეფშისა და ლურჯი ბოთლის ნამსხვრევი. ამან დაფა ლამპისკენ მიაჩოჩა და ქვების დალაგებას შეუდგა. ბიძაშვილს პირთან მიტანილი ჭიქა ხელში შესცივებოდა და ისე შემოჰყურებდა. წამით სულიც კი შეუგუბდა. მერე თავს მოერია.

- კარგი, ვითამაშოთ, - უთხრა. ჭიქა ქურაზე შემოდგა და მინკის პირდაპირ გადაჯდა. გეგონებოდათ, მისი დონდლო, დარუმბებული სხეული, თითქოს ჰაერგამომშვებული საჭაერო ბურთი ყოფილიყოს, მარტო სკამს კი არა, მაგიდასაც გადაეფარებო. - იმ ორმოცდაათ დოლარზე ვითამაშოთ, ხელი - ხუთი ცენტი. ყაბული ხარ?

- მიდი, - უთხრა მინკმა.

და შეუდგნენ თამაშს. ერთი აუჩქარებლად თამაშობდა, გულცივად, ყოველ სვლას ანგარიშობდა, მეორე - რისკიანად, უხეიროდ და სულმოსწრაფებულად. მის თამაშში გამოსჭვიოდა ლამის ბალღური დაუდევრობა და წინდაუხედაობა, რაც ისეთ ხალხს სჩვევია, ვინც აზარტული თამაშისას თავისი ჭკუის იმედად კი არაა, ხელის სიმარჯვის მოიმედეა, და ისეთ მარტივ თამაშშიც კი, როგორიცაა შაში, სადაც არაფერია ჩასაწყობი და შესატყუებელი, ყალთაბანდობას ცდილობს ხოლმე. იმასაც ყალთაბანდობა დიდი ხანია წმინდა რეფლექსად ჰქონდა ქცეული, იმ ზომამდე, საკუთარ თავსაც, ეტყობა, ვერაფერს უხერხებდა. ამიტომ ახლა იმედიანად იყო, სულელურ სვლებს ჩქარ-ჩქარა აკეთებდა, მომუჭულ ხელს უმაღლ უკან გააქანებდა ხოლმე, თან თვალის დაუხამხამებლად მისჩერებოდა დაფაზე დახრილ მშვიდსა და მოთენთილ სახეს თავისი პარტნიორისა, ენას გაუჩერებლად ატარტარებდა და ყველაფერს მიედ-მოედებოდა, ოღონდფული ან მკვდარი არ უხსენებია არც ერთხელ. მომუჭული ხელი მაგიდის კიდეზე ედო, შიგ მოპარული ქვა ჰქონდა ჩაბლუჯული, ხათაბალა აღმოჩნდა ეს შაშიო, - ფიქრობდა, - რა ხეირს ეს დამაყრისო. ერთ საათში ცამეტი ხელი ააღლიტა.

- მოდი, ოცდახუთცენტიანი გავხადოთ ხელი, - შესთავაზა.

- რომელი საათია? - შეეკითხა მინკი. ბიძაშვილმა ჯიბიდან ისევ ამოაძვრინა საათი და მერე უკანვე ჩაასრიალა.

- თერთმეტს უკლია ხუთი წუთი.

- მიდი, - უთხრა ამან. თამაში გაგრძელდა. ბიძაშვილი ახლა ჩუმად იყო. ანგარიშს დაფის კიდეზე იწერდა ფანქრის ნატეხით. ნახევარი საათის მერე შეჯამებას რომ შეუდგა, ფანქარმა მოგებული პარტიების რიცხვი კი აღარ

ანიშნა, არამედ მეთედებიანი და ბოლოში დოლარდართული თანხა, და ეს ციფრი ერთბაშად თითქოს შექანდა და თავში მოხვდა, ისე, რომ ლამის ხმაც შეესმა. უცებ გაშეშდა, სუნთქვაც კი გაუწყდა, თან ფიქრობდა: „ჭირი შენ! ჭირი შენ! ახლა მივხვდი, რატომ არ ჩამავლო არც ერთხელ. განგებ შობა ასე. იმიტომ, რომ მთელ თავის წილს რომ მოვუგებ, ხიფათში თავის ჩაგდება და იმ ფულისთვის წანწალი აღარ მოუხდება“. ახლა ტაქტიკა შეიცვალა. და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად საათის ციფერბლატზე ისართა მოძრაობამ ნამდვილი აზრი შეიძინა მისთვის. საათი თვითონვე ამოეღო და დაფის გვერდით დაედო ახლა. „გაუთავებლად ხომ არ იქნება ასე, - გაიფიქრა და ისევ შემოეგზნო უმწეო გულისჯავრი. - არ იქნება. ამდენს ვერ გაუძლებს, თუ გინდა, ორმოცდაათი დოლარიც რომ იყოს“. ახლა უკან იხევდა. იტყოდით, საკუთარ თავს დალატობსო. სულელურ, განზრახ დაუდევარ სვლებს აკეთებდა; ახლა საკუთარ ქვებს მალავდა მუჭში. მაგრამ ხმელ-ხმელი, ჯიუტი ხელი მუჭს დაუჭერდა ხოლმე და პარტნიორი ცივი, გულშეუძრავი ხმით დაუმტკიცებდა - ეგ ქვა არასგზით არ შეიძლება იქ იდოს, სადაც ახლა დევსო, ზოგჯერ კი მაგიდაზე ჩამოვდებულ მუშტზე ხელს დაჰკრავდა კიდეც და იმას მუჭი გაეშლებოდა. ოღონდ ბიძაშვილითავისას არ იშლიდა, განწირული ისევ ისე ქარაფშუტულად ებლაუჭებოდა ხავსს, ისევ და ისევ ებმებოდა, და კიდეც ერთი საათის შემდეგ მისი სვლები ბავშვურიც კი აღარ იყო, ჭკუანაკლულის ან თვალდავსებულის თამაშს მოგაგონებდათ. ლემპმა ისევ დაიწყო:

- ყური მიგდე. იქ ის ორმოცდაათი დოლარი დევს და არაკაცი არაა იმის პატრონი. დევს იქ და, ვინც იპოვის...

- ითამაშე, - უთხრა მინკმა. იმან ქვა გადასვა. - მასე არა, - უთხრა ამან.
- აილე. - იმან აილო. ამან ერთი ქვა კიდეც გადადგა.

- შენ კიდეც ფული გჭირდება, იქნება სახრჩობელასაც გადაგარჩინოს, ოღონდ ვერ ჩაიგდებ ხელში, ხომ იცი, არ მოგეშვები. როგორ გგონია, შემიძლია ახლა სახლში წავიდე, დავიძინო, დილას კიდეც წამოვდგე და დუქანს მივაკითხო, თუ ის არ მაჩვენე, ფული სად...

- ითამაშე, - უთხრა ამან. ბიძაშვილმა ქვა გადადგა.

- არა, - უთხრა ამან. - აილე. - იმან აილო. და დაინახა, როგორ მოასუფთავა დაფა ერთიმეორეზე ხუთი ქვის მოკვლით ხმელ-ხმელმა, ბალნიანმა თითებმა, რომლებსაც ლურჯი მინის ნატეხი ეჭირა.

- ახლა ნაშუადამევია. ექვსზე ინათებს და მაშინ ჰემპტონი თავისი მეძებრებიანად...

უცებ ენა ჩაუვარდა. მინკი ფეხზე იდგა და ზემოდან დაჰყურებდა; ისიც წამოვარდა. მაგიდის აქეთ-იქიდან შესცქეროდნენ ერთიმეორეს.

- ჰო! - თქვა ბიძაშვილმა. ხრინწმორეული ითქვამდა სულს, გრძნობდა, რომ ჯერ ნაადრევი იყო სიხარული. - ჰო! - გაიმეორა. - ჰო! - მაგრამ მინკი აღარ უმზერდა, თავი დაეხარა და სახე მიცვალებულივით უძრავი, გამოცარიელებული და წაგრძელებული გახდომოდა.

- გეხვეწები, წადი, - უთხრა. - გეხვეწები, თავი დამანებე.

- როგორ არა, - ბიძაშვილიც ხმის აუმაღლებლად გაეპასუხა. - წავიდე, ხომ? რაც მე ვითმინე, იმის მერე? - მინკი კარისკენ შებრუნდა. - მოიცადე, - უთხრა ბიძაშვილმა, მაგრამ ეს არ შეჩერებულა. ბიძაშვილმა ლამაზა ჩააქრო და დერეფანში წამოეწია. ახლა ჩურჩულით დაუწყო ლაპარაკი: - ტყვილა არ დამიჯერე ამ ექვსი საათის წინ. დიდი ხნის მოთავებული გვექნებოდა ყველაფერი, ახლა ლოგინში ვიქნებოდით ჩაწოლილი და აქ არ ვიყურყუტებდით ნაშუადამევს. ვერ ხვდები, რომ არც ერთისთვის არაა სახეირო ეს ამბავი? შენ უჩემოდ ფეხს ვერ გადაადგამ და მე - უშენოდ. სად მიხვალ? - ამან არ უპასუხა. შეუჩერებლად გადაიარა ეზო თავლისკენ მიმავალმა, ბიძაშვილი ფეხდაფეხ მოჰყვებოდა; ზურგს უკან ისევ მოესმოდა მძიმე სულისთქმა და ჩურჩული: - იქნება, არ გინდა, ნახევარი მომცე, მაგრამ იქნება არც მე შესიამოვნება, სხვას გავუყო ფული. ოღონდ სულ არარაობას - ნახევარი იყოს. როცა გამახსენდება, რომ ის გათახსირებული ჰემპტონი თავისი მეძებრებიანად...

მინკი თავლაში შევიდა, ბაგაში შეაბიჯა - ბიძაშვილი კართან შეჩერდა - და ჩამოხსნა ლურსმანზე დაკიდებული მოკლე, კარგად გარანდული მუხის ჯოხი, რომელსაც ბოლოში ქერელის თოკი ჰქონდა გაყრილი, - ამით ხედნიდა თავის ულაყს ჰიუსტონი და ამას ებოვა, როცა ჰიუსტონის ფერმის დაგირავებული ნაწილი იჯარით აეღო უორნერისგან, - მერე ფიცხლად შეტრიალდა, ბიძაშვილი ერთი დარტყმით მოცელა, ჯოხი გადაადგო და ხელი სტაცა მძიმე სხეულს, თავისით რომ ბაგაში ვარდებოდა და ისღა დარჩენოდა, ერთ ფუტზე გაეთრია ეს სხეული, რათა კარი მიხურულიყო. გუთანს ჭაპანი მოხსნა, ბიძაშვილს ხელ-ფეხი გაუკოჭა, პერანგს კალთა შეახია და ალიკაპი გაუკეთა.

გორაკიდან დაშვებულმა ვერაფრით მიაგნო იმ ხეს, რომლის ძირშიც ნაჯახი ჰქონდა დატოვებული. იცოდა, რატომაც ვერ აგნებდა. ახლა, როცა ის გაუთავებელი ლაქლაქი ჩამცხრალიყო, თითქოს სიჩუმე კი აღარ ჩაესმოდა, არამედ დაკარგული დრო, თითქოს იმ ლაქლაქის ჩაცხრობის შემდეგ იმ წუთს მიჰბრუნებოდა, როცა ყოველივე ეს იწყებოდა დუქანში, სადამოს ექვს საათზე, და ჩახვდა - მთელი ექვსი საათი დამიკარგავსო. „ნამეტანი იჭინთები, - უთხრა თავის თავს, - არ შეიძლება ასე აფაცურება“. ადგილზე გაჩერდა, ვიდრე ასამდე დაითვლიდა, უკან მიიხედა იმის მისახვედრად, თუ სად იმყოფებოდა - იმ ხის ზედა თუ ქვედა მხარეს, მარჯვნივ მისგან თუ მარცხნივ. მერე შუა ყანაში მიბრუნდა ამჯერად უკვე სიჩუმით კი არა, დროის ფაჩუნით გაყრუებული, და იქიდან გადახედა ხევს, რათა წვეროს მოყვანილობით თუ სხვა ნიშნებით მიეკვლია იმ ხისთვის, სადაც ნაჯახი დაეტოვებინა. გადაწყვიტა დაბლა დაშვებულიყო და, სამებნ ადგილს უეჭველად რომ ჩასცილდებოდა, იქიდან მოყოლებული ყველა ხე მოეჩხრიკა რიგრიგობით. გარნა დრო ერთობ ხმაწეული მოდგანდგარებდა და, როცა ამან პირველი ნაბიჯი გადადგა, გაიქცა, სახლისკენ ან ხევისკენ კი არ გაქცეულა, გორაკს გადაღმა მხარეს მიმართა, ყანა-ყანა გავარდა მისი სახლიდან ნახევარი მილის დაშორებით გამავალ გზაზე. ერთ მილამდე გაიბრინა და თავისაზე უფრო მოცუცქულსა და მიღრინკულ ქობთან აღმოჩნდა. აქ სწორედ ის ზანგიცხოვრობდა, თოფი რომ ეპოვა. კატაზე ოდნავ მოზრდილი ჭიჭყინა ძალი ჰყავდა, უმაღლ გამოხტა სახლს ქვემოდან თავგადაკლულად მყეფარი და გააფთრებული მოეტანა ამას. ეს იცნობდა იმ

ძალს და, საცა სამართალია, ძალსაც უნდა სცნობოდა; დაუყვავა, მაგრამ ძალი არაფრით არ დაცხრა, ერთბაშად ყოველი მხრიდან აწყდებოდა მისი ყევა. მაშინ მისკენ გავარდა და კაპასი ყევა სწრაფად გაეცალა სახლის მხარეს. ეს შეუჩერებლად გაიქცა საშემისკენ, - იცოდა, სადაც იყო; ნაჯახი იქ დახვდა, ხელი რომ სტაცა, ჩაბნელებული სახლიდან გამოსძახეს:

- რომელი ხარ?

ამას არ უპასუხია. უკანმოუხედავად გამოიქცა, სახლის ქვეშ შემძვრალი ძალი კი ისევ ყეფდა გაკაპასებული. ყანაში მოხვდა. აქ მისაზე უკეთესი იყო სიმინდი. ყანა რომ გადაირბინა, ხევში დაეშვა.

ხევის პირას შეჩერდა და ვარსკვლავთა მიხედვით განსაზღვრა გზა. მიხვდა - დამპალ ხეს აქედან ვერ მივაგნებო, და გადაწყვიტა მიტოვებულ ტყესაკაფთან გასულიყო, იქიდან არ უნდა გასჭირვებოდა გზის მოძებნა. ყველაზე სწორი ის იქნებოდა, ხევის გასწვრივ ნაცნობ ადგილას გასულიყო, თუმცა საამისოდ შორი გზით უნდა შემოევლო, და იქიდან ეძებნა ხე, მაგრამ ცას რომ ახედა, გაიფიქრა - უკვე ორი დაიწყო.

კიდევ ნახევარი საათი გავიდა, ამას კი ჯერაც ვერ მიეკვლია ტყესაკაფისთვის. ცას იშვიათად ხედავდა, ხოლო ის ვარსკვლავი, რომლითაც გზას იძებნოდა ხოლმე, კიდევ უფრო იშვიათად ჩანდა. მაგრამ დარწმუნებული იყო - ძალიან არ გადავცდებიო გზას. თავი გააფრთხილა: „შენ რომ გგონია, იმაზე ჩქარა შეგიძლია მისვლა, ნუ აყოვნებ“. მაგრამ საამდროოდ, საჭირო რომ იყო, იმაზე ორჯერ მეტი ჰქონდა უკვე გავლილი. როცა მიხვდა, საბოლოოდ რომ დარწმუნდა - მხარი მექცაო, შიში ან სასოწარკვეთა არ განუცდია, მხოლოდ ბრაზი მოეძალა. გეგონებოდათ, მსგავსად იმისა, როგორც ამ ორი თუ სამი საათის წინ ამის ბიძაშვილი თავისმავე ყალთაბანდობამ დააზარალა, ისე ახლაც სისასტიკე განუდგაო თავის მოწაფეს, რომელსაც წამით ეღალატა მისთვის; ამ დაწყევლილმა კაცთმოყვარეობამ ხომ სამი საათი მაინც დააკარგვინა იმის მოიმედეს - ჩემი ბიძაშვილი დაიღლება და გამეცლებო, ნაცვლად იმისა, რომ თავში ჩაეცხო, როცა იმან ხეს ჩაურბინა გვერდით, ნაჯახი რომ აქვს დატოვებული, იმ ხეს. აი, რა დღეში ჩააგდო ახლა იმ შეცდომამ.

თავდაპირველად ის უნდოდა, - გაქცეულიყო, შიშის გამო კი არა, არამედ მოვარდნილ წამთა იმ ზეგვის გადასასწრებლად, ახლა მტრად რომ გადაქცეოდა. გარნა განაწამები სხეულით ერთიანად მოცახცახემ თავი აიძულა, მანამდე გაჩერებულიყო ადგილზე, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ დარწმუნდა - ახლა კი არ მიმტყუნებს კუნთები, გაქცევას არ მაიძულებს. მაშინ ნელ-ნელა, ფრთხილად იწყო შებრუნება, ვიდრე არ მოეჩვენა - იმ მხარეს მაქვს მიქცეული პირი, საიდანაც მოვედიო, და თავისსავე კვალს გაჰყვა უკან. მალე მიატანა ქარაფ ადგილს, საიდანაც ცის დანახვა შეიძლებოდა. ის ვარსკვლავი, რომლის მიხედვითაც მიმართულება გაითვალისწინა ხევში ჩამოშვებისას, პირდაპირ მის წინ იყო, „უკვე სამი საათი დაწყებულა“, - გაიფიქრა.

ახლა გაიქცა, უფრო სწორად, ცდილობდა, რაც გაეწყობოდა სწრაფად ერბინა. თავს ჯერაც ვერ დაუფლებოდა. „ახლავე უნდა მივაკვლიო ტყესაკაფს, - გაიფიქრა. - თუ არა, უკან მიბრუნებულს ყველაფერი თავიდან შემექნება

დასაწყები და ისე ინათებს, ვერც გავასწრებ ხევიდან“. გარბოდა, გარბოდა, უჩუმრად მიძვრებოდა ეკალბარდებში, სახეს ხელით იფარავდა აქლოშინებული, ვერაფერს არჩევდა, თვალის კუნთებმა დაძაბულობისგან ყივილი დაუწყო, გარნა თვალელები ვერაფერს ხდებოდა იმ წკვარამში, და უეცრად ფეხქვეშ მიწა გამოეცალა; ერთი ნაბიჯიც გაიქნია სიცარიელეში, იგრძნო - ვვარდებიო, წამის შემდეგ კი უკვე ზურგზე იწვა აქლოშინებული. ტყესაკაფში იყო, ოღონდ არ იცოდა - რომელ ადგილას. „ჯერ ხომ არც გადამივლია, - გაიფიქრა, - ჯერ დასავლეთის მხარეს ვარ. და უკვე სამი საათია დაწყებული“.

ახლა ისევ იცოდა მიმართულება. ტყესაკაფისკენ ზურგით რომ დადგეს დასულ პირდაპირ იაროს, მალე ხევეს მიადგება. მაშინ გაირკვევა, რომელ ადგილას შემოხეტებულა. მანამდე, როცა იგრძნო - ვეცემიო, ნაჯახი მოესროლა. ახლა ოთხზე მფორთხავემა მოჩხრიკა, ფერდობი აიარა და გაუყვა. აღარ გარბოდა. იცოდა, რომ არასგზით აღარ იქნებოდა ხელახლა გზის აზნევა. ერთი საათის მერე გორაკი რომ აიარა, ყანის პირას აღმოჩნდა. მისი საკუთარი ყანა იყო: აქამდე მოქანავე და ვერმისანდობი მიწა კვლავ შემკვირვდა და გამყარდა, ყოველივეს თავისი სახე დაუბრუნდა, თავთავის ადგილას დადგა. თავისი ქოხის დაბალი სახურავი დაინახა და ისევ გაიქცა მოშრიალე სიმინდებში აფორთხილებული, გამშრალი ბაგეებით ჰაერის მყლაპველი, და იმ ხეს ჰკიდა თვალი, რომლის ქვეშაც დატოვა ნაჯახი. თითქოს ხელახლა მიბრუნებოდა დროის რომელიღაც უძრავ წერტილს, ოღონდ დრო მაინც დაკარგული იყო. გადაუხვია და ხეს მიადგა, უკვე გვერდით უნდა აევილო, რომ უცებ მის გარემომცველ ჩრდილში კიდევ უფროჩამუქებული ლანდი გამოისახა, აუჩქარებლად წამოიმართა, და ბიძაშვილის ხმამ ხრინწიანად, ჩუმად ჰკითხა:

- ნაჯახი დაგრჩა, შე დამპალო? აჰა, აიღე.

ეს უჩუმრად შეჩერდა, არც ხმა დასცდენია, არც წყევლა, არც ოხვრა. „ოღონდ ნაჯახით არა და“, - გაიფიქრა უძრავად მდგარმა, გაშეშებულმა, ბიძაშვილი კი მის ყურთან ქშინავდა და გაავებული ხმა ჩასჩურჩულებდა:

- შე უჯიშო, ძმის მკვლელო შენ! იმდენი მოგითმინე, ოცდახუთი კი არა, ოცდახუთი ათასი არ ღირს ამად, თორემ თავი უნდა გამეპო ნაჯახით შენთვის და ჰემპტონის ეტლში გადამეძახებინე, ღმერთმა ხომ იცის, შენი წყალობით არ მომხდარა, რომ ჰემპტონი კი არა, მე ვიჯექი აქ და გიდარაჯებდი. ვერც მოასწარი, გული გაგეხარებინა იმ ფულით, რომ ჰემპტონი თავისი ხროვიანად ამოვარდა. იმათ შემხსნეს და წყალი მასხეს სახეზე. მე კიდევ ისევ ტყუილებს მოვყევი შენს გამოსახსნელად. იმან დამარეტოვნა-მეთქი, შენი ვუთხარი, შემკრა, გამმარცვა და სადგურისკენ გავარდა-მეთქი. ერთი მითხარი, კიდევ დიდხანს უნდა ვიმამაძალო შენს გადასარჩენად? ჰა? რას ველოდებით, ჰემპტონს?

- კარგი, - უთხრა ამან. - კარგი. - და გაიფიქრა: „ოღონდ ნაჯახით არა და“. შეტრიალდა და ტყისკენ წავიდა. ბიძაშვილი უკან არ რჩებოდა, ფეხდაფეხ მისდევდა, გაავებული ქშენა და ჩურჩული ამის თავს ზემოთ გაისმოდა, ისე, რომ, როცა ეს დაიხარა და მიწას მოუფათურა ხელი, ბიძაშვილი კინაღამ ზედ გადმოაწყდა.

- რა ოხრობა გინდა კიდევ? ისევ დაკარგე ნაჯახი? მომეცი აქ, რომ ნახავ, და დროზე მაჩვენე, სადაცაა ის ჩამარხული, სანამ მარტო მზე კი არა, ის ხმებზე მონადირეც...

ამას გვარიანი მძიმე ჯოხი მოხვედროდა ხელში. „არაფერი ჩანს, ასე რომ, პირველად იქნება ვერ მოვარტყა“, - ეუბნებოდა თავის თავს წელში გამართვისას. შეუხედავად დაჰკრა ჩახრინწულ, გაავებულ ხმას, ჯოხი შემართა და ხელახლა დასცხო, თუმცა ერთი დარტყმაც კმაროდა.

ადგილი ნაცნობი იყო. არავითარი ორიენტირი არ სჭირდებოდა, ოღონდ მაშინვე ცხადი შეიქნა, რომ ორიენტირი მაინც ჰქონდა თურმე, და სწრაფად გაემართა, იძულებული გახდა სწრაფად ევლო ხრწნილის სუნის სუსტად შემგრძნობელს. „ოთხი დაიწყო უკვე, - გაიფიქრა. - მე კიდევ სულ დამავიწყდა... აღარ გამხსენებია, რომ, კაცი რომ კაცს მოკლავს, ყველაფერი მის წინააღმდეგ აიშლება“. მერე მიხვდა - არ შევმცდარვარო, იმიტომ, რომ სუნი ახლა ერთ ადგილას კი აღარ იდგა, ყოველგნით ეფინებოდა; და, აი, მის წინ მინდორია, ფოთლებით მოვლებულ ჭრილში ამომართული უწვევრო, დამპალი მუხა. ხელის მისაწვდომზე მიეახლა, მოიქნია. ნაჯახი ყუამდე ჩაჯდა დაფუტურობულ მერქანში. გაჭირვებით ამოაძრო და ისევ შემართა ნაჯახი. და ამ დროს - ხმაური არ გაუგონია, უბრალოდ, თავად წყვილიანი შეირხა მის ზურგს უკან, ამას მიბრუნებაც კი უნდოდა, ოღონდ გვიან იყო უკვე, - რაღაც დააცხრა ბეჭებზე. უმაღლე მიხვდა, რაც იყო. არც კი გაჰკვირვებია, როცა დაცემისას ცხელი სუნთქვა იგრძნო და კბილთა ღრჭიალი მოესმა, გადმობრუნდა ხელით ნაჯახის მძებნელი, ხელახლა ზედ ყელთან ჩაესმა კბილთა ღრჭიალი, ცხელი სუნთქვაც ისევ მოსწვდა და ძალლი იდაყვით მოიგერია, წამოიჩოქა, ორივე ხელი ჩაავლო ნაჯახს. ძალმა კვლავ ისკუპა, ახლა ხედავდა მის თვალებს - ამისკენ მოცურავდა და წამები მარადისობად ეჩვენა. იმ თვალებს უსწორა ნაჯახი, სიცარიელეს კი მოახვედრა. ნაჯახი მიწაში ჩაერჭო და ესეც კინაღამ წაემხო პირქვე. ოღონდ ის თვალები რომ ისევ გამოჩნდა, ეს უკვე ფეხზე იდგა. წინ გავარდა ნაჯახშემართული. ბრმად იქნევდა მაშინაც კი, როცა თვალები გაქრა, ბუჩქებს ლეწდა და ცელავდა, მერე შეჩერდა კვლავაც ნაჯახშემართული, გულამოვარდნილმა მიაყურა, თუმცა ვერც ხედავდა რასმე და არც არაფერი ესმოდა. შემდეგ ხეს მიუბრუნდა.

ნაჯახის პირველი მოქნევისთანავე ძალლი ისევ მოახტა. ელოდა კიდევ ამას. ამჯერად თავი აღარ ჩაუმალავს, შეტრიალდა და ნაჯახი მოიმარჯვა, თვალებს უსწორა დარტყმისას, იგრძნო - არ ამიცდენიაო, ნაჯახმა დამცინავად იელვა, ხელიდან გაუსხლტა, ეს ბუჩქებში გადაეშვა, იქით, სადაც ძალლი ფართხალებდა და წკმუოდა, იმ ხმის მიმართულებით გადახტა, გამმაგებული წიხლავდა ირგვლივ ყოველივეს, მერე მიწას დააკვდა, მიაყურა, წკმუტუნით რომ შემოესმა, ისევ გადახტა და მიწას დაუშინა წიხლები, ოღონდ ახლაც ამაოდ. მაშინ ოთხზე დადგა და ხის გარშემო მოჰყვა ფორთხვას, შემოვლისას წრეების რკალს აფართოებდა ხელის ფათურით ნაჯახის მძებნელი. ბოლოს როცა იპოვა, ფუტურო მუხის დაკბილულ წვერს ზემოთ უკვე ცისკრის ვარსკვლავი კიაფობდა.

ისევ შეუდგა ხის ჭრას მირზე, ნაჯახის ყოველი შემართვისას აყურადებდა ნახტომისთვის გამზადებული. მაგრამ ირგვლივ სიწყნარე იყო; მაშინ სულის მოუთქმელად მიჰყვა საქმეს, ნაჯახს ყუამდე აჯენდა, თითქოს სილას ან ნახერხს ჩეხავსო. ბოლოს ნაჯახი ტარიანად ჩაესო დამპალი ხის ტანს და, რაკი ეს დარწმუნდა, ყნოსვას არ მოვუტყუებია, ნაჯახს შეეშვა და თავმიბრუნებული, დაღრჰენილ კბილთა შუა სტვენით მსუნთქავი ხელით შეუდგა ხის გლეჯას, თან დროდადრო ცალ ხელს იქნევდა ძაღლის მოსაგერიებლად, მაგრამ მოწკმუტუნე ძაღლი ისევ და ისევ აწყდებოდა და ბოლოს თავი შერგო იმ ხვრელში, რომლიდანაც მოდიოდა გვამის სიმყრალე, - კაცი იტყოდა, ხმაც კი მოისმის, როგორ აწყდება კედლებს ის სიმყრალე და გარეთ მოილტვისო.

- დაიკარგე, შე დაწყევლილო! - ისე ამოიხრიალა ამან, თითქოს ადამიანს ესიტყვებოდა, და ისევ შეეცადა, ძაღლი იქით მოესროლა. - მიმიშვი!

გვამს მოეჭიდა და იგრძნო, როგორ სცილდებოდა ძვლებს ხორცი, თითქოს მათთვის სხეული ერთობ დიდი შექნილიყოს, აყმუვლებული ძაღლი მუცლამდე შეძვრა ხვრელში.

მოულოდნელად გვამი წამოჰყვა ხელებს, ეს გულადმა დაეცა, ტალახში, გვამი ფეხებზე გადმოემხო, ძაღლი კი იდგა და თავს დაყმუოდა პატრონს. ეს წამოდგა და ჩაწიხლა. ძაღლი გვერდზე გახტა, მაგრამ, როცა ეს დაიხარა, გვამს ფეხებში მოეჭიდა და გაითრია, ძაღლი ისევ მოეახლა. სანამ იძვროდნენ, ნაგაზი ცხედარს თვალს არ აშორებდა და ხმას არ იღებდა. მაგრამ ეს რომ სულის მოსათქმელად შეჩერდა, ძაღლი ხელახლა აყმუვლდა, ამანაც იმარჯვა, წიხლი ჩასცხო და ახლალა შენიშნა, ნათლად რომ ხედავდა მას, უკვე ერიჟრაჟა, და გაირჩეოდა გატყაული, ჩამომხმარი, აყმუვლებული ძაღლი, დრუნჩხე ახალი ჭრილობიდან სისხლდამდინარი. ამას თვალი არ მოუშორებია, ისე წაიხარა და მანამდე აფათურა მიწაზე ხელი, ვიდრე ჯოხი მოძებნა. სველი ჯოხი იყო, სლიპი, ოღონდ მაგარი. ძაღლმა რომ ისევ აიშვირა დრუნჩხი დასაყმუვლებლად, მოუქნია და ხეთქა. ნაგაზი ადგილზე დაბზირალდა, მერე გადახტა და მის ბანჯგვლიან ფერდზე ამან თვალი მოჰკრა მოგრძო ნაიარევს - ნასროლის კვალს. ამჯერად ჯოხი ზედ თვალეზშუა მოხვედროდა ძაღლს. მაშინ ამან ისევ სტაცა გვამს ფეხებში ხელი და შეეცადა გაქცეულიყო.

მდინარის პირამდე რომ გააღწია ტევრიდან, აღმოსავლეთით უკვე ანთებულებოდა. თავად მდინარე ჯერაც არ ჩანდა - ნისლის გრძელი ბოლქვი წყალს ბამბასავით მჭიდროდ დაფენოდა ზედ. ეს დაიხარა, ისევ აიტაცა თავისზე ლამის ორჯერ მძიმე სხეული და ნისლში მოისროლა. გვამს ხელი რომ შეუშვა, თვითონაც გადახტა მის კვალდაკვალ, კინალამ კბოდეზე გადაიჩეხა, და, ვიდრე მოსროლილი სხეული ნისლში დაინთქებოდა, თვალი შეასწრო, როგორ შენელებულად და უნიათოდ გაექანა სივრცეში ოთხის ნაცვლად სამი კიდური გვამისა. მერე წონასწორობა აღიდგინა, შემოტრიალდა და მაშინვე გამოიქცა, ხოლო ფეხდაფეხ ძაღლის თითების ყრუ თქრიალი მოსდევდა, და, აი, წამოეწია ძაღლი, შეუჩერებლად შეკრა კამარა. ოთხზე დამდგარმა მინკმა ჰაერში ჰკიდა მას თვალი, - თითქოს ვეება უფროთო ფრინველი ყოფილიყოს, ამას თავს გადაევილო და ნისლში გაუჩინარდა. ეს წამოხტა და ისევ გამოიქცა. მერე რაღაცას ფეხი წამოკრა და დაეცა,

წამოვარდა და ისევ გამოიქცა. და ამ დროს ზურგს უკან რბილი, სწრაფი თათების თქერა შემოესმა, ისევ მიწას გაეკრა და ოთხზე დამდგარმა დაინახა, როგორ გადააფრინდა თავზე და ჰაერშივე შემობრუნდა ძაღლი, ისე, რომ დახტომისას ამის პირისპირ აღმოჩნდა ამართული, თვალები ორ მოკიდებულ სიგარასავით უგიზგიზებდა, და უმაღლ დაემგერა მინკს, ვიდრე ეს წამომართვას მოასწრებდა. ამან ორივე მუშტი დრუნჩში ჩასცხო, წამოვარდა და გამოიქცა. დამძალ ხესთან ერთად მოვარდნენ. ძაღლმა ისევ ისკუპა და ბეჭებზე მოახტა, მაგრამ ეს ნაჯახით გამოდრუტუნულ ხვრელში შემძვრალიყო უკვე და იმ ნაკლულ ხელს ეძებდა გამალელებული, ხოლო ძაღლი ხალათსა და შარვალს უფლეთდა. მერე უცებ გაქრა. ვიღაცის ხმამ თქვა:

- ეი, მინკ! დაკავებული გვყავს ძაღლი. შეგიძლია გამოძვრე.

ეტლი სახლს უკან წამოზრდილ კორომში ელოდებოდათ, იქ, სადაც ორი დღის წინ თვლების ნაკვალევი შენიშნა ამან. უკანა საჯდომზე დასვეს, შერიფის თანაშემწის მხარდამხარ, იმას მიამაგრეს ხელბორკილით. შერიფი თავისი მეორე თანაშემწის გვერდით მოთავსდა, ცხენებს ის თანაშემწე მართავდა. ის იყო დააპირა ეტლის შებრუნება, რათა უკან, უორნერის დუქნისკენ, იქიდან კი ჯეფერსონის გზისკენ გაეყენებინა, რომ შერიფმა შეაჩერა.

- მოიცადე, - უთხრა და ამათკენ მოაქცია სახე. ვეება კაცი იყო, კისერმოკლე, ჩახსნილი ჟილეტი ეცვა და უსაყელოო გახამებული ხალათი. მის ფართო, შემუშებულ სახეზე მოკიაფე ცივი, მსუსხავი თვალები ცოშში ჩარჭობილ შავი შუშის ორ ნამსხვრევს ჰგავდა. - ის გზა საით მიდის? - ჰკითხა ამ ორს.

- უაიტლიფის ძველი ხიდისკენ, - მიუგო თანაშემწემ. - თოთხმეტი მილია იქამდე, იქიდან კიდევ ცხრა მილი უაიტლიფის დუქნამდე. დუქნიდანაც რვა - ჯეფერსონამდე. უორნერის დუქნის გზით კი სულ ოცდახუთი მილი გამოდის.

- ამგზობაზე უორნერს გვერდი უნდა ავუქციოთ, - თქვა შერიფმა. - პირდაპირ წადი, ჯიმ.

- სწორია, - თქვა მეორე თანაშემწემ. - პირდაპირ წადი, ჯიმ. რაზე ვზოგოთ, ჩვენი ხომ არაა, საოლქო საბჭოს ფულია. - შერიფმა, რომელიც ის იყო თავის მიბრუნებას აპირებდა, არაფერი თქვა, მდუმარედ შემოაშტერდა თანაშემწეს. ერთხანს ასე უმზერდნენ ერთიმეორეს. - მართალს არ ვამბობ, თუ? - თქვა თანაშემწემ. - მიდი, გარეკე!

მთელ დილას, შუადღემდე, ფიჭვნარით დაფარულ გორაკებს მიუყვებოდნენ. შერიფს ცივი საუზმე და დოქით დო ჰქონდა წამოღებული. გაუჩერებლად წაიხემსეს, ოღონდ ეს იყო, ცხენები დაარწყულეს გზის გადამკვეთ რუსთან. მერე გორაკები უკან მოიტოვეს, ნაშუადღევს უაიტლიფის დუქანს ჩაუარეს და მათ წინაშე გადაიშალა ვრცელი, ნაყოფიერი ველი, რომელზეც გალალელებული ნათესები ღაღანებდა, სიმინდის ტაროები მარცვლით გატიკნილიყო, ბამბის მწკრივებში ჯერაც მიდი-მოდიოდნენ მკრეფავნი, და იმან დაინახა, როგორ წამოიშალა უცებ გალერეაში პატენტისანი წამლების რეკლამებქვეშ ჩამომსხდარი ხალხი.

- ჰე, - თქვა შერიფის თანაშემწემ. - უყურე შენ, აქაც ყოფილა ისეთი ადამიანები, რომლებიც, ეტყობა, უარს არ იტყოდნენ, თუ გინდა ათი-თხუთმეტი წუთით მაინც ჰიუსტონის გვარი ჰქონოდათ.

- გარეკე, - უთხრა შერიფმა. და გზა განაგრძეს, სქელსა და რბილ მტვერში მიჰყვინენ ზაფხულის ალხიან დღეს, ოღონდ დაწევით კი ვერ დაეწეოდნენ, და, აი, თავარა მზემ ეტლის იმ მხარეს მოაცხუნა, სადაც ეს იჯდა. შერიფმა თავის მოუბრუნებლად, პირიდან ჩიბუხის გამოუღებლად თქვა: - ჯორჯ, ადგილი გაუცვალე მაგას, ჩრდილში დაჯდეს.

- არ არის საჭირო, - თქვა ამან. - არ მაწუხებს მზე.

მალე მართლაც აღარ აწუხებდა მზე, ყოველ შემთხვევაში, სხვებზე ცუდად არ გრძნობდა თავს, რადგან გზა ისევ გორაკებს გაჰყვა აღმა-ჩაღმა, ხოლო ფიჭვის გრძელ-გრძელი ჩრდილები მზის დამრეც სხივებქვეშ ნელ-ნელა დაჰბრუნავდა ნელად მიმრწევ ეტლს; იქ კი, შორეული ველის მიღმა, ჯეფერსონიც გამოჩნდა, და მზის ვარვარა დისკო ქალაქს იქით ჩადიოდა, აგერ-აგერ მიწას უნდა შეხებოდა და თვალებს უბრმავებდა ამათ. ხეზე წარწერიანი ფიცარი იყო აქედებული - „ჯეფერსონამდე მილია“, იქვე ვიღაც მოვაჭრის გვარიც ეწერა. ფიცარი მოახლოვდა, მერე უკან დარჩა, მაგრამ ეტლი თითქოს ადგილზე მდგარიყოს, და ამან ფეხები ფრთხილად გადგა გვერდზე, ბორკილდადებული ხელი გამოსაკრავად დაჭიმა, შეემზადა და ისკუპა, ფეხები წინ გაისროლა, ხელი იფარა, მაგრამ უკვე გვიან იყო, და თუმცა ბორბალქვეშ არ მოჰყოლია, თავი ამისი გაეჩხირა სახურავის დამჭერ ორ დგარს შუა, და მოქნეული სხეული თითქოს მუხრუჭმოჭერილ კისერს ჩამოეკიდა მთელი სიმძიმით. აი, ახლა მოესმება, როგორ ალაწუნდება ძვალი, მალეები, და ერთიანად გაიხარა, ფეხები უკან გაწვართა, იქით, სადაც მბრუნავი ბორბალი ეგულეობდა, თან ფიქრობდა: „აი, ფეხი მანებს შუა რომ მომახვედრებინა, მაშინ ან ფეხი ვერ გაუძლებს, ან მანა“, - და ყოველი მოძრაობის კისერთან მტკივნეულად შემგრძნობი მაინც ფეხებს იწვდიდა ბორბლისკენ, ვითომ გარეშე მაცქერალი ყოფილიყოს და თითქოს იმის შეტყობა ნდომოდეს გამმაგებულს, რომელი მეტს გაუძლებს - ცოცხალი ძვალი თუ მკვდარი ლითონიო. მერე ზედ ბეჭებში რაღაც საზარელი დარტყმისგან თვალთ დაუბნელდა, და, აი, უკვე დარტყმა კი აღარ არის ეს, არამედ გაუსაძლისი სიმძიმე, რომელიც ზედ დასწოლია ჯიუტად და უღმობლად. ძვლის ტკაცანი ბუნდოვნად ჩაესმოდა, შერიფის თანაშემწის ხმა - ცხადად:

- მუხრუჭი! მუხრუჭი-მეთქი, დაგწყევლოს ღმერთმა! მუხრუჭი! - მერე იგრძნო, როგორ შეჩერდა ეტლი, ისიც კი დაინახა, როგორ აკავებდა გადარეულ თანაშემწეს სკამის საზურგეზე გადმოწოლილი შერიფი; სუნთქვა უჭირდა, ჰაერს ეტანებოდა, ცდილობდა პირი დაემუწა და ვერ ახერხებდა, ცდილობდა განრიდებოდა ცივი წყლის ჩამოღვრილ ნაკადს, ხოლო სამი სახე მისკენ დახრილიყო და მზიანი ზეცის ფონზე ნიავი ატოკებდა მწვანე რტოს. ნელ-ნელა სული მოითქვა, გზადაგზა სიომ სველი სახე შეუშრო, მხოლოდ ხალათი ოდნავ ნოტიო იყო კიდეც. ნიავი ჯერაც არ გაგრილებულიყო, ეს იყო, რომ ხორშაკი აღარ ახლდა და საღამოს პირის სიბნელიდან ქროდა, ეტლი კი ახლა მხედაფრქვეული რტოების ერთიან გუმბათქვეშ მისრიალებდა,

მოვლილ მინდვრებს მიჰყვებოდა, სადაც დასავლის სხივებქვეშ მოთამაშე, ფერად-ფერადად მოსილ ბავშვთა ჟრიაბული იდგა და გამოწკეპილი ქალები სავარძლებში თავს იწონებდნენ, ხოლო სამუშაოდან დაბრუნებული კაცები ახალშეღებილი ჭიშკრის გავლით მიემშრებოდნენ შინისკენ, სადაც ვახშამი და ყავა ელოდებოდათ.

საპრობილეს შემოუარეს და უკანა ჭიშკრიდან განვლეს გალავანი.

- გადმოდით და წამოიღეთ, - თქვა შერიფმა.

- არაფერია, - თქვა ამან. მაგრამ ორჯერ მოუხდა დამაბულიყო თუნდაც ერთი სიტყვის ამოსაღებად, და მაინც ხმა სხვისა იყო თითქოს. - ჩემითაც წამოვალ.

ექიმი რომ წავიდა, ეს საწოლზე წამოწვა. კედელს მაღალი, ვიწრო, გისოსიანი სარკმელი ჰქონდა დატანებული, მაგრამ მინის იქით ბინდის მეტი არაფერი ჩანდა. მერე საჭმლის სუნი მოსწყდა ამის ყნოსვას, სადღაც ვახშამი მზადდებოდა - შაში, შეფიცებული პური და ყავა, - და უცბად მომლაშო, თბილი სითხით გავესო პირი, ოღონდ გადაყლაპვა რომ სცადა, ისე ეტკინა, - წამოჯდა შემთბარი მარილის მელაპველი, საქმის ცოტათი მაინც გასაადვილებლად კისრის ნელ-ნელა, სიფრთხილით მრხეველი. მერე გისოსიან კარს იქით ხმამაღალი ნაბიჯები გაისმა, უფრო და უფრო მოუახლოვდა; ეს წამოდგა, კარს მიატანა და გაიჭვრიტა საერთო საკანში, სადაც ზანგები იყვნენ შეყრილნი - თეთრკანიანთა მიერ ჩადენილი ათასგვარი წვრილმანი უკანონობის მსხვერპლნი. კიბის ბაქანს ხედავდა; ფეხის ხმაიქიდან მოდიოდა, და ამან დაინახა, როგორ შეიჭრა ცარიელ საკანში გაქუცული ქულებით მოსილი თავების, გაქუცული კომბინეზონებით მოსილი სხეულებისა და ძირგავარდნილი ხამლით მოსილი კიდურების არეული ნაკადი, რომელმაც ჩუმი ფლატუნითა და წამღერებული ხმათა რბილი ბუზუნით აავსო საკანი - ეს იყო ბორკილდადებულთა ჯგუფი, შვიდი თუ რვა კაცისგან შემდგარი. მაწანწალა ცხოვრებისთვის ჩაესვათ ისინი ციხეში, ან დანის ხმარებისთვის, ან კიდევ იმის გამო, რომ ზარს თამაშობდნენ ხოლმე ზოგჯერ, ათ თუ თხუთმეტცენტისან ხელს. ახლა ბარ-ნიჩბებისა და მძიმე უროებისგან თავი დაეღწიათ სულ ცოტა ათი საათით მაინც. ეს გისოსებს ჩაფრენილი შესცქეროდა იმათ.

- ყველაფერი... - დაიწყო სათქმელი.

გარნა მისი ხმა არ ისმოდა. ყელზე ხელი მიიღო და ისევ აძრახდა, მშრალად ხაოდა ხორხი. ზანგები მიჩუმდნენ და შემოაცქერდნენ, თვალთა გარსი უძრავად კიაფობდა შავ-შავ, უკვე სიბნელეში ჩადირულ სახეებზე.

- ყველაფერი კარგად მიდიოდა, - თქვა, - ვიდრე ნაჭერ-ნაჭერ არ დაიწყო დაშლა. იმ ძაღლს მოვუვლიდი როგორმე. - ყელზე ხელი ჰქონდა მიდებული და ჩახრინწულ ხავილს გამოსცემდა. - მაგრამ დაშლა დაიწყო იმ მამაძაღლმა...

- ვინ? - ჰკითხა ერთმა ზანგმა.

აჩურჩულდნენ ისინი. მერე თვალთა გარსნი ისევ ამისკენ მომართეს.

- ყველაფერი სწორად გავაკეთე, - გაიმეორა ამან. - მაგრამ ის მამაძალი...

- გაჩუმდი, თეთრკანიანო კაცო, - უთხრა ზანგმა. - გაჩუმდი, გული ნუ გაგვიწყალე.

- ყველაფერი სწორი იქნებოდა, - ჩაიჩურჩულა ხრინწმორეულად და საბოლოოდ უმტყუნა ხმამ. გისოსს ხელს არ უშვებდა, მეორე ხელი ყელზე ჰქონდა მიდებული, ერთად შეჯგუფებული ზანგები შემოჰყურებდნენ და მიმქრალ სინათლეში უძრავად კიაფობდა მათი თვალები. მერე ყველანი ერთად შებრუნდნენ და კიბეს მიაწყდნენ, ამას ვიღაცის აუჩქარებელი ფეხის ხმა შემოესმა, საჭმლის სუნიც მისწვდა და გისოსს მიეკრა კიბის ბაქნის დასანახად. „ნუთუ ზანგები უფრო ადრე უნდა დააპურონ, ვიდრე თეთრკანიანი?“ - გაიფიქრა ყავისა და შაშხის სურნელის შემგრძნობელმა.

3

იმ ზამთარს რომ შემოდგომა უძლოდა წინ, ხალხს დიდი ხნით დაამახსოვრა თავი, მის მიხედვით წლებს ითვლიდნენ, ამბებს იხსენებდნენ ხოლმე. გვალვას დართული ხორშაკი - მცხუნვარე დღეები, როცა მუხის ფოთლებიც კი შეჭკნა და გაუფერულდა, ღამეები, როცა ვარსკვლავთა მწყობრი დასები თითქოს ცივი და უძრავი გაცვებით დამზერდნენ მტვრით სულშეგუბებულ დედამიწას, - ბოლოს დაცხრა, და დედაბრის ყვავილობის სამ კვირას ხვატით გათანგული მიწა, ძველი ლილითი, მეუფებდა, მბრძანებლობდა და გამგებლობდა ძველი, უკვდავ-უბერებელი კურტიზანის ამ მოჩვენებითი არყოფნის ჟამს. ამ ცისფერ, თვლემამორეულ, გამოცარიელებულ დღეებში, სიჩუმითა და დამწვარ ფოთოლთა სურნელით რომ იყო აღსავსე, თავის სახლსა და ქალაქის მოედანს შუა მიმავალი რეტლიფი ციხის სარკმელში თვალს მოჰკრავდა ხოლმე ორ პატარ-პატარა, წვირიან ხელს, რომლებიც გისოსებს იმაზე ოდნავ ზემოთ ჩასჭიდებოდა, სადამდისაც ბაღს შეეძლო შეწვდენა. უფრო მოგვიანებით, სადამ-სადამოობით იმასაც ხედავდა, როგორ შედიოდა საპყრობილეში ან როგორ გამოდიოდა იქიდან მორიგი პაემნის შემდეგ სამი მნახველი ტუსადისა - მისი ცოლი და ორი ბავშვი. პირველ დღეს თავისთან რომ მიიყვანა ისინი, ქალმა მოიწადინა უეჭველად ხელი მიეყო სახლის საქმეებისთვის, ყველაფერი გაეკეთებინა, რის ნებასაც დართავდა რეტლიფის და, - ოთახები გამოეგავა, ჭურჭელი დაერეცხა, შეშა დაეპო ხოლმე, - ერთი სიტყვით, რასაც მანამდე რეტლიფის დისწულები აკეთებდნენ (და ამით მათი ყმაწვილური ქირდვა დაიმსახურა). ეტყობა მათი დედის უსიტყვო, აღმფოთებული სათნოება ვერ გაეთვალისწინებინა. მოსული ქალი იყო, ოღონდ სქელი არ ყოფილა, ტანადიც კი ეთქმოდა, როგორც მისდამი ამრეზილი, დაოკებული სიბრალულის გრძნობით... არა, უფრო თანაგრძნობით აღვსილი რეტლიფი მიხვდა ბოლოს. თითქმის ყოველთვის ფეხშიშველი დადიოდა, თავდაუზურავი, შენაღები თმის ძირები კარგა ხნის წინ გაშავებოდა უკვე, გულცივი სახე ჰქონდა და რაღაცნაირი მკაცრი, ჯერაც დაუჭკნობი სილამაზე ახლდა, თუმცა ისიც შეიძლებოდა თქმულიყო - დიდი ხნიდან მოყოლებული, შეუვალი გულდაჯერება ან უბრალოდ სიჯიუტე

შველისო თავის დაჭერაში. იმიტომ, რომ პატიმარმა თავდების ქვეშ გამოსვლა კი არ იუარა მხოლოდ (თავდები რომც ეპოვათ), დამცველზედაც უარი თქვა. იდგა ბადრაგის თანხლებით ტანმორჩილი, გალუული, ჩონჩხადქცეული, თითქოს ხისგან გამოჩორკნილი უჯრათო სახის პატრონი, მოსამართლის წინაშე ისე იდგა, თითქოს იქ არც ყოფილიყოს, და ისმენდა, იქნებ არც კი ისმენდა საბრალდებო დასკვნას. მერე კი მხარზე ხელი შეახეს და ციხეში მიბრუნდა თავის საკანში, და გადადეს ეს საქმე, თითქოს პიესა ყოფილიყოს, რომელშიც როლები ჯერაც არ გაენაწილებინოთ ბოლომდე, რაკი განსვენებულ ქმართან ერთად ცეცხლში თავის დამწველი ქვრივის როლის შემსრულებელი ვერ უპოვიათ, სასამართლო ოქტომბრის სესიიდან საგაზაფხულო, მაისისსესიისთვის გადაიტანეს. და რეტლიფი კვირაში სამჯერ მაინც ხედავდა, როგორ მიდიოდა საპყრობილისკენ ქალი მისი დისწულების გამონაცვალით მოსილი ბავშვებითურთ, წარმოიდგენდა, როგორ ისხდნენ ოთხივენი ვიწრო საკანში, რომელიც გაჟღენთილი იყო კრეოზოტისა და მარადი კაცობრიული ექსკრემენტების - ოფლის, შარდის, ნათხევის სიმყრალით, რაც თან ახლდა მარად კაცობრიულ ვნებას - შიშს, უძლურებას, იმედს. „სხედან და ფლემ სნოუპსს ელიან, - ფიქრობდა რეტლიფი. - ფლემ სნოუპსს“.

მერე ზამთარი დადგა, ყინვები დაიწყო. ამასობაში ქალმა სამუშაო იშოვა. ამას ქალზე ნაკლებად როდი ესმოდა - ამგვარად გაგრძელება აღარ ეგებოსო, ასე იყო თუ ისე, სახლი მის დას ეკუთვნოდა, თუნდაც მხოლოდ ხმის უმრავლესობის უფლებით. ასე რომ, კი არ გაჰკვირვებია მხოლოდ, შვებაც იგრძნო, როცა ქალი მოვიდა და უთხრა - მალე ამ ბინიდან გადავალო. ოღონდ მოისმინა თუ არა ეს ამბავი, რაღაც შეეძრა გულში და მიხვდა, რომ ბალები ეცოდებოდა.

- სამუშაო კარგი საქმეა, - უთხრა, - ჩინებულია, ოღონდ გადასვლა არაა საჭირო. მაშინ ხომ ბინის ქირაც გექნებათ გადასახდელი და საჭმლის ფულიც. ჰოდა, თქვენ კიდევ მომჭირნეობა გმართებთ. ფული დაგჭირდებათ.

- დიახ, - ჩახრინწული ხმით თქვა ქალმა. - დაგვჭირდება.

- მაინც რას ფიქრობს... - თვითონვე მოიჭრა სათქმელი. მერე უთხრა: - რას ამბობენ, ფლემი მალე დაბრუნდებაო?

ქალს პასუხი არ გაუცია, ეს არც ელოდა პასუხს.

- რაც კი გაგეწყობათ, უნდა დაზოგოთ ფული, - უთხრა. - დარჩით აქ. ბავშვების შესანახი კვირაში ერთი დოლარი გადაუხადეთ ჩემს დას, თუკი ასე უფრო საგულეს გექნებათ გული. არა მგონია, ერთმა ლაპამა ორმოცდაათი ცენტის საღირაალზე მეტი შეჭამოს კვირაში. ჯერჯერობით აქ იცხოვრეთ.

ქალი დარჩა. რეტლიფმა თავისი ოთახი იმათ დაუთმო, თავად უფროს დისწულთან გადაბარგდა. ქალი გარეუბანში მუშაობდა, ერთობ საეჭვო რეპუტაციის მქონე მიდრინკულსა და ბინძურ პანსიონში, რომელსაც „ოტელი საგოი“ ეწოდებოდა. გამთენიის ხანს მიდიოდა და დაბნელებისას, ზოგჯერ გვიან ღამითაც ამთავრებდა სამუშაოს. ოთახებს გვიდა, ლოგინებს ასწორებდა, საჭმელს ამზადებდა, ხოლო ჭურჭლის რეცხვა და ცეცხლის დანთება ზანგ მეკარეს ევალებოდა. გარდა საჭმელ-სასმლისა, კვირაში სამ დოლარს უხდიდნენ.

- ეს კია, რომ კოჟრებს გაიჩენს, დამდამობით ფეხშიშველამ თუ იტანტალა ოთახიდან ოთახში ზანგების მყვლეფელ იმ გადამყიდველებთან იქნება თუ სასამართლოს ან დაზღვევის აგენტებთან, - უთქვამს მასხრობის მოყვარულ ერთ მოქალაქეს.

ოლონდ ამ ამბისთვის ქალს თვითონვე უნდა მოეწოდოს. რეტლიფმა ამ ამბისა არაფერი უწყობდა, ჭორები ნაკლებად აინტერესებდა და, მისდა სასახელოდ, არც უჯერებდა ჭორებს. ახლა თითქმის ვეღარც ხედავდა ქალს, გარდა კვირადღეებისა, როცა რეტლიფის მიერ ნაყიდ ახალ პალტოებში გამოწყობილი ბავშვები და მისივე ნახმარი პალტოთი მოსილი ქალი (ამ პალტოს საფასურად ქალმა ლამის ძალისძალად ააღებინა ორმოცდაათი ცენტი) ჭიშკარს შემოივლიდნენ თუ გაივლიდნენ. და ერთხელ იფიქრა - ნათესავთაგან არც ერთმა - არც ბებერმა ებმა, არც მასწავლებელმა, არც მჭედელმა, არც ახალმა მედუქნემ - ერთხელაც არ ინახულაო პატიმარი. „ჰოდა, ამ საქმეს რიგაინად რომ ჩაუკვირდე, - გაიფიქრა, - ერთ-ერთი იმათგანი მინკთან ერთად უნდა ჩასვა ციხეში. ან კიდევ მის გვერდით, მეზობელ საკანში. იმიტომ, რომ ერთ კაცს ორჯერ ვერ ჩამოახრჩობ, თუ იმას არ ვიანგარიშებთ, რომ შეიძლება, ერთი სნოუპსი დაისაჯოს მეორის მაგივრად“.

მადლის შეწირვის დღეს თოვლი მოვიდა, და, თუმცა ორ დღესაც არ გაჩერებულა, დეკემბრის დამდეგს უბედური ყინვა დაიჭირა, რომელმაც ისე დააზრო მიწა, რომ ერთ კვირაში დაიბზარა და მტვრით გადაიფარა. მილიდან ამოწვერილი თეთრი კვამლი მალა ვეღარ მიიწევდა და იქვე ერწყმოდა ნისლის საბურველს, რომელიც ცომივით ცივსა და უფერულ მზეს მთელი დღე ეფარებოდა. „ახლა იმის მოსანახულებლად წასვლას ვეღარც იფიქრებენ, - თავის თავს უთხრა რეტლიფმა. - არავის სჭირდება თავის მართლება, ფლემ სნოუპსსაც კი, მარტოოდენ კაცთმოყვარეობის გამო ფრანგისხევიდან ოცი მილის სიშორეზე რომ ვერ ჩამოდის“. ახლა გისოსსა და ხელებს შუა მინა გაჩნდა; საგანგებოდაც რომ გაჩერებულიყავით ციხის წინ, ხელებს ვეღარ დაინახავდით. ოლონდ ახლა რეტლიფი ჩქარი ნაბიჯით ჩაუვლიდა ხოლმე საპყრობილეს თავის პალტოში მობუზული (შალის ხელთათმანები ეცვა და ხან ერთ ყურს იფარავდა სუსხისაგან, ხან მეორეს, ხოლო ამონასუნთქი თეთრ ჭირხლად ედებოდა მის ცხვირის აწითლებულ ჭკინტსა და აცრემლებულ თვალთა უპეებს), გადაჭრიდა უკაცრიელ მოედანს, სადაც საფოსტო ეტლი თუ შემოხვდებოდა იშვიათად, - ფეხთსაბურ წაფარულ მგზავრებს ერთიმეორეს შორის ანთებული ფარნები ჩაედგათ, ხოლო მინებშეჭირხლული დუქნები გეგონებოდათ ამათკენ აჭყეტდნენ თვალებს ბრმა ბერიკაცებივით.

შობაც გავიდა, მაგრამ ზეცას კვლავინდებურად თითქოს მარილი ჰქონოდა მოყრილი, დამზრალი მიწაც ერთი ბეწოთი არ შემლღვალა, ოლონდ იანვარში კი ჩრდილო-დასავლეთის ქარმა დაუბერა და ცა გადაიწმინდა. მოყინულ მიწას მზემ გრძელ-გრძელი ჩრდილები დააფინა, და სამ დღეს ზედიზედ საშუადღეოდ ერთ-ორ დუიმზე ლღვებოდა მიწა, - ისეთი სანახავი იყო ლედმა, თითქოს ზეთის ანდა ბორბალთა სიციხის გუბეები დგასო; ნაშუადღევს, როგორც რეტლიფი იტყობდა ხოლმე თავისთვის, ხალხივითაგვებივით თუ ტარაკანებივით გამოძვრებოდა თავისი სოროებიდან, შეჩქვიფებულნი უნდოდ გაჰყურებდნენ მზესა და შემლღვალ მიწას,

ძველისძველი, თითქმის უხსოვარი ხნიდან ქვასავით რომ გამაგრებულიყო, ხოლო ახლა უეცრად ისე მოედევნა სიტბოს, კვალსაც კი იჩნევდა ზედ. „ამაღამ აღარ გაყინავს, - ეუბნებოდნენ ერთიმეორეს. - სამხრეთ-დასავლეთით იღრუბლება. გაწვიმდება და სუსხსაც გადარეკავს. მერე აღარაფერი გვიჭირს“. გაწვიმდა კიდეც. ქარმა სამხრეთ-დასავლეთიდან დაბერა. „ისევ ჩრდილო-დასავლეთიდან თუ წამოუქროლა, მაშინ უყურე ყინვას. თუმცა თოვლს ყინვა სჯობს მაინც“, - ეუბნებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ხორხომელა თოვლმა წამოუშინა, შეღამებულზე უმატა, ორ დღეს ხვავრიელად ბარდნიდა, მიწაზე დაცემისთანავე დნებოდა, ტალახად იქცეოდა; ტალახი მალე შეყინა, მაინც თოვდა გადაუღებლად, ოღონდ ბოლოს მაინც გადაიკარა, მერე უქარო სუსხი დაიჭირა და ყინულის ჯავშნით გათანგულ მიწას ცივი ცომის გუნდადაც აღარ უჩნდებოდა მზე. გავიდა იანვარი, თებერვალიც მიჰყვა, ირგვლივ თითქოს ჩაკვდა ყოველივე, მხოლოდ ბოლი იბარდდნებოდა გაუთავებლად და ტროტუარებს გარიდებული იშვიათი გამვლელნი ტაატით მისდევდნენ ქვაფენილებს, სადაც ვერც ერთი ცხენი ფეხს ვეღარ მოიკიდებდა, და ჩამიჩუმიც აღარსაიდან ისმოდა, მხოლოდ ნაჯახის დარტყმის ხმა და მატარებლის სევდიანი კივილი ცისმარე დღე. რეტლიფს თითქოს თვალწინ ედგა ის მატარებლები - ბნელი, გამოცარიელებული, უბოლოო, ნაშალ ორთქლგადაფენილი - ღმერთმა იცის, საით მიქროდნენ ამ გადათეთრებულსა და პირქუშ უდაბნოში. კვირადღეობით ბუხართან მიმჯდარს ესმოდა, როგორ შემოირბენდა ხოლმე ქალი ნასადილევს ბავშვებთან, ახალ პალტოებს წამოაცმევდა მოქუცულ სამოსზე, რომლითაც ყინვის მიუხედავად რეტლიფის ამრეზილ დისწულებთან ერთად დადიოდნენ ისინი საკვირაო სკოლაში (ამას მისი და ადევნებდა თვალყურს); მერე წარმოიდგენდა, როგორ ისხდნენ ოთხივენი პალტოებით მომცრო, უმაქნისი ღუმლის ირგვლივ; საკანს რას გაათბობს ის ღუმელი, მხოლოდ კედლებს ცრემლებივით წამოანთხევინებს შეფარულ ოფლს დიდი ხნის ტანჯვის და ვაებისა. მერე ბრუნდებოდნენ ისინი. ქალი ვახშმად არასოდეს რჩებოდა შინ, და თვეში ერთხელ რეტლიფისთვის მოჰქონდა თვიური ხელფასის თორმეტი დოლარიდან დაზოგილი რვა-რვა დოლარი, აგრეთვე მონეტები და ქალადის ფული (ერთხელ ცხრა დოლარი მოგროვდა იმ ხურდებით). რეტლიფს არასოდეს უკითხავს - სად შოულობო ამ ფულს; ის იყო ქალის ბანკირი. ძნელი სათქმელია - მისმა დამ იცოდა თუ არა ეს ამბავი. იცოდა ალბათ. თანხა გროვდებოდა და იზრდებოდა.

- ოღონდ ერთ ან ორ კვირას არ მოგიხდებათ კიდეც ლოდინი, - უთხრა ერთხელ. ქალი დუმდა. - იქნებ წერილზე მაინც გიპასუხოთ. რაც უნდა იყოს, თავისიანია მაინც.

ყინვები უსასრულოდ ვერ გასტანდა. ცხრა მარტს ხელახლა წამოთოვა და არც კი შეყინულა, ისე გადნა. ხალხმა კვლავ შეძლო ქალაქში სიარული. და ერთ შაბათს რეტლიფი თავის საპაიო რესტორანში რომ შევიდა, იქ ბუკრაიტი დახვდა, - კვერცხში ალუფხული რამეებით სავსე თეფში ედგა წინ ჩვეულებისამებრ. თითქმის ნახევარი წელი იყო, აღარ შეხვედროდნენ. ოღონდ არც კი მისალმებიან ერთმანეთს.

- ის ქალი სახლშია უკვე, - უთხრა ბუკრაიტმა. - იმ კვირას ჩამოვიდა.

- ძალიან მალ-მალე კი სცოდნია გადაბარგება, - თქვა რეტლიფმა. - ამ ხუთი წუთის წინ დავინახე, „ოტელ სავოის“ უკანა შესასვლელიდან ვედროთი ნაცარი გამოჰქონდა.

- მაგაზე არ ვამბობ, - მიუგო პირგამოტენილმა ბუკრაიტმა. - ფლემის ცოლისას მოგახსენებთ. იმ კვირას ბილი მოტსტაუნს წავიდა და ორივენი წამოიყვანა.

- ორივენი?

- არა, ფლემი კი არა, - ქალი და ბავშვი.

„ეტყობა, გაუგია ეს ამბავი, - გაიფიქრა რეტლიფმა. - მისწერდა ვინმე“. ხმამაღლა თქვა:

- ბავშვიო... ხო-ხო-ხო. თებერვალი, იანვარი, დეკემბერი, ნოემბერი, ოქტომბერი, სექტემბერი, აგვისტო. აქეთაც მარტის დამდეგი. მოკლედ, ჯერ ვერ იქნება იმხელა, თუთუნის ღეჭვა შეძლოს.

- თუთუნის ღეჭვას მის დღეში ვერ შეძლებს, - უპასუხა ბუკრაიტმა. - გოგოა.

თავდაპირველად არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ოღონდ დიდხანს არ უყოყმანია. „ახლავე ჯობს თქმა“, - უთხრა თავის თავს. სულერთია, იმ ქალს ანგარიშშიუცემლად იმედიც რომ ჰქონოდაო. მეორე დღეს დაელოდა, ვიდრე ბავშვებს მოაკითხავდა ქალი.

- ცოლი ჩამოსულა მისი, - უთხრა. ქალი თითქოს გაქვავდა წამით. - ოღონდ, თქვენ მეტს ხომ არაფერს მოელოდით, ასე არაა?

- დიახ, - მიუგო ქალმა.

ბოლოს ის ზამთარიც კი გავიდა. დაწყების არ იყოს, წვიმით მოთავდა, ცივი თქემით კი არა, თბილ ნაკადთა ბობოქარი ჩანჩქერებით, რომლებმაც მორეცხა გათოშილი მიწა, ხოლო მათ ხასხასა კვალს უკვე შესდგომოდა ნაგვიანევი გაზაფხული; და ერთი გაწამაწია შეიქნა, კვირტები, ყვავილები, ფოთლები - ყველაფერი ერთბაშად გამოსკდა. აფერადებული მდელო, სიმწვანედაჩნეული ტყე, ზამთრის ძილისგან გამოფხიზლებული, ორნატის გამვლები გუთნის მომლოდინე ვრცელი ველები, - ყოველივე გამოცოცხლდა. სკოლა უკვე დაეთხოვრათ საზაფხულოდ, როცა დუქნისკენ მიმავალმა რეტლიფმა გვერდით ჩაუარა, მერე ცხენები ნაცნობ ბომს მიაბა, დაგალერეაზე ავიდა. იქ ჩაცუცქულიყო და ძელსკამებზე ჩამომსხდარიყო იგივე შვიდი თუ რვა კაცი, თითქოს ასე ფეხმოუცვლელად მსხდარიყვნენ იმ დროიდან, რაც ამან უკანასკნელად გახედა თითქმის ამ ნახევარი წლის წინ.

- აბა, მეგობრებო, - უთხრა რეტლიფმა. - სკოლა უკვე დახურულა. ახლა ყმაწვილები ყანაში შეგეშველებიან, სულს მოითქვამთ ცოტათი.

- დახურვით ოქტომბრიდანაა დახურული, - თქვა ქვიკმა. - მასწავლებელი აითესა.

- ა.ო.? გაიპარა?
- ცოლი გამოეცხადა აქ. ჰოდა, იმან დაინახა თუ არა, მოუსვა.
- ვინო? ვინო? - ჩაეკითხა რეტლიფი.
- ცოლი იმისი, - უთხრა ტალმა. - თვითონ კი ასე თქვა და. სქელ-სქელი დედაკაცია, ჭადარა...
- რა სისულელეა, - თქვა რეტლიფმა. - ცოლი არც ჰყოლია იმას. სამ წელიწადს აქ არ იცხოვრა? დედამისი იყო ალბათ.
- არა, კაცო, - გაეპასუხა ტალი. - ჯეელი ქალია, თმა აქვს მარტო გათეთრებული. ეტლით ჩამოვიდა, ასე, ექვსი თვის ბავშვიანად.
- ბავშვითო? - გაშტერდა რეტლიფი. თვალმოფახულე ხან ერთს შეაცქერდებოდა, ხან მეორეს. - ყური მიგდეთ, რას ნიშნავს ეს ამბები? საიდან გამოტყვრა ის იმის ცოლი, ისიც ექვსი თვის ბავშვიანად? აქ არ ცხოვრობდა ყველას თვალწინ სამ წელიწადს? ეს რა უბედურებაა. როდის ემშაკებში მოასწრო, დიდი ხნით ერთხელაც რომ არ მომორებია აქაურობას?
- უოლსტრიტი ამბობს - იმის ცოლი და შვილიაო, - თქვა ტალმა.
- უოლსტრიტი? ეგ ვინდაა?
- ეკის ვაჟი.
- ის ბიჭი, ათი წლის რომ იქნება? - თვალმოფახულე რეტლიფი ახლა ტალს მიაშტერდა. - კი, მაგრამ, მაგის შესახებ სულ ამ ორი თუ სამი წლის წინ არ ახმაურდნენ, იქ რომ პანიკა ატყდა? ათი წლის ღლაპს ვინ დაარქვა ასეთი სახელი - უოლსტრიტი?
- არ ვიცი, - მიუგო ტალმა.
- ოღონდ ბავშვი, ეტყობა, ნამდვილად იმისია, - თქვა ქვიკმა. - ის ეტლი რომ დაინახა, გაქრა მაშინვე.
- კი გაქრებოდა, - თქვა რეტლიფმა. - შვილი ისეთი საჩუქარია, ყოველი კაცი რომ გაექცევა, თუ კიდევ დარჩენია სადმე გასაქცევი.
- ეტყობა, იცოდა, სადაც უნდა გაქცეულიყო, - ხრინწიანი ხმით, უკმეხად თქვა ბუკრაიტმა. - ის ბავშვი არსად გაუშვებდა, თუკი, რაღა თქმა უნდა, მანამდე ვინმე წამოაქცევდა ა. ო-ს, იმ ბავშვს კიდევ ხელს კარგად მოაჭიდებინებდა. ისედაც მამამისზე დიდი იყო.
- იქნება მოეჭიდოს კიდევ, - თქვა ქვიკმა.
- კი, - თქვა ტალმა. - ის ქალი აქ სწორედ იმდენ ხანს გაჩერდა, რამდენიც სარდინებისა და გალეტის ყიდვას სჭირდებოდა. მერე ვიღაცამ ასწავლა - ა.

ო. იქით წავიდაო, და იმ გზას გაჰყვა. ა. ო. კიდევ ქვეითად გაუყვა გზას. ისე, დედა-შვილი სარდინებს ჭამდა ორივე.

- ასე-ე, - თქვა რეტლიფმა. - ესეც თქვენი სნოუპსები. ასე და ამრიგად. - დადუმდა. უსიტყვოდ გაჰყურებდნენ გზად მომავალ უორნერის ეტლს. ზანგს მოჰყავდა. ხოლო უკან, დედამისის გვერდით, მისის ფლემ სნოუპსი იჯდა. არც კი მოუბრუნებია თავისი ლამაზი პირსახე, როცა ეტლი დუქანს გაუსწორდა. პროფილით გაცურდა ამათ წინაშე მისი უმფოთველი, განურჩეველი, გულგრილი სახე. ტრაგიკული იერი არ ჰქონია, წყველის დაღი აჩნდა მხოლოდ. ეტლმა ჩაიარა.

- მართალია, ის ციხეში უცდის - ფლემ სნოუპსი ჩამოვა და მიშველისო? - იკითხა რომელიღაცამ.

- კი, ციხეშია ისევ, - გაეპასუხა რეტლიფი.

- მერე ფლემს ელოდება? - იკითხა ქვიკმა.

- არა, - მიუგო რეტლიფმა. - იმიტომ, რომ იმის გასამართლებამდე ფლემი არ ჩამოვა. - ამ დროს მისის ლიტლჯონი ვერანდაზე გამოვიდა და სადილის ზარი ააწკარუნა. ყველანი აიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ. რეტლიფი და ბუკრაიტი ერთად დაეშვნენ კართანადან.

- მიქარვაა, - თქვა ბუკრაიტმა. - ფლემ სნოუპსი რომ ფლემ სნოუპსია, ისიც არ ჩამოახრჩობინებს საკუთარ ბიძაშვილს იმის ხათრით, ფული შემენახებაო.

- მე ასე მგონია, ფლემმა კი იცის, აქამდე რომ არ მივა საქმე. ჯეკ ჰიუსტონი პირისპირ ნასროლითაა მოკლული, ჰოდა, იმას ყველა დაამოწმებს - რევოლვერს არასოდეს იშორებდაო ის კაცი, არადა, რევოლვერიც გზაზე იპოვეს, სწორედ იმ ადგილას, სადაც ცხენი დამფრთხალა და გაქცეულა, ასე რომ, არავინ იცის, თავისი ხელიდან გააგდო ის რევოლვერი თუ ჯიბიდან ამოუცურდა ჩამოვარდნისას. მე ვფიქრობ, ფლემისთვის ჩაკაკლული უნდა ჰქონდეთ ეს ამბები. ასე რომ, სანამ ყველაფერი არ მოთავდება, არც ჩამოვა. რატომ უნდა ჩამოვიდეს, ხომ მაშინვე ჩააფრინდა მინკის ცოლი, ხალხი კიდევ იმას იტყვის - ციხეში უნდა, ბიძაშვილი გამოალპოსო. ისეთი ამბებიც ხდება, რასაც, სნოუპსი რომ სნოუპსია, ისიც არ იზამს. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი - რა არის, მაგრამ ზოგჯერ კი ხდება ხოლმე ნამდვილად.

ბუკრაიტი თავის გზას გაუყვა, ხოლო რეტლიფმა ცხენები მისის ლიტლჯონის ეზოში შერევა, გამოხსნა და მოსართავი თავლაში შეიტანა. სექტემბრის იმ დღის შემდეგ იდიოტი აღარ ენახა და ახლა რაღაც უბიძგებდა თითქოს; მოსართავი ლურსმანზე ჩამოკიდა. ბნელსა და მყრალ გასასვლელს მიჰყვა ცარიელ ბაგებს შუა, ბოლო ბაგამდე მივიდა, დაიხედა და იატაკზე დაინახა სქელ-სქელი დიაცური ბაყვები, მრუმეში გაუნძრევლად დაგდებულიუფორმო სხეული, გამოთაყვანებული სახე, რომელიც შემობრუნდა და შემოხედა, და უაზრო თვალბში რაღაც გაკრთა, თითქოს ბუნდოვნად გაახსენდა მოსული, ოღონდ ვერ იცნოო; დალორწილი პირი გაიღო და ხრინწიანი, საცოდავი, ძლივს გასაგონი ბგერა აღმოხდა. კომბინეზონშემოჭერილ მუხლებზე რეტლიფმა გადაცრეცილ ხის ძროხას მოჰკრა თვალი.

სამჭედლოს რომ უახლოვდებოდა, უროს ცემის ხმა შემოესმა. მერე ურო ჰაერში გაშეშდა; გაშლილი, ჯანსაღი, ჩლუნგი სახე, თითქმის ვერმცნობელი რეტლიფისა, გაუოცებლად შემოსცქეროდა.

- როგორ გიკითხო, ეკ, - უთხრა რეტლიფმა. - არ შეგიძლია, ნასადილევს ძველი ნალები დამიდრო ცხენებს და ხელახლა დამიჭედო? სალამოს ერთ ადგილას ვარ გასამგზავრებელი.

- კარგი, - მიუგო მჭედელმა. - მოიყვანეთ და დავჭედავ.

- კარგი, - უთხრა რეტლიფმა. - შენ ეს მითხარი, ის შენი ბიჭი... სახელი ამ ცოტა ხნის წინ გადაარქვი, ხომ? - მჭედელი უროს დაუშვებლად უმზერდა. წითლად გავარვარებული ნალი ნელ-ნელა ცივდებოდა გრდემლზე. - უოლსტრიტის ამბავს გეკითხები.

- ჰო-ო, - თქვა მჭედელმა. - არა, გადარქმევით არაფერი გადაგვირქმევია. შარშანდლამდე არც რქმევია არაფერი. პირველი ცოლი რომ მომიკვდა, ბებიაშის დაფუტოვე, სანამ მე მოვეწყობოდი; მაშინ თექვსმეტს არ ვიყავი გადაცილებული. იმან ბაბუაშის სახელი დაარქვა, მაგრამ ნამდვილი სახელი მაინც არ ჰქონია. ჰოდა, შარშან რომ მოვეწყვე, აქ მოვაყვანიე და ისიც ვიფიქრე - იქნება აჯობოს, სახელი დავარქვა-მეთქი. ა. ო-მ უოლსტრიტზე მომხდარი პანიკის ამბავი ამოიკითხა გაზეთში. ჰოდა - „უოლ-სტრიტ-პანიკა“ რომ დავარქვათო, თქვა, იქნება, ისე გამდიდრდეს, როგორც იმ პანიკის მომწყობი ხალხიო.

- ჰო-ო, - თქვა რეტლიფმა. - თექვსმეტს არ იყავი გადაცილებული, ხომ? აბა, ერთი შვილი არ გეყო ცხოვრების მოსაწყობად? მაინც რამდენი დაგჭირდა?

- სამი მყავს.

- ესე იგი, უოლსტრიტს გარდა, ორი კიდევ. მერე...

- უოლის გარდა - სამი კიდევ, - თქვა მჭედელმა.

- ჰო-ო, - თქვა რეტლიფმა.

მჭედელმა ცოტა კიდევ დააყოვნა. მერე ხელახლა შემართა ურო. ოღონდ აღარ დაურტყამს, გაცივებულ რკინას დააცქერდა გრდემლზე, მერე ურო დადო და ქურისკენ გაემართა.

- გამოდის, რომ იმ ოცი დოლარის გადახდამ სულ შენ მოგიწია, - უთხრა რეტლიფმა. მჭედელი შემობრუნდა. - აი, შარშან, იმ ძროხის საფასურად.

- კი. ჰოდა, ოცი ცენტისაც, სათამაშოს ფასად.

- აბა, სათამაშო შენ უყიდე?

- კი. შემეცოდა უბედური. ჰოდა, გადავწყვიტე - თუ ღმერთმა ქნა და ოდესმე ჰკუაზე მოვიდა, დასაფიქრებელი მაინც ექნეს-მეთქი რაღაცა.

წიგნი მეოთხე

თავი პირველი - მიწისმოქმედნი

1

სადამო ხანი იყო, როცა დუქნის გალერეაში მსხდომთ დაინახეს, რომ სამხრეთის გზას ჯორებშებმული ფურგონი მოჰყვებოდა, ხოლო ფურგონს უკან გრძლად გამწვრივებულებიყვნენ რაღაც უცნაური, ეტყობა, ცოცხალი არსებანი, - ჩამავალი მზის ირიბ სხივებქვეშ ის არსებანი ჰგავდნენ ჭრელ-ჭრელ, ფანტასტიკურ ნაკუწებს, რომლებიც განუსჯელად ჩამოეგლიჯათ რაღაც უზარმაზარი პლაკატებისთვის, - შესაძლოა ცირკის აფიშებისთვისაც, - ფურგონს გამობმულნი ისინი ცალ-ცალკეც მოძრაობდნენ, იძვროდნენ დამოუკიდებლად და ერთ ჯგუფადაც, გეგონებოდათ, ქალაქის ფრანის კუდიანო.

- ეს რაღა უბედურებაა? - იკითხა ვიღაცამ.

- ცირკი მოდის, - უთხრა ქვიკმა.

ყველანი წამოიშალნენ ფურგონის სამზერად. ახლა უკვე გაირჩეოდა, რომ ფურგონზე ცხენები იყო გამობმული. კოფოზე ორნი ისხდნენ.

- ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, - თქვა პირველმა, ვისი გვარიც იყო ფრიმენი. - აკი ფლემ სნოუჰსი მოდის.

ყველანი ფეხზე იდგნენ, ფურგონი რომ გაჩერდა. სნოუჰსი გადმოვიდა და კართანას მიუახლოვდა, ვითომც ამ დილას წასულიყოს ფრანგისხვეიდან. იგივე მაუდის კეპი ეხურა, პაწაწკინტელა ჰალსტუხი ეკეთა, თეთრი ხალათი ემოსა და რუხი შარვალი. კართანაზე ავიდა.

- ფლემს გაუმარჯოს, - თქვა ქვიკმა. იმან შეუჩერებლად მოავლო თვალი იქ მსხდომთ, შემჩნევით არავინ შეუმჩნევია. - ეს რაა, ცირკი გაიჩინეთ?

- სალამი ჯენტლმენებს! - თქვა მან.

ყველანი მიდგნენ-მოდგნენ და ფლემი დუქანში შევიდა. მაშინ ყველანი ძირს დაეშვნენ და მიეახლნენ ფურგონს, რომლის უკანაც შეჯგუფულიყვნენ დადარაჯებული, კურდღელივით პატარ-პატარა და თუთიყუშივით ფერად-ფერადი ცხენები, ერთმანეთსაც და ფურგონსაც ეკლიანი მავთულის ნაჭრებით რომ იყვნენ გადაკოჭილნი. ვიწრო გავაზე ჩითის ჩულოგადაფარებულნი,

ტოტნატიფნი, ვარდისფერ ჩიჩვირიანნი მოუთმენლად, ავად აბრიალებდნენ ნაირფერ თვალებს, ერთიმეორეს ეხურხლებოდნენ დადარაჯებულად გაშეშებულნი, ირემივით ველურნი, ჩხრიალა გველივით საშიშარნი, მტრედვით თვინიერნი. მათი მჭვრეტი ხალხი საპატიო მანძილზე გამორიდებული იდგა. ჯოდი უორნერი მოვიდა და მხრით მისწი-მოსწია ისინი.

- ეჰეი, ფრთხილად, უფროსო, - საიდანღაც უკანიდან გაისმა ხმა.

ოღონდ უკვე გვიან იყო. კიდურა ცხენი ელვის სისწრაფით შედგა ყალყზე და უორნერის სახეში მოხვედრის მოსურნემ მოკრივის უმარჯვესად ორჯერ მოაყარა წინა ტოტები; მავთული ძლიერად გამოიქაჩა და თითქოს ტალღამ გადაუარაო რემას, - ცხენები ტოტებს სცემდნენ და ყალყზე დგებოდნენ.

- ფშო, ფშო, თქვე გასაწყვეტლებო, ფშო, - თქვა იმავე ხმამ, რომელიც ფლემის თანამგზავრს ეკუთვნოდა.

აქაური კაცი არ უნდა ყოფილიყო. ღია ფერის ფართოფარფლიანი ქუდის ქვეშ ხშირი, კუპრით შავი უღვაში უჩანდა. ფურგონიდან ჩამოხტა და ხალხსა და ცხენებს შუა ჩადგა. ვიწროდ შემოჭერილი ბამბაზის შარვლის უკანა ჯიბეში დაუნახეს კაიხელა რევოლვერის სადაფის ტარი და ნამცხვრის ფერადი კოლოფი.

- შორს დადექით ამათგან, ბიჭებო, - თქვა იმ კაცმა. - ცოტა არ იყოს, ზნე დასჩემდათ, დიდი ხანია, აღარავინ მჯდარა ამ ცხენებზე.

- მაინც რამდენი ხანია? - შეეკითხა ქვიკი.

უცნობმა ქვიკს გამოხედა. ფართო, ქარცემული, ცივი პირსახე ჰქონდა, თვალებიც ცივი და უფერული. ბრტყელი მუცელი როკივით ჩასჭედოდა ვიწრო შარვალში.

- მე ასე მგონია, ეგენი თვითონ გადმოვიდნენ ბორნით მისისიპიზე, - თქვა უორნერმა, უცნობმა ახლა ამას შემოხედა. - ჩემი გვარია უორნერი, - თქვა ჯოდიმ.

- ჩემი კიდევ - ჰიპსი, - თქვა უცნობმა. - უბრალოდ ბეკი დამიძახეთ. - მთელ მარცხენა ღაწვზე, ყურიდან ნიკაპამდე, ახალი ნაიარევი ჰქონდა გადაჭიმული, ზედ რაღაც შავი საცხი წაესვა. ყველამ ჭრილობას შეხედა. მერე დაინახეს, რომ უცნობმა შარვლის უკანა ჯიბიდან კოლოფი ამოიღო, ხელისგულზე ჯანჯაფილის ნამცხვარი გადმოიბერტყა და პირისკენ გააქანა უღვაშქვეშ.

- ეტყობა, ვერ მორიგებულხართ თქვენ და ფლემი, - უთხრა ქვიკმა.

უცნობმა ღეჰვა შეწყვიტა. პირისპირ როცა უმზერდა ვისმე, მისი თვალები გუთნით მიწიდან ამობრუნებული კაყის ორ ნატებს ემსგავსებოდა.

- ვითომ რატომ?

- აგერ, ყურზე რა მოგსვლიათ, - უთხრა ქვიკმა.

- ჰო-ო, ამისას ამბობთ? - უცნობმა ყურზე მოისვა ხელი. - არა, ამ საქმეში მე თვითონ ვარ დამნაშავე. გული გადამივარდა ერთ საღამოს, ბაკში რომ მივრეკავდი, ფიქრმა წამილო და ამასობაში ის დამავიწყდა, გრძელი რომაა მავთული. - ისევ დეჭვას მოჰყვა. ყველანი იმის ყურს მისჩერებოდნენ. - ეს ყველას შეიძლება დაემართოს, ვინც არ გაფრთხილდება ცხენის მოვლისას. ოღონდ საცხებს რომ წაუსვამ, მეორე დღესვე გაქრება. ახლა ფიცხოვენ ცხენები, უსაქმობამ გადარია. მაგრამ ერთ-ორ დღეში ვეღარც იცნობთ. - ერთი ნამცხვარი კიდევ ჩაიდო პირში და გადეჭა. - არ გჯერათ, აბრეშუმით რომ შეიქნებიან? - პასუხი არავის გაუცია. მოქუშულნი უნდობლად შესცქეროდნენ რემას. ჯოდი შეტრიალდა და დუქანში შებრუნდა, - უწყინარი, გამგონი ცხენებია, - თქვა უცნობმა. - ნახავთ აგერ. - ნამცხვრიანი კოლოფი ჯიბეში ჩაიდო და ხელგაწვდილი გაემართა ცხენებისკენ. კიდურა ცხენი ფეხაწეულიდგა. გეგონებოდათ, სძინავსო. ცასავით ლურჯ თვალს ქუთუთო ჩამოფარებოდა. თავი საუთოთ ფიცარივით ბრტყელი ჰქონდა. თვალის გაუხელებლად, შემართა თავი და ყვითელი კბილები დაკრიჭა. გეგონებოდათ, ცხენი და კაცი ერთი შმაგი ძალისხმევით შეირწყნენო წამით. მერე ორივენი გაინაზნენ, უცნობის მაღალი ქუსლები ღრმად ჩაჯდა მიწაში, ცხენის ნესტოებს ჩაფრენილი ერთი ხელი უხერხულად ჰქონდა ამობრუნებული, ხოლო ცხენი ხრინწიანად, ხმამაღლა, დაძაბულად ითქვამდა სულს. - ნახეთ? - თქვა აქლომინებულმა უცნობმა, ყელსა და საფეთქელზე ძარღვები დაბერვოდა და გათეთრებოდა. - ხომ ნახეთ? ოღონდ საჭიროა სული არ მოათქმევინოთ, ხუმტური მოაშლევინოთ. აბა, აბა, დადექი!

ხალხი უკან მიაწყდა. იმანაც იმარჯვა და გადმოხტა. იმავე წამს მეორე ცხენმა ჩლიქი ჩასცხო ზურგში, ჟილეტი მთელ სიგრძეზე ჩაუფხრიწა, ზუსტად ისე, როგორც მეფოკუსემ იცის ხოლმე მაღლა შესროლილი მანდილის ერთი დარტყმით გაკვეთა.

- კარგი დაგემართოს, - თქვა ქვიკმა. - ოღონდ თუ ჟილეტი არ აცვია კაცს, მაშინ რაღა?

ამასობაში ჯოდი უორნერმა ისევ გამოარღვია ხალხი, უკან მჭედელი მოჰყვებოდა.

- აი, რას გეტყვით, ბევ, - უთხრა ჯოდიმ. - ალბათ აჯობებს, ბაკში შევრეკოთ ეგ ცხენები. აგერ, ეკი მოგეხმარებათ.

ბეჭებზე ნაფხრეწებჩამოკიდებული უცნობი მჭედელთან ერთად კოფოს მოახტა.

- აბა, მიდით, დავარდნილებო! - შეუყვირა. ფურგონი დაიდრა, ფურგონს ჩაბმული ცხენები აფერადებულ მწკრივად მიჰყვნენ უკან, იმათ კი საპატიო მანძილით დაშორებული ხალხი გაედევნა დაწალიკებით; ჯერ გზა-გზა მიდიოდნენ, მერე შუკაში შეუხვიეს, მისის ლიტლჯონის სახლს გაუარეს და ბაკის ჭიშკარს მიადგნენ. ეკი ჩამოვიდა და ჭიშკარი გააღო. ფურგონი ეზოში შევიდა, მაგრამ ცხენებმა თვალი მოჰკრეს თუ არა მესერს, უკან-უკან გაიქაჩნენ. მავთული დაჭიმეს და ყველანი ერთბაშად ყალყზე შედგნენ გაბრუნების მოსურნენი, ისე რომ, ფურგონი უკან გაჩოჩდა რამდენიმე

ფუტზე, ვიდრე თავგადაკვლით მგინებელმა ტეხასელმა ჯორებს არ მოახვევინა და ამით ფურგონი არ დაამუხრუჭა. უკან მომავალი ხალხი იქით მიმწყდარიყო. - მომისმინე, ეკ, - უთხრა ტეხასელმა. - აქ მო, სადავე დაუჭირე.

მჭედელი ისევ კოფოზე აძვრა და სადავე აკრიფა. მერე ხალხმა დაინახა, როგორ გადმოხტა ხელშოლტიანი ტეხასელი, თავი დაუარა და ჭიშკარში შერევა ცხენები - შოლტი მოზომილად დასტლაშუნებდა ფერად-ფერად ზურგებს და გასროლასავით გამაყრუებლად ტკაცუნობდა. მაყურებელნი თითქმის სირბილით მიჰყვნენ მისის ლიტლჯონის ეზოს და აეფინნენ ვერანდას, რომლის ერთი მხარეც ბაკს გადაჰყურებდა.

- ნეტავი როგორ მოახერხა იმათი გადაკოჭვა? - იკითხა ფრიმენმა.

- შენ ის თქვი, გამოხსნას როგორ მოახერხებს, თორემ, - უთხრა ქვიკმა. ტეხასელი ისევ ფურგონზე აძვრა. და უმაღვე ისა და ეკი უკანა კართან გაჩნდნენ. ტეხასელი მავთულს მოეჭიდა და პირველი ცხენის მოზიდვას შეუდგა, მაგრამ ცხენი იყუნცებოდა და ფეხს აბჯენდა, თითქოს ამ მავთულზე თავის დახრჩობა სწადიაო. მისი შემყურე სხვა ცხენებიც დაფეთდნენ, ბოლოს ყოველი მათგანი უკან-უკან გაიქაჩა და მავთული ერთიანად დაიჭიმა.

- აბა, მომეშველე, - თქვა ტეხასელმა. ეკიც ჩაეჭიდა მავთულს. ცხენებს ფეხი მიეზვინათ, ვარდისფერ ჩიჩვირებს მოსხმარტალე გავათა ზემოთ იშვერდნენ. - უფრო მაგრად მოქაჩე, - ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღმოთქვა ტეხასელმა. - რომც მოინდომონ, აქ ვერ ამოდვებიან. - ფურგონი ცოტცოტაობით მიჩოჩავდა, ვიდრე წინა ცხენმა შუბლი უკანა კარს არ მიაბჯინა. ტეხასელმა სწრაფად შემოახვია მავთული ერთ-ერთ ჭალს. - დაიჭირე, არ შემოეხსნას, - უთხრა ეკს. მერე გაქრა და მყისვე დაბრუნდა ვეება მარწუხით ხელში. - მასე გეჭიროს მავთული, - თქვა და ჩამოხტა. მისი ფართოფარფლიანი შლაპა, ჟილეტის მოფრიალე ნაფხრეწები, მარწუხი - ეს ყოველივე დაღრჭენილ კბილთა, მოკიაფე თვალთა, ჰაერში გასროლილ ჩლიქთა კალიედოსკოპურ ქაოსში დაინთქა. გაუჩინარდა, და უმაღვე იქიდან, თითქოს კაკბები ყოფილიყვნენ, ერთიმეორეზე გამოფრთხილდნენ ცხენები, და ყოველ მათგანს ეკლიანი მავთულის ყელსაბამი ეკეთა. პირველი ცხენი დაოთხილი გავარდა პირდაპირ და გაქანებული მიაწყდა მესერს. მავთული ზამბარასავით გაიდრიკა, და უკუწყვეტილი ცხენი ერთხანს მიწაზე ეგდო გულადმა, თვალებს კვესავდა და ფეხებს ისე ასხმარტალეებდა ჰაერში, თითქოს ჯერაც თავაწყვეტილი მიჭენაობსო. მერე წამოვარდა, ისევ გადაიჯირითა ბაკი, ისევ მესერს მიაწყდა და ისევ ზღართანი მოადინა. ამასობაში სხვა ცხენებიც აუშვეს. ისე მიმოქროდნენ ბაკში, თითქოს აკვარიუმში დაფეთებული თევზები ყოფილიყვნენ. აქამდე დიდი ჩანდა ბაკი, მაგრამ ახლა იმის ფიქრიც კი, რომ მთელი ეს გაშმაგებული ორომტრიალი რაღაც მესრის ფარგლებში თავსდებაო, სასწაულ ფოკუსს ჰგავდა, თითქოს სარკით მოწყობილი ოინი ყოფილიყოს. ბოლოს მტვრის უკანასკნელი ბოლქვებიდან ტეხასელიცგამოტივტივდა, ხელში მარწუხი ეჭირა, ჟილეტი ვითომც არ სცმოდეს იმ დღეს. კი არ გამორბოდა, მსუბუქად, ფრთხილად მოაბიჯებდა, ჩითის ჩულოებს შორის ლავირებით მოდიოდა, ცრუ ნახტომებს აკეთებდა და სხლტებოდა, თითქოს მოკრივე ყოფილიყოს რინგზე, ვიდრე ჭიშკარს არ მიაღწია, იქიდან კი ეზოგადაჭრა და ვერანდაზე ავიდა. ხალათის ერთი სახელო ძაფს ეკონწიალებოდა. მოიგლიჯა,

სახე მოიწმინდა იმით, მერე მოისროლა, კოლოფი ამოიღო და ნამცხვარი გადმოაპირქვავა ხელისგულზე. ჩვეულებრივზე ოდნავ აჩქარებულად სუნთქავდა. - ძალიან კი ფიცხოზენ, - თქვა. - არაფერია, - ერთ-ორ დღეში მოთვინიერდებიან.

ცხენები ჯერაც მიმოქროდნენ ბაკში დაფეთებული თევზებივით, ოღონდ ნელ-ნელა მშვიდდებოდნენ მაინც. ბინდი წვებოდა.

- რას მისცემდით იმ ადამიანს, ვინც ცოტას წაგეშველებოდათ? - ქვიკმა უთხრა. ტეხასელმა გამოხედა უფერული, უბოროტო, მშვიდი თვალებით, რომელთა ქვეშაც მისი ყბები ნელა მოძრაობდა და ულვაში უჩანდა შავშავად. - ვინც ერთს მოგაშორებდათ? - თქვა ქვიკმა.

ვერანდაზე ცისფერთვალემა ბიჭუნა გამოჩნდა.

- მამა, მამა! სადაა მამა? - უხმოზდა ბიჭი.

- ვის ეძებ, შვილო? - ჰკითხა ერთმა.

- ეგ ეკის ბიჭია, - თქვა ქვიკმა. - ეგერაა მამაშენი, ფურგონში. მისტერ ბეკს ეხმარება.

მთელი ვერანდა გადაირბინა თავისი ციციქნა კომბინეზონით მოსილმა ბიჭუნამ - აქაურ მამაკაცთა მინიატიურულმა ასლმა.

- მამა! - ეძახდა. - მამა!

ფურგონის კარზე გადახრილი მჭედელი ჯერაც იდგა და მავთულის ბოლო ეჭირა ხელში, წამით შექუჩული ცხენები მიმოფანტულიყვნენ, აქეთ-იქით დაჭენაობდნენ, იტყოდით, ახლა წინანდელზე ორჯერ მეტნი არიანო. სქლად დადებულ მტვერში დაუჭედავი ფლოქვების ხშირ-ხშირი, მსუბუქი თქარათქური გამოისმოდა.

- დედამ - ვახშამიო, - დაუძახა ბიჭმა.

მთვარე გავსებაზე იყო. ნავახშმევს მაყურებლები ხელახლა რომ შეიყარნენ ვერანდაზე, თითქმის ისეთივე ნათელი იდგა, მხოლოდ დღის სწრაფ სიმძაფრეს შენაცვლებოდა ლივლივა ვერცხლისფერი სიღრმე, რომელსაც ფანტასტიკურად ერწყმოდნენ და რომელშიც ფრთხილებდნენ თავთავისად მორბენალი თუ დაწყვილებული, ლანდის მინაგვარი ცხენები; მერე ისევ ერთდებოდნენ მირაჟისნაირ რემად და იქიდან ჭიხვინი და ფლოქვთა ავი ცემა გამოისმოდა.

სხვებთან ერთად რეტლიფიც მოვიდა. ზედ ვახშმობის წინ ჩამოსულიყო, თავისი ცხენების ბაკში შეყვანა ვერ გაებედა და დუქნიდან ნახევარი მილის სიშორეზე დაეყენებინა ბუკრაიტის თავლაში.

- მაშ, ჩამოვიდა ფლემი? - თქვა რეტლიფმა. - ასე და ამრიგად. ბილ უორნერმა თავისი ხარჯით გაგზავნა ტეხასში, ჰოდა, მე მგონია,

სამართლიანი ამბავი იქნება, თუკი თქვენ აქეთობის გზის ხარჯს აღნაზღაურებთ, მეგობრებო.

ბაკიდან ყურის წამლები ჭიხვინი მოისმა. მერე ცხენი გამოჩნდა. კი არ მოჭენაობდა თითქოს, არამედ მოცურავდა უსხეულოსავით. ოღონდ მისი ფლოქვები ხშირ-ხშირად თქარუნობდა მომანდაკებულ მიწაზე.

- ის არ უთქვამს - ჩემი ცხენებიაო, - თქვა ქვიკმა.

- მისი რომ არაა, არც ის უთქვამს, - გაეპასუხა ფრიმენი.

- გასაგებია, - თქვა რეტლიფმა. - იმასღა ელოდებით თურმე, რომ მოგახსენოთ - მისია თუ არაა მისი. მაშინ იქნება დაგეცადათ ვაჭრობის დამთავრებამდე, მერე დაყოფილიყავით - ნაწილი ფლემს გაჰყოლოდით, სხვები - იმ ტეხასელ ყმაწვილს, რათა გენახათ - რომელი დაიწყებდა თქვენი ფულის ხარჯვას. ოღონდ, როცა გაგბდღვნიან, მერე რაში გაინტერესებს, ვისი ჯიბე გასქელდება?

- რეტლიფი რომ ამაღამვე გაბრუნდებოდეს, ხვალ ვედარავინ აყიდვინებს ერთს ამ ცხენებიდან, - თქვა მესამემ.

- ნამდვილია, - თქვა რეტლიფმა. - სნოუპსისგანაც შეიძლება თავის გადარჩენა, დროზე თუ გააღვა ფეხი. ღმერთმანი, დარწმუნებული ვარ, პირველივეს გაბდღვნის, ვინც ხელში მოხვდება, მეორეს ხომ უეჭველად. ოღონდ, ბიჭებო, თქვენ ხომ არ აპირებთ ამ მისი საქონლის ყიდვას, მართალს არ ვამბობ?

პასუხი არავის გაუცია. ხალხი კართანაზე ჩამომსხდარიყო, ზურგით ვერანდის სვეტებს მიჰყუდებოდა, ან სულაც მოაჯირს გადასჯდომოდა. მარტო რეტლიფი და ქვიკი ისხდნენ სკამებზე, ასე რომ, დანარჩენები მთვარის შუქის ფონზე წამომართულ შავ-შავ სილუეტებად ეჩვენებოდათ მხოლოდ. გზის გადაღმა მსხლის ხეს თეთრი ყვავილები თრთვილივით დასდებოდა, ახლის ყლორტები თუ რტოები ყოველი მხრივ კი არ იყო მიმოგაწვდილი, სწორ-სწორი ტოტებიდან შვეულად ამომართულიყო, როგორც მშვიდი ზღვის ფსკერზე უშფოთველად მძინარე დამხრჩვალ ქალის აწეწილი, აზიდული თმა.

- ერთხელ ენს მაკვალემმაც ჩამოდენა წყვილი ცხენი ტეხასიდან, - თქვა ვილაცამ კართანაზე. არც შერხეულა, არავისთვის მიუმართავს, ისე ამბობდა თავის სათქმელს. - გვარიანი წყვილი იყო, ოღონდ მოიმჩატებდა ცოტას. ათ წელიწადს ამუშავა. იოლად მუშაობდა, გემოიანად.

- მახსოვს, როგორ არა, - შეეხმიანა მეორე. - ენსმა ისიც გვითხრა - თოფის თოთხმეტი ვაზნა დამიჯდაო, ასე არ იყო?

- მე ისე ვიცი - თოფი ვაზნებიანადო, - თქვა მესამემ.

- არა, მარტო ვაზნები მიუცია, - მიუგო პირველმა. - თოფში ოთხ ცხენს კიდევ აძლევდა ის ბიჭი, მაგრამ ენსმა იუარა, ექვსი ცხენის მისისიპიში ჩამოლაღვა თავის საღირალზე მეტი დამიჯდებაო.

- შენ ეგა თქვი, და, - გაეპასუხა მეორე. - მუქთად ნაშოვნი ცხენები რა ხეირს დაგაყრიან?

სამივე ჩუმი ხმით ლაპარაკობდა, ისე მუსაიფობდნენ, თითქოს მარტონი ყოფილიყვნენ. ბნელ კუთხეში უჩინრად მიყუჟულმა რეტლიფმა ცბიერად ჩაიცინა.

- რეტლიფს ეცინება, - თქვა მეოთხემ.

- კარგი, მე ნუ მიყურებთ, - გაეპასუხა რეტლიფი.

სამი მოსაუბრე არ ირხეოდა. არც ამჯერად განძრეულან, ოღონდ მათი ბნელდაკრული სხეულებიდან რაღაცნაირი სიჯიუტე გამოკრთოდა, უსიტყვო გაგულისება, თითქოს დატუქსული ბალები ყოფილიყვნენ. მთვარის შუქი ფრინველმა შავად გადარკალა, მსხალზე შეფრთხილდა და სტვენა დაიწყო. ეს იყო ჯაფარა.

- წელს პირველად მესმის ჯაფარას სტვენა, - თქვა ფრიმენმა.

- უაიტლიფთან ყოველი ღამე გალობენ, - თქვა პირველმა. - ერთი თებერვალშიც ახმიანდა. გახსოვთ, თოვა რომ დაიწყო? კაუჩუკის ხეზე იჯდა.

- კაუჩუკის ხე ყველაზე ადრე ყვავილობს, - თქვა მესამემ. - ამიტომაც უყვართ ჩიტებს. ის რომ ამწვანდება, ჩიტებს ჭიკჭიკი მოუნდებათ ხოლმე. იმიტომაც იჯდა იმ ხეზე ჯაფარა.

- კაუჩუკის ხე ყველაზე ადრე ყვავილობსო? - იკითხა ქვიკმა. - აბა, ტირიფი რაღა ყოფილა?

- ტირიფს ხე არ ეთქმის, - მიუგო ფრიმენმა. - ტირიფი შამბივითაა.

- რა ეთქმის, არ ვიცი, - ჩაურთო მეოთხემ, - ოღონდ შამბი ნამდვილად არაა. იმიტომ, რომ შამბნარს გაკაფავ და მორჩება საქმე. ტირიფნარს კიდევ ბარე თხუთმეტ წელიწადს ვძირკვავდი ჩემს სამოვარზე და მეორე წელსვე ისევ იმსიმაღლე იზრდებოდა. თანაც ის ტირიფები ყოველ წელიწადს ერთი-ორი ძირით მაინც იმატებდა.

- ჰოდა, თქვენს ადგილას მე ხვალ ადრინადად მივაშურებდი სამოვარს, - თქვა რეტლიფმა. - მაგრამ თქვენ, რაღა თქმა უნდა, არ იზამთ ამას: მე კი ვიცი, ბიჭებო, რომ ვერც ამ ჩვენს ფრანგისხევეში, ვერც მთელ დედამიწაზე ხელს ვერაფერი შეგიშლით, ფლემ სნოუჰისს და იმ ტეხასელს თქვენი ნაღდი ფული მიუთვალეთ. ოღონდ მე იმას მაინც გავაკეთებდი - დამეზუსტებინა, ვის ხელში მოხვდებოდა ის ფული. იქნება ეკი მოგხმარებოდათ ამ საქმეში. იქნება მეზობლურად ეთქვა თქვენთვის ეს ამბავი, ჰა? რაც უნდა იყოს, ფლემი ბიძაშვილია, თანაც ისა და მისი ბიჭი, უოლსტრიტი, ცხენებისთვის წყლის მოტანაში შეეშველნენ დღეს ტეხასელს, ხვალ დილას კიდევ დაპურებაში მიეხმარება ეკი. მერე კი იქნება თითო-თითო დაიჭიროს და მოგვაროთ ის ცხენები, სანამ თქვენ ფასის მომატებით იქნებით დაკავებული. ასე არაა, ეკ?

მჭედელი სვეტს მიყრდნობილი იჯდა კართანაზე. არ ვიცის, მიუგო.

- ბიჭებო, - თქვა რეტლიფმა, - ეკმა იმ ცხენების მთელი ასავალ-დასავალი იცის. ფლემს უთქვამს, რაც დასჯდომიათ და რამდენის გამორჩენას ფიქრობენ ის და ტეხასელი. აბა, ეკ, ამოყაჭე.

მჭედელი არ განძრეულა, კართანის ზედა საფეხურზე იჯდა ამათკენ გვერდშექცეული და იქ მსხდომთა დამაბული, მომლოდინე დუმილი თავს ატყდებოდა წვეთ-წვეთად.

- მე არაფერი ვიცი, - თქვა ბოლოს.

რეტლიფმა გაიცინა. სკამზე იჯდა და იცინოდა, სხვანი კი კართანასა თუ მოაჯირზე ისხდნენ და მისი სიცილი თავს ისევე ატყდებოდათ, როგორც ეკს ეღვრებოდა მათი დამაბული დუმილი. რეტლიფმა სიცილი შეწყვიტა, წამოდგა და ხმამაღლა დაამთქნარა.

- კეთილი, ჩემო ბატონო. რაკი მოგსურვებით, შეგიძლიათ იმ ცხენების ყიდვა, ბიჭებო. მე ჩემდა თავად ვეფხვს ან ჩხრიალა გველს უფრო ვიყიდდი. ისიც, ფლემს რომ შემოეძლია, ხელს არ ვახლებდი, - ვაითუ შეღებილი ძაღლი ან შლანგის ნაჭერი აღმოჩნდეს-მეთქი. ღამე მშვიდობისა.

რეტლიფი სახლში შევიდა. მისთვის თვალი არავის გაუყოლებია, ოღონდ ცოტა ხნის შემდეგ ყველანი ბაკს მიაშტერდნენ, ცხენთა ჭრელსა და მობობოქრე ორომტრიალს, საიდანაც დროდადრო მოკლე ჭიხვინი და ფლოქვთა ცემის ყრუ ხმა მოდიოდა. მსხლის ხეზე ჯაფარა რატრატებდა გაუწყნარებლად.

- ენს მაკვალემმა ის ცხენები გვარიან წყვილად აქცია, - თქვა პირველმა. - ცოტას მოიმჩატებდნენ, თორემ ისე არაფერი უჭირდათ.

მეორე დილას მზის ამოსვლისთანავე მისის ლიტლჯონის სახლთან უკვე იდგა ფურგონი და სამი შეკაზმული ჯორი, ხოლო ექვსი კაცი და ეკ სნოუჰისის ბიჭუნა ლობეს მისწყდომოდნენ და თვალს არ აშორებდნენ ცხენებს, რომლებიც თავლის კართან შეხურხლულიყვნენ და თავის მხრივაც ხალხს გამოსცქეროდნენ. კიდევ ერთი ფურგონი გამოჩნდა, გზიდან გადმოუხვია და შეჩერდა. ახლა უკვე რვა მამაკაცი ჩამწკრივებულიყო ბიჭუნას გვერდით ლობესთან, რომლის იქითაც ცხენები იდგნენ და სილურჯედაკრულ თაფლისფერ თვალებს აელვებდნენ.

- აბა, ესაა სნოუჰისის ცირკი? - იკითხა რომელიღაც მოახლოებულმა. ცხენების თავპირს გახედა, მერე ლობეს ჩაუყვა და კიდეში დადგა, მჭედლისა და მისი ვაჟის გვერდით. - ისე გამოდის, რომ ფლემის ცხენები უნდა იყოს? - შეეკითხა მჭედელს.

- ეკმა ჩვენზე მეტი არ იცის, ვისია ეს ცხენები, - თქვა ერთმა. - მაგან ისიცის, რომ ფლემი ფურგონით ჩამოვიდა და უკან ცხენები მოჰყვებოდა - ეს კი დაინახა. ოღონდ მეტი არაფერი იცის.

- ვერც შეიტყობს, - თქვა მეორემ. - ფლემ სნოუჰისის ნათესავი მისი საქმეების ამბავს ყოველთვის უკანასკნელითგებს ხოლმე.

- არა, - თქვა პირველმა. - მაშინაც ვერ შეიტყობს. პირველი, ვისაც ფლემი თავის საქმეებს გაანდობს, ის იქნება, ვინც ცოცხალი დარჩება მას შემდეგ, რაც უკანასკნელი კაცი მოკვდება ქვეყნიერებაზე. ფლემ სნოუჰისი საკუთარ თავსაც არ უმხელს ხოლმე, რასაც განიზრახავს. თუ გინდა, წკვარამ ღამეში მარტო იწვევს სახლში, სადაც მის მეტი არ ჭაჭანებს სულიერი.

- ნამდვილად, - თქვა მესამემ. - ექსაც და რომელიც გინდა თავისიანს ჩვენზე ნაკლებად არ გაფცქვნის ფლემი. მართალი ვარ, ეკ?

- არ ვიცი მე, - თქვა ეკმა.

ცხენებს გასცქეროდნენ ესენი და ამ დროს ყურდაცქვეტილი, ტოტდამაგრული ცხენები დაბზრიალდნენ, ბაკს ფერად ზვირთად გადაუქროლეს, უკანვე მობრუნდნენ და მესრის წიალ ხალხს შემოაშტერდნენ. არავის გაუგია, როგორ გამოჩნდა ტეხასელი, ვიდრე თავს წამოადგა ამათ. ახალი პერანგი ეცვა და სხვა ჟილეტი, ცოტათი ვიწროდ რომ ადგა; ის იყო, ნამცხვრის კოლოფს შარვლის უკანა ჯიბეში იდებდა.

- დილა მშვიდობისა, - თქვა ტეხასელმა. - ადრე ამდგარხართ დღეს. ხომ არ გინდათ, წყვილი ცხენი იყიდოთ ჩემგან ვაჭრობის დაწყებამდე, სანამ ფასები აწეულა?

ესენი ტეხასელს აღარ უმზერდნენ, ცხენებს შესჩერებოდნენ ისევ. თავწახრილი ცხენები მიწას ყნოსავდნენ.

- ვუყურებთ ჯერჯერობით, - თქვა ერთმა.

- როგორც გენებოთ, ერთი კია, რომ სწორედ ახლაა დრო მაგათ საუზმობას უყუროთ, - თქვა ტეხასელმა. - მთელ ღამეს დაჭენაობდნენ და გვარიანად დამშეულები იქნებიან. - ჭიშკარი გამოალო და ბაკში შევიდა. ცხენებმა ერთბაშად თავი ასწიეს და შემოაჩერდნენ. - რას გეტყვი, ეკ, იცი? - მხარს უკან უთხრა ტეხასელმა. - ორი-სამი თქვენგანი მომეხმაროს ამ ცხენების თავლაში შესარეკად.

ეკი და კიდევ ორნი ჭიშკარს მიადგნენ. მათთან ერთად ბიჭუნაც ფეხდაფეხ მიჰყვა მამამისს, რომელმაც შვილი მაშინლა შენიშნა, როცა ჭიშკრის მისახურად შემობრუნდა.

- ნუ მოძვრები აქ, - უთხრა ეკმა. - თორემ გაიხედავ და, სანამ ხმის ამოდებას მოასწრებდე, ნაჭუჭივით გაგიპოზენ თავს.

ჭიშკარი მიხურა და სხვების დასაწევად გაიქცა. ტეხასელმა ისინი რკალად დააყენა, თავად კი გაეშურა ცხენებისკენ, რომლებიც ახლა მოუსვენარ რემად აჩოქოლებულიყვნენ და ადგილზე წრიალებდნენ ხალხს შემოჩერებულნი. მისის ლიტლჯონი სამზარეულოდან გამოვიდა, ეზო გადაჭრა და ბაკისკენ მაცქერალმა საშემეს მიმართა. ორსა თუ სამ ნაპობს დასწვდა და შეჩერდა, რათა ისევ ბაკისთვის შეეხედა. მესერს ორი კაცი მოსდგომოდა კიდევ.

- მარჯვედ, ბიჭებო! - თქვა ტეხასელმა. - ნუ გემინიათ, ვერ მოგეკარებიან. ესაა, რომ მის დღეში ჭერქვეშ არ მდგარან.

- მე თუ მკითხავს კაცი, აქვე დარჩენილიყვნენ, რაკი ასე უნდათ, - თქვა ეკმა.

- ჯოხები აიღეთ, ღობესთან ფურგონის ჭალების მთელი ხორაა, ჰოდა, როგორც კი რომელიმე მოგახტებათ, თხლიშეთ თავში გემოზე, მაშინვე გონს მოვა.

ბაკში მყოფთაგან ერთი მესერთან მივიდა, სამი ჯოხი აიღო, მობრუნდა და ჩამოარიგა. მისის ლიტლჯონს უკვე ერთი ადგა შემა ეწყო ხელებზე, სახლისკენ მიბრუნებული შუა გზაზე შეჩერებულიყო და კვლავ ცხენებს მისჩერებოდა. ბიჭუნა ისევ მამამისს ატორღიალებოდა, ოღონდ მამა ვეღარ ამჩნევდა ახლა. მამაკაცები ცხენებისკენ მიიწევდნენ, რემა ჭრელ-ჭრელ მოწრიალე ჯგუფებად დაიყო. ტეხასელი ხალისიანად უცაცხანებდა თავისი მაღალი ხმით.

- შედით თავლაში, ეშმაკის მაშხალებო! ნუ მოერეკებით, შეგეჩვიონ ცოტათი. ჰეი! შედი, ნუ გემინია! თავლაა, სასამართლო კი არა! არც ეკლესიაა, შეწირულებას არავინ მოგთხოვთ! შედი.

ცხენები ნელინელ იხევდნენ. დროდადრო რომელიმე გასხლტომას მოიწადინებდა, მაგრამ ტეხასელი კოლბოხს უმარჯვებდა ხოლმე და უკანვე მიდენიდა. ბოლოს სულ უკანა ცხენი ზედ თავლის კარს მიადგა, ტეხასელმა ცხენებს გონს მოსვლა აღარ აცალა. ეკს ჯოხი გამოსტაცა, ერთ თანაშემწესთან ერთად მივარდა და თავპირსა და ზურგზე დაუშინა ჯოხი. შეუცდომელი ალლოთი ირჩევდა მსხვერპლს, ჯერ დრუნჩზე დასცხებდა, - მერე რა, რომ ცხენი შეტრიალდებოდა, - ჯიდაოზე, ბოლოს - გავაზე, ასე რომ, იმდენი იმარჯვეს, მთელ რემას აბრუნებინეს პირი; ცხენები გრძელ დერეფანში შეგლიჯინდნენ და ისე მიასკდნენ კედელს ყრუ, გაბმული გრიალით, თითქოს სადღაც შახტში ბიგები ჩაწოლილიყოს.

- კედელმა მგონი, გაუძლოს, - თქვა ტეხასელმა. იმან და მისმა თანაშემწემ დაბალი კარი მიკეტეს და მის ზემოთ შეიხედეს თავლაში, რომლის იქითა ბოლოშიც რემა ახლა აჭრელებულ ჩვენებას ჰგავდა და იქიდან ხის ტიხრების ბრაგაბრუგი და ფლოქვების ნელ-ნელა მინელებული თქარათქური გამოისმოდა. - კი, გაუძლო კედელმა, - თქვა ტეხასელმა ხელახლა.

დანარჩენი ორიც მიადგა კარს და იმათაც გადაიხედეს თავლაში. ბიჭუნაც მამამისს მიჰყვა, ჭუჭრუტანაში გახედვის მოწადინე, და ეკმა ამ დროს ჰკიდა თვალი.

- გითხარი, ნუ შემოდიხარ-მეთქი ბაკში! - დაუყვირა. - ისე დაგტორავენ, კრინტის დაძვრას ვერც მოასწრებ, გეყურება? გადი ჭიშკარს გადაღმა და იქგაჩერდი!

- რატომ არ სთხოვ მამაშენს, ცხენი გიყიდოს, უოლ? - უთხრა ბავშვს ერთ-ერთმა.

- ამ ეშმაკის მყიდველი ვარ? - თქვა ეკმა. - რა ჭირად მინდა, როცა ამწუთას შემოდისა წყალზე ჩავიდე და ლოჯებიანი კუ ან უხსენებელი დავიჭირო უფასოდ? აბა, მოშორდი აქაურობას, ჭიშკარს გადაღმა გაჩერდი და აქეთ ნუ მოძვრები.

ტეხასელი თავლაში შესულიყო უკვე. ერთმა მათგანმა მის უკან კარი მიხურა, ურდული გაუყარა, საგდულს ზემოთ მაცქერალნი ხედავდნენ, როგორ გაიარა მთელი თავლა ტეხასელმა და მიეახლა ცხენებს, რომლებიც ბნელ კუთხეში მიყუჟულიყვნენ ნაირფერ მოჩვენებასავით, დაშოშმინებულიყვნენ კიდეც და ზოგიერთი უკანა კედელთან ჩაყოლებულ ბაგასაც ყნოსავდა უკვე. ბიჭუნას მამამისის ირგვლივ შემოევლო მხოლოდ, ახლა მეორე მხრიდან ამოსდგომოდა და ნახვრეტში იჭვრიტებოდა. ტეხასელმა კედელში დატანებული პატარა კარი შეაღო და შეაბიჯა, ოღონდ უმაღვე უკან გამობრუნდა.

- აქ სიმინდის მეტი არაფერია, - თქვა ტეხასელმა. - სნოუპსი კიდეც გუშინ შემპირდა - თივას გამოგიგზავნიო.

- სიმინდს არ ჭამენ? - იკითხა ვილაცამ.

- არ ვიცი, - მიუგო ტეხასელმა. - მე ის ვიცი, რომ თვალთ არასოდეს უნახავთ. კარგი, ახლავე გავიგებთ.

ტეხასელი გაქრა, კედლის იქიდან მისი ნაბიჯების ხმა გამოისმოდა. მერე ისევ გამოჩნდა დიდი კალათიანად და იმ სიბნელეს შეერთო, სადაც ფერად-ფერადი ცხენები ახლა თვინიერად ჩამწკრივებულიყვნენ ბაგის პირას. მისის ლიტლჯონი კვლავ გამოვიდა შინიდან, ამჯერად ვერანდაზე. თან სპილენძის მოზრდილი ზარი მოჰქონდა. მერე ასწია სადილის ზარის ჩამოსარეკად. ცხენები, ტეხასელი რომ მიეახლა, შეჩოჩოლდნენ, მაგრამ ტეხასელი მაღლა შეეხმინა, გინება და დასაყვავებელი სიტყვა ერთად მიაყარა სხაპასხუპით, და რემას შეერია. კართან მიმდგართ ესმოდათ ბაგაში ჩაყრილი სიმინდის ხრიალი, მერე კი რომელიღაც ცხენი დაფეთებული ახროტინდა. ბაგის ფიცარმა ჭახანი მოიღო და მათ თვალწინ თავლა ჯოჯოხეთად გადაიქცა. და, ვიდრე ესენი კარს ზემოთ გადასცქეროდნენ და ფეხი ვერ გადაედგათ, თითქოს მონუსხულნი ყოფილიყვნენ, შიგნით ცეცხლის ენებივით აქრიალდნენ გადარეული აჩრდილები.

- დაგწყევლის ღმერთი, - თქვა ერთმა. - ვუგანოთ! - იღრიალა მანვე უეცრად.

სამივე შებრუნდა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა ფურგონისკენ. ეკი ბოლოს მირბოდა. ლობის გადაღმიდან ხალხი რაღაცას გადმოსმახოდა, მაგრამ ამას არაფერი ესმოდა, თავგააზრებული ამგრა ფურგონზე, მერე კი მოიხედა და ბიჭი დაინახა - ისევ ისე იდგა და თავლის კარის ნახვრეტს მისციებოდა. იმავე წამს ნაფოტებად ქცეული კარი თვალთაგან გაქრა, ის ნახვრეტიც ვითომ არც ყოფილიყოს, ბიჭუნა კი ისევ ისე იდგა უძრავად, თავისი პაწაწინა კომბინეზონით მოსილი, ჯერაც წახრილი ოდნავ, ვიდრე ზედ არ გადმოსაკდა გავარდნილ ტოტთა, აკვნესებულ თვალთა და დაღრჭენილ კბილთა მრავალფერად გაშლილი ტალდა, რომელიც უმაღვე მრავალ პატარ-პატარა ნაწილად მიმოიფანტა და ბოლოს გამოჩნდა პირაშკმული სიცარიელე, რომლის

წიაღშიც ბიჭუნა უვნებლად იდგა და თვალსა და ხელს შუა გამქრალ ნახვრეტში იჭვრიტებოდა ისევ.

- უოლ! - იბლავლა ეკმა.

ბიჭუნა შემობრუნდა და ფურგონისკენ გამოიქცა. ცხენები წინ და უკან მიმოდაქროდნენ და, იტყოდით, ახლა ორჯერ მეტნი შექნილანო; ორი მათგანი მიყოლებით ისე გადაეველო თავზე ბიჭუნას, არც გაჰკარებია, ხოლო ბიჭუნა გამორბოდა, ერთი ციცქნა, სერიოზული, გეგონებოდათ, ერთ ადგილზე გარბისო, მაგრამ ბოლოს ფურგონს მაინც მოატანა და ეკმა, რომელსაც მზით დამწვარი სახე მიტკალივით გადაფითრებოდა, ხელი გაუწოდა, კომბინეზონის აჭიმით აზიდა, მისი თავი მუხლებშუა მოიქცია და ფურგონის ძირზე სადავეს დასწვდა.

- გითხარი, ბაკში ნუ მიძვრები-მეთქი, - აღმოთქვა ხმაათროლოებულმა, - გითხარი...

- მაგ ბიჭს თუ უპირებ გამათრახებას, ჯერ ჩვენ გადაგვიჭირე ყველას, ჰოდა, მერე რომელიმე ჩვენგანი შენ მოგდგება, - უთხრა ერთ-ერთმა.

- მაგას კიდევ ის აჯობებს, თოკი აიღო და იმ ალქაჯს უცხუნო, - უთხრა მეორემ. ტეხასელი ახლა თავლის მილეწილ კართან დამდგარიყო და ჯიბიდან ნამცხვრის კოლოფს იღებდა. - თორემ მთელ ფრანგისხევს შეიწირავს.

- ფლემ სნოუჰისისას ამბობ, ხომ? - თქვა პირველმა.

ტეხასელს კოლოფი გადმოეპირქვავებინა და ნამცხვარს ხელისგულზე იბერტყავდა. ცხენები კვლავ მიმოდაქროდნენ ბაკში, ოღონდ უკვე დამცხრალიყვნენ ცოტათი, მაღალ-მაღალ, სწორ ფეხებზე შემდგარნი ჩორთით გარბოდნენ, თუმცა თეთრი თვალები ძველებურად ბოროტად და ველურად უკიაფებდათ.

- ვიცოდი, ის წყეული სიმინდი სიკეთეს რომ არ დამაყრიდა, - თქვა ტეხასელმა. - სამაგიეროდ ის მაინც ნახეს, როგორია შესახედად. რაღაც-რაღაცები კი ისწავლეს აქ, ვერ დაემდურება კაცი. - კოლოფი შებერტყა ისევ. ხელისგულზე აღარაფერი გადმოსცვენია. ვერანდაზე მისის ლიტლჯონმა ზარი ააწკარუნა; ზარის ხმაზე ცხენები ისევ აფორიაქდნენ, ფლოქვთა ცემამ მიწა ოდნავ ააზანზარა. ტეხასელმა კოლოფი მოჭმუჭნა და გადააგდო. - კარგი, - თქვა მერე.

შუკაში სამი ფურგონი გამოჩნდა კიდევ, მესერთანაც ოცზე მეტი კაცი მომდგარიყო, როცა ტეხასელი თავისისამი თანაშემწითა და ბიჭითურთ ჭიშკარს გამოსცილდა. უღრუბლო ცაზე დილის ნათელი მზე ანათებდა და ბრჭყვიალით ირეკლებოდა ტეხასელის შარვლის უკანა ჯიბიდან თავამოყოფილი რევოლვერის სადაფის ტარზე, აგრეთვე სპილენძის ზარზე, რომელსაც ჯერაც დაბეჯითებით აწკარუნებდა მისის ლიტლჯონი.

ხოლო ოციოდე წუთის შემდეგ ასანთის ღერით კბილთა მჩიჩქნელი ტეხასელი კართანაზე ხელახლა რომ გამოჩნდა, ფურგონები, შეკაზმული ცხენები და ჯორები ალაყაფის კარიდან თვით უორნერის დუქნამდე გამწკრივებულიყვნენ

უკვე, მესერთან კი ორმოცდაათს აჭარბებდა მოჯრილი ხალხის რაოდენობა - ხმის გაუღებლად, ქვემ-ქვემ გასცქეროდნენ, როგორ მოდიოდა ტანის ოდნავი რწევით წვივმრუდე ტეხასელი და მისი ფასონური ფეხსაცმლის მაღალი ქუსლები მტვერში ღრმა კვალს ტოვებდა.

- დილა მშვიდობისა, ჯენტლმენებო, - თქვა ტეხასელმა. - აბა, ბიჭიკო, - მიუბრუნდა ბიჭუნას, რომელიც მის უკან ჩუმად ატუზულიყო და რევოლვერის ტარს თვალს არ აცილებდა. ჯიბიდან ფული ამოიღო და ბიჭს გაუწოდა. - დუქანში გაიქეცი, ერთი კოლოფი ჯანჯაფილის ნამცხვარი მიყიდე. - განუჭვრეტელ სახეებს ჩაცივებით ჩააცქერდა იმ ასანთის ღერის მწუწნელი. მერე ასანთის ღერი პირის ერთი კუთხიდან მეორეში მოინაცვლა - ღეჭვა-ღეჭვით, ისე, რომ ხელი არ მიუკარებია. - რასაკვირველია, შეირჩიეთ უკვე სათქვენო ცხენები, ხომ, ბიჭებო? შეგვიძლია დავიწყოთ?

პასუხი არავის გაუცია. ახლა აღარც ვინმე უმზერდა ტეხასელს. უფრო სწორად, ახლა ისე ეჩვენებოდა, ვეღარავის მზერას ვეღარ ვიჭერ, რადგან სასწრაფოდ თვალს მარიდებენო. ცოტა ხნის შემდეგ ფრიმენმა იკითხა:

- ფლემს არ დაველოდებით?

- რისი გულისთვის? - გაეპასუხა ტეხასელი. მაშინ ფრიმენმაც აარიდა მზერა. ვერც მის სახეზე ამოიკითხავდა რამეს კაცი. ტეხასელი იმავე თანაბარი, მშვიდი ხმით განაგრძობდა: - ეკ, შენ ხომ დაადგი უკვე საშენოს თვალი. ასე რომ, როცა ისურვებ, დავიწყოთ.

- არა, ბატონო, - თქვა ეკმა. - მე არ ვიყიდი, მაგათი მიკარებაც საშიშია.

- ამ ნალიტა ცხენებთან მიკარებაა საშიში? - თქვა ტეხასელმა. - შენ არ მემველებოდი ამათ დარწყულებაში და დაპურებაში? დაგენაძლევეო, შენს ბიჭს არ შეეშინდება რომელიც გინდა, იმასთან მისვლა.

- ერთი გაბედოს და, - თქვა ეკმა.

ტეხასელმა გულგრილი, ოღონდ ამასთანავე დადარაჯებული მზერა მოავლო მშვიდ, შეუცნობ, თითქოს ქვიდან გამოკვეთილ სახეებს, აუზღვრეველსა და გაუტეხელს.

- ეს ცხენები მტრედივით თვინიერნი არიან, ბიჭებო. ვინც იყიდით, მერე სანაქებოდ გეყოლებათ, ასეთებს ვერსად იშოვით. რასაკვირველია, ზნე არა აქვთ-მეთქი, არ გეტყვით; ლეში ხომ არ ჩამომიტანია გასაყიდად. ტეხასური მძორი ვის რად უნდა, როცა მისისიპიშიც ისედაც სამყოფია? - მზერა ისევ გულგრილი ჰქონდა, ხმაში არც სილაღე დასჩნევია, არც სიფიცხე, ოღონდ არც იმ ჩაცინებას დასტყობია სილაღე თუ სიფიცხე, ხალხის ჯგროდან რომ გამოისმა. გზიდან ორმა ფურგონმა კიდევ გადმოუხვია და მესერს მოადგა. ხალხი გადმოვიდა, ცხენები მიაბა, და ჯგუფად დამდგართ მიუახლოვდა. - აქეთ, ბიჭებო, - დაუმახა ტეხასელმა. - კარგ დროს მოგვისწარით, სანაქებო, თვინიერი ცხენების ყიდვა თუ გინდათ.

- იმნაირის, გუშინ ჟილეტი რომ შემოგაფხრიწათ? - გაისმა ვიღაცის ხმა.

ამჯერად სამს თუ ოთხს გაეცინა. ტეხასელმა უმეტყველოდ შეხედა თვალის დაუხამხამებლად.

- რა მერე? - იკითხა მშვიდად. სიცილი, თუკი ამას სიცილი ეთქმოდა, მოისხიპა. ტეხასელი ალყაფის კარს მიადგა და ბოდს შეაცოცდა, ვიწრო შარვალში გამონაკვეთულ ღონიერ ფეხებს აუჩქარებლად ინაცვლებდა, რევოლვერის სადაფის ტარი ურბჭყვიანობდა. ბოდს რომ მოაჯდა, ღობესთან მოჯარულ სახეებს გადმოხედა, დადარაჯებულ, შეურვებულ, ფიქრშეუტყობელ სახეებს, მას რომ არიდებდნენ მზერას.

- კარგი, - თქვა ტეხასელმა. - რომელს გინდათ ვაჭრობის დაწყება? აგერ გამოზრძანდით, საქონელი შეარჩიეთ და თქვენ-თქვენი ფასი თქვით, ჰოდა, უკანასკნელი რომ გაიყიდება, თამამად შედით ბაკში, სანაქებო ცხენს თოკი ჩააბით, მისნაირს ვერსად იშოვით, რაგინდა რა ფასი აძლიოთ. რომელიც გნებავთ, თქვით, თხუთმეტ დოლარზე ნაკლების საღირალი არაა. აბა, შემოხედეთ, სულ დარჩეული ცხენებია, - ახალგაზრდა, ჯანიანი, შესაკაზმდაც ვარგან და გუთანში შესაბმელადაც, თავს დავდებ, თუ თითო თქვენს ოთხ ცხენად არ ღირდეს; ფორნის ღერძიც რომ დაურთოთ, ვითომ არაფერი... - უკანა რიგები უცბად შეჩოჩქოლდა. ბიჭუნა გამოჩნდა. უძრავ კომბინეზონთა შორის გამომძვრალმა ბოდს მიატანა და ტეხასელს ახალი გაუხსნელი კოლოფი ააწოდა. ტეხასელი დაიხარა, კოლოფი ჩამოართვა, გახსნა და სამი თუ ოთხი ნამცხვარი დაუპირქვავა პატარა და ლამის ზანგივით შავტუხა ხელისგულზე. მერე ისევ აძრახდა, ხელში კოლოფი ეჭირა და იმით უთითებდა ცხენებს. - აბა, იმას შეხედეთ, ფეხკავშიანს და ყურზე ფორეჯიანს; კარგად დააკვირდით, ღობეს ჩამოურბენს ახლა. ყურადღება მიაქციეთ, ბეჭები როგორ აუდ-ჩაუდის. ასეთ ცხენში, ვინც გინდა იყოს, ოც დოლარს არდაიშურებს. აბა, ვინ რამდენს იძლევა სიფთაზე? - მაღალი ხმით, დამაჯერებლად ლაპარაკობდა კარგი ორატორივით. ხოლო მის ქვეშ, მესერთან, ხალხი მოჯარულიყო. ამ ხალხს კომბინეზონის გულსაფრებქვეშ ბეჯითად ჰქონდა დამაგრებული ქისები თუ გაცვეთილი საფულეები და მათში ვაი-ვაგლახით თავმოყრილი ვერცხლი თუ გაცრეცილი ქაღალდის ფული ეგულეობდა, ღუმლის მილებსა თუ ძელური კედლის ნახვრეტებში მისხალ-მისხალ ნაგროვები. ბაკში ცხენები დაჯირითობდნენ უაზროდ, მერე ისევ შექუჩდებოდნენ ხოლმე და ნაირფერი, ველური თვალეებით გამოსცქეროდნენ მესერთან თავშეყრილთ. შუკა ახლა ფურგონებით გაჭედელიყო. ახალმოსულთ ისღა დარჩენოდათ, ოთხთვალეები შორს შეეჩერებინათ და გზას ფეხით გამოჰყოლოდნენ. სამზარეულოს კარში მისის ლიტლჯონი გამოჩნდა. ეზო გადაიარა ცხენების მაცქერალმა. ეზოს კუთხეში ოთხ აგურზე შეყენებული, ჰვარტლით გაშავებული სარეცხის ქვაბი იდგა. მისის ლიტლჯონმა ქვაბს ცეცხლი შეუნთო, მერე ღობეს მიადგა და იქ შეიცადა დოინჯშემოყრილმა, ხოლო ცისფერი ბოლი ზანტად აიძართა მის ზურგს უკან. ბოლოს მისის ლიტლჯონი შებრუნდა და ისევ სახლისკენ გაემართა. - ჰო, რას იტყვით, ბიჭებო, - თქვა ტეხასელმა. - ვინ რამდენს იძლევა?

- ორმოცდაათ ცენტს, - თქვა ვიდაცამ.

ტეხასელს იქით არც გაუხედავს.

- ჰოდა, ეს თუ არ გამოგადგებათ, აი, იმ ცხენზე რას იტყოდით? შეხედეთ ერთი: თავწვრილაა, ფაფარი თითქმის არც კი აჩნია. კაცმა რომ თქვას სიმართლე, შესაკაზმად ეს აჯობებს იმ ფეხკავშიანს. აგერ ვილაცამ - ორმოცდაათი ცენტით. ალბათ - ხუთი დოლარიო, - იმის თქმა უნდოდა. აბა, რას იტყვით, იძლევით ხუთ დოლარს?

- ორმოცდაათ ცენტს ვიდრე ვიქვით ვეღარაფერი ვიქვით, - თქვა იმავე ხმამ, ოღონდ ამ სიტყვებს ხალხში სიცილი აღარ მოჰყოლია. თავად ტეხასელმა გაიცინა მარტო ტუჩებით, მჭახედ, უგემურად, თითქოს გამრავლების ტაბულას იზეპირებო.

- შენ იმის თქმა გინდა - ორმოცდაათი ცენტი ამათი ნაკელის გროვანშიო, - თქვა მან. - იქნება ვინმემ დოლარიც დაამატოს ნამდვილი ტეხასური ეკლესიისთვის? - მისის ლიტლჯონმა შუაზე გადახერხილი კასრის ნახევარი გამოიტანა სამზარეულოდან, სარეცხი ბაკის გვერდით კუნძუზე შემოდგა, დონქოქერი ცოტა ხანს დაყოვნდა ცხენების მაცქერალი, ოღონდ ღობესთან არ მისულა. მერე შინ შებრუნდა. - რაო, ბიჭებო? - თქვა ტეხასელმა. - მომისმინე, ეკ, შენ ხომ მეხმარებოდი და კარგად იცი, რა ცხენებიცაა ესენი. რას მომცემ აი, იმ საღარ ცხენში, გუშინ რომ თვალი დაადგი? კარგი. აბა, მომითმინეთ. - კოლოფი მეორე ჯიბეში ჩაიღო, ფეხები მესრის თავს გადაატარა და კატასავით რბილად ჩახტა ბაკში. მისი მაცქერალი ცხენები ერთიმეორეს ეხურხლებოდნენ. ახლოს არ მიუშვიათ პატრონი, უკუიქცნენ და მესრის ჩასწვრივ დაუყვეს ნელ-ნელა. ამან უყელა, ცხენები შეტრიალდნენ და უკანვე გაქნდნენ ბაკში. მაშინ ტეხასელი, თითქოს იმასღა ელოდებოდა - ზურგს როდის შემაქცევნო, უკან გამოენთო, ისე, რომ ბაკის ბოლოს ცხენები რომ შეჩერდნენ და ისევ ერთმანეთს აეხურხლნენ, ეს ლამის წამოეწია კიდევ. მიწა შეზანზარდა; მტვერი ბოლქვებად აიჭრა და ამ ბოლქვებიდან, თითქოს დაფეთებული მწყერები ყოფილიყვნენ, ერთიმეორის მიყოლებით მოფრთხილობდნენ გამალებული ცხენები, ეს კი, თავის უვნებლობაში ისევ ისე ჯიუტად გულდაჯერებული, წინ გაიჭრა. მაცქერალნი წამით ხედავდნენ მათ - ცხენი მესრისა და თავლის კუთხეში იხევდა უკან-უკან, კაცი ეტანებოდა, ჯიბეში ხელჩაყოფილი. მერე ცხენი ზედ მოაწყდა რაღაცნაირად გახელებული და განწირული, ხოლო ამან თვალებს შუა რევოლვერის ტარი ჩასცხო, წააქცია და ორივე ფეხით ზედ დაახტა. ცხენი უმაღლე გონს მოეგო, ძალისძალად წამოიჩოქა და თავი ასწია ზედ შემდგარ კაციანად; მტვერის ბუღში ჩანდა, როგორ აშორდა მიწას და გვერდზე გადაქანდა ტეხასელი, თითქოს ცხენის თავს მიბმული ჩვარი ყოფილიყოს. მაგრამ, აი, მისი ფეხები კვლავ მიწას შეეხო, ქარმა მტვერი გაფანტა და სულგანაბულმა ხალხმა თვალი ჰკიდა, რომ ტეხასელის წვეტიანი ქუსლები ღრმად ჩამჯდარიყო მიწაში, მისი ერთი ხელი ჯიდაოს ჩაფრენოდა, მეორე - ნესტოებს ცხენისას, მისი გაავებული წვრილი თავი უკან შეეტრიალებინა, გადატყაული ზურგისკენ, და ცხენი ხვნეშით, გაჭირვებითღა ითქვამდა სულს. მისის ლიტლჯონი უკვე ეზოში იყო ისევ. ამჯერად არავის დაუნახავს, როგორ გამოსულიყო. თეთრეულის შეკვრითა და სარეცხი ფიცრით დატვირთული მცირე ხანს იდგა სამზარეულოს კართანზე და ცხენებს გასცქეროდა ბაკში. მერე ისევ ბაკში ცხენების მაცქერალი გაუყვა ეზოს, და ისევ ბაკში ცხენების მაცქერალმა გადაუმახა ვარცლში თეთრეულს. - ერთი შემოხედეთ მაინც, ბიჭებო, - აღმოთქვა ტეხასელმა და მესრისკენ მიიბრუნა წამოგზნებული სახე და მოკიაფე, დამაბულობისგან გადმოქაჩული

თვალეები. - შემოხედეთ ჩქარა. რა ფეხები აქვს, რა... - ეტყობა, იმ ძალას ვეღარ ატანდა. ცხენმა ისევ გაშმაგებულად წამოიწია და ტეხასელიც ისევ მოსწყდა მიწას წამით, ოღონდ ლაპარაკი არ შეუწყვეტია: - ...რა კოჭები, ჰა-მეთქი, თორემ წაგაცილი თავს, ჩქარა შემოხედეთ, ბიჭებო, თხუთმეტი დოლარი სულ მუქთია, აბა, თქვით, რომელი იძლევიტ ამ ფასს, ჰა-მეთქი, შე თვალეზდაჭყეტილო, ჰა! - ახლა ორივენი სხმარტალეზდენ - ეს იყო რაღაც ფანტასტიკური, შმაგადქმნილი გორგალი, რომელიც შეუჩერებლად, ავბედითი სიმდოვრით მიგორავდა მიწაზე, და ტეხასელის აჭიმების მეტალის საკინძები გაუწყნარებელი ბრუნვით მზეზე ბრწყინავდა. მერე ფართოფარფლიანი, თიხისფერი ქუდი თითქოსუნდომლად გაფრიალდა გვერდზე; მას მყისვე ტეხასელიც მიჰყვა მოსროლილად, ოღონდ არ დაცემულა, თავი შეიმაგრა, ხოლო თავაშევებული ცხენი შმაგად გაჭენდა ირემივით. ტეხასელი ქუდს დასწვდა, მუხლზე დაიბერტყა, ჰიშკართან მიბრუნდა და ისევ ზომზე ამვრა. სულს მძიმედ ითქვამდა. მესერს მიმდგარი ხალხი ისევ ისე შემოსცქეროდა, ამან ჯიბიდან კოლოფი ამოიღო, ნამცხვრები გამობერტყა, პირში ჩაიღო და ხრინწიანად, სტვენით მსუნთქავი ღეჰვას მოჰყვა. მისის ლიტლჯონი შებრუნდა და ქვაბიდან ვედროთი წყლის ზიდვას შეუდგა ვარცლის ასავსებად, ოღონდ ყოველი ვედროს შემდეგ ისევ შემობრუნდებოდა ხოლმე და ბაკს გამოსცქეროდა. - აბა, ბიჭებო, - თქვა ტეხასელმა, - თავად ბრძანეთ, არ ღირს ეს ცხენი თხუთმეტი დოლარი? თხუთმეტი დოლარად ამდენ დინამიტს სად იშოვი კაცი? რომელსაც გინდათ დაადევით ხელი - ერთ მილს სამ წუთში გაირბენს; შეგიძლიათ სამოვარზე გააგდოთ და მერე თვითონ ირჩენს თავს; შეგიძლიათ მთელ დღეს ამუშაოთ, ოღონდ ხელნა შემოჰკარით ხოლმე ხშირ-ხშირად გოგრაში და, ორი დღეც არ გაივლის, სულ მოთვინიერდება, ჯოხით მოგიხდებათ ღამღამობით სახლიდან გამოდენა, ვითომ კატა ყოფილიყოს. - კოლოფიდან ერთი ნამცხვარიც გადმოიპირქვავა და შეჭამა. - მიდი, ეკ. დაიწყე ვაჭრობა! აბა, იძლევი ამ ცხენში ათ დოლარს, ეკ?

- რად მინდა ისეთი ცხენი, მარტო დათვის ხაფანგით რომ დაიჭირება? - თქვა ეკმა.

- ვერ შეხედე, ამწუთას როგორ დავიჭირე?

- შეხედვით კი შევხედე, - უთხრა ეკმა, - ოღონდ არ მჭირდება ისეთი საქონელი, რამდენი მის გვერდით დავრჩები, ნამდვილი ომი რომ უნდა გავუმართო ყოველთვის.

- კარგი, - თქვა ტეხასელმა. ჯერაც ქლოშინებდა, ოღონდ დაღლის და დაძაბულობის ნატამალიც აღარ ეტყობოდა. კოლოფიდან ერთი ნამცხვარი კიდევ გადმოიბერტყა და ულვაშქვეშ გადაუძახა. - კარგი. მინდა ბარემ დაიწყოს ვაჭრობა. ხომ ვერ ჩამოგისახლდებით ამ თქვენს ნაქებ მხარეში. მიჩუქნია შენთვის ეს ცხენი.

წამით ყველანი გაინაზნენ, მარტო ტეხასელის სუნთქვა ისმოდა.

- მჩუქნით იმ ცხენს? - იკითხა ეკმა.

- ჰო, ოღონდ შემდეგს შენ უნდა დაადო ფასი.

ირველივ ჩქამიც არ ისმოდა, გარდა ტეხასელის სულისთქმისა, და კიდევ მისის ლიტლჯონმა ვედრო მიახალა ქვაბის კიდეს.

- მე ფასს ვიტყვი მხოლოდ, - თქვა ეკმა. - ოღონდ ცხენის ყიდვის ვალდებული არ ვიქნები, თუკი სხვამ არავინ მოინდომა ფულის მოცემა.

ახალი ფურგონი მოადგა იქაურობას. შეუღებავი იყო, დანჯღრეული. ერთი თვალი მანებზე წვრილი მავთულით ჯვარედინად აკრული ფიცრებით გაემაგრებინათ, გამძვალტყავებულ ჯორებს დაგლეჯილი, ბამბის თოკით გადანასკვული მოსართავები ეკეთათ. სადავედაც ორი დამენძილი თოკი შეებათ. ფურგონში ისხდნენ რუხი ფერის, ტომარასავით ჩამოფართხუნებული კაბით და გამოხუნებული ქუდით მოსილი დედაკაცი და გახუნებულსავე დაბებვილ, ოღონდ სუფთა კომბინეზონში გამოწყობილი მამაკაცი. ქუჩაში გასასვლელი არსად იყო, კაცმა ფურგონი შუა გზაზე მიატოვა, ჩამოხტა და ღობისკენ წამოვიდა ტანმორჩილი, გალუული, თვალეებში რაღაც საწუხარი უკრთოდა ბუნდოვნად და თან დამაბულად, ხალხის გროვაში გზას მიიკვლევდა და თან კითხულობდა:

- რა ამბავია? რა ხდება? მართლა ცხენი აჩუქეს?

- მოდის, - თქვა ტეხასელმა. - ეს საღარი, კისერზე ნაიარევი ცხენი შენია. ახლა ის ბრძანე, აი, იმ ნიშა ცხენში რას მომცემდი, ეგერ, ფქვილიან კასრში რომ წაუყვია თავი? რამდენს მომცემდი? ათ დოლარს?

- მართლა აჩუქეს ცხენი? - ხელახლა იკითხა ახალმოსულმა.

- დოლარს, - თქვა ეკმა.

ტეხასელს სალაპარაკოდ გაღებული პირი ღიადვე დარჩა: მკაცრთვალემა სახე ფერნაქცევი შეექნა ანაზდად.

- ერთ დოლარსო? მარტო ერთ დოლარს? ხომ არ მომეყურა?

- კარგი, ჯანდაბას მაგის თავი, - თქვა ეკმა. - ორი დოლარი, ოღონდ მე არ...

- მომითმინე ერთი, - თქვა ახალმოსულმა. - ჰეი, თქვენ მანდ, ბოძზე გასულო!

ტეხასელმა თავი მისკენ მოატრიალა. სხვებიც შემობრუნდნენ და დაინახეს, რომ ქალიც ჩამომბტარიყო ფურგონიდან, თუმცა აქამდე აზრადაც არ ჰქონდათ მისი ფურგონში ყოფნა, რადგან ფურგონის მოსვლა ვერც კი შეეტყვოთ. ქალმა ჭიშკარს მოატანა და მისავეებული თავის კაცს ამოუდგა უკან მოფლოხვებული კაბით, ქუდით და ტილოს ჭუჭყიანი ფლოსტებით მოსილი. თავის კაცს მიეახლა, ოღონდ არ შეხებია, ზურგს უკან ამოუდგა და ხელეები თალხი წინსაფრის ქვეშ ამოიღო.

- ჰენრი, - უნიათო ხმით აღმოთქვა ქალმა.

კაცმა მხარს ზემოთ გადმოხედა.

- მიბრუნდი ფურგონში, - უთხრა ქალს.

- მომისმინეთ, ქალბატონო, - თქვა ტეხასელმა. - მის დღეში რაც კი რამე უყვია ჰენრის, ახლა იყიდის საუკეთესოს. ეჭვი, ბიჭებო, გამოატარეთ დიასახლისი, ყველაფერი რომ დაინახოს. ჰენრი ახლა ისეთ ცხენს შეარჩევს, როგორზეც დიდი ხანია ოცნებობს მისი მეუღლე. ვინ იძლევა ათ...

- ჰენრი, - თქვა ქალმა. ხმა არ აუმაღლებია. ტეხასელისთვის ერთხელაც არ შეუხედავს. ქმარს სახელოში მოჰკიდა ხელი. კაცი შებრუნდა და მისი ხელიმოიშორა.

- ფურგონში მიბრუნდი-მეთქი, გითხარი.

ქალი მის ზურგს უკან იდგა. ხელები წინსაფარქვეშ შეემალა ისევ. არავის უმზერდა, მისი ნათქვამიც არავის მიემართებოდა.

- ვითომ ცოტა გვექონდეს თავსატეხი, ცხენის ყიდვას ეპირება ახლა, - თქვა ქალმა. - ხუთად ხუთი დოლარი გვაშავია, მერე თუ გინდა სამოწყალოდ შეგვექნია საქმე. ვითომ ცოტა გვექონდეს თავსატეხი.

კაცი შებრუნდა, სახეზე რაღაც უცნაურად აღბეჭდვოდა დაოკებული, მინავლული სიმმაგე. სხვანი მესერს მისდგომოდნენ პირქუშნი და გულგრილნი. მისის ლიტლჯონი აქამდე სარეცხს ხეხავდა ფიცარზე, თანაბრად ირწეოდა ქაფმომდგარ ვარცლთან. ახლა გაიმართა, ქაფით გადათეთრებული ხელებით დოინჯი შემოიყარა და ბაკში ცხენებს დააშტერდა.

- ენა ჩაიგდე და მიბრუნდი ფურგონში, - თქვა კაცმა. - თორემ ჯოხით გაგაგდებ აქედან, - შემობრუნდა და ტეხასელს შეხედა. - აბა, აჩუქეთ ის ცხენი?

ტეხასელი ქალს უმზერდა. მერე ქმარს მოაშტერა თვალი; თვალმოუშორებლად გადმოაპირქვა კოლოფი. ხელისგულზე უკანასკნელი ნამცხვარი ჩამოუვარდა.

- დიახ, - უთხრა მან.

- ჰოდა, ვინმემ მეტი რომ შემოგადლიოთ, ის პირველი ცხენი იმას დარჩება?

- არა, - უთხრა ტეხასელმა.

- ასე, - თქვა ჰენრიმ. - ჰოდა, ვინც შემდეგ ცხენს დაადებს ფასს, ერთს კიდევ მუქთად მიიღებს?

- არა, - უთხრა ტეხასელმა.

- კი, მაგრამ, თუკი მუქთად იმიტომ მიეცით ცხენი, ვაჭრობა რომ დაგეწყოთ, რატომ იმას აღარ დაელოდეთ, რომ ყველანი შეგვკრებილიყავით?

ტეხასელი შებრუნდა. დაცლილი კოლოფი თვალთან მიიტანა და ფრთხილად ჩაიჭვრიტა, თითქოს შიგ რაიმე ძვირფასი ნივთი ან შხამიანი მწერი ყოფილიყოს. მერე კოლოფი მოჭმუჭნა და იმ ბოდის ძირას მიაგდო, თავად რომ იჯდა.

- ეკი ორ დოლარს იძლევა, - თქვა მან. - ეტყობა, მაგას ჰგონია, ცხენს კი არ ვევაჭრები, ცხენის კისერზე გამობმულ მავთულსო. რას იზამ, ორსაც გამოგართმევთ, მაგრამ, ბიჭებო, ნუთუ თქვენ...

- ასე გამოდის, რომ ეკს მოუნდომებია ორი ცხენი ჩაიგდოს ხელში თითო დოლარად, - თქვა ჰენრიმ. - სამი დოლარი!

ქალმა სახელოზე მოქაჩა. ამან შეუბრუნებლად მოიშორა მისი ხელი და ქალი ისევ ადგილზე გაშეშდა წინსაფარქვეშ ხელეზამოწყობილი. მზერით არავის უმზერდა.

- ხალხო, - თქვა ქალმა. - ჩვენი შვილები მთელ ზამთარს ფეხშიშველა დატანტალებდნენ. საქონლისთვისაც ვერაფერი გვიქმევია. ხუთად ხუთი დოლარი გვაქვს, იმის საშოვნელად კერის პირას ვქსოვდი ღამდამობით. ვითომ ცოტა გვქონდეს თავსატეხი...

- ჰენრი სამ დოლარს იძლევა, - თქვა ტეხასელმა. - ერთი დოლარიც დაუმატე, ეკ, და ცხენი შენ დაგრჩება.

ანაზღად ცხენები ადგილს მოსწყდნენ რატომღაც და მაშინვე ისევ შეჩერდნენ, მესერს გადმოღმა ხალხისკენ გამომზირალნი.

- ჰენრი, - თქვა ქალმა. მისი ქმარი ეკს მიმტერებოდა. ზედა ტუჩი აუთრთოლდა და ჩაყვითლებული ჭიანი კბილები გამოუჩნდა. გახუნებული მოკლე სახელოებიდან გამოშვერილი ხელები დაემუშტა.

- ოთხი დოლარი, - თქვა ეკმა.

- ხუთი დოლარი! - თქვა ჰენრიმ და მომუშტული ხელი შემართა. ზედ ბოძამდე გაიკაფა გზა. ქალი არ გაჰყოლია. ახლა პირველად შეხედა ტეხასელს. წყლისფერ-მონაცრისფრო თვალები ჰქონდა თავისივე კაბასავით და ჩაჩვიტ გამოხუნებული.

- მისტერ, - თქვა ქალმა. - იმ ხუთ დოლარს თუ წაგვართმევთ, ჩემი შვილებისთვის რომ ვიშოვე ღამეების მტეხელმა, დაგწყევლით ღმერთი თქვენ და მთელ თქვენს ოჯახს უკუნითი უკუნისამდე.

- ხუთი დოლარი! - შეჰყვირა ჰენრიმ. წინ გავარდა და მომუშტული ხელით ტეხასელს მუხლამდე ასწვდა. მუჭი გაშალა და გაცრეცილი ქალაღებისა და ვერცხლის ხურდა ფულის გროვა შეაწოდა. - ხუთი დოლარი! ვინც დაუმატოს, ჯერ თავი გამიხეთქოს, ან მე გავუხეთქავ თვითონ.

- მოდის, - თქვა ტეხასელმა. - ხუთი დოლარი. გაყიდულია. ოღონდ ნუ მეჯიკავებით მაგ მუშტით.

დღის ხუთ საათზე ტეხასელმა მესამე კოლოფი მოჭმუჭნა და გადააგდო. წითელი მზე უკვე დასალიერისკენ დაქანებულიყო და დამრეცი სხივებით აშუქებდა მისის ლიტლჯონის ეზოში გაფენილ თეთრეულს. ბოძის ჩრდილი ზედ გადამჯდარი ტეხასელის ჩრდილითურთ შორს ეცემოდა ბაკში, სადაც

დროდადრო, უმიზნოდ და მოუღლელად, თითქოს ტალღებიაო, ცხენები გადაიჯირითებდნენ ხოლმე. ტეხასელმა ცალი ფეხი გამართა, ხელი ჯიბეში ჩაიყო, ხურდა ფული ამოიღო, გადმოიხარა და ბიჭუნას გაუწოდა. ხმა ჩახლეჩოდა, დაოსებოდა.

- აბა, ბიჭიკო, - უთხრა, - დუქანში გადაირბინე და ერთი კოლოფი ჯანჯაფილის ნამცხვარი მიყიდე.

ხალხი ისევ ისე იყო მესერთან მომდგარი - კომბინეზონთა და ხალათთა მოუშლელ კედლად. ახლა ფლემ სნოუპსიც იქ იდგა, თითქოს მიწიდან ამოზრდილი, სულ ახლოს მიმდგარიყო მესერთან შეუვალი სიცარიელითგარემოცული, მისგან აქეთ-იქით სამი თუ ოთხი კაცის ადგილი კიდევ რჩებოდა. იდგა და თამბაქოს ღეჭავდა, იგივე რუხი ფერის შარვალი ეცვა და პაწაწინა, ბანტად შეკრული ჰალსტუხი ეკეთა, კეპი ახალი ეხურა, ისიც ძველისნაირად რუხი ფერისა, ოღონდ ამჯერად კუბოკრული, გოლფის მოთამაშენი რომ ატარებენ, ისეთი. ცხენებს გასცქეროდა. იმ ცხენებიდან ორის გარდა უკვე ყველა გაყიდული იყო სამ-ნახევრიდან თერთმეტ თუ თორმეტ დოლარამდე ფასად. მყიდველნი თითქოს უნებურად ცალკე ჯგუფად გამოყოფილიყვნენ ჭიშკარს იქითა მხარეს, იდგნენ, მესრის ზედა ლატანზე ხელები ჩამოეწყობთ და უფრო დინჯად აკვირდებოდნენ თავ-თავიანთ ცხენებს - ზოგიერთი მათგანი აგერ უკვე შვიდი თუ რვა საათი სრულდებოდა, რაც ცხენის მფლობელი შექნილიყო, მაგრამ აქამდე ვერ მოეხერხებინა თავისი ნავაჭრის წაყვანა. ჰენრი ზედ იმ ბოძთან იდგა, ტეხასელს რომ შეერჩია დასაჯდომად. მისი ქალი წასულიყო და ფურგონში იჯდა ერთიანად ფერდაკარგული, უძრავი, უსიცოცხლო, უცხო, სადღაც აქაურობის მიღმა იცქირებოდა და დრო თითქოს არც არსებობდა მისთვის.

- მე ცხენი მიყიდია და ფულიც მიმიცია, - თქვა ჰენრიმ. მასაც ჩახლეჩოდა და დაოსებოდა ხმა, თვალთა შემლილი კიაფი ჩასცხრობოდა, იტყოდით, სინათლე ჩაუქრაო. - ჰოდა, თქვენ ის გინდათ, აქ ვიყურეუტო და ვაჭრობის დამთავრებას ველოდო ჩემი ცხენის წასაყვანად? არა, ბატონო, ასემც გიქნიათ, ხვალამდე აქ მდგარხართ. მე ჩემსას წავიყვან და გავწევ სახლისკენ.

ტეხასელმა ბოძიდან გადმოხედა. ხალათი ოფლით დასველებოდა. ფართო სახე ცივი და აუძღვრეველი ჰქონდა, ხმა დინჯად უჟღერდა.

- რაკი ასეა, წაიყვანეთ!

ჰენრიმ დაახანა და შეტრიალდა. თავი ჩაქინდრა და ასე იდგა დროდადრო ნერწყვის მელაპველი.

- ესე იგი, თქვენ არ დაიჭერთ ამ ცხენს?

- ჩემი ხომ არაა ის ცხენი, - ისევ დინჯად უთხრა ტეხასელმა. მცირე ხნის შემდეგ ჰენრიმ თავი ასწია. ტეხასელს არ უყურებდა.

- რომელი დამაჭერინებთ ჩემს ცხენს?

პასუხი არავის გაუცია. მესერთან იდგნენ და ხმის გაუღებლად გასცქეროდნენ ბაკს, სადაც ცხენები შექუჩულიყვნენ და სახლის გრძელ, ჩამუქებულ

ჩრდილში ისერიგად აღარ ელვარებდნენ. სამზარეულოდან შემწვარი შაშხის სურნელმა გამოაღწია. ბელურების მოჭივჭივე გუნდი ბაკს გადაეწო და სახლის გვერდით მდგარ ხეს შემოაფრთხილდა, ცის ნაზ, მჭვირვალ სილურჯეში მერცხლები კამარას ჰკრავდნენ და ისევ ძირს ეშვებოდნენ არეულად მოხმინენი, თითქოს ვიღაც სიმებს ჩამოჰკრავდა ხოლმე ალაღბედაც. ჰენრი არ შებრუნებულა, ისე თქვა მაღალ ხმაზე:

- შენ, ეი, თოკი მომიტანე.

მცირე ხნის შემდეგ მისი ცოლი ამოძრავდა, ფურგონიდან ჩამოვიდა, ახალი ბამბის ბაჭრის შეკვრას დასწვდა და ქმარს მიეახლა. იმან თოკი აიღო და ჭიშკრისკენ წავიდა. ჰენრი რომ ურდულს მიეტანა, ტეხასელმა ბოძიდან ჩამოსვლა დაიწყო ნელ-ნელა.

- შემომყევი, - უთხრა ცოლს ჰენრიმ.

ქალი სწორედ იქ იდგა, სადაც ქმარმა თოკი ჩამოართვა. ახლა გააბიჯა მორჩილმა, წინსაფარქვეშ ხელებდაკრეფილმა, და ტეხასელს ისე ჩაუარა, არც შეუხედავს მისთვის.

- ნუ შეხვალთ შიგნით, ქალბატონო, - უთხრა ტეხასელმა.

ქალი შეჩერდა, მას არ უმზერდა, არც საერთოდ უმზერდა რაიმეს. მისმა ქმარმა ჭიშკარი გამოაღო, შევიდა და მობრუნდა, ჭიშკარი ღია დატოვა, ოღონდ შუბლი არ აუწევია.

- შემომყევი, - უთხრა ცოლს.

- აჯობებს, არ შეხვიდეთ შიგნით, ქალბატონო, - ხელახლა უთხრა ტეხასელმა. ქალი უძრავად იდგა მათ შორის, სახე თითქმის არ უჩანდა ქუდქვეშ, ხელები მუცელზე დაეკრიფა.

- არა, ჯობია შევიდე, - თქვა ქალმა. დანარჩენი არც მას უყურებდნენ, არც ჰენრის, მესერს მისდგომოდნენ მდუმარენი, ვითომ გულგრილნი, ლამის გახევებულნი. მერე ქალი ბაკში შევიდა. ქმარმა ჭიშკარი მიიკეტა, შებრუნდა და იქით გაემართა, სადაც ცხენები შეჯგუფულიყვნენ, ხოლო მისი ცოლი ფეხდაფეხ მისდევდა თავისი მოფლახვებული სამოსით, იტყოდით, ფეხს არც აბიჯებს, თითქოს მოძრავ ბაქანზე ან ტივზე შემდგარაო. ცხენები ამათ გამოჰყურებდნენ. ერთიმეორეს ეკვროდნენ, ცქმუტავდნენ და ადგილზე იტკეპნებოდნენ, გასავარდნად თითქოს მზადმყოფნი მაინც არსაით მიჰქენაობდნენ. ჰენრიმ შეუყვირა. მერე გინებ-გინებით დაიწყო მიახლოება. ცოლი ფეხდაფეხ მისდევდა. ანაზდად რემა დაიფანტა, თავიანთ შხვართ ფეხებზე შემდგარმა ცხენებმა ცოლ-ქმარს გვერდი უქციეს და გაქროლდნენ. გარნა ბაკის მეორე ბოლომდე მიჰქენებულნი ხელახლა რომ მოქუჩდნენ, ცოლ-ქმარი ისევ მიეტანა.

- აგერ, ისაა, - თქვა ქმარმა. - აქეთ მოადენე, კუთხეში. - ცხენები მიმოიფანტნენ, ჰენრიმ რომ იყიდა, ის ცხენი ლამის მუხლგაუხრელად გაჰქნდა. ქალმა შეუყვირა. ცხენი შეტრიალდა, პირდაპირ ჰენრის ებგერა, მან თოკის გორგალი უცხუნა დრუნჩზე. მაშინ ცხენი შეტორტმანდა და მესერს

კუთხეში მიიყუჩა. - არ გამოუშვა მაქედან, - თქვა ქმარმა. გზადაგზა თოვს შლიდა. ცხენი ველური, მოკიაფე თვალებით გამოსცქეროდა. მერე ისევ მოსწყდა ადგილს და ქალზე წამოვიდა. ქალმა შეჰყვირა და ხელები აუქნია, მაგრამ ცხენი ერთი ნახტომით თავს გადაეწვლო და რემას შეერია. ესენი ფეხდაფეხ მიჰყვნიენ და მეორე კუთხეში მიიმწყვდიეს, გარნა ქალმა ვერცამჯერად გადაულობა ცხენს გზა, მაშინ ქმარი შემობრუნდა და ცოლს აკეცილი თოვი გადაუჭირა. - რატომ არ შეაჩერე? - უთხრა. - რატომ არ შეაჩერე? - კიდევ მოუნაცვლა თოვი. ქალი არც შერხეულა, ხელიც კი არ აუშართავს თავის დასაცავად. მესერს მოჯარული ხალხი უჩუმრად, თვალეზახრილი იდგა, ფეხქვეშ მიწას ჩასცქეროდნენ ჯიუტად. მხოლოდ ფლემ სნოუჰსი განაგრძობდა ბაკისკენ ყურებას, - თუკი საერთოდ იყურებოდა იქით, - გაკიდევანებულად იდგა, თითქოს უკაცურ კუნძულზე ყოფილიყოს, ახალი კუბოკრული კეპი ეხურა და თავისებურად იდექებოდა ყბის აქეთ და იქით მქნეველი.

ტეხასელმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად რაღაც თქვა ჩუმი, ჩახლეჩილი ხმით. ჭიშკარი შეალო, კაცთან მივიდა და ზეაწეული ხელიდან თოვი გამოგლიჯა. ის ფიცხლად შემოუბრუნდა, თითქოს უნდა დაეტაკოსო, მუხლებში მოიხარა, ხელები გაფარჩხა, ოღონდ ტეხასელის პაჭიჭებს თვალი ვერ ააცილა. მაშინ ტეხასელმა ხელი ჩასჭიდა და ჭიშკრისკენ წამოუძღვა, ხოლო ქალი მათ მოჰყვა, და, როცა გამოვიდნენ, ტეხასელმა შეიცადა, ვიდრე ქალიც გადმოსცილდებოდა ჭიშკრას, და მერე მიკეტა. მერე ჯიბიდან ფულის დასტა ამოიღო, ერთი ქალაღი შეარჩია და ქალს ჩაუდო ხელში.

- ჩააჯინეთ ფურგონში და შინ წაიყვანეთ, - უთხრა.

- ვითომ რატომო? - თქვა ფლემ სნოუჰსმა. ამასობაში ჭიშკართან მოსულიყო და იმ ბოდთან იდგა, რომლიდანაც ტეხასელი ჩამოცოცდა წელან. ტეხასელი მას არ უმზერდა.

- მაგას ჰგონია, - ცხენი ვიყიდეო, - თქვა ტეხასელმა. ყრუდ მეტყველებდა, ძლივს გასაგონად, თითქოს დიდ ნარბენალზე, - წაიყვანეთ, ქალბატონო.

- დაუბრუნე მაგ ფული, - რაღაც უსიცოცხლო, მილეული ხმით უთხრა ქმარმა. - ცხენი მიყიდა კიდევ და წავიყვან, თუ გინდა ტყვიის სროლა დამჭირდეს თოვის ჩაბმამდე.

ტეხასელმა ზედაც არ შეხედა.

- წაიყვანეთ აქედან, - თქვა.

- დაიბრუნეთ თქვენი ფული, მე ჩემს ცხენს წავიყვან, - უთხრა ჰენრიმ. ნელი, დაუცხრომელი ცახცახით თრთოდა, თითქოს შემცივნიული ყოფილიყოს. ხალათის შემოცვეთილ სახელოთაგან გამოშვერილი მუშტები კრუნჩხვით ემუჭებოდა და ეშლებოდა. - მომეცი აქ ფული, - უთხრა ცოლს.

- თქვენ ჩემგან არაფერი ცხენი არ გიყიდათ, - თქვა ტეხასელმა. - წაიყვანეთ შინ, ქალბატონო.

ჰენრიმ გატანჯული სახე ასწია, თვალები შეშლილს უგავდა, მზერა ჩაჰქრობოდა. ხელი გაუწოდა, ქალს ფული ორივე ხელით ჩაებლუჯა მუცელთან. ქმრის მოცახცახე ხელი დიდხანს ეპოტინებოდა. ბოლოს გამოგლიჯა ფული.

- ჩემია ის ცხენი, - თქვა ჰენრიმ. - მე ვიყიდე. აგერ არიან მოწმეები. ფულიც გადავიხადე. ჩემი ცხენია. აჰა. - შებრუნდა და ფული სნოუპსს გაუწოდა. - თქვენ რაღა გესაქმებათ ამ ცხენებთან. მე ვიყიდე ცხენი. აი ფული, ვიყიდე მე. აგერ, იმას ჰკითხეთ.

სნოუპსმა ფული გამოართვა. ხალხი მესერთან მიმდგარიყო, პირქუშნი იყვნენ, გულგრილნი, ვითომ ვერაფერს ამჩნევდნენ. მზე ჩაიწურა; ახლა იასამნისფერი ჩრდილებილა დაცოცავდა ბაკში, სადაც, კაცმა არ იცის რატომ, ხელახლა აწრიალებულიყვნენ და დათქარუნობდნენ ცხენები. მკვირცხლმა და დაუზარელმა ბიჭუნამ ნამცხვრის ახალი კოლოფი მოარბენინა. ტეხასელმა ჩამოართვა, ოღონდ მაშინვე არ გაუხსნია. თოკი მიწაზე დააგდო, ჰენრი დაიხარა და აღებამდე კარგა ხანს აფათურებდა ხელს. ახლა თავჩაქინდრული იდგა, თოკი ისე მაგრად ჩაებლუჯა, თითები გასთეთრებოდა. ქალი არ ირხეოდა. მწუხრი სწრაფად წვებოდა, მაღლა, ლურჯ, ბინდგადაკრულ ზეცაში უკანასკნელად აიჭრნენ მერცხლები. ტეხასელმა კოლოფს ძირი ააგლიჯა და ხელისგულზე ერთი ნამცხვარი გადმოაპირქვავა; გეგონებოდათ, ყურადღებით აკვირდებოთ თავის ხელს, რომელიც ნელინელ მოიმუშტა, ვიდრე თითებს შუა წვრილ-წვრილი, თამბაქოსფერი ფხვნილი არ წამოცვივდა. ხელი გულდასმით შეაწმინდა შარვალს, თავი ასწია, თვალით ბიჭუნა იპოვა და კოლოფი უბოძა.

- აიღე, ბიჭიკო, - უთხრა. მერე ქალს შეხედა და ისევე ყრუდ, ძლივს გასაგონად თქვა: - ხვალ მისტერ სნოუპსი დაგიბრუნებთ თქვენს ფულს. ახლა კი ფურგონში ჩააჯინეთ და შინ წაიყვანეთ. არაფერი ცხენი მე მაგისთვის არ მიმიყიდია. ფულს ხვალ მიიღებთ მისტერ სნოუპსისგან.

ქალი შეტრიალდა, ფურგონისკენ წავიდა და ზედ აძვრა. თვალი არავის გაუყოლებია, ქმარსაც კი, რომელიც ისევ ისე იდგა თავდახრილი და თოკს უმიზნოდ ინაცვლებდა ხელიდან ხელში. ყველანი მესერს მიყრდნობილნი იდგნენ, პირქუშნი და მდუმარენი, თითქოს სხვისი მიწის, სხვა ეპოქის საზღვართან ყოფილიყვნენ.

- რამდენი დაგრჩათ კიდევ? - იკითხა სნოუპსმა. ტეხასელი გამოცოცხლდა; სხვებიც გამოცოცხლდნენ, ახლოს მოდგნენ, ყური მიუგდეს.

- ახლა სამი დამრჩა, - თქვა ტეხასელმა. - სამივეს გადავცვლიდი ეტლში ან...

- ეტლი გზაზე დგას უკვე, - კაცმა რომ თქვას, ერთობ მოჭრით, ერთობ აჩქარებულად უთხრა სნოუპსმა და შებრუნდა. - მოიყვანეთ თქვენი ჯორები.

და წავიდა. ყველანი უმზერდნენ, როგორ გამოაღო ტეხასელმა ჭიშკარი და ბაკი გადაიარა. ცხენები ისევ დაფრთხნენ, ოღონდ ძველებურად აღარ გაშმაგებულან, თითქოს იმათაც არაქათი გამოსცლოდათ და ღონე გამოლეოდათ ამ გრძელი დღის მანძილზე. ტეხასელი თავლაში შევიდა

დაიქიდან გამობრუნებულმა ორი დასადავებელი ჯორი გამოიყვანა. თავლის გვერდით ფურგონი იდგა გადმოხურულს ქვეშ. ტეხასელი ფურგონში შეიმალა, უმაღვე უკან გამოძვრა, თან დაგორგლილი ლოგინი და პალტო გამოიყოლა, და ჯორები ჭიშკრისკენ წაასხა, ხოლო ცხენები ისევ შეჯგუფულიყვნენ და თავიანთი ნაირფერი თვალებით გამოსცქეროდნენ, ახლა სულ დამცხრალიყვნენ, თითქოს იმასაც მიხვედრილიყვნენ - კი არ დავზავდით მხოლოდ ჩვენ და ტეხასელი, ჩვენს სიცოცხლეში მეტს ვედარასოდეს შევხვდებითო ერთმანეთს. ვიღაცამ ჭიშკარი გამოაღო. ტეხასელმა ჯორები გამოიყვანა, ყველანი უკან მიჰყვნენ და დახურულ ჭიშკართან ჰენრი მარტო მიატოვეს. ჰენრი ისევ ისე იდგა თავჩაქინდრული, თოკით ხელში. მათ გვერდით ჩაუარეს ფურგონს, რომელშიც მისი ცოლი იჯდა - რუხი და უმოდრაო, ბინდს შერთული, არსაით მაცქერალი; ჩაუარეს თოკს, რომელზეც სველი თეთრეული შრებოდა, განვლეს მისის ლიტლჯონის სამზარეულოდან მოდენილი მწვავე და ცხელი სურნელი. შუკის ბოლოში რომ გავიდნენ, მთვარე ამოვიდა, თითქმის სავსე იყო, ვეებერთელა, მქრქალი, შუქს არც აფენდა დღის ნათელშერჩენილ ცას. სნოუჰისი ცარიელ ეტლთან დამდგარიყო. ეს ის მზინავბორბლებიანი და ფოჩმოვლებული ეტლი იყო, რომლითაც ისა და ბილ უორნერი მგზავრობდნენ ხოლმე ჩვეულებრივ. ტეხასელიც შეჩერდა და სნოუჰისს მიაცქერდა.

- ასე და ამრიგად, - თქვა მან. - აი, როგორი ყოფილა თურმე.

- თუ არ მოგწონთ, ჯორზე გადამჯდარი ჩაბრუნდით ტეხასში, - უთხრა სნოუჰისმა.

- რაც არის, არის, - თქვა ტეხასელმა. - ოღონდ მაშინ ყურთუკის ბალიში ან, სხვა თუ არაფერი, მანდოლინა მაინც უნდა მქონდეს.

ჯორებს უკან დაახევინა, ხელნებშუა შეაყენა და საკისრულს დასწვდა. ორი კაცი მიეახლა და ღვედები ამოუჭირა. ყველანი შესცქეროდნენ, როგორ ჩაჯდა ტეხასელი ეტლში და სადავე აიკრიფა.

- ახლა საით? - შეეკითხა ერთი. - სახლისკენ, ტეხასში?

- ამ ურიკათი? - თქვა ტეხასელმა. - პირველსავე ტეხასურ სამიკიტნოში, თვალს მოჰკრავენ თუ არა, მაშინვე სიფხიზლის კომიტეტს შემიყრიან. თანაც ისიც არ მინდა, რომ ასეთი სილამაზე ტყუილუბრალოდ ჩაიკარგოს ტეხასში - ეს მორთული თავი და ეს საიასალო თვლები. რაკი ასე შორს შემოვებეტე, ერთი-ორი დღით ავივლი ჩრდილოეთის ქალაქებისკენ - ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, ბალტიმორში. საითაა აქედან მოკლე გზა ნიუ-იორკისკენ?

ეს არავინ იცოდა, ოღონდ ის კი აუხსნეს, ჯეფერსონამდე როგორ უნდა ჩასულიყო.

- ასე იარეთ, პირდაპირ, - უთხრა ფრიმენმა. - გზას მიჰყევით და სკოლას ჩაუარეთ.

- კარგი, - თქვა ტეხასელმა. - ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ იმ ცხენებს ხშირ-ხშირად უნდა მიაფეთოთ ხოლმე, სანამ შეგეჩვოდნენ. მაშინ დამჯერები შეიქნებიან.

ისევ აიკრიბა სადავე, სნოუპსი მოვიდა და ეტლში ჩაუჯდა.

- უორნერის სახლამდე გამოგყვებით, - უთხრა.

- მე არც კი ვიცოდი, იმის სახლისთვის თუ უნდა ჩამევილო, - თქვა ტეხასელმა.

- ამ გზითაც ჩაისვლება ქალაქში, - უთხრა სნოუპსმა. - წავედით.

ტეხასელმა სადავეს გამოჰკრა. მაგრამ უცებ შეაჩერა ჯორები.

- ო-ო! - ფეხი გამართა და ჯიბეში ჩაიყო ხელი. - აბა, ბიჭიკო, - უთხრა ბიჭუნას. - დუქანში გაიქეცი და მიყიდე... თუმცა კარგი, არ მინდა. გავჩერდები და მე თვითონ ვიყიდი, სულერთია გზად უნდა ჩავიარო. აბა, კარგად, მეგობრებო, - გადმოსძახა. - არ მოიწყინოთ.

ჯორები შეაბრუნა. ეტლი დაიძრა. ყველანი თვალს მიაყოლებდნენ.

- ისე, ეტყობა, სულ სხვა მხრიდან აპირებს მიადგეს ჯეფერსონს, - თქვა ქვიკმა.

- ჯეფერსონამდე შემჩატებული ჩავა, - თქვა ფრიმენმა. - ასე რომ, რომელი მხრიდანაც გინდა, არ გაუჭირდება მიდგომა.

- კი, - თქვა ბუკრაიტმა. - ჯიბე მაინცდამაინც არ უჩხრიალდება.

ისევ ბაკისკენ მიბრუნდნენ ორ რიგად ჩამწკრივებულ უძრავ ფურგონებს შორის, დაუყვნენ ვიწრო გასასვლელს, რომლის ბოლოც ფურგონით იყო გადახდიული და იმ ფურგონში ქალი იჯდა. მისი ქმარი ჯერაც ჭიშკართან იდგა თოკით ხელში. ამასობაში ღამე ჩამოწვა. მაინც თითქმის ისეთივე ნათელი იდგა; კაცმა რომ თქვას, შუქი კიდევ გამკვეთრდა, ოღონდ არამიწიერი, მიღმური, მთვარისეული სიმკვეთრე შეეძინა, და ახლა, ისინი რომ მესერთან იდგნენ, ცხენტა დაფორეჯებული ზურგები ცხადად ჩანდა და თითქოს კიდევ ანათებდა, ოღონდ ერთიმეორეს დამსგავსებოდა - ესენი უკვე ცხენები აღარ იყვნენ, ძვალთა და ხორცთაგან შეთხზული არსებანი აღარ იყვნენ, და ძნელი წარმოსადგენიც იყო, რომ მათ შეეძლოთ ტოტთა ცემა და კაცის დაშავება, დასისხლიანება და ვნება ვისიმე.

- ჰო, რაღას ელოდებით? - თქვა ფრიმენმა. - სანამ დასადინებლად არ დაწოლილან?

- მე მგონია, ბაწარი უნდა ვიქონიოთ. ყველამ, - თქვა ქვიკმა. - ჰეი, თქვენ, თოკები წამოიღეთ.

ოღონდ ყველას არ აღმოაჩნდა თოკი. ზოგი მათგანი დილით ისე გამოსულიყო შინიდან, ცხენების ყიდვა-გაყიდვის ამბავი არც სმენოდა. ისე, შემთხვევით შემოევლოთ ფრანგისხევში, ეს ამბავი შეეტყოთ და დარჩენილიყვნენ.

დუქანში გაიარეთ და იყიდეთ, - ფრიმენმა თქვა.

- დუქანი უკვე დაკეტილია, - თქვა ქვიკმა.

- არაა დაკეტილი, - თქვა ფრიმენმა. - დაკეტილი რომ იყოს, ლემპ სნოუპსი აქ იქნებოდა ახლა.

ვიდრე თოკის მქონენი ფურგონებიდან იღებდნენ თოკებს, დანარჩენებმა დუქანს მიაშურეს. მედუქნე ის-ის იყო კეტავდა.

- აბა, ჯერ არ შესდგომიხართ დაჭერას? - თქვა მან. - ჩინებულია, თორემ მე ვშიშობდი - დროზე ვერ მივუსწრებ-მეთქი.

ისევ გააღო კარი, საიდანაც ყველის, ტყავისა და ბადაგის დაგუბებული, მძაფრი სუნი გამოიჭრა, თოკის ნაჭრები გადმოუზომა, მერე ყველანი მედუქნის ირგვლივ შემოხვეულნი გამობრუნდნენ, თან შეუჩერებლად მოლაპარაკობდნენ, თუმცა მედუქნე მათ არ უსმენდა. მისი ლიტლჯონის სახლთან მდგარი მსხლის ხე თითქოს მთვარისეული ვერცხლიდან ყოფილიყოს ჩამოსხმული, ისევ ის ჯაფარა თუ რომელიღაც სხვა უკვე გალობდა, ხოლო მესერზე რეტლიფის ცხენები იყო მიბმული და მისი ფურგონიც იქვე იდგა.

- მეც არ ვთქვი - რა მაკლია-მეთქი მთელი დღეა? - თქვა ერთმა. - რეტლიფი არ ჩანდა და ის ყოფილა, მისი რჩევა-დარიგება არ გვესმოდა.

ამათ რომ მესერს ჩაუარეს, მისი ლიტლჯონი უკანა ეზოში გაფენილ სარეცხს ხსნიდა თოკიდან; შაშხის სურნელი ისევ იდგა ჰაერში. დანარჩენნი ჭიშკართან ელოდებოდნენ ამათ, ჭიშკარს გადაღმა კი ცხენები ისევ შეჯგუფულიყვნენ და მთვარის კამკაშა, მაცდურ სინათლეში მოცურავე თევზებს ჰგავდნენ.

- კაცმა რომ თქვას, თითო-თითოდ დაჭერა უფრო მომგვანებული გამოვა, - თქვა ფრიმენმა.

- თითო-თითოდ, - გაიმეორა ჰენრიმ, რომელსაც ეტყობა, რაც ტეხასელმა ჯორები გამოიყვანა ბაკიდან, მას აქეთ ფეხი არ მოეცვალა, ოღონდ ხელები ჭიშკრის საგდულზე ჩამოეწყო და ცალი ხელით ისევ თოკის შეკვრა ჰქონდა ჩაბლუჯული. - თითო-თითოდ, - თქვა ხელახლა. და ხრინწიანი ხმით მონოტონურად, მოღლილად მოჰყვა გინებას. - მას მერე, რაც მთელ დღეს აქ ვიყურყუტე იმის მოლოდინში, ვიდრე ის... - ბილწად შეიგინა. მერე ილაჯგაწყვეტილი სიმმაგით დაიწყო ჭიშკრის ჯანჯღარი, ვიდრე ვიღაცამ ურდული არ გადასწია, და ჭიშკარი გაიღო. ჰენრი ბაკში შევიდა, ყველანი მას მიჰყვნენ. ბიჭუნა მამამისს მისდევდა, მაგრამ ეკმა შენიშნა და მოუბრუნდა.

- აბა, - უთხრა, - თოკი აგერ მომეცი და ჭიშკარს გადაღმა გადადი.

- მამა, რა! - თქვა ბიჭუნამ.

- არა, ძმაო. გადაგქელავენ. ისედაც კინალამ დაგტორეს ამ დილას. ჭიშკართან გაჩერდი.

- კი, მაგრამ, ჩვენ ხომ ორი უნდა დავიჭიროთ!

ბიჭის მაცქერალი ეკი მცირე ხნით შეყოვნდა.

- მართალი ხარ, - უთხრა ბოლოს. - ორი უნდა დავიჭიროთ. კარგი, წამოდი, ოღონდ არსად ჩამომრჩე. ჰოდა, გაიქეცი-მეთქი, როცა დაგიძახებ, მოუსვი მაშინ. გეყურება?

- ჩამომწკრივდით, ბიჭებო, - თქვა ფრიმენმა. - გავარდნა არ აცალოთ.

ფართო რკალად დამწკრივებულნი მიუყვანენ ბაკს, ყოველ მათგანს ხელში თოკი ეჭირა. ცხენები ახლა ბაკის შორეულ კუთხეში იდგნენ. ერთმა შემფოთებით დაიჭიხვინა და მთელი რემა აფორიაქდა, ოღონდ ადგილიდან არ დაძრულა. ფრიმენმა მოიხედა და ბიჭუნა დაინახა.

- მოაშორეთ მაგ ბიჭი აქაურობას, - თქვა მან.

- მართლა წადი აქედან, - უთხრა ეკმა ვაჟიშვილს. - აგერ იმ ფურგონზე აძვერი. იქიდან ყველაფერს დაინახავ.

ბიჭუნა შებრუნდა და გაიქცა გადმოხურულისკენ, რომლის ქვეშაც ფურგონი იდგა. ხალხის რკალი ნელ-ნელა მიიწევდა ბაკში, ჰენრი ყველაზე წინ იყო.

- აბა, ახლა სიმარჯვეა საჭირო, - თქვა ფრიმენმა. - მე მგონი, ის აჯობებს, ჯერ თავლაში შევრეკოთ...

ანაზღად ცხენები ადგილს მოსწყდნენ. ორსავე მხარეს გაჭენდნენ მესრის გასწვრივ. რკალის აქეთ-იქით ბოლოში მდგარნიც გაიქცნენ ყვირილითა და ხელების ქნევით.

- გზა მოუჭერთ, - თქვა ფრიმენმა ჩამწყდარი ხმით. - უკან მიადენეთ.

იმათ ცხენები აიძულეს გაბრუნებულიყვნენ და ისევ წინ გაიგდეს; ცხენები შექუჩდნენ და გამალებით მოწრიალენი ფუთფუთებდნენ მოჩვენებებივით.

- დააკავეთ, - თქვა ფრიმენმა. - გაქცევა არ აცალოთ.

ხალხი ისევ დაიძრა. ეკმა მოიხედა; თავადაც არ იცოდა, რამ აიძულა მოსახედად - რაღაც ხმა იყო თუ სხვა რამე. ბიჭუნა ისევ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

- რა გითხრეს შენ! ფურგონზე ადი და იჯექი იქ, - უთხრა ეკმა.

- მამა, შეხედე! - თქვა ბიჭუნამ. - ეგერ ჩვენი, ეგერ! - ეს ის ცხენი იყო, ტეხასელმა რომ აჩუქა ეკს. - დაიჭირე, მამა!

- ფეხებში ნუ მეხლართები, - უთხრა ეკმა. - ფურგონზე ადი.

რკალი არ ჩერდებოდა. ცხენები ადგილზე წრიალებდნენ და უფრო და უფრო ვიწროდ ქუჩდებოდნენ თავლის ღია კარისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიდენილნი. ჰენრი ისევ წინ მიდიოდა, ოდნავ წახრილიყო, და მისი მკლე სხეული მთვარის ამ უნამდვილო შუქზეც კი იმავე არაქათის გამომცლელ სიშმაგეს ასხივებდა. ცხენთა აფორეჯებული გრო, თითქოს უჩინარი ხელით აგორებული თოვლის

გუნდა ყოფილიყოს, მითამთამებდა ხალხის წინაშე და თავლის ჩაბნელებულხახას უახლოვდებოდა. როგორც შემდეგ შეიქნა ცხადი, მარეკებს თვალმოცეცებული ცხენები მაშინლა მიხვდნენ – თავლისკენ მიგვდენიანო. როცა უკანდახეულნი მის ჩრდილში აღმოჩნდნენ, აღუწერელი სიშმაგის ხმიანობა გამოიჭრა მათი გროვიდან და თავგამეტებული ცხენები ძრწოლის მომგვრელი ზრიალით გამოექანნენ. ზარდაცემული ხალხი წამით უსიტყვოდ შემზერდა მათ ადგილზევე განაქვავები, მერე კი პირი იბრუნეს და გამოვარდნენ, ხოლო გრძელ-გრძელ, მძვინვარე ჩიჩვირთა და აფორეჯებულ მკერდთა ნაირფერი ტალღა მალევე თავს დაატყდა და გადალეკა ისინი, ერთიანად შთანთქა ჰენრი და ბიჭუნა, ადგილზე გაშემებულნი, ოღონდ ის იყო, ჰენრის ორივე ხელი ზეაეწია და თოკი ისევ ჩაბღუჯული ჰქონდა. მერე ის ტალღა მათ თავს ზემოთ გადმოიზვირთა, ცხენები ბაკის სიგრძეზე გაიჭრნენ და მიაწყდნენ ჰიშკარს, რომელიც ბოლოს შესულთაგანს მოუხურავი დარჩენოდა, საგდული ჩამოგლიჯეს, გამოდგანდგარდნენ და გათქრიალდნენ შუკაში გაჭედნილ ფურგონებსა და შიგ შემბულ ცხენებს შორის, ესენიც ააბობოქრეს და ყალყზე შეაყენეს აჭიხვირებულნი. ამ გახელებულმა ზვავმა შუკა გადაიგრიალა, მობობოქრემ იმ ფურგონს ჩაუქროლა, სადაც ქალი იჯდა მარტომდმარტო, მერე გზაზე გათქარუნდა, იქ ორად გაიყო და სხვადასხვა მხარეს გადაიხვეწა.

ჰენრის გარდა ყველანი ფეხზე წამოიჭრენ და ჰიშკრისკენ გამოექანნენ. ბიჭუნა ამჯერადაც უვნებლად გადარჩენილიყო, არც კი წაექციათ ცხენებს. მამამისმა ხელი დასტაცა, მიწას ააცილა და ჩვრის თოჯინასავით დაბერტყა.

- გითხარი, ფურგონში იჯექი-მეთქი! - უყვიროდა ეკი. - გითხარი!

- შეხედე, მამი! - ამოიძახოდა ნანჯღრევი ბიჭი. - ეგერ ჩვენი ცხენი! ეგერ!

ეს ისევ ის ცხენი იყო, ტეხასელმა რომ აჩუქა ეკს. მეორე არც ახსენდებოდათ, ვითომ არც არსებულებიყოს ის ცხენი. თითქოს ორთავეს მარღვებში მიმდინარე სისხლს ერთ წამში დაევიწყებინოს მათთვის ის ცხენი, რომლისთვისაც საფასური გადაეხადათ. მამა-შვილი ჰიშკარში გავარდა და სხვებს გამოედევნა. მათ დაინახეს, როგორ იბრუნა პირი ტეხასელის მიერ ნაჩუქარმა ცხენმა, მისის ლიტლჯონის ეზოში შექენდა, კამარა შეკრა, კართანაზე აიჭრა, იქიდან - ვერანდაზე, და სახლს შიგნით გაუჩინარდა. ეკი და ბიჭუნა ვერანდაზე გაჩნდნენ. მაგიდაზე, ზედ კარს უკან, ლამპა იდგა. მის შუქზე მამა-შვილმა დაინახა, როგორ ბობოქრობდა გრძელ დერეფანში მრისხანე ცხენი. წინა ოთახის ერთ კუთხეში ყვითელი ფერის ლაქწასმული ფისპარმონია იდგა და იმას მიაწყდა. საკრავმა ერთი ბგერა გამოსცა, თითქმის აკორდი, ხმიერი და მოზეიმე, დიდი გაკვირვების გამომხატველი. ცხენმა ისევ იბრუნა პირი და თავის უშველებელ ჩრდილთან ერთად მეორე კარში გაუჩინარდა. ეს საწოლი ოთახი იყო; იქ კარისკენ ზურგშექცეული, ქვედა საცვლით მოსილი რეტლიფი იდგა, ცალი წინდა ფეხზე ეცვა, მეორე ხელში ეჭირა, თავი იმ ფანჯარაში გადაეყო, ბაკის მხარეს რომ გადიოდა. რეტლიფმა თავი მოაბრუნა და წამით ისა და ცხენი თვალეგადმოქაჩულნი მისჩერებოდნენ ერთიმეორეს. მერე რეტლიფი ფანჯრიდან გადაეშვა, ხოლო ცხენმა ოთახიდან ისევ დერეფანში დაიხია, შემობრუნდა და ეკი და ბიჭუნა დაინახა - ის-ის იყო, ვერანდიდან შემოვარდნილიყვნენ და ეკს ხელში თოკი ეჭირა. ცხენმა ისევ იქცია პირი, დერეფანი გაირბინა და გავარდა უკანა

კართანაზე, სადაც ამ დროს ბაწრიდან ჩამოხსნილი თეთრეულითა და სარეცხი ფიცრით დატვირთული მისის ლიტლჯონი ამოდიოდა.

- დაიკარგე აქედან, შე ძაღლის დაგდებულო, - თქვა ქალმა და გრძელ, გაგიჟებულ დრუნჩს ფიცარი დასცხო; ფიცარი ორ ტოლ-ტოლ ნახევრად გაიპო, ხოლო ცხენი ისევ დერეფანში შეგლიჯინდა, სადაც ახლა ეკი და მისი ვაჟიშვილი იდგნენ.

- დაიმალე, უოლ! - იბღავლა ეკმა.

თავად პირქვე დავარდა და თავზე ხელები წაიფარა. ბიჭუნა ადგილზევე დარჩა, მესამედ გადაეველო თავზე ცხენი. ბიჭუნა კი არ წახრილა, წარბიც არ შეუხრია. ცხენი ისევ ვერანდაზე გაიჭრა და უმალვე მის წინ რეტლიფი აიტუნა, ისევ წინდა ეჭირა ხელში, სახლისთვის შემოერბინა და კართანა აეველო. ცხენმა შეუჩერებლად იბრუნა პირი, ვერანდა გადაჭრა, მოაჯირს გადააფრინდა და თავისუფლად გაინავარდა მთვარის შუქზე რაღაც საზარელი მიონივით გამკრთალმა. ბაკში ჩამხტარი არ შეჩერებულა, ანჯამებიდან ჩამოგლეჯილი ჭიშკარი გაირბინა, გვერდი აუქცია აყირავებულ ფურგონებს, რომელთაგან ერთი უვნებლად მდგარი დარჩენილიყო და შიგ ჰენრის ცოლი იჯდა, - და იქიდან გზაზე გავარდა.

მეზომირიდან მეოთხედ მიღზე თავქვე დაიწყო. მთვარის შუქზე ხეების ჩრდილდაფენილი გზა მიკიაფობდა თეთრად. ცხენი ისევ თავგამეტებული მიქროდა და ცდილობდა დასწეოდა და მტვერში ჩაეტკეპნა საკუთარი ლანდი. ქვემოთ ღელეზე ვიწრო ბოგირი იყო გადებული, ერთი ოთხთვალა ძლივს გაეტეოდა. ცხენი რომ ბოგირთან მიქენდა, იქიდან ჯორებშებმული ფურგონი შემოხვდა, ჯორები თვლემით მობაკუნობდნენ, ნელი რწევით დანანავებულნი. კოფოზე ტალი იჯდა თავისი ცოლითურთ, ხოლო წნულ სკამებზე მათი ოთხი ქალიშვილი ჩამომსხდარიყო: მისის ტალის რომელიღაც ნათესავთან სტუმრად ნამყოფნი ბრუნდებოდნენ, მთელი დღე იქ გაეტარებინათ და შეჰგვიანებოდათ. ცხენი არ შეჩერებულა, გზიდან არ გადაუხვევია. პირდაპირ ხიდზე შევარდა და ჯორებს შორის შეეჭედა. ჯორები უმალ გამოფხიზლდნენ და სხვადასხვა მხარეს გაიქაჩნენ, ხოლო ცხენი უკვე ხელნაზე მიპორტყავდა ფეთიანი ციყვივით და ჩლიქებით ფურგონის წინარს ხოკავდა, თითქოს ფურგონზე ასვლა მოუნდომებიაო, ტალი კი ღრიალებდა და დრუნჩზე მათრახს უტყლამუნებდა. ჯორები ცდილობდნენ ფურგონი ბოგირზევემეებრუნებინათ. ფურგონი გვერდულად წავიდა, მკვეთრად გადაიხარა, მოაჯირი ლაწალუწით გადატყდა და ქალთა კვილის ხმა დაფარა; ბოლოს ცხენმა ერთი ჯორი ქვეშ მოიტანია, ხოლო ფურგონში წამომდგარმა ტალმა ქუსლი ჩააზილა ცხენს. ამასობაში ფურგონის წინარი მალა აქანდა და ტალმა, რომელსაც სადავეები მჭიდროდ ჰქონდა ხელს დახვეული, ფურგონის მარაზე მოადინა ზღართან აყირავებულ სკამებსა და ქალთა აპლაკულ კაბებს შორის. ცხენი გამოთავისუფლდა და ბოგირი გადაიტარუნა. ფურგონი ხელახლა გადაფერდდა; ჯორებმა იმდენი მოახერხეს, მაინც შეაბრუნეს, თუმცა შესაბრუნებელი ადგილი არსად იყო, ახლა ფლოქვებს სცემდნენ და ღვედებს გლეჯდნენ. რა აიწყვიტეს, ტალი გაითრიეს ფურგონიდან. ტალი სახით ფიცრებს შეასკდა და ჯორებმა რამდენიმე ფუტზე ათრიეს, ვიდრე ხელს დახვეული სადავე არ გაწყდებოდა. ამასობაში ცხენი თვალს მიეფარა, დაფეთებული ჯორები უკან ჩამოიტოვა. ხუთი ქალი ჯერაც მოსთქვამდა

ტალის უგრძნობელ სხეულთან, როცა ეკი და მისი ბიჭუნა გამოჩნდნენ. ეკს თოკისთვის ხელი არ შეეშვა, სულს მძიმედ ითქვამდა.

- საით გაჭენდა? - იკითხა მან.

ხოლო გამოცარიელებულ, მთვარის შუქგადაფრქვეულ ბაკში ჰენრის ცოლმა, მისის ლიტლჯონმა, რეტლიფმა, ნოქარმა ლემპ სნოუჰსმა და კიდევ სამმა კაცმა ფლოქვებით გადათხრილი მიწიდან ასწიეს და უკან ეზოში გადაიტანეს ჰენრი. სახე ჩათეთქოდა, თვალები დახუჭოდა, თავი მძიმედ ჩამოვარდნოდა, დაღრჭენილი კბილები მკრთალად უკიაფებდა. სახლისკენ ჩაატარეს მაღალი ხეების გვერდით, რომელთა ჩრდილი მიწაზე ზოლებად დაფენილიყო. ღამის მილუშულ, მოვერცხლილ სიწყნარეში აქამდე მოატანა ხმაურმა, შორეული მეხისტეხის გრიალ-გრიალს რომ ჰგავდა, და უმაღვე მიყუჩდა.

- რომელიდაცაა ბოგირზე, - თქვა კაცთაგან ერთმა.

- ეკ სნოუჰსის ცხენია ეგ, - თქვა მეორემ. - აი, ის, სახლში რომ შეგლიჯინდა.

მისის ლიტლჯონი პირველი შევიდა წინა ოთახში. ჰენრი რომ შეასვენეს, ქალს უკვე ლამპა აეღო და მისი მაღლა მჭერელი იდგა გაღებულ კართან.

- აქეთ წამოიღეთ, - თქვა მისის ლიტლჯონმა. წინ გავიდა და ლამპა პატარა ტუმბაზე ჩამოდგა. მქშინავი და მობორძიკე ხალხი მას მიჰყვა, ჰენრი საწოლზე დაასვენეს, მისის ლიტლჯონი მიეახლა და გამტკნარებულ უსისხლო სახეში ჩახედა. - ესაა საქმე? - თქვა მან. - თქვენც კაცები გქვიათ. - იმათ ოდნავ დაიხიეს, ფხს ფხზე ინაცვლებდნენ, ვერც მისის ლიტლჯონს უსწორებდნენ თვალს, ვერც ჰენრის ცოლს, რომელიც წინსაფარქვეშ ხელდაკრეფილი უძრავად იდგა საწოლის ფეხებთან. - ყველანი გავიდნენ აქედან, ვ. კ., - უთხრა რეტლიფს მისის ლიტლჯონმა. - ეზოში ჩადით. ნახეთ ერთი, კიდევ ხომ არ დარჩენილა რომელიმე საფრთხობელა, საიქიოს რომ გაგისტუმროთ.

- კარგი, - თქვა რეტლიფმა. - წავიდეთ, ბიჭებო. აქ, სახლში დასაჭერი აღარაფერია.

ყველანი თითის წვერებზე მიჰყვნენ რეტლიფს, მათი ვეება ჩრდილები კედელზე მიცოცავდა.

- წადით და ბილ უორნერს დამიძახეთ - თქვა მისის ლიტლჯონმა. - უთხარით, ჯორი შეიქნა-თქო ავად.

ესენი უკანმოუხედავად გამოილალნენ. თითის წვერებზე გამოვლეს დერეფანი, ვერანდა და მთვარის შუქის ზღვაში დაინთქნენ. ახლადა შენიშნეს, რომ დავერცხლილი ჰაერი თითქოს გამსჭვალულიყო სუსტი, კაცი ვერ იტყოდა, საიდან მოღწეული ხმიანობით - წვრილი და შორეული ყვირილის ხმა, მერე - ხის ბოგირზე კვლავ ფლოქვთა თქარუნი, შორეული გრგვინვის მინაგვარი, მერე ისევ ყვირილის ხმა - სუსტი, მილეული, მღელვარე და ზანზალაკივით წკრიალა. ერთხელ სიტყვებიც გაირჩეოდა: „ჰო, ჰო, დაიჭი“.

- ეს სახლი ხელად მოირბინა, - თქვა რეტლიფმა. - ახლა ალბათ სხვა მასპინძელს ეწვია. - მათ ზურგს უკან, სახლში, ჰენრიმ დაიყვრა ხმამაღლა. ამათ მიიხედეს წინა ოთახის სიბნელისკენ, სადაც საწოლის კარიდან შუქის სწორკუთხედი დაფენილიყო, და მოესმათ, როგორ იქცა ყვირილი ჩახრინწულ, მოქლომინე კვნესად: „ა-ა, ა-ა, ა-ა“, - სულ უფრო და უფრო მაღალი ნოტისკენ წასული, მერე კვნესა ისევ ყვირილად გადაიქცა. - წავედით, - თქვა რეტლიფმა. - უორნერი გვყავს დასამახებელი. - და აპრილის ამ მოცახცახე დამეს, აჩქეფებულ წვენთა წკრიალით, დამსკდარ კვირტთა შარიშურით, გაუწყნარებელი შორეული ძახილითა და ფლოქვთა მოკლე-მოკლე, მილეული თქარუნით რომ იყო აღვსილი, ისინი ჯგუფად გაუყვენ მთვარით გადათეთრებულ გზას. უორნერის სახლი ჩაბნელებული დახვდათ, მთვარის შუქზე უღიმდამო და დაბრტყელებული ეჩვენათ სახლი. ვერცხლად მოქათქათე ეზოში ჩამოქეხულ ჯგუფად მდგარნი მანამდე ასძახოდნენ ბნელ ფანჯრებს, ვიდრე რომელიღაცაში ადამიანის სხეული დალანდეს. ფლემ სნოუჰისის ცოლი იყო. სულ თეთრით იყო მოსილი, და ამ ფონზე მძიმე ნაწნავი თითქმის შავად უჩანდა. თავი არ გადმოუყვია, ისე იდგა ფანჯარასთან მთვარის შუქდაფრქვეული, ეტყობა, ამ შუქითვე დაბრმავებული, ყოველ შემთხვევაში, ძირს არ ჩამოუხედავს, - მძიმე-მძიმე ოქროსფერი თმა ჩამომლოდა, სახეზე ტრაგიკული ან განწირული გამომეტყველება კი არ ედო, უბრალოდ წყევლის დადი ჰქონდა აღბეჭდილი; მკვრივი მკერდის სიმრგვალე გამოუკრთოდა სამოსის სპეტაკ ნაოჭთაგან; როგორ ბრუნჰილდად, პაპიემაშეს ცრუ კლდეზე წამომართულ როგორ ლორელეად, მოლანდებულ ვერაგ არგოსში დაბრუნებულ და არცა ვის მომლოდინე როგორ ელენედ ესახებოდათ ეს ქალი დაბლა მდგართ! - სადამო მშვიდობისა, მისის სნოუჰს, -უთხრა რეტლიფმა. - ჩვენ ბიძია ბილს მოვაკითხეთ. ჰენრი არმსტიდია დაჭრილი, მისის ლიტლჯონთან წევს.

ქალი გაქრა. მამაკაცები მთვარის მბრწყინავ სინათლეში იდგნენ და მიკმენდილ, შორეულ ხმიანობას აყურადებდნენ, ვიდრე, მათ რომ ეგონათ, იმაზე ადრე არ გამოვიდა უორნერი, რომელსაც სადამურ პერანგზე პალტო მოესხა, შარვალს გზადაგზა იკრავდა, ხოლო აჭიმები პალტოს კალთებს ქვეშ აფართხუნებოდა. გაცრეცილი ჩემოდანი მოჰქონდა, სარჩილავის მინაგვარ ინსტრუმენტებიანი, რომლებითაც წამლებს უშხაპუნებდა, ჭრიდა, სისხლს უშვებდა, ჩირქოვან იარებს უსინჯავდა თუ კბილებს აძრობდა ცხენებსა და ჯორებს; კართანა ჩამოივლო ხმელ-ხმელმა და აწოწილმა და ცბიერი, მკაცრი სახე მცირედ შეეურვა, როცა იმანაც მიაყურა შორეულ ხმიანობას, რომელიც მოვერცხლილ ჰაერს გასჯდომოდა.

- რა, ისევ იმ თავიანთ ბაჭიებს დასდევენ? - თქვა მან.
- დიახ, ჰენრი არმსტიდის გარდა, - უპასუხა რეტლიფმა. - მან უკვე მიითვალა თავისი.
- ჰი, - თქვა უორნერმა. - ვ. კ., თქვენა ხართ? თქვენ თავად რამდენი იყიდეთ?
- მე დამაგვიანდა, - მიუგო რეტლიფმა. - ვერაფრით დროზე ვერ მივუსწარი.

- ჰი, - თქვა უორნერმა. ჭიშკარს გამოსცილდნენ და შარაგზაზე გააბიჯეს. - რა გვეთქმის, ამაღამ ნათელი და გრილი ღამეა, სწორედ სანადირო ამინდია. - ახლა მთვარე ზედ თავზე დაჰკაშკაშებდათ. ესენი მჭიდრო გროვად მიდიოდნენ, საკუთარ ლანდებს მიიტკეპნიდნენ შარაგზის რბილ მტვერში. ჩაბნელებულ დუქანს ჩაუარეს. მერე მსხლის ხე გამოჩნდა დანისლულ ვერცხლისფერ უძრაობაში ისე აღმართულიყო, როგორც გაქვავებული თოვლვარდნილი. მის ტოტზე ისევ უსტვენდა ჯაფარა. - შეხედეთ ერთი იმ მსხალს, - თქვა უორნერმა. - ეტყობა, ძალიან მოსავალი ექნება წლეულს.

- სიმინდსაც, - თქვა ერთმა.

- ამნაირი მთვარე ყოველგვარი ნაყოფისთვის სასიკეთოა, - თქვა უორნერმა. - მახსოვს, მე და მისის უორნერი იულას დაბადებას ველოდებოდით. საიმდროოდ შვილები ბლომად გვყავდა და შეიძლებოდა დავჯერებოდით. ოღონდ გოგოები მინდოდა კიდევ, უფროსები დათხოვილები იყვნენ, აქეთ-იქით წასულ-წამოსული, ბიჭები კიდევ, ცოტას წამოიზრდებოდნენ თუ არა, აღარაფრის მაქნისი აღარ იყვნენ, მუშაობას არც იფიქრებდნენ, ამის დრო სად ჰქონდათ? გაიხედავდი და დუქანთან ჩამომსხდარნი ენად გაიკრიფებოდნენ. ჰოდა, გოგო შინ დარჩება და საქმეს წაადგება, სანამ გათხოვდებოდეს-მეთქი. ერთმა დედაბერმა დედაჩემს უთხრა, ერთხელ ფეხმძიმე ქალმა სავსე მთვარეს თუ უჩვენა მუცელი, გოგო ეყოლებათ. ჰოდა, მისის უორნერი დაორსულებამდე და მის მერეც ყოველ ღამე მუცელგაშიშვლებული იწვა მთვარეზე. მე კიდევ ყურს მივადებდი და მესმოდა, როგორ ისროდა ტლინკებს და როგორ წრიალებდა ეშმაკის ფეხივით იულა, მთვარეს თუ უღებდა ალღოს.

- თქვენი შეტყობით, მართლა მთვარემ გაჭრა, ბიძია ბილ? - იკითხა ვილაცამ.

- ჰი, - თქვა უორნერმა. - შეგიძლიათ გამოსცადოთ. ცოტა ქალია, გაშიშვლებულ მუცელს მთვარეს რომ მიუშვერს ხოლმე? ან მზეს, ან კიდევ სულაც თქვენს ხელებს მოუშვერს საჯგვლემად, ჰოდა, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ცოტა ხანში იქ რაღაცა გაჩნდეს. ასე რომ, შეგეძლებათ მიაყუროთ, თუკი, რასაკვირველია, თქვენ თვითონვე არ მოუსვით საიმდროოდ. თქვენ რას იტყვით, ვ. კ.?

ვილაცამ გაიცინა.

- მე ნურაფერს მეკითხებით, - უთხრა რეტლიფმა. - მე ყველგან მაგვიანდება, იმდენიც ვერ მოვახერხე, დროზე მომესწრო და ცხენი მეყიდა იაფად.

ამჯერად ორს თუ სამს გაეცინა. მაგრამ რა შემოესმათ ჰენრის ხრინწიანი კვნესა - „ა-ა! ა-ა! ა-ა!“ - თითქოს არ ელოდნენო, უცბად მოსხიპეს სიცილი. ხმელ-ხმელი უორნერი ლასლასით, ოღონდ ჩქარი ნაბიჯით მიუძღვებოდა დანარჩენებს, თანაც თავდახრილი ჯერაც აყურადებდა შორეული გაუწყნარებელი ყვირილის ხმას, რომელიც დავერცხლილ შუქში საიდანდაც მოდიოდა. ისევ გაისმა ფლოქვთა მოკლე-მოკლე თქარათქური ფიცრებზე.

- ერთი ცხენი კიდევ გავიდა ბოგირზე, - თქვა ვილაცამ.

- რას იზამ, მათ-მათი პატრონები, ეტყობა, ასე მაინც აინაზღაურებენ ხარჯს, - თქვა უორნერმა. - გაერთობიან მაინც თავ-თავიანთი ფულით, ესეც თავის შექცევას. ავილოთ, მაგალითად, ისეთი კაცი, ვისაც მთელ წელიწადს თავის შესაქცევი იმის მეტი არაფერი აქვს, რომ ნაკელი მოაყაროს ყანას. თუკი ჯერჯერობით ისე არ გადაღრძობილა, რომ წყნარად იძინოს თავის ლოგინში, ოღონდ არც ისე ჯველია, რომ სხვის ფანჯრებში იძრომილოს კატასავით, ასეთ ღამეში ამნაირად თავის შექცევა მისწრებაა მისთვის. ის მაინც იქნება, ხვალ ღამით მკვდარივით დაეძინება, თუკი შინ დაბრუნება მოახერხა სახვალიოდ. თავიდან რომ სცოდნოდათ, ძაღლების მისევეც შეიძლებაო, მაშინ ნამდვილი ნადირობა გაიმართებოდა.

- რაღა თქმა უნდა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ შევხედავთ ამ საქმეს, - თქვა რეტლიფმა. - ბუკრაიტს, ქვიკს, ფრიმენს, ეკ სნოუპსსაც და ყველა დანარჩენ ახალგამომცხვარ მეცხენესაც გულზე მალამოდ მოხვდეთოდათ, აბა, რა, ასე თუ შევახედვინებთ საქმისთვის, იმიტომ, რომ, ეტყობა, არც ერთ მათგანს თავში ამგვარი არაფერი მოუდის. მე ასემგონია, იმათგან არც ერთს აღარ ეიმედება იმ ტეხასელის და ფლემ სნოუპსის მიერ ჩამოტანილი სენისგან განკურნება.

- ჰი, - თქვა უორნერმა. ჭიშკარი შეაღო და მისის ლიტლჯონის ეზოში ჩავიდა. წინა ოთახს მკრთალი სინათლე ისევ ეფინებოდა საწოლის კარიდან. იქ გაუწყნარებლად კვნესოდა არმსტიდი: „ა-ა! ა-ა! ა-ა!“ - ყველა ექიმს თავისი საფენები აქვს, ოღონდ სიკვდილისგან მომრჩენელი არავინაა.

- წინასწარ რომც უმკურნალო, - თქვა რეტლიფმა.

- ჰი, - თქვა ისევ უორნერმა. შეჩერებულმა სწრაფად მოხედა რეტლიფს. მაგრამ მოკიაფე მსუსხავი თვალები არ უჩანდა; დაფანჩული, შეკრული წარბები გაირჩეოდა მხოლოდ. - წინასწარ რომც უმკურნალო. ჰოდა, თუკი სუნთქვას ვეღარ ახერხებ, შენს თამასუქს ვადა გასვლია და ეგაა.

ხოლო მესამე დღეს, დილის ცხრა საათზე, დუქნის გაღერებაში ძელსკამზე იჯდა თუ ჩაცვუცქულიყო ხუთი კაცი. რეტლიფი მეექვსე იყო. ფეხზე მდგარი ლაპარაკობდა:

- იქნება წუხელის, ეკის თქმის არ იყოს, მართლა ერთი ცხენი ბორიალობდა მისის ლიტლჯონის სახლში. ოღონდ მაშინ ეს იყო ერთი ცხენისგან შემდგარი ყველაზე დიდი ჯოგი იმათგან, რომლებიც მინახავს. ჩემს ოთახშიც იყო, ვერანდის კართანაზეც, და თან ისიც მესმოდა, როგორ ჩასცხო მისის ლიტლჯონმა სარეცხის ფიცარი უკანა ეზოში. ჰოდა, მაინც თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა. მე მგონია, სწორედ ამას გულისხმობდა ტეხასელი, როცა გვითხრა - მოგებას ნახავთ მაგ ცხენებშიო: ეშმაკმა იცის, როგორი ხელმოცარული უნდა იყო კაცი, იმდენი მოახერხო, რომელიმე იმ ცხენს მიუახლოვდე და წიხლი მოირტყა.

ეკის გარდა ყველას გაეცინა. ისა და მისი ბიჭი საჭმელს შეექცეოდნენ. გაღერებაზე რომ ამოვიდა, ეკმა მაშინვე დუქანს მიაშურა, იქიდან ქაღალდის პარკი გამოიტანა, ყველის ნაჭერი ამოიღო, ჯიბის დანით ორ ტოლ ნაწილად გაყო და ერთი ვაჟიშვილს მისცა, მერე პარკიდან ერთი პეშვი გაღეტები

ამოაძვრინა და ბიჭუნას უბოძა; ახლა ორივენი გვერდიგვერდ ჩაცუცქულიყვნენ კედელთან, ორი წვეთი წყალივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ოღონდ ერთი დიდი იყო, მეორე – პატარა, და საჭმელს შეექცეოდნენ.

- საინტერესოა, რა იფიქრა იმ ცხენმა რეტლიფზე? – თქვა ერთმა. პირში ატმის რტო ეჭირა, რტოს ოთხი ყვავილი ესხა, ზუსტად საბალეტო ქვედაბოლოს მაგვარი. – ფანჯრიდან პერანგის ამარა გადმოხტა და კარიდან ისევ შეირბინა. საინტერესოა, ცხენმა რამდენი რეტლიფი ნახა?

- არ ვიცი, – თქვა რეტლიფმა. – ოღონდ, თუ იმის ნახევარი მაინც ნახა რეტლიფები, რაც მე ცხენი შემომეფეთა, ღმერთმანი, ალყაში ყოფილა მოქცეული. საითაც გავიხედე, ყოველი მხრიდან ის დაღუპული მეტაკებოდა ან ზურიალასავით ბრუნავდა, რომ ამ ბიჭუნას გადავლებოდა თავზე, არადა, როგორი ბიჭია, ერთხელ, საათის მიხედვით თუ ვიტყვით, ზუსტად წუთ-ნახევარს იდგა ზედ ცხენქვეშ, ჰოდა, თავიც არ დაუღუნია, წარბიც არ შეუხრია. კი, ბიჭებო, რომ შემოვბრუნდი და ის თვალანთებული მხეცი დავინახე, შემემლო დამეფიცებინა – ფლემ სნოუჰსმა ტეხასიდან ვეფხვი ჩამოიყვანა-მეთქი, რომ არ მცოდნოდა, რომ ერთი ვეფხვი მთელ ოთახს ვერაფრით ვერ შეავსებდა. – იქ მყოფთ ხელახლა გაეცინათ წყნარად. დუქნის კარში ერთადერთ სკამზე ჩამომჯდარმა ნოქარმა, ლემპ სნოუჰსმა, ანაზდად ჩაიფრუტუნა.

- ფლემს რომ სცოდნოდა, როგორ დაიტაცებდით მის ცხენებს, ერთ წყვილ ვეფხვს მართლა ჩამოიყვანდა და მაიმუნებსაც ზედ მოაყოლებდა.

- ესე იგი, ფლემისაა ის ცხენები? – იკითხა რეტლიფმა.

სიცილი შეწყდა. დანარჩენი სამი დასაკეცი დანებით ჯოხებს თლიდა და, იტყოდით, მთელი ამათი ყურადღება დანის თითქმის მექანიკურ, მარჯვე გასმას შთაუნთქავსო. ნოქარმა სწრაფად ასწია თავი და რეტლიფის ჩაციებული მზერა დაიჭირა. ერთთავად სახეზე აკრული უნდო ღიმილი უმაღლ გაუქრა. ბაგეთა და თვალთა ირგვლივ დაწყობილი უძრავი ნაოჭები შერჩა მხოლოდ.

- განა ფლემმა თქვა – ჩემი ცხენებიაო? – იკითხა მან. – ოღონდ თქვენ, ქალაქელები, სოფლელებს გვეჯობიხართ ჭკუით. ეტყობა, წინასწარ ტყობილობთ ფლემის აზრებს.

გარნა რეტლიფი აღარ უმზერდა.

- და მაინც ყველა ცხენი გავასაღეთ, – თქვა რეტლიფმა. ახლა ისევ დასცქეროდა იქ მსხდომთ გონიერი, მშვიდი, იქნებ ცოტათი მოღუშული, ოღონდ ძველებურად შეუცნობელი. – აი, მაგალითად, ეკი. ცოლ-შვილი სარჩენი ჰყავს. ორი ცხენი იყიდა, ოღონდ, როგორც მოგეხსენებათ, მარტო ერთის ფასი გადაიხადა. ამბობენ, ხალხი იმ მხეცებს წუხანდელ შუალამემდე დასდევდაო. ეკი და მისი ბიჭი კიდევ ორ დღე-ღამეს არ შესულან თურმე სახლში.

ეკის გარდა ყველას გაეცინა ხელახლა. ეკმა ყველის ნაჭერი ჩამოითალა, დანის წვერით აიღო და პირისკენ გააქანა.

- ეკმა ერთი დაიჭირა, - თქვა რომელიღაცამ.

- მართლა? - იკითხა რეტლიფმა. - რომელი? ნაჩუქარი თუ ნაყიდი?

- ნაჩუქარი, - თქვა ყველის მღეჭველმა ეკმა.

- ასე და ამრიგად, - თქვა რეტლიფმა. - მე კი არ ვიცოდი ეგ ამბავი. მაგრამ ეკს ერთი ცხენი მაინც აკლია, სწორედ ის, ფული რომელშიც გადაიხადა. ეს კიდევ იმის ნამდვილი საბუთია, რომ ფლემის არ ყოფილა ის ცხენები, - ვინ შეაჩერებს თავის სახლიკაცს ისეთ საქონელს, რომლის დაჭერაც შეუძლებელია?

იმათ ხელახლა გაეცინათ, ოღონდ მაშინვე მიწყნარდნენ, როგორც კი ნოქარი ალაპარაკდა. ხმა მხიარული სულაც არ ჰქონია.

- მისმინეთ, - თქვა მან. - ასე იყოს. არ გედავებით, ბატონო, რომ ყველა ჩვენგანზე ჰკვიანი ბრძანდებით. თქვენ არც ფლემისგან გიყიდიათ ცხენები, არც სხვა ვინმესგან, ჰოდა, რაკი ასეა, არაა ეს თქვენი საქმე, აჯობებდა ამით გაგვეთავებინა.

- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა. - სწორედ ამით გავათავეთ გუშინწინ სადამოს. იმის წყალობით, ვისაც ჭიშკრის მიხურვა დაავიწყდა. ყველამ, ეკის გარდა. გასაგებიცაა: ჩვენ ხომ ვიცით, რომ ფლემის არ ყოფილა ის ცხენი, რაკი ეკს მუქთად შეხვდა.

- თანაც, ეკს გარდა, ისეთებიც არიან, აქამდე რომ არ შესულან სახლში, - თქვა პიროში რტოგარჭობილმა კაცმა. - ბუკრაიტი და ქვიკი აქამდე თავ-თავიანთ ცხენებს დასდევენ. წუხელის რვა საათზე ბერტსბოროში უნახავთ. ოღდ ტაუნიდან სამ მილზე. ჰოდა, ცხენი კიდევ რომლისაა, არავინ იცის, სათოფეზეც არ იკარებს იმათ.

- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა. - იმ წამიდან, ვიღაცამ ჭიშკარი ღია რომ დატოვა, იმ მეცხენეთაგან მართო ერთის - ჰენრი არმსტიდის პოვნა შეიძლება უმეძებროდ. მისის ლიტლჯონის სახლში წევს ჰენრი, იქიდან ბაკიც მოჩანს, ასე რომ, მისი ცხენი რომ დაბრუნდება, მეტი არაფერი დასჭირდება, ცოლს გადასძახოს - თოკი გაიყოლე, გავარდი და ჩააბიო... - რეტლიფს სიტყვა გაუწყდა, ოღონდ სულ ერთი წამით, და მაშინვე თქვა: „დილა მშვიდობისა, ფლემ“, - კილო არ შეუცვლია, ასე რომ, სიტყვის გაწყვეტა შეუმჩნეველი დარჩა. გარდა ნოქრისა, რომელიც პირფერულად აფაცურებული წამოვარდა სკამის დასათმობად, აგრეთვე ეკის და მისი ვაჟიშვილისა, რომლებიც ჭამას განაგრძობდნენ, ყველანი იატაკს ჩააცქერდნენ თავიანთ უძრავ ხელთა ჩაყოლებით, ხოლო ნაცრისფერი შარვლით და კუბოკრული ქუდით მოსილი, ერთი ბეწო ჰალსტუხიანი სნოუჰისი კართანაზე ამოვიდა. იდექებოდა; ფიჭვის თეთრი ჯოხი ეჭირა გამზადებულად; თავი ისე დააქნია, არავისთვის შეუხედავს, სკამზე ჩამოჯდა, დანა გახსნა და თავისი ჯოხის თლას შეუდგა. მედუქნე იქითა მხარეს კარის წირთხლს აეყუდა, ზურგი შეაფხანა. სახეზე ისევ აეწება უნდო ღიმილი, რომელშიც იღუმალი დადარაჯება იგრძნობოდა.

- ძალიან დროზე მობრძანდით, - თქვა მან. - აგერ რეტლიფი თავს იმტვრევს იმის გამოსაცნობად, ბოლოს და ბოლოს ვისია ის ცხენებიო. - სნოუპსმა გულმოდგინედ ჩააყოლა დანა ჯოხს, დანის პირს წვრილი ბურბუშელა დაეგორგლა კოხტად. სხვებმაც თლას მიჰყვეს ხელი, თან სადღაც გვერდზე იყურებოდნენ დაჟინებით, ყველანი, გარდა ეკის და ბიჭუნასი, რომლებიც ისევ ჭამდნენ, და ნოქრისა, რომელიც კარის წირთხლს ზურგს აფხანდა და ისევე იდუმალად დადარაჯებული ჩასცქეროდა სნოუპსს. - იქნება თქვენ დაამოშმინოთ.

სნოუპსმა თავი მიაბრუნა და გალერეის გადაღმა გადააპურჭყა მიწაზე. დანა ახალ ნათალს ჩააყოლა.

- რეტლიფი აქ ბრძანდებოდა და, სხვებმა რაც იციან, ის იცის მაგანაც, - თქვა სნოუპსმა.

ნოქარი ახითხითდა, თითქოს უჩინარი ხელით მოწრიახებული სახე ცხვირის ირგვლივ აკრა. ხელი ბარძაყზე დაიტყაპუნა.

- მოგართევს? - თქვა მან. - ამასთან რას გახდებით!

- ასეა ალბათ, - თქვა რეტლიფმა. ფეხზე მდგარი არავის უყურებდა, ლიტლჯონის სახლის გადაღმა გზას მისციებოდა შეუცნობელი მზერით. საიდანღაც, თითქოს მიწიდან ამომძვრალიყოს, ძალზე დაპატარავებული კომბინეზონით მოსილი უშნო ყმაწვილი გამოჩნდა. ცოტა ხანს იდგა გზაზე ამათგან იმდენად ახლოს, რომ გალერეიდან იქამდე გადაფურთხება შეიძლებოდა, ორჭოფულად იდგა, თითქოს მართლა მიწიდან ამომძვრალა და თვითონაც არ იცის საით გასწევს, როცა ადგილიდან დაიძვრება, თანაც მისთვისაც სულერთი არისო ეს ამბავი. არაფერს არ უყურებდა, ყოველ შემთხვევაში, გალერეას ნამდვილად არ უყურებდა, არც გალერეიდან გაუხედავს მისკენ ვისმე, გარდა ბიჭუნასი, რომელიც თავის ცისფერ თვალთა მზერას არ აშორებდა და ჩამონაკბეჩი გალექი პირთან მიჰქონდა. დავიწროებული კომბინეზონით მოსილი ყმაწვილი ოდნავი რწევით გაუყვა გზას და დუქნის კუთხეს მიეფარა, გალერეაში მჯდარმა ბიჭუნამ მზერა გააყოლა თვალდაუფახულებლად. მერე გალექი მოკბიჩა და ლექვას მოჰყვა. - მართალია, მისის ტალის ამბავი კია გასარკვევი, - თქვა რეტლიფმა. - ალბათ სასამართლოში უჩივლებს ეკს, ანაზღაურებას მოსთხოვს ბოგირზე ტალის დამტვრევისთვის. ჰოდა, ჰენრი არმსტიდი კიდევ...

- კაცს თუ იმდენი ჭკუა არ ჰყოფნის, რომ გაფრთხილდეს, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, - თქვა ნოქარმა.

- რასაკვირველია, - ისევ ფიქრიანად თქვა რეტლიფმა და თავი ოდნავ მოაბრუნა. - ჰენრი არმსტიდის საქმე კიდევ მოგვარებულია, იმიტომ, რომ, რამდენადაც ჩვენი დღევანდელი საუბრიდან მივხვდი, ის ცხენი, ჰენრის რომ თავისად მიაჩნდა, მისი აღარ ყოფილა, როცა ტეხასელი გაემგზავრა. ჰოდა, გადატეხილი ფეხი ძალიან არ აზარალებს, იმიტომ, რომ ყანის დათესვას მისი ცოლიც მშვენივრად მოახერხებს.

ნოქარი წირთხლზე ზურგის ფხანას შეეშვა. თვალის დაუხამხამებლად, მშვიდად მისჩერებოდა რეტლიფის კეფას; მერე შეხედა სნოუპსს, რომელიც

გაუწყნარებლად იღეჭებოდა და ახალი ჩამონათლის დაბურბუმელებას აკვირდებოდა, და ისევ რეტლიფის კეფას შეაცქერდა.

- იმ ქალს პირველად კი არ უხდება ყანის დათესვა, - თქვა პირში რტოგარჭობილმა. რეტლიფმა იმას შეხედა. - სხვამ თუ არა, თქვენ მაინც იცით ეს ამბავი. რამდენჯერ დამინახავხართ, იმათ ყანას რომ ხნავდით, ჰენრის არასოდეს ჰყოფნიდა არაქათი. რამდენი დღე იმუშავეთ იმათთვის წლეულს? - რტო გამოიღო, მორიდებით გადააპურჭყა და ისევ კბილებში გაირჭო.

- ხვნა იმ ქალმა ჩემზე ნაკლებად კი არ იცის, - თქვა მეორემ.

- არ უმართლებთ იმათ, - თქვა მესამემ. - ჰოდა, როცა არ გიმართლებს, რაც უნდა იხტუნო, ერთია მაინც.

- რაღა თქმა უნდა - ჩაურთო რეტლიფმა. - იმის მეტი არაფერი მესმის, ზარმაცზე რომ იტყვიან ხოლმე - არ უმართლებსო. რას იზამ, ალბათ ასეა მართლაც.

- ზარმაცი არაა ის კაცი, - თქვა მესამემ. - ამ ოთხი წლის წინ ჯორი რომ დაუვარდა, მეორე ჯორთან ერთად შეებნენ გუთანში და ისე მოიხნეს მიწა. არა, ზარმაცები არ არიან.

- რაკი ასეა, კეთილი, - თქვა კვლავაც უკაცრიელი გზის მაცქერალმა რეტლიფმა. - ის ქალი ალბათ უმაღვე შეუდგება ხვნის მოლევას. უფროსი გოგო კი ჰყავთ იმდენად წამოზრდილი, რომ ჯორთან ერთად შეებას გუთანში, ხომ? ანდა გუთანს მისდიოს, სანამ მისის არმსტიდი ჯორს შეეშველება ხოლმე? - კვლავ შეხედა პირში რტოგარჩილ კაცს, თითქოს პასუხს მისგან ელოდებო, მაგრამ ის კაცი არ უმზერდა და ენის გაუჩერებლად განაგრძო ლაპარაკი. ნოქარი წირთხლს მიყრდნობილი იდგა, თითქოს საცაა ფხანას უნდა მოჰყვესო ხელახლა, და ახლა უკვე სულ მოქუშული გამოსცქეროდა რეტლიფს თვალის დაუფახულებლად. რეტლიფს რომ ფლემ სნოუპსისთვის შეეხედა, ჩამოფხატულ ქუდქვეშ ვერაფერს დაინახავდა, გაუწყნარებლად მოძრავი ყბების გარდა. ბურბუმელა ისევ ისე სწორად და აუჩქარებლად ითლებოდა. - იმ ქალს დრო თავზე საყრელი აქვს ახლა, იმიტომ, რომ მისის ლიტლჯონისას ჭურჭელს რომ გადარეცხავს და ოთახებს გამოგვის თავისი და ჰენრის ხარჯის ასანაზღაურებლად, მერე ისღა რჩება გასაკეთებელი, რომ შინ საქონელი მოწველოს და ბავშვებს სახვალის საჭმელი მოუმზადოს, მერე ბავშვები დააპუროს, უმცროსები დააძინოს და კარის წინ შეიცადოს, ვიდრე უფროსი გოგო შიგნიდან კარს გადარაზავდეს, ლოგინში ჩაწვებოდეს და გვერდით ნაჯახს მოიდებდეს...

- ნაჯახსო? - თქვა რტოგარჩილმა კაცმა.

- აბა! ნაჯახს იდებს გვერდზე ლოგინში. ის გოგო თორმეტს არ გადასცილებია, ჩვენში კიდევ ახლა თავზე საყრელადაა დაუჭერილი ცხენები, რომლებთანაც ფლემ სნოუპსს არაფერი ესაქმება, ჰოდა, ცხადია, გოგო გულდაჯერებული არაა - მისის ლიტლჯონით სარეცხი ფიცრით შევძლებო მოგერიებას... ჰო, მერე ის ქალი უკან ბრუნდება ნავახშმევი ჭურჭლის დასარეცხად. ამის მერე დილაამდე არაფერი აქვს საქმე, გარდა იმისა, რომ

იჯდეს და ელოდოს - იქნებ ჰენრიმ დამიძახოსო. უთენია კიდევ შეშა დასაჩები და საუზმე გასამზადებელი, მერე მისის ლიტლჯონს უნდა მიეშველოს - ჭურჭელი დაარეცხვინოს, ლოგინები გაასწოროს, იატაკი გამოგავოს, თან სულ გზისკენ უნდა ეჭიროს თვალი. იმიტომ, რომ ყოველწუთას შეიძლება დაბრუნდეს ფლემ სნოუპსი საიდანაც, ვაჭრობის მერე რომ გაემგზავრა, იქიდან, - რაღა თქმა უნდა, ქალაქში იყო წასული თავისი ბიძაშვილის გამოსახსნელად, აი, იმის, კანონთან რომ აქვს ცოტა უსიამოვნება, - ჰოდა, მაშინ თავის ხუთ დოლარსაც მიიღებს ის ქალი. ოღონდ, ვაითუ არ დამიბრუნოსო, - იტყვის ხოლმე და მისის ლიტლჯონიც მგონი, ასე ფიქრობს, იმიტომ, რომ პასუხად არაფერს ეუბნება. ყური მოვკარი, როგორ...

- თქვენ თვითონ სადღა იყავით ამ დროს? - თქვა ნოქარმა.

- ჩუმად ვაყურადებდი, - თქვა რეტლიფმა. ნოქარს შეხედა და ისევ შებრუნდა, თითქმის ზურგი შეაქცია ყველას. - ...ჰოდა, ყური მოვკარი, როგორ აჩხარუნებდა საინებს მისის ლიტლჯონი, ტამტში ისე აწყობდა, თითქოს მოქნეულად ისვრისო იმ საინებს. როგორ გგონიათო, - ეკითხებოდა მისის არმსტიდი. - იმ ფულს დამიბრუნებსო? ტეხასელმა მისცა ფული და მითხრა - შეგიძლიათ მიიღოთ. - ყველა ყურობდა, როგორ მისცა ფული მისტერ სნოუპსს, ისიც ყველამ გაიგონა, როგორ მითხრა - ხვალ შეგიძლიათ, მისტერ სნოუპსისგან მიიღოთ. ამასობაში მისის ლიტლჯონი საინებს რეცხავდა, ისე რეცხავდა, გეგონებოდათ, კაცი მისდგომიაო, თითქოს რკინისგან იყო ის საინები გაკეთებული. არა მგონიაო, - უთხრა პასუხად, - მაგრამ მაინც სინჯეთ, არაფერი დამავდებაო. თუკი არ მომცემს, რაღაზე ვსინჯო, - ამბობდა მისის არმსტიდი. როგორც გინდათო, - უპასუხა მისის ლიტლჯონმა, თქვენი ფულია, ჩემი კი არაო. მერე ცოტა ხანს გაჩუმდნენ, მარტო საინები ჩხარუნობდა. თქვენ გგონიათ, შეიძლება დამიბრუნოს კიდეცო? - შეეკითხა მისის არმსტიდი. - იმ ტეხასელმა მითხრა - დაგიბრუნებსო, ყველამ გაიგონაო. ჰოდა, მიდით და სთხოვეთო, - უთხრა მისის ლიტლჯონმა. ისევ გაჩუმდნენ და საინები ჩხარუნობდა მარტო. არ დამიბრუნებსო, - თქვა მისის არმსტიდმა. ჰოდა, მაშინ ნულარ მიდიხართო, - უთხრა მისის ლიტლჯონმა. მერე ისევ საინები ჩხარუნობდა მარტო. ეტყობოდა, ორივენი რეცხავდნენ ჭურჭელს ორ ტამტში. აბა, თქვენ გგონიათ არ დამიბრუნებსო? - თქვა მისის არმსტიდმა. მისის ლიტლჯონი გაყუჩდა, კრინტი აღარ დაუძრავს. ისეთი ჩხარაჩხური იყო ამტყდარი, გეგონებოდათ, საინებს ერთიმეორეს აყრისო. იქნება ჰენრისთვის მეკითხაო, - თქვა მისის არმსტიდმა. თქვენს ადგილას სწორედ მასე ვიზამდიო, - უპასუხა მისის ლიტლჯონმა. ჰოდა, მიწა გამისკდეს, ისეთი ჩხარუნი იდგა, იტყოდით თითო ხელში თითო საინი უჭირავს და ერთიმეორეს უხათქუნებსო, ისე, როგორც ორკესტრში იციან ხოლმე სპილენძის ქვაბისთავსახურავების ხათქუნი. - მაშინ ჰენრი იმ ხუთი დოლარით სხვა ცხენს იყიდის, იქნება ამჯერად ისეთი შეხვდეს, სულიც გააფრთხობინოს, ამაში რომ ვიყო დარწმუნებული, იმ ფულს საკუთარი ჯიბიდან გადავუთვლიდიო. მე მგონია, ჯერ ჰენრის ვკითხავო, - თქვა მისის არმსტიდმა. მერე კი ისეთი გრიალი ატყდა, თითქოს მისის ლიტლჯონმა ტამტებს ხელი წამოავლო და ქურას დაახეთქაო...

რეტლიფი გაჩუმდა. მის ზურგს უკან ნოქარი სისინებდა:

- სს! სს! ფლემ, ფლემ!

რეტლიფი გაჩემდა და ყველამ დაინახა, როგორ ამოიარა კართანა მისის არმსტიდმა - გამხდარი, შემოჩაჩული თალხი ტანსაცმლით მოსილი, ჭუჭყიანი ფლოსტებით ამოფრატუნდა კიბეზე. გალერეა გაიარა და სნოუჰისის წინ შედგა, არავის უმზერდა წინსაფარქვეშ ხელეზამოწყობილი.

- მაშინ იმან თქვა - ჰენრისთვის ცხენი არ მიმიყიდიო, - აღმოთქვა უსიცოცხლო ხმით. - ფული იმას აქვსო, თქვენი მითხრა, შეგიძლია მიიღო. - სნოუჰისმა თავი აიღო, ოდნავ შეაბრუნა და ქალის გვერდით მარჯვედ გადააპურჭყა გზაზე.

- იმან მთელი ფული თან გაიყოლა, - თქვა სნოუჰისმა.

თალხი ტანსაცმლით მოსილი, ქანდაკივით უძრავად მდგარი მისის არმსტიდი თითქოს რაღაცას აკვირდებოდა სნოუჰისის ფერხით, თითქოს არც მოესმინოს მისი სიტყვები ან თითქოს დადუმებისთანავე დაეტოვებინოს თავისი სხეული და, თუმცა სხეულმა კი მოისმინა და აღიქვა, მაგრამ იმ სიტყვებს არც შინაარსი ჰქონდა და არც აზრი, ვიდრე სხეულის მფლობელი არ დაბრუნდებოდა. ქალის მაცქერალი ნოქარი ისევ აფხანდა ზურგს კარის წირთხლს. ბიჭუნაც იმას მისჩერებოდა თავისი თვალის დაუფახულბელი მზერით, სხვანი არ უყურებდნენ. პირში რტოგარჭობილმა კაცმა რტო გამოიღო, გადააფურთხა და ისევ პირში გაირჭო.

- ასე მითხრა - ჰენრის არაფერი ცხენი ჩემგან არ უყიდიო, - თქვა ქალმა.

- თქვენი მითხრა - ფული მისგან შეგიძლია მიიღო.

- ეტყობა, დავიწყებია, - თქვა სნოუჰისმა. - მთელი ფული თან გაიყოლა.

წამით შეხედა ქალს, მერე ისევ თავის ჯოხს მიუბრუნდა. ქალის მაცქერალი ნოქარი ნელ-ნელა ეხახუნებოდა კარს. მცირე ხნის შემდეგ მისის არმსტიდმა თავი აიღო და გახედა გზას, გაზაფხულის ფაფუკი მტვრით რომ იყო დაფენილი, მისის ლიტლჯონის სახლის გვერდით რომ გადიოდა, მერე აღმართს რომ მიუყვებოდა, აკაციის ტევრს, ჯერაც გაუშლელს (აყვავებით მერე აყვავდება, ივნისში), სკოლას, რომლის ახდელი სახურავი მსხლისა და ატმის ხეთა შორის გამოჩრილიყო ბაღში, გეგონებოდათ სკა არის და მის ირგვლივ თეთრ-წითელი ფუტკრები რიალებნო, მერე გორაკის ფერდობს, სადაც მარმარილოს ფილებით მოფენილ საფლავებს შორის, დიდებულ კედართა ჩრდილქვეშ ეკლესია იდგა. ქალი წავიდა, რეზინის ძირები კვლავ გაფრატუნდა ფუტურო ფიცრებზე.

- სადილობის დროა ალბათ, - თქვა მან.

- ჰენრი როგორ არის ახლა, მისის არმსტიდ? - შეეკითხა რეტლიფი. ქალი შეჩერდა, მოხედა, გამოცარიელებულ თვალებში წამით შუქი ჩაუდგა.

- მადლობელი გახლავართ, სძინავს, - თქვა მან. მერე თვალები ისევ ჩაუქრა, გზა განაგრძო. სნოუჰისი სუამიდან წამოდგა, ცერით დანა დაკეტა და შარვლიდან ბურბუშელები ჩამოიბერტყა.

- მომითმინეთ ერთი, - თქვა.

გალერეისკენ გვერდმეცეული მისის არმსტიდი ისევ შეჩერდა, ოღონდ არც სნოუჰისთვის შეუხედავს, არც დანარჩენებისთვის. „რაღა თქმა უნდა, ვერ დაიჯერებს ამ ამბავს, - გაიფიქრა რეტლიფმა. - ჩემი არ იყოს“. სნოუჰსი დუქანში შევიდა, და კარს მიყრდნობილი, კვლავ გაქვავებული ნოქარი თითქოს ელოდებოდა - მალე იქნება თუ არა შესაძლებელი, ისევ ფხანას შევეუდგეო, სნოუჰსს თვალს მიაყოლებდა ბუკიოტივით თავშებრუნებული და ვიწრო თვალთა ხშირ-ხშირად მოფახულე. ჯოდი უორნერი მოვიდა ცხენით. თუთის ხისკენ გადაუხვია, იქ მიაბამდა ხოლმე ცხენს ჩვეულებრივ. ჭრიალით ჩაიარა ფურგონმა. კოფოზე მჯდარმა სალმის ნიშნად ხელი შემართა. გალერეაში მყოფთაგან ერთი თუ ორი ასევე მიესალმა პასუხად. ფურგონი არ შეჩერებულა. მისის არმსტიდმა თვალი გააყოლა. სნოუჰსი დუქნიდან გამოვიდა, მისის არმსტიდს მიუახლოვდა ქალაქის ჭრელი პარკით ხელში.

- აი, - უთხრა. ქალმა ხელი გაიწოდა პარკის ჩამოსართმევად. - ბავშვებმა თავი შეიქციონ, - თქვა სნოუჰსმა. მეორე ხელი ჯიბეში ჩაიყო და სკამზე დაჯდომისას იქიდან რაღაც ამოიღო, ნოქარს მისცა. ხუთცენტიანი იყო. სნოუჰსი სკამზე ჩამოჯდა და ისევ კარს მიყრდნო. ხელში გაშლილი დანა ეჭირა უკვე. თავი ოდნავ შეაბრუნა და ქალის თაღხი ტანსაცმლის გვერდით მარჯვედ გადააპურჭყა გზაზე. ბიჭუნა ქალის ხელში პარკს მისჩერებოდა. ბოლოს, თითქოს გამოფხიზლდაო, ქალმაც დაინახა პარკი.

- დიდი მოწყალე ბრძანდებით, - თქვა ქალმა. პარკი წინსაფარში გაახვია და ბიჭუნა თვალდაუხამხამებელი მხერით შეჰყურებდა წინსაფარქვეშ მისი ხელების წამობურცვას. ქალი დაიძრა. - სადილობის დროა, - თქვა. კართანადან დაეშვა, მაგრამ, მიწაზე დადგა თუ არა ფეხი, მისი ტანსაცმლის რუხმა ნაოჭებმა უმაღვე ხელახლა დაკარგა მოძრაობის ყოველგვარი ნიშანწყალი, და ქალი გაცურდა ხელახლა, თანდათანობით დაპატარავდა ტივზე მდგარივით; იტყოდით, ხის რუხი გონჯი ღერო არისო, მდინარეებს მისდევს ნელა, რაღაც სასწაულით მაინც ამართულია, თითქოს მიწაშიც აქვსო ძირი გადგმული. ანაზდად ნოქარი აროხროხდა მხიარულად. ხელი ბარძაყზე დაიტყავუნა.

- ღმერთია ნამდვილი, - თქვა მან. - რას გახდებით ამასთან!

უკანა კართანადან შემოსული ჯოდი უორნერი ანაზდად გაქვავდა ცალფეხაწეული, თითქოს ნაბულზე მდგარი პოინტერი ყოფილიყო. მერე თითის წვერებზე დახლს შიგნით შეიჭრა ჩქამის გაუღებლად და თაროებს შორის იქით მიმართა, სადაც მოჯორჯილი, დათვის მინაგვანი სხეული ფუთფუთებდა ნემსებიან, ძაფებიან, თუთუნთან და შემხმარ ფერად-ფერად ტკბილეულიან ვიტრინაში მხრებამდე თავწაყოფილი. ჯოდიმ უხეშად, გულმოსულად გამოათრია ყმაწვილი ვიტრინიდან: იმან ამოიხავლა და უნიათოდ გამალებულმა რაღაც სასუსნავის უკანასკნელ მუჭას გადაუძახა პირში. ოღონდ მეტი აღარ გამაღიანებულა, მიყუჩდა და მოეშვა, ყბები უმოდრავებდა მხოლოდ ჩქარ-ჩქარა. უორნერმა დახლს იქიდან გამოათრია, ხოლო ადგილს მომწყდარი ნოქარი უკვე შემოვარდნილიყო ფაცაფუცით.

- ჰეი, წმინდაო ელმ! - თქვა მან.

- რამდენჯერ გითხარით, ამის დუქანში შემოშვება აღარ გაბედოთ-მეთქი! - თქვა ბიჭის მოჯანჯღარე უორნერმა. - თითქმის მთელი ვიტრინა შეუთქვლეფია. აბა, ადექი!

ყმაწვილი ერთიანად მოჩვარულიყო მის ხელში, დაცლილ ტომარასავით ეკიდა. რაღაცნაირი მორჩილი განწირულებით იღეჭებოდა, ფართო, დონდლო, უფერულ სახეზე თვალები მჭიდროდ დაეხუჭა, ხოლო ყურები ძლივს შესამჩნევად, მაგრამ შეუჩერებლად უმოძრავებდა მღეჭველი ყბების ტაქტზე. ეს რომ არა, შეიძლებოდა გეფიქრათ სძინავსო.

- აბა, წმინდაო ელმ, - უთხრა ნოქარმა. - ადექი! - ბიჭი ახლა ფეხზე იდგა, ოღონდ თვალებს არ ახელდა და ისევ იღეჭებოდა. უორნერმა ხელი შეუშვა. - წადი სახლში, - უთხრა ნოქარმა. ბიჭი მორჩილად შებრუნდა, რათა დუქნის გავლით გასულიყო. უორნერმა უკან მოქაჩა.

- მაქეთ არა, - უთხრა.

ბიჭმა გალერეა გაიარა და კართანაზე დაეშვა თავისი ვიწრო კომბინეზონით მოსილი. ვიდრე მიწაზე დაადგამდა ფეხს, ჯიბიდან რაღაც ამოიღო და პირში ჩაიტენა; ყურები ისევ ოდნავ შესამჩნევად აუმოძრავდა ყბებთან ერთად.

- ვირთხაზე უარესი არაა? - თქვა ნოქარმა.

- რა ვირთხაო! - თქვა ხრინწიანად მსუნთქავმა უორნერმა. - ბოსტანში გადასულ თხაზე უარესია. აგერ ნახავთ, ღვედებს, სადავეებს, მოსართავებს და ტილოებს რომ მიადგება, უკანა კარიდან შემოძვრება, ყველაფერს გადასანსლავს, მეც შემჭამს, თქვენც, იმასაც - სამივეს შეგვახრამუნებს. მერე, მიწა გამისკდეს, იქით გახედვისაც შეგეშინდება კაცს - გაიხედავ და გზას გადაირბენს, ბამბის საწმენდს და სამჭედურს მიჰყოფს ხელს. აი, რას გეტყვით. ერთხელაც რომ დავიჭირო კიდევ აქ, დათვის ხაფანგს დავდგამ დუქანში. - და ნოქართან ერთად გალერეაში გამოვიდა. - დილა მშვიდობისა, ჯენტლმენებო, - თქვა მან.

- ვინ იყო ის, ჯოდი? - შეეკითხა რეტლიფი.

გარდა ნოქრისა, რომელიც იქით გაჩერებულიყო, ფეხზე მხოლოდ ესენი იდგნენ. და ახლა, ერთიმეორის გვერდიგვერდ რომ იყვნენ, შესამჩნევი შეიქნა მათი მსგავსება - შორეული, თვალმოუტანებელი, გაურკვეველი მსგავსება, არც გარეგნული, არც ლაპარაკის მანერით შესატყობი, არც ტანსაცმლის თუ აზრთა წყობის მიხედვით სათქმელი; და, ცხადია, არც შინაგანი სახე ჰქონიათ მსგავსი. მაგრამ მსგავსება მაინც იყო, ისევე როგორც გადაულახველი განსხვავება, რადგან ჯოდის მისივე ბედის დალი დასჩნეოდა; მოვა დრო და ჯოდი დაბერდება; რეტლიფიც; გარნა ჯოდის სამოცდახუთი წლისას ხელში ჩაიჭერს და თავს ათხოვინებს ჩვიდმეტს მიუტანებელი გოგო, რომელიც სიკვდილამდე შურს იძიებს მასზე თავისი სქესისთვის; ხოლო რეტლიფს ვერავინ ვერასოდეს ჩაიგდებს ხელში.

ყმაწვილი ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა გზას. ჯიბიდან ისევ რაღაც ამოაძვრინა და პირში იტაცა.

- ეგ ა. ო-ს ბიჭია - თქვა უორნერმა. - ღმერთს ვფიცავ, ყველაფერი ვიღონე, ფეხი რომ ამომეკვეთინებინა, ესაა, რომ საწამლავი არ დამიყრია ვიტრინაში.

- რაო? - თქვა რეტლიფმა და სწრაფად მოავლო ყველას თვალი; თავად მას მარტო გაოცება კი არა, ლამის შიშიც აღებეჭდა სახეზე. - მე მეგონა... ბიჭებო, გუშინწინ ასე მითხარით... გუშინწინ მითხარით - ქალი ჩამოუვიდაო, ახალგაზრდა ქალი და ბავშვიო... ჰოდა, ახლა... როგორ მოხდა?

- ეს მეორეა, ფეხგასახმოები, - თქვა უორნერმა. - რაო, ეკ, ერთი ცხენი დაგიჭერია, როგორც ამბობენ.

- დიახ, დავიჭირე, - მიუგო ეკმა. იმას და მის ვაჟიშვილს ჭამა მოეთავებინათ, ახლა ეკი კედელთან მიმჯდარიყო დაცლილი პარკით ხელში.

- რომელი, ნაჩუქარი? - ჰკითხა უორნერმა.

- დიახ, ნაჩუქარი, - მიუგო ეკმა.

- მამა, მეორე მე მაჩუქე! - უთხრა ბიჭუნამ.

- ჰოდა, მერე?

- კისერი მოიტება იმ ცხენმა, - თქვა ეკმა.

- ვიცი ეგ ამბავი, - თქვა უორნერმა. - ოღონდ როგორ მოიტება? - ეკი არ შერხეულა. მისი შემყურენი ლამის თვალნათლად ხედავდნენ, როგორ არჩევდა და თავს უყრიდა სიტყვებს, ფრაზებს, ზემოდან მისმა მაცქერალმა უორნერმა ხრინწიანი, ნამალადევი სიცილით გაიცინა და კბილებს შუა სტვენით ჩაისუნთქა. - მე მოგიყვებით, როგორ მოხდა ეგ ამბავი. ეკმა და მისმა ბიჭმა თითქმის მთელი დღე და ღამე სდიეს იმ ცხენს და ბოლოს იმ ჩიხშიშეიმწყვდიეს, ფრიმენის სახლის გვერდით რომაა. ისიც მოისაზრეს - ფრიმენის რვაფუტიან მესერს ვერ გადაახტებო, ჰოდა, იმ ჩიხის თავში სამი ფუტის სიმაღლეზე თოკი გააბეს. ცხენი კიდევ, რასაკვირველია, ჩიხის ბოლომდე რომ მიჭენდა და ფრიმენის თავლას მიაწყდა, გამობრუნდა და, როგორც ეკიც ვარაუდობდა, ჩიხში გამოჭენდა უკანვე. ეტყობა, თოკი ვერც შენიშნა. მისის ფრიმენი კართანაზე გამოსულა და ყველაფერი დაუნახავს. ცხენი რომ იმ ბაწარს გადააწყდა, ნამდვილ დიდ საშობაო შუშხუნას ჰგავდაო, თქვა. მეორე ცხენის ასავალ-დასავალი კიდევ ველარ შეიტყვეთ, არა?

- დიახ, - თქვა ეკმა. - ისიც ვერ დავინახე, საით გაჭენდა.

- მე მაჩუქე, მამა, რა! - თქვა ბიჭუნამ.

- დაიცადე, ჯერ დავიჭიროთ ის ცხენი, - უთხრა ეკმა. - მერე ვნახოთ.

იმავე საღამოს რეტლიფის ფურგონი ბუკრაიტის ჭიშკართან იყო მიყენებული, თავად ბუკრაიტიც იქვე იდგა, შარავნაზე.

- შეცდით თქვენ, - უთხრა ბუკრაიტმა. - ხომ დაბრუნდა!

- დაბრუნდა, - თქვა რეტლიფმა. - სწორად ვერ შევაფასე მისი... არა, სიმტკიცე არაა ის სიტყვა, რაღა თქმა უნდა, არც უმტკიცობა. ოღონდ არ შევმცდარვარ.

- კარგი ერთი, - თქვა ბუკრაიტმა. - გუშინ მთელ დღეს არ გამოჩენილა. მართალია, ქალაქისკენ გამგზავრებული ან იქიდან დაბრუნებული არავის დაუნახავს, მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ სწორედ იქ იყო. არც ერთი სულიერი, თუ გინდა სნოუპსიც იყოს, არ იზამს, რომ მისი სახლიკაცი ციხეში ამოაღებონ.

- დიდხანს არ გაჩერდება იქ. სასამართლომდე თვეზე ნაკლებია დარჩენილი, ჰოდა, მერე, პარჩმენში რომ უკრავენ თავს, ისევ სუფთა ჰაერზე მოხვდება. მეურნეობასაც ხელახლა მიჰყოფს ხელს, ხვნას დაიწყებს. რასაკვირველია, ის მისი ბამბა არ იქნება, მაგრამ თავის ბამბაშიც ხომ არასოდეს აულია იმდენი, რომ თავი გაეტანა როგორმე.

- კარგი ერთი, - თქვა ბუკრაიტმა. - არაფრის დიდებით არ დავიჯერებ. არ იზამს ფლემი იმის კატორღაში გაშვებას.

- იზამს, - მიუგო რეტლიფმა. - იმიტომ, რომ როგორმე უნდა გაანადღოს ეს მოსიარულე თამასუქები, დროდადრო ხან აქ რომ ამოყოფს თავს და ხან იქ. რამდენიმე მათგანისგან მაინც უნდა დაიხსნას თავი.

ერთიმეორეს მიაცქერდნენ - რეტლიფი სერიოზული და მშვიდი, თავისი ლურჯი ხალათით მოსილი, ბუკრაიტიც სერიოზული, დაფიქრებული, შავწარბებშეკრული.

- კი, მაგრამ, თქვენ არ ამბობდით - ერთად დავწვითო თამასუქები?

- მე ის გითხარით - ორი თამასუქი დავწვით-მეთქი, მინჯ სნოუპსის მოცემული. მაგრამ ნუთუ გგონიათ, რომ რომელიმე სნოუპსი, რა საქმეც უნდა იყოს, ბოლომდე ენდობა ქალაღდის იმ ნაკუწს, ერთი ასანთით რომ შეიძლება დაიფერფლოს? თუ იმას ფიქრობთ - რომელიმე სნოუპსი ამას ვერ ხვდებაო?

- ჰო-ო, - თქვა ბუკრაიტმა. - ჰი, - თქვა უგუნებოდ. - იმედია, ჰენრი, არმსტიდსაც დაუბრუნეთ მისი ხუთი დოლარი.

რეტლიფმა პირი იბრუნა. სახე შეეცვალა; რაღაც წამიერი, ეშმაკური გამომეტყველება გაუკრთა ზედ. ოღონდ თვალები არ უცინოდა. მერე ის გამომეტყველებაც გაუქრა.

- შემემლო დამებრუნებინა, მაგრამ არ ვქენი. შემემლო, დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი - ამჯერად ისეთ რამეს იყიდის, რაც სულს გააფრთხობინებს-მეთქი, მისის ლიტლჯონის არ იყოს. გარდა ამისა, მე სნოუპსს კი არ ვიცავდი სნოუპსებისგან, არც კაცს სნოუპსებისგან. კაცს კი არ ვიცავდი, - უწყინარ არსებას, რომელსაც ერთი რამის მეტი არაფერი უნდა: იაროს ამქვეყნად და მზეს მიეფიცხოს. არსებას, რომელიც ვერ შეძლებდა ვისმესთვის

ბოროტი ეყო, კიდეც რომ მოეწადინებინა, და ვერც მოიწადინებდა, კიდეც რომ შესძლებოდა. გინდაც ასე ვთქვათ, რომ გვერდზე ვერ გადგებოდი იმის მაცქერალი, ძაღლს როგორ პარავთ ძვალს. მე არ შემიქმნია ისინი სწოუპსებად, არც ის ხალხი შემიქმნია, ვინც იმათ თვითონვე მიუშვერს ხოლმე უკანაღს. მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ არ გავაკეთებ, გაიგეთ? არ გავაკეთებ!

- კმარა, - უთხრა ბუკრაიტმა. - უფრო მოზომილად მიჰყევით. თქვენ წინ ბორცვია მხოლოდ, კმარა-მეთქი, გუბნებით.

2

ორივე საქმე - არმსტიდი სწოუპსის წინააღმდეგ და ტალი ეკრემ სწოუპსის წინააღმდეგ (საერთოდ, ყველა სწოუპსის წინააღმდეგ და უორნერის წინააღმდეგაც, რადგან, როგორც მთელმა სოფელმა შეიტყო, ტალის გულმოსული ცოლი ამ საქმეში უორნერის გაბმასაც ცდილობდა) - მხარეთა ურთიერთშეთანხმებისამებრ სხვა ოლქის სასამართლოს უნდა გაერჩია. უფრო სწორად - სამი მხარის შეთანხმებისამებრ, იმიტომ, რომ ფლემ სწოუპსმა გადაჭრით იუარა სარჩელი ეცნო, გვერდზე გადააპურჭყა, უშფოთველად განაცხადა - ის ცხენები ჩემი არ არისო, და ისევ თავისი ჯოხის თლას მიჰყო ხელი, ხოლო შეცბუნებული და ნირწამხდარი შერიფი კედელს მიყუდებულ სკამთან გაჩერებულიყო და ცდილობდა უწყება ჩაებარებინა მისთვის.

- ხო-ხო, რა მშვენიერი შემთხვევა მიეცემოდა იმ სწოუპსების ოჯახის ვეკილს, - თქვა რეტლიფმა, როცა ყოველივე შეიტყო. - რა ჰქვია იმ... აი, იმსანაქებო მამას, მოსეს, პირი რომ მოსწრებული სიტყვებით აქვს გამოტენილი და კაცმა არ იცის, სად-საიდან გამომტყვრალი ვაჟიშვილები რომ ეპორწიალებიან შარვალზე. საკვირველია სწორედ, როგორ ხდება ეს ამბავი, რომ ერთთავად მაგ ხალხის ამბებს მიაძებონ, ჰოდა სახელები მაინც ვერ დამიმახსოვრებია. მოკლედ, იმ ა. ო-ს იმას მოთმინება არასოდეს ჰყოფნის მოსაცდელად. შესაძლოა მთელ მის პრაქტიკაში ეს ერთადერთი დავა იქნებოდა, რომელზეც დოყლაპია კლიენტი საქმეში არ ჩაერეოდა და პირში ბურთს არ ჩასჩრიდა, მარტო მოსამართლეს ექნებოდა უფლება ეთქვა - მოკეტეთო.

ასე რომ, არც უორნერის ეტლი და არც რეტლიფის ფურგონი არ ყოფილა ფურგონების, ოთხთვალეების, ცხენებისა და ჯორების იმ ნაკადში, რომელიც მიაწყდა უაიტლიფის დუქანს, სოფლიდან რვა მილზე მდებარეს; თანაც მარტო ფრანგისხევიდან კი არ მისწყდომია, არამედ ყოველი მხრიდან, რადგან საამდროოდ ის, რასაც რეტლიფი „ტეხასურ სენს“ უწოდებდა, ის აფორეჯებული ჯადო, იმ ველურ, მოუხელთებელ ცხენთა შვავი გარშემო ოც კი არა და, ოცდაათ მილზე მიმოიფანტა. და როცა ფრანგისხევიდან იწყო ხალხმა დენა, დუქანთან უკვე ოცამდე ფურგონი იდგა უკანა ღერძებზე ცხენებმბმული, ხოლო იქვე ახლოს, კორომში, ორი ამდენი შეკაზმული ცხენი და ჯორი გაეჩერებინათ; ამიტომ გადაწყვიტეს, სხდომა დუქნიდან გადაეტანათ ახლომდებარე გადმოხურულში, სადაც შემოდგომობით ბამბას

ზვინავდნენ ხოლმე. ოღონდ ცხრა საათისთვის ცხადი შეიქნა, რომ ყველა მსურველი ვერც იმ გადმოხურულის ქვეშ დაეტეოდა, ამიტომ სხდომა ხელახლა გადაიტანეს, ამჯერად უკვე პირდაპირ კორომში. იქიდან ჯორცხენები და ფურგონები გააშორებინეს, ფარდულიდან მოიტანეს ერთადერთი სკამი, ჩლახუნა მაგიდა, სქელი ბიბლია, რომლითაც, როგორც ზედვე ეტყობოდა, ხშირად სარგებლობდნენ ხოლმე, როგორც ძველი, ოღონდ სანდო ინსტრუმენტით, კალენდარი და „მისისიპის შტატის საკანონმდებლო დადგენილებათა“ 1881 წლის შეკვრა, რომელსაც ერთადერთი გაზინთული ნაკეცი დაუყვებოდა, თითქოს მისი პატრონი (ან ის, ვინც მისით სარგებლობდა) ამ კრებულს მუდამ ერთსა და იმავე გვერდზე, ოღონდ ხშირ-ხშირად კი შლიდა ხოლმე. ოთხი საგანგებოდ გაგზავნილი კაცი ეტლით ხელად გაქანდა დუქნიდან ერთ მილზე მდგარი ეკლესიისკენ და ხის ოთხი სკამი მოიტანა მოდავეების, მათი ნათესავებისა და მოწმეებისთვის; იქით მაყურებელნი ჩარიგებულყვენენ - მამაკაცები, ქალები, ბალები, სერიოზულნი, ყურმიპყრობილნი, გამოკოხტავებულნი; რაღა თქმა უნდა, სადღესასწაულოდ არ ყოფილან ჩაცმულნი, მაგრამ დილიდანვე სუფთა სამუშაო ტანსაცმელი კი ემოსათ შაბათ დღის ხათრით - ამ დღეს ან სოფლის დუქანთან უწევდათ ხოლმე ჩამოჯდომა, ან ქალაქს გამგზავრება; ორშაბათსაც ამ ტანსაცმლით გავიდოდნენ ყანაში სამუშაოდ და მთელ კვირას ატარებდნენ ხოლმე, მომდევნო პარასკევის საღამომდე. მომრიგებელ მოსამართლეს, წესიერ, ტანმორჩილ, ფუნჩულა ბერიკაცს, რომელსაც სწორი, ოდნავ ხვეული ჭაღარა თმა შეენოდა და ამქვეყნად ყველა ბაბუას გამოსაჯავრებლად დახატული უბოროტო კარიკატურიდან გადმოსულს ჰგავდა, უმწიკვლო ხალათი ემოსა, ქათქათა, ელვარე, გახამებულ მანჟეტებ და გულისპირიანი, თანაც ფოლადის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. მაგიდას მიუჯდა და გადმოხედა ამათ - უფერულ ქალს, რუხი კაბითა და ქუდით მოსილს, უმოძრაოდ მუხლებზე ხელებჩამოყრილს, რომელსაც ის მქრქალი, დაკორმილი ხელები დამძრალ ჭაობში ამოძირკვეულ ფესვებს მიუგავდა; გამოხუნებული, ოღონდ ახალი ხალათითა და კომბინეზონით მოსილ ტალს, რომლის ტანსაცმელი არა მარტო სუფთად გაერეცხათ და გაეუთოებინათ, არამედ გაეხამებინათ კიდევ მის ქალებს, რომლის შარვალს ნაკეცი შუაში კი არ დაუყვებოდა, არამედ გვერდებზე, ისე, რომ შაბათობით დილიდანვე ბავშვის მოკლე საცმელს მიუგავდა ხოლმე; მის უშფოთველ, ცისფერ, უმანკო თვალებსა და ერთი თვის წამოზრდილ ფაფუკ წვერს, ლამის მთელ გაფიჭვინებულ სახეს რომ უფარავდა და რაღაცნაირად არაბუნებრივ, ბრიყვულად ავხორც იერს რომ ანიჭებდა, ოღონდ ისეთს კი არა, თითქოს მრავალი წლის შემდეგ სხვა მამაკაცთა წინაშე თავისი ნამდვილი სახით წარმდგარიყოს ანაზდად, არამედ ისეთს, თითქოს ძველი იტალიელი ოსტატის ფუნჯით ნახატი წმინდა ყრმის გამოსახულება ვინმე საძაგელ ბიჭს შეებილწოს; მისის ტალს, მკვრივ, მკერდათქვირულ, ოღონდ ცოტათი ულაზათო დედაკაცს, ვის სახესაც აღბეჭდოდა კუმტი გულისწყრომა, ამ ერთ თვეში თითქოს სრულებით რომ არ მომატებოდა, ოღონდ არც დასცხრომოდა, უბრალოდ ზედ შესციებოდა; ხოლო საოცარი ის იყო, რომ ერთბაშად ყველას ისე მოეჩვენა - რომელსამე სწოუპსზე ან კერძოდ რომელსამე მამაკაცზე კი არ არისო გულმოსული, არამედ ყველა მამაკაცზე, მთელ საკაცეთზე, და თავად ტალი დაზარალებული კი არ არის, მისი გულისწყრომის საგანიაო, - ერთ მხარეს ეს ეჯდა გვერდით ტალს, ხოლო მეორე მხარეს - უფროსთაგანი მისი ოთხი ქალიშვილიდან, თითქოს ორივენი (ან, ყოველ შემთხვევაში, მისის ტალი) კი არ შიშობენ მხოლოდ, რომ ტალი უეცრად წამოხტება და გაიქცევა, არამედ

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ეს ამბავი არამც და არამც არ მოახდინონო; ეკსა და მის ვაჟიშვილს, ორი წვეთი წყალივით რომ ჰგავდნენ ერთიმეორეს, ოღონდ ერთი უფრო მაღალი იყო; ნოქარ ლემპს, რომელსაც რუხი კეპი ეხურა, და ვიღაცას ეთქვა - სწორედ ის ქუდია, შარშან, ტეხასში გამგზავრებისას ფლემ სნოუპსი რომ ატარებდაო; ლემპი იჯდა, თვალეზს ჩქარ-ჩქარა აფახულებდა და ჯიუტად, ბოროტად, ვირთხასავით მისჩერებოდა მოსამართლეს. და მოსამართლის უფერულ, ბებრულ თვალეზში, სათვალის სქელი მინის მიღმა, მხოლოდ გაცეცხა და შეცბუნება კი არ გამოძკრთალა, არამედ რაღაც ისეთი, რაც შიშს ჩამოჰგავდა ძლიერ, სწორედ ისევე, როგორც ამ ერთი თვის წინ გალერეაში მდგარ რეტლიფს დაემართა.

- ესეც ასე... - თქვა მოსამართლემ. - მე არ ვვარაუდობდი... არ მოველოდი იმის დანახვას, რომ... მე მინდა ვილოცო, - თქვა მან. - რასაკვირველია, ხმამაღლა არ ვილოცებ. მაგრამ ვიმედოვნებ... - ისევე გადმოხედა ამათ. - მე მინდოდა... ერთი სიტყვით, იქნებ რომელიმე თქვენგანმა ჩემს მაგალითს მიჰბადოს.

თავი დახარა. ყველანი ფიქრიანად, უჩუმრად მისჩერებოდნენ, ის კი გაუნძრევლად იჯდა მაგიდასთან, დილის სიო თხელ თმას ურხევდა, ფოთოლთა მოცახცახე ჩრდილები ხალათის გახამებულ გულისპირზე, ქათქათა მანჟეტებზე, შეტყველებილ ხელებზე უკრთოდა. თავი ასწია.

- არმსტიდი სნოუპსის წინააღმდეგ, - თქვა მან.

მისის არმსტიდმა ლაპარაკი დაიწყო. არ ირხეოდა, არც არაფერს უმზერდა, ხელები მუხლებზე გადაეჯვარედინებინა მჭიდროდ; ხმა ისევე თანაბარი, ყრუ და განწირული ჰქონდა.

- იმ ტეხასელმა ასე მითხრა...

- მომითმინეთ, - გააწყვეტინა მოსამართლემ. სათვალის სქელ მინეზქვეშ მისი მიმქრალი თვალეზი აწრიალდა და დამსწრეთა სახეებს გადაუარა. - მოჰასუხე სადაა? რაღაც ვერ ვხედავ აქ.

- იუარა მოსვლა, - უთხრა შერიფმა.

- იუარაო? - თქვა მოსამართლემ. - განა უწყება არ ჩააბარეთ?

- არ მიიღო, - უთხრა შერიფმა. - ასე თქვა...

- ამ შემთხვევაში პასუხს აგებს სასამართლოს უპატივცემლობისთვის!

- რატომ უნდა აგოს? - თქვა ლემპ სნოუპსმა. - ჯერ არ დამტკიცებულა, რომ მისია ცხენები.

მოსამართლემ ლემპს შეხედა.

- განა თქვენ მოჰასუხის ინტერესებს წარმოადგენთ აქ? - შეეკითხა. სნოუპსი თვალთა ფახულით შესჩერებოდა.

- ეგ რაღას ნიშნავს? - იკითხა მან. - იმას, რომ დაჯარიმებას თუ დაუპირებთ, იმ ჯარიმას მე გადამახდევინებენ?

- ესე იგი, დავაში მონაწილეობის მიღებას უარობს, - თქვა მოსამართლემ. - განა არ იცის, რომ შემოდგომა პასუხისმგებლობაში მივცე ამისთვის, თუკი უბრალო სამართლიანობა და ზრდილობა არა ცნო?

- აი, ეს კი მარჯვედ ითქვა, - ჩაერია სნოუპსი. - ახლავე გეტყობათ, რა გაქვთ უზურში...

- გაჩუმდით, სნოუპს, - თქვა შერიფმა. - თუკი ამ საქმეს არ წარმოადგენთ, სულაც არაა საჭირო თქვენი ჩარევა. - მოსამართლეს მიუბრუნდა: - ხომ არ მიბრძანებთ, ფრანგისხევში ავიდე და სნოუპსი ჩამოვიყვანო? შემეძლო ეს გამეკეთებინა.

- არა, - უთხრა მოსამართლემ. - მოითმინეთ. - ისევ მოავლო თვალი შეუძვრელ სახეებს, ისევ დაბნეულად, შიშამდგარი მზერით. - ვინმეს თუ შეუძლია, დაბეჯითებით თქვას, ვისია ის ცხენები? ვის შეუძლია თქვას? - ისინიც მისჩერებოდნენ, გულშეუძვრელად, ჩაციებით შემზერდნენ ამ სალუქ, უმწიკვლო ბერიკაცს, რომელსაც ხელები მაგიდაზე დაელაგებინა და შეეტყველვა თრთოლის დასაცხრობად. - კეთილი და პატიოსანი. მისის არმსტიდ, - მიმართა ქალს, - უამბეთ სასამართლოს, როგორ მოხდა ეგ ამბავი.

ქალი ისევ აძრახდა მონოტონურ ხმაზე, ერთხელაც არ შერხეულა სრულ სიჩუმეში სადღაც მაცქერალი. რა დაასრულა, დადუმდა, და ხმა ერთხელაც არ შეთრთოლებია, თითქოს მის ნაამბობს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს და არც არაფრისთვის ყოფილიყოს წასადგომი. თავდახრილი მოსამართლე თითებს ითვალისწინებდა, ქალი რომ დადუმდა, ამან მზერა მიაპყრო.

- ჰო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ცხენები სნოუპსს ეკუთვნოდნენ. თქვენ იმ ტეხასელი კაცისთვის უნდა წარგედგინათ სარჩელი. ის კაცი კიდევ წასულა. სასამართლომ რომც დაადგინოს იმ კაცისთვის ფულის გადახდევინება, ფულის მიღებას მაინც ვერ მოახერხებთ. გამიგეთ?

- ის კაცი მისტერ სნოუპსმა ჩამოიყვანა, - თქვა მისის არმსტიდმა. - საიდან უნდა სცოდნოდა იმ კაცს, ფრანგისხევი სად არის, მისტერ სნოუპსს რომ არ ეჩვენებინა?

- კი, მაგრამ, ხომ ტეხასელმა დაყიდა ცხენები და მოკრიბა ფული! - მოსამართლემ ისევ მოავლო დამსწრეთ მზერა. - ასე არაა? თქვენ მითხარით, ბუკრაიტ, ასე იყო ეს ამბავი?

- დიახ, - თქვა ბუკრაიტმა.

მოსამართლემ ისევ შეხედა მისის არმსტიდს ნაღვლიანად, თანამგრძნობლის თვალთ. მძაფრი ქარი ამოვარდა, მაღლა ტოტებში შრიალებდა და მიწაზე ცვიოდა თეთრ-თეთრი ფურცლები, უდროოდ დაყვავილებული, ისევე

როგორც მკაცრი ზამთრის შემდეგ გაზაფხული დაყვავილებულიყო უხვად და უდროოდ.

- იმან მისტერ სნოუპსს მისცა ჰენრისთვის გამორთმეული ფული. ასე გვითხრა - არაფერი ცხენი ჰენრის ჩემგან არ უყიდიაო. ფული ხვალ შეგიძლიათ მიიღოთ მისტერ სნოუპსისგანო, მითხრა.

- მერედა, მოწმეებიც გყავთ, ვინც ამას დაადასტურებდა?

- დიახ, სერ. ყველა ყურობდა და ყველას ესმოდა, როგორ მისცა ფული მისტერ სნოუპსს და მითხრა - შეგიძლიათ მიიღოთო...

- მერე მოსთხოვეთ სნოუპსს ის ფული?

- დიახ, სერ. იმან კიდეც მითხრა - ტეხასელმა ფული თან გაიყოლიაო. მაგრამ მე შემეძლო...

ქალი ისევ დადუმდა, ისევე როგორც მოსამართლე, სადღაც დაბლა, თავის ხელებს დაშტერებული. ყოველ შემთხვევაში მზერით არავის უმზერდა.

- რაო? - შეეკითხა მოსამართლე. - რა შემეძლო?

- იმ ხუთი დოლარის ცნობა შემეძლო. ჩემი ჯაფით მაქვს ნაშოვნო, ღამღამობით ვქსოვდი ხოლმე, ჰენრის და ბავშვებს როცა ეძინათ. ზოგიერთი ჯეფერსონელი ქალბატონი ნართს მიგროვებდა და მაძლევდა, ჰოდა, მე ნაჭერს ვუქსოვდი საფასურად. თითო ცენტობით მოვუყარე ამ ფულს თავი და, რომ დამენახა, კი ვიცნობდი, იმიტომ, რომ ღუმლიდან ხშირ-ხშირად ვიღებდი თუნუქსა და ვითვლიდი, სულ იმის მოლოდინში ვიყავი, იმდენი როდის დამიგროვდება, ბავშვებს საზამთროდ ფეხზე ჩავაცვა-მეთქი. იმავე წუთში ვიცნობდი. ოღონდ კი მისტერ სნოუპსს ნება მოეცა...

- კი, მაგრამ, იქნებ ვინმემ ისიც ნახა, ფლემმა ის ფული ტეხასელს როგორ დაუბრუნა? - თქვა უცებ ლემზ სნოუპსმა.

- ნახა ვინმემ?

- დიახ, - გადაჭრით თქვა სნოუპსმა ჩახლეჩილ ხმაზე. - აგერ, ეკმა ნახა. - ეკს შეხედა. - ჰო, რაღას უყურებ? მოუყევი.

მოსამართლემ ეკს შეხედა; ტალის ოთხივე ქალიშვილმა ერთბაშად შეაბრუნა თავი და იმათაც ეკს შეხედეს, გულცივი, გაბოროტებული და დამცინავი სახის მქონე მისის ტალიც წაიხარა, რათა ქმარს ხელი არ შეეშალა ყურებაში, სხვანიც, ყველანი, ვინც სკამებს უკან იდგნენ, აჩოჩქოლდნენ, კისრები წაიგრძელეს, რათა უძრავად მჯდარი ეკისთვის შეეხედათ.

- გვითხარით, ეკ, თქვენ ნახეთ, როგორ დაუბრუნა სნოუპსმა ტეხასელს არმსტიდის ფული? - შეეკითხა მოსამართლე.

ეკი უჩუმრად იჯდა, არ ირხეოდა, ხოლო ლემზ სნოუპსმა უკმეხად და ნაწყენად ჩაიფრუტუნა:

- ჯანდაბას მაგის თავი, მაგას თუ ეშინია, მე არ მეშინია. მე ვნახე.
- ფიცით დაადასტურებთ მაგ ამბავს?

სნოუპსმა მოსამართლეს შეხედა. მეტს აღარ აფახულებდა თვალეზს.

- გამოდის, რომ ჩემი სიტყვის არ გჯერათ? - თქვა მან.
- მე ჭეშმარიტება უნდა ვიცოდე, - თქვა მოსამართლემ. - თუკი მისი დადგენა არ შემიძლია, მაშინ მესაჭიროება ფიცით დადასტურებული ჩვენება, რომელსაც ჭეშმარიტად მივიჩნევდი.

მან სხვა წიგნების გვერდით მდებარე ბიბლია აიღო ხელში.

- გეყურებათ? - თქვა შერიფმა. - ახლოს მოდექით.

სნოუპსი სკამიდან წამოდგა და მიეახლა. ყველანი მას უყურებდნენ, ოღონდ აღარავინ იყო მოუსვენრად, კისერს აღარავინ იგრძელებდა, აღარ ირხეოდნენ, სახეები გაუშემდათ, თვალეზი ერთ წერტილს მიშტერებოდა. მაგიდასთან მისულმა სნოუპსმა მოიხედა, ნახევარწრედ შემორკალულ ხალხს სწრაფი მზერა მოავლო და ისევ მოსამართლეს შეხედა. შერიფი ბიბლიას სწვდა, თუმცა მოსამართლეს ჯერაც არ გაეშვა ხელიდან.

- მზად ხართ თუ არა, ფიცით დაადასტუროთ, რომ ნახეთ, როგორ დაუბრუნა სნოუპსმა ტეხასელს ის ფული, რომელიც ჰენრი არმსტიდისგან ცხენის საფასურად მიიღო? - შეეკითხა იგი.

- ხომ გითხარით უკვე - ვნახე-მეთქი, - თქვა სნოუპსმა.

მოსამართლემ ბიბლიას ხელი გაუშვა.

- მიიყვანეთ დასაფიცებლად, - თქვა მან.
- მარცხენა ხელი ბიბლიას დაადევით, მარჯვენა ასწიეთ და იმეორეთ: „საზეიმოდ ვფიცავ და ვადასტურებ, რომ...“ - სხაპასხუპით დაიწყო შერიფმა.

გარნა სნოუპსს უკვე დაესწრო, - მარცხენა ხელი ბიბლიაზე ედო, მარჯვენა ზეაწია; თავი შეაბრუნა, ერთხელ კიდევ მოავლო სწრაფი მზერა შეუძვრელ, დადარაჯებულ სახეთა ნახევარწრეს და ხრინწიანი, გაავებული ხმით თქვა:

- დიახ, მე ვნახე, როგორ მისცა ფლემ სნოუპსმა იმ ტეხასელ კაცს ის ფული, რომელიც ჰენრი არმსტიდმა თუ სხვა ვინმემ გადაუხადა ან, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, მისცა ფლემს რაღაც ცხენისთვის. ეს კმარა?

- დიახ, - თქვა მოსამართლემ.

მჭვრეტელთა ბრბო სულგანაბული იდგა. შერიფმა ბიბლია ფრთხილად დადო მაგიდაზე, მოსამართლის შეტყვევებულ ხელთა გვერდით, და კვლავ აღარაფერი შერხეულა ირგვლივ, მხოლოდ მოცახცახე ჩრდილები დაცურავდა და ერთიმეორეს ერწყმოდა და აკაციის ფურცლები იფინებოდა. მერე მისის

არმსტიდი წამოდგა: იდგა და კვლავ - თუ ჯერ ისევ - არაფერს უმზერდა მუცელზე ხელებდაჭდობილი.

- ახლა შეიძლება წავიდე ალბათ? - თქვა მან.
- დიახ, - მიუგო შემკრთალმა მოსამართლემ. - თუკი არ აპირებთ...
- მაშინ წასვლა მიჯობს, - თქვა ქალმა. - შორი გზა მაქვს გასავლელი.

ფურგონით კი არ ჩამოსულიყო დუქნამდე, უჭმელობით გაძვალტყავებულ ერთ თავის ჯორზე ამხედრებულს ემგზავრა. ვიღაც კაცი კორომში მიჰყვა, ჯორი ახსნა, იქვე მდგარ ფურგონთან მიაყენა და ქალი თვლის მორგვიდან ამხედრდა. ისევ მოსამართლეს შემოუბრუნდნენ ყველანი. ის ისევ ისე იჯდა მაგიდასთან ხელებშეტყველვილი, ოღონდ თავი დახრილი აღარ ჰქონდა. და მაინც არ შერხეულა, ვიდრე შერიფი მაგიდაზე არ გადაიხარა და რაღაც არ უჩუმათა; მაშინდა გამოფხიზლდა, იოლად და მშვიდად გამოერკვა, როგორც საერთოდ ბერიკაცები ფხიზლდებიან ხოლმე თავიანთი ფხიზელი ბებრული ძილის შემდეგ. ხელები მაგიდას მოაშორა და თვალდახრილმა ისეწარმოთქვა, თითქოს ქალადს კითხულობსო:

- ტალი სნოუჰსის წინააღმდეგ, შეურაცხყოფა...
- დიახ! - გააწყვეტინა მისის ტალმა. - ერთი სიტყვა მათქმევინეთ, ვიდრე დაიწყებდეთ. - წინ წაიხარა ტალის გასწვრივ ლემპ სნოუჰსს მიშტერებული.
- თქვენ თუ გგონიათ, რომ მიკიბ-მოკიბვით მოახერხებთ ფლემის და ეკ სნოუჰსის დამკრენას იმ...
- არ გინდა, დედიკო... - თქვა ტალმა.

მაშინ ქალი ტალს მიუბრუნდა, ისე, რომ არც პოზა შეუცვლია, არც კილო, არც კი შეფერხებულა:

- შენ ხმას ნუ მაწყვეტინებ! შენ კი ხარ მზად უფლება მისცე, ეკ სნოუჰსი იქნება თუ ფლემ სნოუჰსი, ერთი სიტყვით, მთელ იმ უორნერისეულ ხაროს, ფურგონიდან გადმოაგდებინონ და ბოგირზე არახუნებინონ შენი თავი. ჰოდა, როცა იმაზე მიდგა საქმე, შენი კანონიერი უფლებების ხელყოფისთვის პასუხი ვაგებინოთ და დავასჯევინოთ ისინი, შენ აღარ ბრძანდები აქ, ხომ? ესო, გესმით, მეზობლური არ გამოგვივაო. ჰოდა, ლოგინში გდება შუა თესვის დროს, გახურებულ ალოობაზე, პირსახიდან ხიწვებს რომ გახიკავდით, - ეს მეზობლურია?

ოღონდ შერიფი უკვე აყვირებულიყო:

- წესიერად! წესიერად! ნუ დაივიწყებთ, რომ სასამართლოში ხართ!

და მისის ტალი გაჩუმდა. აქლომინებული სკამზე დაჯდა და მიაჩერდა მოსამართლეს, რომელიც ისე განაგრძობდა, თითქოს ქალადს კითხულობსო:

- შეურაცხყოფა მოქმედებით, რაც ერთი ცხენის მეშვეობით მიაყენეს ვერნონ ტალს. ცხენი უსახელოა და ეკრემ სნოუჰსს ეკუთვნის. სხეულის დაზიანება

სახეზეა, მოპასუხე გამოცხადდა. მოწმეები - მისის ტალი ქალიშვილებითურთ...

- ეკ სნოუპსმაც ყველაფერი დაინახა, - თქვა მისის ტალმა, ოღონდ ისე გულმოსულად აღარ ლაპარაკობდა. - ეკ სნოუპსიც იქ იყო. სწორედ დროზე მოგვისწრო და ყველაფერი დაინახა. აბა, ერთი გადაფიცოს. ერთი თვალეზში შემომხედოს და გაბედოს იმის თქმა, რომ...

- უკაცრავად, მემ, - თქვა მოსამართლემ. ისე წყნარად თქვა, რომ მისის ტალი დადუმდა და ისევ თავდაჭერილი შეიქნა, როგორც ყოველი გონიერი და უწყინარი ადამიანი. - არავინ დავობს ამ ფაქტის გამო, რომ თქვენი ქმარი დაშავებულია. არც იმას უარყოფს ვინმე, რომ ცხენმა დააშავა თქვენი ქმარი. კანონი გვაუწყებს, რომ, თუ კაცს ჰყავს საქონელი, რომელიც, როგორც მისთვის ცნობილია, საფრთხეს წარმოადგენს გარშემო მყოფთათვის, და თუ ეს საქონელი შემოზღუდული და გამოყოფილია საზოგადო საძოვრიდან ისეთი ღობით თუ მესრით, რომელიც შესაძლოსხდის მის შემოზღუდვას და გამოყოფას აღნიშნული საძოვრისგან, მაშინ, თუკი ვინმე გადასცდება ამ ღობეს თუ მესერს, იმაზე დამოუკიდებლად - ცნობილია თუ არა მისთვის, რომ იქ მყოფი საქონელი საფრთხეს წარმოადგენს, ასეთი მოქმედება საკუთრების უფლების დარღვევაა, და საქონლის პატრონი შედეგის გამო პასუხს არ აგებს. მაგრამ თუკი საქონელი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს გარშემო მყოფთათვის, წინასწარი განზრახვით თუ წინასწარ განუზრახველად აღარ არის შემოზღუდული აღნიშნული ღობით თუ მესრით, იმაზე დამოუკიდებლად - ცნობილია თუ არა ეს ამბავი მფლობელისათვის, პატრონი შედეგის გამო პასუხს აგებს. ასეთია კანონი. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, გამოვიძიოთ, ჯერ ერთი, ვის ეკუთვნის ცხენი, და, მეორეც, წარმოადგენს თუ არა საფრთხეს ხსენებულ კანონთან შეფარდებით.

- ჰი! - თქვა მისის ტალმა ზუსტად ისევე, როგორც ბუკრაიტმა იცოდა ხოლმე. - საფრთხეო! შეეკითხეთ ვერნონ ტალს. შეეკითხეთ ჰენრი არმსტიდს, როგორი თვინიერი კრავები დაეტაკნენ.

- უკაცრავად, მემ, - თქვა მოსამართლემ და ეკს შეხედა, - მოვუსმინოთ მოპასუხეს. უარყოფს თუ არა იგი ცხენის მისდამი კუთვნილებას?

- რა ბრძანეთ? - თქვა ეკმა.

- თქვენია თუ არა ის ცხენი, მისტერ ტალი კინალამ რომ მოკლა?

- დიახ, - მიუგო ეკმა. - ჩემია. რამდენი უნდა გადავუხ...

- ჰი! - ხელახლა თქვა მისის ტალმა. - როგორ უნდა გადათქვას, როცა იქ ორმოცი კაცი მაინც იქნებოდა მაგისტანა გამოთაყვანებული, იმიტომ, რომ, ცოტათი მეტი ჭკუა რომ ჰქონოდათ, იქაურობას მოშორდებოდნენ. ოღონდ შტერსაც შეუძლია დაადასტუროს, რაც ნახა და მოისმინა, - ჰოდა, ორმოცმა კაცმა მაინც გაიგონა თავისი ყურით როგორ მისცა ამ ტეხასელმა ავაზაკმა ცხენი ეკ სნოუპსს. დაუკვირდით - კი არ მიჰყიდა, მისცა.

- როგორ? - თქვა მოსამართლემ. - როგორ თუ მისცა?

- როგორ და ისე, - ახმიანდა ეკი. - მომცა და გაათავა საქმე. ვწუხვარ, რომ სწორედ ამ დროს მოდიოდა ტალი ბოგირზე. რამდენი უნდა...

- მომითმინეთ, - თქვა მოსამართლემ. - თქვენ რა მიეცით? თამასუქი? რამე სამაგიერო?

- არა, - უთხრა ეკმა. - უბრალოდ შემახედა იმ ცხენს, ბაკში რომ დარბოდა, და მითხრა - შენიაო.

- კი, მაგრამ, ნასყიდობა ან ნაჩუქრობა, ან კიდევ რაიმე წერილობითი საბუთი არ მოუცია?

- სამაგისოდ არც ეცალა იმ კაცს, - თქვა ეკმა. - ჰოდა, ლონ ქვიკს რომ ჭიშკრის მიკეტვა დაავიწყდა, იმის მერე წერის თავი აღარავის ჰქონია, გინდაც მოგონებოდა ვინმეს მაგ ამბავი.

- ეს რაღას მაქნისია? - თქვა მისის ტალმა. - ეკ სნოუჰსმა ამწუთასთვითონვე თქვა - ჩემი ცხენიაო. ჰოდა, ეს თუ არ კმარა, იმ ჭიშკართან მთელ დღეს ორმოცი უქნარა კიდევ იყო აყუდებული, იმგენმაც ხომ გაიგონეს, როგორ თქვა იმ კარტის მოთამაშე და ვისკის მელაპველმა ანტიქრისტემ...

გარნა მოსამართლემ პირველქმნილი სიწმინდით მოქათქათე მანჟეტიანი ხელი ასწია და შეაჩერა. ქალს არ უშხერდა.

- მომითმინეთ, - თქვა მოსამართლემ. - მერე რაღა მოიმოქმედა? - შევეითხა ეკს. - ცხენი მოგიყვანათ და თოკი გადმოგცათ ხელიდან ხელში?

- არა, - მიუგო ეკმა. - არც იმას და არც ვინმე სხვას ცხენებისთვის თოკი არ ჩაუბამს. იმან იმ ცხენს მიათითა და მითხრა - შენი არისო, მერე კი დანარჩენები დაყიდა, ეტლში ჩაჯდა, გამოგვემშვიდობა და გაემგზავრა. ჩვენ კიდევ თითო თოკი დავიჭირეთ ხელში და ბაკში შევედით, ოღონდ ლონ ქვიკს ჭიშკრის მიკეტვა დაავიწყდა. ძალიან ვწუხვარ, რომ ამის გამო ჯორებმა ფურგონიდან გადმოათრიეს ტალი. რამდენი ერგება ჩემგან? - მაგრამ აქ ეკი გაჩუმდა, რადგან მოსამართლე მას აღარ უშხერდა და, როგორც წამის მერე მიხვდა, არც უსმენდა. ნაცვლად ამისა მოსამართლე მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად სკამის საზურგეს გადააწვა, უფრო მარჯვედ მოკალათდა, თავი ოდნავ გადახარა, ხოლო შეტყვევებული თითები მაგიდაზე წინ დაიწყო. ნახევარ წუთამდე ყველანი მდუმარედ შეჰყურებდნენ და მერე და მიხვდნენ, რომ მოსამართლე მისის ტალს მისჩერებოდა.

- აი, რას გეტყვით, მისის ტალ, - თქვა მოსამართლემ. - თქვენივე ჩვენებები ცხადყოფს, რომ ეკი არასოდეს ყოფილა იმ ცხენის პატრონი.

- როგორ? - სულ ჩუმად ჩაეკითხა მისის ტალი. - როგორ თქვით?

- კანონის თანახმად არავითარი საკუთრების გაჩუქება არ შეიძლება სიტყვიერად. ნაჩუქრობის აქტი საბუთით უნდა იყოს დამტკიცებული და აღნიშნული საბუთი ან დამოწმებული უნდა იყოს, ან საკუთარი ხელმოწერით დადასტურებული, ან კიდევ ნაჩუქრობა უნდა დამტკიცდეს მფლობელობაში

ფაქტობრივად შეყვანით. თქვენი ჩვენებებისა და ეკ სნოუპსის ჩვენებათა თანახმად, ეკ სნოუპსს არაფერი მიუცია ტეხასელისთვის ცხენის სანაცვლოდ, და სნოუპსის ჩვენებათა თანახმად, ტეხასელს მისთვის არავითარი დოკუმენტი არ მიუცია იმის დასტურად, რომ ცხენი მას ეკუთვნის; ხოლო მისი ჩვენებებიც და ისიც, რაც მე თვითონ შევიტყვე უკანასკნელი ოთხი კვირის განმავლობაში, ცხადყოფს, რომ ჯერ არავის არც ერთი ცხენი არ დაუჭერია და თოკი არ ჩაუბამს. ამრიგად, ეკი არ შესდგომია ცხენის მფლობელობას. ტეხასელს ასევე იოლად შეეძლო ეჩუქებინა იგივე ცხენი იმ დღეს ჭიშკართან მდგარი კიდევ ათიოდე კაცისთვის და ამ ამბის ეკისთვის შეტყობინება არც კი დასჭირდებოდა; ხოლო თვით ეკს შეეძლო მთელი თავისი უფლებები მის ცხენზე მისტერ ტალისთვის გადაელოცა ზედბოგირზე ყოფნისას, სადაც მისტერ ტალი გრძნობადაკარგული წოლილა, საამისოდ საკმარისი იქნებოდა გაეფიქრებინა ეს ამბავი, და მისტერ ტალის უფლებებიც ისევე კანონიერი იქნებოდა, როგორც თვით ეკის უფლებები.

- აბა, მე ხახამშრალი დავრჩენილვარ, - თქვა მისის ტალმა. ხმა ჯერაც ჩუმი და მშვიდი ჰქონდა, და, ეტყობა, ტალის გარდა ვერავინ ხვდებოდა, რომ მეტისმეტად ჩუმი და მშვიდი იყო ის ხმა. - იმ ძაღლის დაგდებულმა ჯორები დამიფრთხო, ფურგონი მიმიღეწა, ჩემი კაცი კოფოდან გადმოვარდა, ისე დაშავდა, რომ გონება დაკარგა, მთელ კვირას ვერ მუშაობდა, მიწის ნახევარიც ვერ მოვთესეთ, ჰოდა, ახლა ხახამშრალი დავრჩენილვარ.

- მომითმინეთ, - თქვა მოსამართლემ. - კანონი...

- კანონი! - წამოიძახა მისის ტალმა. ანაზღად წამოდგა. ჩასკვნილი, განიერი, ჯანმანგარი ქალი. განივრად გადაა ბოძივით მსხვილ-მსხვილი ფეხები.

- არ გინდა, დედიკო... - თქვა ტალმა.

- დიახ, მემ, - თქვა მოსამართლემ. - თქვენი ზარალის ანაზღაურება გათვალისწინებულია კანონით. კანონი გვაუწყებს, რომ, როდესაც ზარალის გამო სარჩელი წარედგინება იმ ცხოველის პატრონს, რომელმაც ვინმე დააზარალა ან დააზიანა, ხოლო პატრონს არ შეუძლია ან არ სურს პასუხისმგებლობა იტვირთოს, დაზარალებული მხარე საზღაურის სახით თვით ცხოველს იღებს. ხოლო რამდენადაც ეკ სნოუპსი არასოდეს ყოფილა იმ ცხენის პატრონი და, როგორც თავადვე გაიგონეთ, წინარე საქმის გარჩევისას არ დადასტურდა, რომ ფლემ სნოუპსი ასე თუ ისე მონაწილეობდა ჯოგის გაყიდვის საქმეში, ის ცხენი ისევ ტეხასელს ეკუთვნის. ან, უფრო სწორად, ეკუთვნოდა. იმიტომ, რომ ის ცხენი, რომელმაც ჯორები დაგიფრთხოთ და თქვენი ქმრის ფურგონიდან გადმოვარდნის მიზეზი შეიქნა, ახლა თქვენ და მისტერ ტალს ეკუთვნით.

- დედიკო, მოითმინე! - თქვა ტალმა და წამოხტა.

გარნა მისის ტალს ჯერაც არ დაეკარგა სიმშვიდე, მხოლოდ ერთიანად დამაბულიყო და პირმოქუშული ქმინავდა, ვიდრე ტალმა არ ამოიღო ხმა. მაგრამ ახლა მისკენ შებრუნდა და კი არ იწვილა, იბღავლა რაც ძალი და ღონე ჰქონდა; შერიფი უკვე მაგიდას უბრაზუნებდა ხანგრძლივი ხმარებისგან გაკრიალებულ თავის კაკლის არგანს და გაჰყვიროდა: „წესიერად! წესიერად!“

- ხოლო ფაქიზი ბერიკაცი სკამს გადასწოლოდა, თითქოს დარტყმას იცილებსო, და ბებრულად მოცახცახე გაოცებული შეჰყურებდა ქალს, საკუთარ თვალებს არ უჯერებდა.

- ცხენიო! - მოთქვამდა მისის ტალი. - ხუთი წამით მოვკარით თვალი, ზედ ჩვენს ფურგონს მოასკდა, თავზე გადაგვევლო, ჰოდა, მერე თუ გინდა არც გვენახოს. კაცმა არ იცის, საით წაგლიჯინდა, და მადლობა ღმერთს, რომ წაშავდა! ჯორებიც გავარდნენ და ფურგონისგან ნალეწის მეტი აღარაფერი დარჩენილა, შენ კიდევ ბოგირზე ეგდე, სახე ხიწვებით გქონდა გავსებული და სისხლად იღვრებოდი, ვიფიქრეთ - ველარც წამოდგებოდი. ჰოდა, ახლა ცხენი გვობომა ამ კაცმა! არა, შენ ხმას ნუ მაწყვეტინებ! წადი, შე ყეყეჩო, და ისიამოვნე შენი ფურგონის ნახვით, მოძებნე ერთი, რა ადგილზე იჯექი და საიდან ერეკებოდი ჯორებს ხელზე აღვირდახვეული! მიბრძანდით ყველანი, ისიამოვნეთ იმ ფურგონის ყურებით.

- არა, მეტი აღარ შემიძლია! - წამოიძახა მოსამართლემ. - აღარ შემიძლია! საქმის გარჩევა დამთავრებულია! გესმით, დამთავრებულია!

მერე ერთი პროცესი კიდევ ჩატარდა. მომდევნო ორშაბათს დაიწყო, და თითქმის იმავე სახეთა ხილვა შეიძლებოდა ჯეფერსონის საოლქო სასამართლოში, როდესაც ორმა მცველმა შემოიყვანა ახალი კომბინეზონით მოსილი, ბეჩარა, ბავშვის სიმალის, მჭლე, ლამის უხორცო პატიმარი, რომელსაც პირქუში, ჯიუტი სახე გაფერმკრთალებოდა და ჩამოხმობოდა რვა თვეს საპყრობილეში ჯდომისგან. და პროკურორმა რომ სიტყვა წარმოთქვა, მერე გამოვიდა სასამართლოს მიერ დანიშნული დამცველი, სულ უმწიფარი ვეკილი, ადგილობრივი უნივერსიტეტის იურისპრუდენციის ფაკულტეტი ივნისში რომ დაემთავრებინა, და ყოველივე მოიმოქმედა, რაც კი გაეწყობოდა - იმაზე მეტიც, რითაც მხოლოდ ავნო თავის კლიენტს; ტყავიდან ძვრებოდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, და ყველა ნაფიცი მსაჯულის აცილება მოითხოვა, ვისიც კი შეეძლო, ვიდრე პროკურორი თუნდაც ერთის აცილებას მოასწრებდა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სულ მალე მის წინაშე აღმოჩნდა ნაფიც მსაჯულთა დამტკიცებული შემადგენლობა, თითქოს შტატს, სახელმწიფოს, მთელ სადად მოაზროვნე კაცობრიობას ურთიერთშემნაცვლებელ სახელთა და ერთნაირი რწმენისა და განზრახვის მქონე პირთაამოურწყავი მარაგი ჰყოლოდათ, ასე რომ, მთელი ეს აცილებანი მის ნაცვლად ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა მიეცა დილით სხდომათა დარბაზის კარის გამღებ შვეიცარს, თუკი უბრალოდ გადაითვლიდა, რამდენი პირი უნდა შეეყვანათ ნაფიც მსაჯულთა სიაში. და, თუკი დამცველს ერთი ბეწო მიუდგომლობა მაინც შერჩენოდა, ალბათ მალე მიხვდა - სასამართლოს წინაშე ჩემი კლიენტი კი არა, მე თვითონ წარვდექიო. იმიტომ, რომ კლიენტი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმას, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. გეგონებოდათ, სრულიადაც არ აინტერესებდა ეს ყოველივე, არც დანახვა სურდა რისამე და არც მოსმენა, თითქოს იმას კი არ ასამართლებდნენ, არამედ სხვა ვიდაცას. ხელბორკილით შეკრული, ერთი მცველის თანხლებით, იქ იჯდა, სადაც დასვეს - ახალი, ხეშეში, უთოობით გატკიცინებული კომბინეზონით მოსილი, გალუული, მოსამართლეთაგან და ყოველივე გარემომცველიდან პირშებრუნებული, გაუწყნარებლად ცქმუტავდა ადგილზე, ვიდრე სხვანი არ მიხვდნენ - დარბაზის ბოლოს უმზერსო, შემოსასვლელ კარს და ყოველ შემომსვლელსო. ორჯერ მოუხდათ სახელის

დაძახება, ვიდრე ფეხზე წამოაყენებდნენ, რათა მოსამართლის შეკითხვაზე პასუხი გაეცა; ასე გაშეშდა ფეხზე მდგარი, სასამართლოსკენ ახლა სულაც ზურგშექცეული, ბეჩარა, პირქუში, გულგრილი, ოღონდ მის სახეს უცნაური მოუსვენრობა ეტყობოდა, მოუსვენრობა და კიდევ რაღაც, იმედი კი არა მხოლოდ - გულდაჯერებული რწმენა. მის წინაშე იქვე მჯდარ ცოლს კი არ უმზერდა, გაჭედული დარბაზის სიღრმეში იყურებოდა, დაძახული, მეტწილად ნაცნობი სახეების რიგთა წიაღ, ვიდრე მცველმა, რომელსაც ჩაბმული ჰყავდა, არ აიძულა დამჯდარიყო. ასე იჯდა, ვიდრე დამთავრდებოდა ეს უჩვეულოდ ხანმოკლე პროცესი, სულ ერთ დღესა და მეოთხედს რომ გასტანა, დროდადრო თავს შეაბრუნებდა ხოლმე თმაგადასლექილი, გაავეებული, უჯიათი, და კისერს წაიწვდიდა, რათა ორ ზორბა მცველს იქით გადაეხედა და კარი დაენახა. ამასობაში მისი დამცველი, რაც გაეწყობოდა, ცდას არ აკლებდა, ხმაჩახლეჩილი იჭაჭებოდა მკაცრ და გულშეუძვრელ ნაფიც მსაჯულთა წინაშე, ესენი კი მოგაგონებდნენ სათათბიროდ შეყრილ მოწიფულ ადამიანებს, რომლებსაც აუცილებლობის გამო (ოღონდ მკაცრად განსაზღვრული დროით, ცოტა ხნით) თანხმობა განუცხადებიათ, დიპლომის მქონე ყმაწვილკაცის ყბედობას უსმინონ. კლიენტი კი არაფერს უსმენდა, დარბაზის შორეულ ბოლოს გასცქეროდა ნიადაგ, და პირველი დღის მიწურულს რწმენა დაეკარგა, იმედილა შემორჩა. მეორე დილით კი იმედიც გაუქრა და შერჩა მხოლოდ შფოთვა, კუმტი და უჯიათი პირგამქუშობა, და ისევ კარს იყო მიჩერებული. პროკურორმა თავისი სიტყვა მეორე დილით დაასრულა. ნაფიცი მსაჯულნი ოც წუთს თათბირობდნენ და განაჩენი გამოუტანეს - წინასწარგანზრახულ მკვლელობაში არისო დამნაშავე; ბრალდებულს ისევ უბრძანეს წამომდგარიყო და სამუდამო კატორღა მიუსაჯეს. ოღონდ ის ახლაც არ უსმენდა; მხოლოდ ზურგი კი არ შეაქცია სასამართლოს, რათა გაჭედული დარბაზი დაენახა, თვითონვე აძრახდა, ვიდრე მოსამართლე დაასრულებდა, მაშინაც არ გაჩუმებულა, როცა მოსამართლემ თავისი ჩაქუჩი დაჰკრა მაგიდას და ორი მცველი და სამი შერიფი მას მივარდა, ის კი ხელიდან უსხლტებოდა, ეჯიკავებოდა, ასე რომ, მათ მაშინვე ვერც მოახერხეს მისი დაოკება, თან სულ ვიღაცას უთვალთვალებდა დარბაზში.

- ფლემ სნოუპს! - ამოიძახა. - ფლემ სნოუპს! აქ არის? უთხარით იმ ძაღლის დაგდებულს...

თავი მეორე

რეტლიფმა თავისი ფურგონი ბუკრაიტის ჭიშკართან შეაყენა. სახლში ბნელოდა, მაგრამ სამი თუ ოთხი ძალი მაშინვე ყფით გამოექანა ეზოდან. არმსტიდმა, რომ არ ეხრებოდა, ის ფეხი გადმოყო ფურგონიდან და ჩამოსვლა დააპირა.

- მოითმინეთ, - უთხრა რეტლიფმა. - მე გადავალ და აქ მოვიყვან.
- მეც შემოდლია მისვლა, - ჩახლეჩილი ხმით თქვა არმსტიდმა.
- შესაძლოა, - თქვა რეტლიფმა. - მაგრამ ძაღლები მე მიცნობენ.
- მეც უნდა მიცნონ. აბა, ერთი მომეკარონ, - თქვა არმსტიდმა.
- შესაძლოა, - თქვა რეტლიფმა. უკვე ჩამოსულიყო. - აქ დარჩით და სადავე გეკავოთ.

არმსტიდმა უკან შედგა ფეხი, - უმთვარო აგვისტოს ღამის სიბნელე არ ფარავდა, პირიქით, მისი ფერგადასული კომბინეზონი მკვეთრად ილანდებოდა ფურგონის მუქი გადასაკრავის ფონზე; ოღონდ სახეს ვერ გაურჩევდით ქუდის ფარფლებზე. რეტლიფმა სადავე გადასცა და ვარსკვლავთა შუქზე ფოსტის ყუთაკრულ ბოდს ჩაუარა, მერე ჭიშკრისკენ წავიდა, საიდანაც ძაღლების უბოროტო ყეფა მოისმოდა. ჭიშკარში რომ შევიდა, რეტლიფმა დაინახა ისინი - ოდნავ უფრო ბაცი მიწის ფონზე აყეფებული მორგვი, რომელიც ყეფითვე დაიშალა, ოღონდ ახლოს არ იკარებდა მოსულს, - სამი შავი, ჟღალდაკრული ძალი იყო, თუმცა ჟღალი ბალანიც შავად ჩანდა ვარსკვლავთა სინათლეზე, ასე რომ, კი ჩანდნენ ისინი, მაგრამ ძაღზე ბუნდოვნად ჩანდნენ, თითქოს გაზეთის სამი ნამწვი აყეფებულიყოს მის წინაშე, რაღაც სასწაულით დაუფერფლავი და მიწაზე აშვერილად მდგარი. რეტლიფმა შეუყვია. ძაღლებს სუნის აღებისთანავე უნდა ეცნოთ. დაყვირებისთანავე მიხვდა - მიცნეს კიდევო, იმიტომ, რომ წამით მიყუჩდნენ, მერე კი, ამან რომ გააბიჯა, ყეფა-ყეფით უკან დაიხიეს მოშორებით გამწკრივებულებმა. მერე ბუკრაიტი დაინახა, მისი კომბინეზონი ბუნდოვნად ისახებოდა ბნელი სახლის ფონზე. ბუკრაიტმა ძაღლებს შეუძახა და გააჩუმა.

- თოით! დაიკარგეთ იქით! - და ისიც ჩამუქებული ოდნავ უფრო ბაცი მიწის ფონზე იქით გაემართა, სადაც რეტლიფი იდგა. - სადაა ჰენრი? - იკითხა.

- კოფოზეა, - მიუგო რეტლიფმა. მერე ჭიშკრისკენ წასასვლელად შებრუნდა.

- დაიცადეთ, - უთხრა ბუკრაიტმა. რეტლიფი შეჩერდა. ბუკრაიტი ზედ მოადგა. ერთიმეორეს შეაცქერდნენ, თუმცა არც ერთის სახე არ გაირჩეოდა. - ხომ არ ჩაეთრევიან ამ საქმეში, ჰა? - თქვა ბუკრაიტმა. - იმ ხუთი დოლარის მერე, ცოლის შემხვედვარეს ყოველთვის რომ ახსენდება, მოტეხილი ფეხის მერე, ფლემ სნოუპსისგან ნაყიდი და უკვალოდ დაკარგული ცხენის მერე სულ შეირყა ჭკუაზე. მე თუ მკითხავთ, საამქვეყნო პირი აღარც უნდა ჰქონდეს. ჰოდა, ხომ არ ჩაეთრევიან-მეთქი ამ საქმეში, ჰა?

- მე მგონი, რომ არა, - უთხრა რეტლიფმა. - არა, რაღა თქმა უნდა. ოღონდ რაღაც ამბავი რომ არის, ეს ყოველთვის ვიცოდი, ბილ უორნერმაც იცის. ასე რომ არა, არაფრით არ იყიდდა იმ კარ-მიდამოს. ყოველ შემთხვევაში იმ დაქცეულ სადგომს თავის საზარალოდ არ შეინახავდა და გადასახადში არ დაიხარჯებოდა, როცა ცოტაოდენის გამოდნობა მაინც შეეძლო შიგ, ჰოდა, არც იმ შუაზე გადახერხილი კასრის სკამზე იჯდებოდა ისე - მსიამოვნებს იქ დასვენება, სადაც ვიღაცას ამდენი შრომა და ფული ჩაუყრია საიმისოდ, რომ სახლი აეშენებინა მარტო საჭმელად, სასმელად და ცოლთან დასაწოლად, რომ იტყვის ხოლმე. ჰოდა, ფლემ სნოუპსმა ის კარ-მიდამო თავისთვის რომ დაინარჩუნა, საბოლოოდ დავრწმუნდი - რაღაც ამბავია-მეთქი. მას მერე, რაც ჩიხში მოაქცია ბილი, მერე გამოიხსნა და ის ნანგრევი მიისამაგიეროა ათიოდე აკრი მიწითურთ. სიცილად არ გეყოფა კაცს. წუხელ სადამოს მე და ჰენრიმ გავიარეთ იქით. ჩემი თვალით ვნახე, თუ არ გჯერათ, ნუ შემოგვიდგებით წილში. ისევ ჩვენ შეგვხვდება მეტ-მეტი.

- კარგი, - თქვა ბუკრაიტმა და ჭიშკრისკენ წავიდა. - სწორედ ეს მინდოდა შემეტყო. - ჭიშკარს გამოსცდნენ. ჰენრიმ ჩაიჩოქა და ესენი ფურგონზე ამგონენ. - ფეხი არ გატკინოთ, - უთხრა ბუკრაიტმა.

- ფეხი კარგად მაქვს, - ჩახრინწული ხმით თქვა არმსტიდმა. - თქვენზე და ვისზეც გინდათ უარესად კი არ გავივლი.

- რასაკვირველია, - საჩქაროდ თქვა რეტლიფმა და სადავე გამოართვა. - ჰენრის ფეხის საქმე მორჩენილია. აღარც კი ეტყობა რამე.

- წავედით, - თქვა ბუკრაიტმა. - ჯერჯერობით სიარული არავის მოუწევს, თუკი ცხენები არ დაგვივარდნენ.

- პირდაპირ ფრანგისხევეზე გავლით უფრო მოკლე გზა გვექნებოდა, - თქვა რეტლიფმა. - მაგრამ მეორე გზით გვირჩევნია წასვლა.

- დაგვინახოს ყველამ, - თქვა არმსტიდმა. - თუ გემინიათ რომელიმეს, უდამხმარებოდაც გავართმევ თავს. მე შემიძლია...

- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა. - ოღონდ, თუ დაგვინახეს, ჩვენ რომ გვჭირდება, იმაზე მეტი ხელისშემწყობი მოიყრის თავს. ჰოდა, გვინდა ეს ამბავი?

არმსტიდი გაჩუმდა. სიტყვა აღარ უთქვამს მეტი, უძრავად იჯდა მათ შორის და ეს უძრაობა ლამის ციებ-ცხელებასავით ტანჯავდა, თითქოსტკივილს კი არ გაესვავათებინოს (თვეზე მეტხანს ლოგინში წოლის მერე წამომდგარა და მაშინვე ხელახლა მოუტეხია ფეხი; ვერც ვერავინ შეიტყო, რომ მოუარა, რა გააკეთა ან რის გაკეთებას აპირებდა, იმიტომ, რომ ამის თაობაზე კრინტი არასოდეს დაუძრავს), არამედ უილაჯობასა და სიშმაგეს.

რეტლიფს არ უკითხავს - საით წავიდეთო; მასზე უკეთ ვინ იცოდა აქაური თუ მეზობელი ოლქების შემოსასვლელი გზებისა და თემშარების ამბავი. არავინ შემოჰყრიათ; ჩაბნელებული, მძინარე მიდამო უკაცრიელი იყო, იშვიათად შემოხვედრილ ფერმებს ძაღლის ყეფა თუ გათქვამდა. სიბნელეში მრუმედ მოკიაფე გზა - ისე რომ რეტლიფი უფრო ხვდებოდა, ვიდრე

ხედავდა, თუ საით მიემართებოდნენ – მიუყვებოდა გაშლილ ყანებს, სადაც სიმინდი უკვე შეყვითლებულიყო და ბამბა აყვავებულიყო; მერე კი ბორობან ხეთა შორის გაიკლავნა, ვარსკვლავებით დახუნძლული აგვისტოს ცის ქვეშ. ბოლოს გადაუხვიეს ძველ გზაზე, რომელსაც, აგერ მრავალი წელი იქნებოდა გასული, კვალს აღარაფერი აჩნევდა, უორნერის თეთრი ცხენის და ფოჩიანი ეტლის გარდა. ეს ახალი კვალი იყო, ხოლო ძველი ნაიარევი უკვე თითქმის წარხოცილიყო იქ, სადაც ამ ოცდაათი წლის წინ მაცნემ ჩაიქროლა (იქნებ მეზობლის მონა იყო, გუთნიდან გამოხსნილ ჯორს შოლტს უტყლაშუნებდა), რათა სამტერის ამბები შეეტყობინებინა, და სადაც, შესაძლოა, ლანდები მიმოდოდა ოდესღაც და შიგ ნებირად ირწეოდნენ ფაშვამა კრინოლინიანი, საზაფხულო ქოლგებიანი ტანკენარი ბანოვანნი, ხოლო მათ გვერდით შავით მოსილი ვაჟკაცი ჯიშიან ბედაურებს მიაგეღვებდნენ და ისინიც სამტერის ამბების გამო მისაუბრობდნენ, და სადაც ამ კარ-მიდამოს მფლობელის ვაჟი ან იქნებ თავად მფლობელიც თავისი პისტოლეტებითა და ჩემოდნითურთ ჯეფერსონს მიემგზავრებოდა სამარქაფო ცხენზე ამხედრებული კამერდინერის თანხლებით და ლაშქართა წყობისა და მოპოვებული გამარჯვების გამო ბჭობდა; სადაც ჯეფერსონის ბრძოლის დროს კონფედერატთა პატრულები ხმილავდნენ ქალებისა და მონა ზანგების ამარა დარჩენილ ამ მხარეს.

ახლა ამ ამბებს აღარაფერი მოგაგონებდათ. გზაც კი გაუჩინარებულიყო თითქმის; იქ, სადაც ღელისკენ დაქანებული და მერე ისევ აღმართს შეყოლილი ხრეში ილანდებოდა, გზას გასდევდა მეჩხრად მდგარი კედრები, იმავე უსახელო ხუროთმოძღვრების მიერ დარგული, ვისაც უსახელო მფლობელისთვის დაეპროექტებინა და აეშენებინა კიდეც სახლი; ოღონდ ახლა ძალუმად აღმართულიყო ხელის შემოსახვევად ორ-ორ და სამ-სამფუტიანი, ხშირტოტებგადახლართული კედრები. რეტლიფმა გზას გადაუხვია და პირდაპირ მიმართა, ხეთა შორის. ეტყობოდა, გზა კარგად იცოდა. ბუკრაიტს გაუკვირდა, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ რეტლიფი წუხელ საღამოსაც იყო აქ ნამყოფი.

არმსტიდი ამათ აღარ დალოდებია, წინ გაეშურა. რეტლიფმა ცხენები საჩქაროდ მიაბა, და ესენი წამოეწივნენ კიდეც არმსტიდს, ბუჩქებში მოშლივინე ჯერაც თვალს რომ არ მიფარვოდა ღია ფერის კომბინეზონის წყალობით. მათ წინ მიწამ შავად დაალო ხახა - ღრანტეს გადააწყდნენ. ბუკრაიტმა იცოდა, არმსტიდი აქ არაერთხელ რომ იყო ღამდამობით ნამყოფი, და მაინც მისი მოჩლახუნე აჩრდილი კინაღამ პირაშკმულ უფსკრულში გადაეშვა.

- მიშველეთ, - თქვა ბუკრაიტმა, - თორემ კიდეც მოიტეხავს...
- სს! - მოუბრუნდა რეტლიფი. - ბალი ეგერაა, ბორცვზე.
- კიდეც მოიტეხავს ფეხს - ხმას დაუწია ბუკრაიტმა. - ჰოდა, ჩვენ ვიქნებით დამნაშავე.
- ნუ გეშინიათ, არ მოიტეხავს, - უჩურჩულა რეტლიფმა. - ერთი ღამე კი არ გაუტარებია აქ, ოღონდ ძალიან ნუ მიუახლოვდებით. ნურც ძალიან დააწინაურებთ. იმ ღამეს იქ რომ ვიყავით ჩაწოლილი, ერთხელ ძალისძალად მომიხდა გამეჩერებინა, - კვალდაკვალ მიჰყვნენ ბნელ ჩრდილს, რომელიც

უჩუმადა და გასაოცარი სისწრაფით მიდიოდა. ცხრატყავათი მოფარული, მშრალსილიანი ფსკერის მქონე ხევში ჩაეშვენ, წინ კოჭლი ფეხი მიღრჭიალებდა გამალებით. მაინც ძლივძლივობით ეწეოდნენ. ორასიოდე ნაბიჯი რომ გაიარეს, არმსტიდი შებრუნდა და ხევის ფერდობზე აცოცება დაიწყო. რეტლიფიც კვალდაკვალ მიჰყვა. - ახლა ფრთხილად, - უჩურჩულა ბუკრაიტს. - მოვედით უკვე. - მაგრამ ბუკრაიტი არმსტიდს შეჰყურებდა. „ვერაფრით ველარ აძვრება, - გაიფიქრა. - ველარ აძვრება ამ ხრამიდან“.

გარნა მოუხრელი, ორჯერ გადატეხილი ფეხის მთრეველი არმსტიდი ლამის შვეულ ფერდობზე უჩუმადა, დაუხმარებლად აძვრა; შემართული სასხლეტივით დადარაჯებული იყო, ყოველ წამს შეეძლო აეცილებინა მისაშველებლად გაწვდილი ხელი, გაფიქრებაც არ სურდა - ვისიმე მოშველება დამჭიდებო. მერე ბუკრაიტი მათ კვალდაკვალ მიფორთხავდა ასკილებში, ხურმებსა და შამბებში გაკლავნილ ბილიკზე, კაცის სიმაღლე ბუჩქებს გვერდს უვლიდა, დაბალ-დაბალ ჩირგვებს ზედ გადაევლებოდა მცოცავი, მიწაზე გართხმულ ჩირგვებს წყვიდადში ძლივს დასანახი სახლის კიდესთან, იქ, სადაც აეგოთ ეს სახლი უცხოელ, უსახელო ხუროთმოძღვარსა და სახლის პატრონს, რომლის უსახელო ნეშტი მისთა ნათესავთა ნეშტისა და ჰარლემის სამიკიტნოთა აწინდელ საქსოფონისტების წინაპართა გვამების გვერდით განისვენებს, აქედან ოთხასიოდე იარდის დაშორებით, ახლომდებარე გორაკზე; ახლა სახლიდან უსულო ჩონჩხილა დარჩენილა, სახურავჩამოწოლილი, მილებჩამოცვენილი, ფანჯრის მაღალ სწორკუთხედიანი, რომლის ჭრილშიც ვარსკვლავები ჩანს სახლს გადაღმა. გორაკის ფედრობზე, ეტყობა, სავარდე იყო გაშენებული ოდესღაც. არცერთმა ამ სამთაგან, არც სხვა ვინმემ, ვისაც აქ ასჯერ მაინც გაევილო, არ იცოდა ის ამბავი, რომ სავარდის შუაგულში ჩავარდნილი ცოკოლი ოდესმე მზის საათის საფუძველს წარმოადგენდა. ბოლოს რეტლიფი ხოხვით წამოეწია არმსტიდს, მკლავში ხელი სტაცა და მათი მძიმე-მძიმე სულისთქმის წიად ბუკრაიტს შემოესმა ნიჩბის გაუწყნარებელი, დინჯი ჩხაკუნის და გადანაყარი მიწის ყრუ, თანაბარი ბაგუნის სადღაც ზემოთ.

- აქაა! - წაიჩურჩულა რეტლიფმა.

- ჰო, მესმის, რომ თხრის ვიღაცა, - წაიჩურჩულა ბუკრაიტმა. - ოღონდ რა ვიცი, რომ ფლემ სნოუჰსია ის მიწის მთხრელი?

- აბა, ჰენრი ზედიზედ ათ ღამეს ტყუილად იწვა აქ იმის მსმენელი, როგორ თხრის ის კაცი? მეც ხომ ვიყავი წუხელის აქ ყურის დასაგდებად ჰენრისთან ერთად? სწორედ აქ ვიყავით ჩაწოლილები, სანამ არ წავიდა, მერე კი გორაკზე ავძვერით და ყველა ორმო ვიპოვეთ, რომლებიც ამოუთხრია და მერე ისევ აუვსია მიწით, კვალი რომ დაეფარა.

- კარგი, - წაიჩურჩულა ბუკრაიტმა. - თქვენ და არმსტიდმა წაასწართ, რომ ვიღაცა თხრიდა, მაგრამ მე რა ვიცი, რომ ფლემ სნოუჰსია იმ მიწისმთხრელი?

- კარგი, - თქვა არმსტიდმა ცივი და შეკავებული სიშმაგით, თითქმის ხმამაღლა; ორივე გრძნობდა, რომ მათ შუა მწოლიარე არმსტიდი თრთოდა, კანკალებდა და იკრუნჩხებოდა მთელი თავისი გალეული, გატანჯული

სხეულით, თითქოს ნაცემი ძალი ყოფილიყოს. - არაა ფლემ სნოუპსი და მორჩა. წადით სახლში.

- შშ! - აშიშინდა რეტლიფი.

არმსტიდმა თავი შემოაბრუნა და ბუკრაიტს შეხედა. სიბნელეში ახლა სულაც უჩინარი მისი სახე ერთი ფუტით თუ იქნებოდა ბუკრაიტს დაცილებული.

- წადით, - თქვა მან. - წადით სახლში.

- ჩუმად, ჰენრი! - წაიჭურჭულა რეტლიფმა. - გაიგონებს. - მაგრამ არმსტიდი უკვე შებრუნებულყო, ისევ ზემოთ იმზირებოდა, ჩაბნელებული ბორცვისკენ, და ჩურჩულით მაგინებელი თრთოდა და იკრუნჩხებოდა მათ შუა. - კარგი, თუ დარწმუნდით, რომ ფლემია, მაშინ დაიჯერებთ? - გადაუჭურჭულა რეტლიფმა მათ შორის მწოლიარე არმსტიდის თავზე.

ბუკრაიტს პასუხი არ გაუცია. მათ გვერდით იწვა და ნიჩბის გაუწყნარებელ, მძიმე-მძიმე ჩხაკუნსა და მის გვერდით კვლავაც მოცახცახე არმსტიდის გაავებულ სისინს აყურადებდა. მაგრამ, აი, მოსწყდა ჩხაკუნის ხმა. თავდაპირველად არავინ იძვროდა. ანაზდად არმსტიდმა წაიბურტყუნა:

- იპოვა! - და შმაგად გაიქაჩა.

ბუკრაიტმა გაიგონა, უფრო სწორად, იგრძნო, როგორ ჩააფრინდა რეტლიფი არმსტიდს.

- შეჩერდით! - წაიჭურჭულა რეტლიფმა. - შეჩერდით! დააკავეთ, ოდემ! - ბუკრაიტმა მეორე მკლავში წაავლო არმსტიდს ხელი. მანამდე აკავებდნენ ასხმარტალეებულ სხეულს, ვიდრე არმსტიდი არ დაშოშმინდა და ხელახლა მათ შორის უძრავად არ ჩაწვა თვალმოკიაფე და ისევე სისინით მაგინებელი. ხელის მოსაკიდებლად ჩხირივით გაწლობილი მკლავები ჰქონდა, მაგრამ შიგ არაადამიანური ძალა ედგა. - არაფერიც არ უპოვია! - უჭურჭულა რეტლიფმა. - სადღაც აქ რომ მარხია, ის იცის და მეტი არაფერი. იქნება სახლში ქალადს გადააწყდა, სადაც წერია - ამ და ამ ადგილას უნდა მოითხაროსო. ოღონდ, ჩვენი არ იყოს, ჯერ უნდა მიაკვლიოს იმ ადგილს. ის კი იცის - სადღაც ბაღში რომ არის, მაგრამ ჯერ მაინც საპოვნი აქვს. ხომ დავინახეთ, რომ ეძებს სულ. - ბუკრაიტს ორი ხმა ესმოდა, სტვენანარევი ჩურჩულით მეტყველებდნენ - ერთი იგინებოდა, მეორე აშოშმინებდა და არიგებდა, ხოლო თავად მოსაუბრენი ვარსკვლავთა შუქით ბუნდად განათებულ ბორცვს მისციებოდნენ თვალეებით. მერე მარტო რეტლიფი აძრახდა. - მამასადამე, არ გჯერათ, ფლემი რომაა, - თქვა მან. - კარგი. შეხედეთ ერთი! - სამივენი სულგანაბულნი გაიტრუნნენ ბალახში. მერე კი ბუკრაიტმა დაინახა მთხრელი, - ლანდი, ჩრდილის ლეკერტი, რომელიც აღმართს მიუყვოდა. - შეხედეთ! - წაიჭურჭულა რეტლიფმა. ბუკრაიტს ესმოდა, როგორ ხრინწმორეულად, სტვენადყოლებით ითქვამდნენ სულს თვალეებით ბორცვს მიციებული რეტლიფი და არმსტიდი. ამის გაგონება იყო და თეთრი ხალათი დაინახა ბუკრაიტმა; წამის შემდეგ კი ბორცვის თხემზე შეყოვნებული სხეული გარკვევით გამოისახა ცის ფონზე. მერე გაქრა. - აჰა, - წაიჭურჭულა რეტლიფმა. - ფლემ სნოუპსი არაა? ახლა გჯერათ? - ბუკრაიტმა ღრმად ჩაისუნთქა და ნელ-ნელა შეუდგა ამოსუნთქვას. ჯერაც

ჩავლებული ჰქონდა ხელი არმსტიდისთვის, მაგრამ სულ დავიწყებოდა ეს ამბავი. ახლა ისევ იგრძნო მისი დაძაგრული, მოცახცახე, ფოლადის მავთულივით მკლავი.

- კი, ფლემია, - თქვა ბუკრაიტმა.

- რაღა თქმა უნდა, ფლემია, - დაემოწმა რეტლიფი. - ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ხვალ ღამით მივაგნოთ, სადაა ჩაფლული და მაშინ...

- ჯანდაბას ხვალის თავი! - თქვა არმსტიდმა. ისევ გაიქაჩა წამოდგომის მოწადინე. - ახლავე წავიდეთ სამეზნელად და ისაა. სანამ იმას თვითონ...

- გარნა ამ ორს ისევ გაკავებული ჰყავდა, და რეტლიფი ჩურჩულით ეკამათებოდა, არწმუნებდა, ბოლოს ამათ გინებით გააკრეს მიწას.

- ჯერ ის უნდა შევიტყოთ, სადაა დამარხული, - ამოიქმინა რეტლიფმა. - ზუსტად უნდა ვიცოდეთ რომ მაშინვე ჩავიგდოთ ხელში, არ გვაქვს ძეზნის დრო. პირველივე ღამეს ყველაფერი უნდა მოვჩხრიკოთ, კვალის დატოვება არ იქნება, თორემ შენიშნავს მობრუნებისთანავე. არ გესმით ეს ამბავი? არ გესმით, რომ ერთხელ მეტად ძეზნა არ გამოგვივა, არ იქნება რომწაგვასწრონ!

- რა უნდა ვქნათ? - თქვა ბუკრაიტმა.

- ჰი! - თქვა არმსტიდმა. - ჰი! - ჩახლეჩილი, ჩამწყდარი, გაავებული ხმა ჰქონდა, ქირდვაც კი არ ეტყობოდა. - რა უნდა ვქნათო? აკი სახლში ბრუნდებოდით?

- გეყოფათ, ჰენრი, - უთხრა რეტლიფმა. წამოიჩოქა, ოღონდ არმსტიდისთვის ხელი არ შეუშვია. - ჩვენ ისე შევთანხმდით, რომ ოდემი წილში გაგვეყვანა. მანამდე მაინც მოვითმინოთ, სანამ იმ ფულს მივაგნებდეთ, ჰოდა მერე ავეშალოთ მისი გულისთვის ერთმანეთს.

- ვაითუ კონფედერაციის ფულის მეტი არაფერი იყოს? - თქვა ბუკრაიტმა.

- კარგი ერთი, - რეტლიფმა თქვა. - მაშინ, როგორ გგონიათ, სად მიჰქონდა იმ ბებერ ფრანგს მთელი ფული, მანამდე ნაშოვნი, სანამ კონფედერაციის ხსენებაც არ იყო? სავსეა ალბათ იქაურობა, ვერცხლის კოვზებიც იქნება და ყოველნაირი ძვირფასეულობაც.

- კოვზები და ძვირფასეულობა თქვენთვის დაიტოვეთ, - თქვა ბუკრაიტმა. - მე ჩემს წილს ფულად წავიღებ.

- ჰო-ო, ახლა დაიჯერეთ? - უთხრა რეტლიფმა.

ბუკრაიტმა არ უპასუხა.

- რა ვქნათ ახლა? - თქვა მან.

- ხვალ ბარში ჩავალ და ბიძია დიკ ბოლივარს ამოვიყვან, - თქვა რეტლიფმა. - დაბინდებისთანავე დავბრუნდები. ოღონდ სულერთია, საქმეს ნაშუაღამევამდე ვერ დავიწყებთ, სანამ ფლემი არ წავა.

- ჰოდა, ხვალ ღამეს ფლემმა იპოვოს ის ფული, ხომ! - თქვა არმსტიდმა. -
ღმერთმანი, მე არ...

ახლა სამივენი იდგნენ. ანაზღად არმსტიდი შმაგად გაიქაჩა, მაგრამ რეტლიფმა დააკავა. ორივე ხელი შემოაჭდო და, სანამ არ დაცხრა, აღარ შეუშვია.

- ყური დამიგდეთ, - უთხრა რეტლიფმა. - ფლემ სნოუპსი ვერ იპოვის იმ ფულს. როგორ გგონიათ, რომ სცოდნოდა, სადაც უნდა ეძებნა, ორ კვირას მიყოლებით ასე ჩიჩქნიდა აქ მიწას? არ იცით, ხალხი იმ ფულს აგერ ოცდაათი წელიწადი იქნება, რაც ეძებს? ყოველი ფუტი მიწა ბარე ათჯერ მაინც იქნება გადათხრილი. მთელ ჩვენს მხარეში არაა ისეთი ყანა, რომელზეც იმდენი შრომა დაეხარჯოთ, რაც ამ საცოდავ ბაღზე დახარჯულა. ბილ უორნერს შეეძლო ბამბა მოეყვანა, ან სიმინდი - ტყვილა თესლი რომ მოეზნია, ისეთ ლერწს იზამდა, მოწვევისას ცხენზე მოუხდებოდა შეჯდომა. ამდენ ხანს კიდევ იმიტომ ვერ უპოვიათ, რომ ღრმადაა დამარხული; ჰოდა, აქამდე ვერავინ მოახერხა ერთ ღამეში მოეთხარა ის ფული და მერე ნათხარი ისევ მიწით ამოეცხო, რომ ბილ უორნერს არ დაენახა, როცა თავის კოდზე დასაჯდომად და იმ განძის სადარაჯოდ ამოვიდოდა მეორე დილას. არა, ძმაო, ერთი დაბრკოლება გვაქვს, რომ...

არმსტიდი დაშოშმინებულიყო. ისა და ბუკრაიტი იმ მხარეს იყურებოდნენ, სადაც რეტლიფის სახე კრთოდა ბუნდად. მცირე ხნის შემდეგ არმსტიდმა ჩახლეჩილი ხმით იკითხა:

- რა დაბრკოლებააო?

- რა და, შესაძლოა, ფლემ სნოუპსმა იცნოსო, რომ მის გარდა კიდევ სხვაც შესდგომია იმ ფულის ძებნას, - თქვა რეტლიფმა.

ხვალის ნაშუადღევს რეტლიფმა ცხენებს ისევ გადაახვევინა გზიდან და კედრებს შორის მიუშვა. ბუკრაიტი ამჯერად თავის ცხენზე ამხედრებული მოემგზავრებოდა, რადგან ფურგონში უკვე სამნი ისხდნენ. არმსტიდს არც ახლა დაუცდია, ვიდრე რეტლიფი ცხენებს მიაბამდა. ფურგონი გაჩერდა თუ არა, ღრჭიალ-ჩხრიალით ჩამოხტა, ისე, რომ ნამალევობა არც უფიქრია, ძარადან ნიჩაბი გადმოიღო და გამალეებით მოჩლახუნე მანამდე შეერია სიბნელეს, ვიდრე რეტლიფი და ბუკრაიტი ჩამოხტომას მოასწრებდნენ.

- წახდა საქმე, აწი შეგვიძლია ჩვენ-ჩვენს სახლებში დავბრუნდეთ, - თქვა ბუკრაიტმა.

- არა, არა, - უთხრა რეტლიფმა. - ასე გვიან არც როდის არ იცის აქ ყოფნა. ოღონდ მაინც უკეთესი იქნება, თუ დავეწევით ჰენრის.

ფურგონში მჯდარი მესამე კაცი არ იძვროდა. მისი გრძელი, ჭაღარა წვერი ამ სიბნელეშიც ოდნავ გამოკიაფობდა, თითქოს, ვიდრე რეტლიფი აქეთ მოამგზავრებდა, ვარსკვლავთა სინათლის ნაწილი შეიწოვა და ახლა ასხივებსო იმ სინათლეს. რეტლიფი და ბუკრაიტი ხელის ცეცებით მიეშველნენ ჩამოსვლაში, მეორე ნიჩაბი და წერაქვი აიღეს, ბერიკაცს აქეთ-იქიდან შეუდგნენ და მოჩლახუნე ნაბიჯების ხმის კვალდაკვალ დაბლა, ხევისკენ

დააქანეს არმსტიდის დაწვევის მოწადინებმა. ოღონდ დაწვევით ვერ დაეწივნენ. ხევიდან ასულებს ბერიკაცი უკვე ხელით მიჰყავდათ, და შორიდანვე შეესმათ ზემოთ, ბორცვზე ნიჩბის ჩქარ-ჩქარი დარტყმის ხმა. ბერიკაცს ხელი შეუშვეს, იმან მათ შორის მიწაზე მოადინა ზღართანი, ესენი კი ერთად შეაშტერდნენ ბნელ გორაკს, სადაც ყრუდ და გაშმაგებით ჩახუნობდა ნიჩაბი.

- უნდა მოეთმინა, სანამ ბიძია დიკი ადგილს გვიჩვენებდა, - თქვა რეტლიფმა, გვერდიგვერდ იქითკენ გაიქცნენ ხშირ შამბნარში მობორძიკენი, საიდანაც ნიჩბის ცემის ხმა მოდიოდა. - ჰენრი! - წაიჩურჩულა რეტლიფმა. - ბიძია დიკს დაელოდეთ.

არმსტიდი არ შეჩერებულა, გააფთრებული თხრიდა, ერთი მოსმით მოისროდა მიწას და დასცემდა ნიჩაბს. რეტლიფი ნიჩაბს მიეტანა. არმსტიდმა გამოგლიჯა, შემოუბრუნდა და ნიჩაბი ნაჯახივით შემართა. დაღლილი, მოთენთილი სახეები სიბნელეში არ უჩანდათ. რეტლიფს სამი დღე-ღამე იყო, ტანზე არ გაეხადა, არმსტიდი კიდევ ორი კვირა მაინც იქნებოდა გასული, რაც გაუხდელი დადიოდა.

- ერთი მომეკარე! - დაიხრიალა არმსტიდმა. - მომეკარე ერთი!

- მოითმინეთ, - უთხრა რეტლიფმა. - აცალეთ ბიძია დიკს იმ ადგილის პოვნა.

- იქით! - თქვა არმსტიდმა. - გამიფრთხილებიხართ, შორს დადექით ჩემი ორმოდან. - და ისევ გააფთრებული შეუდგა თხრას.

რეტლიფი წამით გაჰყურებდა.

- ჩქარა, - თქვა მან. შებრუნდა და გაიქცა, ბუკრაიტი გაედევნა. ბერიკაცი სადაც დატოვეს, იქვე იყო ჩამჯდარი. რეტლიფი მის გვერდით მიწას დააცხრა და ხელი მოაფათურა ნიჩბის მძებნელმა. თავდაპირველად წერაქვი მოჰყვა ხელში. წერაქვი გადააგდო და ისევ მოიფათურა იქაურობა; ამან და ბუკრაიტმა ერთსა და იმავე დროს ჩაავლეს ხელი ნიჩაბს. ფეხზე წამომდგარნი ერთიმეორეს სტაცებდნენ ნიჩაბს ხელიდან, ექაჩებოდნენ და ჰგლეჯდნენ ხრინწიანად და მძიმედ მსუნთქავი, და მაინც ესმოდათ არმსტიდის ნიჩბის ჩქარ-ჩქარი ცემის ხმა. - გაუშვით! - დაიჩურჩულა რეტლიფმა. - გაუშვით!

დაოსებული ბერიკაცი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა ფეხზე წამომდგარიყო.

- მოიცადეთ, - თქვა მან, - მოიცადეთ.

მაშინ რეტლიფი, როგორც ეტყობა, გონს მოეგო. ხელი შეუშვა ნიჩაბს, ლამის მიახეთქა ბუკრაიტს.

- აჰა, გქონდეთ, - თქვა და გულამომჯდარმა ამოიქმინა. - ღმერთო, - თქვა მერე, - რას არ დამართებს კაცს ფული, თუ გინდა ჯერ არც ჩაეგდოს ხელში. - დაიხარა და ერთი აკვრით აქაჩა ბერიკაცი, განზრახ კი არ უუხეშია, მოუთმენლობა აფუცხუნებდა. ბერიკაცი მაშინვე ვერც გაჩერდა ფეხზე, მიშველება შეიქნა საჭირო.

- მოიცადეთ, - აკანკალებული, წრიპინა ხმით თქვა ბერიკაცმა. იმ არემარეზე ყველანი იცნობდნენ. თვისტომი არავინ ჰყავდა. კაცს არ ახსოვდა, როდის მოსულიყო ან საიდან გადმოხვეწილიყო; არც მისი ასაკი იცოდა ვინმემ. მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, შიშველ ტანზე ბინძურ სერთუკმოსილი, მკერდზე ჭადარა წვერდაფენილი ალიზის ქოხში ცხოვრობდა ხევის ბოლოში, გზიდან ხუთი თუ ექვსი მილით დაშორებული. ავგაროზებსა და ყოველგვარი სნეულების წამლებს ყიდდა, თავისივე შემზადებულს, და მის გამო იტყოდნენ ხოლმე - მარტო გველბაყაყს კი არა, ხოჭოებსაც კარგად გაახლებათ - რასაც კი მოიხელთებსო. ქოხში ნამჯის ლეიბიანი საწოლის, რამდენიმე ქოთნის და ვეებერთელა ბიბლიის მეტი არაფერი მოეძევაობოდა. ერთი ფერგადასული სურათი ჰქონდა კიდეც, დაგეროტიპული პორტრეტი კონფედერატულ ფორმაში გამოწყობილი ყმაწვილისა, რომელიც ყველას, ვინც კი ბერიკაცთან ნამყოფი იყო, მის ვაჟიშვილად მიაჩნდა. - მოითმინეთ, - თქვა მან. - მიწა გამწყრალია. ის კაცი მიწის ჩორკნას უნდა შეეშვას.

- მართალია, - თქვა რეტლიფმა. - სანამ მიწა არ დაშომინდება, ვერაფერს გავაწყობთ. უნდა გავაჩეროთ.

ისევ მიადგნენ ჰენრის; ის ისევ თხრიდა და, შეეხო თუ არა რეტლიფი, შემობრუნდა, ნიჩაბი შემართა და ასე იდგა უილაჯო ჩურჩულით მგინებელი, ვიდრე თავად ბერიკაცი არ შეეხო მხარზე.

- ჩიჩქნე, ჩიჩქნე, ყმაწვილო, - აღმოთქვა წრიპინა ხმამ. - ჰოდა, მიწას რაც შენახული აქვს, შეინახავს კიდეც, სანამ ყავლი არ გაუვა.

- მართალია, ჰენრი, - თქვა რეტლიფმა. - ბიძია დიკი უნდა მივუშვათ, ადგილი რომ გვიჩვენოს. წავედით.

არმსტიდმა ნიჩაბი დაუშვა და ამოძვრა ორმოდან (უკვე მთელი ფუტის სიღრმის რომ იყო). ოღონდ ხელი არ შეუშვია ნიჩბისთვის, მანამდე ეჭირა, ვიდრე ბერიკაცმა უკანვე მიარეკა სამივე, ბადის ბოლოში. მერე ბერიკაცმა უკანა ჯიბიდან ამოიღო ატმის ორკაპი ტოტი, რომელსაც ბოლოზე რაღაც ეკონწიალებოდა. რეტლიფს ის ტოტი მანამდეც ენახა და იცოდა, რომ იმ შურდულისნაირ ტოტს ქისა ჰქონდა მიბმული, შიგ კი ოქროსპლომბიანი კბილი იდო. ბერიკაცმა ათიოდე წუთს ერთ ადგილას გააჩერა ესენი, დროდადრო დაიხრებოდა ხოლმე და ხელისგულით მიწას მოსინჯავდა. მერე დაიძრა, სამივენი ფეხდაფეხ მიჰყვნენ, და ძველი ბადის ბალახოვან კუთხეში თავისი შურდულის ორსავე წვერს ბერიკაცმა ხელი ისე მოჰკიდა, რომ ქისა უძრავად და შვეულად დაეკიდა, თავად კი ერთხანს იდგა და რაღაცას ბუტბუტებდა ცხვირში.

- მე რა ვიცი... - თქვა ბუკრაიტმა.

- სსს! - გააჩუმა რეტლიფმა.

ბერიკაცი ისევ დაიძრა და სამივენი უკან მიჰყვნენ. სადღესასწაულო მსვლელობას ჰგავდა ეს ამბავი, რაღაცნაირად წარმართულად აღზნებულნი და თავგადაკლულნი მიმოდიოდნენ ზიგზაგებით, ნელი ნაბიჯით, და ნელ-

ნელა ბორცვზე ადიოდნენ. ანაზად ბერიკაცი შეჩერდა და მის უკან მოჩლახუნე არმსტიდი ზედვე მიაწყდა.

- გვნავსავს რომელიდაცა, - თქვა ბერიკაცმა თავის მოუბრუნებლად, - არა, შენ არა, - დასძინა და ყველანი მიხვდნენ - ამას რეტლიფს ეუბნებო. - არც კოჭლი. აი, ის, მეორე, შავ-შავი, მოგვშორდეს, მიწას დაშოშმინება აცალოს, თუ არა და შინ წამიყვანეთ.

- ლობესთან მიდექით, - მხარს უკან ჩუმად უთხრა ბუკრაიტს რეტლიფმა. - მაშინ მოგვარდება ყველაფერი.

- კი, მაგრამ, მე... - დაიწყო ბუკრაიტმა.

- გადადით ბალიდან, - უთხრა რეტლიფმა. - გადაშუალამდა უკვე. ოთხ საათში ირიჟრაჟებს.

ბუკრაიტი გორაკის ძირას ჩაბრუნდა. უფრო სწორად, რადანაირად ჩაიკარგა სიბნელეში, ხოლო ამათ თვალი არ გაუყოლებიათ, მაშინვე დაიძრნენ, და არმსტიდი და რეტლიფი ბერიკაცს ერთ ნაბიჯზეც არ ჩამორჩებოდნენ. ხელახლა ზიგზაგებით მიჰყვნენ ბორცვისკენ, იმ ორმოს ჩაუარეს, ჰენრიმ რომ დაუწყო თხრა, მერე მეორეს, მიწით ამოვსებულს, კიდევ ვიდაცას რომ ამოეთხარა. ეს ის ორმო იყო, რეტლიფი რომ გადააწყდა იმ პირველ ღამეს, როცა არმსტიდმა აქ ამოიყვანა. რეტლიფი გრძნობდა - არმსტიდი ისევ ცახცახებდა. ბერიკაცი შედგა. ამჯერად ესენი აღარ მისწყდომიან და, ვიდრე ბერიკაცი არ ალაპარაკდა, რეტლიფმა არ იცოდა, რომ ბუკრაიტი კვლავ მის ზურგს უკან იდგა.

- იდაყვებში მომკიდე ხელი, - თქვა ბერიკაცმა. - შენ არა, რომ არ იჯერებდა, იმან მომკიდოს. - როცა ბუკრაიტი მის იდაყვებს შეეხო, ბერიკაცს გაწლობილი, დამპალ ხესავით მყიფე და უსიცოცხლო მკლავები გაუწყნარებლად უტოკავდა სახელოებქვეშ, ხოლო როდესაც ბერიკაცი ხელახლა შედგა და ბუკრაიტი ზედ მიაწყდა, იგრძნო, როგორ გადმოქანდა უკან ბერიკაცის გალეული ტანი. არმსტიდი გაუჩერებლად იგინებოდა ისევ ისე ჩურჩულით მოსისინე. - შურდულს მოჰკიდე ხელი, - ამოიხრიალა ბერიკაცმა. - რომ არ იჯერებდი, შენ.

ბუკრაიტი რომ შეეხო, შურდული გაიდრიკა, თოკი სიმივით დაჭიმულიყო. არმსტიდმა ყრუ ხმით წამოიყვირა; ბუკრაიტმა იგრძნო - იმანაც მოჰკიდაო შურდულს ხელი. შურდული დავარდა. ბერიკაცი შექანდა, შურდული უძრავად ეგდო მის ფერხთით, ვიდრე შიშველი ხელებით მიწის გამმაგებით მჩიჩქნელმა არმსტიდმა იქით არ მოისროლა.

სამივენი ერთად შებრუნდნენ და თავკუდმოგლეჯილნი გავარდნენ ქვემოთ, იქით, სადაც ნიჩბები და წერაქვი დაეტოვებინათ. არმსტიდი წინ გარბოდა, ესენი ძლივძლივობით ეწეოდნენ.

- ოღონდ წერაქვი არ ააღებინოთ, - ამოიხროტინა ბუკრაიტმა. - თორემ გვიმსხვერპლებს რომელიდაცას.

გარნა არმსტიდს წერაქვის აღება არც უფიქრია. იქით დააპირდაპირა, სადაც ნიჩაბი დაეტოვებინა, როცა ბერიკაცმა შურდული ამოიღო და უბრძანა – თხრას თავი დაანებეო. ნიჩაბს ხელი სტაცა და ისევ გორაკისკენ მოუსვა. რეტლიფმა და ბუკრაიტმა რომ მოატანეს, ეს უკვე თხრიდა მიწას. მერმე სამივენი შეუდგნენ თხრას, მიწას გამალებით მოისროდნენ, ერთიმეორეს ხელს უშლიდნენ, ნიჩბებს აჯახებდნენ და აღრქიალებდნენ, ხოლო ბერიკაცი თავს წამოსდგომოდა, ჭაღარა წვერი ვარსკვლავთა შუქზე უბზინავდა, ჩამავებულ თვალის ბუდეებზე თეთრ-თეთრი წარბები გადმოჰფენოდა, ისე, რომ ესენი მიწის თხრასაც რომ შეშვეოდნენ და მისთვის შეეხედათ, მაინც ვერ გეტყოდნენ, უმზერდა თუ არა მისი ფიქრობადღებული, ამათი ფუჭი ვნებათაღელვისადმი გულგრილი თვალები. ანაზდად სამივენი წამით თითქოს გაქვავდნენ ნიჩბებით ხელში. მერე ერთად გადაეშვენენ ორმოში; ექვსი ხელი ერთდროულად მიეტანა იმას – სქელი ნაჭრის მკვრივსა და მძიმე ტოპრავს, რომლის წიად დატვირთული მონეტები ისინჯებოდა. სამივენი დაექიჩავენ იმ ტოპრავს, ერთიმეორეს ხელიდან ჰგლეჯდნენ, ეჭიდებოდნენ, ქლოშინებდნენ.

- დაიცადეთ! - ამოიქმინა ბოლოს რეტლიფმა. - დაიცადეთ! ხომ შევთანხმდით - ყველაფერი თანაბრად გავიყოთო! - გარნა არმსტიდი ტოპრავს ჩაფრენოდა და თავისკენ ეწეოდა გინებ-გინებით. - შეეშვით, ოდემ, - უთხრა რეტლიფმა. - მიეცით. - ტოპრავს ხელი შეუშვეს. თვალმოკიანე არმსტიდმა ტოპრავი ჩაიკრა და მოიკუნტა, ვიდრე ესენი ორმოდან არ ამოდვრნენ. - წაიღოს, - თქვა რეტლიფმა. - ხომ ხვდებით, კიდევ სხვა ფულიც რომ იქნება. - იქით შებრუნდა. - ბიძია დიკ, წამობრძანდით, - მიმართა ბერიკაცს. - წამოიღეთ თქვენი... - სიტყვა გაუწყდა, ბერიკაცი უძრავად იდგა და თითქოს აყურადებდა რაღაცას, იმ ხევსკენ თავმიბრუნებული, საიდანაც ესენი ამოსულიყვნენ. - რაო? - ჩაჰკითხა რეტლიფმა. სამივენი გაშეშებულიყვნენ ისევე წახრილნი, როგორც არმსტიდს გამორიდებოდნენ. - გესმით რამე? - წაიჩურჩულა რეტლიფმა. - არის ვინმე?

- ოთხ უძღებ სულს გულისხმავყოფ, - თქვა ბერიკაცმა. - ოთხი სული მტკრის ნდომით ატანილა.

ესენი მიწას გაეკრნენ, მაგრამ ყოველმხრივ სიწყნარე იყო.

- კი, მაგრამ, ჩვენც ოთხი არ ვართ? - წაიჩურჩულა ბუკრაიტმა.

- ბიძია დიკს ფული არაფრად უღირს, - ჩურჩულითვე მიუგო რეტლიფმა. - იქ თუ ვინმე ჩამალულა...

და ესენი გაიქცნენ. წინ არმსტიდი მირბოდა ნიჩბით ხელში. რეტლიფი და ბუკრაიტი ახლაც ძლივს ეწეოდნენ დაღმართზე.

- მოვკლავ, - თქვა არმსტიდმა. - ბუჩქებში მოვძებნი და მოვკლავ.

- არა, - თქვა რეტლიფმა. - უნდა დავიჭიროთ და მეტი არაფერი.

ამან და ბუკრაიტმა ხევს რომ მიატანეს, შემოესმათ, როგორ მიშლიგინობდა ხევს პირას თავის მიერ ატეხილი ხმაურის არაფრად ჩამგდები არმსტიდი, როგორ ნაჯახივით ჩეხავდა ჩაბნელებულ ბუჩქებს ნიჩბით, ისევე

გამმაგებელი, როგორც წუთის წინ მიწას თხრიდა. მაგრამ პოვნით ვერავინ იპოვეს.

- იქნება მოეჩვენა ბიძია დიკს, - თქვა ბუკრაიტმა.

- ერთი სიტყვით, ახლა აქ აღარავინ არაა. იქნება, ის... - რეტლიფი გაჩუმდა. ამან და ბუკრაიტმა ერთიმეორეს გადახედეს; აქლომინებულებსფლოქვთა ცემის ხმა შემოესმათ. ძველი გზიდან, კედრებს იქიდან მოდიოდა თქარათქური; თითქოს გაჭენებული ცხენი პირდაპირ ციდან ჩამოვარდნილიყოს იმ ადგილას. მანამდე აყურადებდნენ, ვიდრე ფლოქვთა ცემის ხმა ღელის სილიან ფსკერზე არ ჩაწყდა. წამის შემდეგ ისევ შემოესმათ, როგორ თქარუნობდა ფლოქვები დატკეპნილ გზაზე, ოღონდ ახლა ხმა უფრო სუსტად აღწევდა და მერე სულაც მიწყდა. ესენი სიბნელეში ერთიმეორეს მისჩერებოდნენ სუნთქვაშეკრულნი. ბოლოს რეტლიფმა სული მოითქვა. - ესე იგი, დრო გვაქვს გამოთენიამდე, - თქვა, - წავედით.

კიდევ ორჯერ გაიდრიკა და დავარდა ბერიკაცის შურდული, და ორჯერვე იპოვეს პატარ-პატარა გატენილი ტილოს ტომსიკები; ამ სიბნელეშიც შეუცდომლად გამოიცნობდა კაცი, რაც იყო ჩაყრილი იმ ტომსიკებში.

- ახლა, - თქვა რეტლიფმა. - თითოს თითო ორმო გვერგო, დროც გვაქვს დილამდე. ვთხაროთ, ბიჭებო.

აღმოსავლეთი რომ გაფერმკრთალდა, ამათ ჯერაც ვერაფერი ეპოვათ. ოღონდ რაკი ცალ-ცალკე თხრიდნენ სამ ადგილას, საკმაო სიღრმის ორმო ვერც ერთს ვერ გაეჭრა. ხოლო მთავარი განძი უეჭველად ძალიან ღრმად უნდა ყოფილიყო ჩამრახული; ასე რომ არა, რეტლიფის თქმისა არ იყოს, ოცდაათ წელიწადში ათჯერ მაინც მიაგნებდნენ, რადგან იმ კარ-მიდამოს ათიოდე აკრ მიწაზე ბევრი კვადრატული ფუტი როდი აღმოჩნდებოდა, სადაც ვინმეს არ ეთხარა მიწა ღამღამობით, შებინდებიდან გაცისკრებამდე უფარნოდ, ცქაფად, რაც გაეწყობოდათ უხმაუროდ. ბოლოს რეტლიფმა და ბუკრაიტმა როგორც იქნა დააჯერეს და გონს მოაგეს არმსტიდი, თხრას შეეშვნენ, ორმოები ამოავსეს და მიწა მოასწორეს. მერე კი საგანთიადო ბინდბუნდში ტოპრაკებს მოხსნეს თავი. რეტლიფსა და ბუკრაიტს ოცდახუთ-ოცდახუთი ვერცხლის დოლარი აღმოაჩნდათ. არმსტიდმა არ მოისურვა ეთქვა - რამდენი შეხვედროდა, თავის ტომსიკაში არავის ჩაახედვინა. მოიკრუნჩხა, ტომსიკას გადაეფოფრა და გინებით შეაქცია ზურგი.

- ესეც ასე, - თქვა რეტლიფმა. მერე ახალმა აზრმა შეაშფოთა ანაზდად. არმსტიდს შეხედა. - იმედია, იმდენი ჭკუა კი გვეყოს სამივეს, რომ ერთხანს არ დავხარჯოთ ეს დოლარები.

- ჩემი ჩემია, - თქვა არმსტიდმა. - მე ვიპოვე და ჩემი ხელით დავირჩინე ეს ფული, მიწა გამისკდეს, თუ ისე არ მოვიხმარო, როგორც მომინდება.

- კეთილი, - თქვა რეტლიფმა. - იმას როგორღა ახსნით, საიდან გაგიჩნდათ ეს ფული?

- როგორ და... - არმსტიდს ენა დაება. ჩაცუცქულმა თავი ასწია და რეტლიფს შეხედა. ახლა უკვე გაირჩეოდა ერთმანეთის სახეები. სამივე აღზნებული იყო, უძილობითა და დაღლილობით განაწამები.

- ჰო, - უთხრა რეტლიფმა. - რას ეტყვიტ ხალხს, საიდან მაქვს ეს ფულიო? სად ჩაიგდეთ ხელში ეს ოცდახუთი დოლარი, სამოცდაერთ წლამდე რომ არის მოჭრილი ყველა? - არმსტიდს ზურგი შეაქცია და ამან და ბუკრაიტმა მშვიდად შეხედეს ერთმანეთს. ამასობაში სინათლე ეძალეობდა. - ვიღაცა გვითვალთვალეზდა ხევიდან, - თქვა რეტლიფმა. - ასე რომ, ამ კარ-მიდამოს ყიდვა მოგვიხდება.

- თანაც საჩქაროდ, - თქვა ბუკრაიტმა. - ხვალვე.

- თქვენ იმის თქმა გინდათ - დღესვეო, - შეუსწორა რეტლიფმა.

ბუკრაიტმა მიმოიხედა, თითქოს ნარკოზის მერე გონს მოსულიყოს, თითქოს პირველად ეხილოს განთიადი, ქვეყნიერება.

- მართალი ბრძანდებით, - თქვა. - ხვალე დამდგარა უკვე.

ბერიკაცი ხევის პირას ხის ქვეშ გულადმა გაწოლილიყო და პირდადებულს ეძინა, და ალიონის შუქზე ჩანდა, როგორი დასვრილი წვერი ჰქონდა, მას მერე, რაც ამათ თხრა დაიწყეს, ბერიკაცი ერთხელაც არ გახსენებოდათ. გაადვიძეს და ისევ ფურგონში ჩასვეს. ის ჯიხური, რომლითაც რეტლიფი საკერავ მანქანებს დაატარებდა, ბოქლომით იკეტებოდა. რეტლიფმა რამდენიმე სიმინდის ტარო გამოიღო იქიდან, მერე თავისი და ბუკრაიტის ტოპრაკები შიგ შეაწყო და ისევ დაკეტა კარი.

- თქვენც აქ შეგენახათ თქვენი ტოპრაკი, ჰენრი, - უთხრა არმსტიდს. - სანამ დანარჩენსაც არ მივაგნებთ, უნდა დავივიწყოთ, ეს ფული რომ ჩვენია.

მაგრამ არმსტიდი არ დაეთანხმა. მოუხერხებლად აძვრა ცხენზე და ბუკრაიტს შემოუჯდა უკან, წინასწარ იუარა ჯერაც შეუთავაზებელი დახმარება, თავადვე შეჯდა, ტოპრაკი დაბეზვილ, გამოხუნებულ კომბინეზონს ქვეშ შეიძალა, და დაიძრნენ. რეტლიფმა წყაროსთან საკვები მისცა თავის ცხენებს და დაარწყულა; მზის ამოსვლამდე უკვე გზაზე იყო გასული. ცხრა საათი იქნებოდა, ბერიკაცს გასამრჯელოდ დოლარი უბოძა, იქ ჩამოსვა, სადაც მისი ქოხისკენ მიმავალი ბილიკი იწყებოდა, თვით ქოხიდან ხუთი მილის სიშორეზე, და თავისი მუხლმაგარი, მოუღლეელი ცხენები ისევ ფრანგისხევისკენ შემოაბრუნა. „კი, ვიღაცა იმალეზოდა ხევში, - ფიქრობდა რეტლიფი. - საჩქაროდ უნდა ვიყიდოთ ის კარ-მიდამო“.

შემდეგში ეჩვენებოდა - ეს „საჩქაროდ“ რასაც ნიშნავს, ნამდვილად მაშინ მივხვდი, როცა დუქანს მივადექო. დუქანს მიახლოებულმა გალერეაში ჩვეულ სახეთა შორის უმაღლე შენიშნა ერთი ახალი სახე და იცნო კიდეც, ვინც იყო - იუსტას გრიმი, მეზობელი ოლქის მკვიდრი ახალგაზრდა მოიჯარე, აქედან ათ თუ თორმეტ მილზე მცხოვრები ცოლითურთ. ქალი ერთი წლის მოყვანილი ჰყავდა და რეტლიფს უზურში ჰქონდა - შვილის შეძენის მერე აღებულ ვალებს გაისტუმრებენ თუ არა, იმ ქალს საკერავ მანქანას მივყიდო. ცხენები რომ გალერეის ერთ-ერთ სვეტს მიაზა, და

გასვრილ საფეხურებს აუყვავა, რეტლიფმა გაიფიქრა: „იქნება ძილი კარგი დასვენება იყოს, მაგრამორ-სამ ღამეს რომ არ დაიძინებ, თანაც გაწვალდები და კარგ შიშსაც ჭამ, მაშინ როგორც რიგი და წესია, ისე აგიმუშავდება თავი“. იმიტომ, რომ იცნო თუ არა გრიმი, რაღაცამ გაჰკურა შიგნით, თუმცა მაშინ აზრადაც არ მოსვლია, რას ნიშნავდა ეს ამბავი, ორი თუ სამი დღის მერეღა მიხვდა. სამი დღე-ღამე იქნებოდა, ტანზე არ გაეხადა; იმ დილას არ ესაუზმა, საერთოდ, უკანასკნელ ორ დღეს ფაცაფუცით თუ წაილუკმებდა, და ეს ყოველივე სახეზე აღბეჭდოდა. ოღონდ არც მის ხმას, არც სხვა რასმე არ დასტყობია ეს ამბავი და დაღლილობის კვალის გარდა არაფრით გაუცია თავი.

- დილა მშვიდობისა, ჯენტლმენებო, - თქვა მან.

- ღმერთმანი, ვ. კ., ისეთი სახე გადევთ, კაცს ეგონება, ერთი კვირაა არ უძინიაო, - უთხრა ფრიმენმა. - ეს რა ამბავი წამოგიწყიათ? ღონ ქვიკმა თქვა, ამ სამი დღის წინ ჩემმა ბიჭმა რეტლიფის ცხენები და ფურგონი არმსტიდის სახლთან ხევში ჩამალული ნახაო, მე კიდევ ვუთხარი, ცხენებს ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, საქმე დასამალად ჰქონოდათ-მეთქი. ესე იგი, თქვენ ჩამალულხართ.

- არა მგონია, - მიუგო რეტლიფმა. - მასე რომ ყოფილიყო, მეც ჩამავლებდნენ ცხენებთან ერთად. სულ ასე მეჩვენებოდა - ძალიან მარჯვე ვარ საიმისოდ, აქ, ამ ჩვენს მხარეში რომ გავება-მეთქი. ოღონდ ახლა, სიმართლე მოგახსენოთ, აღარ ვიცი. - გრიმს გადახედა, უძილობით მოთენთილი სახე კვლავინდებურად ალერსიანი, დამცინავი და შეუცნობელი ჰქონდა. - იუსტას, - უთხრა, - გზა შეგმლიათ, მგონი.

- ჰო, ეტყობა, - თქვა გრიმმა. - იმის სანახავად ჩამოვედი...

- გზის ბაჟი გადაიხადა ამ კაცმა, - ახმიანდა ლემპ სნოუჰსი, ნოქარი, რომელიც ჩვეულებისამებრ ერთადერთ სკამზე იჯდა კარს აფარებული. - იოკნაპატოვის გზებზე გავლა გინდათ აუკრძალოთ თუ რა ამბავია?

- არა, რაღა თქმა უნდა, - გაეპასუხა რეტლიფი. - თუკი ბაჟი გადაუხდია, სადაც საჭირო იყო, თუ გინდა ეს დუქანიც გადაიაროს და ბილ უორნერის სახლიც.

ლემპის გარდა ყველას გაეცინა.

- იქნება მასეც ვქნა, - თქვა გრიმმა. - იმის სანახავად ჩამოვედი... - გაჩუმდა რეტლიფის შემყურე. უძრავად ჩაცუცქულიყო, ცალ ხელში სათლელი ჯოხი ეჭირა, მეორეში - გახსნილი დანა. რეტლიფიც მას უმზერდა.

- გუშინ საღამოს არ შეგეძლოთ გენახათ? - შეეკითხა რეტლიფი.

- ვინ უნდა მენახა გუშინ საღამოს? - თქვა გრიმმა.

- როგორ უნდა ენახა წუხელ საღამოს ფრანგისხევში ვინმე, როცა გუშინ აქ არ ყოფილა ეს კაცი? - თქვა ლემპ სნოუჰსმა. - სახლში მიბრძანდი, იუსტას. სადილი აღბათ მზად იქნება. მეც ახლავე მოვალ.

- კი, მაგრამ, მე... - დაიწყო გრიმმა.
- შენ დღეს თორმეტი მილის გავლა კიდევ მოგიწევს სახლამდე, - უთხრა სნოუპსმა. - მიბრძანდი-მეთქი. - გრიმი ერთ წამს კიდევ შესცქეროდა მას. მერე წამოდგა, კართანადან ჩავიდა და გზას მიჰყვა. რეტლიფს მისთვის თვალი არ გაუყოლებია, ახლა სნოუპსს უმზერდა.
- ამგზობაზე თქვენთან სადილობს იუსტასი? - შეეკითხა.
- უინტერბოტომთან სადილობს, ბატონო, სადაც მეც ვჭამ პურს, იქვე, - ხრინწიანი ხმით თქვა სნოუპსმა. - და სადაც სხვებიც ჭამენ პურს, ვინც ფულს იხდის ამაში.
- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა. - ოღონდ ტყვილად ისტუმრებთ აქედან ასე ნაჩქარევად. იუსტასი არც ისე ხშირად ჩადის ქალაქში, შეეძლო, ერთ-ორ დღეს აქ მაინც დაეხანებინა, თვალი მოევლო აქაურობისთვის, გალერეაში ჩამომჯდარიყო.
- დღეს ვახშომობისას უკვე სახლს მიატანს, - თქვა სნოუპსმა. - გაემგზავრეთ და თქვენ თვითონ ნახეთ. თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებს, რომ იმის უკანა ეზოში იქნებით.
- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა და უძილობით მოთენთილი მისი სახე ალერსიანი, რბილი, შეუცნობელი იყო. - ფლემი როდისღა დაბრუნდება?
- საიდან? - ხრინწიანი ხმით იკითხა სნოუპსმა. - იმ ჰამაკიდან, ბილ უორნერთან ერთად რომ გრილდება ან კიდევ შიგ რომ სძინავს? ალბათ არც როდის.
- გუშინ ბილთან და ქალებთან ერთად ჯეფერსონს იყო წასული, - თქვა ფრიმენმა. - ბილმა დღეს თქვა - დავბრუნდებითო.
- რასაკვირველია, - თქვა რეტლიფმა. - ზოგჯერ წელიწადზე მეტს მოუნდები კაცი, სანამ ახალგაზრდა ცოლს გადააჩვევ იმის ფიქრს - ფული მარტო იმისთვის არსებობს, რომ მაღაზიებში ვირბინო. - იდგა გალერეაში სვეტს მიყრდნობილი, აუძღვრევლად და არხეინად, თითქოს არასოდეს სცოდნოდეს, თუ რა არის სიჩქარე და გამალეა. „მაშასადამე, ფლემ სნოუპსს არ ნდომებია, რომ ეს ამბავი იცოდეს ვინმემ. ხოლო იუსტას გრიმი... - აქ რაღაცამ გაჰკრა ტვინში ხელახლა, ოღონდ სამი დღის მერეღა მიხვდა, რაშიც იყო საქმე, თუმცა ახლაც ეგონა - ყოველივე ვიცი, ყველაფერს ზედმიწევნით ჩავწვდიო. - ...ხოლო იუსტას გრიმი გუშინდელ საღამოს მერეა ჩამოსული, ან, ყოველ შემთხვევაში, ამ წუთიდან მაინც, როცა თქარათქური შემოგვესმა. იქნება ორივე იმ ცხენზე იჯდა, იქნება იმიტომ ისმოდა ცხენის ფეხის ხმა ისე ხმამაღლა“. ამის წარმოდგენაც შეეძლო - ლემპ სნოუპსი და გრიმი ერთ ცხენზე ამხედრებულან, თავგამეტებით მიქრიან წყვილიადში უკან, ფრანგისხევისკენ, ხოლო ფლემ სნოუპსი ჯერ არ დაბრუნებულა, დღისით დაბრუნდება მხოლოდ, „ლემპ სნოუპსს არ უნდოდა, ესეც რომ სცოდნოდათ, - გაიფიქრა, - იუსტას გრიმიც იმიტომ გაისტუმრა, რომ არავინ დალაპარაკებოდა. ლემპი მარტო შემფოთებული და გაცოფებული კი არაა,

ემინია კიდევ. ჩამალული ფურგონის მიგნებაც კი შეემლოთ. ალბათ ასეც იყო საქმე და ერთი იმათგანი მაინც იცნეს, ვინც ბაღში მიწას თხრიდა, ჰოდა, ახლა სნოუპსს მარტო ის არ სჭირდება, რომ ბიძაშვილს თავისი რწმუნებულის, გრიმის მემკვიდრით მოურიგდეს, იქნება, ისეთ კაცთანაც მოუხდეს საქმის დაჭერა (ეს ყოველგვარი თავმოთნეობის გარეშე გაიფიქრა რეტლიფმა), ვისაც თამაშ-თამაშით შეუძლია მისი გაცურება“. საკუთარ ფიქრებში დანთქმული, შეურვებული, ოღონდ კვლავინდებურად შეუცნობელი რეტლიფი იმასაც ამბობდა გულში - სნოუპსიც კი ვერ იგრძნობს სამშვიდობოს თავს მეორე სნოუპსის შემყურეო. „კი, აჩქარებაა საჭირო“, - გაიფიქრა. სვეტს გამოსცილდა და კართანასთან გააბიჯა. - აბა, წავედი მე, - თქვა. - ხვალამდე, ყმაწვილებო.

- ჩემთან წამობრძანდით სადილად, - უთხრა ფრიმენმა.

- დიდი მადლობელი ვარ, - მიუგო რეტლიფმა. - დღეს გვიან ვისაუზმე ბუკრაიტისას. ჰოდა, დღეს თამასუქით ფული მაქვს მისაღები აიკ მაკკაზლინისგან და დღეს აქაც ვარ დასაბრუნებელი.

ფურგონს მოაჯდა, ცხენები შეაბრუნა და ისევ გზაზე გაიყვანა. ცხენები ადგილიდანვე თავიანთ ჩვეულ ალურს მიჰყვნენ და ჩორთით გაჭენდნენ, ოღონდ მაინცდამაინც ფეხმარდად არ გაქანებულან, ვიდრე არ გასცილდნენ უორნერის სახლს, რომლის იქითაც გზა მაკკაზლინის ფერმისკენ უხვევდა და ფურგონი აღარ ჩანდა გალერეიდან. მაშინ კი ფეხს აუჩქარეს, ბალნით დაფარულ ზურგზე შოლტი დასტლამუნებდათ და მტვერს ადენდა. რეტლიფს სამიოდე მილი უნდა გაევილო. იცოდა, რომ ნახევარი მილის შემდეგ მიხვეულ-მოხვეული, ნაკლებად ნავალი შარაგზა დაიწყებოდა, ოღონდ იმ გზას ოც წუთზე მეტს არ მოუნდებოდა. შუადღეს ახალი გადაცილებული იყო, ხოლო უორნერი ალბათ დილის ცხრაზე ადრე ვერ გამოათრევდა თავის ცოლს ეკლესიის ხელშემწყობ ჯეფერსონის ქალთა კომიტეტიდან, რომლის წევრიც არის ის დედაკაცი. რეტლიფმა შარაგზა ცხრამეტ წუთში გაიარა; ფურგონი ოდროზოლოგებში ინჯღრეოდა, ბოლქვა-ბოლქვა მტვერს აყენებდა. მერე ფრანგისხევიდან ერთი მილის სიშორეზე გაქაფული ცხენები შეაჩერა, ჯეფერსონის გზაზე გადაუხვია და კიდევ ნახევარი მილი ჩორთით ატარა ცხენები, ოღონდ თავს კი უჭერდა, რათა თანდათანობით გაგრილებულიყვნენ. მაგრამ უორნერის ეტლი არა და არ ჩანდა, და რელიფმა ნაბიჯით მიუშვა ცხენები და ასე მიიწეოდა, ვიდრე იმ გორაკის თხემზე არ ავიდა, საიდანაც შორს შეემლო გზის დანახვა, აქ კი გზისპირზე გადაუხვია და ჩრდილში გაჩერდა. ახლა უსადილოდაც დარჩენილიყო. შიმშილი მაინცდამაინც არ აწუხებდა, და, თუმცა დილიდანვე ძილი ერეოდა, მას აქეთ, რაც ბერიკაცი ფურგონიდან ჩამოსვა და უკანვე გამობრუნდა, ფრანგისხევისკენ, ახლა ამანაც გადაუარა. მოთენთილი იჯდა ფურგონზე, მცხუნვარე სინათლისგან თვალები ავადმყოფურად ეწკურებოდა, ხოლო ცხენებს (რეტლიფი ლაგამს არასოდეს ხმარობდა) აღვირიდან თავები გამოიყვით და კისერგაწვდილნი ბალახს წიწკნიდნენ. იცოდა, რომ მგზავრებს შეემლოთ დაენახათ; ზოგიერთი მერე ფრანგისხევიც აივლის და მოჰყვება - იქ გაჩერებული ვნახეთო. ოღონდ ამას შემდეგში იფიქრებს, საჭიროება რომ მოიტანს. თითქოს თავისთვის ეთქვას - ახლა შემძლია ცოტათი მაინც სული მოვითქვაო.

მერე ეტლი დაინახა. და, ვიდრე ეტლიდან ვინმე შენიშნავდა, ეს გზაზე იყო უკვე და მისი ცხენები ჩვეული, მთელი ოლქისთვის უკვე ნაცნობი ჩორთით მირონინებდნენ, - პატარ-პატარა ჩლიქები ხშირ-ხშირად უელავდათ, თუმცა ორი ტანსრული ცხენი, ნაბიჯით რომ ევლო, მაინცდამაინც არ ჩამორჩებოდა სიჩქარეში. ამან იცოდა - უკვე შემამჩნიეს და მიცნესო, როცა ეტლიდან ორასიოდე ნაბიჯზე სადავე მოქაჩა და ფურგონში მჯდომი დაელოდა იმათ თავაზიანი, ალერსიანი და უშფოთველი, ოღონდ სახე კი ჰქონდა განაწამები, და უორნერი რომ გაუსწორდა, ეტლი შეაჩერა.

- გამარჯობა, ვ. კ., - უთხრა უორნერმა.

- დილა მშვიდობისა, - თქვა რეტლიფმა. ქუდი ცოტაზე წამოსწია და უკან მსხდომ ქალებს მიესალმა. - მისის უორნერ, მისის სნოუპს, გამარჯობა.

- საით გაგიწევიათ? - შეეკითხა უორნერი. - ქალაქში?

რეტლიფს ტყუილის თქმა აზრადაც არ მოსვლია, ეს იყო, რომ თავაზიანად, ოღნავ ლაციციტაც კი იღიმებოდა.

- არა, საგანგებოდ წამოვედი თქვენს შესახვედრად. ფლემს მინდა მოველაპარაკო. - ამის თქმაზე პირველად შეხედა სნოუპსს. - ჩემთან გადმოჯექით, მე მიგიყვანთ სახლამდე.

- ჰი! - თქვა უორნერმა. - აბა, ორი მილი აქეთ გამოგივლიათ და ორს კიდევ იქითობას გაივლით მარტო იმიტომ, რომ ამას ელაპარაკოთ!

- სწორედ, - მიუგო რეტლიფმა. თან სულ სნოუპსს უმზერდა.

- თქვენ ისეთი რეგენი არ ხართ, იმის იმედი იქონიოთ - ფლემ სნოუპსს რამე მივყიდო, - უთხრა უორნერმა. - ჰოდა, საიმისო ჰკუყვ ნამდვილად გეყოფათ, რომ ფლემისგან არ იყიდოთ არაფერი, ასე არაა?

- არ ვიცი, - წინანდებურად თავაზიან, ძალდაუტანებელ და შეუცნობ კილოზე მიუგო რეტლიფმა და უძილობით მოთენთილი მისი სახიდან თვალები სნოუპსს მისჩერებოდა. - ყოველთვის ჰკვიან კაცად მიმაჩნდა ჩემი თავი, ოღონდ ახლა კი აღარაფერი ვიცი. მე მიგიყვანთ სახლამდე, - უთხრა. - სადილად არ დაგაგვიანდებათ.

- ჰო, გადაძვერი, - უთხრა სიმეს უორნერმა. - სულერთია, ასე მაინც არაფერს გეტყვის.

ამასობაში სნოუპსი უკვე ამოდრავებულიყო. ბორბლის იქით გზაზე გადააპურჭყა, შებრუნდა და ზურგშექცევით ჩამოვიდა მიწაზე სქელ-სქელი და აუჩქარებელი, ღია ნაცრისფერი გაზინთული შარვლით, თეთრი ხალათითა და კუბოკრული კეპით მოსილი; ეტლი დაიდრა, რეტლიფმა ფურგონი დაამუხრუჭა, სნოუპსი გვერდით მიუჯდა, ამან ცხენები შემოაბრუნა და ისინიც ჩვეული ჩორთით გაექანნენ. მაგრამ რეტლიფმა სადავე მოქაჩა და ნაბიჯზე გადაიყვანა, ხოლო მის გვერდით მჯდარი სნოუპსი გაუწყნარებლად იღეჭებოდა. ერთიმეორეს არ უყურებდნენ.

- მე იმ ფრანგისეული კარ-მიდამოს თაობაზე ვარ, - უთხრა რეტლიფმა. ეტლს უკვე ასიოდე ნაბიჯით გაესწრო და ამათი ფურგონივით მტვრის კორიანტელს აყენებდა გზაზე. - რამდენად ფიქრობთ დაუფასოთ იუსტას გრიმს ის კარ-მიდამო?

სნოუპსმა ნაღეჭი თამბაქო ბორბლის იქით გადააფურთხა. აუჩქარებლად, შეუჩერებლად იღეჭებოდა და, ეტყობოდა, ეს ღეჭვა არც პურჭყებაში უშლიდა ხელს და არც საუბარში.

- დუქანთან მელოდება უკვე, არა? - თქვა სნოუპსმა.

- თქვენ ალბათ თვითონვე დაიბარეთ სადღეისოდ, - უთხრა რეტლიფმა. - ჰოდა, რამდენად აპირებთ დაუფასოთ? - სნოუპსმა ფასი თქვა. რეტლიფმა თითქმის უორნერივით ჩაიცინა. - მერე, თქვენი ფიქრით, იუსტას გრიმს მაგდენი ფულის დახვავება შეუძლია?

- არ ვიცი, - მიუგო სნოუპსმა და ხელახლა გადააპურჭყა ხორბალს იქით.

რეტლიფს შეეძლო ეთქვა - ესე იგი, იმ კარ-მიდამოს ყიდვა არ გნდომებიათო, ამაზე სნოუპსი უპასუხებდა - რასაც კი მოვინდომებ, ყველაფრის გაყიდვა შემიძლიაო, მაგრამ აღარ უთქვამთ, არც სჭირდებოდათ ამის თქმა.

- კეთილი, - უთხრა რეტლიფმა. - მე როგორღა დამიფასებთ? - სნოუპსმა იგივე ფასი უთხრა. ამჯერად რეტლიფმა სულ უორნერივით ჩაიცინა. - მე ათი აკრისას ვამბობ იმ ძველი სახლის გარშემო, მთელ იოკნაპატოფის ოლქს კი არ ვყიდულობ თქვენგან. - უკანასკნელი გორაკი გადაიარეს და უორნერის ეტლმაც სვლას უმატა, უფრო და უფრო დასცილდა ამათ. ახლა ფრანგისხევი ორ ნაბიჯზე იყო. - კარგი, პირველი კითხვა ანგარიშში არ ითვლება, - თქვა რეტლიფმა. - ჰოდა, რამდენი გინდათ იმ ფრანგისეულ კარ-მიდამოში?

ამის ცხენებიც იქაჩებოდნენ ჩორთზე გადასასვლელად. რეტლიფმა თავი დაუჭირა, მოსახვევი დაიწყო და სკოლის იქით ფრანგისხევი გამოჩნდა. ეტლი უკვე თვალს მიფარებოდა მოსახვევში.

- რად გინდათ ის კარ-მიდამო? - შეეკითხა სნოუპსი.

- თხის რანჩოდ მინდა - მიუგო რეტლიფმა. - ჰო, რას მიფასებთ? - სნოუპსმა ბორბალს იქით გადააპურჭყა და მესამედ თქვა იგივე ფასი. რეტლიფმა სადავე მიუშვა და მუხლმაგარი, მოუღლეელი ცხენები ჩორთით გაექანნენ, გამოცარიელებულ სკოლასთან უკანასკნელად მოუხვიეს და ახლა მთელი ფრანგისხევი თვალწინ გადაეშალათ, ეტლიც ისევ გამოჩნდა, დუქანს გასცდენოდა უკვე. - რა იქნა ის კაცი, აქ რომ მასწავლებლად იყო ამ სამი თუ ოთხი წლის წინ? ლებოუვი, არაფერი ისმის მისი ამბავი?

მეშვიდე საათისთვის ცარიელსა და ჩაკეტილ დუქანში რეტლიფმა, ბუკრაიტმა და არმსტიდმა ფრანგისეული კარ-მიდამო იყიდეს სნოუპსისგან. რეტლიფმა ხელი მოაწერა ჯეფერსონის განაკიდზე მდგარი რესტორნის თავისი ნახევრის გადასაცემს. არმსტიდმა გირავნობის სიგელი გასცა თავის ფერმაზე შრამელიანად, იარაღებიანად, საქონლიანად და სამ მილზე გაჭიმული

სამწერკრივი მავთულის ღობიანად; ბუკრაიტმა თავისი წილიდან ფულად გადაიხადა. მერე სნოუჰსმა ესენი გამოუშვა და კარი გამოიკეტა. ცარიელ გალერეაში დარჩენილი აგვისტოს მიმწუხრის სინათლეზე გასცქეროდნენ, როგორ მიაბიჯებდა სნოუჰსი უორნერის სახლისკენ, - უფრო სწორად, მხოლოდ ორნი მიაყოლებდნენ თვალს, რადგანაც არმსტიდი უკვე ფურგონში ჩამჯდარიყო უძრავად და ამათ ელოდებოდა ისევ ისე უჯიათი ბრაზით მოთუხთუხე.

- ახლა კარ-მიდამო ჩვენია, - თქვა რეტლიფმა. - უნდა ვუდარაჯოთ, თორემ ბიძია დიკ ბოლივარს აიყვანს ვინმე და განძს დაუწყებს ძებნას.

ჯერ ბუკრაიტთან შეიარეს (უცოლშვილო კაცი იყო), მის საწოლს ლეიბი ააცალეს, ორი საბანი, საყავე, ტაფა, კიდევ ერთი წერაქვი და ნიჩაბი წაიძღვანეს და მერე არმსტიდისკენ გაემგზავრნენ. იმასაც ერთადერთი ლეიბი ჰქონდა, ოღონდ ცოლი ჰყავდა და ხუთი წვრილშვილი; გარდა ამისა, რეტლიფმა, რომელსაც ის ლეიბი მანამდეც ენახა, იცოდა: საკმარისი იყო იმ ლეიბის საწოლიდან აღება, რომ ნაწილ-ნაწილ წავიდოდა. არმსტიდმა საბანიც წამოიღო, ხოლო ბალიშის ნაცვლად ამათი დახმარებით ტომარა გამოტენა ქატოთი. მერე სახლს მოუარეს და ფურგონთან მივიდნენ, არმსტიდის ცოლი კი კარში ჩამდგარიყო და ოთხი ბალღი ფეხებში ეხურხლებოდა. ოღონდ ქალს სიტყვაც არ დაუძრავს და რეტლიფმა რომ ცხენები დაძრა და მოიხედა, კარში აღარავინ ჩანდა.

როდესაც ამათ ძველი გზიდან გადაუხვიეს და კედართა კორომის გავლით სახლის ნანგრევებისკენ გასწიეს, ჯერაც დღის ნათელი იდგა, ზედ სახლთან დაინახეს ჯორებშებმული ოთხთვალა, ხოლო სახლიდან გამოსული კაცი გაჩერებულიყო და ამათ შემოჰყურებდა. იუსტას გრიმი იყო, ოღონდ რეტლიფი ვერ მიხვდა, იცნო არმსტიდმა იუსტასი, თუ მისთვის სულერთი იყო, ვინც აღმოჩნდებოდა, რადგან ფურგონის გაჩერებამდე ჩამოხტა, ბუკრაიტისა და რეტლიფის ფეხებქვეშეიდან ნიჩაბი გამოაძრო და ტკივილისა და სიმშაგისგან გამხეცებული, კოჭლობით გავარდა გრიმისკენ. გრიმმა მოკურცხლა, ოთხთვალას იქით ჩაიშალა და იქიდან გამოჰყურებდა არმსტიდს, ხოლო ეს შეეცადა გადასწვდომოდა და ნიჩაბი ხეთქა ოთხთვალას.

- დავაკავოთ, თორემ მოკლავს! - იყვირა რეტლიფმა.

- ანდა იმ თავის დაწყევლილ ფეხს მოიტეხავს ხელახლა, - თქვა ბუკრაიტმა.

ესენი რომ წამოეწივნენ, არმსტიდი ოთხთვალის ირგვლივ შემორბენას აპირებდა ნაჯახივით ნიჩაბშემართული. მაგრამ გრიმი უკვე იქით გამხტარიყო, ხოლო რეტლიფი და ბუკრაიტი რომ დაინახა, ამათაც გაერიდა, შეჩერდა და ამათ ყოველ მოძრაობას თვალის დევნება დაუწყო. ბუკრაიტს უკნიდან მაგრად ჩაველო ხელი არმსტიდის ორივე მკლავისთვის.

- აბა, მოუსვით ახლავე, თუ არ გინდათ უბედურება ატყდეს, - უთხრა გრიმს რეტლიფმა.

- რად მინდა უბედურება? - თქვა გრიმმა.

- მაშინ წადით, სანამ ბუკრაიტს ჰყავს გაქაჩული.

გრიმი ოთხთვალასთან მივიდა, თან არმსტიდს გამოსცქეროდა შეფარული ცნობისმოყვარეობით.

- ეს სიგიჟე ხეირს არ დააყრის მაგას, - თქვა მან.

- მაგისტვის ნუ წუხხართ, - უთხრა რეტლიფმა. - ოღონდ დროზე მოშორდით აქედან. - გრიმი ოთხთვალას მოაჯდა და დაიძრა. ახლა შეგიძლიათ ხელი შეუშვათ, - თქვა რეტლიფმა. არმსტიდი გამოეპწკვნა და ბალისკენ მიმართა. - მოიცადეთ, ჰენრი, - უთხრა რეტლიფმა. - მოდი, ჯერ ვივახშმით. ლოგინებიც სახლში შევიტანოთ. - მაგრამ არმსტიდი ბალისკენ მიჩლახუნობდა დასალიერის მიმქრალი შუქის ფონზე. - ჯერ უნდა გვეჭამა, - თქვა რეტლიფმა.

მერე ანაზდად ისე ამოიხვნეშა, თითქოს სლუკუნებსო; ისა და ბუკრაიტი ერთად ეცნენ საკერავი მანქანების ჯიხურს, რეტლიფმა ბოქლომი ახსნა, ნიჩბებსა და წერაქვებს ხელი წამოავლეს და დადმართში დაქანდნენ, ბალისკენ, სადაც არმსტიდი უკვე შესდგომოდა მიწის თხრას. ამათ რომ თითქმის მიატანეს, ანაზდად არმსტიდი წელში გაიმართა და გზისკენ გავარდა ნიჩაბშემართული, და ამათ დაინახეს, რომ გრიმი კი არ წასულიყო, კოფოზე მჯდარი გადმოჰყურებდა რკინის დამტვრეულ მესრის თავზე, ხოლო არმსტიდი უკვე ღობესთან მივარდნილიყო. მაგრამ გრიმმა ამასობაში დაძრა ცხენები.

მთელ ღამეს თხრიდნენ, არმსტიდი ერთ ორმოს ადგა, რეტლიფი და ბუკრაიტი ერთად - მეორეს. დროდადრო შეჩერდებოდნენ სულის მოსათქმელად, და მათ თავზე მწყობრ მწკრივებად მიემართებოდნენ ზაფხულის ვარსკვლავები. შესვენებისას რეტლიფი და ბუკრაიტი ბოლთას სცემდნენ ხოლმე, რათა დაბუჟებული კუნთები გაეშალათ, მერე ჩაცუცქედებოდნენ (მოწევით არ ეწეოდნენ, ასანთის გაკვრისა ეშინოდათ, ხოლო არმსტიდს ზედმეტი ნიკელი ალბათ არასოდეს ჰქონია თამბაქოს საყიდლად), არმსტიდის ნიჩბის ჩახუნს აყურადებდნენ და ჩუმიად საუბრობდნენ. არმსტიდი, ესენი რომ ისვენებდნენ, მაშინაც თხრიდა; ამათი ამუშავების მერეც ჯიუტად, მოუღლელად თხრიდა, მაგრამ ხანდახან ერთ ამათგანს გაახსენდებოდა ხოლმე, თავს აიღებდა და დაინახავდა, როგორ იჯდა თავისი ორმოს პირას მიწის იმ ბელტებივით უძრავი, თავად რომ ამოეყარა. მერე ისევ ილაჯის გაწყვეტამდე თხრიდა და თხრიდა; ასე გასტანა შერიჟრაჟებამდე, ხოლო ალიონი რომ მოიწურა, რეტლიფი და ბუკრაიტი არმსტიდს თავს დასდგომოდნენ და ეკამათებოდნენ.

- დამთავრების დროა, - თქვა რეტლიფმა. - ინათა უკვე, დაგვინახავენ.

არმსტიდი არ შეჩერებულა.

- დამინახონ. - თქვა. - ეს მიწა ახლა ჩემია. იმდენი შემოდია ვთხარო, რამდენიც მომეხასიათება, თუ გინდა, მთელი დღეც იყოს.

- კი, ბატონო, - უთხრა რეტლიფმა. - ოღონდ ვშიშობ, რომ ძალიან ბევრი თანაშემწე გამოგიჩნდებათ. - არმსტიდი შეჩერდა და ორმოდან ამოაშტერდა. - არ შეიძლება, კაცმა მთელ ღამეს თხაროს და მერე მთელი დღე იჯდეს და

უდარაჯოს, - თქვა რეტლიფმა. - წავიდეთ. ცოტა მაინც უნდა შევჭამოთ რამე და წავიძინოთ.

ფურგონიდან ლეიბ-საბანი ჩამოიღეს და სახლში შეიტანეს, წინა ოთახში, სადაც პირდაფრენილ ღიობში კარის სახსენებელიც აღარსად იყო, ხოლო ჭერიდან ჩონჩხი იყო ჩამოკიდებული, ოდესღაც ბროლის ჭალი რომ ყოფილა; აქედან ზემოთ განიერი კიბე მიუყვებოდა, რომლის საფეხურები დიდი ხანია თავლების, საქათმეებისა და ჩერმების შესაკეთებლად ამოემტვრიათ, ხოლო კაკლის მოაჯირები, დგარები და კადონები შეშად მოეხმარათ. ამათ რომ სათავისო შეარჩიეს, იმ ოთახს თოთხმეტი ფუტის სიმაღლე ჭერი ჰქონდა. გამომტვრეულ ფანჯრებს ზემოთ ოქროცურვილი ნაძერწი კარნიზის ნაშთები შერჩენილიყო, კედლებიდან ბათქაშჩამოცვენილი წვეტიანი ლარტყები გაღრეჭილიყო. ხოლო ჭერს მეორე ბროლის ჭალის ჩონჩხი ეკონწიალებოდა. ამათ ლეიბ-საბანი ჩამოცვენილ ბათქაშზე გაშალეს, მერე რეტლიფი და ბუკრაიტი ისევ ფურგონთან მივიდნენ და შინიდან წამოდვანიებული საჭმელი და ორი ფულიანი ტოპრაკი შემოზიდეს. ტოპრაკები ფრინველთა სკორეთი შებილწულ ბუხარში შეშალეს, მარმარილოს პირნაკეთობის უკან. არმსტიდს თავისი ფული არ მოუტანია. ამათ არც იცოდნენ, სად წაიღო ის ფული. არც უკითხავთ.

ცეცხლი არ დაუნთიათ. რეტლიფი ისედაც წინააღმდეგი იქნებოდა, მაგრამ არც არავის უხსენებია; გაცივებულ, უგემურ საჭმელს ჭამდნენ, იმდენად დაღლილნი იყვნენ, გემოს მაინც ვეღარ არჩევდნენ. ღრმა ორმოების ძირიდან ამოყოლილი სველი თიხით გაწეპილი ფეხსაცმელი გაიძრეს მხოლოდ, საბნებზე წამოწვნენ და მოუსვენარი ძილით დაიძინეს ერთობ დაქანცვლებმა საიმისოდ, რომ ღრმა ძილს მისცემოდნენ, და ოქროს მთები ესიზმრებოდათ. შუადღეს მზის სხივებმა დახვრეტილ სახურავსა და დამპალ ჭერში შემოატანა და უცნაური ლაქები გაცოცდა იატაკზე, დაჭმუჭნილ საბნებზე, მერე კი გართხმულ სხეულებსა და სახეებზეც; ისინი წრიალებდნენ, შფოთავდნენ, ან სახეს ხელით იფარებდნენ, თითქოს ძილში ამის უსხეულო აჩრდილს გაურბიან, რისთვისაც სიფხიზლეში თავადვე გაწირესო თავი. მზის ჩასვლის ხანს გაეღვიძათ, ძილს სულ არ გამოეცოცხლებინა. უხმოდ დაბორიალობდნენ ოთახში, ვიდრე დანგრეულ ბუხარში საყავე ადუღდებოდა. მერე ისევ წაიხემსეს, ხარბად ნთქავდნენ გაცივებულსა და უგემურ საჭმელს. ამასობაში მაღალი, ნახევრად დანგრეული ოთახის დასავლეთ ფანჯარაში დაისის არილი გაფერმკრთალდა. არმსტიდმა პირველმა მოათავა ჭამა. ფინჯანი დადგა, მერე ჯერ ოთხზე წამოიმართა ბალღივით, გადატეხილი ფეხი გაჭირვებით აითრია და კარისკენ წაჩლახუნდა.

- უნდა დავიცადოთ, სადამდეც სულ არ დაღამდებოდეს, - არავისთვის არ მიუმართავს, ისე თქვა რეტლიფმა, რაღა თქმა უნდა, არც არავის გაუცია პასუხი. თითქოს საკუთარი თავისთვის მიემართოს და პასუხიც თავადვე გაეცეს. ისიც წამოდგა. ბუკრაიტი ფეხზე იყო უკვე. ბაღს რომ მიატანეს, არმსტიდი უკვე თავის ორმოში ჩამდგარიყო და თხრიდა.

ამჯერადაც მიწის თხრაში დაათენდათ ზაფხულის მოკლე ღამე, მათ თავზე ნაცნობი ვარსკვლავები გადადიოდა, ხოლო სულის მოსათქმელად და კუნთების გასამართავად რომ შეჩერდებოდნენ ხოლმე, ესმოდათ, როგორ თანაბრად ადი-ჩადიოდა არმსტიდის ნიჩაბი, თითქოს სუნთქავსო; ალიონზე

ამათ აიძულეს მუშაობისათვის თავი დაენებებინა, სახლში შევიდნენ, დაკონსერვებული თევზი, ცივი, საკუთარ ცხიმში შესქელებული ღორის ხორცი კვერს შეატანეს და ისევ მიწვნენ დაჭმუჭნილ საბნებზე, შუადღემდე ეძინათ, ვიდრე მზის დაოქროვილი სხივები ოთახში შემოიპარებოდა და ამათ მიელაციებოდა. მაშინ აწრიალდნენ და აშფოთდნენ, თითქოს კომმარში ყოფილიყვნენ, და ამაოდ ცდილობდნენ მოეხსნათ ის მოუხელთებელი და უსხეულო ტვირთი. პურის უკანასკნელი ნაჭერი დილასვე შეეჭამათ. მზის ჩასვლის ხანს, იმ ორსაც რომ გამოეღვიძა, რეტლიფს უკვე საყავე შემოედგა და ტაფაზე მჭადიც მოეზილა. არმსტიდი მჭადს აღარ დალოდებია. თავისი კერძი ხორცი გადაყლაპა, ყავა დააყოლა, ჯერ ბავშვივით ოთხზე წამოდგა ხელახლა და გავიდა. ბუკრაიტიც ფეხზე იყო უკვე. ტაფის წინ ჩაცუცქულმა რეტლიფმა ახედა.

- ჰო, წადით, - უთხრა, - არაა საჭირო დროის დაკარგვა.

- ექვსფუტიანი ორმო ამოვთხარეთ უკვე, - თქვა ბუკრაიტმა, - ოთხი ფუტის სიგანის და ლამის ათი ფუტის სიგრძის ორმო. ახლა, მესამე ტოპრაკი რომ ვიპოვეთ, იქ დავადგები.

- კარგი, - მიუგო რეტლიფმა. - მიდით და დაიწყეთ.

იმიტომ, რომ რაღაცამ კვლავ გაკრა ტვინში. არ იცოდა, იქნებ სიზმარში მოხდა ეს ამბავი. ოღონდ ის კი იცოდა, რომ ახლა ყოველივე დღესავით ცხადი შექნილიყო. „ოღონდ არც დანახვა მინდა იმისი, როგორ მოხდება, და არც მოსმენა, - გაიფიქრა ტაფით ხელში ცეცხლის წინ ჩაცუცქულმა და თვალდაწკურულმა, რადგან ჩამოწოლილ მილში კვამლი არ გადიოდა და თვალებს უცრემლებდა. - შიში მეძალემა. თუმცა დრო კიდევ გვაქვს. ამაღამ კიდევ შეიძლება თხრა. ახალი ადგილიც კი გვაქვს სათხრელი“. მჭადის გამოცხობას დაელოდა. მერე მჭადი ახიკა, ტაფა ნაკვერჩხლებზე დადგა, ქონი წვრილ-წვრილად დაჭრა და მოხრაკა; სამი დღის მერე ჭამდა ცხელ საჭმელს, აუჩქარებლად ჭამდა ჩაცუცქული, ყავას აყოლებდა ნელ-ნელა, ხოლო ჩამოქცეულ ჭერზე დაისის უკანასკნელი ათინათიც ჩაქრა თანდათანობით და ოთახს ახლა მიღველფილი ცეცხლის კიაფილა ანათებდა.

ბუკრაიტი და არმსტიდი უკვე თხრიდნენ. რეტლიფი უფრო ახლოს რომ მივიდა, დაინახა, რომ არმსტიდს მარტოს ამოეთხარა სამი ფუტის სიღრმის ორმო, თითქმის ისეთივე გრძელი, როგორიც ამან და ბუკრაიტმა გაჭრეს ერთობლივ. იქით წავიდა, სადაც ბუკრაიტს ახალი ორმო დაეწყო, ნიჩაბს ასწვდა და თხრას შეუდგა. მთელ ღამეს მუშაობდნენ ნაცნობ თანავარსკვლავედთა მწკრივებქვეშ, იშვიათად თუ შეჩერდებოდნენ სულის მოსათქმელად (თუმცა არმსტიდი მათთან ერთად არ ჩერდებოდა), პირველი ორმოს კიდებზე ჩამოსხდებოდნენ და რეტლიფი ჩუმი ხმით ამრახდებოდა, ოღონდ ოქროს, ფულის ამბავს კი არ ჰყვებოდა, სასაცილო ანეკდოტებს მოუთხრობდა და სიბნელეში უჩინარი სახე ცბიერი, მეოცნებე და შეუცნობელი ჰქონდა. მერე ისევ თხრას მიჰყოფდნენ ხელს. „დღისით მოვათვალიერებ, როგორც რიგი და წესია, - ფიქრობდა. - თუმცა ხომ ნანახი მაქვს უკვე ყველაფერი. სამი დღის წინ ვნახე“. მაგრამ, აი, თენება დაიწყო. და ირიჟრაჟა თუ არა, ნიჩაბი დაუშვა და წელში გაიმართა. ბუკრაიტის წერაქვი ზედ მის წინ თანაბრად ადი-ჩადიოდა; ხოლო თავისგან ოც ფუტზე წელამდე

მიწაში ჩამჯდარი არმსტიდი დაინახა, თითქოს შუაზე გაკვეთილი ყოფილიყო, - მკვდარი სხეული, რომელსაც აზრადაც არ მოსდიოდა, მკვდარი რომ იყო, მუშაობისას თანაბრად იხრებოდა და იმართებოდა, მეტრონომივით თანაბრად, თითქოს არმსტიდი ხელახლა იმარხავდა თავს იმ მიწაში, რომლისგანაც იშვა, რათა მუდამ, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, მისი სამარადისოდ განწირული მონა ყოფილიყო. რეტლიფი ორმოდან ამოძვრა და ახალამოყრილი ჩაშავებული თიხის ბელტებზე გაჩერდა, დადლილობისგან კუნთები უკრთოდა, იდგა და ბუკრაიტს დაჰყურებდა ჩუმად, ვიდრე ბუკრაიტმა ეს არ შენიშნა, წერაქვაწეული არ შეჩერდა და არ ამოხედა. ორი განაწამები, წვერგაუპარსავი, გამხდარი კაცი ერთიმეორეს უმზერდა.

- ოდემ, - უთხრა რეტლიფმა. - იცით, ვინ იყო იუსტას გრიმის ცოლი?

- არ ვიცი, - მიუგო ბუკრაიტმა.

- მე ვიცი, - თქვა რეტლიფმა. - კოლჰაუნელი იყო, გვარად დოში. ცუდად მენიშნება ეს ამბავი. დედამისი კიდევ ფაიტის გვარის გახლდა. ესეც ცუდად მენიშნება.

ბუკრაიტი უკვე აღარ უმზერდა. ფრთხილად, ლამის განაზებით დადო წერაქვი, თითქოს წვნიანით ან ნიტროგლიცერინით სავსე კოვზი ყოფილიყო, ორმოდან ამოძვრა და ხელები შარვალს შეაწმინდა.

- მე კი თქვენი მეგონა - ყველაფერი იცის-მეთქი, - თქვა მან. - ასე მეგონა - აქაურობის ყველაფერი იცის-მეთქი.

- ახლა კი ვიცი, მგონი, - მიუგო რეტლიფმა. - მაგრამ თქვენ მითხარით მაინც.

- ფაიტი მამამისის მეორე ცოლი იყო, იუსტასის დედა ის არ ყოფილა. მამაჩემმა მითხრა ეს ამბავი, როცა ებ სნოუჰსმა ამ ხუთი წლის წინ პირველად აიღო იჯარით უორნერის მიწა.

- მერე, მერე, - უთხრა რეტლიფმა.

- იუსტასის დედა ებ სნოუჰსის უმცროსი და გახლდა. - ისინი თვალთა ფახულით შესცქეროდნენ ერთიმეორეს. სწრაფად თენდებოდა.

- ასე, - თქვა რეტლიფმა. - სულ ეგაა?

- დიახ, - მიუგო ბუკრაიტმა. - ესაა სულ.

- ჰო. ძალიან კი გადაგაცდინეთ, ღმერთმანი, - თქვა რეტლიფმა.

სახლისკენ აღმართი აიარეს და ოთახში შევიდნენ. ოთახში ჯერაც ბნელოდა და, ვიდრე რეტლიფი ბუხრის მილში ფულიან ტოპრაკებს ეძებდა ხელის ფათურით, ბუკრაიტმა ფარანი აანთო, იატაკზე დადგა. მერე ერთიმეორის პირდაპირ ჩაცუცქულებმა ტოპრაკებს თავი მოხსნეს.

- კი უნდა მოგვესაზრებინა, რომ, რაც უნდა მაგარი ყოფილიყო, ტილოს ტომსიკა ვერ გაძლებდა ამდენ ხანს, - თქვა ბუკრაიტმა. - ორმოცდაათი

წელიწადი, ჰა!.. - ფული იატაკზე გადმოაბნის. თითო მონეტას იღებდნენ ხელში, სწრაფად ათვალიერებდნენ და მერე ერთიმეორეზე აწყობდნენ ფარნის გვერდით. ყველა მონეტა გასინჯეს ფარნის მკრთალ შუქზე. - კი, მაგრამ, ის საიდან იცოდა, მაინცდამაინც ჩვენ რომ ვიქნებოდით? - თქვა ბუკრაიტმა.

- ეგ არც სცოდნია, - უპასუხა რეტლიფმა. - იმისთვის სულერთი არ იყო? უბრალოდ, ყოველ ღამეს მოდიოდა და თხრიდა ცოტ-ცოტას. იცოდა, ორ კვირას ზედიზედ რომ ვთხარო, ვინმე უეჭველად წამოეგებაო. - უკანასკნელი მონეტაც დადო და იატაკზე დაჯდა. იმის მომლოდინე, ბუკრაიტი როდის დაამთავრებსო. - ათას რვაას სამოცდათერთმეტი, - თქვა მან.

- მე კიდევ სამოცდაცხრამეტი წლის მაქვს. - თქვა ბუკრაიტმა. - ერთი შარშანდელი მოჭრილიცაა. კი, გადამაცდინეთ ნამდვილად.

- გადაგაცდინეთ, - უთხრა რეტლიფმა. ორი მონეტა აიღო, დანარჩენი ფული ისევ ტოპრაკებში ჩაყარეს. აღარ დაუმაღავთ ბუხარში, ტოპრაკები თავთავის საბნებზე დატოვეს და ფარანი ჩააქრეს. უფრო ინათა და ახლა კარგად არჩევდნენ, როგორ იხრებოდა და ისევ იმართებოდა ორმოში წელამდე ჩამდგარი არმსტიდი. მზის ამოსვლის ხანი ახლოვდებოდა; ყვითელ და ცისფერნარევ სივრცეში სამი ქორი ბოინობდა უკვე. რეტლიფი და ბუკრაიტი რომ მივიდნენ, არმსტიდს თავიც არ აუწევია; ზედ ორმოს რომ მიადგნენ ჯიქურ მისი მზირალნი, მაშინაც თხრას განაგრძობდა. - ჰენრი, - უთხრა რეტლიფმა, დაიხარა და მხარზე შეეხო. არმსტიდი შემოუბრუნდა, ნიჩაბი გვერდულად შემართა, და ნიჩბის პირზე, თითქოს ნაჯახის პირი ყოფილიყო, ფოლადის ელვარებით იელვა ალიონმა.

- იქით! - იყვირა არმსტიდმა. - მოშორდით ჩემს ორმოს, მოშორდით!

2

ფრანგისხევში უორნერის სახლის მხრიდან შემოსული ოთხთვალები, რომლებშიც მამაკაცები, ქალები თუ ბალები ისხდნენ, სახლის წინ ჩერდებოდა, დუქნიდანაც მოედინებოდა ხალხი, ისწრაფოდნენ, ღობესთან მიმდგარიყვნენ და ემზირათ, როგორ ტვირთავდნენ უკანა მხრით ვერანდას მიბჯენილ ფურგონს ავეჯით, ზანდუკებითა და ყოველგვარი ყუთით ლემპ და ეკ სნოუჰუსები უორნერის ზანგ მსახურთან სემთან ერთად. ეს იგივე ფურგონი იყო, იმავე ჯორებშებმული, რომელმაც აპრილში ფლემ სნოუჰუსი ჩამოიყვანა ტეხასიდან. ახლა ბარგის მტვირთველი სამი კაცი მიმორბოდა ფურგონსა და სახლს შორის, ამასთან, ეკი ან ზანგი დატვირთულნი იხევდნენ უკან-უკან, კარს ვაი-ვაგლახით გამოსცილდებოდნენ, ხოლო ლემპ სნოუჰუსი უკან მოსდევდა და სხაპასხუპით გაუჩერებლად აყრიდა ყოველგვარ რჩევა-დარიგებას თუ მითითებას, ტვირთს ხელსაც აშველებდა, ოღონდ ისე კი, რომ დიდი სიმძიმე არ დასწოლოდა. ტვირთს რომ ფურგონზე დადებდნენ, უკანვე მიემართებოდნენ და კართან გვერდზე გადგებოდნენ ხოლმე, როცა ქოთნებითა და ნაირ-ნაირი ნახარშ-ნამარილევიანი, მჭიდროდ თავდახურული ქილებით დატვირთული მისის უორნერი შემოეყრებოდათ ხოლმე. ღობეს მიმდგარნი

ხმამალა ასახელებდნენ ყოველ გამოტანილ ნივთს - დაშლილი ლოგინო, ტუალეტის მაგიდაო, პირსაბანი და ტაშტო, დოქი, სარეცხის ვედრო, ღამის ჭურჭელი, ზანდუკი, რომელშიც, უეჭველია, ქალის და ბავშვის რამერუმები აწყვიაო, მერე, როგორც ქალებმა შეუცდომლად გამოიცნეს, საინებიან-დანებიან-ქვაბებიანი ხის ყუთი და, ბოლოს, თოკით მაგრად გადაკოჭილი ყავისფერი პარუსინის ფუთაო.

- ეს რაღა? - ფრიმენმა იკითხა. - კარავს კი უნდა ჰგავდეს.
- კარავია სწორედ, - თქვა ტალმა. - იმ კვირას ეკმა მოიტანა ქალაქის სადგურიდან.
- კი, მაგრამ, კარავში ხომ არ აპირებენ ცხოვრებას ჯეფერსონში? - თქვა ფრიმენმა.
- არ ვიცი, - თქვა ტალმა.

ბოლოს მთელი ბარგი დაიტვირთა; ეკი და ზანგი უკანასკნელად გამოეხიდნენ კარში, მისის უორნერმაც ბოლო ქილა გამოარბენინა; ლემპ სნოუპსი ერთხელ კიდევ შევიდა სახლში და ყველასთვის ნაცნობი წნული ჩემოდნითურთ გამობრუნდა, მერე ფლემ სნოუპსი გამოვიდა, ბოლოს კი მისი ცოლი. ხელში ჩვილი ეჭირა (შვიდი თვის ბავშვის პირობაზე ზედმეტად მოზრდილი, იმიტომ, რომ, ცხადია, მისის აღარ დალოდებოდა და უფრო ადრე დაბადებულიყო). წამით შეჩერდა ოლიმპიურად ტანადი, დედამისზეც და ქმარზეც მთელი თავით მაღალი, ზაფხულის სიცხის მიუხედავად ქალაქელი თერძის მიერ შეკერილ შალის კოსტიუმში გამოწყობილი. და, თუმცა მის გამოუმზირალსა და ნიღბივით გაშემებულ სახეს ასაკი თითქოს არც კი ჰქონდა, ყირმიზი ღაწვები ცხადყოფდა, რომ ჯერ თვრამეტისაც არ შესრულებულიყო. ხოლო ფურგონებში მსხდარი დედაკაცები ამ დროს ფიქრობდნენ - ეს ნამდვილი თერძის შეკერილი პირველი შალის კოსტიუმში არისო ფრანგისხევში, მაინც ხომ იმდენი ქნა, ფლემ სნოუპსს რაღაც-რაღაცები კი აყიდვინა, აბა, ახლა უორნერი ხომ აღარ უყიდისო; ღობეს მიმდგარ კაცებს კი ჰოუკ მაკკერონი აგონდებოდათ და ფიქრობდნენ - კოსტიუმსაც ვუყიდდით ყოველი ჩვენგანი და სხვა რამესაც, რასაც კი მოისურვებდაო.

მისის უორნერმა ბავშვი გამოართვა და ამათ დაინახეს, როგორ აიკეცა ქალმა ხელით ქვედაბოლოს კალთა მარადქალური, ამაღელვებელი მოძრაობით, ბორბალზე ფეხი შედგა და ავიდა ფურგონზე, სადაც სნოუპსი იჯდა უკვე სადავით ხელში, მერე გადმოიხარა და მისის უორნერს ბავშვი ჩამოართვა. ფურგონი დაიძრა და აჯაყჯაყდა, ცხენები შემობრუნდნენ, ეზო გადმოჭრეს, ღია ჭიშკრით თემშარაზე გამოვიდნენ და ამით მოთავდა ყველაფერი. გამომშვიდობებაც ეს იყო, თუკი საერთოდ ითქვა „მშვიდობით“, და გზაზე ჩამწკრივებული ოთხთვალეებიც დაიძრა. ხოლო ფრიმენი, ტალი და დანარჩენი ოთხნი გულს მოშვებულად შემობრუნდნენ ფეხის მოუცვლელად და ახლა ღობისკენ ზურგშექცეულნი გაჩერდნენ თანაბრად ფიქრიანი, ოდნავ ნალველნარევი, იქნებ გამოფხიზლებული იერის მქონენი, ძლივს გახედეს ჭიშკრიდან გამოსულ ფურგონს, რომელთან ერთადაც კუბოკრული კეპი, ნელიად მცოხნელი ყბები. პაწაწკინტელა ჰალსტუხი და თეთრი ხალათი გაცურდა იქვე; მის გვერდით მეორე სახეც იყო - აუმიღვრეველი და

მშვენიერი, ოღონდ ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებული, თითქოს ქანდაკება ყოფილიყოს, ან კიდევ, მიცვალებული, და ის სახე არც მათ უმზერდა და არც საერთოდ რასმე ამჩნევდა ირგვლივ.

- ნახვამდის, ფლემ, - თქვა ფრიმენმა. - კერძის კეთებაში რომ გაიწაფებით, ერთი კარგი ბიფშტექსი შემიწვით.

იმას პასუხი არ გაუცია. იქნებ ვერც ვერაფერი გაიგონა. ფურგონი მათ შორდებოდა. ესენი ჯერაც ფეხმოუცვლელნი მიაყოლებდნენ მზერას და დაინახეს, როგორ გადაუხვია ფურგონმა ძველ გზაზე, რომელსაც აგერ ოცი წელი იქნებოდა, უკანასკნელ ორ კვირას თუ არ მიათვლიდნენ, უორნერის თეთრი ცხენის ფლოქვთა ანაბეჭდის გარდა სხვა რამ კვალი აღარ დასჩნეოდა.

- ასე კაი სამი მილის შემოვლა მაინც მოუწევს, სანამ ისევ ჯეფერსონის გზას დაადგებოდეს, - თქვა შეფიქრებულმა ტალმა.

- იქნება ქალაქში უნდა წაიძღვანოს ის სამი მილი და მერე აარონ რაიდაუტს რესტორნის მეორე ნახევარში გაუცვალოს, - თქვა ფრიმენმა.

- ან იქნება ბუკრაიტთან-არმსტიდიანად რეტლიფს გაუცვალოს კიდევ რამეში, - თქვა მესამემ. ისიც რაიდაუტი იყო გვარად, იმ ქალაქელი რაიდაუტის ძმა იყო და ორივენი რეტლიფს ბიძაშვილად მოუდიოდნენ. - ქალაქში რეტლიფსაც ნახავს.

- ჰოდა, არმსტიდის სანახავად იმსიშორეზე წასვლა არაა საჭირო, - თქვა ფრიმენმა.

გზა უკვე აღარ ჰგავდა ძველ, თითქმის წარხოცილ ნაიარევს. ახალი ნავალი ჩანდა გზა, იმიტომ, რომ ერთი კვირის წინ წვიმა მოსულიყო და ლამის ოცდაათ წელიწადს გაუთლელ ბალახს ახლა ოთხი მკაფიო კვალი დასჩნეოდა: ორი კიდეებზე, თვლების რკინის ფერსოებისა, და ორიც შუაში, სადაც ცხენები აბიჯებდნენ ყოველდღე, იმ დღის მერე, როცა პირველმა ეტლმა თუ ფურგონმა გადმოუხვია აქეთ, და მორყეული, ჭრიალა ოთხთვალები, გაქუცული ყანის ცხენები თუ ჯორები, მამაკაცები, ქალები, ბალები რომელიღაც სხვა სამყაროში აღმოჩნდნენ, სხვა ქვეყანაში მოხვდნენ, სხვა დროში, უსახელო და ურიცხვო დღის საუფლოში.

იქ, სადაც წყაროსკენ დაქანებული ხრეში მუქდებოდა, ხოლო შემდეგ ისევ ბაცდებოდა აღმართში, ბორბლებისა და ფლოქვების უამრავი არეულ-დარეული, ერთიმეორის გადამქელებელი კვალი ისევე შეაცბუნებდა კაცს, როგორც გამოცარიელებულ ტაძარში მოსმენილი ყვირილი. მერე წინ, გზის პირას გამოჩნდებოდა ჩამწკრივებული ოთხთვალები, ხოლო ოთხთვალებში ბავშვები ჩაცუცქულიყვნენ, მათ გვერდით წნულ სკამებზე ქალები ისხდნენ, ჩვილებს არწევდნენ და, რომ მოუვიდოდათ, ძუძუს აჩრიდნენ პირში, მამაკაცები და წამოჩიტული ყმაწვილები კი უჩუმრად იდგნენ ჩაქეული, ცხრატყავათი შევრავნილი რკინის ღობის გასწვრივ და უმზერდნენ, როგორ სულის მოუთქმელად თხრიდა მიწას არმსტიდი გორაკზე, ძველ ბაღში. ორი კვირა იქნებოდა უკვე, რაც მის სამზერად მოეშურებოდნენ. იმ პირველი დღის მერე, როცა იმ სანახების პირველ მკვიდრთ დაენახათ და შინ ამბავი წაეღოთ, შორიდანაც, ათი-თხუთმეტი

მილის სავალიდანაც მოაწყდა ხალხი, ოთხთვალეებით, ცხენებით თუ ჯორებით, - მამაკაცები, ქალები და ბავშვები, ოთხმოც წელს მიტანებული ბერიკაცები და ძუძუთა ბალები, ერთ ხანმოთეულ, დანჯღრეულ ოთხთვალაში, ჯერაც რომ შერჩენოდა მიმხმარი ნაკელი, ბზე თუ ბულულები, ოთხ-ოთხი თაობა ჩაეყრებოდა, და ზედვე მსხდარნი თუ ღობესთან მიმდგარნი, თითქოს სტუმრად ყოფილიყვნენ, დარბაისლურად გასცქეროდნენ მიწის მთხრელს, სუნთქვაშეკრულნი გასცქეროდნენ, გეგონებოდათ, ბაზრობაზე ჩამოსულ მიმოსს უყურებენო. იმ პირველ დღეს, როცა პირველი მათგანი ჩამოხტა და ღობეს მიადგა, არმსტიდი ვაი-ვაგლახით ამოძვრა ორმოდან, მტკივან ფეხათრეული, ხრინწიანად, უილაჯოდ, ქლოშინით მისი მგინებელი მოეტანა და გამოაქცია ნიჩაბშემართულმა. ოღონდ მალე დაცხრა; ვითომ ვერც კი ამჩნევდა, ესენი რომ ღობეს მიადგებოდნენ და გაჰყურებდნენ, მიწას როგორ ღრღნიდა, სიგრძე-სიგანეზე აბრუნებდა გორაკს თავისი შმაგი უჯრათობით ილაჯგაწყვეტილი. ოღონდ ბაღში გადასვლა მეტი აღარავის უცდია და ახლა ბავშვებიღა აბეზრებდნენ თავს.

ნაშუადღევს შორიდან მოსულნი წასვლა-წამოსვლას იწყებდნენ. მაგრამ ისეთებიც მუდამ მოიძებნებოდნენ, დარჩენას რომ ამჯობინებდნენ, თუმცა ამის გამო მერე დღისსულ ცხენების გამოხსნას, საქონლისთვის საკვების მიცემას და ძროხების მოწველას ვედარც ასწრებდნენ ხოლმე. ბოლოს, მზის ჩასვლის ხანს, კიდევ ერთი, უკანასკნელი ოთხთვალაც გამოჩნდებოდა, - გამვალტყავებული კურდღლებივით ჩამომხმარი წყვილი ჯორი, დაბრეცილი, მავთულით სახელდახელოდ გადაკოჭილი და გაუსაპნავი ბორბლები, - და ღობეს მიმდგარი ხალხი შემობრუნდებოდა და სიტყვის უთქმელად შემოაჩერდებოდა თაღს, მოჯაჯულტანსაცმლიან და გახუნებულქუდიან ქალს, რომელიც გადმოვიდოდა, კოფოს ქვეშიდან თუნუქის პატარა ვედროს გამოაძვრენდა და წალასლასდებოდა ღობისკენ, რომლის გადაღმაც წელში გაუმართავად, შეუსვენებლად, მეტრონომივით მუშაობდა მისი ქმარი. ვედროს ღობის გადაღმა კუთხეში ჩადგამდა და უძრავად გაჩერდებოდა ნაცრისფერსამოსიანი, დათითხნილფლოსტებიანი, წინსაფარქვეშ მუცელზე ხელდაკრეფილი. ვერავინ იტყოდა - უმზერს თავის ქმარს თუ არაო; ისიც არავინ იცოდა, საერთოდ თუ უმზერდა რასმე. მერე შებრუნდებოდა ქალი, ოთხთვალასკენ წავიდოდა (საქონელი ჰყავდა კიდევ დასაპურებული, ძროხა მოსაწველი და ბალები სავახშმო), კოფოზე აფორთხდებოდა, თოკის სადავეს აიკრეფდა, ჯორებს შეაბრუნებდა და გაემგზავრებოდა. მას უკანასკნელი თვალმოსიერენიც გაჰყვებოდნენ და არმსტიდი მარტო რჩებოდა ბინდმოდალეებულ გორაკზე, თავს იმარხავდა მიმწუხრის სიბნელეში, ვითომც მომართული სათამაშო ყოფილიყოს, ბრიყული, საშინელი სიჯიუტით აღვსილი, დაძაბულობისაგან ქანცმილეული, თითქოს სათამაშო ამგვარი სამუშაოსთვის ერთობ სუსტი აღმოჩენილა ან კიდევ ზამბარა ძალზე მაგრად მოუმართავთო. ზაფხულის მზიან დილას უორნერის დუქნის გალერეაში ჩამომსხდარი, ერთი მწიკვი ბურნუთით თუ საღეჭი თამბაქოს ჩამონაჭერით მომარაგებული ხალხი, ან კიდევ საღამოს, დაისის ალმაცერ სხივებქვეშ უკაცრიელ გზაჯვარედინზე შეყრილი მგზავრები ამ ამბის გამო ბჭობდნენ ხოლმე და ამბავი ოთხთვალადან ოთხთვალას გადაეცემოდა, ოთხთვალადან მხედარს, მხედრისგან მეორე მხედარს და ოთხთვალადან ან მხედრისგან - ჭიშკართან თუ საფოსტო ყუთთან შეჩერებულ ქვეითს.

- იქაა ისევ?

- იქაა.
- იკლავს თავს. თუმცა დიდი დანაკლისი არ იქნება.
- მისი ცოლისთვის მაინც.
- რა ბრძანებაა. ის მაინც აღარ მოუხდება, ცისმარე დღე საჭმელ-სასმელი უზიდოს. სულ იმ ფლემ სნოუპსის საქმე კია.
- რა ბრძანებაა, სხვა უმისო ამას არ იზამდა.
- როგორ იზამდა. ჰენრი არმსტიდს ყოველი კაცი გააცუცურაკებს. აი, რეტლიფს მართლა ვერავინ გააბრიყვებს, სნოუპსის მეტი.

ამ დილასაც, თუმცა ის-ის იყო მეტერთმეტე საათი იწყებოდა, ლობესთან ხალხი შეყრილიყო ჩვეულებრივად და სნოუპსმა რომ ფურგონი მოაყენა, ისინიც კი, ვინც მასავით ქალაქისკენ აპირებდა გამგზავრებას, ჯერაც აქ იყვნენ. სნოუპსს ფურგონი გზიდან არ გადაუყვანია. ნაცვლად ამისა, ოთხთვალეების გრძელ მწკრივს ჩაუარა, და ბავშვატატებული ქალები მას მოსჩერებოდნენ თავშემობრუნებულნი, მამაკაცებიც ბრუნდებოდნენ და მას გამოსცქეროდნენ ფიქრიანნი, პირქუშნი, თვალმოუშორებლად გამომზირალნი. იმან კი ფურგონი შეაჩერა, კოფოზე იჯდა, გაუწყნარებლად იღეჭებოდა და ბაღს გაჰყურებდა მათ თავებს ზემოთ. და, თითქოს მზერას თვალი გაადევნესო, ჩაქცეულ ლობესთან შეყრილმა ხალხმა თავი მიიბრუნა და დაინახა, როგორ ამოდვრა ბუჩქებიდან ბაღის შორეულ კუთხეში ორი ბიჭუნა და უკნიდან მიეპარა არმსტიდს. იმას თავი არ აუღია, მიწის თხრაც კი არ შეუჩერებია, ოღონდ, ბიჭუნები ოციოდე ფუტზე რომ მიუახლოვდნენ, ფიცხლად შეტრიალდა, ორმოდან ამოხტა და იმათკენ გავარდა ნიჩაბშემართული. ყვირილს არ მოჰყოლია, არც კი შეუგინებია, ისე გამოენთო ბიჭუნებს ფეხათრეული, ორმოდან ამოყრილ ბელტებზე მობორძიკე, და თანდათანობით ჩამორჩა. ბიჭუნები ისევ ბუჩქებში რომ შეძვრენ, არმსტიდი ჯერაც გარბოდა, მერე წაიბორძიკა, პირქვე წაემხო და ასე დარჩა ჩაწოლილი, ხოლო ლობის გადაღმიდან ხალხი მისჩერებოდა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მისი მძიმე-მძიმე სულისთქმაც ისმოდა. მერე წამოდგა, ჯერ ბალღივით ოთხზე წამოიმართა, ნიჩაბი აიღო და ორმოს მიუბრუნდა. დროის შესატყობად მზისთვის არ აუხედავს, როგორც იცის ხოლმე კაცმა მუშაობის გაწყვეტისას. პირდაპირ ორმოსკენ გაეშურა გაჩქარებული, ვაი-ვაგლახით ფეხის მთრეველი, და ჩამომხმარი, გაუპარსავი სახე ახლა ნამდვილად შეშლილს უგავდა.

სნოუპსი შებრუნდა და ფურგონის ბორბალს ზემოთ გადააპურჭყა. ნელა გამოჰკრა სადავეს.

- ჰო-ჰო-ჰო, - თქვა მერე.